ზურაბ კალატოზიშვილი



ბაგრატის თეთრი

წინასიტყვაობა

ამ რომანში ასახულია ორი ეპოქის, თანამედროვეობისა და XI საუკუნის პერიოდების გმირთა ცხოვრება; მათი განვითარების გზები სიმბოლურად ერთმანეთთან დაკავშირებულია საიდუმლოებით მოცული თილისმის საშუალებით.

თანამედროვე პერიოდი მოიცავს XX საუკუნის ეპოქალურ მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ნაწარმოების მთავარი გმირებისა და მათი წინაპრების ცხოვრებაზე.

XI საუკუნის ეპოქაში კი ასახულია საქართველოს ისტორიული წარსული, ბაგრატ IV-ის მეფობის დროინდელი სამოქალაქო ომის რთული პერიოდი. სწორედ მაშინ გამოჩნდა საქართველოში მოგზაური ინგვარის ვარანგთა (ვიკინგების) რაზმი.



წიგნზე მუშაობისას გამოყენებულია საერთაშორისო ინტერნეტ-ქსელ wikipedia - ში არსებული სხვადასხვაენოვანი ისტორიული წყაროები, სათანადო შეფასებითა და შედარებითი ანალიზით.

07. 07. 2019.

ზურაბ კალატოზიშვილი

ბაგრატის თეთრი

პროლოგი

ჩემი ქალიშვილის, ელენეს, ჩამოფრენას ველოდებოდით ჰოლანდიიდან, სადაც იგი სასწავლებლად იყო წასული. მე და ჩემი მეუღლე მანქანაში ჩავსხედით და აეროპორტში წავედით. მივუახლოვდით თუ არა აეროპორტს, შევამჩნიეთ, რომ მისი მიმდებარე ტერიტორია და მთავარი შენობა შეიარაღებულ ჯარს და პოლიციას დაეკავებინა. არ გამკვირვებია, რადგან წინა ღამეს, 2015 წლის 13 ნოემბერს, საშინელი თავდასხმა მოხდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზზე.

სამი საათის განმავლობაში ჯიჰადისტმა ტერორისტებმა ექვსი ტერორისტული შეტევა განახორციელეს პარიზში, რის შედეგადაც 135 ადამიანი დაიღუპა და 500-მდე დაიჭრა. ტერორისტებმა პარიზის ფეხბურთის სტადიონზე შეღწევაც სცადეს, სადაც მიმდინარეობდა საფეხბურთო მატჩი საფრანგეთისა და გერმანიის ნაკრებებს შორის. უამრავ ხალხთან ერთად თამაშს ესწრებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. კიდევ კარგი, ტერორისტებმა ვერ შეძლეს სტადიონზე შეღწევა, თორემ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. ამ საშინელი ტრაგედიის შემდეგ, იმავე დღეს, მთელი ევროპის აეროპორტებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გაძლიერებული პოლიცია და სამხედრო ჯარები შევიდა.

ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ ელენეც გამოჩნდა. თეთრ, მოგრძო სახეზე გრძელი ქერა თმა ჩამოშლოდა. ჩვენს დანახვაზე ცისფერ თვალებში ცრემლი ჩაუდგა, გულაჩუყებულმა წარმოთქვა, მომენატრეთო, ხელები გაშალა და ორივეს გადაგვეხვია.

მადლობა უფალს, რომ მშვიდობით ჩამოფრინდა ჩვენი შვილი! – გავიფიქრე ჩემთვის. მთელი მეოცე საუკუნე საშინელ ომებსა და სისხლისღვრაში გაატარა მსოფლიომ. ჩვენ უკვე 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში ვართ და იგივე გრძელდება – ომები, ტერორიზმი, სისხლისღვრა...

გამოვედით აეროპორტიდან, ჩავსხედით მანქანაში და სახლში მისვლამდე გონებაში დიდი მწერლისა და მოაზროვნის, ედუარდ გალეანოს სიტყვები მიტრიალებდა: „არც ერთ ომს არა აქვს ღირსეული მორალური შეფასება, გულწრფელად რომ აღიარონ, მე ვკლავ იმიტომ, რომ გავძარცვო ან მოვიპარო. ომების დაწყებას ყოველთვის კეთილშობილური მოტივებით ამართლებენ. კლავენ მშვიდობის დაცვის სახელით, კლავენ ღვთის სახელით, კლავენ ცივილიზაციის სახელით, კლავენ პროგრესის სახელით, კლავენ დემოკრატიის სახელით და თუ ომის მიზეზი საკმარისად დამაჯერებელი არ არის, მზად არიან, რომ ჩართონ ძლიერი საინფორმაციო და პროპაგანდისტული საშუალებები, რათა გამოიგონონ მტერი და გაამართლონ მსოფლიოს ჩათრევა დიდ, უაზრო საგიჟეთში და ხალხთა სასაკლაოში.

შექსპირმა მეფე ლირში დაწერა: „ამ ქვეყნიერებაზე სულელები მართავენ ბრმებს“, და ოთხი საუკუნის შემდეგაც ქვეყნიერების მბრძანებლები ის სულელები არიან, რომლებიც შეყვარებულები არიან სიკვდილზე და რომლებმაც გადააქციეს მსოფლიო ისეთ ადგილად, სადაც ყოველ წუთში 10 ბავშვი იღუპება შიმშილით ან ისეთი ავადმყოფობებით, რომელთა განკურნებაც შესაძლებელია; და ეს მაშინ, როცა ყოველ წუთში 3 მილიონი დოლარი იხარჯება სამხედრო ინდუსტრიაზე – ამ მართლაც რომ სიკვდილის ფაბრიკაზე; იარაღს სჭირდება ომი და ომს სჭირდება იარაღი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამყვანი ქვეყნები, რომლებსაც ვეტოს უფლება აქვთ, სწორედ იარაღის მწარმოებელი ქვეყნებია.

იბადება შეკითხვა: როდემდე იქნება დამოკიდებული მშვიდობის ბედი იმ ქვეყნებზე, რომლებიც ბიზნესს ომით აწარმოებენ? როდემდე უნდა ვფიქრობდეთ და გვჯეროდეს, რომ ადამიანები ვიბადებით ერთმანეთის გასანადგურებლად და კაცობრიობის ცხოვრებისა და არსებობის მიზანი მხოლოდ ურთიერთგანადგურება ან თვითგანადგურებაა? როდემდე უნდა გვჯეროდეს ეს სისულულე? „

XXI საუკუნის მეორე ათწლეული იწურება. მსოფლიო კიდევ უფრო შეიცვალა, ცხოვრება უსაფრთხო აღარ არის. მსოფლიოში ძალიან ბევრი იარაღია, გახშირდა პატარა ომები და ტერორიზმი. რა ბედი ელის მომავალ თაობებს? რა ბედი ელით ჩვენს შვილებს? როგორი მომავალი ექნება ჩემს ქალიშვილს, რომელიც ახლა იწყებს ცხოვრებას?... არავინ იცის.

არასოდეს არა გაქვს ის, რაზეც ოცნებობ, მაგრამ ღირსი ხარ გქონდეს იმაზე მეტი, რაც გაქვს.

I

1046 წლის გაზაფხული იდგა. ქართველთა მეფე ბაგრატ IV აფხაზეთში იბრძოდა თავისი ლაშქრით, ბიზანტიელი დამპყრობლების აფხაზეთიდან განსადევნად. სამიოდე კვირის განმავლობაში ქართველთა მხედრობამ საგრძნობლად შეავიწროვა ბიზანტიელნი და მრავალი შემუსრა, რის გამოც ბერძენთა ჯარის გადარჩენილმა ნაწილებმა თავი შეაფარეს ქართველ მეფეთა საზაფხულო მოსასვენებელ ციხე-სასახლეს ანაკოფიაში (ახალ ათონში). ბიზანტიელთა ციხიდან გამოდევნა სულ რამდენიმე დღეში მოხერხდებოდა და აფხაზეთი კვლავ ბაგრატ IV-ის სამეფოს დაუბრუნდებოდა, იქამდე კი ქვეყანაში რთული ვითარება იდგა.

ჯერ კიდევ ბაგრატის მამა, მეფე გიორგი I, მემატიანის მიერ შემკობილი სიტყვებით: „უშიში, ვითარცა უხორცო“, თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა ბიზანტიის კეისრის, ბასილი II-ის წინააღმდეგ, რათა საქართველოსთვის დაებრუნებინა ბიზანტიისგან მიტაცებული ძირძველი ქართული მიწები – ტაო და კლარჯეთი. გიორგი მეფის დიდმა წინაპარმა, მეფეთ მეფე დავით III ბაგრატიონ კურაპალატმა, თავის დროზე დიდი დახმარება გაუწია ბასილი კეისარს ბიზანტიის იმპერიის ტახტზე დაბრძანებასა და მის შენარჩუნებაში. 976 წელს, როდესაც გარდაიცვალა კეისარი რომანოზ II, მას დარჩა ქვრივი დედოფალი თეოფანო და მცირეწლოვანი ვაჟები – ბასილი და კონსტანტინე. ტახტის დასუსტებით ისარგებლა იმ დროის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ბიზანტიელმა მხედართმთავარმა, მცირე აზიის გამგებელმა ბარდა სკლიაროსმა და თავისი ლეგიონები კონსტანტინოპოლისაკენ დაძრა, რათა კეისრის ტიტულსა და ბიზანტიის საიმპერატორო ტახტს დაპატრონებოდა.

უავგუსტოესმა დედოფალმა თეოფანომ დახმარებისათვის სახელოვან ქართველ დიდებულს, ბერად ახლად აღკვეცილ თორნიკე ერისთავს მიმართა, რათა ქართველთა მეფე დახმარებოდა

ჯარით ტახტის შენარჩუნებასა და კონსტანტინოპოლის გადარჩენაში. დავით III-მ მისცა თორნიკე ერისთავს 12 000-იანი ჯარი ჯოჯიკის სარდლობით. ქართველთა მხედრობამ დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და გადაარჩინა კონსტანტინოპოლი. საიმპერატორო ტახტზე კეისრად დაბრძანდა ბასილი II.

ისტორიულად ქართველი მეფეები თავიანთი ლაშქრით ხშირად გვერდში ედგნენ ბიზანტიელ იმპერატორებს სხვადასხვა ბრძოლებში და სახელოვანი ქართველი მხედართ-მთავრებიც მრავლად იყვნენ გამწესებულნი ბერძენთა ჯარში, როგორც კეისრის ლეგიონთა სარდლები. ამის მიუხედავად, ბიზანტიელი კეისრები ყოველთვის ცდილობდნენ დაეპყროთ საქართველო ან მიწები მაინც წაეგლიჯათ ქართველი მეფეებისათვის.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე, 12 წლის გიორგი გამეფდა. რვაწლიანი ომის შემდეგ ბასილი კეისარი და გიორგი I დაზავდნენ; ეს მოხდა 1022 წელს. მეფე გიორგის ვაჟი, 4 წლის უფლისწული ბაგრატი, კეისარმა კონსტანტინოპოლში მძევლად გაიწვია მტკიცე ფიცით: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი“.

ბასილი კეისარმა შეასრულა თავისი სიტყვა, ზავის დადებიდან სამი წლის შემდეგ, 1025 წელს, უფლისწული ბაგრატი მაგისტროსის ტიტულით სამშობლოში გამოუშვა. ძლივს მოასწრო უფლისწულის ამალამ ქართულ მიწაზე ფეხის დადგმა, რომ მათ წამოეწიათ კონსტანტინოპო-ლიდან სასწრაფოდ გამოგზავნილი მარქაფი მალემსრბოლნი. უეცრად გარდაცვლილა ბასილი II კეისარი და მისი ძმა, ბიზანტიის ახალი იმპერატორი კონსტანტინე VIII მოითხოვდა, სასწრა-ფოდ უკან დაებრუნებინათ ქართველი უფლისწული ბაგრატი. საქართველოს საზღვარზე დამხვედრი ქართველთა მხედრობა წინ გადაეფარა 7 წლის ბაგრატს და ბიზანტიელები უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. იმ დროს ქუთაისის (კუტაპოლის) სამეფო სასახლეში, ქართველი უფლისწულის დაბრუნება დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა.

1027 წელს, 13-წლიანი მეფობის შემდეგ, 25 წლის ასაკში აღესრულა „მესსიის მახვილი“ – მეფე გიორგი I ბაგრატიონი. საქართველოს უმძიმესი სამეფო გვირგვინი მემკვიდრეობით გადაეცა 9 წლის უფლისწულს, მეფე ბაგრატ IV-ს. კეისარმა კონსტანტინემ ისევ ჯარი გამოაგ-ზავნა საქართველოსკენ და კვლავ განახლდა ომი ბიზანტიასთან.

მეფის მცირეწლოვანებით გათამამებული მრავალი დიდებული, ერისთავი და აზნაური, ბაგრატ IV-ს განუდგა და ბიზანტიის მხარე დაიჭირა, საიდანაც ისინი, ქრთამის სახით, დიდ გასამრჯელოს ღებულობდნენ. ორად გაიყო მაშინ საქართველო. ასე დაიწყო ძმათა შორის უაზრო სისხლისღვრა და სამოქალაქო ომი.

1028 წელს გარდაიცვალა კეისარი კონსტანტინე VIII. ბიზანტიის ახალი იმპერატორი რომანოზ III არგიროსი შეეცადა, რომ საქართველოსთან უფრო ლოიალური და მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა. კეისარმა თავისი ძმისშვილი, ელენე, ცოლად გაატანა ქართველთა მეფეს და ბაგრატ IV-ს ახალი ტიტული – კურაპალატობა უბოძა.

სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა თითქოსდა დამშვიდდა. ქვეყნის მოღალატე და გამყიდ-ველი დიდებულ-აზნაურები, მოჩვენებითი მორჩილებითა და პატიების თხოვნით, მეფეს ვითომ შემოურიგდნენ, მაგრამ მათ არ აწყობდათ ასეთი ვითარება და დამშვიდებული ქვეყანა. მათ მოესპოთ ბიზანტიიდან მოსასყიდლისა და ქრთამის სახით დიდი ფულის მიღების საშუალება, პირიქით, ახლა თვითონ უხდიდნენ სამეფო ხაზინას გადასახადს.

გავიდა ერთი წელი და უცნაურ ვითარებაში უცებ გარდაიცვალა ბაგრატ IV-ის მეუღლე, დედოფალი ელენე. ტაო-კლარჯეთში, პარხალის ეკლესიაში დედოფალ ელენეს გადასვენება და იქ მისთვის სამარხის მოწყობა დაევალა პარხალის მფლობელს, ხუროთმოძღვარ პეტრიკ კავკასიძეს. ქუთაისისა და კონსტანტინოპოლის სამეფო კარების მოყვრობა და ნათესაური კავშირიც ამით დასრულდა.

ბაგრატ IV-მ მეორე ცოლად შეირთო ოვსთა მეფის ასული ბორენა. მოღალატე დიდებულ-აზნაურები ისევ გათამამდნენ და თავნებობა დაიწყეს; ისინი სწორედ ამ დროს ელოდნენ – ბიზანტია აღარ ედგა გვერდით ქართველთა მეფეს. მოღალატე დიდებულები ისევ განუდგნენ ბაგრატ მეფეს, სახელმწიფო ხაზინაში გადასახადს აღარ იხდიდნენ. „ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ადვილიაო“, და ამიტომაც, მათ აამღვრიეს და კვლავ მოშალეს ძლივს ოდნავ დალაგებული ქვეყანა: ისევ დაიწყეს მიწებისა და ციხეების მიტაცება და დაპყრობა; მოსასყიდლისა და ქრთამის სანაცვლოდ კვლავ გააბეს ბიზანტიასთან მოღალატური ქსელები, კვლავ დაიწყო ძმათა შორის ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები. ბიზანტიის ახალმა კეისარმა, კონსტანტინე IX მონომახმა, კვლავ ჯარები გააგზავნა საქართველოში. დაიწყო ხანგრძლივი ომების ეპოქა, ისევ აირია ქვეყანა.

მრავალრიცხოვან ომებში გამობრძმედილი და ნაადრევად დაკაცებული 28 წლის მეფე ბაგრატ IV შემაღლებულ მწვანე მდელოზე გაშლილი სეფე-კარვის წინ იდგა და ზღვას გასცქეროდა. შავ ზღვაში ჩამავალი მეწამული მზე ცეცხლისფრად აელვარებდა მეფის ახოვან ტანზე ასხმულ მდიდრულად გაწყობილ საბრძოლო თორსა და აბჯარ-მუზარადს. დღევანდელი ბრძოლაც დაასრულა ბაგრატმა, დღე-დღეზე ანაკოფიის ციხესაც აიღებს და ბიზანტიელებისაგან გაათავისუფლებს აფხაზეთს.

… კიდევ მრავალმა წელმა უნდა განვლოს, სანამ ბიზანტიის იმპერიასთან მშვიდობა დამყარდება; ჯერ არ დაბადებულა მისი უმშვენიერესი ასული მართა, კონსტანტინოპოლში მარიამად წოდებული, რომელიც მომავალში ბიზანტიის იმპერატორის, მიხეილ VII დუკას უავგუსტოესი მეუღლე გახდება, იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ კი კვლავ გათხოვდება იმპერატორ ნიკიფორე III-ზე; ჯერ კიდევ ებრძვის მეფე ბაგრატი ძლიერ და მრისხანე დიდ ფეოდალს, კლდეკარის ერისთავთ-ერისთავს, ლიპარიტ IV ბაღვაშს, რომელიც მომავალში ბერად აღიკვეცება და ბიზანტიაში გაემგზავრება.

ჯერ ადრეა, ეს ყველაფერი ჯერ შორეული მომავალია, ამჟამად კი მახვილშემართული ბაგრატ IV მედგრად უმკლავდება მისი სამეფოს ირგვლივ შემოჯარულ უამრავ მტერს, მით უფრო, რომ სწორედ მაშინ, მსოფლიო ისტორიაში პირველად გამოჩნდა ახალი, საშინელი, ველური დამპყრობელი ძალა, თურქ-სელჩუკთა სახით. შუა აზიის სტეპებიდან გადმოსულმა მრავალრიცხოვანმა მომთაბარე ველურმა ტომებმა სპარსეთი დაიპყრეს და საქართველოსა და ბიზანტიის საზღვრებსაც შემოუტიეს.

ბაგრატმა საბრძოლო მუზარადი შემოიხსნა თავიდან. მაღალი შუბლიდან მუქი წაბლისფერი, გაოფლილი თმა კულულებად ჩამოეშალა თეთრ სახესა და მოცისფრო თვალებ-ზე. მეფემ თხელი წვერ-ულვაში აბრეშუმის ბაღდადით შეიშრო და ცივი წყალი მოითხოვა. მეფის ერთგულმა სარდალმა, ოთაღო ჭაჭას ძე ქვაბულელმა ნიშანი მისცა და მსახურმა მეფეს წყლით სავსე ვერცხლის თასი მიართვა. ბრძოლით ჟინდამცხრალმა მეფემ წყურვილიც დაიცხრო და ერთგულ სარდალს ომახიანი ხმით მიმართა:

– ქუაბულელო! ვინძლო ციხეს ხვალ ან ზეგ ჩამაბარებ!

– უეჭველად, მეფევ ბატონო. ძლიერ შევმუსრეთ ბერძენთა სპა! – კრძალვით და კმაყოფილი ხმით მიუგო სარდალმა.

– აგრე ჰქმენი, ერისთავო, აგრე! წინ ჯერ კიდევ მრავალი ბრძოლა გველის ერთად. ხანდახან ასეც მგონია, რომ მახვილს ვეღარასოდეს დავასვენებ და ვერ ჩავაგებ ქარქაშს.

– მართალს ბრძანებთ, მეფევ ბატონო. ბიზანტიელთა გარდა, თურქიც ერთობ მოგვეძალა და მოღალატე ერისთავ-აზნაურნიც ერთობ გათამამდნენ და გაკადნიერდნენ.

ბაგრატი დაფიქრდა, შემდეგ წყლის თასი მსახურს დაუბრუნა და თავის სპასალარს მშვიდად მიუგო:

– მოღალატე და გათავხედებულ ერისთავ-აზნაურთა დროც დადგება, მათთვისაც მოვიცლით. გავაჭრებული და დაბალი ზნის კაცნი, საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრობას ვერასოდეს შეჰქმნიან, რადგანაც მათ არ უწყიან, რა არის სამშობლოს სიყვარული და მასზე ზრუნვა. ისინი უნდა მოიკვეთნონ, ვითარცა ხორცმეტნი!

შემაღლებული მდელოს თავდაღმართში, სადაც სამეფო ამალა იდგა, გახვითქული ცხენების ფლოქვთა აჩქარებული თქარათქური გაისმა. მხედრებს ეტყობოდათ, რომ ძალიან მოიჩქაროდნენ. მათ მეფე ბაგრატის ნახვა მოითხოვეს დაუყოვნებლივ, – თბილისიდან სასწრაფო საიდუმლო ამბავი მოგვაქვსო. ბაგრატმა მაცნე-მალემსრბოლი სეფე-კარავში მიიღო. მხედრები აღმოჩნდნენ თბილისის თვითმმართველობის უხუცეს თავკაცთა წარმომადგენლები. მათ დაუჯერებელი ამბავი აუწყეს მეფეს: თბილისის ამირა ჯაფარ ალი III გარდაცვლილიყო და „თბილისელ ბერებად" წოდებული თბილისის უხუცესთა თავკაცნი, რომლებიც თბილისელთა ინტერესებს იცავდნენ ამირას კარზე, მოითხოვდნენ ბაგრატ მეფის დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ თბილისში ჩასვლას, რათა ქართველთა მეფეს ესარგებლა შექმნილი ვითარებით – აეღო და ჩაებარებინა თბილისი, ვიდრე ახალ ამირას აირჩევდნენ.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი ხელგაშლილი ელოდებოდა ქართველთა მეფეს. დაყოვნება არ შეიძლებოდა. ბაგრატ მეფემ ანაკოფიის ციხის აღების დასრულება თავის სანდო სარდალს – ოთაღო ქვაბულელს – მიანდო და თვითონ კი მცირე სამეფო ამალის თანხლებით საჩქაროდ ქუთაისში დაბრუნდა, რათა ახალი სპა-ლაშქარი შეეყარა თბილისში შესასვლელად.

ზაფხულის დასაწყისში ბაგრატ IV ქუთაისიდან ჯარის თანხლებით თბილისისკენ დაიძრა.

II

საბჭოთა ჯარების მიერ ლენინგრადი (სანქტ-პეტერბურგი) უკვე განთავისუფლებული იყო გერმანელთა 900-დღიანი ბლოკადისგან. ქალაქის ჰოსპიტლები სავსე იყო დაჭრილი მებრძოლებით. სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად დილის შემოვლას აწარმოებდა ფართო პალატებში. გამოჯანმრთელებულ ჯარისკაცებს ჰოსპიტლიდან გაწერის შემდეგ კვლავ ფრონტზე აბრუნებდნენ.

ერთ-ერთ საწოლთან მისვლისას შემოვლაზე მყოფმა ჰოსპიტლის თანამშრომელმა მთავარ ექიმს მწოლიარე ჯარისკაცზე მიუთითა და დაბალ ხმაზე მოახსენა: არტილერიის უფროსი ლეიტენანტი გიორგი დავითის ძე ჭანტურიძე, ქერჩში აქვს მიღებული კონტუზია და მარცხენა მენჯ-ბარძაყის მძიმე ჭრილობა.

მთავარმა ექიმმა გაიღიმა, ხელები გაშალა და რიხიანი ხმით წარმოთქვა: ქართველო არტილერისტო, თქვენთვის კარგი ცნობა მაქვს, თქვენ უკვე მთლიანად გამოჯანმრთელდით, ხვალ გაგწერთ და კვლავ ფრონტზე დაბრუნდებით, მაგრამ წასვლის წინ აუცილებლად ჩემს კაბინეტში შემოიარეთ. თქვენს სახელზე უწყებაა მოსული, თქვენ მოგენიჭათ არტილერიის კაპიტნის ჩინი და საბრძოლო მედალი მამაცობისათვის!

ახლომახლო საწოლებიდან სხვა დაჭრილ ჯარისკაცთა ხუმრობა-შეძახილები გაისმა: „ყოჩაღ, ჟორა! აუჰ, ისევ ფრონტზე ბრუნდება!.. ეხლა კი დედა ეტირება ჰიტლერს!"

31-ე წელში გადასულმა გიორგი ჭანტურიძემ ენაკვიმატ დაჭრილ ჯარისკაცებს გადახედა, ულვაშებში ჩაიღიმა, შავი მოკლე ქოჩორი შეისწორა, საწოლიდან წამოდგა, მთავარ ექიმს ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა.

უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული და წარმატებით განხორციელებული „ბაგრატიონის“ სამხედრო ოპერაციის შემდეგ, საბჭოთა ჯარები დასავლეთ ევროპის საზღვრებს მიუახლოვდნენ. ბალტიისპირეთის I და II ფრონტის ჯარებს, მარშალ ალექსანდრე ვასილევსკის ხელმძღვანელობით, არმიის გენერალების – ივანე ბაგრამიანისა და ანდრეი ერიომენკოს სარდლობით, დაევალათ შესულიყვნენ კურლანდიაში (ლატვიაში), გასულიყვნენ ბალტიის ზღვამდე და აღებული პლაცდარმი გაემაგრებინათ. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად გერმანიის ვერმახტის ჩრდილოეთის არმიის დაჯგუფება – 30 დივიზია, ხუთ სატანკო არმიასთან ერთად, ფელდმარშალ ფერდინანდ შერნერის სარდლობით, მთლიანად მოსწყდებოდა საომარ მოქმედებას; მათ გზა გადაეკეტებოდათ აღმოსავლეთ პრუსიისაკენ და ჩრდილოეთ ბალტიისპირეთში დარჩებოდნენ ჩიხში გამომწყვდეულნი, რის შედეგადაც საბჭოთა მარშლების – ჟუკოვისა და კონევის არმიებისთვის გერმანიის ტერიტორიაზე შესვლა გაცილებით გაადვილდებოდა.

სარდალმა ბაგრამიანმა შეასრულა თავისი დავალება – შევიდა კურლანდიაში, რთული ბრძოლებით გზა გაიკაფა ქალაქ რიგის მიმართულებით, მდინარე ნემანთან გამაგრდა თავისი ჯარებით და სტალინს მოსკოვში გაუგზავნა ბალტიის ზღვის წყლით სავსე ბოთლი, იმის ნიშნად, რომ უკვე ბალტიის ზღვასთან ვდგავარო. გერმანელებმა დიდი კონტრშეტევა განახორციელეს და საბჭოთა ჯარებს ბალტიის ზღვის სანაპირო დაატოვებინეს. როდესაც სტალინმა მოსკოვში ბაგრამიანისგან გაგზავნილი ბოთლი მიიღო, ბალტიის ზღვის სანაპირო უკვე დაკარგული იყო. მან გენერალური შტაბის უფროსს დაავალა: ბაგრამიანს ბოთლი უკან გაუგზავნეთ და ასე გადაეცით, წყალი იქ ჩაასხას, საიდანაც ამოიღოო, – ესე იგი, დაიბრუნოს უკან ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლიო.

1944 წლის ოქტომბრის თვეში მემელთან (კლაიპედა) დიდი ბრძოლები გაიმართა. გამთენიისას გერმანიის არმია რამდენიმე საათის განმავლობაში ბომბავდა საარტილერიო ცეცხლით საბჭოთა ჯარების პოზიციებს, როგორც მძიმე მსხვილკალიბრიანი ზარბაზნებიდან, ისე სამხედრო-საზღვაო კრეისერების ქვემეხებიდან. საშინელი საარტილერიო დაბომბვის შემდეგ ლუფტვაფეს მძიმე ბომბდამშენი თვითმფრინავებიც გამოჩნდნენ. კვლავ დაიწყო მასიური დაბომბვა. ქვა ქვაზე დაადუღეს; ისეთი გარემო და სიტუაცია იდგა, ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, სად ჩამძვრალიყვნენ. საავიაციო დაბომბვის შემდეგ „პანცერის“ მძიმეკორპუსიანი ტანკები, „ტიგრები“ და „პანტერები“ გამოჩნდნენ, რომელთაც უკან ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა, „შმეისერის“ ავტომატების ჯერით.

რამდენიმე საათის განმავლობაში დაუნდობელი, სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა. კაპიტან გიორგი ჭანტურიძის საარტილერიო პოზიციამ სამი ტანკი ააფეთქა.
მეოთხე და მეხუთე ტანკების მიერ ერთდროულად ნასროლი ჭურვები პირდაპირ მის პოზიციას მოხვდა. საშინელ ხმაურში უცებ ირგვლივ ყველაფერს მიწა გადაეფარა. გრუხუნით მიმავალმა ტანკებმა განადგურებულ საარტილერიო პოზიციებს ზევიდან გადაუარეს და ცოცხალი, დაჭრილი თუ მკვდარი, ყველა ერთად ტანკების მუხლუხოებისაგან გადატკეპნილი მიწის ქვეშ დამარხულები აღმოჩნდნენ.

ორი საათის შემდეგ გიორგი ჭანტურიძე გონზე მოვიდა. თვალი ძლივს გაახილა. გარშემო სრული სიბნელე იყო და სუნთქვა უჭირდა. არაფერი ახსოვდა. მარჯვენა ფერდში საშინელი ტკივილი იგრძნო. სიჩუმე იდგა. მხოლოდ შორიდან მოისმოდა ბუნდოვნად ადამიანთა ლაპარაკი. მიაყურადა, რამდენიმე კაცის ხმა გაარჩია, მაგრამ ვერ გაიგო, რა ენაზე საუბრობდნენ. ეს არ იყო არც რუსული და არც გერმანული ლაპარაკი. გიორგიმ სცადა დაეყვირა, მიშველეთო, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო, მეტყველების უნარი აღარ ჰქონდა. განძრევა სცადა და მოძრაობაც ვეღარ შეძლო. სუნითა და პირის გემოთი მიხვდა, რომ მიწაში იყო

ჩაფლული. დიდი გაჭირვებით თავს ძალა დაატანა და მარცხენა ხელით დაიწყო მიწის ჩიჩქნა.

დიდი წვალების შემდეგ გიორგიმ მიწაში ვიწრო ხვრელი გამოთხარა და უკუნ სიბნელეში წვრილ ზოლად შუქმა შემოანათა. შემდეგ ვიწრო ხვრელში ხელის თითები მოათავსა, ხვრელი ოდნავ გააფართოვა, თავს ძალა დაატანა, მაჯა მიწიდან გარეთ გაყო და ხელის ქნევა დაიწყო.

იქვე მდგარმა მოსაუბრეებმა შეამჩნიეს, თუ როგორ შეინძრა ნაბრძოლი, დამწვარი, კვამლადენილი მიწა და მის ზედაპირზე ნელ-ნელა ამოიზარდა გასისხლიანებული და გაშა-ვებული ადამიანის ხელის მტევანი, რომელიც ძლივს ირხეოდა აქეთ-იქით. მათ გათხარეს მიწა და გიორგი ამოიყვანეს. სხვა ჯარისკაცებსაც დახედეს, მაგრამ ყველა დანარჩენი დაღუპული აღმოჩნდა.

გიორგის ლაპარაკი არ შეეძლო, კვლავ კონტუზია მიეღო. მარჯვენა ფერდში მძიმედ იყო დაჭრილი. ბრძოლა დამთავრებულიყო და გარშემო სიჩუმე სუფევდა. მიხვდა, რომ ის ხუთი შეიარაღებული მამაკაცი ადგილობრივი, ბალტიისპირელი ნაციონალისტები უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჯიბეებიდან დოკუმენტები ამოაცალა გიორგის და დაღუპულ ჯარისკაცებს. ამის მერე მათ საბუთების შემოწმება დაიწყეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ახოვანი, ქერა, გრძელთმიანი მამაკაცი გიორგის მიუახლოვდა და უცხო აქცენტით რუსულად ჰკითხა, ქართველი ხარო? გიორგიმ ძლივს მოახერხა თავის ოდნავ დაქნევა თანხმობის ნიშნად. შემდეგ იმ ხუთ კაცს შორის საუბარი გაიმართა, რომელიც კამათს უფრო წააგავდა. გიორგიმ გაიფიქრა, ალბათ ესენი მეც აქვე მიმაკლავენ ჩემს თანამებრძოლებს და ამით დასრულდება ჩემი ტანჯვაო.

ცოტა ხნის შემდეგ მაღალმა, ქერა გრძელთმიანმა კაცმა ხელი მაღლა შემართა, რაღაც დაიყვირა და გიორგისკენ შებრუნდა. დანარჩენებმა კამათი შეწყვიტეს. მაღალი კაცი გიორგისაკენ დაიხარა, ჭრილობა გადაუხვია, წამოაყენა, მხარზე გადაიკიდა და სწრაფი ნაბი-ჯით იქაურობას გაეცალა. აუტანელი ტკივილის შეგრძნებამ გიორგის კვლავ გონება წაართვა.

III

სკანდინავიის მეფეებმა და დიდმა მთავრებმა დიდი საბრძოლო რაზმი შეყარეს. კარგად მომზადებული, გამართული მრავალი გემი და უამრავი შეიარაღებული ვარანგი (ვიკინგი) მებრძოლი სამხრეთის ტერიტორიებისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდა.

კიევის რუსეთის დიდ მთავარს, სვიატოსლავ ბრძენს, ცოლად ჰყავდა შვედეთის მეფის, ოლაფის ასული, ინგეგარდა. ინგეგარდას და, ასტრიდი, ნორვეგიის მეფის, ანუნდ იაკობის მეუღლე იყო. სვიატოსლავის ქალიშვილი ელიზავეტა კი ნორვეგიის მომდევნო მეფის, ჰარალდ სიგურდსონ მკაცრის მეუღლე გახდა. სვიატოსლავს დანიის სამეფო კართანაც ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა; ამიტომ მან გადაწყვიტა, რომ სკანდინავიელ მეფეთა დახმარებით სამუდამოდ გაენადგურებინა კიევის რუსეთის მოსაზღვრე თურქმანულ-თათრული წარმო-მავლობის ველურთა ურდო, პაჭანიკები (პეჩენეგები).

სკანდინავიის მეფეებმა თანხმობა მისცეს სვიატოსლავს და კიევში გააგზავნეს გემების ფლოტი ვარანგთა დიდი რაზმით, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი და მამაცი მებრძოლი, მთავარი ინგვარი. ინგვარს სხვა დავალებაც მისცეს. სვიატოსლავის დახმარების

შემდეგ, სანავიგაციო გზა მდინარე ვოლგაზე პაჭანიკებისაგან განთავისუფლებული იქნებოდა. ინგვარს თავისი რაზმით მოგზაურობა უნდა გაეგრძელებინა სამხრეთის ქვეყნებისაკენ, სადაც მას დიდძალი ძვირფასეულობა – ბეწვეული, ქარვა და ძვირფასი ქვები გაატანეს სავაჭროდ.

ვარანგთა რაზმის მთავარს, ინგვარს, თან ახლდა თავისი ორი ძმა, ბჯორნი და მაგნუსი. სამივე ძმას დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული ჯერ კიდევ ადრე, მთავარ ჰარალდის გვარდიაში, სანამ ჰარალდი, შემდგომში მკაცრად წოდებული, ნორვეგიის მეფე გახდებოდა. მაშინ ჰარალდი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მსახურობდა; იგი ბიზანტიის კეისრის პირადი დაცვის, ვარიაგი მებრძოლებისაგან შემდგარი 500-კაციანი გვარდიის მეთაური იყო, რომლებიც მუდამ თან ახლდნენ საიმპერატორო ამალას, ეგრეთ წოდებულ სინკლიტს. ამას გარდა, ჰარალდის გვარდია თან ახლდა იმპერატორ ბასილი II-ს მრავალ ბრძოლაში. მათ დალაშქრული ჰქონდათ ბალკანეთი, სამხრეთი იტალია, სიცილია, ჩრდილოეთი აფრიკა, ტრაპეზუნტი და ტაო-კლარჯეთი.

მთავარი ინგვარი და მისი ძმები – ბჯორნი და მაგნუსი, მთლად ყმაწვილები იყვნენ, როდესაც ჰარალდის გვარდიაში მოხვდნენ. იმ დროს ჰარალდი უკვე კიევში იმყოფებოდა, სვიატოსლავის სამეფო კარზე. ბიზანტიაში ბასილი II კეისარი უკვე გარდაცვლილი იყო და სამეფო ტახტზე სხვა იმპერატორი იჯდა. იმ პერიოდში კონსტანტინოპოლში ვიღაც დიდგვაროვანი რუსი მოკლეს.

კიევის მთავარმა სვიატოსლავმა, „ბრძენად“ წოდებულმა, გადაწყვიტა, ბიზანტიისათვის ომი გამოეცხადებინა და „ცარიგრადი“ კონსტანტინოპოლი დაეპყრო. ამ მიზნით მან ჯარის შეკრება დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბიზანტიაში რამდენიმე იმპერატორი შეიცვალა და იმჟამად კეისრად დაბრძანებული იყო კონსტანტინე IX მონომახი, რომლის წინააღმდეგ და კონსტანტინოპოლის დასაპყრობად სვიატოსლავმა დიდი საზღვაო ფლოტი გაგზავნა, 100 000-იანი ჯარით; მებრძოლთა შორის უკვე სიძედ მოკიდებული ნორვეგიელი უფლისწულის, ჰარალდის ვარანგთა რაზმიც იმყოფებოდა.

ბიზანტიელებმა ეგრეთ წოდებული „ბერძნული ცეცხლის“ მფრქვეველი ზარბაზნებით დაწვეს და გაანადგურეს რუსთა მთელი საზღვაო ფლოტი. რუსთა ჯარის გადარჩენილი ნაწილები, მათ შორის, ჰარალდის ვარანგთა რაზმიც, შავი ზღვის გასწვრივ ფეხით უკან, კიევში დაბრუნდა.

კეისარმა კონსტანტინე IX მონომახმა სვიატოსლავ ბრძენს აპატია ასეთი უგუნურება – კონსტანტინოპოლის დალაშქვრისა და ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის განზრახვა. მას სჭირდებოდა კიევის რუსეთი, როგორც მოკავშირე ქვეყანა, დამცავი ფარის სახით, რათა ბიზანტიის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები დაცული ყოფილიყო ვოლგისპირეთსა და ურალის სტეპებში მომთაბარე, თურქმანულ-თათრულ-მონღოლური წარმომავლობის ველური ურდოებისა და ბარბაროსებისგან.

კეისარმა კონსტანტინე IX -მ თავისი ქალიშვილი ცოლად მიათხოვა სვიატოსლავ ბრძენის ვაჟს, უფლისწულ ვსევოლოდს. შედეგად, ბიზანტიის იმპერია და კიევის რუსეთი დაზავდნენ და დამეგობრდნენ. კეისარმა კონსტანტინემ ზუსტად იგივე გააკეთა, რაც თავის დროზე – ბასილი II კეისარმა. იმ ეპოქაში წარმართული კიევის რუსეთის მთავარმა ვლადიმირმა ბიზანტიას ყირიმი წაართვა. მრავალცოლიან მთავარ ვლადიმირს ბასილი II-მ თავისი და, ანნა მისცა ცოლად, რამდენიმე პირობით. პირველი პირობა იყო ის, რომ ყირიმი ბიზანტიას დაუბრუნდებოდა; მეორე – წარმართულ კიევის რუსეთს მთავარი ვლადიმირი ქრისტიანულ ქვეყნად მოაქცევდა, რაც მოხდა კიდეც 988 წელს, როცა კიევის რუსეთი გაქრისტიანდა. მესამე და მთავარი პირობა კი იყო ის, რომ ბიზანტიის იმპერია ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებ-

თან გაიჩენდა მოკავშირე ქვეყანას, რომელიც შეაჩერებდა ვოლგისპირელ ხაზართა ურდოების შემოსევებს.

სვიატოსლავის ქალიშვილ ელიზავეტაზე დაქორწინებული ჰარალდი შემდეგ თავისი რაზმით ნორვეგიაში დაბრუნდა და მალევე ნორვეგიის სამეფო ტახტი დაიკავა. მეფე ჰარალდმა მთავარ ინგვარის საბრძოლო რაზმს თავისი ყოფილი, ბიზანტიური საიმპერატორო გვარდიიდან შემორჩენილი ორასმდე ძველი, გამოცდილი მებრძოლი გააყოლა თან.

ვარანგების (ვიკინგების) ცხოვრების წესები და ჩვეულებები თითქმის იმავე ტრადიციებს ემყარებოდა, რაც უხსოვარი დროიდან გააჩნდათ მათ წინაპრებს. ძველი ვარანგები მაღალი ღმერთის, ოდინის, მიმდევრები იყვნენ. ისინი ქრისტიანობას ხეზე გაკრული მკვდარი ადამიანის გაკულტებად აღიქვამდნენ. შემდგომში ქრისტიანობა ვარანგთა ქვეყნებშიც გავრცელდა, მაგრამ ახალმა რელიგიამ უცებ ვერ შეცვალა საუკუნეების განმავლობაში ვარანგთა სისხლსა და ძვალ-რბილში გამჯდარი, მათი ტრადიციული მაღალი ღმერთის, ოდინის, ცხოვრებისეული კოდის ზნე-ჩვეულებები. ვარანგთა აზრით, ყოველი ადამიანი თავად იყო პასუხისმგებელი თავის ცხოვრებაზე და თვითონ ჭედავდა საკუთარ ბედნიერებასაც და უბედურებასაც; სიკვდილამდე ღირსეულად უნდა ეცხოვრა და ამ ქვეყნიდან იმქვეყნად ხმლით ხელში უნდა წასულიყო. თვითმოტყუება და სისულელეა, გაექცე ბრძოლასა და ომს, რათა მუდმივად იცოცხლო, რადგან სიკვდილი მაინც არავის ასცდება. ვარანგები ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ; სიჩუმეს მათთვის ოქროს ფასი ჰქონდა. მათი აზრით, ვინც ბევრს ლაპარაკობდა, ბევრი სისულელე შეიძლება ეთქვა და თავისი ენის გამო სიცოცხლეც კი დაეკარგა. ყველას, ვინც მათ გაუღიმებდა, მეგობრად არ მიიჩნევდნენ. მხოლოდ საქმეში გამოჩნდებოდა, ვინ იყო ნამდვილი მეგობარი და ვინ – არა. სახალხოდ არავისთვის უნდა დაეცინათ, იმიტომ, რომ უნაკლო არავინაა ამქვეყნად. მათთვის ნათელი გონება და სიბრძნე სიმდიდრეზე უფრო ღირებული იყო; ბედნიერად კი იმას მიიჩნევდნენ, ვინც სახელი და დიდება მოიხვეჭა.

მთავარი ინგვარიც ასეთი სულისკვეთებითა და შემართებით მიუძღოდა თავის რაზმს კიევის რუსეთისკენ. მან მშვენივრად იცოდა, რომ მთავრის შვილი ფრთხილი და თავშეკავებული უნდა იყოს, ომში – მამაცი და ცხოვრებაში – ლაღი.

ვარანგებმა თავიანთი გემებით, დიდი, განიერი აფრებისა და ნიჩბების საშუალებით უამრავი მაღალბორცვიანი, მრავალტყიანი და მრავალტბიანი ყურე და მდინარე გადალახეს. ზოგან, სადაც საჭირო იყო, ახოვანი და ძლიერი ვარანგები, მხრებზე შეიდგამდნენ ხოლმე გემებს და ასე გადადიოდნენ ხმელეთზე შემდეგ მდინარემდე.

რუსეთში შესვლისას ვარანგთა გაოცება გამოიწვია გაშლილმა, უსაზღვრო და უკიდეგანო სივრცეებმა. მთა არსად მოჩანდა. ირგვლივ, ჰორიზონტამდე, მხოლოდ დაუსრულებელი ტრამალები იკარგებოდა, რომლებზეც მდორედ მიედინებოდა წყალუხვი, ფართო მდინარეები.

IV

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებულმა წითელმა ტერორმა თბილისსა და საქართველოში სისხლის ნიაღვარები დააყენა. საქართველომ თავისუფლება დაკარგა, ოფიციალური მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა. ბოლშევიკების მთავრობამ ახალი ტიპის კომუნისტური საზოგადოებისა და საბჭოთა ადამიანის –

„HOMO SOVIETICUS“-ის – შექმნა დაიწყო. ამ მიზნით ბოლშევიკებმა, პირველ რიგში, დაიწყეს წინარე, ადრინდელი საზოგადოების ღირებულებათა განადგურება და, რაც მთავარი იყო, ყოველი მოაზროვნე ადამიანის გაქრობა და მოსპობა – იმათი, ვინც განსხვავებულად ფიქრობდა და აზროვნებდა.

ამგვარად, უამრავი უდანაშაულო ადამიანის ბედ-იღბალზე უბედურების მორიგი ქარბორბალა აგორდა. დაიწყო მასობრივი დახვრეტები, გადასახლებები და გაციმბირებები. აღარც ბავშვებს ინდობდნენ და აღარც მოხუცებს. განსაკუთრებული სისასტიკით დაერივნენ განათლებულ ადამიანებს, საზოგადოებრივ ელიტასა და ეკლესიას. საშინელი კომუნისტური წნეხის ქვეშ გაატარეს სოფლის მოსახლეობა და გლეხობა. ბოლშევიკებმა მოსპეს, გაანადგურეს ყველაფერი არსებული, და, რაც ყველაზე მთავარია, ძალაუფლებასთან ერთად, მოიპარეს და დაიტაცეს ყველაფერი, რისი მიტაცებაც კი შეძლეს, და ყოველივე ამას აკეთებდნენ, როგორც თავად აცხადებდნენ, „ხალხის ბედნიერი მომავლის შესაქმნელად“.

იმ პერიოდში, ქალაქ თბილისის ბანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო რუსეთის არმიის ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკის შვილი, მოსიკო კალატოზიშვილი, რომელსაც ახალგაზრდა, მშვენიერი მეუღლე, მარიამ მამულაშვილი და ორი შვილი, ელეონორა და ვალერიანი, ჰყავდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოსიკოს ბიძაშვილებმა, ქრისტეფორემ და ვიქტორმა, როდესაც დაინახეს, რას აკეთებდნენ კომუნისტები, საკუთარი რესტორნები და სახლები სასწრაფოდ გაყიდეს თბილისში და ოჯახებიანად საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდნენ.

გამოხდა ხანი და მოსიკო კალატოზიშვილს წერილი მოუვიდა საფრანგეთიდან. ბიძაშვილები მას ატყობინებდნენ, რომ პარიზში რესტორანი გაეხსნათ, სახელად „ნარინჯის ყვავილი“ („Fleur de l’orange“), და მათი დიდი გამოცდილების წყალობით, რესტორანი საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა.

ქრისტეფორე და ვიქტორი მოსიკოს ცოლ-შვილით პარიზში იწვევდნენ. მათ უკვე სმენოდათ რუსეთიდან საფრანგეთში გაქცეული თეთრი ემიგრაციისაგან, თუ რა სისაძაგლეები და არაადამიანური ქმედებები ჩაიდინეს ბოლშევიკებმა რუსეთში; საქართველოსაც იგივე მომავალი ემუქრებოდა. ამიტომ ისინი მოსიკოს აჩქარებდნენ დროულად პარიზში ჩასვლას. ახალგაზრდა მარიამმა მეუღლეს სთხოვა, არ ეჩქარა საფრანგეთში წასვლა, რადგან იგი ფრანგულ ენას ჯერ გამართულად ვერ ფლობდა. ენის შესასწავლად მარიამმა ფრანგული ენის მასწავლებელი დაიქირავა. გადიოდა დრო. მარიამ მამულაშვილის სალაპარაკო ფრანგული, პარიზული აქცენტით, თითქმის სრულყოფილებას უახლოვდებოდა, როდესაც ბოლშევიკურმა მთავრობამ ახალი კანონი გამოსცა. კომუნისტებმა კაპიტალისტური სამყარო კლასობრივ მტრად გამოაცხადეს და ქვეყნის საზღვრები სამუდამოდ ჩაკეტეს.

დააგვიანდა მოსიკო კალატოზიშვილს ოჯახით საფრანგეთში წასვლა. ახალი მთავრობის შეიარაღებულმა წარმომადგენლებმა მალე მას სახლშიც მიაკითხეს. გაზომეს და აღწერეს მისი სახლი, ოთახები დაუთვალეს, შემდეგ კი მკაცრად გამოუცხადეს, რომ არავის არა აქვს უფლება, ჰქონდეს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი შვიდი ოთახით; რომ კაპიტალიზმის ელემენტს ისინი ახალ საბჭოთა საქართველოში არ დაუშვებდნენ, და ამიტომ, მოსიკოს საცხოვრებლად მხოლოდ ერთი დიდი ოთახი დაუტოვეს, დანარჩენ ოთახებში კი ექვსი ოჯახი შეუსახლეს.

გავიდა დრო და საქართველოში უცხოეთის ქვეყნებთან მიწერ-მოწერაც აიკრძალა. ერთ ღამეს კვლავ მიაკითხეს მოსიკოს სახლში მთავრობის შეიარაღებულმა

წარმომადგენლებმა. მათ გადააატრიალეს მთელი სახლი და საფრანგეთიდან მიღებულ წერილებს მიაგნეს. იმავე ღამეს წაიყვანეს მოსიკო შინაგან საქმეთა განყოფილებაში. მას შემდეგ იგი სახლში აღარ დაბრუნებულა. ჩეკისტებმა მოსიკო კალატოზიშვილს დააბრალეს საფრანგეთის, ინგლისისა და იაპონიის ჯაშუშობა და მალევე სამუდამოდ გააქრეს.

მარიამ მამულაშვილი ამაოდ დაეძებდა თავის მეუღლეს. არავინ არაფერს ეუბნებოდა და არც არავინ არაფერი იცოდა. დილაუთენია მილიციის ან სპეციალურ განყოფილებას მიაკითხავდა ხოლმე და საათობით ელოდებოდა რაიმე ინფორმაციას, ცდილობდა, ის მაინც გაეგო, ცოცხალი იყო თუ არა, ან ციმბირში ხომ არ გადაესახლებინათ მისი ქმარი.

იმ ეპოქაში, მოსიკოს მსგავსად, უამრავი ადამიანი გაქრა უგზო-უკვლოდ და სამუდამოდ. მათი თვალცრემლიანი ნათესავებით სავსე იყო შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებათა შესასვლელი კარები და მოსაცდელები, სადაც ისინი ამაოდ ცდილობდნენ რაიმე ცნობის ან ინფორმაციის მოპოვებას თავიანთი ოჯახის წევრების შესახებ.

შემდეგში მთავრობამ ის სამუდამოდ დაკარგული ხალხიც და უამრავი სხვა ახლად დაპატიმრებული ადამიანიც სამშობლოს მტრებად გამოაცხადა და დატრიალდა კვლავ ახალი დიდი უბედურება. ბოლშევიკები დაერივნენ სამშობლოს მტრებად შერაცხული ადამიანების ოჯახებს და დიდიან-პატარიანად, ყველას ციმბირში ასახლებდნენ. დადგა საშინელი ჟამი განუკითხაობისა, რომელსაც დასასრული არ უჩანდა.

მარიამის სახლის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა მარტოხელა კაცი, პეტრე ტატიშვილი, რომელიც მსუბუქი მრეწველობის დარგის სპეციალისტი იყო. მას ცოლი ადრე გარდაცვლოდა ტუბერკულოზით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, თავი რომ გადაერჩინა, პეტრე კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. იფიქრა, მსუბუქ მრეწველობას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს და პარტიის წევრობამ იქნებ გადამარჩინოს იმ უბედურებას, რაც გარშემო ტრიალებსო. თუმცა მას არც პარტიის სწამდა, არც კომუნისტებისა და არც ლენინ-სტალინის. პარტიის წევრობამ პეტრეს მართლაც უშველა, რადგან იმ პერიოდში ყველა დარგის სპეციალისტი ძალიან ჭირდა – ბოლშევიკებმა ხომ ყველა დარგისა და სფეროს თითქმის ყველა პროფესიონალი გაანადგურეს და იმ თითო-ოროლა სპეციალისტს, ვინც შემორჩა, მით უმეტეს, თუ კომუნისტური პარტიის წევრიც იყო, ბოლშევიკები აღარაფერს ერჩოდნენ, ფარულად კი თვალს მაინც ადევნებდნენ.

იმდროინდელი თბილისი პატარა ქალაქი იყო, მრავალეროვანი მოსახლეობით, და თბილისელ მოქალაქეებს ერთმანეთთან ახლობლურ-მეზობლური, თბილი ურთიერთობა აკავშირებდათ. უბნებში თითქმის ყველა ყველას იცნობდა. ოჯახი არ არსებობდა, რომ ნათესავი არ ჰყოლოდა ან დახვრეტილი, ან გადასახლებული, ან კიდევ დაპატიმრებული. უბანში ყველამ იცოდა ერთმანეთის უბედურება და თითქმის სუყველა ერთ ბედქვეშ იყო. ამიტომ ისინი ერთმანეთს უხმოდ და ჩუმად თანაუგრძნობდნენ.

შემოდგომის საღამო იდგა. თბილისში კოკისპირულად წვიმდა. პეტრე ტატიშვილი სამსა-ხურიდან სახლში ბრუნდებოდა სწრაფი ნაბიჯით. ქოლგა ჰქონდა გაშლილი, მაგრამ კოკისპირულ წვიმას სანახევროდ მაინც დაესველებინა მისი გრძელი კაბარდინის ლაბადა. ქუჩის მეორე მხარეს მან დაინახა თავისი მეზობელი, მოპირდაპირე სახლის ბინადარი მარიამი, ქალიშვილთან, ელეონორასთან ერთად, რომელიც მუსიკის გაკვეთილიდან ბრუნდებოდა. წვიმისაგან მთლად გალუმპული დედა-შვილი სირბილით სახლისაკენ მიიჩქაროდა.

პეტრემ ყველაფერი იცოდა მარიამის შესახებ და გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა. ძალიან მოსწონდა კიდეც და აღტაცებული იყო მისი შემართებით – როგორი შეუპოვრობით, მამაცურად უმკლავდებოდა ახალგაზრდა მარიამი ცხოვრებისეულ სირთულეებს. თუმცა პეტრე

თავის სიმპათიასა და სუყვარულს მარიამისადმი გულში ინახავდა და არავის არაფერს აგრძნობინებდა. მარიამთანაც გულისხმიერი მეზობლობა ჰქონდა. წინა დღეს სამსახურში პეტრემ შემთხვევით ძალიან ცუდი ამბავი შეიტყო: მომავალ კვირას ჩეკისტებს მის საცხოვ-რებელ უბანში უნდა „გაევლოთ“ და სამშობლოს მტრების ოჯახები დაეპატიმრებინათ, დიდიან-პატარიანად, რადგან რუსეთიდან ჩეკისტი ინსტრუქტორების ახალი ჯგუფი უნდა ჩამოსულიყო და მათ განსათავსებლად მთავრობას ახალი საცხოვრებელი ფართი სჭირდებოდა.

იმ ღამეს პეტრემ ვერ დაიძინა, ცუდად ხდებოდა, როდესაც წარმოიდგენდა, თუ როგორ მიერეკებოდნენ სამხედროები მატარებლის საეტაპო, საშინელი ვაგონებისაკენ უამრავ მტირალ ოჯახს ციმბირში გადასასახლებლად და, მათ შორის, მარიამს, ორი შვილით. შემდეგ დღესაც ცუდად იყო პეტრე, ფიქრობდა, როგორ ეშველა მარიამისათვის და აი, ახლა მის წინ იყო მარიამი თავისი ქალიშვილით.

იგი სწრაფად წამოეწია მარიამს, გამბედაობა მოიკრიბა და თავაზიანად მიმართა:

– გამარჯობა, ქალბატონო მარიამ, როგორ დასველებულხართ, ჩემი ქოლგა იხმარეთ, გამომართვით.

მარიამმა იცნო თავისი მეზობელი, მოერიდა და მიუგო:

– არა, რას ბრძანებთ, გმადლობთ, სადაცაა სახლს მივაღწევთ.

პეტრემ გაიღიმა, ქოლგა გადააფარა დედა-შვილს და მშვიდად წარმოთქვა:

– სახლამდე კიდევ კარგა მანძილია გასავლელი, ქალიშვილი გაგიცივდებათ, მე ლაბადაც კარგად დამიცავს წვიმისაგან, გთხოვთ, გამომართვით ქოლგა.

მარიამი დაეთანხმა, მადლობა გადაუხადა, გამოართვა პეტრეს ქოლგა და უხმოდ გააგრძელეს გზა სახლისაკენ. გულის სიღრმეში მარიამს ოდნავ ესიამოვნა კიდეც მამაკაცის ასეთი მზრუნველობით მოპყრობა, რაც მეუღლის გაქრობის შემდეგ დავიწყებული ჰქონდა. ერთადერთი ურთიერთობა, რაც მას ამჟამად მამაკაცებთან აკავშირებდა, ეს იყო თითქმის ყოველდღე მილიციის განყოფილების სამორიგეო სარკმლიდან მორიგე რუსი ჩეკისტის მიერ უხეშად ნასროლი ფრაზის მოსმენა: „ადგილსამყოფელი უცნობია, მიწერ-მოწერის უფლების გარეშე“. შემდეგ კი უგზო-უკვლოდ გამქრალი ადამიანები ბოლშევიკებმა ქვეყნის მტრებად მონათლეს. მარიამიც მიახვედრეს, რომ მისი მეუღლე ცოცხალი აღარ იყო და აუკრძალეს მილიციაში მისვლა, თან დაემუქრნენ, თუ კიდევ დაიწყებდა ქვეყნის მტრისა და სამშობლოს მოღალატის ძებნას, მასაც დააპატიმრებდნენ ან გააციმბირებდნენ.

სახლთან მიახლოებისას აღელვებულმა პეტრემ მარიამს დაბალ ხმაზე უთხრა:

– ქალბატონო მარიამ, ძალიან გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ, რასაც ახლა გეტყვით, ეს სხვამ არავინ არ უნდა გაიგოს. თქვენს ოჯახს დიდი საშიშროება ელის. აუცილებლად ახლავე უნდა შეგატყობინოთ ამის შესახებ, გადადება არ შეიძლება.

მარიამი შეშფოთდა, ქალიშვილი გულთან ახლოს მიიკრა, თითქოს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო და სასოწარკვეთილს დაბალ ხმაზე აღმოხდა:

– გადასახლება?

პეტრემ უხმოდ ორჯერ თავი დაუკრა.

– როდის? – იკითხა ცრემლმორეულმა მარიამმა.

– მომავალი კვირიდან დაიწყებენ, – მიუგო დამწუხრებულმა პეტრემ.

მარიამს გულზე შემოეყარა.

– ვაიმე, შვილებო! – წამოიძახა მან და ფეხი მოეკვეცა. პეტრემ სწრაფად ხელში აიტაცა გონწასული მარიამი, მის ქალიშვილს უთხრა, მომყევიო, და თავის სახლში შევიდა. შემდეგ მარიამი ტახტზე წამოაწვინა და ცივი წყალი მიუტანა.

გონზე მოსულ მარიამს პეტრემ ყველაფერი უამბო, რაც იცოდა. წამომჯდარ მარიამს თავისი ქალიშვილი ჩაეხუტებინა და უხმო ქვითინით უსმენდა მეზობლის ნაამბობს. პეტრემ თხრობა დაამთავრა და დადუმდა. დედის ტირილს მისი ქალიშვილიც აეტირებინა. ხანმოკლე სიჩუმეს მხოლოდ დედა-შვილის ხმადაბალი ქვითინი და შხაპუნა წვიმის თქრიალი არღვევდა, რომელიც ფანჯრის მინებზე მიხეთქებისას წკნელის დარტყმის მსგავს ხმას გამოსცემდა.

– რა ვქნა, სად გავიქცე, შვილები მაინც რომ გადავარჩინო? ჩემს თავს არ ვდარდობ, მაგრამ ამათ რა დააშავეს? ამათ რას ერჩიან? – ჩუმად, დაბალ ხმაზე მოთქვამდა მარიამი და თან ცხვირსახოცით ცრემლებს იმშრალებდა.

პეტრეს გული დაეთუთქა ამ სანახაობის შემხედვარეს. მიუახლოვდა მარიამს, დაამშვიდა და უთხრა:

– გაქცევას აზრი არა აქვს, ისინი ყველგან მოგაგნებენ; მე კი თქვენ აღარსად გაგიშვებთ. იცხოვრეთ ჩემთან და დაე, მე მომთხოვონ პასუხი. თქვენი ოთახიც განთავისუფლდება, იქ ვინმეს შეასახლებენ და, იმედი ვიქონიოთ, რომ მოგეშვებიან.

ორი დღის შემდეგ პეტრე ტატიშვილმა და მარიამ მამულაშვილმა ხელი მოაწერეს და შეუღლდნენ. მარიამი თავისი ორი შვილით, ელეონორათი და ვალერიანით, საცხოვრებლად პეტრე ტატიშვილის სახლში გადავიდა.

V

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი ცუდ ხასიათზე იმყოფებოდა, მას არასასიამოვნო ამბავი აუწყეს. ბაზანტიამ აფხაზეთი და ანაკოფია დაკარგა. თბილისის ამირა ჯაფარ ალი გარდაცვლილიყო და ახალი ამირას დანიშნვამდე ქართველთა მეფე ბაგრატი IV თბილისის ასაღებად ახალ სპა-ჯარს კრებდა.

დილის საუზმობა გადასული იყო. კეისარმა ბუკოლეონის იმპერატორთა სასახლის მოოქ-როვილ-მოჩარდახებულ აივანზე ისურვა დარჩენა. გაზაფხული იწურებოდა. დილის მზე საკმაოდ მცხუნვარედ აჭერდა ბიზანტიის დედაქალქ კონსტანტინოპოლს. წმინდა სოფიას ტაძრის მახლობლად, ავგუსტეონის დიდებულ მოედანზე და სასახლის ბაღებში მზის სხივებით ახლად გაყვავილებული მცენარეების სუნს ზღვიდან მონაბერი გრილი ნიავი ირგვლივ აფრქვევდა და სითბოსი, ზღვისა და ყვავილთა ნექტრის ნაზავი ქრიზოტრიკლინის სასახლის აივანზე სასიამოვნო, არომატულ სურნელად ტრიალებდა.

კონსტანტინე კეისარი რბილ დივანზე ნახევრად წამოწოლილიყო და აივნის კუთხეში კვარცხლბეკზე შემდგარ, მშვენიერი მანდილოსნის მარმარილოს ქანდაკებას შესცქეროდა, ფიქრით კი შორეულ საქართველოში იყო. მის მრავლისმეტყველ სახეზე და ოდნავ ჩაღრმავე-ბულ თვალებში სიბრძნე და ცბიერება ერთდროულად აღბეჭდილიყო. წინდახედულობა და დიდი სიფრთხილე მისი თვისება იყო. მან მშვენივრად იცოდა, რომ ბიზანტიის იმპერატორად აღზევების ძალზე რთულ და სახიფათო გზას და შემდეგ ტახტის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას დიდი შრომა სჭირდებოდა, კეისრობის დაკარგვა კი ძალიან ადვილი იყო. მის გარშემო ყოველთვის მრავლად იყვნენ საიმპერატორო ტახტის მაძიებელნი და მოსურნენი, რომლებიც ათასგვარი მზაკვრობითა და ხრიკებით ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

სასახლის აივანზე კონსტანტინეს მეუღლე, ბასილისა ზოია გამოჩნდა, რომელიც გვინიკეადან (სადედოდან) – იმპერატრიცების საძინებლი პალატებიდან – მოდიოდა კეისრისაკენ, კუროპალატისათა და სხვა სეფექალთა თანხლებით. ზოიას მსუბუქი, ძალიან თხელი და თითქმის სრულიად გამჭვირვალე, სპილოსძვლისფერი, ოქროს სირმებითა და იაგუნდ-ძოწის ძვირფასი თვლებით გაწყობილი გრძელი კაბა ემოსა, რომელშიც აშკარად იკვეთებოდა მისი სხეულის გასაოცარი ფორმები და კანის სითეთრე. მიუხედავად 68 წლის ასაკისა, ზოიას საკვირველად ჰქონდა შენარჩუნებული თითქმის ახალგაზრდული იერი. იგი 20 წლით უფროსი იყო კონსტანტინეზე.

ბასილისა ზოიას მიახლოებისას კონსტანტინე ფეხზე წამოდგა. გაღიმებული ზოია მიუახლოვდა მას და მოოქროვილი პატარა ზარდახშა გაუწოდა.

– რა არის ეს? – იკითხა კონსტანტინემ.

– ჩემი რეცეპტით დამზადებული ახალი მალამოა.

– აჰ, დიახ! რისთვისაა?

– სილამაზისა და მშვენიერების ელექსირია. ხმელი ხილის: ლეღვის, ფინიკის, ქლიავის, ქიშმიშის, შროშანის ბოჭკოს ზეთებისა და თაფლის ნაზავია.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – წარმოთქვა კონსტანტინემ, ზოიას ზარდახშა გამოართვა, ფრთხილად სახურავი გადახსნა და შორიდან მალამოს არომატი ოდნავ შეიყნოსა.

– ალდე ალანელს მიართვი ჩემგან კეთილგანწყობილების ნიშნად, – წარმოთქვა ზოიამ. კონსტანტინეს პასუხს აღარ დაელოდა, უცებ შეტრიალდა და გასასვლელისაკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა, აივნიდან გასვლამდე კი უკან მოუხედავად, თითქოს თავის თავს უთხრაო, ვითომ ისე, სხვათა შორის, მედიდურად წარმოთქვა:

– მე უკვე ასაკში ვარ. შეგიძლია გაერთო. ნებას გრთავ.

კონსტანტინემ ზარდახშა უმალვე მაგიდაზე დადო ფრთხილად, ხელი წყლიან თასში გაივლო, ისევ დივანზე ჩამოჯდა და ფიქრი განაგრძო.

კარგია, რომ ზოია პოლიტიკასა და საიმპერატორო მმართველობის საქმეებში არ ერევა. ზოიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ სახელმწიფო საქმეებში გაერეოდა, ადვილი შესაძლებელი იყო, მოეკლათ ან სამუდამოდ მონაზვნად აღეკვეცათ შორეულ მონასტერში. ეს მშვენივრად ესმოდა ზოიას და იმპერიის საქმეში ჩარევას ამჯობინებდა, მარადიული სილამაზის მალამოების, სუნამოებისა და არომატული ზეთების მომზადება შეესწავლა და თავისი ხელით დაემუშავებინა. ესეც, რა თქმა უნდა, კვლავ შირმა იყო მისთვის. ზოია ღრმად განსწავლული იყო ალქიმიაში.

იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის ასული ზოია უშვილო აღმოჩნდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ცოლად ერთადერთი მიზეზით ირთავდნენ – მასთან შეუღლებული მამაკაცი კანონიერად ჯდებოდა კეისრად ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე.

დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ზოია სამი იმპერატორის მეუღლე იყო. მან თავისი შვილობილიც შემდეგომ იმპერატორი გახადა.

რატომღაც ისე ხდებოდა, რომ ზოიასთან უთანხმოებისა და კონფლიქტების პერიოდში ბიზანტიის იმპერატორები უცაბედად უცნაური, უკურნებელი სენით ავადდებოდნენ და შემდეგ მალევე იხოცებოდნენ. ზოია კი მუდმივად იმპერატრიცად რჩებოდა. იყო დრო, როცა იგი მარტოც კი მართავდა ბიზანტიას.

კეისარ კონსტანტინე IX მონომახს, სამართლებრივი სისტემის ყოფილ მოხელეს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა ეს ყველაფერი და ზოიას ალქიმიაში განსწავლულობის ამბავიც კარგად მოეხსენებოდა.

კონსტანტინემ ეჭვის თვალით გახედა მაგიდაზე დადგმულ ზოიას მორთმეულ მალამოს. მას გაახსენდა ზოიას ქმარყოფილი გარდაცვლილი იმპერატორები და კვლავ ამოიბანა ხელები წყლიან თასში.

კონსტანტინე არავის ენდობოდა. ღალატი ყველასგან მოსალოდნელი იყო. განსაკუთრებით საშიში იყო იმპერიის დედაქალაქში რეგულარული ჯარის უსაქმოდ დგომა. კონსტანტინოპოლში ჯარის მუდმივად ყოფნა ხაზინას ძალიან ძვირი უჯდებოდა. სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით ლეგიონების მხედართმთავართა მოსყიდვაც ყოველთვის ადვილი შესაძლებელი იყო, ამიტომ ჯარი კონსტანტინოპოლიდან შორს უნდა მდგარიყო. ლეგიონები მუდმივად ბრძოლებსა და ომებში უნდა ყოფილიყვნენ ჩართული, რათა ბიზანტიის იმპერიის საზღვრები კიდევ უფრო გაფართოებულიყო. დაპყრობილი ტერიტორიებიდან და მიწებიდან მიტაცებული ნადავლით კი ჯარი თავის თავს თვითონვე შეინახავდა და გამოკვებავდა.

კონსტანტინემ კარგად იცოდა, რომ იმპერიის ტერიტორიების გაფართოება იმპერიის გაძლიერებას არ ნიშნავდა. პირიქით, დიდი ტერიტორიები ჯარების დიდ დაქსაქსვასა და ძალების დიდ ტერიტორიებზე გადანაწილებას მოითხოვდა. საჭიროების შემთხვევაში კი ლეგიონების სწრაფად შეკრება და მთელი ძალების სწრაფად კონცენტრირება მარტივი საქმე როდი იყო. ამას დრო ესაჭიროებოდა.

ძველი ეგვიპტე დაეცა. სპარსეთი დაეცა. მაკედონელის ელინური იმპერია დაეცა. რომის იმპერია დაეცა. არაბეთის ხალიფატიც დაეცა. ამქვეყნად მუდმივი არაფერია და ოდესმე შესაძლებელია ბიზანტიის იმპერიაც დაეცეს, მაგრამ ჯერჯერობით მყარად დგას; მთავარია, სხვა ქვეყნები არ მომძლავრდნენ, არ გაძლიერდნენ და არ გაფართოვდნენ – აი, სწორედ მაშინ დაემუქრება საფრთხე ბიზანტიას. ამიტომ ბიზანტიის იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნები მუდმივად ქაოსში უნდა იმყოფებოდნენ; ბიზანტია მუდმივად უნდა აწყობდეს პროვოკაციებსა და შიდა არეულობებს იმ ქვეყნებში; არეული ქვეყნისთვის კი ყოველთვის ადვილია მიწების წართმევა, ან კიდევ მისი მთლიანად დაპყრობა. ამ გეგმით მოქმედებდა ყოველთვის ბიზანტია ბალკანეთსა და კავკასიაში.

რაც შეეხება კონსტანტინეს მიერ დღეს მიღებულ არასასიამოვნო ცნობას აფხაზეთის დაკარგვისა და თბილისის დასალაშქრად ქართველთა მეფის, ბაგრატის მზადების შესახებ, ამ მცირე მარცხის გამოსწორება კონსტანტინეს ადვილად შეუძლია. მთავარია, რომ ამირა ჯაფარის სიკვდილის შემდეგ ბაგრატმა არ ჩაიგდოს ხელში ერთიანი საქართველოს ყოფილი დედაქალაქი თბილისი, და ქართველთა მეფე უფრო არ გაძლიერდეს. მართალია, ამით ბიზანტიის ერთიან იმპერიას დაშლის საფრთხე არ დაემუქრებოდა, თუნდაც გამთლიანებული და ერთიანი, ძლიერი საქართველოს სახით, მაგრამ იყო დრო, როდესაც მთელი საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამჟამად კი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის სამხრეთის მიწები და ტაო-კლარჯეთი ეჭირა.

ზოიამაც, თითქოსდა მიუხვდაო ჩანაფიქრს კონსტანტინეს, ალანელი დედოფალი ალდე უხსენა, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც კეისარ კონსტანტინე IX-ის მეორე ოფიციალური საყვარელი იყო, პირველი ოფიციალური საყვარლის, მარია სკლირენას გარდაცვალების შემდეგ.

ზოიამ თავისი ასაკის გამო უარი განაცხადა საქორწინო სარეცლის გაყოფაზე იმპერატორ კონსტანტინე მონომახთან – მათ შორის ასაკში სხვაობა 20 წელი იყო; ამიტომ მან დააწესა იმპერატორის ოფიციალური საყვარელი ქალის ტიტული, საიმპერატორო სასახლეში ცხოვრების უფლებით, რაზედაც მეთვალყურეობასა და კონტროლს თავად ანხორციელებდა.

კეისარ კონსტანტინეს ახალი საყვარელი ქალის ტიტულის მფლობელი, ბიზანტიაში ალანელ დედოფალ ალდედ წოდებული ულამაზესი ქალი, აწ გარდაცვლილი ქართველთა მეფის, გიორგი I-ის მეორე მეუღლე, ოვსთა მეფის ასული, დედოფლადყოფილი ალდე იყო; მეფე ბაგრატ IV-ის დედინაცვალი და მისი ნახევარძმის, დემეტრეს დედა.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ კონსტანტინემ გადაწყვიტა, ბაგრატ IV კურაპალატისათვის მეფობა წაერთვა; ამისათვის კვლავ უნდა დაკავშირებოდა საქართველოში ბაგრატის წინააღმდეგ განწყობილ დიდებულებსა და მეფის მოწინააღმდეგე ოპოზიციის მეთაურს, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს, საქართველოში გაეგზავნა ბიზანტიის ჯარი და ახალი მეფე, ბაგრატ მეფის ნახევარძმა, გიორგი I-ის შვილი დემეტრე, რომლის დედაც ხარჭად ესვა მას ბიზანტიის საიმპერატორო კარზე.

ამგვარად დახლართული ინტრიგის საშუალებით ისარგებლებდა კონსტანტინე და შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა, ახალი დიდი სამოქალაქო ომის გამო არეული და დანგრეული საქართველო ან მთლიანად ჩაეგდო ხელში, ან კიდევ ახალი მიწები წაეგლიჯა ომისგან განადგურებული ქვეყნისათვის; „დაყავი და იბატონე“.

VI

გიორგი ჭანტურიძე გონს რომ მოვიდა, შეამჩნია, რომ სუფთა ლოგინში იწვა და ცეცხლით გამთბარ ოთახში იმყოფებოდა, ჭრილობებიც გადახვეული ჰქონდა. ოთახში მხოლოდ ღუმელში შეკეთებული დანაკვერჩხლებული შეშის სასიამოვნო ტკაცუნი ისმოდა და ახლად შემთბარი რძის სუნი ტრიალებდა. ომში გამოვლილი ჯოჯოხეთის შემდეგ, ამგვარ ოჯახურ სითბოსა და სიმყუდროვეს მონატრებულ გიორგის, თავი ჯერ სიზმარში ეგონა; შემდეგ კარგად დააკვირდა გარემოს და შეამჩნია, რომ ღუმლის ცეცხლთან ვიღაც მოხუცებული ქალი ჩამომჯდარიყო სკამზე და ლამფის შუქზე რაღაცას კემსავდა.

არა, ეს სიზმარი არ იყო, ყოველივე ცხადში ხდებოდა, მაგრამ გიორგიმ არ იცოდა, სად იმყოფებოდა. რატომღაც უცებ თავისი სამშობლო გაახსენდა – საქართველო, იმერეთი, მშობლიური სოფელი ზედა საზანო, საკუთარი სახლი და ოჯახი, ომამდე ცოლად მოყვანილი სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი მეუღლე ელენე, თავისი და-ძმა და კერიასთან მოფუსფუსე დედა. ამ მოგონებებმა ცრემლი მოჰგვარა გიორგის და ერთი მწარედ ამოიოხრა.

ღუმელთან სკამზე ჩამომჯდარი ქალი ფეხზე წამოდგა, საწოლს მიუახლოვდა და გიორგის დახედა. შეამჩნია, რომ ავადმყოფი გონზე მოსულიყო, გაუღიმა და ოთახიდან გავიდა. მალევე მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა და ოთახში შემოვიდა მისი გადამრჩენელი, მაღალი, ქერათმიანი, ახოვანი კაცი, რომელმაც დამტვრეული რუსულით შესძახა გიორგის:

– ჰა, რას მეტყვი, ქართველო? როგორია მეორედ დაბადება?

გიორგიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კვლავ ვერ შეძლო ხმის ამოღება. მძიმე კონტუზია მას ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

– კარგი, კარგი, ჯერჯერობით დაისვენე და ცოტა რომ მოღონიერდები, შენიანებთან გადაგიყვან ჰოსპიტალში. – შემდეგ მოხუც ქალს რაღაც უთხრა და ოთახიდან გასვლის წინ კვლავ მიაძახა გიორგის: – ძლიერი ყოფილხარ, ქართველო, კრიზისიდან ძლივს გამოძვერი, ორი დღე ებრძოდი სიკვდილს და მაინც აჯობე!

გიორგიმ გაღიმება სცადა მადლობის ნიშნად. მან არ იცოდა, სად იყო და ვისთან, იმას კი მიხვდა, რომ ბალტიისპირეთის რომელიღაც დასახლებულ ადგილას იმყოფებოდა ღვთისნიერი ხალხის ოჯახში, რომლებმაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. სახლიც, სადაც იგი იწვა, ფრონტის ხაზიდან მოშორებით უნდა ყოფილიყო, რადგან გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა.

მოხუცი ქალი გიორგის მიუახლოვდა და მომცრო თიხის ჯამი, ხელში რომ ეჭირა, ავადმყოფს ტუჩებთან მიუტანა. გიორგიმ რძის გემო იგრძნო. მოსვა სითხე და შეიგრძნო, ნელ-ნელა როგორ გაუთბა დაოსებული, დაჭრილი და სიკვდილთან ნაბრძოლი სხეული. კვლავ დედა გაახსენდა, თვალები მიელულა და დედამისის მონაყოლი ამბავი დაესიზმრა.

დედამისი, მარიამი, ჯერ კიდევ მთლად პატარა ბავშვი ყოფილა, სანქტ-პეტერბურგში რომ წაუყვანიათ. მანამდე საქართველოში რუსეთიდან გაუგზავნიათ ცნობილი აგრონომი, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში, ბახვში გაჩერებულა, წულაძეების ოჯახში. ის თურმე შეისწავლიდა ჩაის კულტურის გაშენების საკითხს საქართველოში. რუს აგრონომს ფეხით შემოუვლია მთელი გურია და იმდენად მოსწონებია იქაურობა, რომ წერილი მიუწერია თავისი ცოლისთვის სანქტ-პეტერბურგში: ჩამოდი შვილთან ერთად, მთელი ზაფხული აქ გავატაროთ და შემდეგ ერთად დავბრუნდეთ სახლშიო. ასეც მომხდარა, მალევე აგრონომის მეუღლე და მათი პატარა ქალიშვილი ჩასულან გურიაში და ისინიც წულაძეების ოჯახში გაჩერებულან. ზაფხულის დასრულებისთანავე აგრონომი პეტერბურგში უნდა დაბრუნებულიყო. აგრონომის პატარა ქალიშვილი ძალიან შეჩვევია წულაძეების უმცროს გოგონას, – ისინი თანატოლები იყვნენ, მთელი ზაფხული ერთად თამაშობდნენ და ერთობოდნენ. აგრონომის ოჯახის სოფლიდან წასვლის დღეს, მასპინძლებთან გამომშვიდობებისას, პატარა ბავშვები ისე ატირებულან, რომ ცუდად გამხდარან და ძლივს მოუსულიერებიათ. გოგონებს არ უნდოდათ ერთმანეთთან დაშორება.

აგრონომს გადაუწყვეტია, წულაძეების მრავალშვილიანი ოჯახის უმცროსი გოგონა სანქტ-პეტერბურგში წაეყვანა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ აგრონომმა და მისმა მეუღლემ დაარწმუნეს ბავშვის მშობლები, რომ ისინი მათ შვილს ისევე აღზრდიდნენ და მოუვლიდნენ, როგორც საკუთარს, კარგ განათლებასაც მიაღებინებდნენ, საზოგადოებაშიც გაიყვანდნენ და, შემდეგ, გაზრდილი გოგონა თვითონვე აირჩევდა თავისი ცხოვრების გზას. პერიოდულად ჩამოვიდოდა ხოლმე კიდეც სამშობლოში, სახლში და, რაც მთავარია, მშობლებს სულ ექნებოდათ კავშირი შვილთან, რადგან გურიიდან სანქტ-პეტერბურგში აგრონომისთვის, მისი ლაბორატორიისათვის, ყოველწლიურად უნდა გაეგზავნათ ან ჩაეტანათ ქართული ჩაის სხვადასხვა ნიმუში.

ბავშვის მშობლები დათანხმებულან. გამომშვიდობებისას აგრონომს პირჯვარი გადაუწერია და წარმოუთქვამს: უფალი გვიშველის და დიდი ხელმწიფე იმპერატორის წყალობა შეგვეწევაო, რაზეც წულაძეების ოჯახის უფროსს, ერმილეს, გასცინებია და უთქვამს: უფლის იმედი კი მაქვს, ძამია, მარა, რაცხა ისეთი არეულობებისა და გადატრიალებების სუნი აქვენ მაქაურობას, რომ ხელმწიფე იმპერატორისა, მგონი, მაქანე არავის აღარა ჯერა და მის წყალობას მე რავა დევიჯერებ? შენ ეცადე, ძამია, ჩემი პატარა გოგონა ისე გამიზარდო, რომ მისგან რევოლუ-ციონერკა და ბოლშევიჩკა არ გამევიდეს, თვარა შენ აქანე გურიაში მევორედ ვეღარ გაიჭაჭანებო.

სიცილით დაშორებულა ერთმანეთს ორი დამეგობრებული ოჯახი და ამგვარად აღმოჩენილა სანქტ-პეტერბურგში პატარა გოგონა, რომელსაც მოფერებით მარუსკას ეძახდნენ.

* * * *

ქუთაისის საფოსტო ორგანიზაციასთან არსებულ სავაჭრო განყოფილებაში მუშაობდა ახალგაზრდა იმერელი ბიჭი დავით ჭანტურიძე, რომლის გვარიც ძველი რომაული სიტყვიდან, „CENTURIA“-დან მომდინარეობდა. დავითს ხშირად აგზავნიდნენ მატარებლით რუსეთში რაიმე განსაკუთრებული ტვირთის გამყოლად ან გამომყოლად. იგი მოხერხებულად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და დანაზოგი ფულით მცირე ვაჭრობასაც აწარმოებდა.

როდესაც დავითს სანქტ-პეტერბურგში უხდებოდა მატარებელის გაყოლა, ხშირად გურიიდან გამოგზავნილი ჩაის სხვადასხვა ნიმუშებით სავსე ყუთს გაატანდნენ ხოლმე, რომელშიც ყოველთვის იდო პატარა წერილი. ასე გაიცნო დავით ჭანტურიძემ სანქტ-პეტერბურგში აგრონომის ოჯახი და პატარა მარუსკა.

ამგვარად დაუახლოვდა დავით ჭანტურიძე წულაძეებისა და აგრონომის ოჯახებს. გადიოდა დრო. პეტერბურგში ჩასვლისას დავითი ყოველთვის სტუმრობდა აგრონომის ოჯახს, გურიიდან გაგზავნილი საჩუქრებითა და წერილით. წამოზრდილი მარუსკასთვის ცივ და ნესტიან პეტერბურგში დავითის სტუმრობა სამშობლოს თბილი ნიავის შეგრძნებას იწვევდა.

თანდათანობით, წლების განმავლობაში, დავითსა და მარუსკას ერთმანეთი შეუყვარდათ. დავითს უკვე საკმაო თანხა დაეგროვებინა. ერთ მშვენიერ დღესაც, სანქტ-პეტერბურგში, მარიამ (მარუსა) წულაძე და დავით ჭანტურიძე შეუღლდნენ. ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ და დავითის მშობლიურ სოფელში, ზედა საზანოში, მამაპაპეულ მიწაზე დასახლდნენ.

დავითმა ამწვანებულ ეზოში ახალი დიდი სახლი ჩადგა და კარგი მეურნეობა გამართა. ერთი წლის თავზე მათ პირველი შვილი შეეძინათ; ვაჟს სახელად გიორგი დაარქვეს.

* * * *

გიორგის გამოეღვიძა. შუაღამე იდგა. ღუმელში ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა. ეტყობოდა, რომ ყველას ეძინა. სიმშვიდე იდგა. გაახსენდა სიზმარი და ესიამოვნა. ყველანაირ წამალზე უკეთ იმოქმედა მასზე დედის მონაყოლმა, რაც ახლა სიზმარივით წარმოუდგა, – თითქოს გამოსაჯანმრთელებლად ახალი ენერგიით აივსო. გიორგიმ თვალები დახუჭა და ისევ ჩაიძინა.

ორი დღე კიდევ დაჰყო იმ სახლში გიორგიმ. მასპინძლები აჭმევდნენ, ასმევდნენ და უვლიდნენ. მესამე დღეს გიორგიმ ლაპარაკი შეძლო. მისი გადამრჩენელი აღმოჩნდა რაიმონდს კალნინში, ლატვიის ლიეპაიას (ლიბავას) რეგიონის ნაციონალისტების ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი. ეს ჯგუფი პარტიზანულად ებრძოდა საბჭოელებს.

რიბენტროპ-მოლოტოვის 1939 წლის პაქტის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ბალტიის ქვეყნები დაიპყრეს. გიორგიმ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იცოდა და რაიმონდსს ჰკითხა, რატომ გადამარჩინე სიკვდილსო. რაიმონდსი დაფიქრდა და შემდეგ უპასუხა, შენ რუსი არა ხარ, ქართველი ხარ და იმიტომო. გიორგი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. რაიმონდსმა თქვა, ეს გრძელი ისტორიაა, ადრე ერთმა ქართველმა ლენინგრადში სიკვდილს გადამარჩინაო; შემდეგ ოდნავ შეიხსნა მკერდი, ყელზე დაკიდებული გაშავებული მედალიონი გამოაჩინა და გიორგის უთხრა, რომ ოდესღაც მისი შორეული წინაპრები – ვარანგები (ვიკინ-გები), საქართველოში ყოფილან, იქიდან ეს მედალიონი ჩამოუტანიათ, რომელიც მას შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რაღაც მისია აქვს ამ მედალიონს შესასრულებელიო, – ასე უთქვამთ და დაუწესებიათ მის შორეულ დიდ წინაპრებს.

იმავე დღეს რაიმონდსმა გიორგი საბჭოთა ჯარის სანიტარულ ნაწილში გადაიყვანა და იქ დატოვა, – ესენი უკეთესად გიმკურნალებენ და მოგხედავენო. გამომშვიდობებისას გიორგიმ იმ ღვთისნიერ კაცს მისამართი, გვარი და სახელი ჩააწერინა, ფურცელი გამოართვა და საგულდაგულოდ შეინახა.

სანიტარული ნაწილიდან სამხედრო ლაზარეთში გადაყვანილ გიორგის მალევე უკეთესობა დაეტყო. ჯერ მთლად გამოჯანმრთელებული არ იყო, როდესაც უთხრეს, ორი მძიმე კონტუზიის შემდეგ ჭრილობების მთლიანად მოშუშებას დრო სჭირდება, ომში ვეღარ

გაგიშვებთ, დაბრუნდი სახლში, საბოლოოდ იქ გამოჯანმრთელდები და ფრონტს ზურგშიც გამოადგებიო.

საქართველოში დაბრუნებული გიორგი ჭანტურიძე იმერეთის რეგიონის სამხედრო კომისრად დაინიშნა. მას ევალებოდა იმერეთში სამხედრო წვევამდელების აღრიცხვა-აღწერა და მათი ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნა.

ომის დამთავრებამდე ჯერ თითქმის ერთი წელი იყო დარჩენილი, საბჭოთა ჯარები ევროპის მისადგომებთან იბრძოდნენ, სადაც გერმანელებს ძლიერ გამაგრებული ფრონტის ხაზი ჰქონდათ შექმნილი.

გიორგის საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი ომის მთელი საშინელება. პირველი ჭრილობა მან ქერჩის ნახევარკუნძულზე მიიღო, შავიზღვისპირეთში, სადაც მცირე მიწისა და ჰაჯი მუშკაის ნაკლებმნიშვნელოვან პლაცდარმებზე გერმანელთა დაბომბვების შედეგად უაზ-როდ დაღუპეს არაერთი ქართული დივიზია. გენერალ კონსტანტინე ლესელიძის ქართული არმიაც თითქმის მთლიანად იქ განადგურდა. ქერჩის სანაპირო ზოლში ზღვა სისხლისგან გაწითლებული იყო; ყოველი მესამე საქართველოს მოსახლე ომში დაიღუპა, ჯარისკაცად.

საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობისთვის საომარი სტრატეგია, ძირითადად, მტრის რაოდენობითი ძლევა იყო. მათ ერთ გერმანელ ჯარისკაცს ათი საბჭოთა ჯარისკაცი შეაკლეს. უბრალო ჯარისკაცებს საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობა საზარბაზნე ხორცად აღიქვამდა და იყენებდა. ეს ყველაფერი გიორგიმ თავისი თვალით ნახა და გამოსცადა და, ამის გათვალისწინებით, დედისერთა ბიჭებს ომში აღარ აგზავნიდა იმ მიზეზით, რომ უკაცოდ დარჩენილ მრავალ ოჯახს მარჩენალი აღარავინ რჩებოდა. ასე გადაარჩინა მან კაცებისაგან თითქმის დაცლილი იმერეთის რეგიონი კიდევ უფრო მეტად გაუბედურებას, თანაც ომი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. საბჭოთა კავშირის მოკავშირეები, ამერიკა და ინგლისი, დასავ-ლეთის მხრიდან გერმანიას მეორე ფრონტს უხსნიდნენ, წითელი არმიის ჯარები კი იმ დრო-ისათვის ევროპაში შესაჭრელად ემზადებოდნენ.

ბოროტ ადამიანს რა დალევს ამქვეყნად და, მადლობის მაგივრად, ვიღაცებმა გიორგი ჭანტურიძეს უჩივლეს, ომს საბოტაჟს უწყობსო. ორჯერ გაასამართლა და გაამართლა სამხედრო ტრიბუნალმა დასახვრეტად განწირული გიორგი, რადგან ომში გასაწვევი ოფიციალური სამხედრო კანონი გიორგის მხარეს აღმოჩნდა. მას კანონი არ დაურღვევია, პირიქით, ადრე კანონი იმათ დაარღვიეს, ვინც ოჯახების ერთადერთი ვაჟები, მარჩენალი ბიჭები, დასაღუპავად ფრონტზე გაგზავნეს; გიორგი კი, პირიქით, საბჭოთა ოფიცრებს შორის კანონის ყველაზე ერთგული და მკაცრი დამცველი აღმოჩნდა.

ომის დამთავრების შემდეგ გიორგიმ სამხედრო მუნდირი გაიხადა და თავის სპეციალობას – ფინანსებსა და ეკონომიკას დაუბრუნდა. მას ომამდე თბილისის ფინანსური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. სწავლის გასაგრძელებლად გიორგი ლენინგრადში ჩავიდა, სადაც წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი; საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მუშაობა დაიწყო თბილისში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

VII

ვარანგთა შესვლა კიევში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. ყველა ეკლესიისა და მონასტრის სამრეკლოდან ზარების რეკვა ისმოდა. იმ დღემდე კიევში იმგვარი დამხმარე ძალა არასოდეს შესულიყო, რომელიც გვერდში დაუდგებოდა კიევის მთავარ სვიატოსლავ ბრძენს, რათა მათ ერთად, გაერთიანებული ძალებით, საბოლოოდ გაენადგურებინათ პაჭანიკთა ველური

ურდოები და სამუდამოდ გაეწმინდათ და გაეთავისუფლებინათ მდინარე ვოლგის სავაჭრო-სანაოსნო აუზი.

მთელი კიევის მოსახლეობა სახლებიდან გარეთ გამოფენილიყო და აღტაცებული შეძახილებით ხვდებოდა ვარანგთა დიდი რაზმის შესვლას კიევის მთავარ მოედანზე, სადაც მათ კიევის მთავარი, დიდად გახარებული სვიატოსლავი ელოდა თავის შვილებთან ერთად. კიევის რუსეთის მთავარმა მღვდელთმთავარმა საგანგებოდ მორთულ და გაწყობილ კიევის დიდ მოედანზე საზეიმო ლიტურგია ჩაატარა და დიდი პარაკლისი გადაიხადა. ცერემონიას საზეიმოდ გამოწყობილი მთელი საეკლესიო სინოდი დაესწრო.

სვიატოსლავმა კარგად იცოდა ვარანგთა წეს-ჩვეულებები:

- სიცივიდან მოსული ცეცხლთან დასვი, საჭმელი და სასმელი მიართვი გრძელი გზიდან მომავალს;

- სტუმარს საკვებთან ერთად თავაზიანი, თბილი სიტყვა მიართვი, რომ მან გული გადაგიშალოს;

- წვეულებაზე სტუმარს კუთხეში ნუ დასვამ, მას პატივი უნდა სცე.

ამიტომაც მოაწყო სვიატოსლავ ბრძენმა კიევის მთავარ მოედანზე ვარანგებისთვის გრანდიოზული დახვედრა, შემდეგ კი დიდი, ორდღიანი აღაპი გამართა მათთვის.

სვიატოსლავმა სამეფო მაგიდასთან ვარანგთა რაზმის მეთაური, მთავარი ინგვარი მიიწვია და დაწვრილებით გამოჰკითხა თავისი ახლობლებისა და ნათესავების – სკანდინავიის მეფეთა ამბები; აგრეთვე დაინტერესდა ვარანგთა ხანგრძლივი მოგზაურობითა და მებრძოლთა მდგომარეობით.

ვარანგებმა კიევში ერთი კვირა დაისვენეს და შემდეგ იაროსლავის ჯართან ერთად პაჭანიკებზე გაილაშქრეს. მართალია, პაჭანიკების სახანო იაროსლავმა ადრეულ ბრძოლებშივე დაამარცხა და დაშალა, მაგრამ სხვადასხვა ტერიტორიაზე გაფანტული პაჭანიკების ველურ ურდოთა რაზმები პერიოდულად მაინც აწარმოებდნენ თავდასხმებს კიევის რუსეთის ქალაქებზე, სოფლებზე და მოსახლეობაზე, რომელთაც ძარცვავდნენ, ხალხს ხოცავდნენ, ნამუსს ხდიდნენ, იტაცებდნენ, შემდეგ კი ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ.

სვიატოსლავისა და ინგვარის გაერთიანებულმა ჯარებმა ორი თვე მოანდომეს გაფანტული პაჭანიკების რაზმების მთლიანად განადგურებას. ისინი ერთმანეთის გვერდი-გვერდ იბრძოდნენ და საბოლოოდ, გახსნეს და გაათავისუფლეს ვოლგის სანაოსნო გზა.

სვიატოსლავმა დიდი მადლობა გადაუხადა მთავარ ინგვარსა და მის რაზმს, უხვად დაასაჩუქრა ფულითა და ძვირფასი ბეწვეულით, სურსათ-სანოვაგეც მრავლად მისცა და გზა დაულოცა შინისაკენ.

ინგვარი თავისი გემებით მდინარე ვოლგაში შევიდა და ჩრდილოეთის სანაცვლოდ შეგნებულად სამხრეთის მიმართულებით აიღო გეზი. რაც უფრო მეტ მანძილს გადიოდნენ ვარანგები, მით უფრო გაკვირვებულები რჩებოდნენ: მდინარე ვოლგა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და განიერი ხდებოდა, გზას დასასრული აღარ უჩანდა, ზოგიერთ ადგილას კი მდინარის ნაპირებიც კი იკარგებოდა და აღარ ჩანდა.

ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარი ვარანგთა განიერაფრიან გემებს რბილად მიასრიალებდა მდინარის მდორე წყალზე, ამიტომ ვარანგებს სანაოსნო ნიჩბები გამოუყენებლად, მშრალად ელაგათ და, თევზაობის კარგად მცოდნენი, გემებიდან თევზაობით ირთობდნენ თავს.

ვოლგის დელტაში შესვლისას, მდინარე ზღვასავით გაფართოვდა. რამდენიმე მოთევზავე ვარანგმა ზუთხის დაჭერა მოახერხა და ორ მეტრამდე სიგრძის თევზი ინგვარს მიართვეს. ყველა გააკვირვა ზუთხების სიდიდემ და გემომ, განსაკუთრებით განცვიფრებულები კი შავი ხიზილალის სიუხვითა და მისი სასიამოვნო გემოთი დარჩნენ.

კასპიის ზღვაში შესვლისას ინგვარის ფლოტი ნაპირ-ნაპირ ჩაუყვა ზღვას და რამდენიმე ხნის შემდეგ მიადგა დიდი ქალაქს, რომელსაც სახელად ერქვა ბაში (ბაჩი, ბახში, ბაქო).

ქალაქის მთავარ ბაზარზე დიდი აღებ-მიცემობა იყო გაჩაღებული. ქალაქის თავიცა და დიდგვაროვნებიც ერთობ დაინტერესდნენ უცხოელების მიერ ჩატანილი უცნაური ძვირფასი ქვებითა და ბეწვეულით. მთავარი ინგვარი ფრიად კმაყოფილი იყო. ბაშის შემდეგ მან გზა კიდევ უფრო სამხრეთისაკენ განაგრძო და სპარსეთში შევიდა. იქაც კარგად წავიდა ვაჭრობის საქმე. მართალია, ბეწვეული იმდენად არ იყიდებოდა, რადგან სპარსეთში ძალიან ცხელოდა, მაგრამ ძვირფასი ქვების დიდი მარაგი ოქროდ და ვერცხლად აქცია ინგვარმა.

ყველაზე უცნაური და სასაცილო კი იქაურების განცვიფრებული და გაკვირვებული სახეები იყო, როდესაც დაბალი და მოშავო კანის სპარსელები შემთხვევით ვარანგთა ჯგუფს შეხვდებოდნენ ან წააწყდებოდნენ ხოლმე სადმე. სპარსელები პირდაღებულნი შესქეროდნენ თითქმის ორჯერ მათზე მაღალ, კლდესავით კუნთმაგარ, ქერა, დაწნულთმიან და წვერ-ულვაშიან, მოსვირინგებულ, ნახევრად შიშველ, შეიარაღებულ ვარანგებს.

სკანდინავიელ მეფეთა დავალება ინგვარს თითქმის შესრულებული ჰქონდა. პირველი ის, რომ სვიატოსლავთან ერთად იბრძოლა პაჭანიკების წინააღმდეგ და დიდმა მთავარმა ვარანგთა რაზმს საზღაური ფული უხვად გადაუხადა; მეორე ის, რომ საუკუნეების განმავლობაში სკანდინავიელ მეფეთა და მთავართა მიერ დაგროვებული დიდძალი ძვირფასი ქვები ინგვარმა ოქროდ და ვერცხლად აქცია. მართალია, ამ ხნის განმავლობაში მან რამდენიმე ათეული მებრძოლი დაკარგა, ზოგი ბრძოლებში, ზოგიც ავადმყოფობით, რამდენიმე გემიც გაფუჭდა და ინგვარი იძულებული გახდა დაეტოვებინა დაზიანებული გემები, მაგრამ საერთო ჯამში მოგება ბევრად მეტი იყო, ვიდრე დანაკარგი.

VIII

პეტრე ტატიშვილი ბედნიერი იყო – გვერდით ჰყავდა ქალი, რომელიც მთელი გულით უყვარდა. მისი მეუღლე მარიამი, ასევე მარიამის შვილები – ელეონორა და ვალერიანი რეპრესიებს გადაურჩნენ. დროთა განმავლობაში პეტრე დააწინაურეს და დიდ, პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნეს. პარტიულ ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას თუ პეტრეს შემთხვევით ოჯახზე ჩამოუგდებდნენ საუბარს, ის არ იბნეოდა, პირიქით, ყველას გასაგონად ამაყად, ხმამაღლა, ხუმრობანარევი კილოთი გამოაცხადებდა ხოლმე:

– მე, როგორც კომუნისტური პარტიის წევრი, ვამაყობ, რომ ჩემს გოგონას სახელად ჰქვია დიდი კომუნისტის, კარლ მარქსის ქალიშვილის, ელეონორას სახელი.

პეტრემ ისიც კარგად იცოდა, რომ მაღალი თანამდებობის მრავალ პარტიულ მუშაკს ცოლად ჰყავდა ეგრეთ წოდებული „ხალხის მტრების“ ნათესავები, ამიტომ თვითონაც მშვიდად იყო. იგი მთელი დღის განმავლობაში თითქმის სულ სამსახურში იყო და მხოლოდ ღამე ბრუნდებოდა სახლში.

მარიამი ოჯახის საქმითა და შვილების მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული. უფროსი გოგონა, ელეონორა, აგრძელებდა მუსიკის შესწავლას; ვაჟი კი, ვალერიანი, რომელსაც შინაურულად გაზოს ეძახდნენ, საინჟინრო-ინდუსტრიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ვალერიანი შეეჩვია თავის მამინაცვალს, პეტრეს, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობას ერიდებოდა. მას შინაგანად მაინც უნდობლობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის ყველა წევრის მიმართ, მით უმეტეს, რომ მალულად მეგობრობდა იმ ახალგაზრდებთან, რომლებსაც მიზნად დაესახათ საქართველოს განთავისუფლება ბოლშევიზმისაგან.

მალე საბჭოთა კავშირში დაიწყო 1936-37 წლების საშინელი რეპრესიებისა და წმენდის ეპოქა, რომელიც ავტომატურად გავრცელდა საქართველოშიც, სადაც რეპრესიებს ჩეკისტი ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ბევრი მაღალი თანამდებობის პირი და რესპუბლიკის მთავრობის წამყვანი ხელმძღვანელი მუშაკი დახვრიტეს, არც ძველი ბოლშევიკები დაინდეს. რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. ლავრენტი ბერია თავის სტიქიაში იყო. ვის არ დასწამეს ცილი, რას არ აბრალებდნენ ადამიანებს. სწორედ მაშინ „აღმოჩნდა“, რომ რამდენჯერმე გამოცვლილ-დახვრეტილი ყველა მთავრობის წევრები თურმე კაპიტალისტური ქვეყნების ფარული აგენტები ყოფილან და საიდუმლო ჯაშუშებად მუშაობდ-ნენ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის, თურქეთისა და, რა ჯანდაბა ჩამოთვლის, კიდევ რამდენი ქვეყნის სასარგებლოდ.

სისხლის გუბეები დააყენა ბერიამ იმ დროს საქართველოში. კაცთა კვლის აზარტში შესული მისი ხარბი და გაუმაძღარი გული ვერ დაკმაყოფილდა საშინელი სისხლისღვრით. მალე ლავრენტი ბერიამ ჩეკისტების უფროსის თანამდებობიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელის სავარძელში გადაინაცვლა. აფხაზეთის პატარა სოფელში, გლეხის ოჯახში დაბადებული ლავრენტი საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი გახდა. ეს თანამდებობა მას კიდევ უფრო აუვარდა თავში, სულ მთლად დაკარგა ზომიერების გრძნობა და დადგა დრო, როცა უბრალო მოსახლეობასაც კი უმოწყალოდ დაერია.

ვალერიანმა გადაწყვიტა საქართველო დაეტოვებინა და როგორმე საფრანგეთში, თავის ნათესავებთან წასულიყო, რომლებსაც რესტორანი ჰქონდათ გახსნილი პარიზში. მან მშვენივრად იცოდა, რომ როგორც ხალხის მტრის შვილს, ბოლშევიკები მას არასოდეს არ გაახარებდნენ.

სასწავლებლის პარტკომმა ვალერიანი ორჯერ დაიბარა და დაჰკითხა. მამინაცვლის პარტიის წევრობა და მაღალი თანამდებობა ჯერჯერობით შველოდა ვალერიანს. მის მამინაცვალს, პეტრეს, რამე რომ დამართოდა, სხვა ადამიანების მსგავსად ღამე რომ წაეყვანათ სახლიდან ჩეკისტებს და მაშინვე, ულაპარაკოდ და გასამართლების გარეშე ადგილზევე დაეხვრიტათ, რაც იმ დროს თბილისში ყოველღამ ხდებოდა, რა ეშველებოდა მერე მის ოჯახს? მათ ხომ მეორე დღესვე მოაკითხავდნენ წასაყვანად. ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყო, ერთადერთი გზა, რაც მოიფიქრა ვალერიანმა დედისა და დის გადასარჩენად, უნდა ყოფილიყო მისი გაქრობა. თუ მამინაცვალს რამე მოუვიდოდა, უკაცო ოჯახს, მარტო დარჩენილ დედამისსა და მის დას შეიწყალებდნენ. უკაცოდ დარჩენილი ორი ქალისთვის, რომლებიც პოლიტიკაში არ ერეოდნენ, ჩეკისტებს შეიძლება ხელი აღარ ეხლოთ.

ოდესღაც, მომავალში, ალბათ მორჩებოდა საქართველოში ეს საშინელი განუკითხაობა და მერე ალბათ როგორღაც მოახერხებდა ვალერიანი დედისთვის შეეტყობინებინა, სადაც იმყოფებოდა.

მან შეაგროვა მთელი თავისი დანაზოგი ფული, დედასაც გამოართვა ცოტაოდენი და ისე, ვითომ სხვათა შორის, უთხრა მარიამს:

– წავალ, გავიკითხავ. ამბობენ, მომავალი წლიდან შეიძლება ჩემი სპეციალობის სამთვიანი სასწავლო-პრაქტიკული კურსები ჩატარდეს ლენინგრადში.

დედის გულს რა გამოეპარებოდა! მარიამი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე; ის ხომ მთელ ღამეებს თითქმის უძილოდ ატარებდა. ყოველი შუაღამისას მოელოდა სახლის კარებზე უდროო და უხეშ დაკაკუნებას. დილამდე სულ ფიქრში იყო მისი გონება.

მარიამი მოტრიალდა, შვილს თვალებში ჩახედა, ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა სევდიანად, საალერსო სახელით: „შვილო, გაზო“, – და ცრემლმორეული შვილს გადაეხვია.

ვალერიანისთვის ნათელი გახდა, რომ დედა მიუხვდა ნააზრევს. ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ. მარიამმა ცრემლი შეიმშრალა, სამზარეულოში გავიდა, მალევე დაბრუნდა ხელში პატარა ჩანთით და შვილს უთხრა:

– გაფრთხილდი, შვილო. ჩვენზე ნუ იფიქრებ, კარგად ვიქნებით. გახსოვდეს შენი გვარის დევიზი – იყავი გაბედული და სამართლიანი!

მარიამმა პატარა ჩანთა მისცა ხელში შვილს, უთხრა, საგზალი და კიდევ ფული ჩაგიდეო, შემდეგ პირჯვარი გადასწერა ვალერიანს და აცრემლებული დაემშვიდობა საყვარელ ვაჟს.

****

იმ პერიოდის ლენინგრადის საუკეთესო სასტუმროს, „ასტორიას“, მიუხედავად რევოლუციებისა და სახელმწიფო გადატრიალებებისა, მაინც შემორჩენილი ჰქონდა ძველებური ხიბლი და პეწი. რევოლუციამდე „ასტორია“ ერთ-ერთ ყველაზე ელეგანტურ და დახვეწილ სასტუმროდ ითვლებოდა ევროპაში. იგი ყოველთვის საუკეთესო სერვისითა და მომსახურეობით გამოირჩეოდა. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ სასტუმრომ ინტურისტის კატეგორია მიიღო და კვლავ თავისი ფუნქცია დაიბრუნა.

საბჭოთა კავშირში ჩასულ უცხოელ სტუმრებს, თუ ისინი ლენინგრადში მოხვდებოდნენ, აუცილებლად სასტუმრო „ასტორიაში“ ათავსებდნენ. სასტუმროს ახალი ხელმძღვანელობა შეეცადა „ასტორიისთვის“ დაებრუნებინა ძველი დიდება და აღედგინა იქ არსებული ევროპული ეტიკეტი. რევოლუციამდელ სასტუმროში მომუშავე ყოფილი დიდი პერსონალიდან ცოტა ვინმე თუ შემორჩა იქაურობას. მათგან ვინც იპოვეს, ყველა დააბრუნეს სასტუმროში, თანაც ახალი კადრებისა და სასტუმროს მომსახურე ახალი პერსონალის აღზრდა დაავალეს.

მეორე დიდი პრობლემა იყო სასტუმროს რესტორნებისა და საბანკეტო დარბაზები-სათვის განკუთვნილი საუკეთესო ხარისხისა და ასორტიმენტის საკვები პროდუქტები და სასმელი, რაც იმდროინდელ დამშეულ საბჭოთა კავშირში, უბრალოდ, არ არსებობდა. ამიტომ ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებით, სასტუმროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყველაფერი ევროპის ქვეყნებიდან შეეტანათ გემებითა და რკინიგზით, ხელსახოციდან დაწყებული და ფრანგული კონიაკებით დამთავრებული. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს განკუთვნილი იქნებოდა მხოლოდ უცხოელებისათვის, რომლებიც ვალუტით გადაიხდიდნენ სასტუმროს მომსახურების საფასურს და აგრეთვე პარტიის მაღალჩინოსნებისათვის, რომლებსაც უფასოდ შეეძლოთ ბიუჯეტის ხარჯზე სიამოვნება.

ლატვიის საპორტო ქალაქ ლიეპაიადან (ლიბავა) გასულმა პატარა სატვირთო გემმა ლენინგრადში სპეციალურად სასტუმრო „ასტორიისთვის“ ჩაიტანა ტვირთი. გარიგების თანხმად, ყოველ სამ თვეში ერთხელ, ეს გემი ჩადიოდა ლენინგრადში და სასტუმროს აწვდიდა სპეციფიკურ ლატვიურ პროდუქტს, ქარსალას თევზს (შპროტი), არაჟანს, ლუდსა და ბალზამის სასმელებს. ადრე გემი ლენინგრადის პორტში შედიოდა, სადაც მთელი ეს პროდუქტი სამ სატვირთო მანქანაზე გადაიტვირთებოდა ხოლმე და სასტუმროში იგზავნებოდა. ერთხელ მოყინულ გზაზე სასტუმროსაკენ მიმავალი პირველი სატვირთო მანქანა მოცურდა და უკანა სატვირთოებიც მას დაეჯახა. სამივე მანქანაში მოთავსებული სასმელის ჭურჭელი მთლიანად დაიმტვრა. დაღვრილმა ალკოჰოლმა არაჟანიც გააფუჭა.

მაშინ ლენინგრადის სავაჭრო ორგანიზაცია ვალუტით საკმაოდ დაზარალდა; ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ სატვირთო გემი პატარა იყო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შემდგომში, სანამ მდინარე ნევა გაიყინებოდა, ტვირთის ჩატანისას გემი, პორტის გვერდის ავლით, პირდაპირ შესულიყო მდინარე ნევაში, სასტუმრო „ასტორიას“ წინ გაჩერებულიყო და

გემის კაპიტანის ბრძანებით, რომელიც არისტოკრატული გვარის, კალნინშთა შთამომავალი იყო, ტვირთი პირდაპირ სასტუმროში გადაეტანათ. ამ მეთოდმა ფრიად გაამართლა: დროშიც იგებდნენ, ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯიც ნაკლები იყო და პროდუქტიც დაუზიანებლად შედიოდა მდინარის სანაპიროდან სასტუმროში – მზიდავებს ტვირთი ურიკებით გემიდან პირდაპირ სასტუმროს საწყობში გადაჰქონდათ.

ამჯერადაც ასე მოიქცა გემის კაპიტანი. მან დაამთავრა ტვირთის ჩაბარება სასტუმროში, „ასტორიის“ დირექტორის ვრცელ კაბინეტში სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლისგან ფულიც მიიღო, საჭირო ოფიციალურ დოკუმენტებსაც მოაწერა ხელი, სასტუმროს ხელმძღვანელობას დაემშვიდობა და ხელჩანთით ხელში სასტუმროდან გამოვიდა. კაპიტანს თან ახლდა გემის მცირერიცხოვანი ეკიპაჟის ერთ-ერთი ძალზე ახალგაზრდა მეზღვაური, ფიზიკურად ერთობ ძლიერი და ახოვანი ვაჟკაცი, თავისი ნათესავი და თანაშემწე რაიმონდს კალნინში. კალნინშებს უკან მიჰყვებოდა მილიციის თანამშრომელი, რომელსაც ევალებოდა სასტუმროდან მათი მიცილება გემამდე, სულ რამდენიმე ასეულ მეტრში რომ იდგა სანაპიროზე.

ლენინგრადში საღამოვდებოდა, მაგრამ დაბნელება არ შეიმჩნეოდა. თეთრი ღამეების პერიოდი იდგა. მდინარე ნევის სანაპირო ბაღების დიდრონ და მწვანე, უხვი ფოთლებით შემოსილ ხეებს მდინარიდან მონაბერი გრილი ნიავი აშრიალებდა. ქუჩაშიც ნაკლები ხალხი იყო.

ლენინგრადში ახალჩასული ვალერიან კალატოზიშვილი ნევის სანაპიროს გასწვრივ, ალექსანდრეს ბაღის სკვერში მდგარ ერთ-ერთ ხეს ზურგით მიყრდნობოდა. იგი მდინარეში ნაპირთან გაჩერებულ პატარა გემს გაჰყურებდა და ფიქრობდა, როგორ უფრო ადვილი იქნებოდა საბჭოთა საზღვრის გადაკვეთა, რომ უცხოეთში გადასულიყო. მთავარი საზღვრის გადაკვეთა იყო, შემდეგ საფრანგეთში მოხვედრა უკვე გაცილებით ადვილი საქმე გახლდათ.

საბჭოთა საზღვრის გადაკვეთის ერთ-ერთი გზა იყო ლენინგრადიდან ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით გასული რომელიმე მატარებლით წასვლა. ვალერიანს საზღვრის გადაკვეთა დოკუმენტებით, ოფიციალურად, არ შეეძლო, ამიტომ მატარებელში უნდა დამალულიყო. ეს კი ძალიან რთული საქმე იყო. საბჭოთა მესაზღვრეები მთელ მატარებელს დიდი ყურადღებით ამოწმებდნენ.

მეორე გზა ის იყო, რომ ლენინგრადის პორტში მისულიყო, ღამით რომელიმე უცხო ქვეყნის დიდ სატვირთო გემზე შეპარულიყო, იქ დამალულიყო და დალოდებოდა გემის გასვლას, თუმცა გარკვეული რისკი არსებობდა. პორტს შეიარაღებული დაცვა აკონტროლებდა.

მესამე გზა ნაკლებ სახიფათო იყო – ღამით, ტყე-ტყე სიარულით, ფეხით გადაელახა ბალტიისპირეთის რომელიმე ქვეყანის საზღვარი. ამ ქვეყნებამდე – ფინეთი იქნებოდა, ესტონეთი, ლიტვა თუ ლატვია, სულ რამდენიმე საათის სავალი იყო ლენინგრადიდან.

ამ ფიქრებში იყო ვალერიანი, როდესაც რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა შემოესმა. გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა და შეამჩნია, რომ სასტუმრო „ასტორიის“ მხრიდან ქუჩას სამი ფორმიანი ადამიანი კვეთდა. წინ მიმავალ ორ კაცს მეზღვაურის უცნაური ფორმა ეცვა, უცხოელებს წააგავდნენ. ასაკით უფროსს ხელში ტყავის ჩანთა ეჭირა. მეზღვაურებს უკან მიჰყვებოდა საბჭოთაფორმიანი მილიციელი. მათ ალექსანდრეს ბაღის სკვერი ისე გადაკვეთეს, რომ ხეზე ზურგით მიყრდნობილი ვალერიანი არ შეუმჩნევიათ და მდინარის ნაპირთან მდგარი გემისაკენ გაემართნენ.

ოდნავ მოშორებით ნახევრად დახურული, ძველი სატვირთო მანქანა იდგა, რომლის გვერდით ვიღაც ქუდით სახედაფარული კაცი სკვერის ბალახს ფოცხით ზანტად ასუფთავებდა და, პერიოდულად, მოგროვებულ ნაგავს მანქანის ძარაზე შეაგდებდა ხოლმე.

როდესაც სამმა ფორმიანმა კაცმა ალექსანდრეს ბაღი გადაკვეთა, შორიახლოს მდგარი სატვირთო მანქანა ჩაირთო და სწრაფად, დიდი სიჩქარით მათკენ წამოვიდა. ფორმიანმა კაცებმა ძლივს მოასწრეს გვერდზე სწრაფად გადახტომა, მანქანამ სულ რაღაც სანტიმეტრებში ჩაუქროლა მათ. სატვირთო მანქანამ ოდნავ გვერდით გადაუხვია, ისე, რომ გემისაკენ გასავალი გზა გადაეკეტა და გაჩერდა. მანქანის მარჯვენა კარი გაიღო, იქიდან გადმოსულმა კაცმა საბჭოთა მილიციელს ძველებური მაუზერის რევოლვერი ესროლა და შუბლგახვრეტილი მილიციელი ისე დაეცა ძირს, რომ იარაღის ამოღებაც კი ვერ მოასწრო.

მაუზერიანმა კაცმა გემის კაპიტანს დაუყვირა, ჩანთა მომეციო, და მაუზერის შეტრიალებაც ვეღარ მოასწრო მისკენ, ისე სწრაფად მოხდა შემდეგ ყველაფერი. ადგილიდან კლდესავით მოწყვეტილი ახოვანი რაიმონდსი უცებ მთელი ძალით დაეძგერა იმ კაცს და ისეთი ძალით შემოჰკრა ყბაში ორივე მუშტი, დიდი ხის მოჭრისას მძიმე ცულს რომ დაჰკრავენ ხოლმე ხეს გვერდულად, მთელი ძალ-ღონით.

მაუზერიანი კაცი თავის იარაღიანად მდინარისაკენ გაფრინდა და წყალში გადავარდა, მაგრამ ტყვიის გასროლა მაინც მოასწრო. კაპიტანმა შეჰყვირა და ძირს დაეცა. რაიმონდსი მისკენ დაიხარა. კაპიტანს ბარძაყში მოხვედროდა ტყვია, მაგრამ ჭრილობა საშიში არ იყო. უცებ სატვირთო მანქანის ნახევრად გადახურული ძარიდან ოთხი კაცი გადმოხტა, დანებით ხელში. ძირს დაცემულმა კაპიტანმა ტყავის ჩანთა რაიმონდსს მისცა.

რაიმონდსი ტყავის ჩანთითა და მუშტით იგერიებდა ოთხ დანით შეიარაღებულ ბანდიტს. ერთი მძარცველი ძირს დასცა დარეტიანებული, ისეთი ძალით დაჰკრა თავში ტყავის მძიმე ჩანთა. ერთ-ერთმა მათგანმა დანით მკლავში დაჭრა რაიმონდსი.

ვალერიანმა შეამჩნია, რომ სკვერის დამსუფთავებელი კაცი სადღაც გამქრალიყო, მიტოვებული ფოცხი კი იქვე ეგდო. ახლომახლო სხვა არავინ იყო. ვალერიანმა სწრაფად სტაცა ხელი ხის სქელტარიან და რკინისკბილებიან ფოცხს, მოჩხუბრებთან მიირბინა და ახალგაზრდა მეზღვაურს გვერდით დაუდგა. მძარცველები მაინც არ ეშვებოდნენ რაიმონდსს, კვლავ ჩანთას ითხოვდნენ. მათ იცოდნენ, რომ შიგ დიდი ფული იდო. ამასობაში ტყავის ჩანთით დარეტიანებულმა წაქცეულმა ბანდიტმა წამოდგომა დააპირა. ვალერიანმა რკინისკბილებიანი ფოცხი დაუშვა მის თავზე, მძარცველი ისევ ძირს დაენარცხა და დანა გაუვარდა ხელიდან. ვალერიანმა ფოცხით დანა რაიმონდსს მიუგდო. რაიმონდსმა დანა სწრაფად აიღო და ვალერიანს გასძახა:

– ვინა ხარ?

– ქართველი, – უპასუხა ვალერიანმა.

– ვინ ქართველი?

– ჩვეულებრივი ქართველი.

რაიმონდსმა თავისი გრძელი ხელით უცებ ჩანთა ფარივით წინ გასწია და დაიყვირა:

– ქართველო, წინ!

ერთ ბანდიტს რაიმონდსის დანა მოხვდა მკლავში, მეორე ბანდიტს კი – ფოცხი შუბლში. ამასობასობაში, იარაღის სროლის ხმაზე გემზე მეზღვაურები აიშალნენ და კაპიტნის დასახმარებლად გამოიქცნენ. მძარცველებმა რომ დაინახეს ამდენი ხალხი, რაიმონდსს მოეშვნენ, სკვერში შეცვივდნენ და მიიმალნენ. მეზღვაურებმა დაჭრილი კაპიტანი ხელში აიტაცეს. რაიმონდსმა კი ვალერიანს ჰკითხა:

– ქართველო, ახლა რას იზამ?

– წამოგყვებით. საფრანგეთში მივდივარ, – მიუგო ვალერიანმა.

რაიმონდსმა ხელი დაუქნია თანხმობის ნიშნად, ყველანი ერთად სწრაფად ავიდნენ გემზე და მალევე გემი მდინარიდან ზღვის მიმართულებით დაიძრა. გემის ექიმმა ჭრილობები გადა-

უხვია კაპიტანს და რაიმონდსს. საბედნიეროდ, კაპიტნის ჭრილობა მძიმე არ იყო. გამჭოლმა ტყვიამ ბარძაყში გაიარა.

მდინარე ნევიდან ბალტიის ზღაში გასვლის წინ, გემი მესაზღვრეთა პატრულმა გააჩერა. ისინი გემზე გადმოვიდნენ და კაპიტანს მოახსენეს, რაც მათ ტელეფონით შეატყობინეს. თქვენ თავს დაგესხათ ეგრეთ წოდებული „პიტერსკის ბანდების“ ერთ-ერთი შაიკა; გადაცმული მეეზოვე სასტუმრო „ასტორიის“ ურიკების მტვირთავი აღმოჩნდა, რომელმაც უჩვენა ბანდიტებს თქვენი თავი, იგი მათი ინფორმატორი იყო. როდესაც სროლების ხმა გაისმა, სასტუმროს დაცვის მილიცია სასწრაფოდ თქვენკენ გამოეშურა, მათ აიყვანეს და დააპატიმრეს სკვერში თავშეფარებული მთელი ბანდა და, მათ შორის, ბანდის უფროსი, ვოვკა „პიტერსკი“, რომელიც ძლივს ამოუყვანიათ მდინარიდან გაბრუებული. თქვენ კი ვეღარ მოგისწროთ მილიციამ, რათა მადლობა გადაეხადა თქვენთვის, დანაშაულებრივი ბანდის ლიკვიდაციის საქმეში აქტიური დახმარებისათვის. თქვენ მალევე გასულხართ სანაპიროდან. გთხოვთ დაბრუნდეთ უკან, რათა საავადმყოფოში ექიმებმა სათანადო დახმარება გაგიწიონ.

კაპიტანმა კატეგორიული უარი განუცხადა მესაზღვრეებს გემის უკან შებრუნებაზე. მცირე პაუზის შემდეგ მესაზღვრემ პირდაპირ ჰკითხა კაპიტანს, ქართველი სად არისო; კაპიტანმა მხრები აიჩეჩა და მიუგო, არ მესმის, რას მეკითხებითო. მესაზღვრემ კაპიტანს მიუგო, დაპატიმრებულმა ბანდიტებმა თქვეს, რომ თქვენ ვიღაც ქართველი ახალგაზრდა გეხმარებოდათ, რომელიც შემდეგ თქვენს გემზე ასულაო. კაპიტანმა თავი გააქნია, მე არაფერი ვიციო.

მესაზღვრეებმა გემის კაპიტანს შვიდკაციანი ეკიპაჟის მეზღვაურთა შემადგენლობის სია მოსთხოვეს და სათითაოდ შეამოწმეს შვიდივე. შემდეგ მესაზღვრე მერვე მამაკაცს მიუახლოვდა.

საბჭოთა მესაზღვრემ ყურადღებით შეათვალიერა შავქოჩორიანი და თხელულვაშიანი ახალგაზრდა, რომელსაც მეზღვაურის ქურთუკი გადაეცვა და თეთრი, ქერათმიანი ბალტიისპირელი მაზღვაურებისაგან ძალიან განსხვავდებოდა. მესაზღვრემ დოკუმენტი მოსთხოვა ვალერიანს. მას ხმა არ ამოუღია. რაიმონდსმა ქართველის მხარდასაჭერად წინ წაიწია და რაღაცის თქმა დააპირა. მესაზღვრეებმა იარაღი ამოიღეს. ერთ-ერთმა რაიმონდსს მკაცრად უთხრა, შეჩერდით ეს თქვენ არ გეხებათო; შემდეგ ვალერიანს მიუახლოვდა და მისი უბის ჯიბიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ამოიღო.

მესაზღვრემ დოკუმენტი გადაშალა და ხმამაღლა წაკითხვისას ცინიკურად დამარცვლა – ვალერიან კალატოზიშვილი. მესაზღვრეებმა ვალერიანი სავაჭრო გემიდან თავიანთ გემზე გადასვეს და იმავე ღამეს ლენინგრადის შინაგან საქმეთა სპეციალური განყოფილების იზოლატორში გადაიყვანეს.

ვალერიანმა იცოდა, რომ ჩეკისტები თბილისს დაუკავშირდებოდნენ და ყველაფერს გადაამოწმებდნენ, ამიტომ დაკითხვისას მას არაფერი დაუმალავს და სრული სიმართლე განაცხადა: ვინაიდან იგი სამშობლოს მტრის შვილად იყო შერაცხული, ამიტომ მას საბჭოთა კავშირში არავითარი მომავალი ცხოვრებაში აღარ ექნებოდა; პირიქით, შეიძლება უდანაშაულოდ დაეხვრიტათ კიდეც, ამიტომ გადაწყვიტა, წასულიყო საფრანგეთში, თავის ნათესავებთან. ამ მიზნით ლენინგრადში ჩავიდა. რაც შეეხება სანაპიროზე მომხდარ შემთხვევას, მან ვერ მოითმინა, რომ დანებით შეიარაღებული ოთხი ბანდიტი ებრძოდა ერთ უიარაღო ადამიანს, ამიტომაც, კაცური ღირსების გამო, დაეხმარა უიარაღო მეზღვაურს. ეს იყო და ეს. გამომძიებელს უთხრა აგრეთვე ისიც, რომ, ფაქტობრივად, მას ჯერ დანაშაული არც კი ჩაუდენია; უბრალოდ, ვერ მოასწრო დანაშაულის ჩადენა, იმიტომ, რომ თავის მიზანს ვერ მიაღწია, საფრანგეთში არ გადასულა და არც საბჭოთა კავშირის საზღვარი გადაულახავს.

რეალურად, მან თავისი სურვილი და ოცნება ვერ განახორციელა. ოცნება ოცნებად დარჩა. ამიტომ უაზრობა და აბსურდია, დაისაჯოს ადამიანი მხოლოდ ოცნების გამო.

მკაცრი გამომძიებელი თვალის დაუხამხამებლად, დაბღვერილი უსმენდა ვალერიანს, შემდეგ წამოდგა და შეეკითხა:

– სტუდენტი ხარ?

– კი, საინჟინროზე ვსწავლობ.

– გეტყობა. სწორედ შენნაირი განათლებული ადამიანები არიან საშიში ჩვენი ქვეყნისთვის.

– განათლება ხომ კომუნისტური პარტიის მთავარი კურსია?

– დიახ, ჩვენი პარტიის მთავარი კურსია, მაგრამ არა შენნაირი ბურჟუაზიული განათლება, არამედ პროლეტარული განათლება! – შეჰყვირა გაბრაზებულმა გამომძიებელმა.

– ამხანაგო გამომძიებელო, მე თქვენ ბანდიტთა ჯგუფის ლიკვიდაციაში დაგეხმარეთ, სხვა არაფერი ჩამიდენია. ოცნების უფლება ყველას აქვს და ოცნების გამო უნდა დამსაჯოთ? გთხოვთ, გამიშვათ, გუშინ ჩამოვედი მატარებლით თბილისიდან ლენინგრადში. მთელი ღამეც აქ, თქვენთან გავატარე, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია.

გამომძიებელმა მთელი ძალით დაჰკრა მუშტი მაგიდას და შეჰყვირა:

– სისხლის სამართლის კოდექსში ოცნებებზე არაფერი წერია, რაც შენ ჩაიდინე, კანონიერად ამას ჰქვია „დაკავებულია საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობისას“, რაც ექვემდებარება სახელმწიფო ღალატის მუხლს და დასჯა განისაზღვრება უმაღლესი სასჯელით – დახვრეტით!

ვალერიანმა თავი ოდნავ ძირს დახარა და გაჩუმდა. იგი მიხვდა, რომ მის წინ იდგა რიგითი ჩეკისტი, რომელიც ყოველდღიურად ათეულობით ადამიანის სიცოცხლეს ანად-გურებდა, ამიტომ მასთან ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა.

სასამართლო პროცესი ორი თვის შემდეგ გაიმართა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მთავარი სახელმწიფო ბრალმდებლის მგზნებარე გამოსვლა, რომელმაც ხალხის მტრების შვილისა და ბურჟუაზიულად აღზრდილი, სამშობლოს მოღალატე სტუდენტის, ვალერიან კალატოზიშვილის ნათელ მაგალითზე ვრცელი მიმოხილვა გააკეთა, თუ რა ზიანი მოაქვთ კლასობრივ ბრძოლაში დამპალი და გახრწნილი ბურჟუაზიის ელემენტებს და როგორ უშლიან ისინი ხელს სოციალისტური საზოგადოების ნათელი მომავლის აღმშენებლობით საქმიანობას.

სახელმწიფო ბრალმდებელი თავის ერთსაათიან გამოსვლაში სულ არ ფიქრობდა ახალგაზ-რდა ქართველ სტუდენტზე. ორატორულ ექსტაზში შესულს, მას ვალერიანი აღარც კი ახსოვდა. იგი უფრო თავისი თავის დემონსტრირებას ახდენდა, თუ რა ღრმად და საფუძვლიანად ერკვეოდა კომუნისტური იდეოლოგიის ფუნდამენტურ დოგმებში და რა უერთგულესი, რა მებრძოლი სულისკვეთების მქონე და რა დიდი დამცველი ჰყავდა მისი სახით პარტიას – დამცველი, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სანამ პირში სული ედგა, კბილებით დაიცავდა და მუდმივ სადარაჯოზე დაუდგებოდა მშობლიურ, საყვარელ და მარად ხალხზე მზრუნველ კომუნისტურ პარტიას, რომელსაც კალატოზიშვილის მსგავსი ადამიანები ძირს უთხრიან და ქვეყნისთვის მავნებლურ, პარაზიტულ საქმიანობას ეწევიან. „ამიტომ ყველა ისინი ცოფიანი ძაღლებივით უნდა მოვსპოთ და გავანადგუროთ! დავხვრიტოთ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ ისინი, როგორც კლასი, სოციალისტური საზოგადოებიდან!“

ამ ბოლო სიტყვებს მთავარი ბრალმდებელი კი არ ამბობდა, არამედ გაჰყვიროდა, თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდა, დორბლებს აფრქვევდა, აღმაფრენაში მყოფი მუშტებს მაღლა ჰაერში იქნევდა და სადაცაა ტრიბუნიდან გადმოვარდებოდა. ის ადამიანს აღარ ჰგავდა, გაცოფებულ დობერმანს უფრო წააგავდა (ბოდიშს ვიხდი ძაღლის წინაშე).

ბრალმდებელმა დაამთავრა თავისი მგზნებარე გამოსვლა და როგორც შექსპირის დრამაში მთავარი გმირის როლის შემსრულებელი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თვალს გადაავლებს ხოლმე დარბაზს ოვაციების მოლოდინში, ისე გადახედა დარბაზს.

უცებ იქუხა სასამართლო დარბაზმა. ფეხზე წამომდგარი ხალხი ტაშს უკრავდა და ერთხმად გაჰყვიროდა – სიკვდილი კლასობრივ მტერს! შორს ბურჟუაზია!

ვალერიანი დასაწყისიდანვე გაკვირვებული შესცქეროდა სასამართლო პროცესს, რომელიც სპექტაკლს უფრო წააგავდა. ის განსაკუთრებით მოიხიბლა მთავარი ბრალმდებელის გამოსვლით, რომელიც წმინდა წყლის გიჟს უფრო წააგავდა, ვიდრე დიდ „პადხალიმ“ კარიერისტს. ხალხის აღფრთოვანებულმა ოვაციებმა კი ვალერიანი ერთობ განაცვიფრა. იგი შეჰყურებდა ყოველივე ამას და ფიქრობდა, ნუთუ ესენი არიან ახალი ცხოვრებისა და ახალი ქვეყნის აღმშენებლები, ნუთუ ბრალმდებლის მსგავსი სულელები და ტაშის დამკვრელი ეს უტვინო, უაზრო ბრბო შექმნის ახალ სამყაროს? რევოლუციის დედაქალაქში თუ ასეთი ნახირია თავშეყრილი, ამხელა რუსეთის პროვინციებში ხომ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იქნება? არა, ამათ მომავალი არ უწერიათო. ამგვარად ფიქრობდა ვალერიანი, როდესაც მოსამართლის სიტყვებმა გამოაფხიზლა. მოსამართლე ბრალდებულს საბოლოო სიტყვას სთხოვდა.

ვალერიანი წამოდგა, გადახედა დარბაზში მსხდომ ცუდად ჩაცმულ, დაუბანელ, გაუბედურებულ და დამშეულ მასას, გაიღიმა თავაზიანად და წარმოთქვა:

– უდიდეს ბედნიერებას ვინც ვერ ეზიარა იმის გამო, რომ თურმე მე დავიბადე ამქვეყნად, დიდ ბოდიშს ვუხდი ყველას, პირადად.

თქვა ეს ვალერიანმა და დაჯდა. დარბაზში მსხდომი ხალხი ვერ მიხვდა მისი სიტყვების შინაარსს. ორი თითი სიმაღლეში კიდევ აკლდა მათ შუბლებს, რათა გაეგოთ ამ სიტყვების აზრი. მხოლოდ მოხუცი მოსამართლე, მეფისდროინდელი ძველი კადრი მიხვდა მისი სიტყვების ირონიას. მოსამართლემ დარბაზს გადახედა და შეატყო, რომ ხალხი ცდილობდა გაეგო, რა თქვა ბრალდებულმა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მათ თავები ცარიელი ჰქონდათ. ბრალმდებელი ვალერიანის დახვრეტას ითხოვდა.

მოსამართლემ მყისიერი მზერა შეავლო სკამზე მშვიდად მჯდარ ქართველ სტუდენტს და განაჩენის გამოსატანად მაშინვე შესვენება გამოაცხადა.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, განაჩენი ასეთი იყო: „სასამართლომ გაითვალისწინა ვალერიან კალატოზიშვილის აქტიური წვლილი ბანდიტური დაჯგუფების განადგურების საქმეში, ამიტომ სამშობლოს ღალატისათვის გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა, შეეცვალა 25-წლიანი თავისუფლების აღკვეთით, შრომა-გასწორების კოლონიაში“.

მალევე ვალერიანი მოსკოვში, „ბუტირსკის“ ციხეში გადაიყვანეს, სადაც მანამდე იქნებოდა, სანამ სხვა პატიმრებსაც მოაგროვებდნენ და შემდეგ ყველას ერთად ეტაპით, მატარებლებით ციმბირში გადაგზავნიდნენ.

IX

საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში მალემსრბოლი მივიდა. ჭენებით გახვითქული მარქაფი ცხენი მან დიდებული სვეტიცხოვლის კარიბჭესთან მიაგდო, ტაძარში შევიდა და მოძღვარს აცნობა, რომ მეფე ბაგრატის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი იყო და შეხვედრას თხოულობდა მის უწმინდესობასთან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის, კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციაში მოციმციმე თაფლის სანთლები თითქოსდა ცხოველმყოფელ იერსახეს აძლევდნენ მოოქროვილი

შანდლების წინ დაკიდებულ მოვარაყებულ წმინდა ხატებს. საქართველოს მღვდელ-მთავარმა, საქვეყნოდ ცნობილმა იოანე V ოქროპირიმა მიიღო მეფე ბაგრატის შიკრიკი, რომელმაც მას აცნობა, რომ მეფე დიდი ლაშქრით ლიხნს გადმოვიდა და მისი უდიდებულესობა სთხოვდა მის უწმინდესობას, დაელოცა თბილისისაკენ მომავალი ქართველთა სპა-ჯარი.

უწმინდესმა მღვდელმთავარმა მეფე ბაგრატს პასუხი შეუთვალა. იგი აუწყებდა მეფეს, რომ ქალაქ თბილისის შესასვლელში, დიღმის ველზე, უფლის შეწევნით კათალიკოს-პატრიარქი დიდ საეკლესიო პარაკლისს გადაიხდიდა და წირვა-ლოცვას აღავლენდა ღვთით მირონ-ცხებული გვირგვინოსანი მეფისა და ქართული ლაშქრის დასალოცავად; მამაზეციერს კი შესთხოვდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მფარველობასა და გადარჩენას.

განსაკუთრებული, საზეიმო განწყობილება სუფევდა თბილისის შესასვლელ გზაზე: დიღმის ველზე გამოსულიყო ერი და ბერი, დიდებული და მდაბიო, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი. ყველა მოუთმენლად ელოდა მეფე ბაგრატ IV-ისა და ქართველთა ჯარის გამოჩენას. ყოველი მხრიდან ისმოდა საზეიმო ბუკისა და სტვირ-დაფდაფის ხმა.

ჰორიზონტზე მტვერი ავარდა და გამოჩნდა ქართველთა ლაშქარი. ათასობით ცხენის ფლოქვების თქარათქური, მებრძოლთა აბჯარ-მუზარადის ჟღარუნი მიწას აზანზარებდა და ჰაერს არხევდა. ქართველთა ლაშქარს წინ მოუძღოდა თეთრ რაშზე ამხედრებული საქართველოს გვირგვინოსანი მეფე ბაგრატ IV. ძვირფასი საბრძოლო აბჯარ-მუზარადით შემოსილ მეფეს ბეჭებზე ნახევრად მოსხმული ჰქონდა ოქრო-სირმით გაწყობილი ძოწისფერი ძვირფასი ბისონი. მას აქეთ-იქიდან ცხენდაცხენ ამოსდგომოდნენ ქართველთა ჯარის აბჯარასხმული სარდლები და ოქროსბუნიკიანი სამეფო ძლევამოსილი დროშებით მორთულ-აღჭურვილი მედროშენი.

მეფიონის მოახლოებისას წინ წარსდგა ყოვლად უწმინდესი და უნეტარესი, თავისი მრავალრიცხოვანი საეკლესიო ამალით. გაისმა ზარის შემოკვრის ხმა და საეკლესიო ზანზალაკების ჟღარუნი. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, იოანე V ოქროპირი, მოუთმენლად ელოდა მეფის ხილვას. დიდი ხანია, რაც მღვდელთმთავარს არ ენახა მუდმივ ბრძოლებსა და სამოქალაქო ომებში ჩაბმული ბაგრატი.

მოახლოებული მეფე ცხენიდან ჩამოქვეითდა. იგივე გააკეთეს ჯარის სარდლებმა და სამეფო ამალის დიდებულმა ერისთავებმა. ბაგრატის მამის, მეფე გიორგი I-ის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, დროთა განმავლობაში, როგორც ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ასწავლა, ბაგრატმა ბრმად მინდობა დაკარგა თითქმის ყველას მიმართ. ერთადერთი, ვისაც ბაგრატი ენდობოდა და ვის მიმართაც დიდი პატივისცემა გააჩნდა, იყო ღვთისმოსავი და უწმინდესი იოანე V. გაღიმებული ბაგრატი მოწიწებით მიუახლოვდა მღვდელმთავარს. ცვილისფრად გაფითრებულ ღვთისნიერ სახეზე პატრიარქს მამობრივი მზრუნველობა გამოესახა. საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული უწმინდესის ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ, ეპისკოპოსებს მაღლა აღემართათ ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი და ოქროს ვარაყში ჩასმული ღვთისმშობლის ხატი.

მუხლმოკეცილმა მეფემ პირჯვარი გადაიწერა, ემთხვია ლუსკუმიდან ამოღებულ ძლევამოსილ წმინდა ჯვარსა და ხატს, შემდეგ კი ქედმოდრეკილი ბაგრატი კრძალვითა და სასოებით მხარზე ეამბორა პატრიარქს.

იოანე ოქროპირს თვალები აუწყლიანდა, მხარზე ხელი დაადო და მამობრივი სითბოთი მიმართა ბაგრატს:

– შვილო ჩემო, უფალი იყოს მუდამდღე შენი მფარველი!

ამის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქმა დიდი საღვთო პარაკლისი გადაიხადა დიღმის ველზე. საეკლესიო წირვა-ლოცვას ათასობით ადამიანი ესწრებოდა. იოანე ოქროპირი, სულის ამამაღლებელი წრფელი ლოცვა-კურთხევით, აღავლენდა წირვასა და მირონის გაღებას. ირგვლივ ანთებული კელაპტრები ციალებდა. მღვდელთა, ბერ-მონაზონთა, დეკანოზთა და ეპისკოპოსთა ერთობლივი ქოროს გალობა უფლის მოწყალე კალთასავით ეფინებოდა გულ-მხურვალე ლოცვანს.

სრულიად საქართველოს მღვდელმთავარმა სამჯერ პირჯვარი გადასახა ქართველთა მუხლმოდრეკილ ლაშქარს. წმინდა ზიარებამიღებული და ათას ცეცხლში გამოვლილი ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელმაც ქართველი ერი სულის წაწყმედისაგან იხსნა, ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან ერთად წინ წარუძღვებოდა ქართველთა მხედ-რობას ურჯულოებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

უწმინდესმა ლაშქრის დალოცვა და ლიტურგია მაცხოვრის სიტყვებით დაასრულა: „რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყდნენ! უფალი იყოს თქვენი მფარველი!“

მეფე ბაგრატს დიდი ხანია, აღარ ენახა თავისი ერი ასე გამთლიანებული, ასეთ საზეიმო ვითარებაში. იმედით აღვსილი მეფე კვლავ სიყვარულით გადაეხვია მღვდელმთავარს. ძელს შემოჰკრეს და მეფიონი ტაძრეულით ქალაქისაკენ დაიძრა, სამეფო სეფე-დროშისა და სხვა ოქროსბუნიკიანი დროშების ნელი ტორტმანით.

ქართველთა ჯარს თბილისის მოსახლეობაც თან მიჰყვებოდა. დამხვედრი ხალხი მეფეს ფიანდაზს უფენდა. იდგა დიდი მხიარულება, ზარ-ზეიმი და აღფრთოვანებული ხალხის საერთო სიხარული. მთელი თბილისის მოსახლეობა აღტაცებული ხვდებოდა მეფეს ეკლესიათა ზარების საზეიმო გუგუნის ხმაზე. ეს გასაგებიც იყო. არაბების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ, მთელი 400 წელი, თბილისს არაბი ამირა მართავდა. მართალია, არაბეთის ხალიფატის ძლიერება, დიდი ხანია, გამქრალიყო, და არაბთა ბოლო შემოსევაც საქართველოში 914 წელს მოხდა, მაგრამ 400 წლის წინ არაბების მიერ დაპყრობილ თბილისში სარკინოზთა ძლიერი გარნიზონი იდგა და თბილისი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად იყო ქცეული.

ქალაქის კარიბჭესთან მეფეს მიართვეს ქალაქის ციხესიმაგრეთა კლიტე-გასაღებები და ბაგრატ IV დიდი ზარ-ზეიმით შევიდა ერთიანი საქართველოს დედაქალაქ თბილისში. თბილისის ყველა ციხე და გოდოლი მეფემ პირადად ჩაიბარა, შიგ ჯარები ჩააყენა და თვითონ დაიკავა ბრწყინვალე დარბაზებით გაწყობილი სამეფო სრა-სასახლე. მხოლოდ ისანი არ დაემორჩილა ბაგრატს. სარკინოზებმა მდინარე მტკვარზე ხიდი ჩაანგრიეს და მდინარის მეორე მხარეს გადასული არაბები ისნის ციხეში გამაგრდნენ. ქართველთა ჯარმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში ციხეზე. ისნის ციხე მტკიცედ იდგა და არ ნებდებოდა.

ბაგრატმა ლოდსატყორცნი და კედლის დამანგრეველი ტარანტები მიუყენა ციხის მკვიდრბურჯებიან, მტკიცე და მაღალ კედლებს. მაღლივი გრძელი კიბეებითაც რამდენჯერმე დალაშქრა ციხის კედლები ქართველთა ჯარმა მშვილდოსან-მოისართა უხშირესი მერეხის თანხლებით, მაგრამ ციხე მაინც მტკიცედ იდგა.

ბაგრატმა ისნის ციხეს ალყა შემოარტყა და ლოდინი დაიწყო, სანამ დამშეული და მწყურვალი სარკინოზები ქართველ მეფეს ციხეს თავისი ნებით არ ჩააბარებდნენ.

ერთ დროს მთლიანად ქალაქი თბილისი, ბუნებრივი მთიანი ლანდშაფტისა და უძლი-ერესი ციხესიმაგრეების წყალობით, მტრისაგან აუღებელ ციხე-ქალაქად ითვლებოდა, თუ ღალატით ციხე შიგნიდან არ გატყდებოდა. ისნის, შურის – ნარიყალას, სოლოლაკის ციხეე-ბითა და თაბორ-თრიალეთის ქედებზე აღმართული ციტადელ-სიმაგრეების ფორტიფიკაცი-ებით გამაგრებული ქალაქი მტრისათვის შეუვალი იყო. შიგ ქალაქში მუდმივად ჰქონდათ სასმელი წყალი და საკვები. ბევრჯერ ქალაქის კედლებთან მიმდგარი უამრავი მტერი ამა-

ოდ დალოდებია ალყაშემორტყმული ქალაქის დაცემას და ერთი წლის შემდეგ ალყა მოუხსნია და თბილისი დაუტოვებია. ციხე შიგნიდან ტყდებაო, ნათქვამია და ხშირად გამყიდველები ქალაქის კარებს შიგნიდან უხსნიდნენ მტერს.

ისნის ციხე მთელი ქალაქი არ იყო, ის მხოლოდ ერთი ციხე იყო და, ადრე თუ გვიან, ბაგრატს ციხე დანებდებოდა. ზაფხული გავიდა. ციხე კვლავ იდგა. გაჭიანურდა ისნის აღება. მეფე ბანაკად იმყოფებოდა სამეფო კარავში.

– მალემსრბოლმა ცუდი ამბავი მოიტანა, დიდო მეფეო, – უთხრა ერთ დღეს შეშფოთებულმა და ფრიად დამწუხრებულმა მანდატურთუხუცესმა ბაგრატს. – ლიპარიტ ბაღვაშს მოტყუებით, ვითომდა მეფე ბაგრატის დავალებით, თათბირად შეუყრია მეფის ერთგული ერისთავები: ტაო-კლარჯელი იოვანე აბუსერისძე, გრიგოლ არტანუჯელი, ივანე სვანთა ერისთავი, სულა კალმახელი, ივანე დადიანი, გვარამ გოდერძის ძე, და ისინი ღალატით დაუტყვევებია. ერისთავთა – ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელის – მოღალატეობით კი, სამხრეთის ტერიტორიებს კვლავ ბიზანტია დაპატრონებია. ამის გარდა, მესხები და კახელები განდგომიან ბაგრატს და ლიპარიტის მხარე დაუჭერიათ.

საშინელმა ღალატმა თავზარი დასცა ღირსებაშელახულ მეფეს. თავზეხელაღებული და გაზულუქებული დიდებულები ოცდამეცხრე წელში გადამდგარ მეფეს ისევე ექცეოდნენ, როგორც პატარა ბავშვს, როდესაც, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, 9 წლის ბაგრატს სამეფო გვირგვინი დაადგეს თავზე და დიდებულები ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ. კლდეკარის მრისხანე ერისთავი, ლიპარიტ ბაღვაში, მეფის აღმზრდელი იყო და 20 წლის გასვლის შემდეგაც მას ჯერ კიდევ ვერ გაეთავისებინა, რომ მეფე მეფეა! და, რომ, აღმზრდელყოფილი კი ტახტის მონა-მორჩილი და მსახური უნდა იყოს მეფისა. შეურაცხყოფილი მეფის ძარღვებში ბაგრატიონთა სისხლი აჩქეფდა და ადუღდა. ბაგრატის თვალებში საზარელი რისხვის ცეცხლმა გაიელვა და უცებ მეხის გავარდნასავით დაიქუხა მისმა ძლიერმა ხმამ:

– ვითარცა მაცხოვარი გაყიდა 30 ვერცხლად მისმა ნამოწაფარმა, ისევე გამყიდა ნამოწაფარი აღმზრდელმა ჩემმა, ლიპარიტმა! ღვთიური რისხვა არ ასცდება და იუდას ცრემლები აღარ უშველის არც ერთ სულწაწყმედილსა და ქვეყნის გამყიდველს!

საშინლად გულშეძრული და შურისძიების რისხვით გამძვინვარებული ბაგრატ მეფე იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და ჯარით ჯავახეთისკენ დაძრულიყო, მაგრამ ნაადრევმა სიცივეებმა და ზამთრის მოახლოებამ ბაგრატს ბრძოლაზე ხელი ააღებინა. მეფე ჯარით გამოზამთრებას დაელოდა ჯავახეთში და სოფელ ღრტილას დაბანაკდა. დროდადრო კი იმჟამინდელ სატახტო ქალაქს, ქუთაისს მიაკითხავდა ხოლმე მცირე სამეფო ამალით, დედოფალ ბორენას მოსანახულებლად და ქვეყნის საქმეების მოსაგვარებლად.

ბიზანტიის კეისრის, კონსტანტინე IX მონომახის დავალებით, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს ახალი შუღლი უნდა ჩამოეგდო საქართველოში მეფესა და დიდებულებს შორის, რათა ქვეყანაში შიდა არეულობა და სამოქალაქო ომი კვლავ გამძაფრებულიყო და ბაგრატ მეფე იძულებული გამხდარიყო, დაეტოვებინა თბილისი. შემდეგში კეისარი კონსტანტინე დიდ ჯარს გამოუგზავნიდა ბიზანტიიდან ლიპარიტს, ჯარს თან გამოაყოლებდა თავისი ხარჭის, დედოფლადყოფილი ალანელი ალდეს შვილს, უფლისწულ დემეტრეს, ბაგრატის ნახევარძმას, რომელიც შეცვლიდა ბაგრატს საქართველოს სამეფო ტახტზე. ამგვარად, ბიზანტიის კეისრის, კონსტანტინეს გეგმა საქართველოს დასაპყრობად განხორციელებული იქნებოდა. იგი საქართველოს ან მთლიანად გადაყლაპავდა, ან კი ლუკმა-ლუკმა შეძლებდა მის გადასანსვლას. სრულდებოდა 1046 წელი.

X

გიორგი ჭანტურიძემ წერილი მიიღო რიგიდან. მისი ომში გადამრჩენელი მეგობარი რაიმონდს კალნინში ცოლის მოყვანას აპირებდა და გიორგი თავისი მეუღლითურთ ქორწილში იყო დაპატიჟებული.

ჯერ კიდევ ლენინგრადში ყოფნის დროს, უმაღლეს საფინანსო კურსებზე სწავლის პერიოდში, ჩავიდა გიორგი ლატვიაში და მოძებნა რაიმონდსი. იგი ხან რიგაში, ხან კი ლიეპაიაში ცხოვრობდა. დიდად გაიხარეს ძველმა მეგობრებმა ერთმანეთის ნახვით; გაიხსენეს ომისდროინდელი ამბები, თუ როგორ მკურნალობდნენ რაიმონდსი და აწ გარდაცვლილი მისი დედა მძიმედ დაჭრილ გიორგის ქალაქგარეთ, პატარა სააგარაკო სახლში.

რაიმონდსი მცირე საზღვაო გემის კაპიტანი იყო და ბალტიის ზღვაში თევზს იჭერდა. ვარანგთა წარმომავლობის მისი წინაპრები ოდესღაც შვედეთიდან ლატვიაში გადასულან საცხოვრებლად და დამკვიდრებულან ზღვისპირა საპორტო ქალაქ ლიეპაიაში (ლიბავა), სადაც ზღვა არასოდეს იყინებოდა. ერთ დროს რაიმონდსის ბაბუას ქალაქის ბურგომისტრის (მერის) თანამდებობისთვისაც მიუღწევია.

ომისშემდგომი პირველი შეხვედრის შემდეგ გიორგი და რაიმონდსი კიდევ უფრო დამეგობრდნენ. სწავლის პერიოდში გიორგი ტელეფონით შეატყობინებდა ხოლმე რაიმონდსს, ჩამოვდივარო და საჩუქრებით დატვირთული ხშირად ჩადიოდა ლენინგრადიდან ლატვიაში სტუმრად რაიმონდსთან. გიორგის თბილისში დაბრუნების შემდეგ კი მათ ერთმანეთთან დიდი ხნის განმავლობაში ხშირი მიმოწერა ჰქონდათ.

რიგაში გიორგი და მისი მეუღლე ძვირფასი საჩუქრებით ჩავიდნენ. რაიმონდსის ქორწილში კარგად მოილხინეს. რაიმონდსი ბედნიერი იყო თავისი ახალგაზრდა, მშვენიერი მეუღლის, ლილიას გვერდით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, ორი წელი იყო გასული, რომ გიორგიმ ლატვიიდან სამწუხარო ამბავი შეიტყო. რაიმონდსსა და ლილიას შეეძინათ გოგონა, რომელსაც სახელად ინდრა დაარქვეს. სამწუხაროდ, დედა მშობიარობას გადაჰყვა, რაიმონდსი კი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო მეტად გულდამძიმებული და დამწუხრებული იყო.

გიორგი მეგობრის გასამხნევებლად რიგაში ჩავიდა. მშვენიერი პატარა გოგონასათვის კი ლამაზი ჩასაცმელები და სათამაშოები ჩაიტანა.

გადიოდა დრო. გიორგი დააწინაურეს – ის დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო-საკონტროლო განყოფილების უფროსად. გიორგი ბედნიერი იყო თავის მეუღლესთან ერთად. ომისშემდგომი რთული წლები დიდი ხნის დასრულებული იყო. საქართველოში შედარებით ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრება დადგა და მოსახლეობამაც, როგორც იქნა, ამოისუნთქა.

ლატვიიდან დიდი ხანი აღარაფერი ისმოდა, მაგრამ ბოლოს გიორგის, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, ლიეპაიადან საშინელი ამბავი შეატყობინეს. წერილს რაიმონდსის კარის მეზობელი ირვასი წერდა, რომელსაც გიორგი კარგად იცნობდა. რაიმონდსთან სტუმრობისას ირვასი ხშირად იყო სუფრასთან მათთან ერთად.

ირვასი გიორგის ატყობინებდა, რომ რაიმონდსი თავისი გემით ზღვაში ძალიან შორს ყოფილა შესული ბადეებით თევზის დასაჭერად; დიდი შტორმი ამოვარდნილა, რომელიც მორევია პატარა საზღვაო გემს. მეზღვაურები ძლიერ შტორმში დაღუპულან და, მათ შორის, რაიმონდსიც. შემდეგ მისი სახლი ქალაქის რაიკომს მიუთვისებია და უდედმამოდ დარჩენილი რაიმონდსის შვილი, პატარა გოგონა ინდრა, რაიკომის დადგენილებით, აღმზრდელი ძიძისთვის ჩამოურთმევიათ და უპატრონო ბავშვთა სახლში ჩაუბარებიათ.

გიორგის სიმწრისაგან გული დაუთუთქა საზარელმა ამბავმა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ნერვიულობისაგან იმაზე ფიქრით, რომ მისი სიცოცხლის გადამრჩენელი, ახოვანი ვაჟკაცი რაიმონდსი, ასე უაზროდ და უდროოდ დაიღუპა. განსაკუთრებით სტკიოდა გული, როდესაც ახსენდებოდა ოქროსფერთმიანი და მწვანეთვალება, ანგელოზის მსგავსი პატარა გოგონა, ინდრა, რომელიც ბავშვთა სახლში უნდა გაზრდილიყო.

გიორგის გულმა ვეღარ მოუთმინა. მან და მისმა მეუღლემ, ელენემ, მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ რაიმონდსის პატარა გოგონა, ინდრა ეშვილებინათ.

ელენეს და გიორგის შვილი არ ჰყავდათ. ზაფხულის დამდეგს ისინი ლატვიაში ჩავიდნენ და ბავშვთა სახლში მივიდნენ. პატარა ინდრას თავისი მშობლები აღარ ახსოვდა. გიორგის დანახვაზე აღმზრდელმა მასწავლებლებმა ბავშვს უთხრეს, აი, მამაშენი მოვიდაო.

ინდრა გაიქცა გიორგისკენ, აცრემლებული ყელზე ჩამოეკიდა და გულაჩუყებულმა წამოიტირა:

– მამა, სად იყავი აქამდე?

გიორგიმ და ელენემ ყველა საჭირო საბუთი სწრაფად გააფორმეს, ინდრა იშვილეს და მრავალ საბავშვო საჩუქართან ერთად, ფრიად გახარებულები და ბედნიერები, საქართველოში დაბრუნდნენ.

XI

კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროს ყველა დიდი ქალაქი მოიარა მთავარმა ინგვარმა, ერთხელ მან ფლოტიც დატოვა ერთ-ერთი სპარსული ქალაქის სანაპიროსთან. ნახევარი რაზმი გემებს სამეთვალყურეოდ მიუჩინა, თვითონ კი ვარანგთა დანარჩენ რაზმთან ერთად ვაჭრების ქარავანს გაჰყვა და ქალაქ რაი-ში (თეირანი) ჩავიდა. სპარსულმა ფუფუნებამ, სხვადასხვანაირი ხილის, საკვებისა და სურნელოვანი სუნელების მრავალფეროვნებამ გააკვირვა ვარანგები. ერთადერთი, რასაც ისინი ვერ იტანდნენ, იყო სამხრეთული პაპანაქება სიცხე და მცხუნვარე მზე. ამას ჩრდილოელი ხალხი ვერ ეგუებოდა.

თეირანიდან თავის ფლოტთან დაბრუნებული ინგვარი სპარსეთიდან ისევ უკან, შირვანის ქალაქ ბაშის მიმართულებით გაემართა. ადრე, როდესაც ვარანგები სპარსეთის მიმართულებით ნაპირ-ნაპირ მიცურავდნენ, მათ დაინახეს, რომ კასპიის ზღვაში წყალუხვი, განიერი მდინარე ჩაედინებოდა, რომელიც ზღვის შესართავთან დიდ დელტას ქმნიდა. ვარანგთა რაზმის იმ მებრძოლებმა, რომლებიც ერთ დროს ბიზანტიაში ჰარალდის გვარდიის წევრები იყვნენ, გაიხსენეს, რომ ტაო-კლარჯეთში, ყოფილი ,,**არიან ქართლის,,** ტერიტორიებზე, სადაც ისინი ბიზანტიის კეისარს, ბასილი II-ს ახლდნენ თან ქართველთა მეფის, გიორგი I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, სათავეს იღებდა მდინარე მტკვარი. იმ ძველ ვარანგ მებრძოლებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ ბიზანტიელთა თქმით, მდინარე მტკვარი მთელ კავკასიას გაივლიდა და შემდეგ კასპიის ზღვაში ჩაედინებოდა.

მთავარმა ინგვარმა მაშინ გადაწყვიტა, რომ ჯერ სპარსეთს მოივლიდა და შემდეგ, უკან დაბრუნებისას, შევიდოდა მდინარე მტკვრის დელტაში; ასეც მოიქცა. ქალაქ ბაშიმდე არმისული, სამხრეთის სანაპიროზე ინგვარის ფლოტი მიადგა მდინარე მტკვრის დელტას. ინგვარმა ცოტა დაისვენა და შემდეგ გადაწყვიტა, რომ დაზიანებული გემები და სხვადასხვა ავადმყოფობისაგან დასუსტებული რამდენიმე ასეული თავისი მებრძოლი იქ დაეტოვებინა

გამოსაჯანმრთელებლად და მათთვის ძლიერი დაცვა დაეყენებინა, თავად კი, დანარჩენი გემებითა და დიდი საბრძოლო რაზმით მდინარე მტკვარის დელტაში შევიდა და მდინარეს აღმა აუყვა.

XII

ციმბირის ციხეები და კოლონიები სავსე იყო სხვადასხვა ბრალდებით სამართლიანად თუ უსამართლოდ სასჯელმისჯილი სხვადასხვა ეროვნების პატიმრებით. დამნაშავეებიც და უდანაშაულოებიც ერთად იხდიდნენ სასჯელს. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებულები, ყოფილი დიდგვაროვნები და სამხედრო ოფიცრები, ეკლესიის წარმომადგენლები, ინტელიგენცია და ეროვნული იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდობა. მათ შორის ბევრი ქართველიც იყო.

ლენინის ეპოქაში დაპატიმრებულ ხალხს ხვრეტდნენ, რადგან იმ დროს არც ციხეები ჰქონდათ საკმარისი და არც პატიმრების გამოკვება შეეძლოთ. სტალინის ეპოქაში გრანდიოზული პროექტების განსახორციელებლად საბჭოთა მთავრობას ესაჭიროებოდა დიდძალი იაფი მუშახელი, ამიტომ მილიონობით პატიმარს ბოლშევიკები მეტწილად აღარ ხვრეტდნენ; მათ იყენებდნენ რუსეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მდინარეების შემაერთებელი არხების გასათხრელად, რათა ბალტიის ზღვა სანაოსნო გზით შეეერთებინათ შავ ზღვასა და კასპიის ზღვასთან. პატიმრები აშენებდნენ ჰიდროელექტროსადგურებს, უდიდეს ქარხნებს, მუშაობდნენ მაღაროებსა და საბადოებში, ციმბირში ჭრიდნენ ტყეებს და გაჰყავდათ გზები. ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ არაადამიანურ პირობებში და ავადმყოფობებით იხოცებოდნენ, ხოლო პროტესტის უმნიშვნელო გამოხატვაზეც კი მათ ადგილზევე ხვრეტდნენ. სტალინის ეპოქაში პატიმრებს ისევე იყენებდნენ, როგორც ძველი რომის იმპერიაში მონებს ამუშავებდნენ, სულის ამოხდამდე.

ბუტირსკის ციხეში მყოფი ვალერიანი იმის ლოდინში იყო, თუ როდის გააგზავნიდნენ მას ეტაპით ციმბირში. ამასობაში მას თანდათანობით დაუახლოვდა ერთ-ერთი პატიმარი, მამათა მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, დეკანოზი (პროტოიერეი) სერგი სიდოროვი. იგი მძიმედ იყო დაავადებული ფილტვების ავადმყოფობით და ეტყობოდა, რომ სიცოცხლის დღეები დათვლილი ჰქონდა.

ერთ დღეს ვალერიანმა მოძღვარს უთხრა:

– მამაო, ჩემი საქმე – სამშობლოს ღალატი და ქვეყნიდან გაქცევის მცდელობა, – გასაგებია, მაგრამ თქვენი, ეკლესიის მსახურთა საქმე გაუგებარია, თქვენ ხომ მხოლოდ ადამიანთა სულებზე ფიქრობთ?

– სწორედ რომ ასეა. ადამიანთა სულებზე რომ ვფიქრობთ, იმიტომ ვართ ჩვენც აქ. – მიუგო მღვდელმა.

– აბა მაშინ რა აზრი აქვს ეკლესიურ მოღვაწეობას? რატომ დაუშვა უფალმა ასეთი საშინელება? რევოლუცია, ბოლშევიზმი და მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი... სად არის ღმერთი? ნუთუ ვერ ხედავს, რაც ხდება?

მოძღვარი ჩაფიქრდა და შემდეგ მშვიდად წარმოთქვა:

– ნუ სცოდავ, ნუ ფიქრობ ასე. ორი ათასი წლის წინ ჩვენს გადასარჩენად უფალმა თავისი შვილი გამოაგზავნა და ჩვენ კი ჯვარზე გავაკარით ღმერთის შვილი. ასეთია ადამიანთა მოდგმა. ჩვენ სტალინის რეჟიმის უკმაყოფილოები ვართ, მაგრამ 4 მილიონი ანონიმური წერილი (დანოსი), ესეც ხომ სტალინს არ დაუწერია, ეს ხომ ხალხმა დაწერა.

ასეთია ხალხი. მე რაც შემეხება, კარგად ვიცი, რომ ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება და სიცოცხლე ტანჯვა-წამება და ნამდვილი ჯოჯოხეთია, რის შეცვლა ან გამოსწორება არავის შეუძლია. მე კი ვცდილობ, ეს ჯოჯოხეთი ადამიანებს სიტყვით, სიყვარულით და სიკეთით ოდნავ მაინც შევუმსუბუქო; იმედი და ცოტაოდენი სილამაზე მივცე მათ უაზრო არსებობას.

გადიოდა დრო და მღვდლის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა, ციხეში მისთვის წამალი არ ჰქონდათ. ერთ ღამეს მოძღვარმა მასთან მისულ ვალერიანს, რომელიც სველი ტილოთი ციებ-ცხელებისაგან შუბლზე მომსკდარ ოფლს უშრობდა, მადლობა გადაუხადა და ბოდიშიც მოუხადა. ვალერიანმა ვერ გაიგო, რისთვის იხდიდა მღვდელი ბოდიშს. ავადმყოფმა მძიმედ ჩაახველა, პირიდან წამსკდარი სისხლი ტილოთი მოიმშრალა და ვალერიანს უთხრა:

– ჩემი წასვლის დრო მოვიდა, მალე უფალი მეც წამიყვანს.

შემდეგ მღვდელმა პირჯვარი გარდაისახა, კვლავ მძიმედ ჩაახველა და მცირედი სიჩუმის შემდეგ საუბარი გააგრძელა.

– თავიდან, როცა შენ აქ მოგიყვანეს, არ გენდობოდი, იმიტომ რომ ქართველი იყავი, რუსული ენის კარგად მცოდნე და, რაც მთავარია, გვარად კალატოზიშვილი. გავიფიქრე, სპეციალურად მომიგზავნეს-მეთქი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ღვთის ნება ყოფილა ჩვენი შეხვედრა.

– ვერ მივხვდი, მამაო, რას გულისხმობ? – გაიკვირვა ვალერიანმა.

– საქმე ისაა, რომ სანამ მოძღვარი სიდოროვი გავხდებოდი, საეკლესიო ცხოვრების დაწყებამდე, საერო ცხოვრებაში, მე ვიყავი თავად კალატოზიშვილი-კავკასიძის ერთადერთი შთამომავალი.

– როგორ, რანაირად? – გაოცდა ვალერიანი.

– ეს გრძელი სასაუბროა, მოგიყვები, მაგრამ ჯერ შენ დაიწყე.

– რა დავიწყო, მამაო?

– ჩვენი გვარის, კალატოზიშვილების ისტორია, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ?

– კეთილი, ბატონო, მე რაც ვიცი გადმოცემით ჩემი წინაპრებისაგან, მოგიყვებით, – და ვალერიანმა მოყოლა დაიწყო:

– უხსოვარ დროს, ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში, ალექსანრე მაკედონელმა, გრანიკუსთან პირველი დიდი ბრძოლის შემდეგ, სპარსეთის მეფეს, დარიოს III-ს წაართვა შავიზღვისპირეთის სამხრეთი მიწები, მათ შორის, ტაო-კლარჯეთისა და არიან ქართლის ტერიტორიები, რომლებიც ოდითგანვე ძირძველი ქართული მიწები იყო და სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი. მდინარე მტკვრის სათავეში, ტაოს მიწებზე არსებული იმდროინდელი სამეფოს, არიან ქართლის (არიული ქართველები) მეფემ, იარედოსმა, სპარსელებისაგან განთავისუფლებისთვის მადლობის ნიშნად, მაკედონელს მისცა მხედრობა თავისი მემკვიდრე უფლისწულის, აზონის მეთაურობით, რომელიც ბერძნულად იყო აღზრდილი. აზონმა თავისი ჯარით მრავალ ბრძოლაში მამცობითა და ერთგულებით გამოიჩინა თავი და მაკედონელის ნდობა დაიმსახურა, ამიტომ ალექსანდრემ შემდეგ აზონი პატრიკის წოდებითა და პონტოელთა ჯარის თანხლებით გააგზავნა ქართველთა დანარჩენი მიწების დასაპყრობად. აზონმა დაიპყრო მთელი კავკასია და თვითონ დაჯდა მცხეთაში სამეფო ტახტზე, რომელიც 23 წელი ეპყრა.

ქართველთა მომდევნო მეფის, ფარნავაზსა და აზონს შორის ავჭალის ველზე გამართული ბრძოლის წინ, 1000-ზე მეტი მებრძოლი აზონის ჯარს გამოეყო და ფარნავაზის მხარეზე გადავიდა. ეს ის ტაოელები იყვნენ, რომლებმაც მცხეთაში 23 წლის განმავლობაში ქართული

ოჯახები შექმნეს. შემდგომში იმდროინდელი საქართველოს მეფემ, ფარნავაზმა, იმ ტაოელ მებრძოლებს მიწები და მამულები უბოძა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იმ მიწებისა და იქ მცხოვრები ხალხის პატრონობა დაავალა. ისინი აზნაურებად მოიხსენიებოდნენ, როგორც აზონისეული ხალხი; მეფემ მათ აზნაურობა დაუდგინა და დაამწესა კიდეც ეს სიტყვა, როგორც კეთილშობილების აღმნიშვნელი ტიტული.

კალატოზიშვილების გვარის პირველი შორეული წინაპარი, სახელად საბა ქვის მჭრელი, ერთ-ერთი ის ტაოელ აზნაურად წოდებული ყოფილა, რომელიც ჯერ კიდევ აზონის ეპოქაში მცხეთის არმაზის აკროპოლისისა და აზონის სასახლის აშენებაში ღებულობდა მონაწილეობას. ფარნავაზის ეპოქაში მან სამეფო სასახლის არზათა საცავი (ბიბლიოთეკა) ააშენა. შემდეგ იმ ტაოელ საბა ქვის მჭრელს, მეფე ფარნავაზმა კასპის ტერიტორიაზე, სადაც ბევრი სამშენებლო მასალა იყო, მიწა-მამულები უბოძა და, როგორც ყველა აზნაურს (ანუ აზონისეულ ხალხს), მასაც დაევალა იმ მიწებისა და იქ მცხოვრებთა პატრონობა. ასეც მოხდა – საბა თავისი მცხეთელი ცოლითა და მრავალი შვილით კასპის მიწაზე დასახლდა.

გავიდა დრო და საბას შთამომავლობა გამრავლდა. მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ყველანი, ქვის მტეხნი, ქვის მჭრელნი, ქვის მთლელნი და კირითხურონი იყვნენ. რადგან საბა წარმომავლობით ტაო-კლარჯეთიდან იყო, ეგრეთ წოდებული მცირე კავკასიიდან, ამიტომ მასა და მის შთამომავლობას კავკასიძეებად მოიხსენიებდნენ. IV საუკუნეში, როდესაც მეფე მირიანმა საქართველოში ქრისტიანობა შემოიღო, მისი ბრძანებით მთელ ქვეყანაში დაიწყეს ქრისტიანული ეკლესიების აგება, და ამ საქმეში საბა კავკასიძის შთამომავლობაც იღებდა მონაწილეობას.

დროთა განმავლობაში კავკასიძეთა მიერ აშენებული კასპი ძლიერ ციხე-ქალაქად გადაიქცა, რომელსაც ევალებოდა ლეხურის ხეობის ჩაკეტვა, რათა ჩრდილოელი დამპყრობლები ქართლში არ შემოჭრილიყვნენ და არ აეოხრებინათ. კასპს თავისი სპასპეტი ჰყავდა, ჯარიც იდგა იქ და ეკლესია-მონასტრებში მწიგნობრობაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული. როცა მეფე ვახტანგ გორგასალი სადმე მიდიოდა, თავისი ოჯახის წევრებს კასპში ტოვებდა, ყველაზე საიმედო ადგილას. V საუკუნეში, მეფე ვახტანგმა საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. ახალი დედაქალაქის სამეფო ციხე-სასახლისა და ქალაქის ციხე-გალავნების ასაშენებლად ვახტანგმა კასპიდან ნაწილი კავკასიძეებისა თბილისში გადაიყვანა.

VIII საუკუნეში, არაბთა შემოსევის დროს, მურვან ყრუმ კასპი დაანგრია და მთლიანად მიწასთან გაასწორა. კავკასიძეების ნაწილი ისტორიულ სამშობლოში, ტაოში დაბრუნდა და პარხალში (არტაანი-ართვინი) დასახლდა, ნაწილი კი – კასპისა და ქარელის მიდამოებში – მეტეხში, კავთისხევ-იდლეთში, არადეთსა და წვერში.

საქართველოს აღორძინების პერიოდის ოქროს ხანაში ისინი უამრავი ციხისა და ეკლესია-მონასტრის აშენებაში ღებულობდნენ მონაწილეობას, განსაკუთრებით შიდა ქართლში.

XIV საუკუნის მიწურულს საქართველოს რვაჯერ შემოესია მრისხანე დამპყრობელი თემურ ლენგი, რომელმაც მთლიანად ააოხრა და გაანადგურა მთელი საქართველო.

XV საუკუნეში ქართლის მეფეების, ბაგრატ VI-ისა და შემდგომ, დავით X-ის ეპოქაში, ხუროთმოძღვართა და არქიტექტორთა კეთილშობილი გვარის, კავკასიძეების ერთ-ერთი შტო მუშაობდა მტრისაგან განადგურებული თბილისის ისნის სამეფო სასახლის, ეკლესიებისა და ქალაქის ციხე-გალავნის აღდგენაზე, მშენებელ ხუროთმოძღვრებად. იმ პერიოდიდან მეფე დავით X-მ დაუწესა მათ გვარად კალატოზიშვილი, რაც ნიშნავდა ბიზანტიური კულტურის გავლენით შექმნილ ახალ გვარს. ბერძნულად სიტყვა „კალოს“

ნიშნავდა ლამაზს, მშვენიერს, მეორე სიტყვა კი, „დოტე“ ან დოტაცია, ნიშნავდა მიცემას. ამდაგვარად, ამ ორი სიტყვის შერწყმით გამოდიოდა „კალოსდოტი“ – ესე იგი, სილამაზის მომცემი, მშვენიერების შემქმნელი. რადგანაც კავკასიძეებს ქვის მტეხლებად მოიხსენიებდნენ და ისინი უამრავ ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ, სიტყვა კალოსდოტი, ქართულად ტრანსკრიპცია-ადაპტაციის შედეგად გახდა „კალატოზი“, რაც ძველ საქართველოში არქიტექტორის მნიშვნელობით იხმარებოდა. კავკასიძეთა ამ შტოს დაუწესდა გვარი – კალატოზიშვილი და მიეცა სამეფო აზნაურის ტიტული, რაც ნიშნავდა იმას, რომ ისინი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდნენ. მათ დაევალათ სამეფო ციხე-სასახლის მოვლა-პატრონობა და დაცვა. კალატოზიშვილების ნაწილი თელავის აღსადგენად გაიგზავნა, ნაწილი კალატოზიშვილებისა კუთვნილ მიწა-წყალს დაუბრუნდა კასპის რაიონში; კავკასიძეებს კი თავადის ტიტული მიენიჭათ. მოგვიანებით, ნაწილი კალატოზიშვილებისა, რომლებიც მწიგნობრობასა და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ სამეფო კარზე, სულხან-საბა ორბელიანის გვერდით, რუსეთში გაჰყვნენ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს და იქ იწოდებოდნენ თავად კალატოზიშვილ-კავკასიძეებად.

ქართლისა და კახეთის მეფეები დანათესავებული იყვნენ იმერეთის მეფეებთან და დადიანებთან. თურქებისაგან მრავალჯერ დანგრეული და განადგურებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღსადგენად ქართლისა და კახეთის მეფეები ხშირად უგზავნიდნენ თავიანთ მონათესავე იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს არქიტექტორ-ხუროთმოძღვრებსა და ხელოსნებს. ამგვარად აღმოჩნდნენ და განსახლდნენ დასავლეთ საქართველოში გვარები – კალატოზიშვილი, კალატოზი, კალატო-ზაშვილი.

რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიზაციის პერიოდში, კალატოზიშვილები ქართველ მეფეთა დამცველი ჯარის მეთაურები იყვნენ და სამეფო სასახლეს იცავდნენ. შუა ქართლში, რუის-ურბნისის ეპარქიაში მოღვაწეობდნენ სასულიერო და საეკლესიო პირები, რომლებმაც ბევრი გააკეთეს ზოგადად ქართული კულტურისთვის; ისინი კავკასიძის გვარის სხვადასხვა შტოს მიეკუთვნებოდნენ და იწოდებოდნენ: კავკასიძე-კალატოზოშვილ-წინამძღვრიშვილ-დეკანოზიშვილებად.

საქართველოში მეფობის გაუქმების, 1801 წლის 22 დეკემბრის შემდეგ, კალატოზიშვილების ნაწილი კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ პავლე ციციანოვის (ციციშვილი) ბრძანებით, ოფიცრებად გაამწესეს რუსეთის საიმპერატორო ჯარში, სადაც ისინი რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში იბრძოდნენ ქარული მიწების დასაბრუნებლად. რუსეთის იმპერიის სამხრეთ ნაწილში ომების დასრულების შემდეგ, სამხედრო ოფიცრები, კალატოზიშვილები, მრავლად იყვნენ ევროპის ქვეყნებში მებრძოლ რუსულ არმიებში. ერთ-ერთმა მათგანმა, ალექსანდრე კალატოზიშვილმა, ვარშავის მერის, იუშკევიჩის ქალიშვილი, ეუგენია მოიყვანა ცოლად; მათი შვილები შემდეგში ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. საქართველოში დარჩენილი ნაწილი კალატოზიშვილებისა კი ისევ მშენებელ-ხუროთმოძღვრებად მუშაობდნენ. 1811 წელს დაიწყო ცნობილი კავკასიის სამხედრო გზის მშენებლობა, სადაც მთის ურთულეს საგზაო მონაკვეთებზე სამშენებლო უბნის უფროსებად კალატოზიშვილები იყვნენ დანიშნულნი (სულ 70 კალატოზიშვილი). მოგვიანებით რუსეთის იმპერიამ კალატოზიშვილები დაასაქმა აბასთუმნის, ბორჯომისა და ბაკურიანის კეთილმოსაწყობად დაწყებულ მშენებლობებზე, რუსეთის არმიისათვის სამხედრო ჰოსპიტლების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების აგების სამუშაობზე. იმ ეპოქაში ქართული ენა და დამწერლობა „ძაღლის ენად“ იყო შერაცხული. რუსეთის იმპერიის ჯამაგირზე მყოფი ქართველი სამხედროების, ჩინოვნიკების ან მოხელეების გვარებს,

რომლებიც ხელფასს რუსეთის საიმპერატორო ხაზინიდან ღებულობდნენ, რუსი ჩინოვნიკები რუსულ დოკუმენტებსა და ოქმებში რუსულ ყაიდაზე ცვლიდნენ და ისე წერდნენ: ერისთავი – ერისტოვ, ამილახვარი – მილახვაროვ, ბარათაშვილი – ბარატოვ, ამირეჯიბი – მირაჯიბოვ, შალიკაშვილი – შალიკოვ, კალატოზიშვილი – კალატოზოვ, მარჯანიშვილი – მარჯანოვ, სარაჯიშვილი – სარაჯევ, აბაშიძე – აბაშევ, ბაგრატიონი კი გრუზინსკად ან იმერეტინსკად იწერებოდა და ასე შემდეგ, კიდევ სხვა მრავალი შეიძლება ჩამოვთვალოთ. რა თქმა უნდა, გარუსებით ისინი არ გარუსებულან და არც გვარი შეუცვლიათ. მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდში არავითარი პასპორტი არ არსებობდა. უბრალოდ, რუსულ ოქმებში რუსი მოხელეები მათ რუსულ ყაიდაზე შეცვლილი გვარებით წერდნენ და ზოგიერთ მათგანს ეს რუსულად ჩაწერილი გვარი დღემდე მოჰყვება (საქართველოში სახალხო პასპორტიზაცია 1960-იან წლებში მოხდა). 1921 წლის შემდეგ, მრავალი კალატოზიშვილი ოჯახით უცხოეთში გადავიდა საცხოვრებლად. მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ საქართველოში დარჩენილ ნათესავებთან, ამიტომ ბოლშევიზმის ეპოქაში, 20-იან და 30-იან წლებში, კალატოზიშვილების დიდ ნაწილს ჯაშუშობის საბაბით სდევნიდნენ, ანადგურებდნენ, ციხეებში ყრიდნენ და ციმბირში ასახლებდნენ. გაანადგურეს და დაანგრიეს მათი უძველესი საგვარეულო ციხესიმაგრე იდლეთის მთის თავზე, კავთისხევის მახლობლად. დღესაც ციხის ნანგრევებთან ახლოს მდებარეობს კალატოზიშვილთა საგვარეულო სამარხი, სადაც მხოლოდ სხვადასხვა საუკუნეებში მცხოვრებ კალატოზიშვილთა არაერთი თაობა განისვენებს. კავთისხევის მახლობლად იმ ადგილებს დღესაც კალატოზაანთ უბნად მოიხსენიებენ.

იმ პერიოდში კალატოზიშვილები ძალიან დავცოტავდით, და აი, ერთ-ერთი, ცოცხლად დარჩენილი კალატოზიშვილი, ჯერჯერობით აქ, თქვენ წინაშე ვდგავარ, – დაასრულა თხრობა ვალერიანმა.

– შენ უნდა იცოცხლო, აუცილებლად უნდა იცოცხლო, – წარმოთქვა აღელვებულმა მოძღვარმა, რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა ვალერიანს. მას კვლავ ხველა აუვარდა, დამშვიდების შემდეგ კი ისევ გააგრძელა, – მე ამდენი ისტორია არ ვიცოდი ჩვენი გვარის შესახებ, ეს ყველაფერი ძალზე საინტერესო და შთამბეჭდავია. დანარჩენს მე გიამბობ, რაც ალბათ შენ არ იცი:

XVIII საუკუნეში ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთში გაემგზავრა, პეტრე I-ის სამეფო კარზე დახმარების საძიებლად, თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას თან ახლდა 1 200 რჩეული ქართველი და, მათ შორის, სამეფო კარის მწიგნობართუხუცესი მელქისედეკ კალატოზიშვილი-კავკასიძე. მწიგნობარი ეფრემ კალატოზიშვილი-კავკასიძე სულხან-საბა ორბელიანთან მოღვაწეობდა. მელქისედეკი დანათესავებული იყო დავით ბაგრატიონთან. მელქისედეკს დავითი „ძია“-თი მიმართავდა. რუსეთის სამეფო კარმა მწიგნობართუხუცეს მელქისედეკს თავადის ტიტული და მიწები უბოძა პოლტავის ოლქში.

მელქისედეკმა შემდეგ ცოლი შეირთო და მისგან შეეძინა ერთადერთი ვაჟი, ეფრემი, რომელიც გაიზარდა მამის მიერ ქართულად მოწყობილ სახლში. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეფრემი მალევე გააგზავნეს რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივ ომში. ეფრემი ბრძოლებში ყოველთვის სიმამაცით გამოირჩეოდა, რისთვისაც მრავალჯერ დიდი მხედარმთავ-რის, სუვოროვის ქება დაიმსახურა. იზმაილის ციხის ასაღებად გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ეფრემმა პირადად სუვოროვისგან მიიღო გიორგის ჯვარი და მაიორის ჩინი. იზმაილის ბრძოლებში ის მიხეილ კუტუზოვისა და პეტრე ბაგრატიონის მხარდამხარ იბრძოდა. იზმაილის ციხის დაცემისა და ომის დამთავრების შემდეგ ვიცე-პოლკოვნიკმა ეფრემ კალატოზიშვილმა ცოლად შეირთო კუტუზოვის და, ვერა ილარიონოვნა კუტუზოვა და თავის მამულში, პოლტავაში დაბრუნდა. მათ შეეძინათ შვილი,

რომელსაც სიმეონი დაარქვეს. სიმეონმა მთელი სიცოცხლე თავის მამულებში გაატარა, მისი ოჯახი მუდმივად ზრუნავდა გაჭირვებულ ადამიანებზე და ეხმარებოდა ეკლესიას. 1812 წელს ოფიცერი სიმეონ კალატოზიშვილი იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ და გამწესებული იყო ბიძამისთან, მიხეილ კუტუზოვთან, შტაბის ადიუტანტად. იმ დროს რუსეთის არმიაში 12 ქართველი გენერალი იყო.

სიმეონის შვილმა, ნიკოლოზ კალატოზიშვილ-კავკასიძემ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, დაბრუნდა მამულებში და ცოლად მოიყვანა კურსკის გუბერნიის უფროსის ერთადერთი ქალიშვილი ოლგა, ასე რომ, კურსკის მამულებიც ნიკოლოზის მფლობელობაში გადავიდა. იგი იყო გუბერნიის სათავადაზნაურო ორგანიზაციის მმართველი და საზოგადო მოღვაწე. თავად ნიკოლოზსა და მის მეუღლეს, ოლგას, შვიდი შვილიდან დარჩათ მხოლოდ სამი: ნიკოლოზი, ანასტასია და ვარვარა. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კალატოზიშვილი უშვილოდ გადაეგო, მისი და, ანასტასია, სიდოროვზე გათხოვდა და ჩემს დაბადებას თან გადაჰყვა. დედის გარდაცვალების შემდეგ მე მიშვილა და გამზარდა დეიდამ, ვარვარამ. მისი სიკვდილის შემდეგ გვარის გამგრძელებელი დავრჩი მხოლოდ მე – სერგეი სიდოროვ კალატოზიშვილი-კავკასიძე.

საეკლესიო ცხოვრების დაწყების შემდეგ, რევოლუციურ ეპოქაში, ძალზე საშიში იყო თავად კალატოზიშვილ-კავკასიძედ ყოფნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მამა სერგი სიდოროვის სახელმაც არ მიშველა. ჩეკისტებმა უკვე მეოთხედ დამაპატიმრეს. ამჯერად ისინი ხედავენ, რომ ავად ვარ, ციმბირში სამუშაოებზე აღარ გამაგზავნიან და ალბათ მალე აქვე დამხვრეტენ, – დაასრულა თხრობა მოძღვარმა.

იმ ღამეს ვალერიანმა ვერ დაიძინა, მისი გონება ძალიან დიდი შთაბეჭდილებით იყო დატვირთული. დეკანოზმა სერგიმ კი, პირიქით, თვალი მოხუჭა თუ არა, მაშინვე ღრმად ჩაეძინა.

უცნაური სიზმარი ნახა მოძღვარმა. თითქოს დასრულდა და აღესრულა მისი ამქვეყნიური ცხოვრება. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მისი ტანჯული სული მიუახლოვდა სამოთხის კარს, სადაც მას წმინდა პეტრე მოციქული ელოდა. მოციქულმა პირჯვარი გადასწერა მოძღვარს და ანგელოზთა გალობის თანხლებით შეუძღვა სამოთხეში. წმინდა მოციქულებმა, ანდრიამ და თომამ, სერგი მარიამ ღვთისმშობლის სამყოფელში შეიყვანეს. იგი მუხლმოდრეკილი და ცრემლმორეული ემთხვია ღვთისმშობლის წმინდა კალთას და შესთხოვა მარიამს: თუ შეიძლებოდა, წარედგინა ის თავისი მხოლოდშობილი ძის, იესო ქრისტეს წინაშე, რომლის მიმართ აღვლენილ ლოცვებში მან მთელი სიცოცხლე გაატარა, რომლის სახელის სადიდებლად მოღვაწეობასაც უძღვნა მთელი თავისი ცხოვრება.

ღვთისმშობელი მარიამი სიხარულით დათანხმდა და გაუძღვა მამა სერგის თავისი შვილის ადგილსამყოფელისაკენ. მაცხოვარი ხელგაშლილი და გაღიმებული შეხვდა მას. მაცხოვრის თავზე ბრწყინვალე შარავანდედი ნეტარებაში გასხივოსნებულიყო.

მოძღვარს გამოეღვიძა. თენდებოდა. მიხვდა, რომ მისი აღსასრული მოახლოებულიყო. მან ვალერიანს გახედა და შეეკითხა:

– გძინავს?

– არა, – მიუგო ვალერიანმა.

– მომიახლოვდი, რაღაც მაქვს სათქმელი.

ვალერიანი მიუახლოვდა და მოძღვარმა გააგრძელა საუბარი:

– ჩემი წასვლის დრო დადგა.

– რას ამბობ, მამაო, რა დროს სიკვდილია?

მოძღვარმა პერანგის საკინძე შეიხსნა. ყელზე ოქროს პატარა ჯვარი და ვერცხლის ძველი მედალიონი ეკიდა. მან მედალიონი მოიხსნა, ვალერიანს გაუწოდა და ხმადაბლა უთხრა:

– ჯვარს მე ვიტოვებ, რადგან უფლის წინაშე ჯვრით უნდა წარვდგე; ამ მედალიონს კი შენ გაძლევ, რადგან კანონიერად ისედაც შენ გეკუთვნის – ნამდვილი კალატოზიშვილი შენ ხარ. ღვთის ნება იყო, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით.

– რა არის ეს? – შეეკითხა ვალერიანი.

– ელენეს მედალიონი, მელქისედეკის ნაქონია; ეს მედალიონი თაობიდან თაობაში გადაეცემოდა კალატოზიშვილების უფროს ვაჟს; ახლა კი შენ გადმოგცემ, როგორც ნამდვილ მემკვიდრეს. მელქისედეკის გადმოცემით, ეს მედალიონი XI საუკუნიდან გადაეცემოდა მამიდან შვილს და ახლა, შვილო ჩემო, მოძღვრისგან ღებულობ ამ თილისმას, რომელსაც რაღაც ფუნქცია აქვს შესასრულებელი. რამდენადაც მახსოვს, მე მითხრეს, რომ ეგრეთ წოდებულ ელენეს მედალიონს ძველქართულად აწერია ასეთი რამ: „ბაგრატის თეთრის ერთიანობითა აღსდგეს დიდი სიყვარული“. არავინ იცის, რა აზრს შეიცავს ეს წარწერა და, გადმოცემით, მხოლოდ ის გაიგებს ამ სიტყვების მნიშვნელობას, ვინც მოესწრება ამ სიტყვათა მისიის აღსრულებას.

უცებ ციხის საკნის კართან ხმაური გაისმა. კარი გაიღო და ჩეკისტებმა მამა სერგის საკნიდან გასვლა უბრძანეს. მოძღვარი წამოდგა, ვალერიანს ღიმილით გამოემშვიდობა და საკნიდან უხმოდ გავიდა. ვალერიანს იმ დღის შემდეგ მოძღვარი აღარ უნახავს. იმავე დილით ბუტირსკის ციხის სარდაფში დეკანოზი სერგი სიდოროვი კალატოზი-შვილი-კავკასიძე და კიდევ რამოდენიმე მღვდელი ერთად დახვრიტეს.

ორი კვირის შემდეგ ვალერიანი სხვა პატიმრებთან ერთად რკინიგზის სადგურზე მიი-ყვანეს. პატიმრები ხის ვაგონებში შეყარეს და მატარებელმა მიმართულება ციმბირისკენ აიღო. ვალერიანი ჯერ ქალაქ ნორილსკის კოლონიაში ჩაიყვანეს, სადაც რამდენიმე ქარ-თველი პოლიტიკური პატიმარი ერთად მოხვდა. ციხის უფროსს ეს ამბავი არაფრად ეპიტნავა და მალევე ისინი ერთმანეთს დააშორა. შემდეგი ეტაპით ვალერიანი კიდევ უფრო შორს, შორეულ ციმბირში გადაგზავნეს ხეტყის სამუშაოებზე.

ვალერიანი ცდილობდა, როგორმე თავი გაეტანა. იქ, იმ შორეულ ადგილას, ყველა პატიმარი ყოველდღიურად ცდილობდა სიკვდილს გაქცეოდა და როგორმე თავი გადა-ერჩინა. გულაგში ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არა ჰქონდა. აქ სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული პატიმართა ლამის ყოველდღიური სიკვდილი თითქმის ნორმალური მოვლენა იყო.

ვალერიანმა მოახერხა და ჯერ კიდევ მოსკოვის ბუტირსკის ციხიდან წერილი მისწერა მარიამს, რომელშიც იგი ჰპირდებოდა დედას, რომ თავს გაუფრთხილდებოდა და სახლში აუცილებლად დაბრუნდებოდა.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. დევიზი „ყველაფერი ფრონტისათვის“ კოლონიებსაც შეეხო – მათ ხეტყის წარმოების თითქმის გასამმაგებული გეგმა დაუწესეს, რადგან ფრონტს ძალიან დიდი რაოდენობით ხის მასალა ესაჭიროებოდა, სარკინიგზო შემადგენლობისთვის სატვირთო ვაგონების დასამზადებლად, რათა სამხედრო ტექნიკა, რომელიც ურალში მზადდებოდა, ფრონტზე შეუფერხებლად გაგზავნილიყო. ახალი ვაგონები საჭირო იყო აგრეთვე ახალი ჯარისკაცებით ჯარების შესავსებად. ყოველთვიური გეგმით ციმბირიდან ფრონტზე უნდა გაგზავნილიყო მრავალი ვაგონები. გეგმა კი გაუსამმაგდა კოლონიებს, მაგრამ პატიმრებს ვეღარ ღებულობდნენ ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ადრე. ხალხი ფრონტზე უფრო სჭირდებოდა საბჭოთა მთავრობას, ამიტომ კოლონიების ხელმძღვანელობა

იძულებული გახდა, რომ პატიმრებისთვის პირობები ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა, რათა მუშახელი შიმშილით ან ბარაკებში სიცივით არ დახოცილიყო.

გულაგის საპატიმროში ვალერიანთან ერთად სასჯელს იხდიდა კიდევ ერთი ქართველი პოლიტიკური პატიმარი, ხუტა ჩერქაზია. ომამდე ცოტა ხნით ადრე შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში ახალი გასართობი გავრცელებულა – მსურველებისთვის ქირავდებოდა წყლის ველოსიპედები. ხუტას ბათუმში წყლის ველოსიპედი უქირავებია, ქაღალდის პარკში ტანისამოსი, დოკუმენტები, საგზალი გაუხვევია და განუძრახია წყლის ველოსიპედით თურქეთში გადასვლა. საბჭოთა წყალქვეშა გემზე რადარებს წყლის ზედაპირზე რაღაც უცნაური მექანიკური აპარატის მოძრაობა დაუფიქსირებია, თურქეთის მიმართულებით.

წყალქვეშა ნავი პირდაპირ ხუტას ცხვირწინ ამოსულა წყლიდან. რა თქმა უნდა, ხუტას განმარტება, წყალზე სეირნობისას გზის მიმართულება ამებნაო, არ დაიჯერეს და სამშობლოს ღალატის მუხლით ისიც ციმბირში გააგზავნეს.

ვალერიანი და ხუტა ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ძმებივით ზრუნავდნენ ერთმანეთზე, ლუკმას ინაწილებდნენ და თავი ერთად გაჰქონდათ.

ომის დამთავრების შემდეგ, მთელ ევროპაში არსებული გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან უამრავი ტყვე განთავისუფლდა. სტალინის ბრძანებით, გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი ყველა ადამიანი სამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა, ამიტომ საბჭოთა კავშირში საკონცენტრაციო ბანაკებიდან დაბრუნებული, გასაცოდავებული და გაუბედურებული ყოფილი ტყვეები ერთი მატარებლის ვაგონებიდან ჩამოსვეს, მეორე მატარებელის ვაგონებში გადაიყვანეს და, როგორც სამშობლოს მოღალატეები, ციმბირში, გულაგში გაამგზავრეს, 10-წლიანი საპატიმრო სასჯელით.

გულაგი ისევ პატიმრებით გაივსო, კოლონიებში თავისუფალი ადგილები აღარ იყო, ამიტომ სტალინმა ომში გამარჯვების აღსანიშნავად ნაწილობრივი ამნისტია გამოსცა, მხოლოდ იმ პატიმრებისთვის, რომლებიც, ასე ვთქვათ, „გამოსწორდნენ და კოლონიებში პატიოსნად შრომობდნენ ფრონტის დასახმარებლად“.

ამნისტია ვალერიანსა და ხუტასაც შეეხო. ნახევარი წლის შემდეგ ისინი გაანთა-ვისუფლეს. ვალერიანი თბილისში დაბრუნდა. დედამისი, მარიამი, ერთი კვირის განმავლო-ბაში ტიროდა, სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. დამშვიდების შემდეგ მარიამმა შვილს უთხრა:

– რაც თავს გადაგხდა, იმაზე სინანული არ ღირს; მთავარია, რომ ცოცხალი ხარ და სახლში დაბრუნდი. იცოდე, რომ მარცხიც ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მომტანია ადამიანისთვის.

ვალერიანის დას, ელეონორას, ლენინგრადის კონსერვატორიაში გაეგრძელებინა სწავლა და მალევე ლენინგრადში ბედნიერად გათხოვილიყო.

ციმბირის სიცივეების შემდეგ საქართველოს სითბო და ჰაერი წამალივით მოქმედებდა ვალერიანის დასუსტებულ ორგანიზმსა და დაავადებულ ფილტვებზე. ექიმებმა მას ტუბერკულოზის საწყისი ფაზა აღმოუჩინეს და სასწრაფოდ აბასთუმნის კურორტზე გაგზავნეს. რამდენიმე წელი დასჭირდა ვალერიანს, რომ საბოლოოდ განკურნებულიყო და გამოჯანმრთელებულიყო.

შემდეგ მან სწავლა განაგრძო, თავისი სპეციალობით. 1956 წელს, მარტის თვის დასაწყისში, თბილისში დიდი არეულობები მოხდა. მოსკოვში საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის „პიროვნების კულტი“ გამოაცხადა. თბილისში, სტალინის ძეგლთან ათასობით სტალინის მომხრე შეიკრიბა პროტესტის ნიშნად. მომოიტინგეებს საქართველოს დამოუკიდებულობის მსურველებიც შეუერთდნენ. ვალერიანიც

იქ იყო, მეგობრებთან ერთად. საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, ყველა რესპუბლიკას შეეძლო თავისუფლად საბჭოთა კავშირიდან გასვლა. მიტინგი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. მოსკოვში გაიგეს, რაც თბილისში ხდებოდა და, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მსგავს შემთხვევებში, კრემლმა ამჯერადაც ტანკები გაგზავნა თბილისში მომიტინგეების დასარბევად და დასაშლელად.

1956 წლის 9 მარტს საბჭოთა ჯარების სპეციალური განყოფილება, განსაკუთრებული სიმკაცრით გამორჩეული მერვე პოლკი, მომიტინგეებს ბარბაროსული სისასტიკით დაერია. სამხედროები პირდაპირ ხვრეტავდნენ მომიტინგეებს, რამდენიმე ახალგაზრდა მკერდით ხიშტებზე წამოაგეს; ტანკები პირდაპირ ხალხში შეიჭრნენ და ზევიდან გადაუარეს უიარაღო ადამიანებს. იმ დღეს 800-მდე ქალი და მამაკაცი დაიღუპა. კვალის დასამალად, ვითომ მსხვერპლი არ ყოფილაო, საბჭოთა ჯარისკაცებმა მოკლულთა გვამები ვორონცოვის ხიდიდან ადიდებულ მდინარე მტკვარში გადაყარეს. დაღუპული ახალგაზრდების მშობლები შემდეგ აზერბაიჯანში დაეძებდნენ მდინარიდან გარიყული შვილების გვამებს, წესის მიხედვით მაინც რომ დაესაფლავებინათ.

ვალერიანი გადარჩა. სროლა რომ ატყდა, მან დაიყვირა, დაწექითო, და მწოლიარემ, უკან-უკან ხოხვით, სანაპირო სკვერის ხეებში შეაფარა თავი. შეშინებულმა მარიამმა, კიდევ არ მოაკითხონ ჩემს შვილსო, ვალერიანი იმავე დღეს თბილისიდან შორს, აბასთუმანში გაამგზავრა, ვითომ კვლავ ფილტვებზე მკურნალობისშემდგომი სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად.

დრო გადიოდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ვალერიანმა მუშაობა დაიწყო. მოგვიანებით იგი დაქორწინდა, აგრეთვე ეგრეთ წოდებული „სამშობლოს მოღალატის“ ქალიშვილზე, ფაცია ქადაგიშვილზე. გავიდა დრო და მათ ორი ვაჟი შეეძინათ, ზურაბი და გაიოზი.

ვალერიანი ფარმაცევტულ ქარხანაში მუშაობდა კონვეიერული ავტომატური დანადგარების ინჟინრად. მისი მეუღლე, ფაციაც, იმავე ქარხანაში მუშაობდა, წამლების ლაბორატორიულ განყოფილებაში. ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა, დრო ამჯერად მშვიდად მიედინებოდა.

XIII

მეფე ბაგრატი თავისი ჯარით ჯავახეთში იდგა და კარგი ამინდების დადგომას ელოდებოდა, რომ თავგასული, ზვიადი ერისთავთ-ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ გაელაშქრა და გაენთავისუფლებინა მეფის ერთგული ერისთავები, რომლებიც ლიპარიტს კლდეკარის ციხეში ჰყავდა დატყვევებული. ზამთარი საცაა დამთავრდებოდა. ლიპარიტმა მშვენივრად იცოდა, ბაგრატ მეფე როდის დააპირებდა ომის განახლებას და სანამ ადრიანი გაზაფხულის წვიმები დაიწყებოდა, კონსტანტინოპოლში თავისი შვილი, ივანე გაგზავნა, რათა კეისრისაგან დაპირებული ჯარი მიეღო.

მანდატურთუხუცესმა ბაგრატს მსტოვრის მიერ მოტანილი ამბავი აუწყა: ორი დღის წინ, შუაღამისას, კლდეკარის ციხიდან მცირე მხედრობა გასულიყო ლიპარიტის ვაჟის, ივანეს თანხლებით, და გეზი ბიზანტიისკენ აეღო.

ბაგრატმა იცოდა, რომ ლიპარიტ ბაღვაშს ბიზანტიის იმედი ჰქონდა და ამიტომაც გაბედა ასეთი ურცხვი ღალატი და გაუგონარი თავხედობა, თან ისეთ დროს, როდესაც ბაგრატს თითქმის აღარაფერი აკლდა, რომ არაბები სამუდამოდ განედევნა თბილისიდან და საქართველოს ყოფილი დედაქალაქი არაბთა 400-წლიანი ბატონობისგან ეხსნა. მესხმა ერისთავმა

მაწყვერელმაც უღალატა მეფეს და თავისი ჯარით ლიპარიტის მხარეს გადავიდა. განრისხებულმა ბაგრატმა მანდატურუხუცესს დაავალა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ბიზანტიიდან უკან მობრუნებული ლიპარიტის ვაჟისათვის მახე დაეგოთ და ყოველი ღონე ეხმარათ ივანე ბაღვაშის ცოცხლად შესაპყრობად.

კლდეკარის აუღებელ ციხესიმაგრეში გამოკეტილი ერისთავი ლიპარიტი ბუხართან ცეცხლს მიფიცხებოდა. ჯავახეთისა და თრიალეთის ზეგანზე ქარბორბალა ტრიალებდა. ჰაერის ცივ ნაკადს ციხის ქონგურებისა და კოშკების კედლებში გულისგამაწვრილებელი, არასასიამოვნო ზუზუნი გაჰქონდა. ბუხრის ცეცხლის ციალზე ლიპარიტის ბრგე სხეულის აჩრდილი დევკაცის გამოსახულებასავით გამოიხატებოდა ციხის მთავარი, დიდი დარბაზის კედელზე. მის მკერდამდე წამოზრდილ წვერში თეთრი ღერებიც ერია უკვე, თმაშიც მომრავლებოდა ჭაღარა. ლიპარიტი ციხიდან გამოსვლას არ აპირებდა, სანამ მისი შვილი, ივანე, კონსტან-ტინოპოლიდან არ დაბრუნდებოდა და არ აუწყებდა, როდისთვის აპირებდა ბიზანტიის კეისარი მისთვის დამხმარე ჯარის გამოგზავნას. ლიპარიტმა მშვენივრად იცოდა, რომ ბაგრატს სწორედ იმ დროს განუდგა, როდესაც მეფეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისი მხარდაჭერა. ლიპარიტი ფიქრობდა, რომ თავისი ამგვარი ქმედებით მან შური იძია ბაგრატზე. დავიწყებას ჯერაც არ იყო მიცემული მოარული ხმები იმის შესახებ, რომ სიძვის დიაცთა მოყვარულმა ბაგრატ მეფემ ყმაწვილკაცობაში ძალით ახადა ნამუსი ლიპარიტ ერისთავის ახალგაზრდა მეუღლეს, რითაც უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა მამულისა და სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს, ერისთავთ-ერისთავსა და მეფის მთავარსარდალს, ქართველთა სპა-ჯარის ამირსპასალარს ლიპარიტ ბაღვაშს. არავინ იცის, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ეს ხმები, მაგრამ ერთი რამ აშკარა იყო – ამ მიზეზების გამო ატეხილი სამოქალაქო ომით ყველაზე მეტად უბრალო ხალხი უბედურდებოდა, ქვეყანა კი სისხლისაგან იცლებოდა.

მანდატურთუხუცესმა 1000 მებრძოლი ჩუხჩით მდინარე ჭოროხის სათავის მახლობლად მარჯვენა სანაპირო მთლიანად გადაკეტა და ბიზანტიიდან მობრუნებულ ივანე ბაღვაშს ჩაუსაფრდა. ორ კვირაზე მეტი ხნის ლოდინის შემდეგ მანდატურებმა კლდეკარის ერისთავის ვაჟი შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატმა დაკითხა ივანე და გაარკვია, რომ ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე მონომახი ბაგრატის წინააღმდეგ დიდი ლაშქრის გაგზავნას გაზაფხულის დასაწყისში აპირებდა. ივანე ბაღვაშის დაკითხვის შემდეგ ბაგრატმა ლიპარიტ ერისთავთან გამართა მოლაპარაკება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ლიპარიტი ტყვეობიდან გაათავისუფლებდა მეფის ერთგულ ერისთავებს, ბაგრატი კი ლიპარიტს შვილს დაუბრუნებდა. მალე ასეც მოხდა.

ბაგრატი ადვილად ვეღარ გაილაშქრებდა ლიპარიტის წინააღმდეგ, რადგან კლდეკარის ციხის ალყასა და დალაშქვას დიდი დრო სჭირდებოდა. ბიზანტიიდან კი ბაგრატის ნახევარძმა, დემეტრე აპირებდა ჯარით შემოსვლას, საქართველოს სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად.

სოფელ ღრტილაში გამოზამთრებული და დასვენებული ქართველთა ჯარი ბაგრატმა უფრო საიმედო და უხიფათო ადგილზე, ქართლში გადაიყვანა. მან ლაშქარი დააყენა კასპის მახლობლად, რკონის მონასტერთან, მდინარე თეძამის ხეობაში. მთებით გარშემორტყმული ხეობა საიმედო ადგილი იყო ლაშქრის მოსასვენებლად. საკლავი, მარცვლეული და ღვინო საკმარისად იყო ჯარისთვის დამარაგებული. თვით მეფე წაღვლისთავის, ნაჭარმაგევისა და მუხრანის ციხე-სასახლეთა აღდგენითი სამუშაოების შესამოწმებლად გაეშურა. როდესაც ბაგრატი ქუთაისიდან მცხეთას ან თბილისს მიემგზავრებოდა, ჩხერიმელის ხეობის შემდეგ ლიხნის მთას გადმოსულ მეფიონს ამ ციხეებში უხდებოდა გაჩერება და დასვენება. ეს

ციხეები ბაგრატს მთელი და განახლებული სჭირდებოდა, ჯართან ახლოს რომ ყოფილიყო. ამჯერად კი დროებით ბაგრატი თავისი ერთ-ერთი სამეფო ხუროთმოძღვრისა და ციხისთავის, როსებ კავკასიძის ციხე-სასახლეში დაბინავდა, რომელსაც ციხიონი საიმედოდ იცავდა.

****

როსებ კავკასიძის ციხის დიდ დარბაზში სანადიმო სუფრა იყო გაშლილი. სუფრის თავში, ტახტზე, მეფე ბაგრატი დაბრძანებულიყო. მისგან ხელმარჯვნივ ტახტის მემკვიდრე, უფლისწული გიორგი იჯდა, ხელმარცხნივ კი – მწიგნობართუხუცესნი, იოანე და ეფვთიმე. სანადიმო სუფრას უსხდენენ აგრეთვე მანდატურთუხუცესი და ჯარის სარდლები. ბაგრატი სიხარულს ვერ მალავდა, რადგან ახლა მის გვერდით იყვნენ ბაღვაშის ტყვეობიდან განთავისუფლებული მეფის ერთგული ერისთავები: ტაო-კლარჯელი იოვანე აბუსერისძე, გრიგოლ არტანუჯელი, ივანე სვანთა ერისთავი, სულა კალმახელი, ივანე დადიანი, გვარამ გოდერძის ძე; ისინი მეფემ დატუსაღებულ შვილში გაუცვალა ლიპარიტს.

უფლისწული გიორგი მე-17 წელში გადამდგარიყო. 10 წლის იყო გიორგი, ბაგრატმა რომ მეფობისთვის მისი მომზადება დაიწყო; ის გამუდმებით ასწავლიდა, წვრთნიდა და ამზადებდა თავის ვაჟს სამეფო საქმეებისთვის. თვით ბაგრატი 9 წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა; ამის მერე ძალიან მალე დაადგეს მას თავზე სამეფო გვირგვინი – ჯერ კიდევ პატარა ბიჭს ქვეყნის მართვა-გამგეობის უმძიმესი და ურთულესი პასუხისმგებლობა დაეკისრა. ბაგრატს კარგად ახსოვდა, როგორ უჭირდა უმამოდ იმ დროს ქვეყნის მართვა, ამიტომაც ადრევე დაიწყო ზრუნვა თავისი ტახტის მემკვიდრის ამ რთული საქმისთვის მოსამზადებლად. ბაგრატის ბრძოლა საქართველოს გასამთლიანებლად და გასაძლიერებლად მის მემკვიდრეს, მომავალ მეფე გიორგი II-ს უნდა გაეგრძელებინა ღირსეულად; წინაპრების მიერ დასახული მიზანი სისრულეში უნდა მოეყვანა და მომავალი თაობებისთვის გამთლიანებული, მოღონიე-რებული და მტკიცედ შეკრული ქართველთა სამეფო დაეტოვებინა.

მრავალ ბრძოლაში ახლდა თან უფლისწული გიორგი მამას. ახალგაზრდა უფლისწულის მეფის გვერდით ყოფნა ბაგრატისათვის ახლაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო. მამა თავის შვილში უკვე ხედავდა მზადყოფნასა და სათანადო მოწიფულობას იმ ფრიად საპასუხისმგებ-ლო მისიისთვის, რასაც ქვეყნის მართვა ჰქვია და რისთვისაც სახელმწიფოებრივი აზროვნებაა საჭირო.

ნადიმობის მიწურულს დარბაზში ტკბილეულით ხელში მანდილოსნები შემოვიდნენ. მათ წინ მოუძღოდა ლამაზად მორთულ-მოკაზმული მშვენიერი ახალგაზრდა ქალი. როსებ კავკასიძემ მშვიდი და ალერსიანი ხმით მოახსენა მეფეს:

– ჩემი ქალიშვილი, დიდო მეფეო.

მასპინძლის 16 წლის ქალიშვილმა მეფეს ტკბილეულით სავსე ხონჩა მიართვა. მის დანახვაზე ბაგრატი და მაგიდასთან მსხდომი დიდებულები გაშრნენ, ყველა გაკვირვებული შესცქეროდა თეთრ-ყირმიზი სახის ფერის, ნატიფნაკვთებიან და მორცხვად მოღიმარ მშვენიერ, სათნო გოგონას, რომელსაც უხერხული მდგომარეობის გამო ღაწვები ავარდისფრებოდა და ეს დამორცხვება მის სილამაზეს კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებდა. იგი ხონჩაგაწვდილი იდგა მეფის წინაშე და არ იცოდა, სად დაემალა ლამაზი, ბავშვური, შვლის ნუკრის მსგავსი თვალები. დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა და უცნაური უხერხულობა ჩამოვარდა. მასპინძლის, როსებ კავკასიძის 16 წლის ქალიშვილი საოცრად ჰგავდა ბაგრატ მეფის პირველ მეუღლეს, ბიზანტიის კეისრის, რომანოზ III არგიროსის ძმისშვილს, დედოფალ

ელენეს. ბაგრატს გაახსენდა ის დრო, როდესაც ის, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი, ტაოში, ბაგრატიონთა საგვარეულო მიწაზე, პირველად შეხვდა კონსტანტინოპოლიდან ჩამობრძანებულ ელენეს, რომელსაც დიდი ამალა და აურაცხელი სიმდიდრე ჩამოჰყვა ბიზანტიიდან. ელენემ საქართველოში თან ჩამოიტანა აგრეთვე მაცხოვრის ერთი სამსჭვალი (ლურსმანი)[1] რომლითაც ის ჯვარზე მიაჭედეს, და საქვეყნოდ ცნობილი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

იმ დროს ტაოში, ბანას დიდებულ ტაძარში, ჯერ ბაგრატი აკურთხეს მეფედ, შემდეგ კი დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეფე-დედოფლის შეუღლება და ჯვრისწერა. სამწუხაროდ, საქართველოს დედოფალი ელენე ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მაშინ ბაგრატმა გადაწყვიტა, რომ ელენე ქუთაისიდან ბაგრატოვანთა მამულში, ტაო-კლარჯეთში, გადაესვენებინათ და იქ დაეკრძალათ – ტაოს მიწაზე, სადაც ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. საფლავის მოწყობა დაევალა ტაოში პარხლის მფლობელს, პეტრიკ კავკასიძეს.

უფლისწულმა გიორგიმ შენიშნა, რომ დარბაზში რაღაც ხდებოდა, მაგრამ ვერ მიმ-ხვდარიყო, სახელდობრ – რა. მამამისი მოჯადოებულივით შესცქეროდა მასპინძლის მომხიბვლელ ქალიშვილს. უფლისწულ გიორგის დედა, ოვსთა მეფის ასული ბორენა, ბაგრატის მეორე მეუღლე იყო; ამიტომ დედოფალ ელენეს შესახებ გიორგიმ თითქმის არაფერი იცოდა.

უფლისწულ გიორგის შეეცოდა უხერხულობისაგან სახეზე ალმურადენილი გოგონა, რომელმაც არ იცოდა, რა ექნა და სად წასულიყო. გიორგიმ ოდნავ გაიღიმა, მასპინძლის ქალიშვილს თასი ჩამოართვა და მაგიდაზე დადგა. შეცბუნებულმა და შეშინებულმა გოგონამ მადლობის ნიშნად სწრაფად დაუკრა თავი მეფესა და უფლისწულს და, ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ მეფემ შეაჩერა და სახელი ჰკითხა.

– ელენე, მეფევ ბატონო, – დამორცხვებით წარმოთქვა გოგონამ.

დარბაზში მყოფ ერისთავებს გაკვირვების ხმადაბალი შეძახილი აღმოხდათ. ბაგრატს თვალები ოდნავ აუწყლიანდა, დამფრთხალ გოგონას დასამშვიდებლად მსუბუქად გადაუსვა თავზე ხელი და ალერსიანად უთხრა:

– ჩემს პირველ მეუღლეს, აწ გარდაცვლილ დედოფალ ელენეს მაგონებ ძალიან. დედოფლის სახელიც გქონია და მეც მეფურ საჩუქარს მოგართმევ. ცხენის ტარება თუ იცი?

– დიახ, მეფეო. – ოდნავ დამშვიდებულმა და გაღიმებულმა მიუგო ელენემ მეფეს.

– ძალიან კარგი. ხვალ მეფიონი სამთავისის ტაძრის საკურთხევლად მივეშურებით. სამეფო საჯინიბოდან საუკეთესო ცხენი მომირთმევია საჩუქრად; მოხარული ვიქნებით, თუ ხვალისთვის მამაკაცთა მხედრობას თქვენი თანხლებით დაგვიმშვენებთ და გაგვილამაზებთ! – შემდეგ მეფემ ნეკი თითიდან ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭედი წაიძრო, ელენეს გაუწოდა და გულთბილად უთხრა:

– გამომართვი, დედოფალ ელენეს ნაქონია ეს ბეჭედი. შენ უფრო დაგამშვენებს, ვიდრე მე, და გქონდეს ჩემგან სახსოვრად.

ელენე მეფის წყალობას დიდი მადლიერებით შეხვდა. ბაგრატი მამაშვილურად შუბლზე ეამბორა მას. აღტაცებულმა ელენემ გახარებულმა დატოვა სანადიმო დარბაზი. მეფემ მასპინძელს, როსებ კავკასიძეს ჰკითხა:

– ციხისთავო, ტაოელი პეტრიკი, მოგვარე შენი, პარხლის მფლობელი, ნათესავად გერგება, ხომ?

– დიახ, დიდო მეფეო, პეტრიკი პაპის ძმად მეკუთვნის, – მიუგო როსებმა.

საუბარში მწიგნობართუხუცესი ეფვთიმე გრძელი ჩაერთო:

– თქვენის ნებართვით, მეფევ ბატონო. ჯერ კიდევ მამის მამისა თქვენისა, სულმნათი დიდი მეფის, ბაგრატ III-ის დროს, კავკასიძეების დიდ ოჯახს მონაწილეობა მიუღია ტაო-კლარჯეთში მრავლად არსებული დიდებული ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობაში. დიდმა მეფემ ამიტომაც დაუთმო და მისცა ამ საგვარეულოს პარხალი, სადაც მათ შემდგომში იოანე ნათლისმცემელისა და ოთხთა სვეტის დიდებული ეკლესიები აღაშენეს, ჩადგეს მონასტრები და გალავნის კედლები აღმართეს. მაღალ მთაზე მდგარი პარხალი ძლიერ, საიმედო, მტრისათვის ძნელად მისაღწევ ადგილად გადაიქცა, ამიტომაც გირჩიეთ იმ დროს, მეფევ ბატონო, დედოფალ ელენეს გადასვენება პარხალში, სადაც მისი წმინდა საფლავი დაცული იქნებოდა მტრის მიერ წაბილწვისაგან.

რაც შეეხება შიდა ქართლს, ურბნისისა და რუისის, გორისა და კასპის ეპარქიები მრავლადაა მოფენილი ტაძრებითა და ეკლესია-მონასტრებით, რომელთა აღმშენებლობაში აქაურ კავკასიძეთა ხალხმრავალ ოჯახებს დიდი წვლილი მიუძღვით. ისინი ოდითგანვე სანიმუშო ქვისმთლელნი, კირითხურონი და ქვისწყობის დიდი ოსტატნი იყვნენ. ეპისკოპოსმა ყანჩაველმა სამთავისის ტაძრის აგებაც მათ მიანდო.

ბაგრატმა რამდენიმეჯერ მძიმედ დაიქნია თავი და მასპინძელს მიმართა:

– ფრიად საჭირო ხალხი ყოფილხართ კავკასიძეები, იღწვით და აშენებთ ერისთვისაც და ბერისთვისაც. ამ დამსახურებას არ დაგივიწყებთ, სათანადოდ გადაგეხდებათ. ხვალ კი ტაძრეულით სამთავისს ვეწვევით საკურთხებლად, ვნახავთ და შევაფასებთ თქვენ მიერ აგებულ ტაძარს, ოსტატო. რაც შეეხება თქვენს ციხეს, ფრიად მომწონს აქაურობა. მართალია, უძველეს სამეფო აზნაურებად იწოდებით, მაგრამ ციხე ერისთავის სასახლესავითა გაქვთ გაწყობილი.

– მართლაც რომ ასეა, მეფეო, ნამდვილად! – დაეთანხმნენ მეფეს სუფრასთან მსხდომნი, ღვინით გახალისებული, ლიპარიტის ტყვედყოფილი და აწ განთავისუფლებული ერისთავები, რომლებსაც მონატრებული ჰქონდათ მეფესთან ნადიმი. პურობის დასრულების შემდეგ მასპინძელმა დარბაზი დატოვა და ბაგრატმა სახელდახელო ბჭობა-თათბირი გამართა. სამეფო დარბაზის შესაყრელად საჭირო ხალხი თითქმის ყველა თან ახლდა მეფეს – მემკვიდრე უფლისწული, მისი ერთგული სარდალ-ერისთავები, მწიგნობარნი და მანდატურთუხუცესი.

როგორც მანდატურთუხუცესი აუწყებდა მეფეს, მსტოვრები იტყობინებოდნენ, რომ კლდეკარის მიუდგომელ ციხესიმაგრეში ჩაკეტილი ლიპარიტ ბაღვაში გარეთ არ გამო-დიოდა. მისი სამი ვაჟიდან ერთი ბიზანტიის კეისართან იყო დარჩენილი, ჯარით დახმარების მოლოდინში. ლიპარიტმა იცოდა, რომ დიდი წვიმების დასრულების შემდეგ ბაგრატი მას შეუტევდა მზადყოფნაში მოყვანილი ლაშქრით. ბიზანტიიდან ჯერჯერობით არაფერი ისმოდა.

მეორე ამბავი, რაც მანდატურუხუცესმა მეფეს ამცნო, ეს იყო ვარანგთა დიდი რაზმის გამოჩენა საქართველოში. ისინი კასპიის ზღვიდან მდინარე მტკვარს ამოჰყო-ლოდნენ და თბილისში შესულიყვნენ თავიანთი გემებით. ვარანგნი თბილისში ვაჭრობდნენ ბეწვეულითა და ძვირფასი ქვებით, თუმცა კუნთმაგარ და კარგად შეიარაღებულ მებრძოლ ვარანგთა შორის არც ერთი არ წააგავდა ვაჭარს ან სოვდაგარს.

ბაგრატი დაეჭვდა – კეისრის რაიმე ხრიკი ან თვალთმაქცობა ხომ არ უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი? ბაგრატის ალყაში მოქცევა ხომ არ განუზრახავთ ლიპარიტსა და კეისარ მონომახს? მეფემ გადმოცემით იცოდა, რომ ბასილი II კეისარს ადრე ტაო-კლარჯეთში თან ახლდა ვარანგთა რაზმი ჰარალდის მეთაურობით, როდესაც ბასილი II ბაგრატის მამას, მეფე გიორგი I-ს ებრძოდა ტაოს ტერიტორიებისათვის.

იმ დროს, 4-დან 7 წლის ასაკამდე, პატარა ბაგრატი ბასილი კეისარს მძევლად ჰყავდა კონსტანტინოპოლში. ბაგრატს ბუნდოვნად ახსოვდა, რომ იქ ნახა მან პირველად ჰარალდის საიმპერატორო გვარდია და ვარანგები, მაგრამ ამჟამად ნამდვილად უცნაური და გასაკვირი იყო ეს სიახლე. ვარანგები თბილისში და, თანაც, სავაჭროდ ჩამოსულები?

ბაგრატმა დაავალა მანდატურთუხუცესს, გაეზარდა მეთვალყურე მსტოვრების რიცხვი ბიზანტიის მოსაზღვრე ტერიტორიებზე; თბილისიდან კი ვარანგები თავიანთი გემებით მდინარე მტკვარზე ამოეყვანათ, კასპის სიმაღლემდე, და ხვალ იმათ მეთაურს ბაგრატი სამთავისში შეხვდებოდა საეკლესიო წირვის შემდეგ.

მწიგნობართუხუცესმა იოანემ მეფეს აუწყა, რომ სხვადასხვა საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით, მას საქართველოს თითქმის ყველა ეპარქიების შემოვლა მოუხდა და, თავისდა სავალალოდ, შეამჩნია, რომ შიდა არეულობის გამო ქართველი ხალხი გაბოროტდა, გაავდა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ადამიანური სახე სრულიად დაკარგა. დღე არ გავიდოდა, საშინელი მკვლელობა, ქურდობა ან ძარცვა-გლეჯა რომ არ მომხდარიყო; ნათესავი ნათესავს არ ინდობდა და მეზობელი – მეზობელს; არავის არავისი სიბრალური აღარა ჰქონდა, ხალხმა ღვთის შიში დაკარგა; კაცი ადამიანს აღარა ჰგავდა; ერის სიმტკიცე დაირღვა და საქართველოს მოსახლეობა უაზროდ და უმიზნოდ ბორგავდა. ქვეყანას დამ-შვიდება ესაჭიროებოდა, შიდა არეულობის დროულად მოგვარება და წესრიგის დამყარება.

XIV

XX საუკუნის 60-იანი წლების საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, განსაკუთრებული მოვლენა იყო იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. თბილისი ყველა სხვა ქალაქისაგან გამოირჩეოდა არა მარტო თავისი თბილი, ზომიერი კლიმატით, არამედ აგრეთვე ცხოვრების წესით – მის მოქალაქეებს შორის ნამდვილი, ადამიანური, თბილი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევდა. ადამიანები პატივს სცემდნენ, აფასებდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს; მეგობრობა, ახლობლობა და ნათესაურ-მეზობლური ურთიერთდამო-კიდებულება აქ ცხოვრების ყოველდღიური ნორმა იყო; ქალაქის უბნებში თითქმის ყველა ყველას იცნობდა. სხვადასხვა ეროვნების უამრავი ადამიანი მეგობრულად ცხოვრობდა ერთმანეთის გვერდით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ყველა ცდილობდა, ერთმანეთისათვის ხელი გაემართა და, რითაც შეეძლო, დახმარებოდა.

ევროპაში მდგარი საბჭოთა ჯარებიდან ქართველმა მებრძოლებმა დაიწყეს სახლებში დაბრუნება; ამას გარდა, გულაგის ციხეებიდან განთავისუფლებული ბევრი პოლიტპატიმარი დაუბრუნდა მშობლიურ ოჯახს. ამასთან დაკავშირებით, თითქმის ყოველდღე არაერთი სამხიარულო სუფრა იშლებოდა, ყველგან ლხინი სუფევდა.

ძველი, ყარაჩოხული თბილისი ზომიერად ინდუსტრიულ ქალაქად გადაქცეულიყო. სამსახური ყველასთვის იყო. ქალაქში შენიღბული, ფარული წვრილი კაპიტალიზმი განვითარდა, შენდებოდა ახალი საცხოვრებელი რაიონები.

თანდათანობით გაძლიერდა და მოღონიერდა თბილისი. ბევრი რამ აშენდა, კიდევ უფრო გაიზარდა და დამშვენდა დედაქალაქი. თბილისში ცხოვრება კომფორტული

გახდა. როგორც იქნა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ვალერიან კალატოზიშვილი თავისი ოჯახით თბილისის ერთ-ერთ ძველ, ყოფილ ვორონცოვის კოლორიტულ უბანში ცხოვრობდა. მათი სახლის მოპირდაპირე მხარეს დიდი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელსაც ფართო, ეგრეთ წოდებული „იტალიური ეზო“ ჰქონდა. ამ სახლისა და მისი ეზოს გამოსასვლელი მხარე ვალერიანის სახლისგან მხოლოდ ვიწრო ქუჩით იყო გაყოფილი.

იმ დიდ შენობაში სხვადასხვა ეროვნების, წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილების დაახლოებით ოცი ოჯახი ცხოვრობდა. თითოეულ მათგანს თავისი პატარა პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ყველანი ერთად, ერთ დიდ ოჯახად იყვნენ შეკრულნი. იმ ეზოში საიდუმლო არ არსებობდა. მეზობლებმა ერთმანეთის ყოველდღიური ცხოვრება უკეთესად იცოდნენ, ვიდრე ნათესავებისა. იმ ეზოდან ყოველდღიურად ისმოდა ხმამაღალი ჩხუბი, აყალმაყალი, სიცილი, წივილ-კივილი, მუსიკა, წყევლა, ანეგდოტები, გინება, ხუმრობა, შაირები, ბავშვების ჟრიამული და ასე შემდეგ. ეს მაშინ ყოვლად ნორმალური მოვლენა იყო, რადგან თბილისურ ეზოებში იმ დროს ყოველდღიური სიცოცხლე ჩქეფდა და დუღდა, კოლორიტული ტემპერამენტის მაქსიმალური გამოვლინებით, და ამის გაგება მხოლოდ თბილისელ ადამიანს თუ შეეძლო.

იმდროინდელი თბილისელები ყოველივე ამას კეთილი ღიმილით უცქერდნენ. ყველამ იცოდა, რომ აყალმაყალისა და ზოგჯერ ჩხუბის მიუხედავად, სინამდვილეში მათ ყველას ერთმანეთი უყვარდათ და, თუ საჭირო გახდებოდა, მთელი სამეზობლო ერთად დადგებოდა გაჭირვებული მეზობლის დასახმარებლად და მხარში ამოსადგომად.

ხუმრობით ან უხეშად ნათქვამ სიტყვას გულში არავინ იდებდა, ხელზე არ იხვევდა, წყენა მაშინვე დავიწყებას ეძლეოდა; ბიჭებს შორის ჩხუბი თუ მოხდებოდა, ეს მხოლოდ მუშტი-კრივი იყო, უბრალო სიტყვის გამო ერთმანეთს მოსაკლავად დანას არ დაარტყამდნენ.

ასეთი იყო მაშინდელი თბილისი და ვალერიანი თავისი სახლის მეორე სართულის ფანჯრებიდან ყოველდღიურად, თავის ოჯახთან ერთად, ცოცხალი და რეალური, ჭეშმარიტი სპექტაკლის მომსწრე ხდებოდა.

ვორონცოვის უბნის მიდამოებში იმ პერიოდში ღამე ტრანსპორტი ძალზე იშვიათად მოძრაობდა და ამიტომ, დაღამდებოდა თუ არა, ყოველთვის სრული სიჩუმე და სიმშვიდე ისადგურებდა. ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ ქუჩის მეეზოვე, იეზიდი აზატა ხმელი ტოტებისაგან შეკრული უხეში, დიდი ცოცხის შრიალით მძინარე უბანს ღრმა ძილისგან გამოაფხიზლებდა ხოლმე.

ზაფხულის დასაწყისის ცხელი ღამე იდგა. უბანში თითქმის ყველას ბოლომდე გამოეღო სახლის ფანჯრები, რომ სიგრილეში დაეძინათ. ვიწრო ქუჩაზე ორივე მხარეს ერთმანეთთან გვერდიგვერდ მიჯრილი სახლების კედლები მეეზოვის ცოცხის შრიალს ექოთი ეხმაურებოდა და ცოცხის მოსმის ხმა და რითმი ორთქლმავალის ქშუტუნივით ისმოდა. ვალერიანის მოპირდაპირე სახლის მარცხენა ფლიგელის პირველ სართულზე მცხოვრებმა მესაათე ლოვიკამ ღია ფანჯრიდან თავი გადმოყო და გაბრაზებული ხმით დაიძახა:

– კაი რა, აზატჯან, დამაძინე, რა!

– რა უნდა შენ, კაცო? – შეეპასუხა მეეზოვე დამტვრეული ქართულით.

– უძილო ვერა ვმუშაობ, სულ ხელები მიკანკალებს, ჩემ არტურჩიკას მერე რა ვაჭამო?

– შენ რა, ჩემი უფროსი არის? არ მოგწონს? მაშინ მოდი აქ და შენ დაგავე!

– რამდენჯერ გითხარი, შე მამაცხონებულო, ეგ ცოცხი ცოტა ნეჟნათ მოუსვი, რა.

– მამაცხონი, მამაცხონი. ყოვე, ყოვე, მამიცხონი, შენი მამა არის მამიცხონი… – დაიწყო და აღარ დაამთავრა ბუზღუნი ბუდიონისულვაშა აზატამ და გაბრაზებულმა, თავისი დიდი ცოცხი კიდევ უფრო მეტად ააშრიალა და აახმურა.

– ეხლა ჰო, ესენი აღარ გაჩერდებიან, აი ბაში, აბა სიფთა დილაზე ეგ იაღლიში გინდოდაა?.... – დიდი სახლის საცხოვრებელი სარდაფის რკინისგისოსებიანი ღია ფანჯრიდან გამოეხმიანა მეზობელს მექისე ჰასანას მძინარე ხმა.

– ჰასან! კლიანუს არტურჩიკა! პრისტუპი მაქ და იცოდე, მანდ არ ჩამომიყვანო!

– ჩამოხვიდე, თორე შენც იოხტურ! შილაფლავი და ბასთურმა არ ჩამამიტანო, აი!

– ჰასან! ნუ აქოთდები ეხლა! – იყვირა ლოვიკამ.

– ლოვიქ, მე მთელი დღე აბანოში ვარ, ქოთის სუნი შენგან უფრო ჩამოდის.

დიდი სახლის მეორე სართულიდან უცებ ტყვიამფრქვევის კაკანივით გაისმა პენსიონერ დომენტის ხმა:

– რატომ აღა-მახმად ხანს არ ჩაჰყევით ერთად საფლავში ქურთიც, თათარიც და სომეხიც! თქვენი სინსილა გაწყდა ერთ დღეს, თქვენი! შაბათს მაინც გამომაძინეთ, თქვე გასაწყვეტებო, თქვენა! ეჰ, სად არის ეხლა ძერჟინსკი ან ურიცკი! გიჩვენებდათ სეირს!

– ჰა, ჰა! ეგეთები არ იყოს, თორემ, კლიანუს არტურჩიკა! – ასძახა ლოვიკამ მეზობელს.

– თორემ რა? მემუქრები კიდეც?! ძველი ბოლშევიკი ვარ მე! დენიკინს ვებრძოდი კიკვიძესთან ერთად კავალერიის პოლკში! ჩამოვალ და სულ ხმლით აგკუწავთ! ზარუბლიუ, მერზავცი! უნიჩტოჟუ! – გაჰყვიროდა მთელი ხმით დომენტი.

ოთახიდან ქალების დამამშვიდებელი ხმა გაისმა:

– კაი ახლა, დომენტი, დამშვიდდი, გამოეცალე ფანჯარას, ხომ იცი, წნევა აგიწევს, გეყოფა ამდენი ბაქიბუქობა, თორემ ისე გახურდი, საცაა ბოლი აგივა.

მესამე სართულიდან გაისმა რუსეთიდან თბილისში ადრე გადმოსახლებული ცნობილი მხატვრის შეშფოთებული ხმა:

– ოი, ოი, ოი! კაკოი კოშმარ! ოპიაწ რევოლუცია! ოპიაწ კრასნიე! ბოჟე უპასი, ილი მნე ეტო სნიტსია! ზოიჩკა, დარაგაია!

– დაწყნარდი, ძვირფასო, მოგეჩვენა, – გაისმა მხატვრის მეუღლის ხმა.

– არა, ზოია, მე მართლა გავიგონე ძერჟინსკის ხმა, მაგრამ რატომღაც იგი ქართულად გაჰყვიროდა.

– აჰა, დამაშვიდებელი ტაბლეტები, გამომართვი! – დააწყნარა მხატვარი მეუღლემ.

მეოთხე სართულზე მცხოვრები გრიშა პავლოვიჩს კარგი თანამდებობა და სამსახური ჰქონდა; სახლიდან ყოველთვის ელეგანტურად ჩაცმული, ჰალსტუხით, ცილინდრითა და პორტფელით ხელში გადიოდა სამსახურში. ხმაურის გაგონებაზე გრიშამ პაპიროსით ხელში გადმოიხედა ფანჯრიდან, ხელი ჰაერში გაიშვირა, გადმოაფურთხა, ერთი წამოიძახა, ვაი თქვენს პატრონსო, და ფანჯარა მიიხურა.

დიდი სახლის მარჯვენა ფლიგელის კუთხის ფართო ხის აივანზე მეთევზე ნიკალა ბადეს ასწორებდა და თან ყოველივე ამის შემსწრესა და შემყურეს სიცილისაგან თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ცირკია, ნამდვილი ცირკი, – ხითხითებდა თავისთვის ნიკალა.

მზე ამოვიდა და სხივები სტყორცნა დიდი სახლის ფართე ვერანდებსა და ხის ჩუქურთმებიან აივნებს. ჩიტების ჟღურტულმა თითქოს სიცოცხლის განახლების ელფერი მისცა ახლად დამდგარ დილას.

დიდი სახლის შიდა ეზოს ბოლო სართულის ხალიჩაგადაფენილ ვერანდაზე მოხუცი მეზურნე გოგია გადმოდგა, ერთი ჩაახველა, ხრინწი მოიშორა, პატარა,

50-გრამიანი არყის ჭიქა ოდნავ შემართა და ომახიანად დაიძახა:

– დილა მშვიდობისა, თბილის-ქალაქო, დილა მშვიდობისა, მეზობლებო! ყველა კაი საქმეზე წასულ კაცსა გაუმარჯოს, და ყველა ცუდ საქმეზე მიმავალსა კი, გზა გაუმრუდდეს.

შემდეგ გოგიამ არყის პატარა ჭიქას ნელ-ნელა წრუპვა დაუწყო, აქეთ-იქიდან კი, სახლიდან გამოუსვლელად გაისმა მეზობლების ნამძინარევი ხმები: გაიხარე, გოგია, ამინ! არაყი რომ დალია, გოგია იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა, ჭიქა განიერ მოაჯირზე დადგა, უბიდან თავისი დუდუკი ამოიღო, ყამიში შეამზადა, დუდუკს ჩაბერა და ვერანდის აივნიდან დილის საარის სასიამოვნო ჰანგები გაისმა.

გამოცოცხლდა დიდი ეზო, გამოეფინნენ ფართო აივნებზე მეზობლები, დიდი და პატარა. ახმაურდა ვერანდები და აივნები. ამ დროს მემაწვნე ქალმა ჩამოიარა „მაწონი, მაწონის“ ძახილით. მენავთე კოწიას ხმაც გაისმა: „ნავთი! აბა ნავთი!“. კონსერვატორიის პროფესორის, ვერჟბილოვიჩის ფანჯრებიდან მუსიკალური ინსტრუმენტის, საყვირის ხმა გაისმა, ტუჩების გასავარჯიშებლად მან გრძელი გამების ჩაბერვა დაიწყო. კაცებმა ეზოში ნარდის კამათლები გააგორეს და დომინოს ქვები აახმაურეს. ეზოდან ტაქსის მძღოლის, ვალიკოს ხმა გაისმა, რომელმაც მეწაღეს ასძახა:

– აკოფ, ერთი შენ შვილსა სთხოვე, ბილეთი კიდევ დამიხატოს, იქნებ სტადიონზე როგორმე შევძვრე, დღეს „დინამოსა“ და „არარატის“ თამაშია.

დომინოს თამაშში გართულმა ბიკენტიმ დაიყვირა „რიბა!“, დომინოს ქვა ხმაურით დაახეთქა მაგიდას და თან ვალიკოს ნათქვამს გამოეხმაურა:

– ოხ, ოხ, ოხ, ოხ, რა დაერხევა დღეს „არარატს“, აი, ნახავთ, მესხმა სამი ბურთი თუ არ შეუგდოს კარებში!

აკოფამ გაიგონა ბიკენტის სიტყვები და გულმოსულმა ვალიკოს ჩამოსძახა:

– ჩემი შვილი რუბენსი კი არაა, ბილეთები გიხატოს! ორჯერ დაგიხატა? სამჯერ დაგიხატა? გეყოფა, რაღა. წადი რა, შენ ტაქსს მიხედე, ხო მუშაობ, არა?!

– დღეს შაბათია, აკოფჯან, ვისვენებ. დაახატინე შენ ბიჭს ბილეთი და ერთი ბოთლი 8 ნომერი ღვინო ჩემზე იყოს!

– ვახ, კაცო, ერთ ბოთლ ღვინოზე ერთადერთი შვილი საციხედ დავაჭერინო? არა, არ გამოვა! დღეს ბევრი სამუშაო მაქვს და ჩემი შვილი მე უნდა დამეხმაროს, ამდენ ჩაჭყლეტილ ქუსლებს რა გამოცვლის? ჩემი გევორქა მშიერი მხატვარი კი არა, საპოჟნიკი უნდა გამოვიდეს, საპოჟნიკი, მააშ!

უცებ ზევიდან მხატვრის ხმა გაისმა, რომელიც ვერანდაზე გამოსულიყო და მსუბუქად ვარჯიშობდა.

– ასტავტე არტისტოვ ვ პოკოე, პაჟალუსტა.

– აი! იმას თხოვე ბილეთის დახატვა. – ხელი გაიშვირა აკოფამ მხატვრისკენ.

– აკოფ, ხო იცი, ივანიჩს პარკინსონი აქვს და ხელები უკანკალებს, რაღა დროს მაგის მხატვრობაა. ჯანდაბას, ორი ბოთლი 8 ნომერი იყოს. დაახატინე ბილეთი შენ შვილს.

– ჯანდაბა და დოზანა შენა, მე რას მერჩი, კაცო? კაი, ჯერ ღვინო მაიტანე და მერე ბილეთიც იქნებაა...

– ორ ბოთლ ღვინოზე ხელად არ გაყიდა თავისი ერთადერთი შვილი? – სიცილით დაიძახა ვასილიმ და ნარდის კამათელი გააგორა.

ერთ-ერთი ზედა ვერანდიდან გაისმა ვასილის მეუღლის, ნატალიას ხმა:

– ვასიკო, ამოდი, ხაჭაპური მიირთვი, სანამ ცხელია.

ვასომ დაბლიდან შეჰყვირა ცოლს:

– სად უნდა ამოვიდე, ქალო, დაჭერი და აქ ჩამოგვიტანე ეგ ხაჭაპური!

აივანზე ყასაბი დურმიშხანი გადმოდგა, გაიზმორა შემდეგ კი ნარდისა და დომინოს მოთამაშეებს ჩამოსძახა:

– დღეს ღამე ბაზრიდან ხაშის მასალას მოვიტან და ეზოში დიდი ხაშის ქვაბი შევდგათ. წაგებულებმა ხვალ დილისათვის ჭაჭა და ცივი ლუდი იკისრონ.

– მოსულა, დურუ, ჯიგარი ხარ! – ამოსძახეს ეზოდან მოთამაშეებმა. თამაშს მეტი აზარტი და ინტერესი მიეცა. დურმიშხანს უცებ თავისი ცოლი დაეტაკა:

– კაცო, ამ გაგანია სიცხეში არყის დალევა ვის გაუგია?! ჭკუა გინდათ რომ დაკარგოთ?

ყასბის ცოლს სხვა ქალებიც აჰყვნენ და აივნებიდან თავიანთ ქმრებს დაჰყიჟინებდნენ:

– რა დროს დალევაა, ამ ზაფხულში ვის გაუგია არყის სმა!

კამეჩივით ზორბა დურმიშხანმა, უცებ ხმამაღლა დასჭექა თავის ცოლს:

– შედი, ქალო, სახლში! ხაშს შუადღეს ვინ ჭამს! ხაში დილის 6 საათზე იჭმევა!

ამ დროს ქუჩაში გაისმა სამთვლიანი მოტოციკლეტის რახრახის ხმა, რომელიც ეზოს წინ გაჩერდა. ბერძენი სტეფანე მოტოციკლეტიდან გადმოვიდა და დაიწყო ყვირილი:

– მაროჟნიი, სტაკანჩიკი მაროჟნიი! ვაფლის მაროჟნიიი...

ბავშვების ჟივილ-ხივილმა იქაურობა გააყრუა. გამოცვივდნენ ეზოში და ხელში დამუჭული ოცკაპიკიანებით ერთბაშად მიაწყდნენ მოტოციკლეტს. სტეფანე ბავშვებს ნაყინს ურიგებდა და თან ყვიროდა:

– ნუ დამესიეთ, მაცალეთ, საკმარისი მაქვს, ყველას გეყოფათ.

ნაყინი იმ დროისათვის ახალი შემოსული იყო თბილისში. ეზოს ჩრდილში, სკამზე მჯდომმა მიხო პაპამ სტეფანეს გასძახა:

– რა არის ერთი ასეთი, მომიტანე, მეც გამასინჯე, კატებივით რომ იტლიკებიან ეს ბალღები, მე ამათ ვაჩვენებ, ჭამა როგორი უნდა.

იყიდა ვაფლის ნაყინი სტეფანესაგან მიხო პაპამ, გადახსნა და ბარაქიანად უკბიჩა ნაყინს. მიხო პაპას გაეყინა მთელი პირი, სიცივემ კბილები მოკვეთა, მოულოდნელობისაგან შეჰყვირა და მოკბეჩილი ნაყინის დიდი ლუკმა პირიდან გადმოაგდო. ამის შემხედვარე სტეფანემ მიხო პაპას სიცილით მიუგო:

– კაცო, ეს ხაშლამა კი არაა, რომ კბეჩავ, მაროჟნს ნეჟნად ჭამა უყვარს.

ეზოში დიდი სიცილ-ხარხარი ატყდა და საერთო მხიარულებამ დაისადგურა.

ვალერიანი თითქმის ყოველდღე ასეთ გარემოცვაში იღვიძებდა და დილიდანვე კარგ ხასიათზე დგებოდა, რადგან ციმბირში, გულაგში ყოფნისას, ის იძინებდა და იღვიძებდა მგლების ყმუილის ხმების თანხლებით. იქ, იმ შორეულ ციმბირში, იმ სიცივეში ვალერიანს სწორედ ეს ენატრებოდა, ასეთი ხალისიანი და მზიანი თბილისი.

რადგან ვალერიანის და, ელეონორა, ლენინგრადში მუსიკის სწავლის დასრულების შემდეგ იქვე გათხოვდა, მათი დედა, მარიამი, ხან თბილისში ცხოვრობდა, ხან კი – ლენინგრადში, თავის ქალიშვილთან.

ვალერიანი აივანზე გავიდა და შიდა ეზოში ხალხს მიესალმა, ისინიც მიესალმნენ და შინაურულად მოიკითხეს:

– გაზოს გაუმარჯოს! ახალს რას გვეტყვი?

ვალერიანმა გულის ჯიბიდან ფეხბურთის მატჩის 2 ბილეთი ამოიღო და მეზობლებს უთხრა:

– გუშინწინ სამსახურში დღევანდელი თამაშის ბილეთები მოგვიტანეს. ორი ბილეთი მაქვს და მოხდა ისე, რომ საღამოს არ მცალია სტადიონზე წასასვლელად, სადგურში უნდა ვიყო მაგ დროს დედას უნდა დავხვდე.

– მერე ვის აძლევ მაგ ბილეთებს, გაზო? ყველას გვინდა ფეხბურთზე წასვლა! – შეეკითხნენ მეზობლები და თავისი ადგილებიდან წამოიშალნენ.

გაზომ გაიცინა და ბიჭებს აივნიდან გადასძახა:

– ბედმა გადაწყვიტოს, ვისაც ყველაზე მაღალი კამათლები მოუვა, იმათი იყოს!

შემდეგ ვალერიანმა ბილეთები თავის უფროს ვაჟს, ზურიკოს მისცა და მეზობლებთან ჩააგზავნა.

ნარდი და დომინო დროებით ყველას გადაავიწყდა, დადგა რიგი კამათლის გაგორებაზე. ახლად გაღვიძებული, საწოლიდან ეს-ეს არის წამომდგარი მეზობლებიც კი, რომ გაიგეს, ფეხბურთის ბილეთები თამაშდებაო, ნახევრად ჩაცმულები, კიბეებზე მოფრინავდნენ.

ბილეთები შეხვდათ ტარიელსა და ვალიკოს. აივნიდან გაისმა აკოფას სევდიანი ხმა:

– აფსუს! ჩემი ორი ბოთლი 8 ნომერი...

ეზოში ატყდა კვლავ სიცილი, ხარხარი და მხიარულება.

იმ პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა ედუარდ შევარდნაძე. ის ტიპური საბჭოთა ნომენკლატურის კადრი იყო, რომლის მთელი სამსახურებრივი კარიერა და დაწინაურება ხდებოდა პარტიული ხაზით. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან ბრძოლა გამოუცხადა საქართველოში ფარულად არსებულ წვრილ კაპიტალიზმს, რისი წყალობითაც საქართველოში ცხოვრების დონე შედარებით მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამ ბრძოლას თვითონ შევარდნაძე კორუფციასთან ბრძოლას უწოდებდა.

მან დაიწყო ცნობილი ადამიანების დაჭერები და დაპატიმრებები, რითაც ფარული კაპიტალიზმის კიდევ უფრო განვითარება საქართველოში შეფერხდა. რაც შეეხება კორუფციას, შევარდნაძემ თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში, ვერასოდეს ვერ შეძლო დაემარცხებინა კორუფცია საქართველოში; პირიქით, მისი მმართველობის ეპოქაში, კორუფცია კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

გადიოდა დრო. ცხოვრება ინერციით, თავისი მდორე ტემპით მიედინებოდა. 1970 წლის ზახულის კვირა დღე იდგა. შუადღე ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ თბილისის ზოოპარკს უკვე საკმაოდ ბევრი მნახველი სწვეოდა. ზოოპარკის სიღრმეში, სპილოთა ვოლიერების მოპირდაპირე მხარეს, მაღალი ხეების ჩრდილში პატარა კაფეტერია იყო გამართული. ამ ადგილამდე ქალაქის ტრანსპორტის ხმაური ვერ აღწევდა; აქ მხოლოდ პატარა მდინარე ვერეს სასიამოვნო ჩხრიალი და ზოოპარკის ბინადართა ხმა ისმოდა.

კაფეტერიის წინ, სუფთა ჰაერზე, ხეების ჩრდილქვეშ რამდენიმე მაგიდა იდგა. ერთ-ერთ მაგიდასთან ვალერიანი დამჯდარიყო, თავის შვილებთან ერთად. ვალერიანი ცივ ლუდს სვამდა, სიგარეტს ეწეოდა და ღიმილით შესცქეროდა თავის შვილებს, 7 წლის ზურიკოსა და მასზე წლინახევრით უმცროს გაიოზს, რომლებიც ცხელ სარდელსა და ცივ ლიმონათს მიირთმევდნენ.

ამ დროს ერთ-ერთ მაგიდას მიუახლოვდა საზაფხულო თეთრ სამოსში გამოწყობილი გიორგი ჭანტურიძე, თავის 6 წლის შვილთან, ინდრასთან ერთად. ვალერიანმა შეამჩნია, რომ მასაც იგივე ტანისამოსი ეცვა, რაც იმ შუახნის მამაკაცს. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში ჩინეთიდან შეიტანეს ახალი საზაფხულო ტანისამოსი, რომელიც იმ წლებში ერთობ პოპულარული იყო. თხელ თეთრ შარვალს თან მოჰყვებოდა სპილოს ძვლისტარიანი თხელი ჯაყვა; თეთრი, ჯიბეებიანი ხალათი კი შარვალს ზემოდან ეფინებოდა. ვალერიანი სკამიდან წამოიწია. ის და გიორგი ერთმანეთს ოდნავი თავის დაკვრითა და თავაზიანი ღიმილით მიესალმნენ. მართალია, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ წესი იყო ასეთი იმდროინდელ თბილისში – ხალხი ერთმანეთის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა.

მიუხედავად შუახნის ასაკისა, ორივეს სახეებზე, გამომეტყველებასა და თვალებში დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება იკითხებოდა. მათთვის რამდენიმე წამი საკმარისი იყო ადამიანის ამოსაცნობად. დაინახეს თუ არა ერთმანეთი, ორივემ იგრძნო, რომ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, რომ თითოეული მათგანი ცხოვრების ავ-კარგის მცოდნე, მრავალ ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი ადამიანი იყო – ლომები, რომელთაც ერთმანეთის ღირსებები პირველი დანახვისთანავე ამოიცნეს.

გიორგი ინდრასთან ერთად ვალერიანის გვერდით მდგომ მაგიდას მიუჯდა. მას მებუფეტე მიუახლოვდა და შეეკითხა, რას ინებებთო. გიორგიმ შვილს რუსულად ჰკითხა, რას შეჭამო. ინდრამ იუარა, არაფერი არ მინდაო. გიორგიმ დაიწყო სხვადასხვა საჭმლის ჩამოთვლა, მაგრამ ინდრა ყველაფერზე უარს აცხადებდა და პროტესტის ნიშნად თავს აქნევდა. გიორგიმ დაყვავება სცადა, მაგრამ ინდრა სკამიდან წამოხტა და მაგიდიდან ორ ნაბიჯში დადგა, გაბუტული და გაბუსხული. შეწუხებულმა გიორგიმ მხრები აიჩეჩა და დაფიქრდა, რა ეთქვა მომლოდინე მებუფეტისთვის.

ვალერიანი მშვიდად უყურებდა ამ სცენას და შემდეგ გიორგის ხმადაბლა გადაულაპარაკა:

– ჩემი შვილებიც უჭმელები არიან, მაგრამ ცივ ლიმონათსა და ცხელ სარდელს თუ დაუდებ, ხვეწნაც აღარ სჭირდებათ, თვითონვე მიდიან მაგიდასთან.

გიორგიმ მებუფეტეს ცივი ლიმონათი და ცხელი სარდელი შეუკვეთა და სთხოვა, სიგარეტიც მოეყოლებინა, რაზეც მებუფეტემ ბოდიში მოიხადა, სიგარეტი გამითავდა და სადილის მერე მივიღებო.

ვალერიანმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, სანთებელასთან ერთად გიორგის მიაწოდა და უთხრა, ინებეთო.

გიორგიმ მადლობა გადაუხადა ვალერიანს, სიგარეტს მოუკიდა, ხელი გაუწოდა და თავისი თავი წარუდგინა: – ჟორა.

ვალერიანმაც ხელი ჩამოართვა და უპასუხა: – გაზო. სულ მცირე ხანში ინდრა მაგიდასთან იჯდა და ცივ ლიმონათს წრუპავდა, ხანდახან კი თავს ბავშვურად, ოდნავ გვერდზე ხრიდა და ენას უყოფდა მის მოპირდაპირე მაგიდასთან მჯდომ ზურიკოს, რომელიც დიდი, გაფართოებული თვალებით განცვიფრებული მისჩერებოდა ალუჩისფერთვალება, ქერათმიან ულამაზეს პატარა გოგონას.

სანამ მათი შვილები მიირთმევდნენ, გიორგი და ვალერიანი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ.

– დღეს დიდი სიცხე იქნება. კარგია, რომ დილით წამოვიყვანე შვილი ზოოპარკში, – თქვა გიორგიმ და ჩაციებული ლუდი მოსვა.

– მე მთელი ზაფხული თბილისში, ამ სიცხეში მომიწევს ყოფნა, სამსახური მაქვს, შვილებს კი გავუშვებ დასასვენებლად მანგლისში. – სინანულით წარმოთქვა ვალერიანმა.

– მეც მსგავს მდგომარეობაში ვარ, მაგრამ აგვისტოს თვისთვის კი მოვახერხებ ცოტა ხნით ბორჯომში ჩასვლას, შემდეგ კი ცოლოურში, იმერეთსა და გურიაში გავივლი რამდენიმე დღით, ზღვის სიახლოვეს.

– გურიაში, ცოლოურში? მერე შვილს რუსულად რატომ ელაპარაკები? – გაიკვირვა ვალერიანმა.

გიორგიმ მწარედ ამოიოხრა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე შეხედა ვალერიანს და უთხრა:

– ამ ბავშვის მამამ ომში მე სიკვდილს გადამარჩინა. ორივე მშობელი დაეღუპა. გოგონა ვიშვილე და მე ვზრდი. ამაზე დიდ სიკეთეს რას გავაკეთებდი.

– კაცური საქმეა, მართლაც რომ დიდებული! – დაეთანხმა ვალერიანი.

– თავისი უბედური მშობლებისგან სამახსოვროდ ამის გარდა არაფერი დარჩენია და ყელიდან არ იშორებს, – უთხრა გიორგიმ ვალერიანს და პატარა გოგონას მკერდზე ჩამოკიდებულ, ტყავის ზონარზე გამობმულ პატარა მედალიონზე მიუთითა, რომლის შუაში გაშავებული მეტალისფერი, უცნაური გამოსახულება იყო მოთავსებული.

ვალერიანი დაფიქრდა, მედალიონმა რაღაც გაახსენა. გიორგიმ საათზე დაიხედა, წასვლის დროაო, თქვა, ვალერიანს გამოემშვიდობა, პატარა გოგონას ხელი ჩაჰკიდა და დაჩრდილულ ხეივანს გაუყვა.

– მამა, ის გოგონა ვინ იყო? – იკითხა ზურიკომ. ვალერიანმა შეხედა შვილის გაოცებულ თვალებს და უცებ გაახსენდა მოსკოვის ბუტირსკის ციხეში მოძღვარ სერგის მიერ გადაცემული მედალიონი, რომელსაც შუაში ჩასმული ჰქონდა ზუსტად ისეთივე, გაშავებული მეტალისფერი უცნაური გამოსახულება. გაიხსენა მოძღვრის სიტყვებიც, რომ მედალიონი საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობაში გადაეცემოდა კალატოზიშვილი - კავკასიძეების უფროს მემკვიდრეს. მედალიონს რაღაც დანიშნულება ჰქონდა და ძველი ქართულით ეწერა: „ბაგრატის თეთრის ერთიანობითა აღსდგეს დიდი სიყვარული“.

ვალერიანი სკამიდან სწრაფად წამოდგა, შვილებს უთხრა, წავედითო, და გასასვლელისკენ გაემართა.

ზოოპარკის გასასვლელში და ქუჩაში ვალერიანმა ბევრი ეძება ახლახან გაცნობილი მამა-შვილი, მაგრამ ვერსად ვეღარ მიაგნო. ეს ყველაფერი ძალზე უჩვეულოდ მოეჩვენა ვალერიანს – თითქოს მირაჟი ყოფილიყო, როგორც გამოჩნდნენ, ისევე მოულოდნელად და უკვალოდ გაქრნენ ისინი ვალერიანის თვალსაწიერიდან.

სახლში დაბრუნებულმა ვალერიანმა უცნაური მედალიონის საიდუმლოებით მოცული ისტორია თავის უფროს ვაჟს, ზურიკოს უამბო და შენახული მედალიონი ყელზე ჩამოჰკიდა.

1972 წელს მოსკოვიდან, კრემლიდან მიღებული ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის ახალი ხელ-მძღვანელი გახდა. მან ყველაფერს დაუწესა მკაცრი პარტიული კონტროლი, რათა ქვეყანაში წარმატებით განეხორციელებინა კომუნისტური პარტიის კურსი და ლენინის იდეები. მთავრობისა და პარტიის წევრებს ეკლესიაში შესვლა სასტიკად აეკრძალათ, მათ უნდა ეცხოვრათ და ეხელმძღვანელათ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური წესებითა და ნორმებით. კერძო ბიზნესის მოთავე ადამიანები შევარდნაძემ ციხეებში გამოამწყვდია. ფარული კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გაჩერდა.

XV

საქართველოში შემოსული ვარანგები თბილისში იყვნენ გაჩერებულნი. მათ თავიანთი გემები მდინარე მტკვარზე რიყის სანაპიროსთან დააყენეს და დიდი ინტერესით შევიდნენ ქალაქში. ვარანგები მოიხიბლნენ თბილისში არსებული უამრავი ორიგინალური ეკლესიითა და ციხესიმეგრით. მესამე დღეს მათ სამეფო მაცნემ აუწყა, რომ ქართველთა მეფეს, ბაგრატს სურდა დაუყოვნებლივ ვარანგებთან შეხვედრა და იბარებდა მათ სამთავისში, რომელიც ნახევარი დღის სავალ მანძილზე მდებარეობდა თბილისიდან.

მთავარმა ინგვარმა თავისი გემების ფლოტი სამეფო მაცნესთან ერთად კასპის მიმართულებით დაძრა. ქალაქ მცხეთასთან მიახლოებისას ვარანგები გააკვირვა

მცხეთის სვეტიცხოველის დიდებულმა ტაძარმა, სადაც მცირე ხნით შეჩერდნენ დასასვენებლად. ისინი აღფრთოვანებულნი შესცქეროდნენ მწვანე ტყეებით შემოსილ მაღალ მთებს. ვარანგებმა საქართველოს „ვალხალა“ უწოდეს, რაც უძველესი ვიკინგური გადმოცემით სამოთხეს ნიშნავდა; მათი რწმენით, სწორედ „ვალხალაში“ ანუ სამოთხეში ხვდებოდნენ ხმლით ხელში სიკვდილის შემდეგ ვარანგთა სულები.

საღამო ხანს ვარანგებმა კასპს მიაღწიეს. ზომიერად წვიმდა. სპარსეთის სამხრეთული სიცხეების შემდეგ საქართველოს კლიმატი, წვიმა, ამწვანებული ტყეები და ცივი, კამკამა წყაროები ვარანგებისთვის ნამდვილი შვება და ნეტარება იყო.

სამთავისის მხრიდან ჩამომავალი პატარა მდინარე ლეხურა, რომელიც ქალაქ კასპში მდინარე მტკვარს უერთდებოდა, გაზაფხულის წვიმების გამო ადიდებულიყო და ვარანგთა დაბალძირიანი მომცრო გემებისათვის სანაოსნოდ გამოსადეგი იყო. ინგვარმა გადაწყვიტა, ღამე კასპში გაეტარებინა, სამთავისის სიახლოვეს, და გამთენიისას სამთავისში, ქართველთა მეფესთან შესახვედრად, მხოლოდ ორი გემით ასულიყო.

სამთავისის ტაძრის უწმინდესი ეპისკოპოსი ილარიონ ყანჩაველი ფრიად მოხარული იყო, რომ სამთავისის ტაძრის საკურთხევლად თვით მეფე მობრძანდებოდა. პირველი ბაზილიკის ტიპის ეკლესია იმ ადგილას VI საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის ეპოქაში აშენებულა. ჟამთა სიავემ სამთავისის ეკლესია მთლიანად დაანგრია, და იმ პირველი ბაზილიკის ადგილზე უწმინდესი ეპისკოპოსის თაოსნობით, ხუროთმოძღვართა და მშენებელთა დიდი გარჯისა და მრავალწლიანი შრომის შედეგად აღიმართა დიდებული და მშვენიერი ახალი ტაძარი სამთავისისა, რომელიც თითქმის უკვე გასრულებული იყო.

გამოჩნდა მეფიონიც, მედროშეების თანხლებით. ოქროსბუნიკიანი სამეფო დროშების ფრიალით მომავალ მხედრობას წინ მოუძღოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული, სამეფო მანტიამოსხმული მეფე ბაგრატი. გვერდით მას მოჰყვებოდა შავ რაშზე ამხედრებული, თეთრ, ოქროსირმიან სამოსში გამოწყობილი უფლისწული გიორგი. მათ უკან მოსდევდა ციხისთავ როსებ კავკასიძის მშვენიერი ასული ელენე, რომელიც მეფის ნაჩუქარ შავხალებიან და გრძელთმიან ულამაზეს თეთრ არაბულ ცხენზე იჯდა; მას აქეთ-იქიდან დიდებულ ერისთავთა და სარდალთა მხედრიონი ამოსდგომოდა.

ჩაჰბერეს ბუკს, რაც მეფის მობრძანების მაუწყებელი იყო. სამთავისის მრავალრიცხოვან მოსახლეობასთან ერთად სამთავისის ტაძართან იდგა მთავარი ინგვარი თავის ძმებთან ერთად, მცირე რაზმის თანხლებით. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ამ დიდებული სანახაობით.

მეფემ სამთავისში შესვლამდე, შორიდანვე შეამჩნია მდინარის პირას გაჩერებული ორი უცნაური ფორმის პატარა გემი. ტაძართან მიახლოებისას მანდატურთუხუცესმა ბაგრატს წარუდგინა მთავარი ინგვარი და მოახსენა, რომ მას ბიზანტიელთა ენაზე ლაპარაკი შეეძლო.

ბაგრატმა ცხენი შეაჩერა და ინგვარს ბერძნულ ენაზე უთხრა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს სამეფოში, მთავარო!

– ჩემთვის და ჩემი ძმებისთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა, მეფეო! – მიუგო ინგვარმა და თავის ძმებთან ერთად თავი მოწიწებით დახარა ბაგრატის წინაშე.

– ჩვენთან ერთად საეკლესიო წირვაზე დასასწრებად გიწვევთ, შემდეგ კი საუბარი განვაგრძოთ.

– ნება თქვენია, მეფეო! – მიუგო ინგვარმა.

მიუხედავად იმისა, რომ წვიმა ოდნავ სცრიდა, უწმინდესი ეპისკოპოსი ყანჩაველი, თავისი საეკლესიო ამალით, ტაძრის გარეთ გავიდა და დიდი სიხარულით შეეგება ცხენიდან ჩამოქვეითებულ და ტაძრისკენ ფეხით მიმავალ მეფე ბაგრატსა და მის ამალას. სამრეკლოდან ზარების ხმა ისმოდა.

ბაგრატმა პირჯვარი გადაიწერა, ემთხვია ეპისკოპოსის მიერ გამოწვდილ ოქროს წმინდა ჯვარს, თბილად მოიკითხა ეპისკოპოსი და მიულოცა მას ტაძრის აღმშენებლობის დასრულება. ბაგრატმა ყურადღებით დაათვალიერა ტაძარი. ეპისკოპოსთან ერთად გარშემოც შემოუარა ღვთის ამ დიდებულ სახლს. ძალიან მოეწონა მეფეს სამთავისის ტაძარი: დახვეწილი ნამუშევარი, სუფთად თლილი ქვის წყობა, მრავლად დატანებული ქვათლილი ჩუქურთმა და ორნამენტი; წყობის იდეალური პროპორციები ქვისაგან აგებულ ტაძარს ჰაეროვნებასა და სიმსუბუქეს მატებდა; ქვა თითქოს მღეროდა, ისეთი გემოვნებითა და ოსტატობით იყო ჩასმული კედლებში მინანქარივით გათლილი მდიდრული ჩუქურთმები.

ფრიად კმაყოფილი და ტაძრის სილამაზით მოხიბლული ბაგრატი შორიახლოს მდგარ როსებ კავკასიძეს შეეხმიანა:

– დიდებულია და შთამბეჭდავი! ყოჩაღ, ოსტატო!

მეფე თავისი ამალით ტაძარში შევიდა. მას შეჰყვნენ მეფის სტუმრები და მრევლის ნაწილი. ხალხის სიმრავლის გამო ტაძარში შესვლა ვინც ვერ მოახერხა, ისინი, წვიმის მიუხედავად, საღვთო წირვას გარედან უსმენდნენ.

ეპისკოპოსმა ყანჩაველმა ღვთის სადიდებელი წირვა-ლოცვა აღავლინა და დიდი პარაკლისი გადაიხადა. თაფლის სანთლებითა და კელაპტრებით გაჩახჩახებულ ტაძარში სანთელ-საკმევლის სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა. უწმინდესი ეპისკოპოსი გულმხურვალე ლოცვით ზეციურ მამას ავედრებდა იმათ, ვინც ქრისტიანობისთვის მოწამეობრივი სისხლი დაანთხია, რათა მათ წმინდა სულებს იმქვეყნად მოეპოვებინათ სამუდამო და მარადიული სასუფეველი. ეპისკოპოსმა საკურთხევლიდან მირონით აკურთხა ტაძრის კედლები და მრევლი, რომელთაც გული კრძალვითა და სასოებით აღვსებოდათ. ეპისკოპოსმა საზეიმო ლიტურგიის დასრულებისას მრევლს მიმართა:

– ყველაფერი წარმავალია, დროთა განმავლობაში ყველაფერი ნადგურდება და იღუპება, სამუდამოდ რჩება მხოლოდ დიად საქმეთა კეთილი სახელი.

ინგვარი და მისი ძმები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღვლენილ წირვა-ლოცვას. მართალია, ვარანგებს ადრე თავიანთი ღმერთები ჰყავდათ – მარადიული ღმერთი ოდინი, ტაინი და ფრეი, მაგრამ იმ პერიოდისთვის ვარანგებიც უკვე დიდი ხნის გაქრისტიანებულნი იყვნენ.

ინგვარის უმცროსმა ძმამ, მაგნუსმა, მეფის ამალის მოახლოებისთანავე შეამჩნია ცხენზე მჯდარი მშვენიერი ახალგაზრდა მანდილოსანი. ტაძარში წირვის დროს კი, ისედაც მაღალი მაგნუსი ხანდახან ფეხის წვერებზე წამოიწეოდა ხოლმე, რომ კარგად დაენახა მეფის უკან მდგარი მომხიბვლელი გოგონა, რომელსაც სანთლების შუქზე ოქროსფრად ულიცლიცებდა ლამაზი სახე. ინგვარმა შეამჩნია თავისი უმცროსი ძმის დაინტერესება მანდილოსნით და მაგნუსს ანიშნა, თავი შეიკავეო. ოცი წლის ახოვანი, ვაჟკაცური აღნაგობის, ქერათმიანი და ღია ცისფერთვალება მაგნუსი მონუსხული იყო ელენეს სილამაზით. იგი უფროს ძმას დაემორჩილა, მაგრამ მალულად მაინც თვალს გააპარებდა ხოლმე გოგონასკენ.

ელენემაც იგრძნო მასზე მიპყრობილი გამუდმებული მზერა, ფრთხილად გაიხედა გვერდით და შორიახლო მდგარი უცხომიწელის თვალებს წააწყდა, რომელიც მას დიდი ინტერესით შეჰყურებდა.

* * * *

საეკლესიო წირვის დასრულებისთანავე მანდატურთუხუცესმა ბაგრატს ყურში წასჩურჩულა:

– მეფეო, ეს-ესაა, მსტოვარმა ამბავი მოიტანა, ბიზანტიელთა ჯარი ტაოსკენ დაიძრა.

– დამასწრო მაინც, – გაბრაზებით, თავისთვის ჩაილაპარაკა ბაგრატმა.

– კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან, საზღვარზე, ჩვენს მსტოვარს ვაჭრების ქარავანი შეუმჩნევია. ვაჭრები თურმე ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას. ჩვენს მსტოვარს უკითხავს ასეთი სისწრაფის მიზეზი, რაზეც ვაჭრებს უპასუხიათ, კონსტანტინოპოლიდან ტაოსკენ მიმავალი ლეგიონები დავინახეთ და ქარავანი რომ არ გაიძარცვოს, დროულად გაცლა გვირჩევნიაო.

ტაძარი თანდათანობით იცლებოდა მრევლისგან. ბაგრატი დაემშვიდობა ეპისკოპოს ყანჩაველს, რომელიც თავისი სალოცავი საკნისკენ გაემართა განსამყუდროებლად.

ბაგრატმა ბრძანა, ტაძარში მხოლოდ სარდლები დარჩნენ, უხმეთ ვარანგებსო, და თვითონ საკურთხევლის წინ დადგმულ მეუფის ტახტრევანში დაბრძანდა. აქეთ-იქედან მაფეს სარდლები დაუდგნენ. ტახტრევანის გვერდით, ნახევარი ნაბიჯით უკან უფლისწული გიორგი განთავსდა.

სამეფო დაცვამ ტაძარში ინგვარი შემოიყვანა. მან მოკრძალებით თაყვანი სცა მეფეს. ბაგრატმა კარგად შეათვალიერა ბრგე და ძლიერი მებრძოლის გარეგნობის, კეთილშობილნაკვთებიანი ვაჟკაცი, რომელიც ვაჭარს სრულებით არ ჰგავდა, მაგრამ ბაგრატმა მაინც გადაწყვიტა მისი გამოცდა.

– გუშინ შემატყობინეს, რომ უკვე რამდენიმე დღეა თბილისში ჩამოსულხართ, ძვირად-ღირებული ბეწვეულითა და ძვირფასი ქვებით სავაჭროდ, – თქვა ბაგრატმა.

– ეს ასე ჩანს, მაგრამ ასეც არ არის, – თავშეკავებით წარმოთქვა ინგვარმა.

– აქ, საქართველოში, დიდი საქარავნო გზა გადის აზიიდან ევროპამდე და სხვადასხვა ქვეყნების დიდვაჭრების ნახვა თბილისსა და ქუთაისში ნორმალური მოვლენაა.

ინგვარი მიხვდა, რომ ქართველთა მეფე მას არ ენდობოდა და რატომღაც გამოცდას უწყობდა. ინგვარი წელში გაიმართა და ბაგრატს მოახსენა:

– მეფეო, მე ვაჭარი არ გახლავართ. მე ვარ ჩრდილოეთის ქვეყნების – შვედეთის, დანიის, ნორვეგიისა და ფინეთის მეფეთა ნათესავი, მთავარი ინგვარი. თქვენდამი ღრმა პატივის-ცემის ნიშნად, გიძღვნით საჩუქარს. – ინგვარმა მის უკან მდგომ ქართველი მეფის მცველს ხელით ანიშნა.

მეფის მცველი ბაგრატს მიუახლოვდა. მას გაშლილ ხელებზე ძალიან გრძელი, ჩრდილოეთის ძვირფასი ბეწვი ჰქონდა გადებული, რომელშიც რაღაც იყო გახვეული. ბაგრატმა გადახსნა გაკეცილი ბეწვი და სანთლების შუქზე აელვარდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი, მთავართა ვიკინგური გრძელი, მძიმე საბრძოლო ხმალი.

ორივე ხელით აიღო ბაგრატმა მძიმე, მოლაპლაპე ხმალი. მოეწონა ნამუშევარი. გაახსენდა შორეული ბავშვობა. მსგავსი ხმლები ჰქონდათ კონსტანტინოპოლში კეისარ ბასილი II-ის ვარანგთა გვარდიის წევრებს, ჰარალდის მეთაურობით.

ბაგრატმა მადლობა გადაუხადა ინგვარს საჩუქრისთვის და ჰკითხა:

– როგორ არის ჰარალდი, იგი კონსტანტინოპოლში გავიცანი, როდესაც ბავშვი ვიყავი.

– ჰარალდი ბიძად მეკუთვნის, იგი სვიატოსლავის ასულზე დაქორწინდა და ამჟამად ნორვეგიის მეფეა.

ინგვარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბაგრატზე და რადგან მას ბევრი დრო არ ჰქონდა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– მთავარო, რა იცით საქართველოზე და რა მიზნით ხართ აქ?

– სიმართლე მოგახსენოთ, მეფეო, საქართველოზე ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. ჰარალდის ყოფილი საიმპერატორო გვარდიიდან რამდენიმე ათეული მებრძოლი ამჟამად ჩემს რაზმშიც მყავს; იმათ მიამბეს საქართველოს შესახებ და ბერძნული ენაც მათგან ვიწავლე, მაგრამ, რაც საქართველოში ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოხიბლული ვარ თქვენი ქვეყნით, მეფეო. ჩემი მებრძოლები თქვენს ქვეყანას ადარებენ სამოთხეს, ჩვენებურად „ვალხალას“, სადაც სიკვდილის შემდეგ ვარანგ მებრძოლთა სულები ბინადრობენ.

რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, მეფეო, ამის შესახებ მოკლედ მოგახსენებთ: კიევის რუსეთის მთავარი, სვიატოსლავი დანათესავებულია ჩრდილოეთის ქვეყნების მეფეებთან. პაჭანიკების საბოლოოდ დასამარცხებლად სვიატოსლავმა დახმარება სთხოვა ჩრდილოეთის მეფეებს. ოთხივე ქვეყნის მეფეებმა დიდი საბრძოლო რაზმი შეკრიბეს, რომლის სათავეშიც მე დამაყენეს. მე და ჩემი რაზმი მრავალი გემით ჩავედით კიევში სვიატოსლავთან, დავამარცხეთ პაჭანიკები და მდინარე ვოლგით სამხრეთის ქვეყნებისკენ დავეშვით. მოვიარეთ თითქმის ნახევარი სპარსეთი და ამჟამად აქა ვარ, თქვენთან, დიდი სამხედრო რაზმით, რომელიც გემებით კასპში დგას. რამდენიმე ასეული მებრძოლი ბაშთან დავტოვე, კასპიის ზღვაში, ისინი ჩემი ფლოტის დანარჩენ გემებს დარაჯობენ.

რაც შემეხება მე, მებრძოლის გარდა, მოგზაურიც ვარ და მაინტერესებს შორეული ქვეყნები. ამიტომაც ოთხი ქვეყნის მეფეებმა მე და ჩემი ძმები დაგვნიშნეს დიდი საბრძოლო რაზმის მეთაურებად. ჩრდილოეთის მეფეებმა გამოგვაყოლეს ერთი ვაჭარიც, რომელსაც დავალებული აქვს ჩრდილოეთის სამეფოებში საუკუნეების განმავლობაში უხვად დაგროვებული ძვირფასი ქვებისა და ბეწვეულის ოქრო-ვერცხლად გადაქცევა.

ბაგრატი დაფიქრდა. მის წინაშე უბრალო ადამიანი არ იდგა. მოეწონა ინგვარის პირდაპირობა და გულწრფელობა, გადაწყვიტა თვითონაც გულწრფელი ყოფილიყო მასთან და პირდაპირ მიმართა:

– მთავარო, თავდაპირველად მე გავიფიქრე, რომ ვარანგთა გამოჩენა ჩემი ჯარის ზურგში ბიზანტიის კეისრის ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო, რადგან კეისრის ლეგიონები უკვე საქართველოს საზღვრებისკენ არიან დაძრულნი და რამდენიმე კვირაში აქ იქნებიან. ისიც ვიცი, რომ ბიზანტიის იმპერატორს, კონსტანტინეს, ვარანგებთან ის ურთიერთობა აღარა აქვს, რაც ადრე ჰქონდა ბასილი კეისარს. ურთიერთობა ბიზანტიასა და ვარანგთა შორის გაფუჭებულია, ჰარალდისაგან ეს გეცოდინებათ. ბიზანტიელ იმპერატორთა გულის მოგება შეუძლებელია, მათ სულ უფრო მეტი და მეტი უნდათ. აი, ახლაც, კონსტანტინე კეისარმა ჩემი ერთ-ერთი დიდებული ამიმხედრა. ეს-ესაა მაცნობეს, რომ მას კეისარმა თავისი ჯარი მისცა და ჩემ წინააღმდეგ საომრად მოდის. ბრძოლა გარდაუვალია. მე კეისარს არ ვედავები და მას იქ, ბიზანტიაში არ ვებრძვი, რომ ტერიტორიები ან ტახტი წავართვა. პირიქით, ის აგზავნის ჯარს აქ და იმის წართმევა უნდა, რაც მე მეკუთვნის. მე ჯარი მჭირდება, მაგრამ დრო აღარ არის კიდევ უფრო დიდი ჯარის შესაყრელად. ვიცი, ვარანგები მამაცი მებრძოლები ხართ. ჩემს ჩრდილოელ მეზობელთან, სვიატოსლავ ბრძენთან ერთად პაჭანიკთა დამარცხება ადვილი საქმე არ არის, ეგეც ვიცი. შეისმინა უფალმა ჩემი ვედრება და თქვენი თავი აქ გამომიგზავნა, იმ დროს, როდესაც ჩემს სამეფოს დახმარება სჭირდება. მთავარო, ბრძოლაში გვერდში დამიდექით თქვენი რაზმით, იქნებ ამჯერად შევძლოთ მათი შეჩერება და თავიდან ავიცილოთ დიდი უბედურება,

იქნებ ერთად ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ჩემს სამეფოს ბიზანტიელნი არ დაეპატრონონ. ანაზღაურებაც სათანადოდ მოგეცემათ.

ინგვარი მცირე ხნით დაფიქრდა და შემდეგ ბაგრატს მიუგო:

– მეფეო, თქვენი ბრძოლა სამართლიანია. თანახმა ვარ და დაგიდგებით გვერდით ბრძოლაში. იმედი ვიქონიოთ, რომ უფალი ღმერთი შეგვეწევა!

გახარებული ბაგრატი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა ინგვარს და იოვანე აბუსე-რისძეს უთხრა:

– ერისთავო, მთავარი ინგვარისთვის და მისი ძმებისთვის სამი ცხენი მოამზადეთ, კასპში მივდივართ, ვარანგთა რაზმის სანახავად.

ბაგრატი გამოვიდა სამთავისის ტაძრიდან. ცხენებზე ამხედრებული სამეფო ამალა ტაძრის ეზოს გარეთ ელოდებოდა მეფეს. მეჯინიბეთუხუცესმა ინგვარს და მის ძმებს ცხენები გადასცა, დანარჩენი ვარანგები კი ორი გემით კასპამდე მდინარეს უნდა ჩაჰყოლოდნენ. სარდლები და უფლისწული გიორგი ბაგრატს ელოდებოდნენ, რომელიც ეპისკოპოს ყანჩაველს ემშვიდობებოდა.

მეფეს მოართვეს თავისი თეთრი ბედაური, ბაგრატი შეჯდა ცხენზე და ნელა დაიძრა. ამ დროს სამრეკლოს ზარებმა დაიწყეს რეკვა, მეფესთან გამომშვიდობების აღსანიშნავად. მეფის მიერ ელენესთვის საჩუქრად მირთმეულ მშვენიერ, გრძელთმიან და ხალებიან კოხტა არაბულ ცხენს ხატაულას ეძახდნენ. მას იშვიათად ადგამდნენ უნაგირს. ახლა კი ხატაულა გრძნობდა, რომ ახალგაზრდა გოგონა, რომელიც მას მართავდა, გამოუცდელი იყო, ამიტომ ცხენი დაძაბული იყო, მოუსვენრად სცემდა ფლოქვებს მიწას. სამრეკლოს ზარების ხმაზე ცხენი შეშინდა, დაფრთხა, გონება დაებინდა და მთელი სისწრაფით ცარიელ სივრცეში გაიჭრა.

დამფრთხალ ცხენს რამდენიმე მხედარი დაედევნა, მათ შორის, ინგვარის უმცროსი ძმა, მაგნუსი. უფლისწულმა გიორგიმაც სცადა გაწევა, მაგრამ ბაგრატმა მყისვე შეაჩერა ვაჟი და ყურადღებით ჩახედა თვალებში. გიორგიმ ვერ გაუძლო მამის მზერას და თვალები დაბლა დახარა.

ხატაულა მთელი სისწრაფით მიქროდა, არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს გრძნობდა და ხედავდა; ნერვიულად ღეჭავდა ლაგამს და ელვის უსწრაფესად მიქროდა მდელოზე. მდევრებს მაგნუსი გამოეყო. მან შეამჩნია, რომ ცხენმა ქარაფისაკენ აიღო გეზი. მაგნუსმა მიატრიალა თავისი ცხენი და მოკლეზე გააჭენა გაგიჟებული ცხენისთვის გზის გადასაჭრელად.

შეშინებული ელენე ცხენზე იყო გაკრული, გაფითრებული, ხმას ვერ იღებდა, სადაცაა, გული წაუვიდოდა და, ის იყო, უნდა გადმოვარდნილიყო მთელი სისწრაფით გაჭენებული ცხენიდან, რომ უკანასკნელ წამს ვიღაცის ძლიერი ხელი ცხენს სადავეში სწვდა და ძლიერად მოქაჩა, ცხენიდან დაცურებული ელენე კი ჰაერში აიტაცა და თავის ცხენზე შემოისვა.

ელენემ რამდენიმე წამით გრძნობა დაკარგა. სახეზე სულის შებერვამ გამოაფხიზლა. თვალი გაახილა თუ არა, იმ თვალებს გადააწყდა, ცოტა ხნის წინ სამთავისის ტაძარში მას რომ უცქერდნენ დაჟინებით, მაგრამ ახლა ეს თვალები მასთან ძალიან ახლოს იყო; ისინი ზურმუხტისფრად ელავდნენ, სითბოთი და სიყვარულით უმზერდნენ გოგონას, აქეთ-იქით კი ამ თვალებს მხრებამდე ჩამოშლილი ოქროსფერი თმა ჩამოუყვებოდა.

ახლაღა შეამჩნია ელენემ, მკერდით ამ თვალების პატრონის ფართო მკერდზე რომ იყო მიკრული, რომელიც მძლავრი სუნთქვისგან ერთიანად მოძრაობაში მოდიოდა. მათი სახეები

იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან, რომ ქალ-ვაჟი თითქმის ერთმანეთის სუნთქვით სუნთქავდა.

მაგნუსი შესქეროდა მის მკლავებში მოქცეული მშვენიერი არსების წარმტაც სახეს. ვაჟი თვალებში ჩააცქერდა ელენეს, ცთუნებამ სძლია, თავს ვეღარ მოერია და ვნებით დააკვდა ელენეს ბროწეულის ყვავილისფერ უცოდველ ბაგეებს.

ცხენთა ფლოქვების თქარათქურმა მაგნუსი გამოაფხიზლა. მდევარი მოახლოებულიყო და, უხერხული სიტუაცია რომ არ შექმნილიყო, მან ელენე ხატაულაზე ფრთხილად გადასვა და ბერძნულად უთხრა, ჩემთან ერთად წაგიყვან, ჩემი მეუღლე გახდებიო.

ელენემ ცოტაოდენი ბერძნული იცოდა. მესამე წელი სრულდებოდა რაც მან ბერძნული ენის შესწავლა დაიწყო. გოგონამ გაიგო უცხოელის ნათქვამი სიტყვები, დაიმორცხვა და აწითლებულმა, თავი დაბლა დახარა.

ელენეს აქამდე არასოდეს გამოეცადა ის გრძნობა, რაც ამჟამად შეიგრძნო, როდესაც მისი გადამრჩენელი ულამაზესი და უძლიერესი ვაჟკაცის მკლავებში, მკერდი-მკერდ მიკრულმა, მხურვალე ბაგეების შეხებით თავდავიწყების მორევში ჩაშვებულმა, სრულიად ახალი და უცნობი, ძალზე ტკბილი და საამური სამყარო აღმოაჩინა.

– მე სახელად მაგნუსი მქვია, შენ როგორ მოგმართო?

– ელენე, ციხისთავის ასული. – მორცხვად მიუგო გოგონამ.

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე სწრაფად შესაძლებელი იყო შეყვარება. შორიდან მეფის ამალაში რომ დაგინახე, ასეთი მომხიბლავი და მშვენიერი, მას შემდეგ თვალს ვეღარ გაშორებდი. ეკლესიაში ჩემმა უფროსმა ძმამ მანიშნა კიდეც, თავი შეიკავეო.

– იქნებ სჯობდეს კიდეც თავის შეკავება, – დარცხვენით წარმოთქვა ელენემ.

– ელენე, ჩემო კარგო, ჩვენ ბევრი დრო აქ არ გვექნება. შენ მხოლოდ მითხარი, მოგწონვარ თუ არა, დანარჩენი მე ვიცი. ცოლად წაგიყვან და ჩემს სასახლეში გაცხოვრებ. მე მთავრის შვილი ვარ და მომავალში მეც მთავარი ვიქნები.

ელენემ თავი ასწია, წელში გასწორდა, ინგვარს თვალებში შეხედა; შემდეგ სახე ბედნიერების ღიმილმა გაუბრწყინა სიცილით წარმოთქვა:

– ვნახოთ, მაგნუს, დრო გვიჩვენებს.

ცხენდაცხენ მის გვერდით მიმავალ ელენეს მაგნუსმა ხელი ხელზე წაავლო და სიხარულით შესძახა:

– გმადლობ, უფალო!

ელენე და მაგნუსი სამეფო ამალას მიუახლოვდნენ, დანარჩენი მხედრები მათ უკან მისდევდნენ. როსებ კავკასიძე სიხარულით შეეგება თავის ქალიშვილს. ელენემ მაგნუსზე მიუთითა, ცხენი ქარაფში გადამაგდებდა, ამას რომ არ გადავერჩინეო. მღელვარებისა და სიხარულისაგან აცრემლებულმა როსებმა მაგნუს მიმართა:

– დღეს ჩემი სტუმარი ხარ, უცხოელო! სახლში უნდა მეწვიო, ისე არ გაგიშვებ!

მეფე ბაგრატმა როსებს ღიმილით გასძახა:

– სცდები, ციხისთავო, ერთის არა, სამივე უცხოელის გამასპინძლება მოგიწევს, მაგრამ გაფრთხილდი, ძალიან არ დამითრო სტუმრები, ეგ ხალხი ფხიზლები მჭირდება!

– ამხელა გოლიათებს რა დაათრობს, მეფეო? – ხუმრობით წამოიძახა აბუსერ ერისთავმა და გახალისებულმა სამეფო ამალამ გზა კასპისკენ განაგრძო.

ინგვარმა თავის ძმას, ბჯორნს, დაავალა, რომ ორი გემი რაც შეიძლება სწრაფად ჩაეყვანა სამთავისიდან კასპში, სამეფო ამალის იქ მისვლამდე, და ვარანგთა რაზმი მეფესთან წარსადგენად მოემზადებინა.

როდესაც ბაგრატი კასპში მდინარე მტკვარს მიუახლოვდა, ვარანგთა რამდენიმე ასეული მებრძოლი დაინახა, რომლებიც გემების წინ, მდინარის სანაპიროზე იდგნენ მწყობრად, მოწესრიგებულნი და კარგად შეიარაღებულნი.

ესიამოვნა ბაგრატს ასეთი ძლიერი მებრძოლებისაგან შემდგარი დამხმარე ჯარის ნახვა. მეფემ პირჯვარი გადაისახა და უფალს კვლავ მადლობა შესწირა. ქართველი დიდებულები გაკვირვებულები შესცქეროდნენ ორ მეტრამდე სიმაღლის კუნთმაგარ და კბილებამდე შეიარაღებულ, გრძელ ჩალისფერ, დაწნულთმიან, მრისხანე გამომეტყველების გოლიათებს. ბაგრატმა გვარამ ერისთავს უბრძანა, ვარანგთა რაზმს შენ მიხედე, არაფერი დააკლდეთო. ციხისთავ კავკასიძეს მთავარი ინგვარისა და მისი ძმების დაბინავება დაავალა, თვითონ მეფე კი, უფლისწულისა და დანარჩენი ერისთავების თანხლებით, რკონის მონასტრისაკენ გაეშურა თავისი ლაშქრის მოსამზადებლად.

XVI

გიორგიმ ზაფხულის განმავლობაში პატარა ინდრას ნელ-ნელა შეასწავლა ქართული ენა. ამისთვის ჯერ მასწავლებელი დაუქირავა, შემდეგ კი სოფელ ზედა საზანოში ინდრა ბებია მარუსას მიაბარა. აგვისტოს თვეში გიორგის ოჯახმა ბორჯომსა და ქობულეთშიც მოასწრო დასვენება და სექტემბერში ინდრა ქართულ სკოლაში მიიყვანეს.

XX საუკუნის 70-იანი წლები ბედნიერი წლები იყო საქართველოში, განსაკუთრებით, ბავშვებისათვის. მათ თითქმის არაფერი აკლდათ.

ნიჭიერი და მონდომებული ინდრა სწრაფად ითვისებდა ყველაფერს. გადიოდა დრო. ინდრა გაიზარდა, კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. ქერა თმა გაუმუქდა, ხორბლისფერი გაუხდა. მწვანეთვალებიანი ვარდისფერი სახე კვლავ ბავშვური და მუდამ მოღიმარი ჰქონდა. სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, მუდამ მოკისკისე ინდრა გაზაფხულის ახლად აფეთქებულ ატმის სურნელოვან ყვავილს წააგავდა. მის ნახვას არაფერი სჯობდა.

მშობლებმა ინდრა მუსიკალურ სკოლაშიც მიიყვანეს, ფორტეპიანოს ჯგუფში. სკოლა სახლთან ახლოს იყო. თავდაპირველად გოგონა კვირაში ორჯერ მშობლებს დაჰყავდათ გაკვეთილებზე, შემდეგ კი ინდრა უკვე მარტო დადიოდა მუსიკალურ სკოლაში. მას ძალიან უყვარდა ცხოველები და სახლიდან მალულად გაჰქონდა „სერვილადის“ ძეხვის ნაჭრები უბანში მოხეტიალე ძაღლებისათვის, ცოტ-ცოტას აჭმევდა, იზოგავდა ძეხვს, რომ სკოლაში მისვლამდე ყველა გზად შემხვედრი ძაღლი დაეპურებინა. უბნის ძაღლებს დამახსოვრებული ჰქონდათ ინდრას სასკოლო გრაფიკი და ეზოში, სახლის სადარბაზოსთან თავშეყრილები, ერთსა და იმავე დროს, მოუთმენლად ელოდებოდნენ ინდრას გამოჩენას. ამგვარად, ათიდან თხუთმეტამდე ბომბორა ძაღლის „კორტეჟი“ მიაცილებდა ყოველ ჯერზე სკოლამდე თეთრბაბთებიან პატარა ინდრას, შემდეგ სკოლასთან ელოდებოდნენ ორი საათის განმავლობაში, და როცა გოგონას გაკვეთილი უმთავრდებოდა, გარშემორტყმულნი ისევ სახლამდე მიჰყვებოდნენ მას. ქუჩაში ვინც ხვდებოდა ინდრას და მის „ამალას“, დამფრთხალ-შეშინებული, გზის მეორე მხარეს გადადიოდა.

ჭანტურიძეების ოჯახი ყოველ ზაფხულს, ტრადიციულად, ივლისის თვეში დასასვენებლად ბორჯომში მიდიოდა, აგვისტოში კი ჯერ იმერეთში, მამაპაპეულ მამულში ჩერდებოდნენ სოფელ ზედა საზანოში, სადაც გიორგის ძმა, მიხეილ ჭანტურიძე, კოლმეურნეობის უცვლელი თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ქობულეთში, ზღვისპირა სასტუმროში ისვენებდნენ.

იმ ეპოქაში მინერალური წყლითა და მთის გამორჩეული ჰაერით სახელგანთქმული კურორტი ბორჯომი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილი იყო მთელ საქართველოში. ქვეყნისა და მისი დედაქალაქის მოსახლეობის ელიტური ნაწილი დასასვენებლად ძირითადად ბორჯომს ირჩევდა. ისინი ყოველ წელიწადს, ერთსა და იმავე დროს ჩამოდიოდნენ აქ დასასვენებლად, ამიტომ ყველა ერთმანეთს იცნობდა; ყოველ საღამოს სხვადასხვა ადგილას დიდი სუფრები იშლებოდა და სადღესასწაულო ბანკეტები იმართებოდა. გიორგიც, თავის ოჯახთან ერთად, თითქმის ყოველდღე ამ სადღესასწულო სუფრების ხშირი სტუმარი იყო. ლამაზი და მხიარული პატარა ინდრა კი, მუდმივად სხვადასხვა დარგის მინისტრებისა და რაიკომის მდივნების მოფერებისა და ყურადღების საგანი იყო. ასეთმა დასვენებამ დაღალა გიორგი და მისი მეუღლე, ამიტომ ბოლო წლებში ისინი სასტუმროში აღარ ჩერდებოდნენ და ბორჯომში მშვიდ ადგილას არჩევდნენ ბინის ქირაობას, ან კიდევ სხვა კურორტებზე, საირმეში ან წყალტუბოში ისვენებდნენ პერიოდულად.

ფინანსთა სამინისტროდან გიორგის პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ, როგორც გამორჩეული სპეციალისტი, იგი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მიიწვია ცნობილმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, კინოსტუდიის ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. ამგვარად, გიორგი ჭანტურიძის დიდ სამეგობროს გამოჩენილ კინომოღვაწეთა დიდი ჯგუფიც დაემატა და წამოზრდილ მშვენიერ ინდრას იმჟამად უკვე სახელოვანი კინომსახიობები, რეჟისორები და ქართული კინოს კორიფეები ანებივრებდნენ, რომლებიც აგრეთვე ბორჯომში ატარებდნენ ზაფხულს.

ბორჯომის ცენტრში ოჯახთან ერთად სასეირნოდ გასულ გიორგის, როგორც ყოველთვის, ყველა ცნობდა, ქუდის მოხდით, პატივისცემით ესალმებოდნენ და სადილად ან ვახშმად იწვევდნენ. გიორგიც ყველას ქუდის მოხდით ესალმებოდა, თავს უკრავდა, მაგრამ თავაზიანად უარს აცხადებდა მიწვევებზე და ღიმილით ამბობდა: მადლობელი ვარ ძმაო, მაგრამ აღარ შემიძლია ამდენი სმა, მე აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული, ოჯახთან ერთადო.

ასეთი ურთიერთობები იყო მაშინდელ საქართველოში.

სექტემბრის თვიდან თბილისში დაბრუნებული ინდრა შაბათ-კვირას გიორგის ხშირად დაჰყავდა სტუმრად თავისი უმცროსი დის, ნატას ოჯახში, ან კიდევ, თავისი მეუღლის, ელენეს დის ოჯახში. თეატრში, კინოში, ცირკში ან ზოოპარკშიც ხშირად უწევდა ინდრას გართობა, სადაც ნატას მეუღლეს, ვანო ჯეჯეიას დაჰყავდა იგი. გოგონა შეეჩვია საქართველოს და ქართული სულისკვეთებით აღიზარდა. ინდრამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და პრაქტიკის მისაღებად ერთი წელი მერვე საავადმყოფოში მუშაობდა სანიტრად. ყოველ დილით თეთრ ხალათში გამოწყობილი ინდრა ჩამოუვლიდა ხოლმე ქირურგიული განყოფილების პალატებს და გასტერილებული ინსტრუმენტები და ხელთათმანები შეჰქონდა საოპერაციო ოთახებში. ყველა მამაკაცის საოცნებო ქალიშვილი იყო ინდრა – ახალგაზრდა, ლამაზი, ევროპული გარეგნობის, ქერათმიანი, ალუჩისფერი მწვანე თვალებით, კეთილშობილი სახის დახვეწილი, ლამაზი ნაკვთებით, მუდამ მოღიმარი, უცოდველი ბავშვის ალისფერი ტუჩებით, რომელთაც კიდევ უფრო ამშვენებდა ბროლივით თლილი, მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები.

ახლად წამოჩიტული ლამაზი მკერდით, რომელიც გამომწვევად ირწეოდა სანიტრის თეთრ, ქათქათა ხალათში, ინდრა სწრაფად და მუდამ გაღიმებული დაცქრიალებდა ოთახიდან ოთახში. ექიმებიც სიხარულით ელოდნენ მის გამოჩენას, რადგან ახალგაზრდული ენერგია და სიცოცხლე შეჰქონდა ყველგან, სადაც კი შედიოდა. ექიმები ეხუმრებოდნენ გოგონას, ქათინაურებს ეუბნებოდნენ, მაგრამ ზედმეტს ვერავინ ვერაფერს უბედავდა. მთავარი ექიმისგან ყველამ იცოდა, ვისი შვილიც იყო ინდრა. ერთწლიანი სამედიცინო პრაქტიკის დასრულების

შემდეგ ინდრამ სწავლა განაგრძო პროფესიულ სამედიცინო სასწავლებელში. დიდი წარმატებები ჰქონდა მას აგრეთვე სპორტში, ჩინებული მოცურავე გახლდათ.

სამედიცინო სასწავლებლის წითელ დიპლომზე დასრულების შემდეგ ინდრამ სწავლა გააგრძელა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, პედაგოგიურ და სამკურნალო მასაჟის ფაკულტეტებზე.

80-იანი წლების დასაწყისიც ბედნიერი ეპოქა იყო სტუდენტებისთვის. ინსტიტუტიდან ინდრას უცხოეთშიც მოუხდა წასვლა, ზაფხულობით კი შრომითი სემესტრების მონაწილე იყო. ინსტიტუტში სწავლის დროს მას მოუხდა მუშაობა თემაზე: „ქართული დივიზიები დიდ სამამულო ომში“. თემისათვის მასალების შეგროვებისას იგი იყენებდა პოპულარული და სახელგანთქმული ავტორების წიგნებს. მამამისმა გიორგიმ გადახედა შვილის ნამუშევარს და უთხრა:

– შვილო, რაც მაგ წიგნებში წერია, ყველაფერი ტყუილია. სიმართლე დამალულია, ფაქტები – არარეალური და შელამაზებული. გენერალი ლესელიძის არმიაში მე ვიბრძოდი და ყველა ქართული დივიზიის უაზროდ განადგურება ჩემი თვალით მაქვს ნანახი. რაც შეეხება ლესელიძეს, ისიც მოიშორეს თავიდან. 1944 წლის ზამთარში მას გრიპი შეეყარა. მალე საბჭოთა ჯარი ევროპაში უნდა შეჭრილიყო. გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე იმ დროს მე-18 არმიას მეთაურობდა, რომელიც I უკრაინის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა; მას არმიის გენერალი, ვატუტინი ხელმძღვანელობდა. ევროპაში შესვლის შემდეგ კონსტანტინე ლესელიძეს ოთხვარსკვლავიანი, არმიის გენერალის ჩინი უნდა მიეღო, ომის დამთავრების შემდეგ კი – მარშლის ტიტული. ლესელიძის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მას არმია ჩამოართვეს, ძალით ჩასვეს თვითმფრინავში და ევროპის საზღვრიდან მოსკოვში გადააფრინეს, ვითომ გრიპის სამკურნალოდ. მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტლიდან ლესელიძე აღარც გამოსულა, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ზუსტად იმავე დროს, საეჭვო ვითარებაში სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი ვატუტინი. მალევე I უკრაინის ფრონტის სარდლად დაინიშნა მარშალი ჟუკოვი, რომელიც ტრიუმფით შეიჭრა ევროპაში.

რაც შეეხება შენს ნაშრომს, ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკაში მიდი და ჩემი სახელით, ეს წიგნები მოითხოვე, თუ მოგცემენ. – გიორგიმ წიგნების სია გადასცა შვილს და წარმატება უსურვა.

ინდრამ შეძლო იმ წიგნების მოძიება და თემა დაასრულა. ინსტიტუტში ძალიან მოეწონათ მისი ნაშრომი და მოსკოვში გააგზავნეს, საკავშირო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად. გავიდა დრო და მოსკოვიდან ინსტიტუტის სახელზე მოვიდა საკავშირო კონკურსში გამარჯვების დიპლომი ინდრა ჭანტურიძის სახელზე. სწავლასთან ერთად, ინდრა ვერეს საცურაო აუზზე ცურვის მასწავლებლადაც მუშაობდა.

ჩრდილოევროპული იერის მშვენიერი ინდრა თავისი გარეგნობით მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა სტუდენტებისაგან, თაყვანისმცემელიც უამრავი ჰყავდა, მაგრამ მისი გული ვერავინ დაიპყრო. ამ პერიოდში მას დედაც გარდაეცვალა, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი მაინც წარმატებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა. სამედიცინო ინსტიტუტის საუნივერსიტეტო კლინიკის მოთხოვნით ინდრა სამუშაოდ აიყვანეს სამასაჟო განყოფილებაში, მასაჟისტად.

XVII

ვალერიანის შვილებმა სკოლაში სწავლასთან ერთად მუსიკის შესწავლაც დაიწყეს, ზურიკომ – ვიოლონჩელოს, გაიოზმა კი ვიოლინოს განხრით. ნიჭიერი და მონდომებული

ბიჭები იყვნენ, მაგრამ სოციალისტური სისტემის დოგმებსა და ჩარჩოებში რატომღაც ვერ თავსდებოდნენ. როგორც დედის, ასევე მამის ცხოვრებაზე საბჭოთა სისტემის მიერ დასმულმა დაღმა, სამშობლოს მტრების მემკვიდრეებად და შთამომავლებად რომ აქცია ისინი, ძმების შემეცნებაზე რატომღაც მძიმე კვალი დატოვა, განსაკუთრებით კი, ზურიკოზე. როგორც ჩანს, ოჯახში ხმადაბალი, ჩურჩულით, საიდუმლო გამომეტყველებით საუბრები აკრძალულ თემებზე, გაუცნობიერებლად მაინც მოქმედებდა მის აზროვნებაზე და ალბათ განაპირობებდა კიდეც მის ხასიათსა თუ საქციელს. ზურიკო ცოტას ლაპარაკობდა, სხვისი მოსმენა ერჩივნა, კითხვა უყვარდა, ცდილობდა, ყოველთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ცოდნის მთელი არსენალის ისეთი მეთოდითა და ძალისხმევით გამოყენების უნარი ჰქონდა, რომ ადამიანები გაოცებულები რჩებოდნენ პატარა ბავშვის ესოდენ განვითარებული ინტელექტით.

საინტერესოა რამდენიმე ეპიზოდი მისი ბავშვობიდან.

ერთ ზაფხულს ზურიკო პიონერთა ბანაკში ისვენებდა. იმ საზაფხულო ბანაკში ყოველ საღამოს, ვახშმის შემდეგ, დაძინებამდე, ერთი საათის განმავლობაში, ხელმძღვანელობა ბავშვების გასართობად პიონერთა ოთახში რთავდა მუსიკას, რომელიც მთელი ბანაკის ტერიტორიაზე ისმოდა. თუმცა რეპერტუარი არ იცვლებოდა, ყოველ საღამოს ერთსა და იმავე, ძველ ფირფიტებს ატრიალებდნენ. ერთ საღამოს ზურიკო შევიდა პიონერთა ოთახში და პასუხისმგებელ მასწავლებელს უთხრა:

– თანამედროვე სიმღერები ან სხვა, ახალი ფირფიტები თუ გაქვთ, თორემ ეს სიმღერები უკვე მობეზრდათ ბავშვებს.

– რაცა გვაქვს, მხოლოდ ეს არის, სხვა არა გვაქვს, – უპასუხა მასწავლებელმა.

ზურიკომ შეამჩნია, რომ ფირფიტების დასაკრავისა და ხმის გამაძლიერებლის გარდა, ოთახში უახლესი მოდელის დიდი რადიომიმღები იდგა.

– ამას რატომ არ ხმარობთ? – რადიომიმღებზე მიუთითა ბიჭმა.

– ახალი მიღებული გვაქვს და ჯერ არ ვიცით ამის ხმარება. – უპასუხა მასწავლებელმა.

ზურიკომ უთხრა მასწავლებელს, მე ვერკვევი ამაშიო, ჩართო რადიო, ანტენის ადგილას გრძელი შნური შეაერთა, რომელიც გარეთ, ფანჯრის ღრიჭოში გაიყვანა, შენობის კედელზე დამაგრებულ ტელეფონის გარე ხაზს შეუერთა და გადაახვია, ისევე, როგორც მამამისი ვალერიანი აკეთებდა თბილისში, რათა ღამე ჩუმად მოესმინა უცხოეთის რადიოსადგურების: „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ გადაცემები, რომელთა მოსმენაც კანონით აკრძალული იყო; უშიშროების ორგანოები დიდ ქალაქებში ამ რადიოსადგურებს ხმაურით ახშობდნენ. ამგვარად, ტელეფონის ხაზის ერთ ფაზაზე შეერთებული შნური რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ანტენად გადაიქცა და ქალაქიდან მოშორებით ჩართული რადიო სუფთად იღებდა უამრავ რადიოარხს. ზურიკომ მოძებნა იმ დროისათვის ყველაზე ახალი და პოპულარული რადიოარხი „მაიაკი“, თანამედროვე სიმღერებით, და ეზოს გამაძლიერებლებს შეუერთა. ბანაკის ბავშვებმა დიდად გაიხარეს. იმ დღიდან პიონერთა ოთახის გასაღები ზურიკოს ჩააბარეს და ყოველ საღამოს მას ევალებოდა ბანაკში მუსიკის ჩართვა.

გავიდა სამი დღე. ზურიკო გათამამდა, მეოთხე დღეს მან უკვე რადიო „მონტე კარლო“ ჩართო. პარასკევამდე ბანაკში სულ უცხოური მუსიკა ისმოდა, ყველა კმაყოფილი იყო. დადგა შაბათი. ზურიკომ იცოდა, რომ შაბათს ღამე რადიო „ამერიკის ხმას“ ერთსაათიანი საუკეთესო საესტრადო მუსიკალური გადაცემა ჰქონდა რუსულ ენაზე. მან მოკლე ტალღაზე მოძებნა რადიო „ამერიკის ხმა“. მიღება საუკეთესო იყო, დამხშობი ანტენები იქამდე ვერ აღწევდა. დაიწყო გადაცემა და მან დიდი ხმით გაუშვა ბანაკის

ეზოში რადიოს ხმა. პროგრამის წამყვანი წარადგენდა იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში სრულიად უცნობი ჯგუფის „AC/DC“ ახალ ალბომს, რომელმაც ფურორი მოახდინა იმ დროს მთელ მსოფლიოში. დაიწყო პირველი სიმღერაც, რომელსაც ერქვა „გზა ჯოჯოხეთში“.

მთელი ბანაკი გაოცებული უსმენდა სრულიად ახალ, განსხვავებულ მუსიკალურ ხმოვანებასა და სიმღერის სტილს. ერთი საათის განმავლობაში, რადიოპროგრამის წამყვანი მხოლოდ „AC/DC“-ს ახალ ალბომზე საუბრობდა და მხოლოდ მათ სიმღერებს უშვებდა ეთერში. დამთავრდა მუსიკალური გადაცემის საათი და დაიწყო „ამერიკის ხმის“ საინფორმაციო გადაცემა, რომელშიც რადიოს წამყვანები ძირითადად საბჭოთა კავშირს აკრიტიკებდნენ; აგრეთვე, დასცინოდნენ კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს, და პოლიტბიუროს, რომელსაც მოხუცებულ ინვალიდთა თავშესაფრად მოიხსენიებდნენ.

ეს ყველაფერი ძალიან მაღალ ხმაზე ისმოდა მთელ ბანაკში. უცებ დერეფანში ჩოჩქოლი ატყდა და რამდენიმე ადამიანის აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. მალე პიონერთა ოთახის კარი გაიღო და შიგნით სირბილით შეიჭრნენ ბანაკის დირექტორი, მისი მოადგილე და კიდევ სამი მასწავლებელი. ბანაკის დირექტორმა რადიო სასწრაფოდ გამორთო, ზურიკოს დანახვაზე თვალები გადმოკარკლა და მთელი ხმით დაიღრიალა:

– რა არის ეს?! გინდათ რომ დაგვიჭირონ და ყველა ციხეში ჩაგვსვან?!

იმავე ღამეს ზურიკოს პიონერთა ოთახის გასაღები სამუდამოდ ჩამოართვეს და ბანაკში კვლავ აჟღერდა მუსლიმ მაგომაევისა და იოსიფ კობზონის პიონერულ-პატრიოტული სიმღერები.

70-იანი წლების დასასრულს, განათლების სამინისტროს განკარგულებით, სკოლების დამამთავრებელ კლასებში ახალი წესი შემოიღეს: ისტორიის ყოველ გაკვეთილზე ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელსაც მასწავლებელი შეარჩევდა, თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ მოკლე, ათწუთიანი მიმოხილვა უნდა გაეკეთებინა. ეს ერთობ საპასუხისმგებლო საქმე ზურიკოს დაავალეს. ისტორიის გაკვეთილის წინა დღეს მას უნდა წაეკითხა გაზეთები „პრავდა“ და „კომუნისტი“, მეორე დღეს კი, ისტორიის გაკვეთილზე, მთელი კლასისთვის მოკლედ უნდა გაეცნო საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება. ეს საპატიო მისია მას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეესრულებინა.

ზურიკომ სახლში პარტიულ-იდეოლოგიური გაზეთები, „პრავდა“ და „კომუნისტი“ მიიტანა, კითხვას შეუდგა და რაღაცების მონიშვნა დაიწყო. ვალერიანი გაკვირვებული უყურებდა შვილს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

– რას აკეთებ, შვილო?

ზურიკომ აუხსნა მამას, რაშიც იყო საქმე, რაზედაც ვალერიანმა გულიანად იცინა და შემდეგ შვილს უთხრა:

– შენზეა დამოკიდებული, ეგ სისულელე რამდენ ხანს იარსებებს.

მეორე დღეც გათენდა. ისტორიის გაკვეთილი დაიწყო. კლასში ისტორიის მასწავლებელთან ერთად გაკვეთილზე დასასწრებლად შევიდნენ სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე, რომელთაც შემდეგ განათლების სამინისტროსთვის წერილობით უნდა ეცნობებინათ, თუ რა შედეგს იძლეოდა მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის ახლად დანერგილი სასწავლო ექსპერიმენტი.

დაიწყო გაკვეთილი და ისტორიის მასწავლებელმა საზეიმოდ გამოაცხადა:

– ახლა ზურაბ კალატოზიშვილი მოკლედ გაგვაცნობს, თუ რა ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

დაფასთან გასულმა ზურიკომ ილაპარაკა, რა წარმატებას მიაღწია საბჭოთა კავშირმა კოსმოსის ათვისებაში, როგორ გაუშვა ორბიტაზე მორიგი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი, რათა ადრე გაშვებულ სხვა კოსმოსურ ხომალდებთან ერთობლივად კოსმოსში შექმნას დიდი ორბიტული სადგური, სახელწოდებით „მირ“ (მშვიდობა), რომელიც, როგორც ომისგან თავდაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალება, ნატოს ბლოკის წინააღმდეგ იქნება მიმართული. შემდეგ ზურიკომ ისაუბრა იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მეტალურგიული მრეწველობა სტრატეგიული დანიშნულებისაა და მხოლოდ ტანკების, თვითმფრინავებისა და შეიარაღების წარმოებას ემსახურება, ამიტომ საბჭოთა კავშირში არ იშოვება ან ძალიან დეფიციტურია მეტალისაგან დამზადებული უბრალო საყოფაცხოვრებო ნივთებიც კი, ისეთი, როგორიცაა სარეცხი მანქანა, უთო, ქვაბი, ტაფა, ჩაიდანი, საკერავი მანქანა, მსუბუქი ავტომობილი და ასე შემდეგ; მაგრამ ასეა საჭირო და ხალხი ამას მოითმენს.

დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს.

– შემდეგი საკითხი, – გააგრძელა ზურიკომ, – ეხება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. როგორც ყოველთვის, ახლაც მსოფლიოში ყველაზე მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საბჭოთა კავშირი აწარმოებს. ჩვენი სახელოვანი სტახანოველი მშრომელები რეკორდებს ამყარებენ სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით; მაგრამ საბჭოთა კავშირი პროდუქტებით ეხმარება აფრიკის დამშეულ ქვეყნებს, რათა აფრიკის მოსახლეობა შიმშილით არ დაიხოცოს; ეხმარება კუბას; ეხმარება ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს; ეხმარება შორეული აზიის ქვეყნებსა და მონგოლეთს. ამიტომ საბჭოთა კავშირში გასტრონომები და მაღაზიები ცარიელია. ხალხს საჭმელი არა აქვს. მაგრამ ასეა საჭირო და ხალხი ამასაც მოითმენს.

სკოლის დირექტორს ნერწყვი გადასცდა, სუნთქვა შეეკრა და ხველა აუვარდა. სასწავლო ნაწილის გამგემ რვეული აიღო და ორივე ხელით მარაოსავით უქნევდა დირექტორს მოსასულიერებლად.

– რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, საბჭოთა კავშირი ძმურ დახმარებას უწევს ავღანეთს, ისევე, როგორც ადრე გაუწია ძმური დახმარება ვიეტნამს, კამპუჩიასა და აფრიკულ ქვეყნებს ათეულათასობით ადამიანის დაღუპვაში. წითელი არმია ბომბავს მოძმე ავღანეთის მთელ ტერიტორიას და წარმატებით ანადგურებს ქვეყნის მოსახლეობას. დანაკარგი საბჭოთა მხრიდანაც დიდია. კვირა არ გავა, რომ ავღანეთიდან საქართველოშიც არ ჩამოასვენონ ცინკის დახურული კუბოებით იქ დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ცხედრე-ბი; ქართველი დედები დასტირიან თავიანთ უდროოდ დაღუპულ შვილებს. რატომ ან რისთვის იბრძვიან და რატომ იღუპებიან უაზროდ მათი შვილები სხვა ქვეყანაში? მაგრამ ასეა საჭირო და ხალხი ამასაც მოითმენს.

– რისთვისაა საჭირო ეს ყველაფერი? – შეწუხებული ხმით იკითხა ერთ-ერთმა თანაკლასელ-მა გოგონამ, რაზეც ზურიკომ უპასუხა:

– მე მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ამხელა მსხვერპლი. ამას ხომ ყველა ხედავს, წლების განმავლობაში. სკოლის დირექტორს ვკითხოთ, ის დაგვეხმარება და იქნებ აგვიხსნას.

დირექტორი გაფითრებული წამოდგა სკამიდან და ხმის ამოუღებლად, სწრაფად გავიდა ოთახიდან; სასწავლო ნაწილის გამგეც უკან დაედევნა.

ისტორიის მომდევნო გაკვეთილიც ანალოგიურად წარიმართა, თუმცა სკოლის დირექ-ტორი გაკვეთილს აღარ დასწრებია. მხოლოდ სასწავლო ნაწილის გამგე იჯდა ბოლო მერხზე

და ზურიკოს ნალაპარაკევს რვეულში იწერდა. მომდევნო კვირიდან პატრიოტულ-ინფორმაციული ექსპერიმენტი სკოლაში შეწყდა.

გამოსაშვებ გამოცდებს ზურიკოს სკოლაში ესწრებოდა განათლების სამინისტროდან გაგზავნილი კომისია. ისტორიის გამოცდაზე ზურიკოს შეხვდა საკითხი დიდი სამამულო ომის შესახებ. მან მოყოლა დაიწყო ჰიტლერის „ბარბაროსას“ სამხედრო ოპერაციით, ჩამოთვალა გერმანელთა სამხედრო დაჯგუფებების სახელწოდებები და დაასახელა მათი მეთაურები, ვინც ამ სამხედრო ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ მან ისაუბრა წითელი არმიის მდგომარეობასა და საბრძოლო მზადყოფნაზე ომის საწყის ეტაპზე, ჩამოთვალა საბჭოთა ჯარების სამხედრო ხელმძღვანელობა და მიმოიხილა „ბარბაროსას“ ოპერაციის მსვლელობა, რომლის დროსაც ვერმახტის ჯარი ელვისებური სისწრაფით მიიწევდა წინ, ისე, რომ 1941 წლის დეკემბრის დამდეგს გერმანელი ფელდმარშლის, ფონ ბოკის ცენტრის ჯგუფის არმიები მოსკოვიდან მხოლოდ 20 კილომეტრში იდგნენ.

რა იყო მიზეზი საბჭოთა არმიის კრახისა, რომელსაც ომის დაწყების წინ გერმანელთა ჯართან შედარებით ბევრად მეტი ტანკი, თვითმფრინავი და ადამიანური რესურსი გააჩნდა; სად იყვნენ ათასობით სახელგანთქმული საბჭოთა ოფიცერი, გენერალი და მარშალი ტუხაჩევსკი, რომლის მიერ დამუშავებული სამხედრო ოპერაციის, „ბლიცკრიგის“ საბრძოლო მოქმედებებს წარმატებით იყენებდა წითელი არმიის წინააღმდეგ მისი „იდეური მოწაფე“, „სწრაფ ჰაინცად“ წოდებული გერმანელთა სატანკო ჯარების შეფი, გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინც გუდერიანი?

სკოლის დირექტორი მიხვდა, საით აპირებდა საუბრის წაყვანას კალატოზიშვილი, სწრაფად შეაწყვეტინა თხრობა და განაცხადა:

– საკმარისია, მეტი აღარაა საჭირო, სხვა მოსწავლეებიც გვყავს გამოსაცდელი.

დირექტორს სამინისტროდან გაგზავნილი კომისიის ერთ-ერთი წევრი, ახალგაზრდა ქალი გამოელაპარაკა:

– რა საინტერესო იყო ამ ბავშვის მოსმენა, ზოგიერთი ფაქტი ჩემთვისაც კი უცნობი იყო.

სკოლის დირექტორმა ოდნავ გაუღიმა დამსწრე ქალბატონს და ზურიკოს უთხრა, თავისუფალი ხარო. ზურიკო კლასიდან გასვლას აპირებდა, რომ უცებ ისევ იმ ქალის ხმა გაისმა:

– ერთი წუთით, ახალგაზრდავ, თქვენ მოყოლა ვერ დაამთავრეთ და ძალიან დამაინტერესა, სად იყვნენ ჩვენი სახელგანთქმული გენერლები, ომი რომ დაიწყო?

– ომის დაწყების წინ მარშალი ტუხაჩევსკი და გენერალთა დიდი ნაწილი ბოლშევიკებმა დახვრიტეს, დანარჩენები კი დააპატიმრეს და ციმბირში, გულაგში გაგზავნეს. – მშვიდად მიუგო ზურიკომ და კლასიდან გავიდა.

კომისიის წევრი ქალბატონი გაოცებული დარჩა, კომისიის სხვა წევრებმა ვითომ ვერ გაიგონეს ზურიკოს ნათქვამი, წაუყრუეს, ჩაახველეს და ერთმანეთს ცივად გადახედეს; სკოლის დირექტორმა კი დაბალ ხმაზე, გაბრაზებით გამოსცრა კბილებში: – მენშევიკი!

სკოლის დამთავრების შემდეგ, ზურიკომ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ვიოლონჩელოს სპეციალობით.

ბოლო გამოცდის ჩაბარების შემდეგ გახარებული ზურიკო სახლში დაბრუნდა და შეამჩნია, რომ დიდი სახლის ეზოში ხალხმრავლობა იყო. რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა ამ სახლის მკვიდრი, ღრმად მოხუცებული მედუდუკე გოგია და იმ დღეს მისი გასვენება იყო. გოგიას ნათესავები არ ჰყავდა, მეზობლებმა ფული შეაგროვეს და მედუდუკე გოგიას დაკრძალვა იკისრეს. მის პატივსაცემად კონსერვატორიის ყოფილი

პროფესორი, უკვე პენსიაში გასული ვერჟბილოვიჩი საყვირზე გოგიას საყვარელ „დილის საარს“ უკრავდა.

ვერჟბილოვიჩმა ეზოში მდგარი ზურიკო რომ დაინახა, დაუძახა მას და ჰკითხა:

– ჰა, რა ქენი? აბა, გამახარე! ჩააბარე კონსერვატორიაში?

– კი, ჩავაბარე. – მიუგო ზურიკომ.

– ყოჩაღ! აბა, შენ იცი! – მხარზე ხელი მოუთათუნა ზურიკოს და დაკვრა გააგრძელა.

სექტემბერში, პირველ კურსზე სწავლა რომ დაიწყო, რამდენიმე დეტალმა გააკვირვა ზურიკო. კონსერვატორიაში მუსიკალური საგნების გარდა ისწავლებოდა: მეცნიერული კომუნიზმი, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, პარტისტორია და სავალდებული სამხედრო მომზადება.

მალევე ზურიკო რექტორატში დაიბარეს. პრორექტორის კაბინეტში მას კონსერვატორიის პრორექტორი და დეკანი დახვდნენ.

– ზურაბ, ჩვენ შევისწავლეთ შენი პირადი საქმე. – მშვიდად წარმოთქვა პრორექტორმა.

– რა საქმე? – გაიკვირვა ზურიკომ.

დეკანმა გაიღიმა:

– ზურაბ, დროა რომ იცოდე, ყველა ადამიანზე არსებობს პირადი საქმე ანუ დოსიე, რომელშიც მისი ცხოვრების ყველა ფაქტია აღნუსხული, დაბადებიდან სიკვდილამდე. ეს დოსიე მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ივსება, სანამ მისი ისტორია არქივს არ ჩაბარდება.

– ეგ ვიცი, მაგრამ სკოლის წლებიც თუ ითვლებოდა, არ მეგონა. – გაოცდა ზურიკო.

– საბავშვო ბაღიც, – სიცილით დაამატა დეკანმა.

– მაშ ასე, – გააგრძელა საუბარი პრორექტორმა, – ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ აგირჩიოთ კონსერვატორიის პირველი კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივნად; ამისათვის დაგაკავშირებთ თქვენს კურატორთან და კონსერვატორიის კომკავშირის მდივანთან.

– კი მაგრამ, ჩემი საქმე თუ შეისწავლეთ, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ჩემი არჩევა კურსის კომკავშირის მდივნად არ არის მიზანშეწონილი. ჯობია, სხვა აირჩიოთ, არა მგონია, მე ამ საქმეში გამოგადგეთ, – ღიმილით მიუგო ზურიკომ.

– პირიქით, ჩვენ გავეცანით ყველას საქმეს და თქვენ საუკეთესო კანდიდატურა ბრძანდებით, ეს უკვე გადაწყვეტილია! – დაამთავრა ლაპარაკი პრორექტორმა.

– რას მოელით ჩემგან? – იკითხა ზურიკომ.

– ზურაბ, იყავი ისეთი, როგორიცა ხარ! – ღიმილით მიუგო დეკანმა და ზურიკოს დაემშვიდობა.

სახლში დაბრუნებულმა გაკვირვებულმა ზურიკომ მშობლებს მოუყვა ეს ამბავი, რაზეც ვალერიანმა გულიანად იცინა და შვილს ჰკითხა:

– შენ თვითონ რას ფიქრობ, რატომ აგირჩიეს კურსის კომკავშირის მდივნად?

– არ ვიცი, – მიუგო ზურიკომ.

– იფიქრე, სამი ვარიანტი გაქვს; პირველი: დავუშვათ, რომ ასი პირველკურსელი სტუდენტიდან, დანარჩენების მშობლების ისტორია და პირადი ისტორია გაცილებით უარესია, ვიდრე – შენი.

– გამორიცხულია, მამა. სტუდენტთა დიდი ნაწილის მშობლები რესპექტაბელური ხალხია, კარგ და დიდ თანამდებობებზე მუშაობენ.

– მეორე ვარიანტი: დავუშვათ, რომ შენ გარდა, ყველა სხვა დანარჩენი, ისეთი დონის გამოთაყვანებულია, რომ შენ იმათზე ცოტათი უკეთესი ხარ.

– რას ამბობ მამა, თითქმის ყველა ძალიან ნაკითხი და ერუდირებულია.

– ბოლო, მესამე ვარიანტი: კონსერვატორია ზერელედ უყურებს სავალდებულო სასწავლო ლენინურ ნორმებს, რადგან მათი მთავარი მიზანია, სტუდენტებს შეასწავლონ მუსიკა და არა ლენინის შრომები, ან ავტომატ „კალაშნიკოვის“ დაშლა-აწყობა, ამიტომ აინტერესებთ ისეთი კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც ხელს არ შეუშლის მათ მთავარ საქმეს, მუსიკის სწავლებას. დეკანმა როგორ გითხრა დამშვიდობებისას?

– იყავი ისეთი, როგორიც ხარო, – მიუგო ზურიკომ.

– კარგად შეუსწავლიათ შენი საქმე და იმიტომაც აგირჩიეს, მათ იციან, რომ კომკავშირული კარიერის გაკეთების მიზნით ზემდგომ ორგანოებში სირბილს და დასმენებს არ დაიწყებ შენს ამხანაგებზე ან მასწავლებლებზე; ნამეტან ინიციატივებსაც არ გამოიჩენ და ხელს არ შეუშლი მათ ჩვეულ საქმიანობას; ჯართის, მაკულატურის შეგროვებითა და ლენინური შაბათობებით არ შეაწუხებ ხალხს დასვენების დღეებში. მათ იციან, რომ შენც ზერელედ უყურებ ლენინურ ნორმებს და სისტემასთან თამაშისა და ლავირების უნარიც გაქვს. ადრე მრავლად იყო დაბეზღებები და „დანოსების“ წერა უმაღლეს სასწავლებლებში, ამიტომაც ყველგან არსებობს პარტკომი, კომკავშირი, იდეოლოგიური სექტორი, სამხედრო კათედრა და, ამას გარდა, ყველა ორგანიზაციაში აუცილებლად არის „კაგებეს“ ერთი ან ორი ფარული აგენტი.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი, დიდი ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის კიბეებზე დააგორეს ჩეკისტებმა, სწორედ მსგავსი ორგანიზაციების დასმენის გამო.

ჩემმა დამ, ელეონორამ, მითხრა, რომ რუსეთის უმაღლესებსა და კონსერვატორიებში დაბეზღებები ნორმად ითვლება. მოსკოვის კონსერვატორიის ერთმა სტუდენტმა, მიშა მაისკიმ, თურმე იაპონური მინიჩამწერი შეიძინა „ბერიოზკას“ სავალუტო მაღაზიაში შავ ბაზარზე ნაყიდი დოლარებით, რათა თავისი მასწავლებლის, მსტისლავ როსტროპოვიჩის გაკვეთილები ჩაეწერა. მისივე კომკავშირელმა ამხანაგებმა ის პარტკომთან დაასმინეს, მოახსენეს, რომ მიშას დოლარებზე ჰქონდა ნაყიდი მინიჩამწერი, რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. ამის გამო მაისკი მოსკოვის კონსერვატორიიდან გარიცხეს, ორი წლით ციხეში ჩასვეს და შემდეგ კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადააგზავნეს.

თბილისის კონსერვატორიაში მსგავსი რამე არ მოხდება, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი აქ კარგად იციან და ეგ გზა, ალბათ, დიდი ხნის გავლილიც აქვთ. ჭკვიანი ხალხია თქვენთან, კონსერვატორიაში, კარგად იციან, ვის უნდა ენდონ და ვის მოერიდონ.

– გასაგებია. ჩემი არჩევით ისინი დაზღვეულები არიან, რომ მომავალში კონსერვატორიას უხერხული სიტუაციები ან რაიმე პატარ-პატარა პრობლემები არ შეექმნება. რა თქმა უნდა, კონფლიქტური ადამიანი არავის სჭირდება. მადლობა, მამა. – წარმოთქვა ზურიკომ და მშობლებს გადაეხვია.

კონსერვატორიაში სწავლა დიდი პროფესიული გამოცდილების მიღების საუცხოო საშუალება იყო ზურიკოსთვის, რადგან იქ პედაგოგებად მუშაობდნენ გამოჩენილი და სახელგანთქმული, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პროფესიონალები, დიდი მუსიკოსები, რომელთა უმეტესობას ქვეყნის ან რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება ჰქონდა მინიჭებული. კონსერვატორიის დერეფნებში ყოველდღიურად ასეთი რანგის ლეგენდარულ პიროვნებებთან შეხვედრა ძალზე შთამბეჭდავი იყო ახალგაზრდებისთვის. მათი დანახვისას ზურიკო შეჩერდებოდა ხოლმე და აკვირდებოდა მათ კეთილშობილურ მანერებსა და საუბრის ელეგანტურ სტილს, აღტაცებული იყო მათი დახვეწილი იუმორით.

XVIII

ერთ დღეს კონსერვატორიის შესასვლელ კარებთან ზურიკომ ულამაზესი უცნობი გოგონა შეამჩნია. ადრე ეს გოგონა კონსერვატორიაში მას არასდროს ენახა. ზურიკო შეჩერდა და იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული მშვენიერი გოგონას დანახვაზე.

კონსერვატორიაში ინდრა იყო მისული და თავის მეგობარ გოგონას ელოდებოდა, რომელიც მალევე მოვიდა. ინდრამ გაიცინა მის დანახვაზე და ისინი ერთად რუსთაველის პროსპექტისაკენ დაეშვნენ.

„რა ლამაზია, რა გულწრფელი და მომხიბვლელი სიცილი აქვს. ნეტავ ვინ არის? ვნახავ კიდევ ალბათ“, – გაიფიქრა ზურიკომ. გადიოდა დრო. ზურიკო ხანდახან ადრე მიდიოდა კონსერვატორიაში და საათობით ელოდებოდა ინდრას გამოჩენას, მაგრამ ის აღარ გამოჩენილა.

მესამე კურსზე იყო ზურიკო, როდესაც მამა გულის ინფარქტით გარდაეცვალა. უმცროსი ძმა, გაიოზი, იმ დროს ჯარში იმყოფებოდა. მოპირდაპირედ მდებარე დიდი სახლის ბინადრები მაშინვე მხარში ამოუდგნენ დამწუხრებულ ოჯახს და ვალერიანი დიდი პატივით დაკრძალეს დედამისის, მარიამის გვერდით.

გავიდა ორი თვე. ზურიკო კონსერვატორიიდან სახლში ბრუნდებოდა. დიდ ეზოში მეზობლები ჭადრაკს თამაშობდნენ. ამ დროს ვერჟბილოვიჩმა გასძახა, ზურაბ, ერთი წუთით მომიახლოვდი, საქმე მაქვსო. ზურიკო მიუახლოვდა მეზობლებს და თბილად მიესალმა.

– მომისმინე, ზურაბ. როდესაც შენ სახლში ვიოლონჩელოზე უკრავ და მეცადინეობ, მე ჩემი ფანჯრიდან გისმენ ხოლმე. სიმართლეს გეტყვი, ძალიან მომწონს შენი დაკვრის სტილი, კარგი ბგერა და დახვეწილი ფრაზა გაქვს.

შემთხვევით გავიგე, რომ ადრე მე სადაც ვმუშაობდი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, ვიოლონჩელოების ჯგუფში ერთი ადგილი განთავისუფლდა და იმ ადგილზე კონკურსია გამოცხადებული. სცადე ბედი, მე ვფიქრობ, რომ შენ გაიმარჯვებ ამ კონკურსში. – უთხრა ვერჟბილოვიჩმა ზურიკოს.

ზურიკომ სათანადო მომზადება დაიწყო კონკურსისთვის და ერთი თვის შემდეგ იგი სახელოვანი ორკესტრის მუსიკოსი გახდა. პირველ სამუშაო დღეს მსოფლიოში სახელ-განთქმულმა და ლეგენდარულმა ქართველმა დირიჟორმა, ჯანსუღ კახიძემ ზურიკო დასვა ბოლო პულტთან, მეთორმეტე ჩელოდ და პულტთან მჯდომ ხნიერ მუსიკოსს უთხრა:

– ტალანტის მქონე ბიჭია, თქვენ გაბარებთ მის აღზრდას.

დაიწყო რეპეტიცია. ორკესტრი მომავალი კონცერტისთვის ამზადებდა ანტონ დვორჟაკის ცნობილ IX სიმფონიას „ახალი სამყარო“ და მაქს ბრუხის სავიოლინო კონცერტს, რომლის შესასრულებლად მოსკოვიდან ჩამოსული იყო კიდევ ერთი ლეგენდარული და სახელ-განთქმული ქართველი მევიოლინე, მარინე იაშვილი.

ზურიკო აღფრთოვანებული იყო, იგი სრულიად ახალ, ჯადოსნურ და ღვთაებრივ სამყაროში მოხვდა, სადაც ნამდვილი, დიდი მუსიკა ჟღერდა. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს ფილარმონიაში ხშირად დასწრებია. ორკესტრის მუსიკოსები, 90-მდე კაცი, დიდი გამოცდილების მქონე, ძლიერი პროფესიონალები იყვნენ. იმ დროს ზურიკო ორკესტრის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა, იგი 19 წლისა იყო და ჯერ კიდევ კონსერვატორიის მესამე კურსზე სწავლობდა. უდიდესი სიამოვნება იყო მისთვის ყოველ დილით სამსახურში მისვლა და ბრწყინვალე მაესტროსთან, ჯანსუღ კახიძესთან მუშაობა.

დიდი წარმატებით ჩატარებულმა პირველმა კონცერტმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ზურაბზე, როდესაც იგი საკონცერტო ფრაკში გამოწყობილი, პირველად გამოვიდა სცენაზე. იმ დღეს საკონცერტო დარბაზი მაყურებლებით იყო სავსე, მათ შორის იყვნენ მარინე იაშვილის მოსასმენად მოსული საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობა, კულტურის მინისტრი და კონსერვატორიის სახელოვანი პროფესორები.

კონცერტს ესწრებოდა აგრეთვე ინდრა, რომელმაც შეამჩნია ფრაკში გამოწყობილი, მომხიბვლელი და ძალიან ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც ვიოლონჩელოს უკრავდა და ნერვიულობისაგან ღაწვები ჰქონდა აწითლებული.

დროთა განმავლობაში ზურიკო შეეჩვია სიმფონიური ორკესტრის მუშაობის განსაკუთ-რებულ სპეციფიკას. ზურიკოს გვერდით მჯდომი ვიოლონჩელისტი, ასაკოვანი მამაკაცი, ძალზე უჩვეულო იტორიის მქონე პიროვნება აღმოჩნდა. ომამდე იგი ორკესტრის ჩელოების ჯგუფის კონცერტმაისტერი ყოფილა, შემდეგ ომში წაუყვანიათ, მალე გერმანელებს დაუტყვევებიათ და საკონცენტრაციო ბანაკში გაუგზავნიათ. ის ებრაელი იყო და დახვრეტას ვიოლონჩელოზე დაკვრის წყალობით გადაურჩა.

გერმანელთა იმ საკონცენტრაციო ბანაკის უფროსს, სადაც ებრაელი ვიოლონჩელისტი მოხვდა ტყვედ, ჩვევად ჰქონია, მუსიკის თანხლებით მიერთვა საუზმე, სადილი და ვახშამი. სამი ტყვესაგან შექმნილი მუსიკალური ტრიო გვერდით ოთახში უკრავდა, როდესაც იგი საჭმელს მიირთმევდა.

თბილისელი ებრაელი ვიოლონჩელისტის წყალობით ბანაკის კომენდანტმა შექმნა სრული სიმებიანი კვარტეტი. ამ კვარტეტის წევრები სამი წლის განმავლობაში ყოველდღე უკრავდნენ მუსიკას, როგორც კი ბანაკის უფროსი სუფრას მიუჯდებოდა ხოლმე. ომის დასასრული ახლოვდებოდა. კომენდანტის იძულებით მუსიკოსები ყოველდღიურად უკრავდნენ მუსიკას საკონცენტრაციო ბანაკის მთავარ მოედანზე, საიდანაც ასეულობით ტყვე, ბავშვიან-მოხუციანად, გერმანელ ჯარისკაცებს ძალით მიჰყავდათ გაზის კამერებში წამებით გასაგუდად და შემდეგ კრემატორიუმის ღუმლებში დასაწვავად.

ომის დამთავრების შემდეგ გერმანელთა ტყვეობას სასწაულებრივად ცოცხლად გადარჩენილი და განთავისუფლებული ოთხივე მუსიკოსი საბჭოთა მთავრობამ, სამშობლოს ღალატის ბრალდებით, ციმბირის ციხეებში გაგზავნა და თითოეულს 10-წლიანი პატიმ-რობა მიუსაჯა.

სასჯელის მოხდის შემდეგ ვიოლონჩელისტი თბილისში დაბრუნდა და თავის ყოფილ სამსახურში, სიმფონიურ ორკესტრში გააგრძელა მუშაობა. პენსიაში გასვლის შემდეგ ის ორკესტრში დატოვეს, სანამ კიდევ შეეძლო ჩელოზე დაკვრა და იმჟამად მთელ თავის ცოდნას, სიბრძნესა და გამოცდილებას გვერდით მჯდომ ახალგაზრდა კოლეგას, ზურაბს გადასცემდა (ღმერთმა გაანათლოს მისი სული).

ზურიკომ პირველი ხელფასით ოთხი ბოთლი კონიაკი და შოკოლადის ფილები იყიდა. იმ დღეს, მოსაღამებულზე, მეზობლები დიდ ეზოში რომ შეიკრიბნენ ნარდის, ჭადრაკისა და დომინოს სათამაშოდ, მან კონიაკები და შოკოლადი ეზოში ჩაიტანა, ვერჟბილოვიჩის წინ დააწყო და მეზობლებს უთხრა:

– თქვენი დიდი მადლობელი ვარ ყველაფრის გამო. პირველი ხელფასი ავიღე და ეს ჩემგან, პატივისცემის ნიშნად, თითო ჭიქით მამაჩემის შესანდობარი შესვით.

ატყდა ეზოში აურზაური, ხმაური და ხმამაღალი შეძახილები: კაცური კაცი ხარ, ზურაბ! ვერიჩკა, ვერიჩკა, კონიაკის „რიუმკები“ ჩამოიტანე! აუჰ, ეხლა კი გავხურდებითო.

ზურიკო გამოემშვიდობა მათ და წასვლა დააპირა, მაგრამ მეზობლებმა არ გაუშვეს, აუცილებლად შენც უნდა შესვა მამაშენის მოსაგონარი, დაჯექი ჩვენთან და თან მოგვიყევი

შენი სამსახურის ამბებიო. ქალებმა უცებ ნამცხვრები და ტორტის ნაჭრებიც კი გააჩინეს მაგიდაზე.

მოიგონეს ვალერიანი, შემდეგ – სხვა წასული მეზობლები და მედუდუკე გოგიაც. ვასილიმ გოგიას ყოველდილაობით მაღალი ვერანდიდან გადმოძახილიც გაიხსენა, როგორ დალოცვასავით ისმოდაო; იმდენად შეჩვეული ვიყავი მის ხმას ყოველ დილას, რომ ხანდახან სიზმარშიც კი მესმისო. შემდეგ სასმისი მაღლა ასწია და გოგიას ხმით დაიძახა:

– დილა მშვიდობისა, თბილის-ქალაქო, დილა მშვიდობისა, მეზობლებო! ყველა კაი საქმეზე წასულ კაცსა გაუმარჯოს და ყველა ცუდ საქმეზე მიმავალსა კი გზა გაუმრუდდეს.

ზურიკომაც გაუზიარა მეზობლებს სამსახურის შესახებ თავისი შთაბეჭდილებები. სამი ჭიქა კონიაკის შემდეგ უკვე ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ. ვერჟბილოვიჩმა ზურიკოს უთხრა:

– ჯერ სადა ხარ, აი, შემდეგ გასტროლებზე რომ დაიწყებთ სიარულს, შთაბეჭდილებები მერე ნახე. მთელი საბჭოთა კავშირი მოვიარეთ გასტროლებით. ევროპის ქვეყნებშიც დავდიოდით. ზაფხულობით კი ბორჯომში, ბიჭვინთასა და გაგრაში ვისვენებდით, თან კონცერტებს ვმართავდით. ნამდვილი დროსტარება და გართობა აბა, მაშინ იყო, თუ იყო. ტრაბახით არ ვამბობ, სრული სიმართლეა, მამა ნუ წამიწყდება, ჩვენ რომ იქ მაღალი კულტურის მანდილოსანთა საზოგადოებებში დროს ვატარებდით, სხვებს არც კი დაესიზმრებოდათ.

– აი, მაინც სად, როგორ საზოგადოებაში? – იკითხა ტარიელმა.

– 60-იან, 70-იან წლებში, რუსეთში მილიციას, კაგებეს, ცენზურასა და პარტიულ სისტემას მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბეჩავებული ჰყავდა. ახლა წარმოიდგინეთ რუსეთის ერთ-ერთი ქალაქი, მაგალითად, ივანოვო, მოსკოვის მახლობლად, რომელიც საფეიქრო მრეწველობის ქალაქი იყო, ამიტომ მისი მოსახლეობის 90 პროცენტს ახალგაზრდა ქალები შეადგენდნენ. მახსოვს, ქალაქში დიდი პლაკატებიც კი იყო გაკრული – „დაიტე პობოლშე მუჟჩინ“. ქალაქში ათწლეულების განმავლობაში არსებობდა მამაკაცების სიმცირის პრობლემა, უამრავ ქალს ენატრებოდა მამაკაცთან სიახლოვე, და ასეთ ქალაქში ერთკვირიანი გასტროლებით ჩადის თითქმის ასკაციანი სიმფონიური ორკესტრი საქართველოდან, რომლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა სიმპათიური და ვაჟკაცური მამაკაცია, ზოგიერთი მათგანი კონსერვატორიის პროფესორიცაა, როგორც, მაგალითად, მე ვიყავი თავის დროზე, – შარვალ-კოსტუმებში, ჰალსტუხებში გამოწყობილები და კარგი რუსულით მოლაპარაკენი. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა მაშინ იქ. დიდ ქალაქებში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები იყო. უბრალო ქალს ვინ იკადრებდა, სულ დახვეწილი, ელიტური მანდილოსნების არჩევანი გვქონდა იმ დროს.

– ერთი, ჭაღზე მოყევი რა, ჭაღზე, მართალია ეგ ამბავი? – იკითხა ბიკენტიმ.

– სრული სიმართლეა. რა არის აქ დასამალი. კიევში ვიყავით გასტროლებზე. ერთ დღესაც ძვირად ღირებული სასტუმროს ნომერში კიევის ბალეტის ახალგაზრდა მოცეკვავე გოგონასთან ერთად ვსაუბრობდი შამპანურისა და მუსიკის თანხლებით. შემდეგ, მთლად გაშიშვლებული უმშვენიერესი ბალერინა, მაგიდაზე ცალ ფეხზე შემდგარი მიჩვენებდა, ჰაერში როგორ აკეთებდა „შპაგატს“. მე ვკითხე, კიდევ უფრო მაღლა თუ შეგიძლია ფეხის აწევა-მეთქი. მან ასწია ფეხი; ვთხოვე, კიდევ უფრო მაღლა აეწია, გოგონამ სცადა, მაგრამ უცბად წონასწორობა დაკარგა და დიდი უბედურება მოხდა.

– რა უბედურება? – იკითხა ტარიელმა.

– წონასწორობადაკარგული ბალერინა სასტუმროს ნომერში დაკიდებულ ბროლის ჭაღს

ხელებით ჩამოეკიდა. ჭაღი ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

უცებ ზედა აივნიდან ვერჟბილოვიჩის ცოლის ხმა გაისმა, რომელიც თურმე ჩუმად უსმენდა თავისი მეუღლის საუბარს:

– ბროლის ჭაღის ფასი, 1000 მანეთი კი, მე სულელმა აქედან კიევში გავუგზავნე სასწრაფოდ! კარგი, გეყოფა ახლა სმა, თორემ დაიწყე დონ ჟუანივით ბაქიბუქობა.

– ძვირფასო, დონ ჟუანი რა შუაშია. ჩვენ მხოლოდ პროფესიულ საკითხებს განვიხილავდით, – მთელი სერიოზულობით უპასუხა ცოლს ვერჟბილოვიჩმა.

ეზოში დიდი სიცილ-ხარხარი და მხიარულება ატყდა.

ერთ წელიწადში ვერჟბილოვიჩიც გარდაიცვალა. შეიკრიბა ისევ მთელი სამეზობლო და ერთ დიდ, საერთო ოჯახად გაერთიანდა. გასვენების დღეს ზურამ ჩელო გამოიტანა სახლიდან და მის პატივსაცემად დილის საარი ააჟღერა.

დრო გადიოდა. ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ბრეჟნევი, რამდენიმე თვეში მას თან მიჰყვა ქვეყნის ახლად არჩეული ხელმძღვანელი ჩერნენკო. შემდეგ კი, კვლავ რამდენიმე თვეში, გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მომდევნო მეთაური ანდროპოვი. ქვეყანაში სასაცილო მდგომარეობა შეიქმნა. პოლიტბიურო მოხუცებულთა თავშესაფარს უკვე აღარ ჰგავდა; უფრო მძიმე ავადმყოფთა, გონებადაჩლუნგებულ და ზომბებივით ძლივს მოლასლასე ადამიანთა გროვას წააგავდა, რომლებიც სიარულის დროს ერთმანეთს ძლივს ეჭიდებოდნენ და ხელს აშველებდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ.

მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრომიკომ პოლიტბიუროს წევრებს აუხსნა, რომ მათი მმართველობის ეპოქა უკვე დიდი ხანია, დასრულებულიყო და დრო იყო, ყველა ერთად სამკურნალოდ წასულიყვნენ. ასეც მოხდა. მთელი პოლიტ-ბიურო გადადგა და ქვეყნის მმართველობა ჩააბარეს პროვინციელ, პარტიული ხაზით დაწინაურებულ კარიერისტს, მიხეილ გორბაჩოვს, რომელმაც ლაპარაკის გარდა სხვა არაფე-რი იცოდა. მან ახალი პოლიტბიურო შექმნა და მის შემადგენლობაში სპეციალურად შეიყვანა მორჩილი, სუსტი და უხერხემლო ხალხი, რომლებიც მის მმართველობას საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად კი გორბაჩოვმა თავისნაირი პროვინციელი, საქართველოში პარტიული ხაზით დაწინაურებული კარიერისტი, ედუარდ შევარდნაძე დანიშნა, რომელმაც, ინგლისურს ვინ ჩივის, რუსულიც კი არ იცოდა გამართულად.

რუსეთში ყოველთვის იყვნენ თავისი საქმის მცოდნე, საუცხოო სპეციალისტები და მოაზროვნე ადამიანები. ასეთი ხალხი რომ მოსულიყო სახელმწიფოს სათავეში, ისინი მთავრობის შემადგენლობიდან ერთიანად გაყრიდნენ არაფრის მცოდნე და არაფრის მაქნის პარტიულ ჩინოვნიკებს. კომუნისტურმა მთავრობამ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა ეს და ამიტომ, თავიანთი სკამების შესანარჩუნებლად, უმაღლესი თანამდებობის პირები ჭკვიან ადამიანებს ახლოსაც კი არ იკარებდნენ.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი, როგორც ქვეყანა და სისტემა, ღრმა კრიზისში იმყოფებოდა და სულს ღაფავდა. XX საუკუნის დასაწყისში, სტალინის ეპოქაში შექმნილმა ქვეყნის ეკონომიკური მართვის მოდელმა ინერციით კი მიაღწია საუკუნის დასასრულამდე, მაგრამ იმჟამად უკვე მოძველებული იყო და აღარ მუშაობდა. ქვეყნის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა დანგრეული და განადგურებული იყო, სახელმწიფო ხაზინა კი – მთლიანად დაცარიელებული.

მიხეილ გორბაჩოვმა იცოდა, რომ სისტემის თავიდან ამუშავება შეუძლებელი იყო,

ამიტომ მან ევროპასა და ამერიკას სთხოვა დიდი რაოდენობის ფული, სესხის სახით. დასავლეთმა გორბაჩოვს თავისი პირობები წაუყენა. თანხას მისცემდნენ იმ შემთხვევაში, თუ ის დიდ დათმობებზე წავიდოდა. საბჭოთა კავშირს უნდა გაენთავისუფლებინა გერმანია და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სოციალისტური სისტემის მარწუხებისაგან, გაეყვანა საბჭოთა ჯარები ევროპიდან და ავღანეთიდან და ციხეებიდან უნდა გამოეშვა პოლიტიკური პატიმრები.

გორბაჩოვს სხვა გზა არ ჰქონდა, ის არჩევანის წინაშე დადგა: ან სესხი უნდა აეღო კაბალური პირობებით, ან კიდევ თავისი ქვეყნა გაეწირა გარდაუვალი კატასტროფისთვის.

გორბაჩოვმა პირველი გზა აირჩია. საბჭოთა ჯარებს ევროპიდან და ავღანეთიდან ის ნელ-ნელა გაიყვანდა, რათა მათთვის დასაბინავებელი ადგილები მოემზადებინა, მანამდე კი ქვეყანაში საჭირო იქნებოდა ამ პროცესებისათვის ადამიანების აზროვნების მომზადება. ამიტომ ხალხის თვალის ასახვევად გორბაჩოვმა შემოიღო სამი ახალი მცნება: „პერესტროიკა, გლასნოსტი და დემოკრატია“ – გარდაქმნა, საჯაროობა და დემოკრატია.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დამშეული ხალხისთვის თვალებში ნაცარის შეყრა და ყურადღების სხვა რამეზე გადატანა იყო. რეალურად ლაპარაკის გარდა არაფერი კეთდებოდა...

ზურიკომ წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და უნივერსიტეტიც, ხელოვნებათმცოდნეობის განხრით. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საკონცერტო გასტროლებით შემოიარა თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი და ევროპის მრავალი ქვეყანა. ახალგაზრდა მუსიკოსისთვის უდიდესი სიამოვნება იყო მსოფლიოს სხვადასხვა სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზში გამოსვლები, დიდი მაესტროს, ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. ამ კონცერტებმა, რომლებზეც მეტწილად დიდი ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის სიმფონიები, აგრეთვე მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორების საკონცერტო ნაწარმოებები სრულდებოდა, მასზე წარუშლელი შთაბეჭდილებები დატოვა.

XIX

1986 წლის დასასრულს ზურიკო გაიწვიეს საჭოთა ჯარში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. როგორც მუსიკოსი, იგი გააგზავნეს ირანის საზღვართან მდებარე სასაზღვრო პოლკში, ქალაქ ჯულფაში, ნახიჩევანის სამხედრო ოლქში, სამხედრო პოლკის სასულე ორკესტრში, სადაც იგი ერთ თვეში დაეუფლა ახალ მუსიკალურ ინსტრუმენტზე – ბარიტონზე დაკვრას.

ჯულფის სამხედრო ნაწილში ზურიკო ღამით ჩავიდა. ის შტაბიდან პირდაპირ ორკესტრის ყაზარმაში მიიყვანეს. 25-კაციან ორკესტრში რამდენიმე ქართველიც აღმოჩნდა: ხვიჩა და ემზარი – ქუთაისიდან, შოთა და მერაბი – აფხაზეთიდან. ზურიკო ქართველ ბიჭებს სახლიდან წამოღებული სასმელ-საჭმლით გაუმასპინძლდა – ყაზარმის კუთხეში პატარა, სახელდახელო სუფრა გაიშალა. მათ შეუერთდა ორკესტრის კიდევ ერთი წევრი, ჩეჩენი შამილი. ორკესტრის დანარჩენ წევრებს კი მშვიდად ეძინათ. ბიჭებმა გაიცნეს ერთმანეთი, ზურიკომ მათ საქართველოს ბოლოდროინდელი ამბები მოუყვა, გააგებინა, რა ხდებოდა ქვეყანაში. ბევრი იხუმრეს, იმხიარულეს და იცინეს. ჩეჩენ შამილს ზურიკომ ხუმრობით უთხრა:

– ხომ ხედავ, შამილ, რა დრო დადგა, ადრე ჩემი და შენი წინაპრები ხმლებით ებრძოდნენ ერთმანეთს, შემდეგ ქართველები და ჩეჩნები, თავიანთი ქვეყნების

დამოუკიდებულობისათვის, რუს დამპყრობლებს ებრძოდნენ; ახლა კი, ქართველიცა და ჩეჩენიც რუსის ჯარში საბჭოთა კავშირის ჰიმნს ერთად ვუკრავთ...

– კი, მართალია. ღრმად მოხუცებული ჩემი დიდი პაპა ხანდახან იხსენებდა და გვიყვებოდა, რომ მისი წინაპრები 20 წელზე მეტხანს ებრძოდნენ რუსებს. იმასაც ჰყვებოდა, რომ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებშიც ხშირად ლაშქრობდნენ და დიდი სიმდიდრე გაჰქონდათ იქიდან. შამილის ბრძოლების ისტორიაც ვიცი. მეც მის პატივსაცემად დამარქვეს ეს სახელი, – თქვა შამილმა.

– დრო იცვლება და ახალი ამბები, ახლა რომ მოგვიყევი, კიდევ ახალი დროის დადგომას მოიტანს, – საუბარში ჩაერია ხვიჩა.

ბიჭები დამეგობრდნენ. ჯარში სამსახურის მთელი ორი წლის განმავლობაში ისინი გვერდში ედგნენ ერთმანეთს, ერთიმეორის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, ლუკმას უყოფდნენ ერთმანეთს.

სამსახურის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ზურიკო პოლკის უშიშროების განყოფილების უფროსმა დაიბარა თავის კაბინეტში და უთხრა:

– ზურაბ, პირდაპირ საქმით დავიწყებ. შენი დოსიე შევისწავლე. ვიცი, რომ უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ხარ ნამყოფი. ისიც ვიცი, რომ ფინეთიდან ვიდეომაგნიტოფონი ჩაიტანე სახლში. ისიც ვიცი, რომ სამშობლოს მოღალატეების შთამომავალი ხარ. მაგრამ დრო შეიცვალა, რეაბილიტაციები მოხდა; რადგან უცხოეთში ხშირად დადიხარ, ესე იგი, „კაგებე“ გენდობა, ამიტომ მეც გენდობი და ერთ დავალებას მოგცემ. ასაკით შენ 18 წლის ჯარისკაცებზე გაცილებით უფროსი ხარ, უმაღლესიც დამთავრებული გაქვს, სერიოზული კაცი ხარ და გამოცდილებაც მეტი გაქვს. პოლკში ქართველებს შორის ერთი ინფორმატორი მჭირდება. გახდი ჩემი ინფორმატორი, შემატყობინე ყველაფერი, რასაც ქართველები ლაპარაკობენ და ჯარის დასრულებისას კომუნისტური პარტიის რიგებში მიგიღებთ; თან აქაც კარგად იქნები და ჯარში ყოფნისას არაფერი გაგიჭირდება.

ზურიკოს მოულოდნელობისაგან სიცილი აუვარდა და კაპიტანს უთხრა:

– მეც პირდაპირ გეტყვით, მე მუსიკოსი ვარ. წელიწად-ნახევარის შემდეგ მოვრჩები სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ისევ მუსიკას დავუბრუნდები. სხვა მე არაფერი მაინტერესებს, კარგად ბრძანდებოდეთ, არ არის ეგ ჩემი საქმე.

ნამდვილად საოცარია და ღირს იმაზე ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენდა იმ პერიოდში საბჭოთა ჯარი. სამხედრო პოლკში მსახურობდნენ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან ჯარში გაწვეული სხვადასხვა ეროვნების, უმეტესწილად, 18 წლის ახალგაზრდები. ჯარისკაცთა სასადილოში კვება საშინელი იყო, საჭმელი დაძველებული და დამპალი პროდუქტებისაგან მზადდებოდა. საბჭოთა არმიას თავისი საწყობები ჰქონდა, საიდანაც იგზავნებოდა გაყინული ან დაკონსერვებული პროდუქტი სხვადასხვა ოლქისა და რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებში. პროდუქტის მატარებლით ჩატანას დანიშნულების ადგილამდე ხშირად კვირები სჭირდებოდა. იმ ნაწილის სასადილოში, სადაც ზურიკო მსახურობდა, ერთი ქართველი ბიჭი მუშაობდა ამჟავებული შავი პურის დამჭრელად. ის პერიოდულად აფრთხილებდა ხოლმე ქართველ ჯარისკაცებს, რომ იმ დღეს კომბოსტოს სუპი არ ეჭამათ, რადგან თავისი თვალით ჰქონდა ნანახი, როდესაც კონსერვის ქილები გახსნეს, რომ კომბოსტო მთლიანად გაფუჭებული და დამპალი იყო; ან კიდევ, ხორცი არ ეჭამათ, რადგან გაყინულ ხორცს 40 წლის წინანდელი დამზადების თარიღის ბეჭედი ედო, და ასე შემდეგ; ჩაიში კი სპეციალურად წამალს ურევდნენ, რათა ჯარისკაცებს ქალის მოთხოვნილება არა ჰქონოდათ. ოფიცერთა სასადილო ცალკე იყო და იმათ უკეთესი კვება ჰქონდათ.

ჯარისკაცის ხელფასი იყო თვეში 7 მანეთი, საიდანაც 2 მანეთი ჩექმის კრემისა და თეთრი საყელოს შეძენისათვის იქვითებოდა. ორი წლის განმავლობაში, ოფიციალურად, ჯარისკაცს ერთხელ ჰქონდა უფლება, ორი კვირით შვებულებით წასულიყო სახლში, მაგრამ მას ამის საშუალებასაც არ აძლევდნენ. შაბათს ან კვირას კი, თუ ჯარისკაცს ქალაქში გასვლა უნდოდა 2 საათით, მას ნებართვა წერილობით შტაბიდან უნდა აეღო, თუმცა ამ ნებართვასაც იშვიათად იძლეოდნენ.

ჯარის სამხედრო ტექნიკა მოძველებული და უვარგისი იყო, ტანკები ან ჯავშან-ტრანსპორტი სამხედრო პოლიგონზე თითქმის არ გაჰყავდათ, რადგან რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ყველაფერი ფუჭდებოდა. ამიტომ ჯარისკაცები პრაქტიკულ მეცადინეობებს, ვარჯიშებსა და სპეციალურ სამხედრო-საბრძოლო წვრთნასა და მომზადებას ყოველდღიურად არ გადიოდნენ.

წელიწადში ერთხელ ან, შეიძლება, ორჯერ, პოლკი ორი კვირით გადიოდა სამხედრო ნაწილიდან 5 კილომეტრით დაშორებულ სასწავლო-საწვრთნელ პოლიგონზე, სადაც ჯარისკაცები მეტწილად უაზროდ და უსაქმოდ იყვნენ და მიწაზე ან ჯავშანტრანსპორტში ეძინათ. ასწავლიდნენ და ერთხელ თუ გაასროლინებდნენ ავტომატიდან რამდენიმე ტყვიას. ეს იყო და ეს, მთელი ორწლიანი სამხედრო წვრთნა და სწავლება.

ჯარისკაცთა ძირითადი საქმიანობა იყო სამხედრო ობიექტების, იარაღის საწყობების, სამხედრო ტექნიკისა და პოლკის შტაბის მორიგეობით ყარაულობა. ყოველდღე, საუზმისა და ვახშმის წინ, დილა-საღამოს, პოლკის მთავარ მოედანზე 3000-მდე სამხედრო გამწკრივდებოდა პოლკის მეთაურის წინაშე, მარშით ჩაივლიდნენ მუსიკის თანხლებით და შემდეგ სასადილოს მიმართულებით გააგრძელებდნენ მარშს სიმღერით.

წელიწადში ორჯერ ნახიჩევანში იმართებოდა სამხედრო ოლქის მთელი დივიზიის შემოწმება-ჩვენება, სადაც სხვადასხვა პოლკები იკრიბებოდა და ისევ მუსიკის თანხლებით, ამ პოლკების გაერთიანებული სამხედრო ორკესტრის აკომპანემენტით, დივიზიის პოლკების ჯარები მწყობრად ჩაივლიდნენ სამხედრო მარშით ტრიბუნაზე მდგომი დივიზიის უფროსის წინაშე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ საბჭოთა ჯარის ოფიცრები, ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა. უმცროსი ჩინის ოფიცრის ტიტულის მიღებამდე, ძირითადად, რუსეთის ღრმა პროვინციებში დაბადებული მოზარდი ბიჭები რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდნენ კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილ სამხედრო სასწავლებლებში, რომლის დამთავრების შემდეგ ამ ახალგაზრდებს ლეიტენანტის წოდებით აგზავნიდნენ სხვადასხვა სამხედრო პოლკში, სადაც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მათ ავტომატურად ემატებოდათ სამხედრო ჩინი. შემდგომში, ვისაც უნდოდა უფრო მაღალი სამხედრო ჩინისთვის მიეღწია, მას უნდა დაემთავრებინა აგრეთვე იდეოლოგიზირებული უმაღლესი სამხედრო აკადემია, პოლკოვნიკი ან გენერალი რომ გამხდარიყო. ინტელექტით, კულტურითა და საერთო განათლების დონით საბჭოთა ოფიცერი ოდნავ მაღლა თუ იდგა, ვიდრე კოლმეურნე გლეხი ან უბრალო მუშა; ხოლო უმაღლესდამთავრებულ მოქალაქესთან შედარებით, საბჭოთა ოფიცრის ინტელექტუალური დონე წარმოუდგენლად დაბალი იყო. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკისა და ნატოს ბლოკის ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და არსებობდა ყოველდღიური საშიშროება, რომ ევროპა და ამერიკა დაიპყრობდნენ და გაანადგურებდნენ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა ოფიცერს არ უნდა ეფიქრა. იგი მიჩვეული იყო იმ აზრს, რომ ის შეადგენდა კომუნისტური სისტემის დიდი მანქანის ერთ პატარა, უმნიშვნელო ნაწილს,

ჭანჭიკს, რომელსაც მხოლოდ ბრძანება უნდა შეესრულებინა, ზედმეტი შეკითხვებისა და ფიქრის გარეშე.

საბჭოთა ჯარის ოფიცრისათვის რომ გეკითხათ, მაგალითად, რაში აწყობდა ამერიკას ან ევროპას საბჭოთა კავშირის დაპყრობა – 200 მილიონ საბჭოთა ადამიანს ყოველდღიურად მინიმუმ გამოკვება ხომ მაინც უნდოდა, ვის ჰქონდა ამისი თავი; ნუთუ მართლა ეგონათ, რომ ვინმე ჯონი კალიფორნიის რანჩოდან ან მავანი ჰანსი ბავარიიდან მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ სასწრაფოდ რუსეთი დაეპყროთ, თვითონ კი ციმბირში გადასახლებულიყვნენ და მერე 200 მილიონი საბჭოელი ადამიანის შენახვასა და გამოკვებაზე ეზრუნათ? – ასეთ მარტივ შეკითხვაზე საბჭოთა ოფიცრის პასუხი ასეთი იქნებოდა: მე იმას ვამბობ, რაც მასწავლეს და რაც მითხრეს. საბჭოთა ოფიცრების დიდი უმრავლესობა ლოთები და უხეშები იყვნენ, რადგან მათ სხვანაირად ცხოვრება არ იცოდნენ.

რაც შეეხება ჯულფის სამხედრო პოლკს, ის ითვლებოდა ყველაზე ჩამორჩენილ და უყურადღებოდ მიტოვებულ სამხედრო ნაწილად იმდროინდელ საბჭოთა არმიაში. ამიტომ უბრალო სამხედროებისთვის იქ სამსახური არცთუ ისე რთული იყო, რადგან ჯარისკაცებისთვის მკაცრი დისციპლინა არ არსებობდა და კლიმატიც თბილი იყო, რუსეთის ან ციმბირის სხვა სამხედრო ნაწილებთან შედარებით; ოფიცრებისთვის კი, პირიქით, ჯულფაში სამსახური სასჯელი იყო – თუ რომელიმე ოფიცერი რაიმეს დააშავებდა საბჭოთა არმიაში, ნებისმიერ ადგილას, მას ჯულფაში აგზავნიდნენ და 5 ან 10 წლის განმავლობაში მათ სამხედრო ჩინიც არ ემატებოდათ ავტომატურად.

საინტერესოა რამდენიმე მომენტის გახსენება ზურიკოს ჯარისკაცური ცხოვრებიდან. საბჭოთა კავშირსა და აიათოლა ჰომეინის დროინდელ ირანს ჯულფის საზღვარზე ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე არაქსი, რომელზეც სარკინიგზო ხიდი გადიოდა. იმ პერიოდში ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ხიდი გადაკეტილი იყო.

ხანდახან ორკესტრის მუსიკოსებსაც უწევდათ ხოლმე „კალაშნიკოვით“ ხელში სამხედრო ობიექტების ყარაულობა. სამეთვალყურეო სადარაჯოს მაღალ კოშკზე მდგომ, მხარზე ავტომატგადაკიდებულ ზურიკოს სასაზღვრო ხიდის ცქერისას ბებია მარიამის მონაყოლი ახსენდებოდა ხოლმე:

მეორე მსოფლიო ომის დროს პეტრე ტატიშვილი დანიშნული იყო მთელი ამიერკავკასიის ოლქის მსუბუქი მრეწველობის კომისრად. მის მოვალეობათა შორის ერთ-ერთს ისიც შეადგენდა, რომ ირანიდან ყოველთვიურად სარკინიგზო შემადგენლობით ჩამოეტანა საბჭოთა კავშირისათვის ამერიკიდან გამოგზავნილი სამხედრო დახმარება: საკვები, წამლები, იარაღი და დიდი რაოდენობით ფართლეული, წითელი არმიისათვის სამხედრო ფორმების, მუნდირებისა და ჩექმების შესაკერად. მატარებლებს სწორედ ჯულფის ამ ხიდით გადაჰქონდათ ამერიკის ბაზებიდან გამოგზავნილი ტვირთი ერევანში, თბილისსა და ბაქოში, სადაც სამხედრო ფორმები და ჩექმები იკერებოდა, შემდეგ კი ეს ყველაფერი სასწრაფოდ ფრონტზე იგზავნებოდა. ყოველთვიურად ასეთი დიდი საქმის ორგანიზებასა და განხორციელებას კომისარი პეტრე ტატიშვილი წარმატებით ართმევდა თავს.

ერთხელაც, ირანში ყოფნისას, პეტრეს მისი კუთვნილი რამდენიმე დღის საკვები, ეგრეთ წოდებული „გენერალსკი პაიოკი“, ფარულად გადაუცვლია ოქროს სამკაულებზე და ასევე მალულად ჩამოუტანია საყვარელი მეუღლისთვის საჩუქრად თბილისში.

ეს ყველაფერი ახლა უკვე ისტორია და შორეული წარსული გამხდარიყო, როგორც ის ძველი, დაჟანგული ხიდი. პეტრე და მარიამი ცოცხალები აღარ იყვნენ, ზურაბი კი პოლკის სამეთვალყურეო კოშკიდან გაჰყურებდა იმ ისტორიულ ხიდს და მხოლოდ ერთი საფიქრალი

აწუხებდა – როდის დასრულდებოდა მისი უაზრო სავალდებულო სამხედრო სამსახური საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარზე, 43-გრადუსიან სიცხეში.

პოლკის უფროსი პერიოდულად თავს მოუყრიდა ხოლმე შტაბის ყველა ოფიცერს და მოულოდნელ შემოწმებებს აწყობდა. ასე რომ, ერთხელაც, შუადღის თორმეტი საათისათვის, პოლკის უფროსი, ოფიცერთა მთელი შემადგენლობის თანხლებით, ბატალიონების ყაზარმებს დაატყდა თავს. ბატალიონების მეთაურები თავიანთ სახლებში, ოფიცერთა კორპუსებში იმყოფებოდნენ, რიგითი ჯარისკაცები კი ლოგინებზე იყვნენ წამოწოლილი, ზოგი ტელევიზორს უყურებდა, ზოგი კარტს თამაშობდა.

პოლკის უფროსი უშვერი სიტვებით იგინებოდა, გაბრაზებული გაჰყვიროდა, რატომ არ იყვნენ ჯარისკაცები მეცადინეობებსა და ვარჯიშებზე და სად იმყოფებოდნენ ბატალიონების პასუხისმგებელი მეთაურები. შტაბის ოფიცრები თავდახრილები უხმოდ უსმენდნენ პოლკოვნიკის რისხვას.

ბოლო ბატალიონის მესამე ასეულში, მხოლოდ შუააზიელი ჯარისკაცები იყვნენ თავ-მოყრილები. იქ შესვლისას პოლკის უფროსსა და ოფიცრებს მეტყველების უნარი წაერთვათ, ისეთი რამ ნახეს. შუააზიელ ჯარისკაცებს ყველა მაგიდა და ტუმბო ერთად შეეტყუპებინათ, სახელდახელო სუფრა გაეწყოთ და რაღაც მუსულმანურ დღესასწაულს აღნიშნავდნენ. უზბეკ-თურქმენ-ტაჯიკ-თათარ ჯარისკაცებს პოლკის სასადილოსთან მოხეტიალე უპატრონო ძაღლები დაეჭირათ, დაეკლათ, მოეხარშათ და იმ ხორცს მიირთმევდნენ, სუფრის თავში კი კბილებ-დაკრეჭილი ძაღლების მოხარშული თავები დაეწყოთ. პოლკის უფროსმა ფეხი ჰკრა ერთ-ერთ მაგიდას, უწმაწურად, უშვერი სიტყვებით შეიგინა, ყაზარმიდან გამოვარდა და შტაბის ოფიცრებს გინებით საერთო ტუალეტისაკენ გაუძღვა.

ოფიცრებს თავისი მოვლილი და სუფთა ტუალეტი პოლკის შტაბის შენობაში ჰქონდათ. ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი დიდი საერთო ტუალეტი კი მოშორებით, ღობესთან მდებარეობდა, რომელსაც არავინ ასუფთავებდა. იქ წარმოუდგენელი სიბინძურე და ანტისანიტარია სუფევდა. შიგ შესვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე ათასი ჯარისკაცის თვეობით ნასაქმარი წუნწუხით იყო მოფენილი მთელი იატაკი და ფეხის დასადგამი ადგილი არსად იყო. საერთო ტუალეტის პასუხისმგებელი ზემდეგი ჯარისკაცებს ვერ აიძულებდა ტუალეტის დასუფთავებას, რადგან მას არავინ ემორჩილებოდა; ამიტომ, პოლკში დიზენტერია და შავი ჭირი რომ არ გაჩენილიყო, ზემდეგი დიდი რაოდენობით ქლორის ფხვნილს ყრიდა ტუალეტში. ჯარისკაცებს კი პოლკის ქვის ღობე მოენგრიათ რამდენიმე ადგილას, ღობეზე გადადიოდნენ და პოლკის ტერიტორიის იქეთ მოისაქმებდნენ ხოლმე. რამდენადაც ტუალეტის ქაღალდი საბჭოთა ჯარში არ არსებობდა და გაზეთის შოვნაც ადვილი არ იყო, უკანალის მოსაწმენდად ჯარისკაცები სამხედრო-პატრიოტული ჟურნალებისა და ლენინის შრომების წიგნთა ფურცლებს ხევდნენ, რომლებიც ყოველი ბატალიონის ლენინურ ოთახებში მრავლად ეწყო თაროებზე.

პოლკოვნიკი ოფიცრების თანხლებით გინებით მიუახლოვდა უფანჯრებო საერთო დიდ ტუალეტს, რომლის ზემოთაც, საჰაერო-გასანიავებელი ნახვრეტებიდან, ქლორის კვამლი ბოლავდა თეთრად და, თითქოს გაყინულიაო, ერთ მდგომარეობაში გაშეშებულიყო. ირგვლივ აუტანელი, გულისამრევი სუნი იდგა. პოლკის უფროსი გადარღვეულ ღობეებს მიუახლოვდა. ოფიცრებიც მას მიჰყვნენ და ღობის იქეთ გადაიხედეს, რომლის ახლომახლო, რამდენიმე ასეულ მეტრზე, მიწა ჯარისკაცთა ნასაქმარით იყო მოსვრილი, ირგვლივ კი ათასობით უკანალამოსმული გაბინძურებული ქაღალდი ეყარა, ლენინისა და საბჭოთა წითელი დროშის გამოსახულებით. პოლკოვნიკი გაშრა, კისრის ძარღვები დასკდომამდე დაებერა, უცებ კვლავ

რაღაც გინების მსგავსი დაიყვირა გაურკვევლად და არაადამიანურად ღრიალი დაიწყო, თან ტუალეტის კარები გამოხსნა, ოფიცრები პანღურით შეყარა შიგ და კარი მიუხურა.

ტუალეტში არაფერი არ ჩანდა. იმდენი ფხვნილი იყო შიგნით დაყრილი, რომ ქლორი ბოლავდა და თეთრ ნისლად იყო სივრცეში ჩამდგარი. ბოლი ოფიცრებს თვალებს უწვავდა და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, გარედან კი კვლავ პოლკოვნიკის გაურკვეველი ღრიალი მოისმოდა. ოფიცრებს შიგნით, ტუალეტში, გადაადგილება უჭირდათ, თითქოსდა იატაკს ეწებებოდნენ. ორნი წაიქცნენ კიდეც, ფეხი ისე დაუსრიალდათ. ქლორიან ნისლს თვალი ოდნავ რომ მიეჩვია, მათ შეამჩნიეს, რომ ყველანი ტერფებამდე იდგნენ ნასაქმარ ბინძურ წუნწუხში. ოფიცრებს ზიზღისგან გულისრევა და ხველება აუტყდათ. ამ ხმაურზე ტუალეტში, ზემოთ, ქლორიან ბურუსში ჰაერში რაღაც დიდი ნაცრისფერი მოჩვენება შეინძრა. რამდენიმე ახალბედა ოფიცერს ამის დანახვაზე შიშისაგან გააჟრჟოლა. შეცბუნებულმა შტაბის უფროსმა იარაღისკენ წაიღო ხელი და განწირული ხმით დაიყვირა: „ვინ არის აქ! ხელები მაღლა! გესვრი, იცოდე!“ მაღლა ჰაერში გამოკიდებული მოლანდება ოდნავ შეირხა და დიდი, ფართო მაჯები ჰაერში ფრთებივით გაშალა, რის შედეგადაც ტუალეტის საჰაერო ხვრელის ნახვრეტები დაიფარა და გარშემო სიბნელემ დაისადგურა. რამდენიმე შეშინებული ოფიცერი ყვირილით კარებს ეძგერა და ტუალეტიდან გარეთ გამოვარდა. შტაბის უფროსმა ბუდიდან ამოღებული პისტოლეტი გადატენა და კვლავ დაიყვირა: „არ გაინძრე, გესვრი!”

პოლკის უფროსი გაკვირვებული შესცქეროდა, როგორ გამორბოდნენ ტუალეტიდან ყვირილით შეშინებული და წუნწუხში ამოსვრილი ოფიცრები. შტაბის უფროსის მუქარაც გაიგონა. მან შეწყვიტა ღრიალი, ტუალეტის გახსნილ კარში ფრთხილად, ცალი თვალით შეიჭვრიტა და დაინახა, ქლორის ნისლში ჰაერში გამოკიდებული ლანდი ნელ-ნელა მიწაზე როგორ დაეშვა და გაიგონა, ამ უცნაურმა მოჩვენებამ ყველას გასაკვირად, არაბუნებრივი, მოგუდული, ბოხი და ძლიერი ხმით, რუსულად, მაგრამ რატომღაც თბილისური (ნახალოვკური ბლატნოი) აქცენტით მოულოდნელად როგორ წარმოთქვა: „არ მესროლოთ, ჯიოევი ვარ, მეორე ბატალიონიდან“.

ტუალეტიდან გამოვიდა ჯარისკაცი ჯიოევი, რომელსაც უკან პისტოლეტმომარჯვებული შტაბის უფროსი მიჰყვებოდა. ჯიოევს რეზინის ნაცრისფერი, გრძელი ლაბადა ჰქონდა მოსხმული, ფეხზეც რეზინის ჩექმები ამოეცვა, თავზე კი რეზინის აირწინაღი ეკეთა, ჟანგბადის ბალონით. აირწინაღიდან მოისმოდა მისი ბუზღუნის უკმაყოფილო ხმა: „სრატ ნე დადუტ, პო ჩელოვეჩესკი“ (ჯარისკაცი ჯიოევი ტუალეტში წასულა მოსასაქმებლად და ქლორისაგან თავის დასაცავად აირწინაღის მთელი კომპლექტი გადაუცვია, შარვლის გარდა. რეზინის გრძელი ლაბადის კალთები კი წუნწუხში რომ არ გაესვარა, თითქმის ერთი მეტრი სიმაღლის გამყოფ ნახევარკედელზე ზევიდან შემომჯდარიყო და მაღლიდან ისაქმებოდა).

ტუალეტიდან გამოსულმა შტაბის უფროსმა იყვირა: „სნიმატ პროტივოგაზ!“, აგვიხსენი, რას ნიშნავსო ეს და თან იარაღი შეინახა.

ჯიოევმა მოიხსნა აირწინაღი, მოჭუტა ცალი თვალი და ჩაბოლებულმა წარმოთქვა: „ტრენიროვკუ პროხოდილ“, ატომური ომის შემთხვევაშიო. შემდეგ აირწინაღი მხარზე გადაიკიდა და ბატალიონისკენ ნელ-ნელა წალასლასდა.

ყველა გაკვირვებული და განცვიფრებული იყო. არ იცოდნენ, რა ეთქვათ. მხოლოდ პოლკის უფროსის გაოცებული ხმა გაისმა: „ნუ ი კონტინგენტ! ჩემ გლუბჟე, ტემ ხუჟე!“

ტუალეტის მოპირდაპირე მხარეს, შუა ეზოში, 10 მეტრი სიგრძის დახვრეტილი მილი იყო დადგმული 1 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც 24 საათის განმავლობაში წყალი მიწაზე იღვრებოდა. ეს მილი იყო მთელი პოლკის ჯარისკაცთა პირსაბანი. ოფიცრებმა წუნწუხიანი ჩექმები წყლით გაირეცხეს და სირბილით დაეწივნენ პოლკის უფროსს, რომელიც პოლკის

სასადილოსკენ მიდიოდა. სასადილო დაკეტილი დახვდათ. ბევრი აბრახუნეს ოფიცრებმა კარ-ფანჯრებზე, მაგრამ მორიგეები და მზარეულები არსად ჩანდნენ. მათ ფანჯრიდან პოლკის ხელმძღვანელობა რომ დაინახეს, შეშინდნენ და დაიმალნენ.

გაბრაზებული პოლკოვნიკი პოლკის კულტურის სახლისკენ გაემართა, სადაც განთავსებული იყო კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა, რამდენიმე ოფიციალური კაბინეტი და სპეციალური სათავსოები. ბიბლიოთეკაში შესვლისას ოფიცრებს იქ ზურიკო დახვდათ. პოლკის უფროსმა შეხედა მას და ყვირილით იკითხა:

– ვინ არის ეს ჯარისკაცი და რატომ მეცადინოებებზე არ არის?

18 წლის ახალგზედა ჯარისკაცებისგან განსხვავებით, 25 წლის ზურიკო უმნიშვნელო ოფიცერთა უაზრო ხუმტურებს არ ემორჩილებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო პოლკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ჩინით კაპიტანი, რომელსაც ზურიკო სძულდა. პარტორგი კაპიტანი პოლკის უფროსს მორიდებით მიუახლოვდა და დაბალ ხმაზე გველივით წაისისინა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, ეს ჯარისკაცი ქართველების აიათოლა ჰომეინია, მათი იდეური ბელადია.

– მერე აქ რა უნდა? – იღრიალა ისევ პოლკის მეთაურმა.

– წიგნი გააქვს წასაკითხად, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, – ძლივს წამოიკნავლა საცოდავად შეშინებულმა ბიბლიოთეკარმა.

ისევ პარტორგის გველივით სისინის ხმა გაისმა:

– ქართველებმა რუსულად კითხვა კი არა, ლაპარაკიც კი არ იციან. სპეციალურად სქელი წიგნი აურჩევია, ალბათ ტუალეტისთვის, დიდხანს რომ ეყოს. ლენინურ ოთახებში რაც ჟურნალები იყო, ისინი სულ (სარტირში) დახარჯეს და ახლა გადავიდნენ, ყველაზე ძვირფასი რაც გაგვაჩნია! ლევ ტოლსტოიზე!

ყველა ოფიცერი ზიზღითა და სიძულვილით, როგორც სამშობლოს მტერს, ისე შეჰყურებდა ზურიკოს. პოლკის უფროსმა კვლავ იყვირა, ხუთი დღე დააპატიმრეთ, თუ ეს სიმართლეაო. შემდეგ ზურიკოს მიუტრიალდა და დაუღრიალა, წაიკითხეო.

ზურიკომ გადაშალა წიგნი და სპეციალურად, დახვეწილი მოსკოვური აქცენტით დაიწყო რუსული ტექსტის კითხვა, რომელიც რამდენიმე ფრაზის შემდეგ იცვლებოდა და ფრანგულ ენაზე გადადიოდა. მან მშვიდად გააგრძელა კითხვა ფრანგულად. სასაცილო სიტუაცია იდგა. ღრმა პროვინციებში დაბადებულ-აღზრდილი ოფიცრები პირდაფჩენილები და თვალებგაფარ-თოებულები უსმენდნენ ზურიკოს გამართულ ფრანგულს.

პოლკოვნიკი სწრაფად შეტრიალდა და ბიბლიოთეკის გასასვლელისკენ გაემართა, ოფიცრებიც უხმოდ მიჰყვნენ. უცებ პოლკოვნიკმა თავჩაქინდრულ პარტორგს გადახედა და დაცინვით მიაძახა:

– აიათოლა ჰომეინი, ხომ?! იდიოტო! შენნაირები სტალინზეც ასე იძახდნენ, გაუნათლებელი იყო და გერმანიას ომი შემთხვევით მოუგოო! ორი ქართველი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვლადივოსტოკამდე მოგვიწევდა სირბილი! – პოლკის უფროსის გვარი იყო ჟუკოვი და დიდ მარშალ გიორგი ჟუკოვს შორეულ ნათესავად ერგებოდა.

საბჭოთა წითელ არმიას რთული ეპოქა დაუდგა. საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, ეკონომიკურად და მორალურად კოლაფსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სულს ღაფავდა. უამრავმა და უაზრო ხარჯებმა ქვეყანა დანგრევის პირას მიიყვანა. იმ ეპოქაში ნახევარ ევროპაში საბჭოთა ჯარები იდგა; საბჭოთა კავშირი ავღანეთში ომს აწარმოებდა; კუბის, ვიეტნამის, კამპუჩიისა და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის გაწითლებაში საბჭოთა კავშირი იყო ჩარეული; კოსმოსური ომების პროგრამებით ამერიკასთან შეჯიბრებამ კი საერთოდ მუხლებზე

დააჩოქა ქვეყნის ეკონომიკა. დადგა სრული კრახის დრო. საბჭოთა კავშირი გაკოტრდა. ოქროსა და ვალუტის მარაგი დამთავრდა. საბჭოთა ფული გაუფასურდა.

საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი, მიხეილ გორბაჩოვი, ფულის სათხოვნელად ხელგაწვდილი დასავლეთ ევროპასა და ამერიკას მიადგა. გორბაჩოვს პირობები წაუყენეს. მას სესხად ფულს მისცემდნენ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი ევროპიდან და ავღანეთიდან ჯარებს გაიყვანდა, გერმანიის გაერთიანებას კი ხელს არ შეუშლიდა. ამასთან, თუ ეს ყველაფერი შესრულდებოდა, ფულის მიცემასთან ერთად, პირადად გორბაჩოვს საჩუქრად ნობელის მშვიდობის პრემიასა და მსოფლიო ისტორიაში სახელის უკვდავყოფას შეჰპირდნენ.

ყოველივე ეს გარდაუვალი პროცესი იყო და ადრე თუ გვიან, ბუნებრივად, თავისთავად მაინც მოხდებოდა. არც ერთ იმპერიას არ უარსებია მუდმივად და საბჭოთა იმპერიაც დაინგრეოდა. გორბაჩოვმა იცოდა, რომ ეს პროცესი – სულერთია, მისი მონაწილეობით თუ მის გარეშე, – აუცილებლად გაგრძელდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. მან აირჩია ამ ეპოქალური ისტორიული მოვლენების მონაწილე გამხდარიყო, ამიტომ დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მიერ წამოყენებულ პირობებს.

ხალხის დასანახავად, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ლიდერებთან მრავალგზის შეხვედრებისას, გორბაჩოვი ხელს აწერდა სტრატეგიული შეიარაღების კომპლექსების განიარაღების ხელშეკრულებებს, რომლებიც რეალურად ფარატინა ქაღალდები იყო, რადგან ამ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს არავინ ასრულებდა.

დაიწყო გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა. მაღალი რანგის ოფიცრებს დიდ ქალაქებში ანაწილებდნენ, დაბალი რანგის ოფიცრებს კი პროვინციებში აგზავნიდნენ.

ჯულფის პოლკიდან თანდათანობით თითქმის ყველა ოფიცერი სხვა პოლკებში გადააგზავნეს და მათ ადგილებზე გერმანიიდან გამოგზავნილი ოფიცრები დაინიშნეს. პოლკის ახალი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ამბიციურები იყვნენ, უკმაყოფილობას გამოხატავდნენ, დასუფთავებული და კულტურული ევროპის შემდეგ აზერბაიჯანის ავტონომიური ოლქის პატარა, ჭუჭყიან ჯულფაში რომ მოხვდნენ, და ამაში ისინი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარედ შევარდნაძეს ადანაშაულებდნენ.

ასე ფიქრობდა მთელი საბჭოთა ოფიცრობა. ისინი იმდენად უტვინოები იყვნენ, რომ ბრმად სჯეროდათ, რაც ზევიდან უთხრეს, ქართველმა მინისტრმა შევარდნაძემ მოაწერა ხელი ევროპიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას და ის არის ყველაფერში დამნაშავეო. ამიტომაც საბჭოთა ოფიცრებმა კიდევ უფრო შეიძულეს ქართველები. არადა, ვინ რას ეკითხებოდა შევარდნაძეს, ის მხოლოდ გორბაჩოვის ყურმოჭრილი მონა იყო, საკუთარი ინიციატივის უნარი არ გააჩნდა და არც არაფერი შეეძლო; გორბაჩოვი რასაც უბრძანებდა, იმას აწერდა ხელს.

XX

როსებ კავკასიძემ თავის ციხეში დიდი პატივით მიიღო და დააბინავა მთავარი ინგვარი და მისი ძმები. ერთობ კმაყოფილი იყო როსები, რადგან მეფე ბაგრატი ნასიამოვნები დარჩა კავკასიძეთა ციხე-სასახლეში სტუმრობით; მის ქალიშვილს, ელენეს კი, მეფური საჩუქრები უბოძა. სამთავისის ეკლესიაც დიდად შეუქო მეფემ ციხისთავს და უცხოელი კეთილშობილი მთავრების მასპინძლობაც მას დაავალა. ყველაზე მეტად კი როსებს თავისი ქალიშვილის, ელენეს გადარჩენა ახარებდა. კიდევ კარგი, რომ დროულად იმარჯვა უცხოელმა რაინდმა და

მეფის ნაჩუქარი ცხენი ხატაულა ქარაფში არ გადაეშვაო, – ეუბნებოდა სახლში დაბრუნებული როსები თავისი ოჯახის წევრებს.

ციხის დარბაზში დიდებული სუფრა გაუწყვეს ძვირფას სტუმრებს. კარის მღვდლისა და ელენეს დახმარებით როსები ბერძნულ ენაზე ახერხებდა უცხოელებთან ურთიერთობას. მან ინგვარს და მის ძმებს საჩუქრად უბოძა მოსავადებული ქართული ხანჯლები და მოვერცხ-ლილი ჯიხვის ყანწები.

სუფრასთან როსებ კავკასიძის მეუღლე ნანა და სამი უფროსი ვაჟიც ისხდნენ, აგრეთვე, მღვდელი და მეციხოვნეთა დაცვის უფროსი. ყველამ შეამჩნია, რომ ინგვარის უმცროს ძმას, მაგნუსსა და ელენეს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბებულიყო. ინგვარსა და მის მეორე ძმას, ბჯორნს, ღირსეულად და თავშეკავებულად ეჭირათ თავი. მაგნუსი და ელენე სუფრასთან ერთმანეთის მოპირდაპირედ ისხდნენ. ისინი საუბრობდნენ ერთმანეთთან, ხუმრობდნენ. ლოყებაწითლებული ელენე პერიოდულად მხიარულად გადაიკისკისებდა ხოლმე და მაგნუსს თავის გადამრჩენელად მოიხსენიებდა. მაგნუსმა ელენეს ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ყელსაბამი აჩუქა.

მოსვენებამდე როსებმა სტუმრებს აუწყა, რომ მეორე დღეს, დილით, საუზმის შემდეგ, ახლო სანახებში ყველას გარეულ ფრინველსა და შველზე სანადიროდ იწვევდა.

ძილის წინ ნანამ უთხრა მეუღლეს:

– როსებ, თუ შეატყვე, ჩვენი ქალიშვილი და უცხოელი სტუმარი როგორ შესციცინებდნენ თვალებში ერთმანეთს?

– რა თქმა უნდა, შევამჩნიე. უფრო მეტიც, ელენესადმი ინტერესი, მართალია, თავშეკავებულად, მაგრამ მაინც საგრძნობლად, გიორგი უფლისწულსაც შეემჩნა, რომელიც ელენეზე ერთი წლით უფროსია. მამის გულს არაფერი გამოეპარება.

– ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, როსებ.

– მართალი ხარ ნანა, მართალი.

* * * *

გამთენიისას როსებმა ციხის მაღალი კოშკიდან ცას გახედა. დილის მსუბუქი სუსხი იდგა, მაგრამ ცა უღრუბლო იყო და სანადიროდ ამინდს კარგი პირი უჩანდა. არემარეს ახლად დამგარი გაზაფხულის სურნელი და დანამული მიწის ოხშივარი ასდიოდა. ტოროლა ახლად ამოწვერილ ცეცხლისფერ მზეს ესალმებოდა გალობით. მაღალი მთის წვერზე შემდგარი იდლეთის ციხიდან შორს, ჰორზონტზე, ხელისგულივით მოჩანდა კავთისხევის მახლობელი ტყის სანახები, სადაც სანადიროდ აპირებდნენ წასვლას. მდინარეების – გავაზურისწყლისა და კავთურას თავშესაყარ ადგილას ნისლი თეთრი ნაბადივით იყო გაშლილი ტყის თავზე. სწორედ იქ, იმ ადგილას უყვარდათ მთიდან ჩასვლა ირმებსა და შვლებს, გაზაფხულის ქორფა ბალახის მოსაწიწკნად.

როსებმა ადრიანად გააღვიძა ყველა. ისაუზმეს და ნადირობის სამზადისს შეუდგნენ. საჩიხესთან, სადაც საკმაოდ მრავლად ჰყავდათ ხაფანგებით დაჭერილი ტყის ცხოველ-ფრინველნი, როსებს სანადირო ოთახი ჰქონდა გაწყობილი. იქვე, გვერდით, მონადირე ძაღლებიც ჰყავდათ.

როსებმა და მისმა ვაჟებმა – დემეტრემ, არჩილმა და ზაზამ, ძვირფას სტუმრებთან ერთად ნადირობისთვის განკუთვნილი მოკლე შუბები და მშვილდ-ისრები აირჩიეს სანადირო ოთახში, მარეკებმა კი დაფდაფ-ბუკი გაინაწილეს.

გადაწყდა, რომ სამ უცხოელ ძმას გამყოლებად როსების სამი ვაჟი ეყოლებოდა, თავად როსები კი მეციხოვნეთა რაზმის მეთაურთან ერთად ინადირებდა. მარეკები ნაადრევად

გაუშვეს. მათ უკანა მხრიდან უნდა შემოევლოთ ტყისთვის, რომ ნადირი გამოედევნათ ტყის სიღრმიდან.

მონადირეებს მოღიმარი ელენე მიუახლოვდა. მაგნუსმა თბილად გაუღიმა მას და სანადიროდ წასვლა შესთავაზა. ელენე სიხარულით დაეთანხმა მაგნუსს და როსებს მიმართა:

– მამა, მეც წამოვალ სანადიროდ და ჩემს გადამრჩენელ მაგნუსთან ერთად ვიქნები. მეფის ნაჩუქარი ცხენი, ხატაულა, მას უკვე მიეჩვია და ადვილად ემორჩილებოდა.

ელენეს ძმებმა გაიღიმეს, როსებმა კი სიცილით წარმოთქვა:

– აბა, დღეს ჩვენი სტუმარი მაგნუსი ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნებულა!

– რატომ ხელცარიელი? – იკითხა მაგნუსმა.

– თვითონ ნახავ, – სიცილით მიუგო როსებმა, გაღიმებულმა ელენემ კი ყველას თვალი მოარიდა და უცოდველი სახით ტყისკენ დაიწყო ყურება.

როსებმა ციხის მეთვალყურეს დაუბარა, თუ მეფის მაცნე გამოჩნდეს, ციხის მაღალ კოშკზე ცეცხლი დაანთეო, შემდეგ გასვლის ნიშანი მისცა. მონადირეები შესხდნენ ცხენებზე, ციხიდან გავიდნენ და ნელი სვლით გეზი ტყისკენ აიღეს. ნაბახუსევი როსები კარგ ხასიათზე იყო და თავის ვაჟებსა და მეციხოვნეთა რაზმის მეთაურ სიმონს ხუმრობით ებაასებოდა. მთავარი ინგვარი და მისი ძმები გვერდით მისდევდნენ როსებს. ელენე და მაგნუსი ერთმანეთის გვერდიგვერდ ნელი სვლით მისეირნობდნენ თავიანთი ცხენებით. მათ როსების ხუმრობა არც ესმოდათ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ბედნიერები იყვნენ ერთად ყოფნით.

ტყესთან მიახლოებისას მონადირეები, შეთანხმებისამებრ, ორ-ორად დაიყვნენ. როსებმა ნიშანი მისცა სიმონს და მან მთელი ძალით სამჯერ ჩაჰბერა სანადირო ბუკს. ტყის მეორე მხარეს მყოფმა მარეკებმა ბუკის ხმის გაგონებაზე მონადირე ძაღლები აუშვეს, ზანზალაკებიან დაფდაფებს ჯოხები შემოჰკრეს და ბუკს ჩაჰბერეს. შემდეგ მარეკები სიგრძეზე გაიშალნენ და ტყეში ნელი სვლით შევიდნენ. ხმაურით დამფრთხალმა ნადირიმა ტყის სიღრმიდან წინ, მონადირეების მხარეს გაიწია. ტყეში ექოსავით გაისმა ცხოველთა შლიგინისა და აფორიაქებულ ფრინველთა ხმაური.

მონადირეები დიდი სიფრთხილით, გაშლილად შევიდნენ ტყეში. ელენე გვერდით მისდევდა მაგნუსსა და მის ძმას. ცოტა ხანში ტყეში გამხმარი ბუჩქების ტოტების ლიწინისა და ტკაცუნის ხმა გაისმა. ღვიანებსა და ლაშქარებში დამფრთხალი გარეული ნეზვი ღორი და შეშინებული გოჭები ჭყვიტინით გარბოდნენ მონადირეების მხარეს. მაგნუსმა წინ წაიწია, საიდანაც ხმაური გაისმა, და მშვილდი მოიმარჯვა. ხმაური კიდევ უფრო რომ მიუახლოვდა მონადირეებს, მოულოდნელად ელენეს ხველა აუტყდა. ამ ხმის გაგონებაზე გოჭების ჭყვიტინი შეწყდა, გარეული ღორების კოლტმა მარცხნივ გადაუხვია და ჩალიანებში შლიგინით გაუჩინარდა.

მაგნუსმა შეხედა ელენეს, რომელმაც ნაზად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა, უდანაშაულობისა და უცოდველობის ნიშნად. მისი ძმა, ზაზაც, ოდნავ იღიმებოდა. მაგნუსმა შეამჩნია, რომ სანადიროდ გასულ ზაზას მშვილდი მხრიდან არც კი მოეხსნა, მხოლოდ მოკლე სანადირო შუბი ეჭირა ხელში და ისიც ისე, უბრალოდ, ნადირობის ყოველგვარი ჟინის გარეშე. ცოტაოდენი ხნის შემდეგ მოშორებით შველი გამოჩნდა, რომელიც დიდი სიფრთხილით ბუჩქნარში მიმალვას ცდილობდა. მაგნუსმა ისევ შემართა მშვილდი. ელენემ ხის ხმელ ტოტს წვერი მოატეხა, ტკაცუნზე შველი დაფრთხა და გაიქცა.

მაგნუსმა გაკვირვებით შეხედა ელენეს. თავის ოდნავი გაქნევითა და თვალების მზერით თითქოს ეკითხებოდა, რას აკეთებო? ელენემ კვლავ მიამიტად, უცოდველი სახით გაიღიმა და ბავშვურად აიჩეჩა მხრები. ზაზა ისევ იღიმებოდა.

მაგნუსი უცებ მიხვდა როსების ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობას, თუ ელენე სანადიროდ გამოგყვება, ხელცარიელი დაბრუნდებიო. მაგნუსს გაეცინა, თავი გააქნია და ელენეს ჰკითხა:

– გიყვარს ცხოველები?

– კი, ძალიან.

– გეცოდება?

– კი, მიყვარს და მეცოდება! – მორცხვად უპასუხა ელენემ და თან გაუღიმა ვაჟს.

– კარგი, მაშინ დღეს მეც დავინდობ ცხოველებს და აღარ ვინადირებ. – სიცილით თქვა მაგნუსმა, სანადირო მშვილდი მხარზე გაიდო და ელენეს მიუბრუნდა, – ახლა რა ვაკეთოთ, სანამ ნადირობა დასრულდება?

– მომყევით! – მხიარულად წამოიძახა გოგონამ და მეფე ბაგრატის ნაჩუქარი ცხენი ტყის სიღრმისაკენ გააჭენა. მას მაგნუსი და ზაზა დაედევნნენ. მალე ისინი მიადგნენ ახლად ამწვანებულ ხეობას, სადაც ორი მდინარის, გავაზურისწყლისა და კავთურას ხეობები ერთიანდებოდა ერთ დიდ ხეობად. როსების დათქმისამებრ, სწორედ ამ ადგილას უნდა შეხვედროდნენ ბოლოს ყველანი ერთმანეთს.

ელენემ ცხენი შეაჩერა, ჩამოქვეითდა და ხატაულა წყლის დასალევად მდინარესთან მიუშვა. მაგნუსმა და ზაზამაც იგივე გააკეთეს, ცხენები დაასვენეს და ელენესთან ერთად მდინარის პირას ჩამოსხდნენ.

მაღლა მთებში თოვლი დნებოდა, მდინარეებში წყალი მომატებული იყო. შეერთების ადგილას კამკამა წყალი თეთრად ქაფდებოდა, შემდეგ კი გაორმაგებული სიმძლავრითა და ხმაურით დიდ ხეობაში ეშვებოდა. დროდადრო მდინარის ზვირთებში ვერცხლისფრად გაიელვებდა ხოლმე კალმახი. მეორე ნაპირზე რამდენიმე წითელნისკარტა თეთრი წერო ლიფსიტებზე ნადირობდა. მწვანე მოლზე გაზაფხულის პირველი ყვავილებიც ამოწვერილიყო. მდინარის პირას ჩამომჯდარი ელენე ბუნების მშვენიერებით ტკბებოდა. მის გვერდით მაგნუსი იჯდა, ზაზა კი ოდნავ მოშორებით, მდინარის ნაპირთან ჩაცუცქულიყო და ქვების ქვეშ ხელით ცდილობდა თევზის დაჭერას.

– ძალიან ლამაზია, მიყვარს აქაურობა, – თქვა ელენემ და მაგნუსს შეხედა.

– როგორც ეს ორი მდინარე უერთდება ერთმანეთს და ამ სილამაზეს ქმნის, მე და შენც შევერთდებით და ულამაზეს ოჯახს შევქმნით; როგორც ეს ლამაზი გაზაფხულის ყვავილები ამშვენებენ აქაურობას, ჩვენი შვილებიც ისე დაამშვენებენ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას! – თქვა მაგნუსმა და სწრაფად შუბლზე აკოცა თვალებგაბრწყინებულ ელენეს, რომელმაც მხარზე ჩამოადო თავი მაგნუსს, და ოცნებაში წასულმა, ნეტარებით ამოთქვა:

– უფლის შეწევნით, ნეტავ მართლა ასე მოხდეს!

– ასეც მოხდება! ჩვენი დიდი სიყვარული აუცილებლად გაგვაერთიანებს! – წარმოთქვა მაგნუსმა და სათუთად დაადო ელენეს ხელი ხელზე.

ტყეში სიმონის ბუკის ხმა გაისმა, რაც ნადირობის დასრულების მაუწყებელი იყო. მალევე შორიახლოს ხმაურიც გაისმა. მარეკები დათქმულ ადგილს უახლოვდებოდნენ. ცოტა ხანში მონადირეებიც გამოჩნდნენ, მათ მონადირე ძაღლები მიუძღოდნენ წინ, სირბილითა და წკავწკავით. მდინარის ჭალაში მარეკებმა სახელდახელოდ სუფრა გაშალეს. მალე ირგვლივ წკნელებისგან გათლილ შამფურებზე წამოცმული შვლის მწვადისა და შემწვარი კალმახის სურნელი დატრიალდა. მდინარეში ჩაციებული მომცრო ტიკჭორადან წითელი ღვინოც ჩამოასხეს ჯიხვის პატარა ყანწებში.

მონადირეებს ერთი შველი, ორი კურდღელი და რამდენიმე ტყის ფრინველი მოენადირებინათ. ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო. მაგნუსის მონაყოლზე, თუ რატომ ვერ მოინადირა ვერაფერი, ყველამ გულიანად იცინა. მუდამ თავდაჭერილი მთავარი ინგვარი

მეტისმეტად კმაყოფილი ჩანდა, გულით ილხენდა და ლაღობდა. მუდმივად ომებსა და ბრძოლებში ჩაბმული მთავარი იმ დღეს თავის ძმებთან ერთად მხიარულად ატარებდა დროს და ტკბებოდა ხელგაშლილი მასპინძლის სტუმრობით. ინგვარისთვის ყველაფერი უცხო და უჩვეულო იყო ამ ახალ, ზღაპრულ სამყაროში, სადაც მას ყველაფერი ძალიან მოსწონდა. ელენე და მაგნუსი ვერ მალავდნენ სიყვარულსა და ერთმანეთთან სიახლოვით გამოწვეულ ბედნიერებას.

სანამ მოსაღამოვდებოდა, როსებმა სუფრის აშლა დაავალა მარეკებს და კარგ ხასიათზე დამდგარი მონადირეები ნელი სვლით ციხისკენ დაიძრნენ.

XXI

ინდრა წარმატებით აგრძელებდა მუშაობას სამედიცინო ინსტიტუტის საავადმყოფოში, პარალელურად ცურვას ასწავლიდა ბავშვებს. იგი კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა, უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მრავალ ახალგაზრდა მამაკაცს სურდა მისი ცოლად მოყვანა. ნათესავები და ახლობლები ცდილობდნენ, მისთვის ვინმე ღირსეული, შესაფერისი ბიჭი გაერიგებინათ. ინდრას ხშირად აკითხავდნენ, სამსახურშიც და სახლშიც. ზოგიერთ შემთხვევაში ყველაფერი თითქოსდა შეუღლებამდე და ქორწინებამდე უნდა მისულიყო, მაგრამ ინდრამ ვერავისზე გააკეთა არჩევანი, მისი გული ვერავინ დაიპყრო. ის სიყვარულს ელოდებოდა, ნამდვილ, დიდ სიყვარულს, რომელსაც ყველა ადამიანი ნატრობს.

****

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს დიდძალი ჯარი გაეგზავნა საქართველოში მეფე ბაგრატის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერატორმა ჯარს გააყოლა ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე, რომელსაც ლიპარიტ ერისთავის დახმარებით საქართველოს სამეფო გვირგვინი უნდა წაერთმია ბაგრატისთვის. შემდეგ კი კონსტანტინე სხვა, ახალი ხრიკების საშუალებით დემეტრესაც მოიშორებდა, ლიპარიტ ერისთავს სამადლოდ რაიმე ტიტულს უბოძებდა და თვითონ კი საქართველოს დაეპატრონებოდა.

მეფე ბაგრატმა, უსაფრთხოების მიზნით, დედოფალი ქუთაისის სამეფო სასახლიდან ახლად აღდგენილ და კარგად გამაგრებულ ნაჭარმაგევის სასახლეში გადაიყვანა, რომელიც ქუთაისთან ახლოს მდებარეობდა, და ბიზანტიელების წინააღმდეგ საბრძოლო სამზადის შეუდგა.

XXII

ქალაქ ჯულფის სამხედრო პოლკში დიდი ცვლილებები მოხდა. გერმანიიდან ჩამოსული საბჭოთა სამხედრო ოფიცრები შეეცადნენ პოლკში ისეთივე მკაცრი რეჟიმი დაემყარებინათ, როგორიც გერმანიაში განთავსებულ საბჭოთა ჯარებში იყო. ასეთ მკაცრ დისციპლინას ჯარისკაცები ვერ ეგუებოდნენ და არც ხელმძღვანელობის უაზრო ბრძანებებს ემორჩილებოდ-ნენ. ამიტომ ოფიცრებმა სამაგალითო დასჯები დაიწყეს.

პოლკის სამადგილიანი საპატიმრო ყარაულის განთავსების ადგილას მდებარეობდა. თუ ვინმე დაუმორჩილებელი ჯარისკაცი დაპატიმრებული არ იყო სამი ან ოთხი დღით, იმ სამ საწოლზე ყარაულს ეძინა. დიდი სიცივეების დროს შიგ თბილოდა, პაპანაქება სიცხეების დროს კი – გრილოდა. ამიტომ, როდესაც დიდი სიცივისა თუ სიცხის დროს სამხედრო სასწავლო პოლიგონზე ორკვირიანი გასვლითი სასწავლო მეცადინეობა-ვარჯიშები უნდა ჩატარებულიყო, ზოგიერთი მოხერხებული ჯარისკაცი ცდილობდა სპეციალურად რაიმე დაეშავებინა, რომ რამდენიმე დღით პოლკის საპატიმროში მოხვედრილიყო და ამგვარად გადარჩენილიყო ყოველდღიურად ოცკილოგრამიანი ტვირთით 10-კილომეტრიან დისტანციაზე სირბილს სამხედრო პოლიგონზე.

პოლკის საპატიმროს ჯარისკაცები ხუმრობით სანატორიუმს ეძახდნენ. ზურიკომაც გამოიყენა ეს ხერხი, როდესაც საჭირო იყო, ოღონდ ამისთვის წინასწარ ორკესტრის დირიჟორს მოელაპარაკა. პოლკის წვრთნების პერიოდში დირიჟორი შვებულებაში მიდიოდა, ორკესტრი კი ან ბატალიონებში უნდა გადანაწილებულიყო პოლიგონზე წასასვლელად, ან კიდევ სამორიგეოდ უნდა გასულიყო. ზურიკოს ბიბლიოთეკიდან გაჰქონდა შექსპირის, ბალზაკის ან დოსტოევსკის ტომები, მიდიოდა საპატიმროში, საწოლზე წამოწვებოდა, წიგნებს კითხულობდა და დრო შეუმჩნევლად გადიოდა. საპატიმროს კარს არ კეტავდნენ. წოლით თუ დაიღლებოდა, საკნიდან გადიოდა – ან ტუალეტში გაივლიდა, ან კი ყარაულთან ერთად დაჯდებოდა ტელე-ვიზორის საყურებლად. მათთან ერთად ჭამდა საჭმელსაც, რომელიც ყარაულისთვის მოჰქონდათ სასადილოდან. ყარაულებად კი სულ მისი თანაპოლკელი ნაცნობ-მეგობრები იყვნენ.

სულ სხვა, ამისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობა იყო ქალაქ ნახჭევანის მთავარი კომენდატურის სამხედრო საპატიმროში, რომლის კომენდანტი იყო მაიორი კოტელკინი. ეს ერთი რეგვენი კაცი იყო, რომელიც განსაკურებული სიმკაცრით ეპყრობოდა დროებით დაპატიმრებულ ჯარისკაცებს. დაუმორჩილებლებს კი ერთკვირიან სასჯელებს რამდენიმეთვიან სასჯელებად გადაუქცევდა ხოლმე; კომენდატურის ზემდეგები უმოწყალოდ ეპყრობოდნენ და სცემდნენ დაპატიმრებულ ჯარისკაცებს. კოტელკინი განსაკუთრებით ვერ იტანდა ქართველ და ჩეჩენ ჯარისკაცებს, რომლებიც რთულად დასამორჩილებლები იყვნენ.

ჯულფის პოლკში, დისციპლინის გამკაცრებასთან ერთად, ახალი ოფიცრები ძალიან ბევრ დაუმორჩილებელ ქართველ და ჩეჩენ ჯარისკაცს პირდაპირ ნახჭევანის სამხედრო კომენ-დატურაში აგზავნიდნენ. ამ ამბით ძალიან გახარებული იყო მაიორი კოტელკინი, რადგან ამდენი პატიმარი ადრე მას არასოდეს ჰყოლია, მით უფრო, კავკასიელები. კომენდანტი კოტელკინი დაერია პატიმრებს და დაიწყო იმ საცოდავი ჯარისკაცების წვალება.

სხვადასხვა უაზრო მიზეზის გამო ზურიკოს პოლკის შტაბის ახალი უფროსი გადაეკიდა, ამიტომ ზურიკო თავს არიდებდა მას და ყველანაირად ცდილობდა, არსად გადაჰყროდა. ზურიკოს პერიოდულად უწევდა ყოფნა ქალაქ ნახჭევანში, ქალაქ კივრაგში, სამხედრო ორკესტრების წვრთნასა და რეპეტიციებზე, როდესაც დივიზია მთავარი დათვალიერების-თვის ემზადებოდა; დროდადრო ვითომ ავადმყოფობდა კიდეც, ხან კი ორკესტრთან ერთად სამხედრო ოლქის ოფიცრების ან ჯარისკაცების დაკრძალვის ცერემონიებში მონაწილეობდა.

ამგვარად, ქალაქ ჯულფის სამხედრო პოლკში ბოლო ხანებში ზურიკო ძალზე იშვიათად ჩადიოდა, მაგრამ, მიუხედავად მისი დიდი სიფრთხილისა, შეტაკება მასა და შტაბის უფროსს შორის მაინც მოხდა და იგი პირდაპირ ნახჭევანის კომენდატურის საპატიმროში გაგზავნეს კოტელკინთან.

საღამოვდებოდა, როდესაც ზურიკო კომენდატურაში შეიყვანეს. კომენდანტი კოტელკინი იმჟამად იქ არ იმყოფებოდა და მორიგე ოფიცერმა ის ერთ-ერთ საპატიმრო ოთახში შეიყვანა, სადაც დაახლოებით ოცამდე პატიმარი იქნებოდა თავშეყრილი.

საპატიმროს რკინის კარები რომ მიიხურა, ორსართულიან ნარებზე წამოწოლილმა პატიმრებმა თავები წამოსწიეს ახალი პატიმრის დასანახავად.

– ვახ, ზურაა?

– შენც აქ მოგიყვნეს, ძმაო?

– ზურა მოსულა, ბიჭებო! – გაისმა საპატიმრო ოთახში ქართველი ჯარისკაცების ხმები, ყველა წამოიშალა და ზურიკოს შემოეხვია. ზურიკომ იცნო ჯულფის, ნახჭევანისა და კივრაგის პოლკის ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც ერთკვირიანი პატიმრობის ვადით შეეყვანათ კომენდატურაში და ორი თვის გასვლის შემდეგ კვლავ საპატიმრო საკნებში ისხდნენ. ერთი თბილისელი ოქროსუბნელი ბიჭი, ჯონი, და მეორე, პლეხანოველი გია, ოთხ თვეზე მეტი იყო გასული, რაც საკანში იყვნენ. კარგად წვერწამოზრდილი ჯონი გაბრაზებით ამბობდა:

– ვეუბნები ამათ, ხალხი არა ხართ? დროულად არ მიშვებთ და საპარსი და საპონი მაინც მოგვეცით, რომ წვერი მაინც გავიპარსოთ მე და გიამ, თორემ ოთხი თვის გაუპარსავ წვერში იმდენი ტილები დაგვირბიან, გეფიცები, ლამისაა ცოცხლად შეგვჭამონ. ეს პროჭები კი მეუბნებიან, „ნე პოლოჟენო, ნე პო უსტავუო“.

საკანში ჯარისკაცთა სიცილი გაისმა. ზურიკომ სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ჯარისკაცებს ჩამოურიგა და წვერგაბურძგნილ ჯონის და გიას უთხრა:

– მამაჩემისაგან გამიგია, რომ ციმბირის ციხეებში პატიმრებს საპარსი და მაკრატელი თუ არ ჰქონდათ, წვერს ასანთით, ცეცხლით იტრუსავდნენ და ითხელებდნენ. მეორე ხელში კი სველი ტილო ეჭირათ, წვერზე ცეცხლი რომ არ გასჩენოდათ.

საკანში 15 ქართველი, 2 ჩეჩენი, 1 სომეხი და 1 აზერბაიჯანელი ჯარისკაცი იჯდა. სხვა საკნებიც სავსე ყოფილა დაპატიმრებული ქართველებით. ამ ბიჭებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა კომენდატურის გარეთ. ტელევიზორი, რადიო და გაზეთი მათთვის არ არსებობდა. ბევრი ქართველი ჯარისკაცი, მთლად ახალწვეულები, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და კუთხეებიდანაც იყვნენ. მათ არ იცოდნენ, რა იყო თურმე სინამდვილეში საბჭოთა ჯარი და იმედგაცრუებულები, დამწუხრებულები, გაწვალებულები და დაშინებულები, ფრთებმოტეხილ შევარდნებს წააგავდნენ, რომელთაც ცხოვრების ინტერესი უკვე დაკარგული ჰქონდათ. ზურიკომ შეამჩნია, რომ კომენდატურაში მორალურად თითქმის გაეტეხათ ეს 18-19 წლის ბიჭები, და მათი გამხნევება დაიწყო:

– საბჭოთა ჯარი ადრეც დიდი არაფერი იყო, მაგრამ ჯარში სამსახური ქართველებისათვის ასეთი რთული და გაუსაძლისი არასოდეს ყოფილა. ამჟამად ევროპიდან რომ საბჭოთა ჯარები გამოდიან და კარგ ევროპულ ცხოვრებას მიჩვეულ საბჭოთა ოფიცრებს ნახჭევანის ოლქის მსგავს გაუბედურებულ სამხედრო პოლკებში ანაწილებენ, სადაც მათთვის და მათი ოჯახებისათვის სიცოცხლე ჩამკვდარია, ამის გამო გაცოფებული არიან ეს იდიოტი ოფიცრები, და, გამწარებულები, ევროპიდან ჯარების გაყვანას ეროვნებით რუს მიხეილ გორბაჩოვს კი არ აბრალებენ, რომელიც ქვეყნის პირველი პირია, არამედ ეროვნებით ქართველ საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს. ამიტომაც სულელი რუსის ოფიცრები, შურისძიების მიზნით, ქართველ ჯარისკაცებს დაერივნენ ჯავრის საყრელად. იმდენი ტვინიც არა აქვთ, რომ გაიაზრონ, ვინ ეკითხება მარტო შევარდნაძეს, რომ შეიარაღებული ძალების საქმეები გადაწყვიტოს ან ევროპიდან ჯარი გაიყვანოს.

სამი დღის წინ ტელევიზიით მოვისმინე საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსის, მარშალ ახრომეევის სპეციალური განცხადება. მას პირდაპირ და აშკარად არ უთქვამს, მაგრამ

გასაგები იყო, რომ საბჭოთა ჯარები მალე ავღანეთიდანაც დაიწყებენ გამოსვლას და იმ ჯარებსაც ხომ სჭირდება ადგილი განსათავსებლად. არადა, ყველა პოლკი შევსებულია. ახალ სამხედრო ნაწილებს საბჭოთა კავშირი ვერ შექმნის, ფული არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ერთი ჯარისკაცის შენახვა დღეში 65 კაპიკი უჯდება. ესე იგი, წარმოიდგინეთ, რა რთულ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება და როგორი გაუბედურებული და გაღატაკებულია საბჭოთა კავშირი, რომ ამერიკასთან და ევროპასთან ასეთ დათმობებზე მიდის.

საბჭოთა არმია ხომ სულ დალპა და გაიხრწნა. ამას თქვენი თვალით ხედავთ, ჯარი მშიერია და სამხედრო ტექნიკა მწყობრიდან გამოსულია, სამხედრო ხელმძღვანელები კი სულელი და ლოთი ოფიცრები არიან.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი სიახლე კი ის არის, რომ კავკასიაში, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები დაიწყო, და სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალში ამ რესპუბლიკებში ეროვნული არმიები შეიქმნას. ასეთ ვითარებაში საბჭოთა ჯარებიდან სხვა რესპუბლიკების ჯარისკაცებს დაითხოვენ, იმიტომ, რომ თქვენ საბჭოთა ჯარებში უკვე ჯაშუშები შეგერქმევათ და აღარ იქნებით საჭირო, მით უმეტეს, ავღანეთიდან გამოსულ არმიებს ადგილები ხომ სჭირდებათ განსათავსებლად.

ეს პროცესები ძალიან სწრაფად ვითარდება. მთელ ქვეყანაში დიდი არეულობები და ცვლილებებია მოსალოდნელი და ოფიცრებმა ეს ძალიან კარგად იციან, ამიტომ უნდა გამაგრდეთ, ცოტა მოითმინოთ და თავს გაუფრთხილდეთ, თორემ ხომ იცით, ბევრი უბრალო ჯარისკაცი ხშირად რა უაზროდ იღუპება, სახელმწიფოს კი სულ ფეხებზე ჰკიდია თქვენი სიცოცხლე, რომელიც დღეში 65 კაპიკი უჯდება.

მე მალევე, შეიძლება ხვალაც კი, ორკესტრის დირიჟორმა მომაკითხოს და აქედან გამიყვანონ, იმიტომ, რომ დივიზიის დათვალიერებები იწყება და სამ გაერთიანებულ ორკესტრში ერთადერთი ბარიტონზე დამკვრელი მე ვარ, ამიტომ ძალიან საჭირო ვარ მათთვის.

თქვენ ვის სჭირდებით, არავის. ამათგან ლმობიერება არაა მოსალოდნელი. თქვენ თავს თქვენვე უნდა მიხედოთ, მით უმეტეს, რომ აქ 80-მდე ქართველი ხართ ერთად. ხვალ დილითვე, როცა სხვა დაპატიმრებულ ქართველებს შეხვდებით, მოუყევით ყველაფერი, რაც მე გითხარით და ერთმანეთი გაამხნევეთ. აქ, კომენდატურაში, თქვენ, ორნი, დავით ნარეშელი და გიორგი ბაქრაძე, რომლებიც უფრო მომზადებული ხართ ამგვარ საქმეებში, სათავეში ჩაუდექით და წამოიწყეთ აშკარა ეროვნული მოძრაობა და ყველა ქართველი თქვენ ირგვლივ გააერთიანეთ; ვითომ დისიდენტები ხართ და საოკუპაციო ჯარში პოლიტიკური პატიმრების სტატუსებით დაიცავით თავი. ნახეთ მერე, რა სწრაფად მოგაშორონ აქაურობას. ამისათვის ეს ოფიცრები მზად არ არიან, დაიბნევიან. მათ არ იციან, ასეთ შემთხვევაში რა უნდა გააკეთონ. ბალტიისპირელი და ჩეჩენი ჯარისკაცებიც აიყოლიეთ.

დილაობით, ყველას რომ საპატიმროს მოედანზე გამოგიყვანენ კომენდანტის წინაშე, იქ უნდა ატეხოთ ყოველდღიურად არეულობები. აზერბაიჯანელ ოფიცრებსა და მორიგეებს ქვეყნის მოღალატეები და აზერბაიჯანის მოღალატეები უძახეთ ყველამ ერთად, რადგან საოკუპაციო ჯარში მსახურობენ. უნდა იძახოთ, რომ კოტელკინი და მისი მსგავსები დღეს თუ ქართველებს ებრძვიან, ხვალ აზერბაიჯანელებსაც დაერევიან.

მთელი ხმით, ყველა ერთად უნდა ყვიროდეთ: „საოკუპაციო საბჭოთა ჯარები გაეთრიეთ კავკასიიდან!“ ისეთი ძალით უნდა ყვიროდეთ, რომ თქვენი ხმა ღობის გარეთ ხალხს ესმოდეს, მით უმეტეს, რომ კომენდატურა ნახჭევანის ცენტრში იმყოფება. იცოდეთ, ძალა ერთობაშია და ასამდე პატიმარმა, ათი მორიგე კი უნდა დაჯაბნოთ.

პერიოდულად საკნის კარის ჭუჭრუტანა იხსნებოდა და მორიგის თვალი პატიმრებს უთვალთვალებდა. შემდეგ დიდი ხმაურითა და ბრახუნით საკნის კარი გაიღო და საკანში კომენდატურაში დაბრუნებული ნასვამი კოტელკინი შემოვარდა ყვირილით, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით. როდესაც დაინახა, რომ ზურიკო საკანის შუაში იდგა, პატიმრებით გარშემორტყმული და ყველანი ყურადღებით უსმენდნენ, კოტელკინს თვალები დაებრიცა და მორიგე ოფიცერს დაუყვირა: ჯულფის პოლკიდან სასწრაფოდ დამირეკეს, ეგ ჯარისკაცი არავითარ შემთხვევაში სხვა ჯარისკაცებთან ერთად არ მოათავსოთ, ძალიან საშიშია და მკაცრად დასაჯეთო.

ზურიკო მაშინვე გაიყვანეს და ორმეტრიან კამერაში მარტო გამოამწყვდიეს, სადაც სკამიც კი არ იდგა, და ბეტონის იატაკზე ქლორიანი წყალი იყო დასხმული. სუნთქვა ჭირდა. ზურიკო კართან ოდნავ ამაღლებულ ადგილას ჩამოჯდა, რკინის კარს ზურგით მიეყრდნო, სამხედრო შინელი თავზე გადაიფარა და დაძინება სცადა.

დილის 8 საათისთვის ზურიკო უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა. კომენდატურის შიდა მოედანზე გამწკრივებული პატიმრები ერთხმად, მთელი ძალით გაჰყვიროდნენ: „საოკუპაციო ჯარები გაეთრიეთ კავკასიიდან!“ კომენდატურის შიდა ეზო პატიმართა შეძახილებისაგან გრგვინავდა და ეს ხმა ექოსავით ედებოდა კვირა დილის ჯერ კიდევ მძინარე ქალაქ ნახჭევანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც კომენდატურის ეზოში კვლავ სიჩუმე დადგა, ზურიკოს კამერის კარი გაიხსნა. კართან გაფითრებული კომენდატი და ორი ოფიცერი იდგა. კომენდატმა ზურიკოს უყვირა:

– რას აკეთებ შენ? ბუნტს მიწყობ აქ? შენ არ იცი, რა მოგელის!

– ვიცი, რაც მომელის და ისიც ვიცი, რაც თქვენ მოგელით. იცოდეთ, რომ თქვენგან გამწარებულ რამდენიმე ჯარისკაცს დაფიცებული აქვს, რომ სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სპეციალურად დაბრუნდებიან ნახჭევანში თქვენს მოსაკლავად.

– რა თქვი? როგორ?

– ქართველებსა და ჩეჩნებს ცუდად იცნობთ, მაიორო! ისინი შურს იძიებენ იმ წამების გამო, რაც თქვენს ხელში გამოიარეს!

თვალებგაფართოებული კომენდანტი რამდენიმე წამი გაშტერებული შეჰყურებდა ზურიკოს და შემდგ გაცეცხლებულმა შეჰყვირა მორიგეებს:

– უჩემოდ ამას საჭმელი არ მისცეთ!

მთელი დღე და ღამე, მშიერ-მწყურვალმა ზურიკომ, კართან მჯდომარემ, ძილ-ღვიძილში გაატარა. დილით კვლავ ქართველთა ენერგიულმა ყვირილმა გამოაღვიძა. კომენდატურის შიდა მოედნიდან ისევ მოისმოდა: „საოკუპაციო ჯარები გაეთრიეთ კავკასიიდან!“

ის დღეც მშიერ-მწყურვალმა გაატარა ზურიკომ. შუაღამის 3 საათისთვის რკინის კარის პატარა ფანჯარა გაიხსნა და მან დაინახა ნახჭევანის პოლკის ქართველი ჯარისკაცის, დავით ღოღობერიძის სახე. ზურა, წყალი მოგიტანე, მოდი დალიეო, – დაბალ ხმაზე წარმოთქვა დათომ და კარის პატარა ფანჯარაში ჯერ ბოთლის თავი შეაძვრინა და ააყირავა, წყალი რომ დაელია ზურიკოს, შემდეგ კი სწრაფად პურის ნაჭრები და რამდენიმე ღერი სიგარეტიც მიაწოდა, თან ჩქარ-ჩქარა ეუბნებოდა:

– დიდი არეულობები დაიწყო, დივიზიაში გაიგეს უკვე და აქაც იყვნენ შემოწმებაზე. კოტელკინს მათთვის უთქვამს, თვეობით პატიმრობაში არიან აქ და მეტი რა ვქნა, ტყვიას ხომ ვერ ვესვრიო. ამბობენ, შეიძლება ქართველები ნელ-ნელა პოლკებში დააბრუნონო. ამ ღამეს მორიგედ ვარ პატრულში და თუ კიდევ რამე გინდა, მითხარი, იქნებ შევძლო და მოგიტანო.

– ყოჩაღ, ბიჭებო! გადაეცი, არ გატყდნენ და სატანკო პოლკში და ნახჭევანის სხვა პოლკებშიც ასეთივე არეულობები წამოიწყონ, ოღონდ ზომიერად, ნუ გადააჭარბებენ. მთავარი აქედან გასვლაა, პოლკებში ეგ მერე თავისითაც მოხდება, როცა უფროსობა კავკასიელების ნდობას დაკარგავს, ქართველებს ტანკებთან და ავტომატებთან აღარ მიუშვებენ.

კიდევ აი, რა: ღამის 4 საათზე მორიგეს ტუალეტში გავყავარ გარეთ, ეზოში, და ეს კარი ღია რჩება. აქ ბეტონზე ქლორია დასხმული და სუნთქვა ჭირს. იქნებ მოახერხოთ და სახანძრო ყუთში რომ ქვიშაა, ვინმეს დააყრევინოთ კამერაში. სახანძრო ყუთი იქვეა, მარჯვნივ, იმ კართან, ეზოში რომ გადის.

ასეც მოხდა. ტუალეტიდან დაბრუნებული ზურიკო კამერაში რომ შევიდა, ბეტონზე საკმაო ქვიშა დახვდა მოყრილი. მესამე დილასაც იგივე განმეორდა, რაც წინა დღეებში. ქართველები არ ტყდებოდნენ, მათი ყვირილისაგან ეზო გრგვინავდა.

სადილის დროს კარი გაიღო და მორიგემ ერთი ნაჭერი შავი პური და ჭიქა წყალი მისცა ზურიკოს. შემდეგი ორი დღე კვლავ არაფერი უჭამია და მერე ისევ – ჭიქა წყალი და შავი პურის ერთი ნაჭერი. მთელი კვირა გავიდა, რაც იგი კომენდატურაში მიიყვანეს და სამხედრო ორკესტრის დირიჟორი ჯერ კიდევ არ ჩანდა, რომ ზურიკო წაეყვანა.

მერვე დღეს, დაღამებისას კარი გაიხსნა. მორიგემ კამერაში ერთი ჯარისკაცი შეაგდო და კარი მიიხურა. ზურიკოს გაუკვირდა. მას სახეზე სამხედრო შინელი ჰქონდა აფარებული და დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ფეხზე მდგომ ჯარისკაცს, აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა. ზურიკომ ფიქრი დაიწყო, მაგრამ ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს; რატომ შეუგზავნა კომენდანტმა კავკასიური გარეგნობის ახალგზედა ჯარისკაცი.

ჯარისკაცი ფეხზე იდგა. ის გრძნობდა დამხვდურის დაჟინებულ მზერას; თავი დაეხარა, არ იცოდა, რა ექნა; ერთდროულად დაბნეულიც ჩანდა და შეშინებულიც. ცოტა ხანში ქლორის გამო მას ხველება აუვარდა.

– სადაური ხარ? – შეეკითხა ზურიკო.

– აზერბაიჯანელი, ისმაელი მქვია.

– ქლორი შემდეგ თვალებსაც აგიწვავს, მაგრამ მიეჩვევი. შინელი ცხვირზე აიფარე, ისე ისუნთქე და კუთხეში ჩამოჯექი.

ზურიკო ოდნავ წამოიწია, კედელს მიყუდებული ჯდომისაგან გაშეშებული წელი გამართა, სახეზე აფარებული სამხედრო შინელის საყელო ჩამოუშვა და გამოჩნდა მისი ერთი კვირის გაუპარსავი სახე, რაც კიდევ უფრო მატებდა ასაკს.

ისმაელი ისედაც შეშინებული ჩანდა და ასაკოვანი კაცი, ბოხი ხმითა და სერჟანტის პაგონებით რომ დაინახა, სულ დაფრთხა. ის უსიტყვოდ დაემორჩილა ზურიკოს და საკანის კუთხეში ჩამოჯდა.

ორკესტრის დირიჟორების არყოფნის შემთხვევაში ზურიკოს პერიოდულად უხდებოდა მათი შეცვლა, რადგან უმაღლესდამთავრებული და ასაკით უფროსი იყო. ამიტომ სამხედრო ფორმაზე სერჟანტის პაგონები ჰქონდა მიკრული. იგი უყურებდა ისმაელს, რომელიც თავდახრილი იჯდა და პერიოდულად მისი პაგონებისკენ გააპარებდა ხოლმე თვალს, სახეში შეხედვას კი ვერ უბედავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჯარში ახალად გაწვეული იყო და პატიმრობაშიც პირველად მოხვედრილიყო.

ზურიკო დაეჭვდა, კომენდანტი რაიმე პროვოკაციას ხომ არ მიწყობს, დაღამებულზე ეს 18 წლის ახალგზედა და შეშინებული ჯარისკაცი რატომ შემომიყვანესო. საკმაო ხნის დუმილის შემდეგ მან პირდაპირ ჰკითხა ისმაელს:

– რა გითხრეს სანამ აქ, ჩემთან შემოგიყვანდნენ?

– არაფერი.

– როგორ თუ არაფერი? კოტელკინმა რა დავალება მოგცა?

– კოტელკინი ვინ არის?

– ციხეში ზიხარ და კომენდანტი არ იცი, ვინ არის?

– ეხლა მომიყვანეს.

– სხვა პატიმრებთან საკანში ჯერ არა მჯდარხარ?

– არა. პატრულმა დამიჭირა ავტოსადგურზე, აქ მომიყვანეს, საკნები შემომატარეს, თავისუფალი ადგილი არსად არ იყო და მორიგემ აქ შემომიყვანა. ხვალამდე აქ იქნებიო.

ზურიკო დაფიქრდა. კვირა ღამე იყო. კოტელკინი ამ დროს კომენდატურაში არ უნდა იყოს. წესით, ის ახლა სახლშია. მან შეხედა ისმაელს და ჰკითხა:

– ღამე ავტოსადგურში რას აკეთებდი?

– სახლიდან ჩამოვედი.

– სახლში თუ იყავი გაშვებული, სამხედრო პატრულს შვებულების საბუთი ვერ აჩვენე?

– საბუთი არ მქონდა. ჩვენი როტის პროპორშიკს ვთხოვე, კვირის ბოლოს ორი დღით, ჩუმად სახლში გამიშვი, ოფიცრებს ისედაც დასვენება აქვთ და ვერ გაიგებენ-მეთქი. ბიძაჩემმა საფრანგეთიდან ბევრი საჩუქარი მიიღო და ბანკეტს აწყობდა. შევპირდი, რომ კვირას ღამე პოლკში დავბრუნდებოდი და საჩუქრად ფრანგულ კონიაკს ჩამოვუტანდი, თუ გამიშვებდა. ჩემი სოფელი სულ რაღაც ორიოდე საათის სავალზეა ნახჭევანიდან, მხოლოდ ორი ავტობუსის გამოცვლაა საჭირო. ჩვენი როტის პრაპორშიკიც აზერბაიჯანელია. ბიძაჩემსაც იცნობს, აზერბაიჯანის ტელევიზიითა და გაზეთებით. იგი დამთანხმდა. ერთი საათის წინ ჩამოვედი ავტობუსით ნახჭევანის ავტოსადგურში. პოლკში მისვლა ვეღარ მოვასწარი, თუმცა პოლკი იქვეა, სადგურთან. სამხედრო პატრული რომ დავინახე, გავიქეცი, მაგრამ პოლკამდე ვერ მივაღწიე. პატრული გამომეკიდა, დამიჭირეს, ფრანგული კონიაკი წამართვეს და აქ მომიყვანეს.

– შეცდი. საბუთი თუ არ გქონდა, სამხედრო ფორმით არ უნდა წასულიყავი სახლში. სამოქალაქო ტანისამოსი უნდა ჩაგეცვა.

– მაგდენი ვერ მოვიფიქრე.

– პატრულისთვის ხომ არ გითქვამს, სახლში რომ იყავი?

– არა.

– ფრანგულ კონიაკზე პატრულს რა უთხარი?

– როცა მკითხეს. ხელში რა გიჭირავს, პარკში გახვეულიო, მე ვუპასუხე, ერთი ბოთლი სასმელი-მეთქი. პატრულმა ბოთლი წამართვა, აქ მომიყვანეს და კონიაკი გაუხსნელად ერთ ოთახში ჩაკეტეს.

– ნუ გეშინია. შენ თუ იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი, ხვალ დილით გაგათავისუფლებენ და პოლკში დაგაბრუნებენ.

– როგორ, რანაირად?

– ჯერ ეს მითხარი, ვინ არის ბიძაშენი და რას ნიშნავს საფრანგეთიდან საჩუქრების მიღება და ბანკეტის გამართვა?

– ბიძაჩემი არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საფრანგეთის ეროვნული გმირი და შარლ დე გოლის მეგობარი. საფრანგეთში აღნიშნავენ ფაშისტური გერმანიისაგან განთავისუფლების 44-ე წლისთავს და ფრანგმა მეგობრებმა საფრანგეთიდან დიდი რაოდენობით საჩუქრები გამოუგზავნეს ბიძაჩემს თავის სახლში, აზერბაიჯანში. დიდი ბანკეტიც იმიტომ გადაიხადა.

– სრული სიმართლეა, რასაც მეუბნები, თუ ზღაპრებს მიყვები?

– ვფიცავ, რომ ყველაფერი სრული სიმართლეა.

– კომენდანტის ოთახში ჩაკეტილი ფრანგული კონიაკის გარდა, თუ ისიც მორიგეებმა ამაღამ არ დალიეს, სხვა რითი შეგიძლია დაამტკიცო, რომ რასაც ამბობ, სრული სიმართლეა?

ისმაელმა სამხედრო შინელი შეიხსნა, უბის ჯიბიდან სახლიდან წამოღებული ოთხად გაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და ზურიკოს გაუწოდა. რაც ზურიკომ წაიკითხა, დაუჯერებელი და განსაცვიფრებელი იყო. რუსულენოვანი აზერბაიჯანული გაზეთის პუბლიკაცია, რომელიც ისმაელს ჰქონდა შენახული უბის ჯიბეში, მსოფლიო მასშტაბის სენსაცია იყო, რომელიც კიდევ უფრო ააშკარავებდა საბჭოთა კავშირის მმართველი სისტემის მთელ კომიკურობასა და იდიოტიზმს. იმ საგაზეთო სტატიის შინაარსი კი ასეთი იყო:

1966 წელს საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრომიკომ დაურეკა და მოახსენა, საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი აპირებს ჩვენთან ჩამოსვლას და თავის თანამებრძოლ მეგობართან, საფრანგეთის ეროვნულ გმირსა და საფრანგეთის საპატიო მოქალაქესთან, არმად მიშელთან შეხვედრა უნდაო. ყველგან ვეძებეთ და საბჭოთა კავშირში ასეთ პიროვნებას ვერსად მივაგენითო.

ძებნაში „კაგებე“ ჩაერთო. ამ გამალებული ძიების დროს შემთხვევით ერთ მდივან ქალს გაახსენდა, ადრე, ხრუშჩოვის დროს, რაღაც დოკუმენტი შევადგინე არმად მიშელის სახელზეო. სასწრაფოდ მიაკითხეს აგარაკზე შინაპატიმრობაში მყოფ, 72 წლის სსრკ-ს ყოფილ გენერალურ მდივანს, ნიკიტა ხრუშჩოვს.

აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანში ცხოვრობდა ერთი უცნაური კაცი, რომელიც ომის დროს ფრანგ პარტიზანებთან ერთად იბრძოდა. ფრანგმა პარტიზანებმა მას 100 000 დოლარი გაუგზავნეს საჩუქრად. ხრუშჩოვმა მოსკოვში დაიბარა ის კაცი და ფული მთავრობის ფონდში გადაარიცხვინა.

მალევე აზერბაიჯანში, ქალაქ შეკის მახლობლად, პატარა სოფელ ოხუდში მიაკითხეს უბრალო სახლში მცხოვრებ 47 წლის აგრონომს, ახმედია ჯაბრაილოვს, რომელსაც ლეონიდ ბრეჟნევი იბარებდა. ჯაბრაილოვი უარზე იყო, ბევრი საქმე მაქვსო. მაშინ ჩინოვნიკებმა სიმართლე უთხრეს მას, შარლ დე გოლს უნდა შენი ნახვაო. ჯაბრაილოვმა რამდენჯერმე დააფიცა მათ შვილები, რომ სიმართლეს ამბობდნენ, და შემდეგ მათთან ერთად გაფრინდა მოსკოვში, სადაც სამთავრობო მაღაზიიდან სპეციალურად მისთვის გამოტანილ ძვირფას სამოსში გამოაწყვეს და ბრეჟნევთან მიიყვანეს.

ჯაბრაილოვს აცნობეს, საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ჩამოდის საბჭოთა კავშირის გასაცნობად და შესაძლებელია შენი სახლის ნახვაც მოინდომოს, ამიტომ დღეიდან შენ სოფლის უბრალო აგრონომი აღარ ხარო; დე გოლს ეტყვი, რომ შენ ხარ პირველი საბჭოთა ფერმერი და სახლში რომ დაბრუნდები, შენი პატარა სახლის მაგივრად იქ დაგხვდება ორსართულიანი ახალი სახლი, ღობეშემორტყმული დიდი ეზოთი, შიგ გარაჟით, რამდენიმე ავტომანქანით, ცხენებით, ქათმებითა და მთელი მეურნეობითო.

ჯაბრაილოვმა მოისმინა ყველაფერი. შემდეგ თქვა, მე არაფერი არ გამიგია, ჩათვალეთ, რომ თქვენ არაფერი გითქვამთო, წამოდგა და კაბინეტიდან გავიდა.

მეორე დღეს მთავრობის დელეგაცია სამთავრობო აეროპორტში, „ვნუკოვო 2“-ში, შეიკრიბა. თვითმფრინავიდან შარლ დე გოლი ჩამოვიდა. ის თბილად მიესალმა ბრეჟნევს, შემდეგ მოუბოდიშა და უთხრა, გადადე ყველა ოფიციალური პროგრამა და ღონისძიებაო. დე გოლმა გახედა მთავრობისგან მოშორებით მდგომ, კარგად ჩაცმულ სოფლის უბრალო აგრონომს, ჯაბრაილოვს, და სწრაფად გაეშურა მისკენ.

ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს და ასე გადახვეულები იდგნენ საკმაო ხანს, სამთავრობო დელეგაციის წევრები კი გაოგნებულნი შესცქეროდნენ. შემდეგ დე გოლმა მანქანაში ჩაისვა თავისი მეგობარი ჯაბრაილოვი და მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში წაიყვანა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი ერთად საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ შინაურულად, სანთლების შუქზე, პლედმოსხმულები სეირნობდნენ რეზიდენციის ზამთრის ბაღის შემოგარენში, საუბრობდნენ და იხსენებდნენ ომის პერიოდის ისტორიებს, საფრანგეთის წინააღმდეგობის გმირებსა და მეგობრებს.

დე გოლის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ჯაბრაილოვმა მთავრობის მიცემული, რამდენიმე ხელი ძვირფასი ტანისამოსი და ფეხსაცმელი სასტუმროს ლუქს-ნომერში დატოვა, თავისი ფულით იყიდა ბილეთი და სახლში გაფრინდა.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ახმედია ჯაბრაილოვს ახალი დამთავრებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1941 წელსვე ის მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ახმედიას მზვერავობა უნდოდა და გერმანულ ენას სწავლობდა. საბჭოთა ჯარში ახმედიას დასცინოდნენ, ის მზვერავი ვერ გახდა.

1942 წელს, კურსკთან ბრძოლებში, მთელი მისი ბატალიონი განადგურდა. მძიმედ დაჭრილი ჯაბრაილოვი გერმანელებმა დაატყვევეს და საფრანგეთში, მონგობანის საკონცენტრაციო ბანაკში გადააგზავნეს, სადაც იგი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს დაუახლოვდა. ფრანგი დამლაგებელი ქალის, ჟანეტის დახმარებით, რომელსაც ახმედია ნაგვის წაღებასა და გადაყრაში ეხმარებოდა, მან შეისწავლა ფრანგული ენა და შემდეგ, ისევ ჟანეტის დახმრებით, ბანაკიდან გაიქცა.

ფრანგმა პარტიზანებმა იგი მზვერავებს მიამაგრეს. ოთხი წარმატებული ოპერაციის შემდეგ ახმედია მზვერავთა ჯგუფის უფროსად დაინიშნა. ერთი თვის შემდეგ კი მან ააფეთქა და ხრამში გადაჩეხა იარაღით სავსე გერმანელთა მატარებელი. ამ ოპერაციის გამო ახმედიამ პირველი ფრანგული ჯილდო და მადლობის წერილი მიიღო პირადად შარლ დე გოლისაგან. საფრანგეთში მას არმად მიშელი შეარქვეს, საბრძოლო მეტსახელად კი – ხარგო.

არმად მიშელის მზვერავთა ჯგუფი ყველა სამხედრო ოპერაციას წარმატებით ასრულებდა. მან ყველას დაავალა, რომ გერმანული ენა შეესწავლათ, და გერმანელთა ფორმებში გადაცმულები, ისინი მტრის ზურგშიც მოქმედებდნენ. მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული არც ერთი სარძოლო ოპერაცია მარცხით არ დასრულებულა. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, გერმანელი კაპიტნის ფორმაში გადაცმულმა არმად მიშელმა, მზვერავებისა და დივერსანტებისაგან შედგენილი ჯგუფით, შეძლო გერმანიაში გასაგზავნი 500 ფრანგი ბავშვის მატარებლიდან ჩამოყვანა და ტყეში გადამალვა. მან გაანადგურა გერმანელთა მთელი დაცვა, მაგრამ ფაშისტების დამხმარე ჯგუფის ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ მძიმედ დაიჭრა. გერმანელებმა მომაკვდავი ოფიცრის უნაკლოდ ფალსფიცირებული დოკუმენტების შემოწმება დაიწყეს. საბუთების ჩხრეკისას მათ იპოვეს ფოტო, ქალისა და ორი ბავშვის გამოსახულებით. სურათს წარწერა ჰქონდა: „ჩემს ძვირფას ჰაინცს, მოსიყვარულე მარიკასა და ბავშვებისაგან“. არმად მიშელმა გაითამაშა სულთმობრძავი ადამიანის ბოდვა და მთელი გრძნობით წაიჩურჩულ-ამოიოხრა: „ძვირფასო მარიკა, მივდივარ ამ ცხოვრებიდან და თან მიმყვება შენზე, ბავშვებზე, ძია კარლსა და დიდ გერმანიაზე ფიქრი“.

არმად მიშელი გადაგზავნეს გერმანელ ოფიცერთა ჰოსპიტალში, სადაც იგი ნელ-ნელა გამოკეთდა და ახალი გარემოცვის დიდი სიმპათიაც დაიმსახურა. გამოჯანმრთელების შემდეგ არმად მიშელი, უკვე ახალი სახელით – ანუ როგორც გერმანიის არმიის კაპიტანი, ჰაინც მაკს ლაიტბეგი, დაინიშნა ტულუზასთან ახლომდებარე, გერმანელების მიერ ოკუპირებული ფრანგული ქალაქის, ალბის კომენდანტად და შეუდგა თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას.

ის დიდ ინფორმაციას ფლობდა. ერთი კვირის შემდეგ არმად მიშელმა კავშირი დაამყარა ფრანგ პარტიზანებთან და „რეიხის სადიდებლად მისი დიდი მუშაობის“ შედეგად დაიწყო

გერმანელთა სამხედრო მატარებლების აფეთქებები, დივერსიული აქტები და ტყვეთა მასიური გაქცევები გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

რვა თვის სამსახურის შემდეგ კომენდანტი ჰაინც ლაიტბეგი წარდგენილი იყო ერთ-ერთი გერმანული ორდენის მიღებასა და ჩინის მომატებაზე, მაგრამ შარლ დე გოლმა ჩათვალა, რომ მეტი გარისკვა უკვე ძალზე საშიში იყო და არმად მიშელს პარტიზანებთან დაბრუნება დაავალა, მით უმეტეს, რომ უკვე მეორე ფრონტი იხსნებოდა.

არმად მიშელი ტყეში, პარტიზანებთან დაბრუნდა და თან ტყვეები მიიყვანა – მაღალი ჩინის გერმანელი ოფიცერი და მთელი კომენდატურის შემადგენლობა. საშინლად გამწარებულმა გერმანელებმა არმად მიშელის ანუ ხარგოს დაჭერისთვის დააწესეს პრემია – 10 000 მარკა ოქროთი და ორი ახალი ავტომობილი.

1944 წელს, მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, არმად მიშელი, მოკავშირეებთან ერთად, მონაწილეობდა საფრანგეთის მრავალი ქალაქის განთავისუფლებაში. პარიზის განთავისუფ-ლების შემდეგ, დედაქალაქში საზეიმო მარშით შესვლისას, იგი შარლ დე გოლის გვერდით იყო და მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდა. ის იყო მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი.

საფრანგეთის 4 უმაღლესი ორდენი არმად მიშელმა პირადად შარლ დე გოლისა და მორის ტორესისგან მიიღო. ომის დამთავრების შემდეგ შარლ დე გოლმა არმად მიშელს საფრანგეთის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა, საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცა და უთხრა:

– ახლა შენ გაქვს უფლება, საფრანგეთის სამხედრო პარადებსა და აღლუმებზე ქვეყნის პრეზიდენტის წინ იარო!

– თუ თქვენ არ გახდებით პრეზიდენტი, ჩემო გენერალო! – უპასუხა არმად მიშელმა, რადგან გენერალ დე გოლსაც ჰქონდა იგივე ჯილდო, საპატიო ლეგიონის ორდენი.

– სხვათა შორის, უკვე დროა, რომ ერთმანეთს შენობით მივმართოთ, – უთხრა ამის პასუხად დე გოლმა.

ომის დამთავრების შემდეგ არმად მიშელი შარლ დე გოლის კანცელარიაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. საფრანგეთის მთავრობამ მას საავტომობილო ქარხანა აჩუქა და პარიზში მშვენიერი სახლიც ჰქონდა. სამთავრობო ბანკეტებსა და წვეულებებზე იგი ყოველთვის მისი მეგობრის შარლ დე გოლის ხელმარჯვნივ იჯდა.

ერთ-ერთ ბანკეტზე დე გოლმა არმად მიშელს ჰკითხა:

– სულ მავიწყდება გკითხო: პარტიზანებში ლეგენდად რომაა გადაქცეული ის ამბავი, გერმანელებმა ჯიბიდან სურათი რომ ამოგიღეს; მეუღლე მარიკა და შვილები გასაგებია, მაგრამ ძია კარლი ვინღაა?

– ისე, სხვათა შორის, მე ვიგულისხმე კარლ მარქსი, მაგრამ რატომღაც გერმანელებმა ვერ გაიგესო. – ირონიოლად უპასუხა არმად მიშელმა.

სუფრასთან მსხდომ გენერლებსა და სტუმრებს ჰომერული სიცილი აუტყდათ, შემდგომში კი არმადის ის გამონათქვამი ფრთოვან ფრაზად ქცეულა.

1951 წელს არმად მიშელს აზერბაიჯანის მონახულება მოუნდა. დე გოლი და მისი მეგობრები ბევრს შეეცადნენ, რომ არ გაეშვათ ის საფრანგეთიდან, მაგრამ არმადმა მტკიცედ გადაწყვიტა, მოენახულებინა თავისი სამშობლო. დე გოლმა მას საფრანგეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა; მას შეეძლო ნებისმიერი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა, ამისთვის მას გადაეცა მუდმივმოქმედი სპეციალური საბუთი, რომელიც მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტს ჰქონდა. დე გოლმა ეს ყველაფერი გააკეთა იმ იმედით, რომ არმადი საფრანგეთში დაბრუნდებოდა. ქვეყნის მანქანათმშენებლობის 10 საწარმოს კი მის პატივსაცემად „არმად მიშელი“ ეწოდა.

მოსკოვში ჩაფრინდა თუ არა, ჯაბრაილოვს საფრანგეთის ეროვნული გმირისა და საპატიო მოქალაქის ტიტულები ჩამოართვეს, ყველა ორდენი და მედალი წაართვეს, დააპატიმრეს და 10 წლით ციმბირში უკრეს თავი.

ციმბირიდან სოფელ ოხუდში დაბრუნებულმა ახმედიამ საქონლის მწყემსვა დაიწყო. ხრუშჩოვთან შეხვედრის შემდეგ ის სოფლის აგრონომად დანიშნეს. დე გოლთან შეხვედრის შემდეგ კი, ძალიან მალე, მის სახლში, ოხუდში, დროშებით მორთული დიპლომატიური მანქანით საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი მივიდა – ამჟამად გენერალი, რომელიც ომის დროს არმად მიშელის მზვერავთა ჯგუფის წევრი იყო.

ძველი თანამებრძოლები, ერთ დროს, წელამდე ჭაობში ჩაფლულები, მტრის ზურგში ერთად რომ შედიოდნენ, გადახვეულები იდგნენ და გახარებულები ერთმანეთს ბეჭებზე ხელს ურტყამდნენ. მინისტრმა ჯაბრაილოვს ყველა წართმეული წოდება, ტიტული, ორდენი, პრივილეგია დაუბრუნა, ფრანგული მოსაწვევი გადასცა და უთხრა:
„საფრანგეთში მივდივართ, ფრანგი პარტიზანები ვიკრიბებით, შენს წასაყვანად ჩამოვედი“.

გაოგნებულმა ზურიკომ გაზეთის ფურცელი ისმაელს დაუბრუნა და უთხრა:

– კარგად შეინახე. ეს არის ხვალ დილიდანვე აქედან შენი გასვლის პასპორტი, ოღონდ მხოლოდ იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი და არ უნდა შეშინდე. ხვალ შენ თავისუფალი იქნები და ვინც შენ გაგიშვა, ის პრაპორშიკიც შემდეგში დიდად დაგაფასებს, თუ არ ჩაუშვებ.

– კარგი, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი. მე კიდევ მაქვს ფრანგული საჩუქრები, – თქვა ისმაელმა.

მან შინელის ქვემოთა მხარეს ჩაკერებული შიდა ჯიბე გახსნა, ცელოფანის პარკი ამოიღო, გადახსნა, და, ჰოი, საოცრებავ!.. პარკში ჯადოსნურ ფერებად ბრჭყვიალებდა ფერად-ფერადი პარიზული შოკოლადის კანფეტები და ორი კოლოფი ფრანგული თამბაქო.

ზურა დაფიქრდა და შემდეგ ისმაელს უთხრა:

– შესაძლებელია, ხვალ დილით ეს ყველაფერი ჩამოგართვან. გააჩნია, როგორ წარიმართება და განვითარდება სიტუაცია. მხოლოდ ორი შოკოლადის კანფეტი შეინახე და ერთი კოლოფი სიგარეტი, ისიც ნახევრად გახარჯული თამბაქოთი, რომ არ ჩამოგართვან. დანარჩენი კანფეტები უნდა შეიჭამოს და ქაღალდები აქ უნდა დარჩეს.

ზურიკომ და ისმაელმა დაიწყეს პარიზული ჰაეროვანი უგემრიელესი შოკოლადების დაგემოვნება და ფრანგული სიგარეტებით სიამოვნება. ზურიკო სიცილს ვერ იკავებდა და ისმაელს ეუბნებოდა:

– ერთი კვირაა, რაც კოტელკინი სპეციალურად მაშიმშილებს და ახლა რომ დამინახოს ფრანგული თეთრი და შავი შოკოლადების ბონბონებით ხელში, მაშინვე გულის ინფარქტს მიიღებს!

დილით, რვის ნახევარზე, სანამ პატიმარ ჯარისკაცებს კომენდატურის მოედანზე გაიყვანდნენ, მორიგემ ისმაელი კამერიდან გაიყვანა და კომენდანტის კაბინეტში შეიყვანა. ისმაელმა შეატყო, რომ გუშინდელ მორიგეს სასმელის უცნაური, არომატული სუნი ასდიოდა, არყის სუნისაგან განსხვავებული. ისმაელს კარგად ახსოვდა ზურიკოს დარიგებები და კოტელკინს ლაპარაკიც კი არ აცალა, კაბინეტში შესვლისთანავე დაიყვირა:

– ამხანაგო მაიორო, მორიგემ გუშინ კონიაკი წამართვა!

– რა კონიაკი? ამის შესახებ არაფერი გითქვამს? – მიუბრუნდა მორიგეს კოტელკინი.

– სისულელეა, რა კონიაკი?! – წაიბურტყუნა მორიგემ.

– ფრანგული კონიაკი, დივიზიის მეთაურის საჩუქარი; წამართვა და დალია, – დაიყვირა ისევ ისმაელმა.

– შენთვის ჯერჯერობით არაფერი მიკითხავს! – დაუყვირა კოტელკინმა ისმაელს, შემდეგ მორიგეს მიუახლოვდა და მუქარის კილოთი უბრძანა:

– ამოისუნთქე!

ამასობაში ისმაელმა გაზეთის ფურცელი ამოიღო, მაგიდაზე დადო ორ ფრანგულ შოკოლადთან ერთად და ისევ დაიყვირა:

– საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლის მეგობარმა კონიაკი „ნაპოლეონი“ გაუგზავნა დივიზიის უფროსს საჩუქრად. ეს ფრანგული შოკოლადიც დაამტკიცებს, რომ სიმართლეს ვამბობ!

გაკვირვებულმა კოტელკინმა გაზეთის ფურცელს დახედა. რომელზეც საფრანგეთის 4 უმაღლესი სამხედრო ორდენითა და სხვა მრავალი მედლით მკერდდამშვენებული ჯაბრაილოვის სურათი იყო გამოსახული. ამასობაში კომენდატის კაბინეტში შევიდნენ სატანკო პოლკიდან გამოძახებული ასეულის მეთაური და გაფითრებული პროპორშიკი. კოტელკინმა დაამთავრა საგაზეთო სტატიის კითხვა და გაფართოებული თვალებით, პირდაფჩენილმა ახედა ისმაელს.

– ჯაბრაილოვი ჩემი ბიძაა. ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებმა საფრანგეთის განთავისუფლების 44 წელი აღნიშნეს და ჯაბრაილოვს საჩუქრები გამოუგზავნეს. მე კი აქ, პოლკში, წერილი მომივიდა სახლიდან, სადაც ეწერა, რომ ბიძაჩემი, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიცაა, საჩუქრად უგზავნიდა ფრანგულ კონიაკს თავის მეგობარს, ნახჭევანის სამხედრო დივიზიის უფროსს, რომელიც აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის დეპუტატია. წერილში ეწერა, რომ ნახჭევანში ამანათს კვირა დღეს ჩამოიტანდა ქალაქ შეკის ავტობუსის ბოლო რეისის მძღოლი. ავტოსადგური პოლკიდან 10 წუთის სავალზეა, სწრაფად თუ ივლი. კვირა საღამოს ნებართვის საბუთს არავინ აკეთებს და სიტყვიერი ნებართვა ვთხოვე ასეულის პროპორშიკს.

კომენდანტმა პროპორშიკს შეხედა და თითით გაზეთზე ანიშნა. პროპორშიკმა თავი დაიქნია და თქვა:

– ყველაფერი მართალია. იგი ცოცხალი ლეგენდაა აზერბაიჯანში და ისმაელის ბიძაა.

– „ნაპოლეონი“ აქ! სწრაფად! – დაუღრიალა კოტელკინმა მორიგეს და კაბინეტიდან გააგდო.

შემდეგ კომენდანტმა მაგიდიდან კანფეტი აიღო, ნელა დაატრიალა და გადახსნა. ჯერ დაყნოსა თეთრი, სურნელოვანი შოკოლადი, მერე პირთან მიიტანა და თვალდახუჭულმა რბილად ჩაკბიჩა. შოკოლადის შიგთავსის არომატულმა ლიქიორმა მის ტუჩებზე გაიჭყლაპუნა. მოულოდნელი სიამოვნებისაგან კოტელკინი კინაღამ ჩაიკეცა. კანფეტი გადაყლაპა და აღფრთოვანებულმა წარმოთქვა: „ოოჰ, პარიზი“.

კაბინეტში დაბრუნდა თავჩაქინდრული მორიგე, რომელსაც ხელში თავმოხეული პაკეტი ეჭირა. ის დამნაშავე ბავშვივით დადგა კომენდანტის წინ და დაიჩივლა:

– არც კი ვიცოდი, ფრანგული კონიაკი თუ იყო, აქაური „სამოგონი“ მეგონა! – გადახსნა პაკეტი და მაღლა ასწია კონიაკ „ნაპოლეონის“ ბოთლი, რომელშიც სასმელი ნახევარზე ნაკლებიღა იყო დარჩენილი.

კოტელკინმა ისმაელი გაათავისუფლა, ნარჩენი კონიაკი კი თავისთან დაიტოვა. კაბინეტიდან გასვლისას ისმაელმა სპეციალურად კომენდატის გასაგონად მორიგეს უთხრა:

– გთხოვთ მაგიდაზე დარჩენილი შოკოლადის კანფეტი კამერაში ჩაკეტილ ქართველს მისცეთ. ზურაბს ძალიან უყვარს პარიზული საკონდიტრო ნუგბარი.

ამის გაგონებაზე კოტელკინი სკამიდან წამოხტა, მორიგეს დაუყვირა, კამერა გახსენიო, და კაბინეტიდან შეშლილივით გავარდა. კამერის კარი გაიხსნა. ზურიკოს კედელზე მიყუდებულს თავი მოემძინარებინა, იატაკზე კი დემონსტრაციულად, კარტივით იყო გაშლილი ღამე

შეჭმული შოკოლადების ბრჭყვიალა ქაღალდები, იქვე ნამწვავებით სავსე ფრანგული სიგარეტის კოლოფი იდო.

კომენდანტს არაადამიანური ღმუილი აღმოხდა; აშკარად გული დასწყდა, თანაც სასტიკად, რომ ადამიანის წამების მისეულმა გეგმამ ვერ გაამართლა. გაბრაზებულმა კოტელკინმა მორიგეს დაუწყო ყვირილი:

– რეგვენო, იდიოტო, ლოთო, შენი დედა და ყველაფერი! მე მგონია, ვაშიმშილებ ამ ქართველს და ასე ვასწავლიდი ჭკუას-მეთქი, შენ კი ფრანგული გასტრონომია შეგიგზავნია მის კამერაში!

ზურიკოს თავზე წაეფარებინა სამხედრო შინელი, ვითომ ეძინა, და შეკავებული სიცილისაგან ლამის გაგუდულიყო. მიხვდა, რომ ისმაელიც გაათავისუფლეს. რვა საათისთვის კი კომენდატურის შიდა ეზო კვლავ აგუგუნდა.

მეათე დღეს ზურიკოს კამერის კარი გაუხსნეს და მორიგემ ის ეზოში გაიყვანა. კომენდანტი უჟმური სახით იდგა ეზოში, გვერდს ვიცე-პოლკოვნიკი, დივიზიის ოფიცერთა სახლის უფროსი უმშვენებდა. იგი კოტელკინს დაბალ ხმაზე რაღაცას უხსნიდა. ვიცე-პოლკოვნიკის უკან კი სამი ორკესტრის დირიჟორები იდგნენ. ორ დღეში გენერალი მაკაშოვი ჩადიოდა ნახჭევანში დივიზიის შესამოწმებლად და ამისათვის სამზადისი იწყებოდა. ოლქის სამი გაერთიანებული სამხედრო ორკესტრის მიერ შესრულებული მარშების თანხლებით დივიზიის მთელი შემადგენლობა ვარჯიშებს ატარებდა. ზურიკო ორკესტრში ძალიან სჭირდებოდათ და საპატიმროდან იმ დღეს გაათავისუფლეს.

აღმოჩნდა, რომ ნახჭევანის ორკესტრის დირიჟორი თურმე ყოველდღე მიდიოდა კომენდა-ტურაში ზურიკოს წასაყვანად, მაგრამ კოტელკინი მას არ ათავისუფლებდა.

დივიზიის შემოწმებებიც დამთავრდა და ზურიკოს ჯარიდან სახლში დაბრუნების დროც დადგა. იგი ნახჭევანიდან ჯულფაში დაბრუნდა, სადაც მისი ოფიციალური დოკუმენტები ინახებოდა. შტაბის უფროსმა ზურიკოს დანახვზე იყვირა:

– ჯარიდან გაშვების ბეჭედს არ დაგირტყავ, თუ სამი დღე პოლკის საპატიმროში არ ჩაჯდები!

– კი ბატონო, ახლავე, ჩემი ფეხით მივდივარ! – მიუგო ზურიკომ. მან ბიბლიოთეკიდან წიგნები გაიტანა საკანში წასაკითხად და პოლკის საპატიმროსკენ წავიდა.

ივნისის სიცხეები იდგა. საპატიმროში ოდნავ გრილოდა. საკანში ზურიკო წამოწოლილიყო ლოგინზე, ტანზევით შიშველი, და წიგნს კითხულობდა. საკნის კარი ღია იყო, ჰაერს რომ ემოძრავა. მის მოპირდაპირე, ასევე კარღია საკანში თბილისელი მოცურავე, ზაზა იყო წამოწოლილი, და ისიც წიგნს კითხულობდა.

ზაზა ბატალიონის კაპიტანს შეკამათებია და იმიტომ ჩაუსვამთ საპატიმროში. კაპიტანს უთქვამს, ქართველები „გავნიუკები“ ხართ, მშვენივრად ვიყავით ცივილიზებულ ევროპაში და ერთი ქართველის გამო გამოგვიყვანეს იქიდანო. გაბრაზებულ ზაზას კი მთელი ბატალიონის თანდასწრებით უპასუხია, ევროპაში ქართველმა სტალინმა შეგყარათ და ცივილიზაცია გაჩვენათ, მეორე ქართველმა, შევარდნაძემ კი, გამოგყარათ ევროპიდან, ახლა კავკასიიდანაც გაეთრიეთ და ცივილიზაცია თქვენს „გავნიუკ“ ციმბირში ააშენეთო.

ზურიკოც და ზაზაც ორივე სახლში ბრუნდებოდნენ და ჯარიდან ტილი ან რწყილი რომ არ ჩაეტანათ სახლში, წინა დღეს ორივემ თავი მთლიანად გადაიპარსა.

დილით მათ ქართველმა ბიჭებმა მიაკითხეს სანახავად. ცოტა საჭმელიც მიუტანეს და უთხრეს, რომ კოტელკინს უკვე დაეწყო დაპატიმრებული ქართველი ჯარისკაცების ნელ-ნელა განთავისუფლება.

სადილობის დრო ახლოვდებოდა. პოლკის საპატიმროში მოულოდნელად შტაბის უფროსი შევიდა, რომ შეემოწმებინა, ნამდვილად იქ იყო თუ არა ზურიკო. მან დაინახა ლოგინზე წამოწოლილი პატიმრები ღია საკნებში, რომლებიც წიგნებს კითხულობდნენ, ლოგინთან მიდგმულ სკამებზე კი საჭმელი ეწყოთ. ვიცე-პოლკოვნიკმა უცებ უყვირა მორიგეს:

– რა არის ეს? ციხეა თუ სანატორიუმი? ამათი გამოსწორება შეუძლებელია! ახლავე, როგორც არიან, ტანზევით შიშველები, ბადრაგის თანხლებით მოედანზე გამოიყვანე ორივე!

პოლკის მთავარ მოედანზე სასადილოში წასასვლელად პოლკის მთელი შემადგენლობა გამწკრივებულიყო. გამოჩნდა შტაბის უფროსი, რომელსაც ორი მეავტომატის თანხლებით მოჰყავდა წელს ზევით შიშველი და თავგადაპარსული ზურიკო და ზაზა. მათ ხელები ზურგს უკან დაეწყოთ, სიცილისაგან თავს ვეღარ იკავებდნენ და თავები დაბლა დაეხარათ, რომ შტაბის უფროსს არ დაენახა.

შტაბის უფროსი ტრიბუნაზე ავიდა და ხმამაღლა დაიყვირა:

– აი, ესენი არიან, ვინც არცხვენენ საბჭოთა ჯარისკაცის სახელს!

– დახვრეტა ჩამოხრჩობის შემდეგ! – გაისმა ჯარისკაცთა მწყობრიდან სიცილნარევი ხმა.

– თავისუფლება იური დეტოჩკინს! – კიდევ გაისმა ცნობილი ფრაზა კინოკომედიიდან.

მოედანზე ჯარისკაცთა სიცილ-ხარხარი ატყდა.

იმ დროს ტრიბუნის უკან შემთხვევით პოლკის უფროსის მანქანამ ჩაიარა, რომელიც ასევე სადილად მიდიოდა. მანქანა გაჩერდა, პოლკოვნიკმა შეხედა პოლკის მოედანზე არსებულ სიტუაციას და შტაბის უფროსს გასძახა:

– ეს რა ინკვიზიცია და ეგზეკუციია? მორჩით მასკარადს!

იმავე დღეს ზურიკო ჯარიდან დაითხოვეს და ის ნახჭევანს დაემშვიდობა. იმ ნახჭევანს, სადაც XIX საუკუნეში დიდი ქართველი პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი მუშაობდა მაზრის უფროსის, ლევან მელიქიშვილის მოადგილედ, და რომელთა შესახებაც იქ არავინ არაფერი იცოდა. 700 წლის წინ კი, თამარ მეფის ეპოქაში, სპარსელთა შემოსევებისაგან გამწარებულმა ქართველთა ლაშქარმა, ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით, ნახჭევანის გავლით გადაკვეთა მდინარე არაქსი და შურის საძიებლად სპარსეთზე გაილაშქრა. ქართველთა სპა-ჯარმა დაიპყრო სპარსეთის, შუა აზიისა და ავღანეთის მრავალი ქალაქი. ქართული ლაშქარი ისეთ მიწებამდეც კი მივიდა, სადაც საქართველოსა და ქართველთა შესახებ არასდროს არაფერი სმენოდათ. აურაცხელ სიმდიდრეთა მოპოვების შემდეგ ქართველთა ლაშქარი წინ ვეღარ მიიწევდა, რადგან მრავლად დაგროვებულიყო უთვალავი განძითა და საპალნით დატვირთული ურმები და ცხენ-ჯორ-აქლემი. ქართველთა ჯარი იძულებული გახდა, ისევ ნახჭევანის გავლით, უკან, თბილისში დაბრუნებულიყო.

XXIII

ნახჭევანიდან თბილისში დაბრუნებულ მონატრებულ შვილს ზურაბის დედა, ფაცია, დიდი სიხარულით შეხვდა. შვილმა შეამჩნია, რომ ამ ხნის განმავლობაში დედას თმაში ჭაღარა მომატებოდა, მაგრამ მაინც ჯანმრთელად იყო და ოჯახის ბურჯის ფუნქციებს ჯერ კიდევ არ თმობდა. ზურაბის ჯარში ყოფნის დროს მის უმცროს ძმას, გაიოზს, ბევრი რამ მოესწრო – ოჯახი შეექმნა, ცოლი მოეყვანა და პატარა, მშვენიერი გოგონაც ჰყავდათ. გაიოზი უკვე უნივერსიტეტსაც ამთავრებდა, მშენებელი ინჟინრის სპეციალობით.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ ვითარებას, ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნება თითქმის ლეთარგიული ძილის მდგომარეობიდან გამოსულიყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში სასტიკად

ითრგუნებოდა, იკრძალებოდა და ძალიან მკაცრადაც ისჯებოდა, გაღვივებულიყო, ძალა მოეკრიბა და აშკარად აღმავლობის გზაზე დამდგარიყო.

ეროვნული მოძრაობის გააქტიურება განსაკუთრებით იგრძნობოდა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, სადაც თითქმის ყოველდღე ანტისამთავრობო მიტინგები ან ღონისძიებები იმართებოდა. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ თუ ადრე საბჭოთა სისტემა, საქართველოში ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას მაშინვე საშინელი სისასტიკით სისხლში ახშობდა, იმ პერიოდში თითქოს ყველაფერი ნებადართული და ოფიციალურად დაშვებული იყო.

მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. მიხეილ გორბაჩოვის მიერ მოგონილი, ვითომ დემოკრატიულობანას თამაშის: „ილაპარაკეთ, რაც გინდათ და რამდენიც გინდათ, ოღონდ არაფერს ხელი არ ახლოთ და ნურაფერს შეცვლითო“, რა თქმა უნდა, ხალხს არა სჯეროდა; სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის, მომაკვდავი საბჭოთა სისტემის ბოლო დარტყმა მაინც ყოველთვის მოსალოდნელი იყო.

ცოტა ხანი სახლში დაჰყო ზურაბმა, დაისვენა, შემდეგ კი კვლავ თავის სამსახურს, სიმფონიურ ორკესტრს დაუბრუნდა, სადაც თავისი ადგილი შენახული დაუხვდა. მალევე ევროპის რამდენიმე ქვეყანაც მოიარა კონცერტებით, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

საბჭოთა წითელ არმიაში სამსახურის საშინელი გამოცდილების შემდეგ ევროპის დიდებულ საკონცერტო დარბაზებში კლასიკური მუსიკის კონცერტების გამართვა ტკივილგამაყუჩებელ მალამოსავით მოქმედებდა ზურიკოს სულზე. ბეთჰოვენის, ბრამსის, ყანჩელისა თუ ჩაიკოვსკის სიმფონიური ნაწარმოებების დაკვრამ მას, ბოლოს და ბოლოს, დაავიწყა ყოველდღიურად საბჭოთა კავშირის ჰიმნისა და რუსული სამხედრო მარშების დაკვრით მიღებული სიმწარე, რაც პერიოდულად მაინც ახსენებდა თავს კოშმარულ სიზრეებში. მერედა, რამხელა სიამოვნება იყო იმ ლეგენდარულ დარბაზებში კონცერტებით გამოსვლა, სადაც სცენაზე თვით ბეთჰოვენს, მენდელსონს, მალერს, ფურტვენგლერს, კარაიანს და სხვა დიდ მაესტროებს უმართავდა ხოლმე ოვაციებს აღფრთოვანებული მაყურებელი!

გაზაფხულის დადგომისთანავე თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, გახშირდა ანტისამთავრობო და ანტისაბჭოთა პოლიტიკური მიტინგები. მიტინგებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები; ისინი მოითხოვდნენ კანონიერად, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, საბჭოთა კავშირიდან საქართველოს ნებაყოფლობით გასვლასა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენას.

ზურაბს სახლიდან სამსახურში წასვლა და უკან დაბრუნება რუსთაველის პროსპექტის გავლით უხდებოდა, ასე, რომ, ყოველდღიურად ხვდებოდა მთავრობის სასახლესთან, სადაც მიტინგები იმართებოდა. ეროვნულ მოძრაობასა და მომიტინგე ხალხში მას საკმაოდ ჰყავდა ნაცნობ-მეგობრები, ამიტომ ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე მთავრობის სახლთან, რომ მოესმინა მიტინგზე გამომსვლელებისათვის ან, უბრალოდ, გასაუბრებოდა მეგობრებს, რომლებიც მრავლად იყვნენ მომიტინგეებს შორის. მათ ძალიან უკვირდათ, რომ ზურიკო არც ერთი პარტიის წევრი არ იყო; ბევრჯერ შესთავაზეს კიდეც რომელიმე ეროვნულ პარტიაში გაწევრიანება, მაგრამ ის ყველას ღიმილით უარს ეუბნებოდა: ხომ იცით, რომ ისედაც თქვენთანა ვარ, მაგრამ პარტიულ ვალდებულებებს ჩემს თავზე ვერ ავიღებ, ხელოვანი კაცი ვარ, იცით, და ჩემს სფეროში უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ ქვეყნისთვისო.

1989 წლის აპრილის თვის დასაწყისიდან სიტუაცია კიდევ უფრო მეტად დაიძაბა. მთავრობის სახლის წინ შეკრებილმა მომიტინგეებმა, რომლებიც მშვიდობიან დემონსტრაციას აწყობდნენ, შიმშილობა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. თბილისის ქუჩებში და მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიებზე გამოჩნდა

მილიციის გაძლიერებული, შეიარაღებული რაზმები, მაგრამ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას სიტუაციაზე კონტროლი უკვე დაკარგული ჰქონდა.

7 აპრილს, სადილობის შემდეგ, სამსახურში მიმავალმა ზურაბმა მთავრობის სახლის მეზობლად მდებარე პიონერთა სასახლის ბაღს ჩაუარა. უცებ მან შეამჩნია, რომ პიონერთა ბაღში, სადაც დიდტანიანი ხეები იდგა ერთმანეთთან ახლოს, მიჯრით, და ამის გამო შიგნით, ბაღში, ხეების ქვეშ თითქმის სიბნელე იყო, რაღაც ჩრდილები მოძრაობდა.

ზურაბი მიუახლოვდა რკინის მესერს, კარგად დააკვირდა ბაღს და შეამჩნია, რომ მისი სიღრმიდან წინ მოიწევდნენ შეიარაღებული სამხედროები, რომლებიც რკინის მესრიდან 15 მეტრში, ხეების ქვეშ შეჩერდნენ და იქიდან გაჰყურებდნენ რუსთაველის პროსპექტს. ზურიკომ ყველაზე ახლოს მდგომ ჯარისკაცს გასძახა, ერთი წუთით, მომიახლოვდი, საქმე მაქვსო. ჯარისკაცი 7 მეტრამდე მიუახლოვდა მესერს და უხეშად მიახალა, რა გინდაო.

ზურიკო ყურადღებით დააკვირდა 28 წლამდე ასაკის რუსის კუნთმაგარ ჯარისკაცს, რომელსაც სახე მზის ხანგრძლივი გამოსხივებისაგან უცნაურად ჰქონდა გარუჯული, ხელში კი მოკლელულიანი კალაშნიკოვის ავტომატი ეჭირა, რომელიც მხოლოდ სპეციალური დანიშნულების რაზმს ან პოლკს ეძლეოდა. ჯარისკაცს ტანთ ეცვა ახალი მოდელის, მაგრამ უკვე საკმაოდ გაცვეთილი და მზისაგან გახუნებული სამხედრო ფორმა, რომელსაც მხოლოდ ავღანეთში მომსახურე საბჭოთა ჯარის სპეციალური დანიშნულების რაზმები ხმარობდნენ.

– გამარჯობა, ავღანელო. რას აკეთებთ აქ ავღანელები? რისთვის ჩამოგიყვანეს? – მოჩვენებითი კეთილგანწყობით გაესაუბრა ზურიკო ჯარისკაცს, მალბოროს სიგარეტს მოუკიდა, მასაც შესთავაზა მოწევა და სიგარეტის ყუთი გაუწოდა.

ავღანეთში მომსახურე რუს ჯარისკაცს თვალები გაუბრწყინდა სიგარეტის დანახვაზე. ორი ნაბიჯი წინ წადგა თუ არა, მაშინვე ბაღის სიღრმიდან გაისმა მისი უფროსის ხმა:

– შეჩერდი! დაიხიე უკან!

ჯარისკაცმა ირონიულად გაიღიმა, ზურიკოს მიაძახა, შენი საქმე არ არისო, უკან დაიხია და ისევ ხეების ჩრდილში მიიმალა. ზურაბმა გზა გააგრძელა. მთავრობის სახლს მიუახლოვდა, სადაც ათასობით ადამიანი იყო თავშეყრილი; კიბეებთან ახლოს, სადაც მოშიმშილეები ისხდნენ, თავისი მეგობრები მოძებნა და ხმადაბლა უთხრა:

– ლიდერებს გადაეცით, რომ გაფრთხილდნენ. 10 წუთის წინ პიონერთა სასახლის ბაღში ავღანეთიდან ჩამოყვანილი შეიარაღებული პროფესიონალი მკვლელების სპეციალური რაზმები შევიდნენ და განთავსდნენ.

8 აპრილის ღამეს სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა და გართულდა. ეროვნული პარტიების ლიდერები მთავრობის სახლის ტრიბუნასთან იდგნენ. მთავრობა ხალხს დაშლისკენ მოუწოდებდა. ხალხმა იცოდა, რომ რუსთაველის პროსპექტის სიახლოვეს საბჭოთა ჯარები და ტანკები იდგნენ, მაგრამ იქ მყოფ ადამიანებს შიშის გრძნობა დაჰკარგოდათ. ისინი მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

გამთენიისას, 9 აპრილის დილის 4 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა ტანკები გამოჩნდა, რომელთაც უკან მოჰყვებოდა სპეციალური დანიშნულების ჯარის ნაწილები, სახეზე აფარებული აირწინაღებით. იმ დროს ზურაბი თავის მეგობრებთან ერთად მთავრობის სასახლის კიბეებთან იდგა.

ჯავშანტრანსპორტიორებმა, ტანკებმა და ჯარმა გეზი ხალხისკენ აიღო. მათ ალყაში მოაქციეს მომიტინგეები და თავისუფალი დატოვეს ერთადერთი გასაქცევი გზა, მთავრობის სასახლის შიდა ეზოს მიმართულებით, სადაც ტყვიამფრქვევებით იყვნენ ჩასაფრებული საბჭოთა ჯარისკაცები. თავგადასარჩენად თუ ხალხი შემთხვევით შიდა ეზოში შევიდოდა, მათ ტყვიამფრქვევებით ცეცხლს გაუხსნიდნენ, ვითომცდა იმ საბაბით, რომ მომიტინგეებს

მთავრობის სასახლის აღება და კანონიერი მთავრობის დამხობა უნდოდათ. რამდენიმე ადამიანმა დაინახა მეტყვიამფრქვევები და მომიტინგეები გააფრთხილეს, რომ შიდა ეზოში არ შესულიყვნენ, რადგან იქაც საბჭოთა ჯარი იდგა.

ჯარისკაცებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. თვითონ მათ აირწინაღები ეკეთათ, ხალხში კი მომაკვდინებელი, ფსიქოტროპიული და მაპარალიზებელი გაზები გაუშვეს. შემდეგ სასანგრე რკინის ბარები მოიმარჯვეს, დაიწყეს მომიტინგეების უმოწყალოდ ჩეხვა და ალყის რკალის შევიწროება, რათა ქიმიური გაზებისაგან გაბრუებული ხალხი მთავრობის სახლის შიდა ეზოში ძალით შეეყვანათ.

ზურაბი მომიტინგე ხალხის შუაში იდგა, მთავრობის სახლის კიბეებთან ახლოს. მის გვერდით მომწამვლელი გაზის მხრჩოლავი ბალონი დაეცა, ზურაბს თავბრუ დაეხვა, თვალებში დაუბნელდა და პირში უცნაური, არასასიამოვნო, გულისამრევი გემო შეიგრძნო. მან სასწრაფოდ გაიხადა სქელი ჯემპრი, მაისური გაიძრო და ცხვირ-პირზე შემოიკრა, გაზი რომ არ ესუნთქა, ჯემპრი ისევ ტანზე გადაიცვა და კიბეებზე სირბილით აიჭრა. ის რამდენიმე კაცის გვერდით ჩადგა, რომლებიც შიდა ეზოში შესასვლელ გზას კეტავდნენ, რომ ხალხი შიგნით არ შესულიყო.

მომიტინგეებს შორის მრავლად იყვნენ სპორტსმენი, ძლიერი ბიჭები. ისინი ერთად შეიკრიბნენ, საბჭოთა ჯარს ვაჟკაცურად, გმირულად ეკვეთნენ, ალყის რკალი გაარღვიეს და ერთ მხარეს ხალხს გასასვლელი გზა გაუხსნეს. იმ ადგილას, სადაც ზურაბი იდგა სხვა ბიჭებთან ერთად, საბჭოთა ჯარისკაცებმა გვერდიდან მიიტანეს იერიში. უცებ ზურაბის წინ სასანგრე ბარით რუსის ჯარისკაცი აღიმართა. ზურაბი ორივე ხელით ჯარისკაცის ბარიან ხელს ჩაებღაუჭა და მთელი ხმით შეჰყვირა მასთან ახლოს მოსულ ჯარისკაცებს:

– არა გრცხვენიათ?! რატომ ხოცავთ უბრალო ხალხს?!

საპასუხოდ ზურაბს უკნიდან მოესმა, პოლუჩაი ზა სტალინაო, და უცებ იგრძნო, კეფასა და თავში უკნიდან როგორ მოხვდა მეორე რუსი ჯარისკაცის სასანგრე ბარი. წამიერი საშინელი ტკივილის შემდეგ მან გრძნობა დაკარგა. რამდენიმე ხანში, ოდნავ გონს რომ მოვიდა, ვიღაც კაცი მას ქაშვეთის ეკლესიის მხარეს მიათრევდა და ეუბნებოდა, გაუძელი, შვილო, გამაგრდიო. ზურაბს წამოაღებინა და საბოლოოდ დაკარგა გონება.

იმ ღამეს დაიღუპა 21 ადამიანი, მეტწილად ახალგაზრდა გოგონები; რამდენიმე ასეული ადამიანი კი დაიჭრა და გაზებით მოიწამლა.

იმ ღამეს თვალნათლივ გამოაშკარავდა მიხეილ გორბაჩოვის სისხლიანი მმართველობის მთელი სისასტიკე. მარტო უაზრო და ცარიელი ლაპარაკით რომ ვერაფერს მიაღწია, მან ტანკები და ჯარი შეუსია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს. საბჭოთა ჯარი ყველგან ერთნაირი ხელწერით მოქმედებდა. ისინი სამაგალითო ეგზეკუციითა და წარმოუდგენელი სისასტიკით სჯიდნენ უბრალო, უიარაღო მოსახლეობას, რომლებიც მხოლოდ კონსტიტუციური კანონის შესრულებას მოითხოვდნენ მთავრობისაგან.

ყველასათვის გასაგები იყო, რომ გორბაჩოვის ბრძანების გარეშე საბჭოთა ჯარი თვითნებურად ვერანაირად ვერ ჩავიდოდა სხვა რესპუბლიკაში და მშვიდობიან ხალხს სროლას ვერ დაუწყებდა. ჯარი ასრულებს მხოლოდ ბრძანებას, ასეთი სახის ბრძანებას კი მხოლოდ ქვეყნის მეთაური გასცემს.

თბილისის შემდეგ გორბაჩოვმა იგივე გაიმეორა აზერბაიჯანში, შუა აზიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. ბოლოს კი იმდენად გათავხედდა, რომ თვითდაპატიმრების ინსცენირება გაითამაშა, იაფფასიანი სპექტაკლი მოაწყო და შემდეგ, მოსკოვშიც კი, ხალხის წინააღმდეგ ტანკები და ჯარები შეიყვანა.

ძალიან ბევრი ადამიანის ცოდვა აწევს მას კისერზე. გასაკვირია პირდაპირ, როგორ დადის დღემდე მიხეილ გორბაჩოვი დაუსჯელად მოსკოვში და ან ტელევიზიით რატომ აჩვენებენ მის ინტერვიუებს. თუმცა არაფერი აღარაა გასაკვირი, რადგან თითქმის საუკუნე გავიდა, რაც ლენინი მოკვდა და ის საცოდავი ჯერ კიდევ არ დაუმარხიათ. აბა, მაშ გორბაჩოვს როგორღა შეელევიან, ის ხომ კომუნისტური სისტემის ნამდვილი, ცოცხალი სიმბოლო და ლეგენდაა.

****

9 აპრილის დაჩეხილი და მოწამლული ადამიანები თბილისის მთავარ რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყვნენ მოთავსებულნი. საავადმყოფოს მთელი პერსონალი დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა იმ საშინელ ღამეგამოვლილ და სიკვდილს გადარჩენილ რამდენიმე ასეულ პაციენტს. მართალია, ინდრა მასაჟისტი იყო, მაგრამ მასაც უწევდა კვირაში ორი დღე მორიგეობა. ინდრას მორიგეობის დროს წინა დღის მორიგემ იგი ერთ-ერთ პალატაში შეიყვანა და მოკლედ გააცნო იქ მწოლიარე რამდენიმე ავადმყოფის მდგომარეობა. ზურაბი კუთხეში იწვა, კედელთან. სასანგრე ბარით გახეთქილ თავზე ექიმებმა მას 10 ნაკერი დაადეს და მთლიანად ბინტით გადაუხვიეს, სახეზე კი ჟანგბადის ნიღაბი ეკეთა, რომ გაზით მოწამლული ფილტვები გასუფთავებულიყო. საავადმყოფოში ავადმყოფთა უმრავლესობა ანალოგიურ მდგომარეობაში იყო. ტკივილგამაყუჩებლების ზემოქმედებით ზურაბს ორი დღე-ღამე გადაბმულად ეძინა. მესამე დღეს ექიმების ლაპარაკმა გამოაფხიზლა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა.

– სადა ვარ? – ყრუდ გაისმა პალატაში ზურაბის აღელვებული ხმა.

– ორი დღეა, რაც გათიშულს სძინავს, ახლა ამოიღო პირველად ხმა, – უთხრა მორიგემ ინდრას და ისინი მის საწოლს მიუახლოვდნენ.

– საავადმყოფოში ხართ. დამშვიდდით. მთავარია, ცოცხალი გადარჩით, ყველაფერი კარგად იქნება. – გულისხმიერად წარმოთქვა ინდრამ.

– რატომ ვერ ვხედავ ვერაფერს? – გაიკვირვა ზურაბმა, სახეზე ხელი მოისვა და იგრძნო, რომ სასუნთქი ნიღაბი ეკეთა; ამიტომაც ისმოდა მისი ხმა მოგუდულად.

ინდრამ მის ლოგინზე ჩამოკიდებულ სამედიცინო ქაღალდებს დახედა და თქვა:

– თავზე ჭრილობა გაქვთ გადახვეული და ბინტი თვალებს გიფარავთ.

– გემუდარებით, თვალები ოდნავ მაინც გამომიჩინეთ, – ითხოვა ზურაბმა.

–კარგი, სულ ოდნავ, მაგრამ ბინტს ჯერ ვერ მოგხსნით, ახალი ჭრილობაა, - წარმოთქვა ინდრამ, მისკენ დაიხარა და ბინტი ოდნავ ზევით შეკეცა, რომ თვალები გამოეჩინა.

ზურაბმა სახიდან სასუნთქი ნიღაბი მოიხსნა და შეიგრძნო ინდრას სუნამოს სასიამოვნო არომატი. მისი გრძელი თმების კულულები ოდნავ ეხებოდა ვაჟის სახეს.

– ჟანგბადის ნიღაბს ჯერ ნუ მოიხსნით, მოწამლული ხართ. – ისევ დაადო სახეზე ნიღაბი ინდრამ და შემდეგ უთხრა: – აბა, გაახილეთ თვალები.

მკვეთრმა შუქმა წამიერად თვალი მოკვეთა ზურაბს და შემდეგ მან დაინახა ალუჩისფერი მწვანე თვალები, გაფართოებულნი რომ შესცქეროდნენ მას, და ანგელოზივით მშვენიერი თეთრი სახე, რომელსაც ოქროსფერი, მოგრძო კულულები ამშვენებდა. თეთრ სამედიცინო ხალათში გამოწყობილი ინდრა სათნოდ უღიმოდა მას.

ზურაბმა მაშინვე იცნო ის გოგონა, რომელიც ადრე კონსერვატორიასთან ნახა შემთხვევით და რომელსაც შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა. მან გამბედაობა მოიკრიბა და გაჭირვებით, ძლივს წარმოთქვა:

– რადგან სიკვდილს გადავრჩი, პირობას გაძლევთ, რომ 40 წლის ასაკში პარიზში ერთად ვისეირნებთ!

გაკვირვებულმა ინდრამ მოულოდნელობისაგან გულიანად გადაიკისკისა და სიცილით უთხრა მეორე ექიმს:

– დონ ჟუანი გაგვიცოცხლებია თურმე და მეორედ მოსულა ამ ქვეყანაზე! – შემდეგ მან სხვა ავადმყოფებსაც ჩამოუარა და პალატიდან გავიდა.

ზურაბი ბედნიერი იყო! ბოლოს და ბოლოს, მან იპოვა ის გოგონა, ვისაც დიდი ხანია დაეძებდა. იგი მოუთმენლად ელოდებოდა ინდრას გამოჩენას. შემდეგი მორიგეობა მას სამი დღის შემდეგ უწევდა და ის სამი დღე საწოლზე მიჯაჭვული ზურაბისთვის სამ საუკუნედ გაიწელა.

სამი დღის შემდეგ მორიგეობაზე დაბრუნებული ინდრა კვლავ შევიდა პალატაში, სადაც ზურიკო იწვა. მის დანახვაზე ზურაბს სახე გაუნათდა და ინდრას მიმართა:

– მიშველეთ, ექიმო, ცუდად ვარ!

– რა გჭირთ? – იკითხა ინდრამ.

– სიყვარულის დაავადება მჭირს, ექიმო! – მიუგო ზურიკომ.

– ააა! დონ ჟუანი, ხომ?! – ჩაიცინა ინდრამ და თავი გააქნია. იგი მიჩვეული იყო ავადმყოფებისგან სხვადასხვა სახის ხუმრობა-ქათინაურების მოსმენას და სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდა ასეთ ლაპარაკს, მხოლოდ ოდნავ გაიღიმებდა და გადიოდა პალატებიდან. მისთვის თითქმის ყველა პაციენტი ერთმანეთის მსგავსი იყო, თეთრი ბინტებით თავშეხვეულები და სახეზე ჟანგბადის ნიღაბდადებულები, ისინი, ყველანი, ერთმანეთს წააგავდნენ, სახე თითქმის არ უჩანდათ. პალატიდან გასვლამდე ინდრამ თავისდა უნებურად თვალი შეავლო ზურიკოს საწოლზე დაკიდებულ სამედიცინო დოკუმენტს, რომელზეც ეწერა: *ზურაბ კალატოზიშვილი.*

სამი დღის შემდეგ ინდრას კვლავ მოუწია მორიგეობამ. ზურაბმა კვლავ დახმარება სთხოვა:

– მიშველე, ექიმო, გადამარჩინე!

– ისევ სიყვარულის დაავადება გჭირს? – გაიღიმა ინდრამ.

– დიახ, ასეა, ექიმო. კონსერვატორიის კარებთან თქვენი დანახვის შემდეგ სიყვარულით ვარ დაავადებული, – წარმოთქვა ზურაბმა.

– კონსერვატორიაში არ მისწავლია, – გაეცინა ინდრას.

– ვიცი, მაგრამ თქვენს მეგობარ გოგონას ელოდებოდით იმ დროს. მას შემდეგ დაგეძებთ და მადლობა უფალს, რომ გიპოვეთ! – მიუგო ზურაბმა.

– როდის იყო ეგ? – გაიკვირვა ინდრამ.

– რამდენიმე წლის წინ, - უპასუხა ზურიკომ.

– მუსიკოსი ხართ?

– კი. ვიოლონჩელისტი.

ინდრამ გაიღიმა, თავი გააქნია და პალატიდან გავიდა.

მალევე ზურაბს თავიდან ბინტი შემოხსნეს. ჭრილობა უკვე შეხორცებული იყო. ფილტვებიც გაწმენდილი ჰქონდა და მკურნალობის დასრულება სახლში დაუწესეს. ინდრა იმ დროს საავადმყოფოში არ იყო, მაგრამ ზურაბმა ყველა ინფორმაცია შეაგროვა ინდრას შესახებ და სახლში დაბრუნდა მკურნალობის დასასრულებლად.

როდესაც ინდრა მორიგეობაზე დაბრუნდა და ზურიკოს პალატაში შევიდა, არ იცოდა, რომ ზურაბი უკვე გაწერილი იყო. მან დაინახა, რომ იმ საწოლზე, სადაც „დონ ჟუანი“ იწვა, ზურგით მწოლიარე მამაკაცს თავზე ბინტი აღარ ეკეთა. ინდრას ძალიან აინტერესებდა მისი სახის ნახვა, ცნობისმოყვარეობამ სძლია, საწოლს მიუახლოვდა და ოდნავ ჩაახველა. ავადმყოფი გადმოტრიალდა, ინდრამ მისი ულამაზო და კბილებგაშავებული სახე რომ დაინახა, კინაღამ გული შეუწუხდა და გაიფიქრა, ნუთუ ეს იყო, სიყვარულს რომ მეფიცებოდაო. მან უნებლიეთ დახედა საწოლზე დაკიდებულ სამედიცინო დოკუმენტს, რომელზეც ახალი პაციენტის, ქურთი მეეზოვის გვარი და სახელი ეწერა.

თავის კაბინეტში დაბრუნებულ ინდრას კოლეგებმა წერილი გადასცეს და უთხრეს, გუშინ გაწერილმა ერთმა პაციენტმა დაგიტოვათო. ინდრამ წერილი გახსნა, სკამზე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო:

ძვირფასო ინდრა!

საავადმყოფოდან გამწერეს, მკურნალობას სახლში დავიმთავრებ. იმ დღეს თქვენთან საუბარი მინდოდა, მაგრამ მორიგეობა არ გიწევდათ. ჩემი გამოჯანმრთელების შემდეგ ჩვენ აუცილებლად შევხვდებით. მთავარია, რომ გიპოვეთ, ამდენი ხნის ძებნის შემდეგ, და აღარასოდეს დაგკარგავთ. დიდი პატივისცემით,

ზურაბ კალატოზიშვილი

XXIV

გავიდა ხანი და ინდრას ნორმალური სამუშაო გრაფიკი აღუდგა. 9 აპრილის ღამეს დაშავებული პაციენტები საავადმყოფოდან უკვე გაწერილები იყვნენ. ერთ დღეს, სამსახურში მისვლისას, ინდრას კაბინეტში მშვენიერი ყვავილების დიდი თაიგული დახვდა, პატარა ბარათთან ერთად, რომელშიც ეწერა:

ძვირფასო ინდრა!

სამი დღის შემდეგ გიწვევთ საოპერო თეატრში, ვერდის ოპერაზე „ოტელო“, სადაც შედგება თქვენი მეგობარი გოგონას დებიუტი, დეზდემონას როლში. ბილეთები უკვე შეძენილი მაქვს. სამსახურის დასრულების შემდეგ გამოგივლით. დიდი პატივისცემით,

ზურაბ კალატოზიშვილი

წერილის წაკითხვის შემდეგ ინდრამ დახედა ყვავილების მშვენიერ თაიგულს, სასიამოვნო სურნელს რომ აფრქვევდა და თვალწინ წარმოუდგა „დონ ჟუანი“, სისხლით დალაქული ბინტით თავშეხვეული და დავიწყებული პაციენტი, რომლის სახეც კი არ ენახა.

სამმა დღემ ხელად გაირბინა. ინდრას აღარც ახსოვდა ოპერა, ძალიან დაკავებული იყო და თავიდან ამოუვარდა. სამსახურიდან რომ გამოდიოდა, მთავარ კარებთან მას მიეგება ელეგანტურად ჩაცმული, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი.

– გამარჯობა, ინდრა! – სასიამოვნო, დაბალი ტემბრით წარმოთქვა გაღიმებულმა ზურიკომ.

– გამარჯობა, – მიუგო შეცბუნებულმა ინდრამ. დააკვირდა და ვერ გაიხსენა, ვინ იყო ეს ახალგაზრდა, ოდეკოლონის სასიამოვნო სუნი რომ ასდიოდა და თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

ზურიკომ შეატყო ინდრას დაბნეულობა, კოსტუმის გულის ჯიბიდან ოპერის ორი ბილეთი ამოიღო და ღიმილით წარმოთქვა:

– ინდრა, რამხელა სიხარულია, ისევ რომ გნახეთ! ესეც დაპირებული „ოტელოს“ ბილეთები; ტაქსი გველოდება, ჩავსხდეთ და წავიდეთ, – ზურიკომ ხელით საავადმყოფოს კიბეებთან გაჩერებულ ტაქსზე მიანიშნა.

ინდრას გაახსენდა თავშეხვეული პაციენტი „დონ ჟუანი“, გაოცებისაგან ლამაზი ბაგე გაეპო, და გაკვირვებული მზერა მიაპყრო ვაჟს. ზურაბი მიხვდა ინდრას რეაქციას, თბილად გაუღიმა, რამდენჯერმე დაუქნია თავი, ინდრას ხელი მოიმწყვდია თავის ხელებში და გაღიმებულმა დაბალ ხმაზე უთხრა:

– კი, ის თითქმის მომაკვდავი პაციენტი მე ვარ, ზურაბ კალატოზიშვილი!

ინდრას გაეღიმა, ხელი გამოართვა ზურაბს და მიუგო:

– სამწუხაროდ, სულ გადამავიწყდა, იმდენად დაკავებული ვარ. ერთი კერძო მასაჟიც მაქვს გასაკეთებელი. ახლა იქ ვაპირებ წასვლას. ყვავილებიც ხომ უნდა მივართვა ჩემს მეგობარს პრემიერის შემდეგ, თან საოპეროდაც არ ვარ ჩაცმული. არა ვარ მზად.

– მშვენივრად გამოიყურებით, ინდრა, თქვენს ნახვას არაფერი სჯობს, დიდი სიამოვნებაა თქვენი მხოლოდ ცქერაც კი. რაც შეეხება მასაჟს, მოასწრებთ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს. ერთად წავიდეთ, დროს ნუ დავკარგავთ. ყვავილები კი უკვე გამზადებული მაქვს, მანქანაში დევს, – ღიმილით მიუგო ზურიკომ და ხელკავგამოდებული ინდრა ხელკავით ჩაიყვანა კიბეებზე.

ტაქსის მძღოლს ინდრამ მისამართი უთხრა და მანქანა დაიძრა. ზურაბს ეცნო მისამართი და ინდრას ჰკითხა:

– მაგ მისამართზე ჩემი ნაცნობი ქუმსიაშვილი ცხოვრობს. მასთან მიდიხართ მასაჟზე?

– დიახ, ძალიან ჭირვეული მოხუცი ყოფილა და მე გამგზავნეს მასთან. დღეს პირველად ვნახავ.

– ააა! დავითის ბაბუა იქნება, მამა ბაკური, – გაეცინა ზურაბს.

– იცნობთ? მღვდელია?

– კი, ვიცნობ და ძალზე თავისებური ხასიათი აქვს მამა ბაკურს. საეკლესიო დოქტრინისა და დოგმების გარდა სხვა არაფერი სწამს. ერთხელ თურმე ტელევიზიით ადამიანის მთვარეზე დასხდომას რომ გადასცემდნენ, წამომდგარა, ტელევიზორისთვის პირჯვარი გადაუწერია და ხმამაღლა დაუყვირია, ეგ ყველაფერი კაგებეს ხრიკებია; მაღლა, ზეცაში, მხოლოდ უფლისა და მთავარანგელოზთა სამყოფელიაო.

ინდრას მოულოდნელი დაძაბულობისა და უხერხულობის შემდეგ ზურიკოს მონაყოლზე უცებ სიცილი აუვარდა. მას ზურაბიც აჰყვა. შემდეგ ინდრამ გაიხსენა, თავზე ბინტმოხსნილი მახინჯი ქურთი მეეზოვე ზურიკო რომ ეგონა და კინაღამ გული შეუწუხდა.

– მე მოგიგზავნე ის მეეზოვე, – უთხრა ზურიკომ და ორივეს ისევ სიცილი აუტყდა. ასეთი მხიარულების შემდეგ ინდრას პირველი უხერხული დაძაბულობა მოეხსნა და სრული

თავისუფლება იგრძნო. ზურაბმა ტაქსში დადებული ყვავილების თაიგული და შოკოლადის პატარა ყუთი აიღო, ინდრას აჩვენა და შეეკითხა:

– მოგწონთ ყვავილები თქვენი მეგობრისთვის?

– კი, ძალიან ლამაზია, – მიუგო ინდრამ და ყვავილები დაყნოსა.

– ეს კიდევ ჩვენ მივირთვათ, – თქვა ზურაბმა, შოკოლადის ყუთი გახსნა და ინდრას გაუწოდა.

ტაქსი გაჩერდა. მოვედითო, თქვა მძღოლმა. ინდრამ ზურიკოს შეხედა, დაფიქრდა და შემდეგ ზურიკოს მიმართა:

– რადგან იცნობთ მღვდელს, წამომყევით, ორივე ერთად უფრო ადვილად დავიყოლიებთ.

– მხოლოდ ერთი პირობით, შენობით ვისაუბროთ ერთმანეთთან, – სთხოვა ზურაბმა.

– კარგი, კარგი. – სიცილით მიუგო ინდრამ.

ზურაბმა ტაქსის მძღოლს სთხოვა, თაიგულს მანქანაში დაგიტოვებთ და ერთ საათში მოგვაკითხეთ, რომ ოპერის თეატრში არ დაგვაგვიანდესო.

ქუმსიაშვილებთან რომ მივიდნენ, მამა ბაკური დიდ უარზე დადგა, არ აპირებდა ფეხებზე მასაჟის გაკეთებას. ღრმად მოხუცებულ მამა ბაკურს სიარული თითქმის აღარ შეეძლო, მაგრამ მასაჟისტებსა და ფიზიოთერაპევტებს არ ენდობოდა და მათ სატანის წარგზავნილებს ეძახდა. საუბარში ზურაბი ჩაერთო:

– მამაო ბაკურ, მე ხომ ყოველთვის მენდობოდით. ეს ექიმი ჩემი საცოლეა. შეხედეთ, რა ზღაპრული სილამაზე აქვს, რანაირად შეიძლება, სატანის მოგზავნილი იყოს, მისი უცოდველი სახე ხომ პირდაპირ ყინწვისის ანგელოზის ხორციელი განსახიერებაა. აღდგომის დღესასწაულზე თვით რომის პაპი თავის სამწყსოს სიმბოლურად ფეხს ბანს; იესო ქრისტემ დაღლილობისაგან შელახული თავისი ფეხები მარიამ მაგდალინელს მიანდო, რომელმაც ცრემლითა და თავისი თმებით განბანა მაცხოვრის დაოსებული ფეხები. სცადეთ ერთხელ, მამაო ბაკურ, მხოლოდ ერთხელ ვსინჯოთ; ამით ხომ არაფერს ვკარგავთ?!

მღვდელი დათანხმდა. გამოაცხადა, მხოლოდ ერთხელ ვსინჯავო, – და უხმოდ დაწვა საწოლზე. ინდრამ სპეციალური სარეაბილიტაციო მასაჟი ჩაუტარა, შემდეგ წამოაყენა, მხარში ამოუდგა და ოთახში მდგომი მაგიდის ირგვლივ ერთად რამდენიმე წრე დაარტყეს.

მამა ბაკური ლოცულობდა და გაიძახოდა, ღვთის სასწაულია, რომ დავდივარო. ინდრა კი სიცილით შეეკითხა:

– კაცი რომ იხრჩობოდა და უფალს შესთხოვა, ღმერთო, მიშველეო, უფალმა რა პასუხი გასცა მაშინ?

– ხელი გაანძრიე და გიშველიო! – უპასუხა გამოცოცხლებულმა მღვდელმა.

– ასე რომ, თქვენც ყოველდღიურად ფეხები უნდა გაამოძრაოთ, სულ წოლა არ შეიძლება. ყოველდღიურად მაგიდის გარშემო ნელ-ნელა უნდა იაროთ, ცოტა ხნით მაინც, მაგიდაზე დაყრდნობით, რომ ფეხის კუნთებს ძალა მიეცეს, – უთხრა ინდრამ.

ქუმსიაშვილებისაგან სიცილით გამოსულ ზურაბსა და ინდრას სახლთან ტაქსი უკვე ელოდებოდა. ისინი ჩასხდნენ მანქანაში და მალევე უკვე ოპერის თეატრში იყვნენ. ოპერის კაფეტერიაში სწრაფად წაიხემსეს და სპექტაკლიც დაიწყო.

ოპერის დასრულების შემდეგ მათ მიულოცეს დიდი წარმატება ინდრას მეგობარ ოპერის სოლისტს. შემდეგ ზურაბმა ინდრა სახლამდე მიაცილა. შუბლზე კოცნით დაემშვიდობა, – ხვალამდეო, უთხრა და ბედნიერი ღიმილით გასწია შინისკენ. სახლში მისულმა ინდრამ გაიფიქრა, რა სწრაფად გაირბინა დღევანდელმა დღემ, რა საინტერესო და დატვირთული იყო მოვლენებით, და საოცარია, რა თავისუფლად და იმედიანად ვგრძნობ თავს მის გვერდითო, თან თავს გამოუტყდა, რომ ძალიან მოეწონა ზურიკო.

XXV

9 აპრილის სისხლიანი დარბევის შემდეგ საქართველოში მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა. რესპუბლიკებს შორის თანასწორუფლებიანობის, ძლევამოსილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ძმობის მითებისა უკვე აღარავის სჯეროდა. მთელ საქართველოში კიდევ უფრო აზვირთდა ეროვნული მოძრაობა. ხალხი მოითხოვდა თავისუფალ არჩევნებს, რომელიც არასოდეს ჩატარებულა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველთვის მოსკოვიდან, კრემლის ბრძანებით იცვლებოდა და ინიშნებოდა.

ერთ-ერთი საგასტროლო ერთთვიანი ტურნედან დაბრუნების დროს, მოსკოვის აეროპორტის მკაცრი რეჟიმის საბაჟო კონტროლის პუნქტთან, სადაც ყოველთვის დიდი რიგებია ხოლმე, ზურაბი საბაჟოს მესაზღვრის სარკმელთან იდგა, გამზადებული პასპორტით. უცებ მას მოესმა, როგორ უბრძანა უფროსმა ოფიცერმა იმ მესაზღვრეებს, რომლებიც პასპორტებს ამოწმებდნენ:

– მუსიკოსების ორკესტრი საქართველოდან, შეუმოწმებლად, სწრაფად გაუშვით!

– რატომ? – იკითხა მესაზღვრეთა უფროსმა.

– საქართველო მალე უცხო სახელმწიფო იქნება, – უპასუხა ვიცე-პოლკოვნიკმა.

ზურაბი გაოგნებული დარჩა ამ სიტყვების გაგონებაზე. საქართველოს იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებულეობა. ესე იგი, ყველაფრის სცენარი წინასწარ იწერებოდა მოსკოვში და იქვე იგეგმებოდა. საქართველოში კი ხალხს ეგონა, თითქოს ისინი თვითონ წყვეტდნენ თავისი ქვეყნის ბედს.

რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებულობის გამოცხადება რუსეთის ახალმა პოლიტიკურმა ძალამ საბჭოთა კავშირის დასაშლელედ გამოიყენა. შემდგომში კი, ათასგვარი ხრიკებით, პოლიტიკური კონფლიქტებით, პროვოკაციებითა და პატარა ომებით, იმ ტერიტორიებს რუსეთი ისევ თავისი გავლენის ქვეშ დაიბრუნებდა. თავის ორბიტაში კვლავ მოქცეული ის ქვეყნები კი ახალ რუსეთს ბევრად უფრო იაფი დაუჯდებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირს უჯდებოდა ადრე მათი შენახვა.

1990 წელს საქართველოში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები. კომუნისტური პარტია დამარცხდა და ქვეყნის სათავეში მოვიდა ეროვნული მთავრობა, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს მთავრობამ, 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულობის აღდგენა.

1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და პუტჩისტებმა რამდენიმე დღით დააპატიმრეს მიხეილ გორბაჩოვი.

1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვი გადადგა და მეორე დღეს საბჭოთა კავშირი დაიშალა.

უსაქმოდ დარჩენილი და პენსიაში გასული საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში ცხოვრობდა. თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მან მაღალ თანამდებობებზე გაატარა, და პენსიაში გასვლის შემდეგ მოსკოვის გარეუბნის აგარაკზე უსაქმოდ ჯდომას ჯერ არ აპირებდა. მან სამშობლოში დაბრუნება და საქართველოს პრეზიდენტობა მოინდომა, რაშიც რუსეთი დაეხმარებოდა. შევარდნაძე გაურიგდა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს, რომელმაც მას გარკვეული პირობები წაუყენა. შევარდნაძეს უნდა დაეთმო საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური ოლქები რუსეთისთვის, აქ უნდა დარჩენილიყო რუსეთის ჯარის ბაზები და საქართველო უნდა შესულიყო დამოუკიდებელ

სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რომელიც რუსეთმა შექმნა საბჭოთა კავშირის სანაცვლოდ. შევარდნაძე დათანხმდა.

ეროვნული მოძრაობიდან მოსულ საქართველოს ახალ მთავრობას პროფესიონალი კადრები ჯერ არ ჰყავდა; მათ აღსაზრდელად, ჩამოსაყალიბებლად და პროფესიული საქმიანობის დასაუფლებლად დრო და მოთმინება იყო საჭირო. დროთა განმავლობაში მინისტრებიც გამოიცვლებოდნენ, მთავრობაც, და დაშვებული შეცდომებიც თანდათანობით გამოსწორდებოდა, ახალი და ძლიერი ქვეყნის აღმშენებლობის რთულ და ხანგრძლივ გზაზე. მაგრამ შეუჩვეველი დემოკრატიისა და ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავბრუდამხვევმა ქაოსმა ქვეყანაში არეულობა გამოიწვია. ერთიანი, დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დანაწევრდა და მრავალ პატარა პარტიად გაიხლიჩა, რომელთა შორის უთანხმოებები მუდმივად იზრდებოდა და მწვავდებოდა.

სწორედ ეს ვითარება გამოიყენეს კრემლმა და შევარდნაძემ. ისინი საქართველოში დაუკავშირდნენ ორ კრიმინალურ პერსონას, რომელთაც დაევალათ, მოხალისეებისაგან შეექმნათ საჯარისო ფორმირებები, და რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მათ საჩუქრად გადასცეს სამხედრო ფორმები, რამდენიმე ათასი კალაშნიკოვის ძველი ავტომატი, რამდენიმე ძველი, ჩამოწერილი ტანკი და ზარბაზანი.

ასე შეიქმნა ეროვნული გვარდია, თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, და მხედრიონის სამ-ხედრო დაჯგუფება, ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით. მათ ოპოზიციის მხარე დაიჭირეს; ახალი მთავრობით უკმაყოფილო ხალხის ნაწილიც თავიანთ მხარეზე გადაიბირეს, და დაიწყო დაპირისპირება ზვიად გამსახურდიას კანონიერ მთავრობასთან, რომელმაც სულ რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებულობა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ინდრას და ზურაბს თავიანთი განსაკუთრებული ცხოვრება ჰქონდათ. მათ ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი, ტკბებოდნენ ამ სიყვარულით და ქვეყნის არეულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ. ზურაბს ხანდახან სამეცადინო თუ ჰქონდა, ან ნოტები თუ უნდა შეესწავლა, როცა ინდრა სახლში იყო, მასთან მიდიოდა სამე-ცადინოდ, რადგან ინდრას უყვარდა მისი მოსმენა. ზურაბი კი თან შეყვარებულთან იყო, თან მეცადინეობდა, და ამით უზომოდ ბედნიერი იყო. მეცადინეობის დროს თან ხუმრობდნენ, ხან გასართობებს იგონებდნენ, და დროს მხიარულად ატარებდნენ.

ერთხელ ზურაბი ოპერა „კარმენის“ საოპერო არიებსა და უვერტიურებს ამზადებდა მომავალი გალა-კონცერტისთვის, ინდრა კი, ჩაის ჭიქით ხელში, ტახტზე ჩამომჯდარი, მოღიმარი სახით უსმენდა. როდესაც ზურაბმა დაკვრა დაამთავრა, ინდრამ უთხრა:

– გისმენ და მიკვირს; როცა უკრავ, ხანდახან შენი ისტრუმენტი ისე ინტიმურად ჟღერს, რომ ლამისაა ეჭვიანობა დავიწყო ვიოლონჩელოზე.

ზურაბმა გაიცინა, აბა, ახლა მომისმინეო, უთხრა და სპეციალურად დაიწყო ჩელოს დაკვრა ძალიან ინტიმური, სექსუალური ტემბრითა და ჟღერადობით. ინდრა გაკვირვებული უსმენდა. შემდეგ ზურიკომ, დაკვრის დროს, დაბალ ხმაზე ოპერა „კარმენის“ არიების მღერა დაიწყო.

ინდრა სიცილისაგან იგუდებოდა. ზურაბმა დაკვრა რომ დაამთავრა, პირმცინარ ინდრას მოეხვია, რამდენჯერმე აკოცა ბროწეულის ყვავილისფერ ტუჩებში და უთხრა:

– დიდი იტალიელი მევიოლინე ნიკოლო პაგანინი ხანდახან ისეთი აშკარად ინტიმური ხმით უკრავდა და ისე აჟღერებდა გვარნერის ვიოლინოს, რომ ეკლესიამ ის გარყვნილ არსებად გამოაცხადა და ჯადოქრად შერაცხა. მისი სიკვდილის შემდეგ კი, 21 წლის განმავლობაში, ნებას არ რთავდნენ, რომ საცოდავი პაგანინის ცხედარი ქრისტიანული წესით დაეკრძალათ.

ინდრას მამა, გიორგი, რომელიც ავადმყოფობის გამო ლოგინს იყო მიჯაჭვული, უსმენდა ზურაბის მიერ შესრულებულ მუსიკას და იმედიანად იყო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ინდრა კარგ და საიმედო კაცთან დარჩებოდა, რომელსაც მისი ქალიშვილი გულწრფელად უყვარდა. ზურაბი ხშირად დადიოდა საკონცერტო გასტროლებზე. ინდრას მამა, გიორგი ჭანტურიძე, უკვე 80 წელს უახლოვდებოდა; მას კუჭის მძიმე დაავადება ჰქონდა და მთელ თავისუფალ დროს ინდრა მამის გამოჯანმრთელებას ანდომებდა. ჯერ ოპერაცია გაუკეთა, შემდეგ კი ხან ბორჯომში დაჰყავდა სამკურნალოდ, ხან სხვა კურორტების სანატორიუმებში, ზაფხულობით კი მშობლიურ სოფელში, ზედა საზანოში ჩაჰყავდა დასასვენებლად.

ზურაბს ინდრასთან სტუმრობის დროს ძალიან სიამოვნებდა გიორგი ჭანტურიძესთან საუბარი. ბებერი ლომი, რომელმაც დიდი ხანი იცხოვრა და ბევრი ნახა ამ ქვეყანაზე, - როგორც ხანდახან იტყოდა ხოლმე თავის თავზე გიორგი, – ძალიან ნერვიულობდა იმ ვითარებაზე, რაც იმ პერიოდში სუფევდა საქართველოში და ამიტომ ხშირად ესაუბრებოდა ახალგაზრდებს, თავის გამოცდილებას უზიარებდა, არიგებდა, რჩევებს აძლევდა ზურაბს:

– არ ჩაერიო, შვილო, პოლიტიკაში. თქვეთ არ იცით, ვის ებრძვით, რა გველეშაპს შეეჭიდეთ. მე კარგად ვიცნობ ამ სისტემას. რუსეთი საქართველოს დამოუკიდებულობის გამოცხადებას არ აპატიებს. ეროვნულმა გვარდიამ და მხედრიონმა ათასობით ავტომატი, სამხედრო იარაღი, ტანკები და ზარბაზნები სად შეიძინა? ამ ყველაფერს პურის ან ხორცეულის მაღაზიებში ხომ ვერ იყიდის კაცი. ხალხი ვერ ხვდება, რომ რუსეთმა ოპოზიციას იარაღი კანონიერი მთავრობის დასამხობად მისცა. ამ ყველაფერში კი ნამდვილად შევარდნაძის ხელი ურევია, რადგან რუსული იარაღი ისეთ დროს განაწილდა და ისეთ ხალხს მიეცა, რომ ამას მხოლოდ საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული ადამიანი თუ გააკეთებდა.

ხალხმა დაივიწყა, 1983 წელს თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭები უმოწყალოდ რომ დაახვრეტინა შევარდნაძემ. შემდეგ კი, სანამ მოსკოვში გადაიყვანდნენ, კრემლიდან ბრძანება მიიღო, რომ სომხებისთვის სახლებისა და მიწების შესყიდვის უფლება მიეცა აფხაზეთში, და ისიც დაემორჩილა მოსკოვის ბრძანებას. რატომ მოხდა ეს, თუ იცი?! როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ნიშნები გამოჩნდა, კრემლმა წინასწარ განსაზღვრა, რომ აფხაზეთის შესანარჩუნებლად იქ თავისი ხალხი სჭირდებოდა, ვისაც დაეყრდნობოდა. მოსკოვი დიდ ფულს აგზავნიდა სასომხეთში იმ ოჯახებისთვის, ვინც აფხაზეთში დააპირებდა გადასახლებას. ასე გაჩნდა აფხაზეთში ათასობით ახალი სომხური ოჯახი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენი ჯარი პროვოკაციას აჰყვეს, აფხაზეთში შევიდეს და ძმათა შორის ომი დაიწყოს, ქართველებს პირველები ტყვიას სომხები ესვრიან. იმისთვის ჩაასახლეს ისინი იქ რუსებმა.

შევარდნაძემ თავის დროზე საკუთარი ძმა არ დაინდო და კარიერის გულისათვის ციხეში ჩასვა; თავისი პოლიტიკური ნათლიმამა, მჟავანაძე, რომელმაც შევარდნაძეს კარიერა გაუკეთა, მან მოახსნევინა; ჭკვიანი მინისტრები, პატარიძე და ხაბეიშვილი კი, მოსპო და გაანადგურა, კონკურენტები რომ არ ჰყოლოდა; არაერთხელ გაყიდა სამშობლო. კარიერის გულისთვის ის ყველაფერზე წამსვლელია, ამიტომ ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ყველა უბედურება, რაც ამჟამად აქ ხდება, მოსკოვიდან მოდის და ყველაფერში ედუარდ შევარდნაძის მოღალატური ხელი ურევია. – ასე ფიქრობდა ბებერი ლომი, რომელსაც ბევრი ეცხოვრა და ენახა ამ ქვეყანაზე.

... ასეც მოხდა. 1991 წლის 21 დეკემბერს ეროვნული გვარდია და მხედრიონი, რუსული ტანკებითა და ზარბაზნებით, რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა. მათ მთავრობის სახლს

ცეცხლი გაუხსნეს და იმ ტერიტორიასთან მდებარე სხვა შენობებიც დაწვეს და დაანგრიეს. ახლად შექმნილმა ქართულმა ჯარმა რუსული ჯარის ფუნქცია შეასრულა, თან ისე, რომ ვერც კი ხვდებოდნენ, რომ მათ კრემლი მართავდა და იყენებდა თავისი ინტერესებისათვის.

იმ სამხედრო ოპერაციას თბილისში ხელმძღვანელობდა კაგებეს გენერალი სუფიან ბიპაევი, რომელიც მოსკოვიდან კავკასიაში ჯერ კიდევ იმ დროს გაიგზავნა, როდესაც გორბაჩოვი კრემლის ტრიბუნიდან იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რომლებსაც დამოუკიდებულობა სურდათ, თითის ქნევით ემუქრებოდა და უყვიროდა, ვერსადაც ვერ წახვალთო!

იმ ავბედით დროს კაგებეს გენერალი ბიპაევი თბილისში, საბჭოთა არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში იმყოფებოდა და ყველა არეულობა, რაც კი ხდებოდა კავკასიის რესპუბლიკებში 90-იან წლებში, მისი ორგანიზებული იყო. დირექტივებს კი ბიპაევი, ცხადია, კრემლიდან ღებულობდა. კიტოვანსა და იოსელიანს სწორედ მან გადასცა 50 ათასი დაძველებული ავტომატი, სამხედრო ფორმა და რუსეთის არმიის შეიარაღებიდან ჩამოწერილი ძველი ტანკები და ზარბაზნები.

თბილისის სამარცხვინო სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყნიდან გაიქცა. მთავრობაში მოსულმა ტრიუმვირატმა: კიტოვანმა, იოსელიანმა და სიგუამ ციხეებიდან რამდენიმე ათასი კრიმინალი გამოუშვეს. სწორედ მათი დიდი ნაწილით შეივსო ეროვნული გვარდია და მხედრიონი.

1992 წლის მარტის თვეში შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ჩაფრინდა და ოცნება აისრულა – ხალხის ნების უკითხავად კვლავ საქართველოს ხელისუფალი გახდა. რუსეთი მას დაეხმარა ქვეყნის მმართველობის ხელში ჩაგდებაში. დადგა დრო, რომ მას კრემლის ვალები გაესტუმრებინა: ავტონომიური ოლქების კონტროლი ოფიციალურად რუსეთისათვის გადაეცა, დაეკანონებინა რუსული სამხედრო ბაზების ქვეყანაში ყოფნა და საქართველო გაეწევრიანებინა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში – საბჭოთა კავშირის მსგავს ახალ წარმონაქმნში, რომელსაც კრემლი აკონტროლებდა.

ამისათვის ვითომ პატარა ომი იყო საჭირო, რისი გეგმაც მოსკოვში შეადგინეს. სწორედ ამ გეგმის მიხედვით, 1992 წლის 14 აგვისტოს ეროვნული გვარდია და მხედრიონი, ბიპაევის მიერ გადაცემული მოძველებული ტანკებით, აფხაზეთში შევიდნენ, სადაც დაიწყო უაზრო, გაყიდული ომი, რომელიც წინასწარ იყო განწირული წასაგებად.

ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე კი რუსეთის ფლოტის საზღვაო დესანტი უკვე სრულ მზადყოფნაში იყო აფხაზეთის სანაპიროზე გადმოსასვლელად.

იმ პერიოდში საქართველოში ცხოვრების დონე ძალიან დაეცა. ფულმა დევალვაცია განიცადა და გაუფასურდა. მიზერული ხელფასების გაცემას თვეობით აგვიანებდნენ. ხალხი ლუკმაპურის შოვნასაც კი ვეღარ ახერხებდა. ზურაბმა, ცოტაოდენი ფული რომ გამოემუშავებინა, სიმფონიური ორკესტრის გარდა, მუშაობა დაიწყო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრსა და ერთ-ერთ საჯარისო სამხედრო სასულე ორკესტრშიც, სადაც ბარიტონზე უკრავდა. ასე გამოადგა მას საბჭოთა ჯარში მიღებული გამოცდილება.

XXVI

ინდრამ და ზურაბმა, დიდი სიყვარულის მიუხედავად, დრო ვერ გამოძებნეს, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეუღლებულიყვნენ. ორივენი დღედაღამ მუშაობდნენ, რომ როგორმე ლუკმაპურის ფული მაინც ჰქონოდათ, თან ინდრა ავადმყოფ მამას უვლიდა და მისი გამოჯანმრთელებისათვის იბრძოდა.

გიორგი ჭანტურიძე ლოგინიდან ვეღარ დგებოდა. მან იგრძნო, რომ აღსასრული უახლოვდებოდა, გვერდით მოისვა ინდრა და მთელი თავისი ისტორია მოუყვა; უთხრა, ვინ იყვნენ ინდრას ნამდვილი მშობლები და როგორ მოხდა მისი შვილად აყვანა. ისიც უთხრა, თუ ძალიან გაგიჭირდეს და გამოსავალი არსაიდან გამოჩნდეს, მარტო თუ დარჩები, გაყიდე ეს სახლი და საცხოვრებლად ლატვიაში, რიგაში გადადი, იქ უფრო მეტად ცივილიზებული ხალხი ცხოვრობს ქვეყანაც უფრო დალაგებულიაო; ჩემი გაზრდილი ხარ, იქ, შენს ნამდვილ სამშობლოში არ დაიკარგები და აუცილებლად წარმატებასაც მიაღწევო.

იმ დროს ზურაბიც მივიდა ინდრას სახლში. გიორგის გაუხარდა მისი დანახვა, – აი, ჩემი ზურიკოც მოვიდაო; ორივეს გაუღიმა, ერთმანეთს მიხედეთო, უთხრა. შემდეგ მწარედ ამოიოხრა: ეჰ, შვილებო, მე მივდივარ და გული მტკივა, რომ ასეთ დანგრეულ და აწეწილ ქვეყანასა და ცხოვრებას გიტოვებთო; ბოლოს ცრემლიანი თვალებით თავის საყვარელ ქალიშვილს შეხედა.

– მივდივარ, მივემგზავრები, – უთხრა ინდრას და დაბალ ხმაზე ქართული ხალხური სიმღერა, „იმერული მგზავრული“ წამოიწყო. მესამე სტროფზე მისი გულისცემა შეწყდა. გიორგი ჭანტურიძე თავის ეპოქასთან ერთად გარდაიცვალა. ზურაბი დაეხმარა ინდრას მამის დაკრძალვაში. ახალგაზრდებმა დათქვეს, რომ 40 დღის გასვლის შემდეგ შეუღლდებოდნენ.

გიორგის დაკრძალვიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე იმ სამხედრო ნაწილში, სადაც ზურაბი დილის 8 საათზე სამხედრო მარშებს უკრავდა, ბრძანება გაიცა, რომ პოლკში დარჩებოდა ჯარისკაცთა მხოლოდ 20 პროცენტი, დანარჩენები კი აფხაზეთის ომში უნდა წასულიყვნენ.

თავიდანვე, როდესაც ზურიკო ამ ორკესტრში მივიდა სამუშაოდ, იცოდა, რომ სასულე ორკესტრს მარშები უნდა დაეკრა მხოლოდ დილაობით, ერთი საათის განმავლობაში, და შემდეგ მუსიკოსები თავისუფლები იყვნენ. ამგვარად, 11 საათზე ზურაბი უკვე სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციაზე იყო ხოლმე, საღამოობით კი ახალგაზრდული ორკესტრის რეპეტიციები ეწყებოდა.

ახალი ბრძანების მიხედვით, პოლკის ჯარისკაცთა 80 პროცენტი აფხაზეთში რომ წაიყვანეს, საჭირო რაოდენობის ხალხი აღარ დარჩა სამხედრო ობიექტების სადარაჯოდ, ამიტომ ორკესტრის წევრები აიძულეს, რომ დროებით, სანამ ჯარი აფხაზეთიდან დაბრუნდებოდა, შტაბში ემორიგევათ. წილისყრის მიხედვით, ზურიკოს ყოველ ორ კვირაში ერთხელ უწევდა პოლკის შტაბში მთელი დღით მორიგეობა. მალე ეს დღეც დადგა. პოლკში სამორიგეოდ გამოცხადებულ ზურაბს დილით ავტომატი მისცეს და მორიგეობის საბუთზე ხელი მოაწერინეს. ამის შემდეგ ის პოლკის შტაბში შევიდა და ტელევიზორის ყურება დაიწყო.

საღამოს შტაბში პოლკოვნიკი შევიდა და ზურაბს უთხრა, პოლკის მოედანზე გადიო, თვითონ კი რაღაც დოკუმენტებს დაუწყო ძებნა. ზურაბმა მიუგო, მორიგე ვარ შტაბში, აქაურობას ვერ დავტოვებო. პოლკოვნიკს მისკენ არც მიუხედია, ისე დაიყვირა:

– შევარდნაძის ბრძანებაა! პოლკი დაიკეტება და ყველა სასწრაფოდ აფხაზეთში მივდივართ!

– მე ორკესტრის მუსიკოსი ვარ, ჩემი საქმე მხოლოდ დაკვრაა, ჯარისა და ომის მე არაფერი გამეგება, – მიუგო ზურიკომ.

– ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. ეგ შევარდნაძეს აუხსენი. მისი ბრძანებაა, ვისაც ფორმა აცვია და ხელში იარაღი უჭირავს, რამდენიმე საათში აფხაზეთში უნდა იყოს. თუ არადა, სამხედრო ტრიბუნალზე წარსდგები. – უთხრა პოლკოვნიკმა ზურიკოს, დოკუმენტების ძებნას რომ მორჩა.

– ერთ კვირაში ქორწილი მაქვს, ცოლი მომყავს და ომში ვერ წავალ! – დაიყვირა გაბრაზებულმა და ანერვიულებულმა ზურიკომ.

– იცი რას გეტყვი? არც მე ვარ მებრძოლი ოფიცერი. პოლკის საწყობის უფროსი ვარ, მაგრამ ბრძანება უნდა შევასრულოთ, თუ არადა, კანონით დავისჯებით. ომი აფხაზეთში სადაცაა დამთავრდება, და მალევე სახლებში დავბრუნდებით. – რბილად, დაყვავებით მიუგო პოლკოვნიკმა.

– სახლში დავრეკავ ჩემებს გავაფრთხილებ, რომ ქორწილი გადადონ. – ზურიკო მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

– კარგი, სწრაფად ქენი, გარეთ გელოდები. – უთხრა პოლკოვნიკმა და შტაბიდან გავიდა.

ზურაბმა სწრაფად დარეკა სახლში და ინდრასთანაც. აუხსნა მათ ვითარება და დაამშვიდა: ეს მხოლოდ ფორმალობაა, ცუდია, რომ ჩემს მორიგეობას დაემთხვა, ომი მალე დამთავრდება და რამდენიმე დღეში სახლში ვიქნებიო.

პოლკის მოედანზე გასულ ზურაბს იქ სხვადასხვა ობიექტებზე მყოფი ოცამდე სამხედრო მორიგე და პოლკოვნიკი დაუხვდა. მალე სატვირთო მანქანაც გამოჩნდა. პოლკოვნიკმა ბრძანება გასცა, ჩასხედით მანქანაშიო; თვითონ შტაბი და პოლკის მთავარი ჭიშკარი დაკეტა, მძღოლის გვერდით დაჯდა და სატვირთო მანქანა თბილისის აეროპორტის მიმართულებით გაემართა.

აეროპორტში მისვლისას ზურაბმა შეამჩნია, რომ მორიგეები სხვა პოლკებიდანაც მოეხსნათ და ყველა აეროპორტში მიეყვანათ. მალევე ყველა ორ დიდ თვითმფრინავში მოათავსეს და სამხედროებით დატვირთული თვითმფრინავები აფხაზეთისკენ გაფრინდა.

ფრენის დაწყებიდან დაახლოებით ერთ საათში თვითმფრინავებმა სოხუმის აეროპორტში დაშვება დაიწყეს. მიწაზე დაშვებისას პირველ თვითმფრინავს თავზე შორიდან ნასროლმა ჭურვმა გადაუფრინა; მეორე თვითმფრინავს კი ჭურვი მიწაზე დაშვებისას მოხვდა, თვითმფრინავი აფეთქდა და შიგ მყოფი სამხედროები დაიღუპნენ. ზურაბი პირველ თვითმფრინავში იჯდა და სასწაულებრივად გადაურჩა დაღუპვას.

მალევე ზურაბი, 15-კაციან რაზმთან ერთად, აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს. ის სოფელი ქართველთა პოზიციებს ეკუთვნოდა და რაზმის დანიშნულება მისი გამაგრება იყო. მაგრამ თურმე წინა ღამით იმ სოფელში ჩეჩენთა დიდი რაზმი შესულა. ამის შესახებ ქართველებმა არაფერი იცოდნენ.

მიმალულმა ჩეჩნებმა შეამჩნიეს ქართველთა რაზმი. ისინი დაელოდნენ მანქანიდან მძღოლის გადასვლას, რადგან სატვირთო მანქანის ხელში ჩაგდება უვნებლდ უნდოდათ, შემდეგ კი ალყაში მოქცეულ ქართველთა რაზმს ცეცხლი გაუხსნეს. სნაიპერებმა პირველი მანქანის მძღოლი მოკლეს.

დაღუპულ და ზოგიერთ ცოცხალ-მკვდარ დაჭრილ მებრძოლებს ჩეჩენთა რაზმი მიუახლოვდა. ისინი ტყვეებს არ იტოვებდნენ, დაჭრილებს ადგილზევე ხვრეტდნენ. ზურაბი რამდენიმე ადგილას ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი და მიწაზე ეგდო, სხვა მებრძოლებთან ერთად.

ავტომატების სროლის ხმამ იგი გამოაფხიზლა, თვალი გაახილა და დაინახა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც მას უახლოვდებოდნენ. ერთ-ერთმა ისევ გაისროლა და ზურაბის მახლობლად დავარდნილი დაჭრილი ქართველი ბიჭი დახვრიტა. მისკენ მიმავალ ჩეჩენ მებრძოლებს შორის ზურაბმა უცებ იცნო საბჭოთა ჯარში ყოფნის დროს ჯულფის სამხედრო ორკესტრში მასთან ერთად მომსახურე ჩეჩენი შამილი, რომელიც ჯარის ორკესტრში დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა.

– შამილ! ნუ შვრებით ამას! დაჭრილებს ნუ ხვრეტთ! – დაიყვირა ზურაბმა.

– შენ ხარ, ზურაბ? – იცნო შამილმა.

– კი, მე ვარ! თავი დაანებეთ დაჭრილებს!

შამილმა რაღაც გადაულაპარაკა თავისიანებს, შემდეგ ზურაბს მოუტრიალდა და უთხრა, შენ გარდა ცოცხალი აღარავინ დარჩა, გაუძელი, ახლავე მოგხედავთო; შემდეგ თავისიანებს აუხსნა, ზურაბი ჩემი მეგობარიაო. სანიტარული საქმის მცოდნე ერთ-ერთმა ჩეჩენმა ზურაბს ჭრილობები გადაუხვია და შამილს უთხრა, სასწრაფოდ საოპერაციოა, თორემ არ გადარჩებაო.

XXVII

საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დაიწყო სახელმწიფო ორგანიზაციების პრივატიზირება. რესპუბლიკური საავადმყოფოც, სადაც ინდრა მუშაობდა, ასევე პრივატიზებული იქნა. საავადმყოფოს ახალმა მფლობელმა გამოაცხადა, რომ ყველას ვერ გადაუხდიდა ხელფასებს, და მედპერსონალის ნახევარზე მეტი სამსახურიდან დაითხოვა. ინდრა განთავისუფლებას გადაურჩა, მაგრამ მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე დატოვეს და ხელფასიც გაუნახევრეს.

ინდრამ კერძო სარეაბილიტაციო მასაჟების გაკეთებაც დაიწყო და ასე, გაჭირვებით, ძლივს გაჰქონდა თავი. რაც ზურიკო დაიკარგა, სულ დამწუხრებული იყო; თუმცა მაინც შერჩენილი ჰქონდა იმედის ნაპერწკალი, იქნებ, სასწაულის ძალით, ზურიკო ცოცხალი იყოსო.

როდესაც სოხუმი დაეცა და ქართულმა ჯარმა მთლიანად დატოვა აფხაზეთი, ინდრას გული მოუკვდა. რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ტიროდა, არ იცოდა, რა ეღონა. ბოლოს ზურიკოს სახლში მივიდა. იქაც დამწუხრებულები იყვნენ, მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ატირებულმა ზურიკოს დედამ გულში ჩაიკრა ინდრა და ორივეს უხმოდ და უსიტყვოდ სდიოდა ცრემლი. მათ არ იცოდნენ, რა ეთქვათ ან რითი ენუგეშებინათ ერთმანეთი.

ზურიკოს ოჯახთან შემდეგი შეხვედრისას ზურიკოს ძმამ, გაიოზმა, დაღონებულმა მოუთხრო ინდრას, რომ ქართული ჯარის აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი რამდენჯერმე მისულა იმ პოლკის უფროსთან, რომელშიც ზურიკო მსახურობდა და ერთად-ერთი, რაც მასთან საუბრისას შეუტყვია, იყო ის, რომ ზურიკოს ჯგუფიდან, რომელიც დავალების შესასრულებლად იყო გაგზავნილი, ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. ბიჭები ალყაში მოხვედრილან, მძიმე ბრძოლა ატეხილა და შემდეგ, ქართულ მხარეს დაღუპული მებრძოლების ცხედრები რომ მოუთხოვია, აფხაზებს დაცინვით უპასუხიათ, დაღუპული ცხედრების ნაფლეთები ჩეჩნებს მოსთხოვეთ, თუ მიაგნებთ რამესო. დღემდე ის ბიჭები უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან, რადგან არც ერთის ცხედარი არ გადაუციათ ქართული მხარისთვის.

ამ ამბის გაგონებაზე ინდრას სიმწრისაგან გული მთლად დაეთუთქა. გამუდმებით ტიროდა და ყველაფრის ინტერესი დაკარგა.

გავიდა დრო და რესპუბლიკური საავადმყოფოდან კიდევ გაანთავისუფლეს ოცი ადამიანი, მათ შორის, ინდრაც. ის უმუშევარი დარჩა. მხოლოდ კერძო მასაჟების იმედზე იყო და მალე თბილისში ამის მსურველიც აღარავინ დარჩა. გაჭირვებულ ხალხს საჭმლის ფული აღარ ჰქონდა და მასაჟისთვის ვიღას ეცალა... სოფელშიც, ზედა საზანოშიც, ძალიან გაჭირდა ცხოვრება. ინდრა მოხუც ბიძასთან ვერ ჩავიდოდა და მის კისერზე ვერ იცხოვრებდა. დარდის, მწუხრებისა და შიმშილისაგან ულამაზესი ინდრა ძალიან გახდა, ჩამოდნა და სიცოცხლის ხალისი დაკარგა.

მამის გარდაცვალებისა და ზურიკოს გაუჩინარების შემდეგ სულ მარტოდმარტო და თან უსახსროდ დარჩენილ ინდრას გაახსენდა მამის სიკვდილისწინა სიტყვები: „თუ საქართველოში კიდევ უფრო წახდა და გაფუჭდა ყველაფერი, თუ ძალიან გაგიჭირდა და გამოსავალი არასაიდან გამოჩნდა, გაყიდე სახლი და შენს სამშობლოში, რიგაში წადი. ლატვია ბევრად უფრო ცივილიზებული, ევროპული ქვეყანაა და იქ არ გაგიჭირდება. ეს ნამდვილად ვიცი, იმიტომ, რომ ჩემი გაზრდილი ხარ. ცხოვრებას თავიდან, ახალი, სუფთა ფურცლიდან დაიწყებ. ქალაქის მერიის არქივში შენს საბუთებს მოიძიებ და განაახლებ. ცხოვრებას ახალი ენერგიითა და ინტერესით დაიწყებ. ჭკვიანი გოგო ხარ და მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინა გაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ იქ ისეთივე ბედნიერი იქნები, როგორც მე გამიბედნიერე აქ ცხოვრება“.

ბევრი ფიქრის შემდეგ ინდრა დარწმუნდა, რომ გაპარტახებულ და გაუბედურებულ საქართველოში ის აუცილებლად დაიღუპებოდა, მისი დამხმარე და გულშემატკივარი არავინ იყო. სიამაყეც არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ვინმესთვის დახმარება ეთხოვა ან შეკედლებოდა. იმ დროს ყველას უჭირდა. თავისი მამიდაშვილი, ირინე, და ახლო მეგობრები, ვისაც როგორ შეეძლო, ხელს უმართავდნენ, მაგრამ თანდათანობით ქვეყანაში კიდევ უფრო გაჭირდა. მერე აცივდა კიდეც და გიყინულ სახლში გამოკეტილ მშიერ ინდრას თავში სულ მამამისის რჩევა უტრიალებდა: თუ შენი ცხოვრების გზა არ მოგწონს, ყოველთვის შეგიძლია მისი შეცვლა, რამდენჯერაც მოგინდებაო.

ინდრამ გადაწყვიტა, სახლი გაეყიდა, საქართველო დაეტოვებინა და თავის ნამდვილ სამშობლოში, ლატვიაში, რიგაში გადასულიყო საცხოვრებლად. ეს იდეა მან ირინეს გაუზიარა და თან შეჰპირდა, როგორც კი მოვეწყობი რიგაში, გაგაგებინებ, საქართველოსთან კავშირს არ გავწყვეტ, პერიოდულად ჩამოვალ კიდეც და ერთმანეთს არასოდეს დავკარგავთო.

მართლაც, ინდრამ მალევე გაყიდა მამისეული სახლი და ლატვიაში გაფრინდა.

რიგაში ჩასულმა ინდრამ ქალაქგარეთ ერთოთახიანი ბინა იქირავა. ქალაქის მერიის არქივში თავისი საბუთები და გიორგი ჭანტურიძეზე გაშვილების დოკუმენტებიც მოიძია. მალე ლატვიის მოქალაქის პასპორტიც მისცეს, თავისი ნამდვილი გვარით, ინდრა კალნინიას სახელზე.

პასპორტის აღების შემდეგ ინდრამ სამსახურის ძებნა დაიწყო, რიგის სხვადასხვა საავადმყოფოსა და პოლიკნინიკას მიაკითხა, წარუდგინა მათ თბილისის სამედიცინო სასწავლებლისა და ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების მაუწყებელი დიპლომები, შრომის წიგნაკი, დიდი სამსახურებრივი გამოცდილებით, აგრეთვე სარეკომენდაციო წერილი თავისი ყოფილი სამსახურიდან.

მალევე მას ერთ-ერთი საავადმყოფოდან დაუკავშირდნენ და სამსახურში აიყვანეს. ინდრამ მუშაობა დაიწყო ამ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, დამხმარე მედდად. მართალია, მასაჟისტის თანამდებობა, რაზეც თბილისში მუშაობდა, უფრო პრესტიჟული იყო, ვიდრე მედდისა, მაგრამ ინდრას ეს არ ადარდებდა. მისთვის მთავარი იყო, როგორმე ფეხი მოეკიდა რიგაში და ცხოვრება თავიდან დაეწყო – სუფთა ფურცლიდან, როგორც მამამ ურჩია.

ლატვიამ და რიგამ ინდრაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თბილისური ქაოსის, დაბეჩავებული და ნერვებმოშლილი ხალხის შემდეგ ევროპული ყაიდის რიგამ და მისი მოქალაქეების ცხოვრების მშვიდმა რიტმმა ინდრაც დააწყნარა, – მომჯობინდა, ისევ დამშვენდა, ცხოვრების ინტერესი დაუბრუნდა. თუმცა ცდილობდა, რომ თბილისზე და ზურიკოზე არ ეფიქრა, რადგან მაშინვე სევდა და ნოსტალგიის მწუხარე გრძნობა შემოაწვებოდა ხოლმე გულზე.

ქალაქის მერიიდან მიღებული ინფორმაციის წყალობით ინდრამ იპოვა თავისი ნამდვილი მშობლების ყოფილი სახლი. მერიაში მას სახლის მისამართი მისცეს და თან უთხრეს, რომ თუ მოინდომებდა თავისი მშობლების ყოფილი სახლის დაბრუნებას, კანონმდებლობის საფუძველზე მას ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან უკვე დიდი დრო იყო გასული.

ერთ კვირა დღეს ინდრა თავისი ყოფილი სახლის სანახავად წავიდა. ადვილად მიაგნო მერიაში მიცემული მისამართით, მივიდა დიდ ძველებურ სახლთან და აცრემლებული დიდხანს შეჰყურებდა იმ ფანჯრებს, სადაც მისი ნამდვილი მშობლები ცხოვრობდნენ და სადაც მან ბავშვობის პირველი პერიოდი გაატარა, თუმცა, რა თქმა უნდა, იმ პერიოდიდან მას აღარაფერი ახსოვდა. ფანჯარაში ადამიანის ლანდმა გაიელვა, სახლში ვიღაცა იყო. რა მოხდება, ჩემი მშობლების სახლს ერთი წუთით მაინც რომ შევავლო თვალი, არც არაფერიო, – გაიფიქრა ინდრამ, გამბედაობა მოიკრიბა, შევიდა სადარბაზოში და გულის ფრიალით კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

კარი ასაკოვანმა ქალმა გააღო. ის წარბაზიდული, მრავლისმეტყველი მზერით უყურებდა გაფითრებულ ინდრას, რომელსაც ხმა ვერ ამოეღო ნერვიულობისაგან. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ქალმა იკითხა:

– გნებავთ რამე?

– მე ინდრა კალნინია ვარ, რაიმონდსისა და ლილიას შვილი.

მოხუცი ქალი დაფიქრდა, შემდეგ თავი რამდენჯერმე გააქნია და თქვა:

– არ ვიცი, არ ვიცნობ მასეთებს.

– ისინი დიდი ხნის დაღუპულები არიან, არ გემახსოვრებათ.

– მე არაფერი ვიცი. სახლში მარტო ვარ. ჩემს შვილებს დაელაპარაკე. საღამოს იქნებიან სახლში.

– ჩემი მშობლები აქ, სწორედ ამ სახლში ცხოვრობდნენ, მეც აქ ვიზრდებოდი და თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ, ნებას თუ მომცემთ, მხოლოდ ერთი წუთით შევხედავ სახლს. საქართველოდან, თბილისიდან ჩამოვედი და ძალიან მაინტერესებს ჩემი მშობლების ყოფილი სახლის ნახვა. ამის მეტად აღარ შეგაწუხებთ.

– როგორ? რა ერქვათ? რაიმონდსი და ლილია? ააა! ააა.... – ჩაფიქრდა მოხუცი, მერე სახე გაუნათდა, სადარბაზოში გამოვიდა და მოპირდაპირე სახლის კარზე დარეკა ზარი.

მეზობელი სახლის კარი გაიღო. იქიდან მოხუცი, მოტეხილი კაცი გამოვიდა და მეზობლისა და უცხო ახალგაზრდა გოგოს დანახვაზე ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა მეზობელს:

– რა ხდება, ანია? პენსია მოგვიტანეს?

– პენსია არა, ირვას. ეს გოგო ამბობს, თბილისიდან ჩამოვედი, რაიმონდსისა და ლილიას შვილი ვარო.

მოხუცმა ირვასმა თვალები მოიფშვნიტა, კარგად დააკვირდა ინდრას და წამოიძახა:

– ღმერთო, როგორ ჰგავს ცხონებულ დედამისს, ლილიას! ინდრა ხარ ნამდვილად?

– დიახ, ინდრა კალნინია ვარ. ლატვიის მოქალაქეობაც დამიბრუნეს, პასპორტსაც ახლავე გაჩვენებთ, – უპასუხა ინდრამ და ხელჩანთიდან პასპორტი ამოიღო.

– რამხელა გაზრდილხარ, რამდენჯერ გამიფიქრია შენზე. მამაშენი, ჟორა როგორ არის? – იკითხა აცრემლებულმა მოხუცმა, თან ინდრას მკლავზე ფაქიზად ეალერსებოდა.

– მშობლები გარდაიცვალნენ. საქართველოში ძალიან გაჭირდა ცხოვრება. ლატვიაში დავბრუნდი და აქ, რიგაში, საავადმყოფოში დავიწყე მუშაობა. თქვენთან კი იმიტომ მოვედი, რომ ჩემი ნამდვილი მშობლების სახლი მენახა. მაინტერესებს, სად და როგორ ცხოვრობდნენ, ან მათი სურათები თუ არის სადმე შემორჩენილი.

ირვასმა მეზობლის ქალს უთხრა, აჩვენე სახლი, მეც სურათებს მოვძებნი და ახლავე შემოვალო.

ანიამ ინდრა მშობლიურ სახლში შეიყვანა და ოთახები მოატარა. ინდრას აღელვებისაგან სუნთქვა შეეკრა და ოდნავ თავბრუ დაეხვა. სასტუმრო ოთახში დაბრუნებისას მან ნებართვა ითხოვა და მაგიდასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. ოთახში ირვასი შემოვიდა, რამდენიმე სურათი დადო მაგიდაზე და გაფითრებულ ინდრას ჰკითხა, ცუდად ხომ არა ხარო.

– არაფერია, გამივლის, – მიუგო ინდრამ და სურათებს დახედა.

– გახსოვს ანია, ადრე რომ ისტორიას გიყვებოდი ხოლმე აქ მცხოვრებ ხალხზე? ჩემი დიდი მეგობრის, რაიმონდსის შვილია ეს გოგონა. არც კი მეგონა, თუ კიდევ როდესმე ვნახავდი; ჩაი მოამზადე ასეთი ძვირფასი სტუმრისთვის, – უთხრა გახარებულმა ირვასმა მეზობლის ქალს, გვერდით მიუჯდა ინდრას, სურათები გაშალა, თითი დაადო მოღიმარი წყვილის საქორწილო სურათს და თქვა:

– აი, ესენი არიან შენი მშობლები, რაიმონდსი და ლილია. ღმერთო, რა ბედნიერები არიან აქ! აი, ესეც ჟორა, მამაშენი. მეც ვარ ამ სურათზე, ძალიან ახალგაზრდა ვარ აქ. ჟორა რომ ჩამოდიოდა რიგაში, აქ, ამ ოთახში იშლებოდა სუფრა. რაიმონდსი მეც დამიძახებდა და დამსვამდა ხოლმე მამაშენთან ერთად. დედაშენი და ჩემი აწგარდაცვლილი მეუღლე კი უგემრიელეს სუფრას აწყობდნენ. ეჰ, ნეტავი იმ დროს.

ინდრა სურათებს უყურებდა და თვალებიდან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლს ვერ იკავებდა. მოხუცმა ქალმა ჩაი და ტკბილეული შემოიტანა, ინდრას და ირვასს წინ დაუდგა, თვითონაც მაგიდას მიუჯდა და სურათებს დახედა, თან ატირებულ ინდრას ამშვიდებდა.

ირვასმა მადლობა გადაუხადა მეზობელს, ჩაი მოსვა და საუბარი გააგრძელა:

– რაიმონდსის დაღუპვის ამბავი ჟორას მე შევატყობინე წერილით. როდესაც შენ ბავშვთა სახლში წაგიყვანეს, მამაშენის მედალიონი გულზე მე დაგკიდე. ამ მედალიონს რაიმონდსი არასოდეს იშორებდა, მისი თილისმა იყო. ასე ამბობდა, ჯადოსნურია, ათასწლოვანია, ვიკინგთა ნაქონია და გასაჭირში მფარველია, ომებსა და ციხეებში ამან გადამარჩინაო. იმ დროს, გემით სათევზაოდ წასულს, როგორც ჩანს, მედალიონი სახლში დარჩა, სარკეზე იყო ჩამოკიდებული. იმ დღეს რაიმონდსის გემი თევზაობიდან აღარ დაბრუნებულა. მედალიონი შენ დაგკიდე და ბავშვთა სახლის წარმომადგენელს ძალიან ვთხოვე, მამისეულია და პატარა გოგონას არ მოაშოროთ-მეთქი.

ინდრამ საკინძის ერთი ღილი შეიხსნა და მედალიონი გამოაჩინა.

– კი, სწორედ ეგ მედალიონია, აი, ამ კედელზე ეკიდა, სარკეზე. ის სარკე აქ აღარაა. სანამ ქალაქის რაიკომი თქვენს სახლს სხვებს მისცემდა, აქაურობა დააცარიელეს და მთელი ავეჯი წაიღეს.

შემდეგ ირვასმა ინდრას გამოჰკითხა თბილისის ამბები, ასევე დაინტერესდა, როგორ მოეწყო რიგაში. ინდრამაც გულწრფელად გადაუშალა გული და ყველაფერი უამბო. ირვასი დაფიქრდა.

– საავადმყოფო, სადაც შენ მუშაობ, აქვეა, ქალაქის ცენტრში, შენ კი ქალაქგარეთ ცხოვრობ.

– კი, მართალია, ქალაქგარეთ უფრო იაფია ბინის ქირაობა; მაგრამ მე და ჩემი თანამშრომელი გოგონა, მარტა, ქალაქის ცენტრში ვეძებთ ბინას, ერთად რომ ვიქირაოთ. ასე უფრო იაფი დაგვიჯდება ბინის ქირის გადახდა, – უთხრა ინდრამ ირვასს.

– იცი რას გეტყვი, ჩემო გოგონა, მე სულ მარტოდმარტო დავრჩი და მხოლოდ პენსიაზე ვცხოვრობ. გადმოდით ჩემთან შენ და შენი მეგობარი გოგონა, იცხოვრეთ ჩემს სახლში და რაც გინდათ, ის გადამიხადეთ. სახლი დიდია, ყველა მოვთავსდებით. მე კი, დავრდომილ მოხუცს,

სახლში ჩემი მეგობრების შვილიც მეყოლება, ხმის გამცემიც და თან, ერთდროულად, ორი ექიმიც, – სიცილით წარმოთქვა ირვასმა.

ინდრას გაეღიმა, მოეხვია ირვასს და მის გულითად შემოთავაზებას სიხარულით დათანხმდა.

XXVIII

კონსტანტინოპოლიდან საქართველოს მიმართულებით დაძრულ, მრავალრიცხოვან ბრძოლებში გამობრძმედილ ბიზანტიელთა მცირე ჯარს რამდენიმე ბერძენი მხედართმთავარი და საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი დემეტრე მიჰყვებოდნენ. მთავარ ბიზანტიელ მხედართმთავარს თან ჰქონდა იმპერატორ კონსტანტინეს ბეჭდიანი წერილი, რომელიც მას უფლებას აძლევდა, რომ კონსტანტინოპოლიდან საქართველოს საზღვრებამდე თავისი ჯარი შეევსო ბიზანტიის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული, სხვადასხვა ქალაქში მდგარი ლეგიონებითა და სამხედრო რაზმებით. ამგვარად გაზრდილი და გაძლიერებული ბიზანტიელთა ჯარი ყოველგვარი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გარეშე შევიდა საქართველოში.

ლიპარიტ ერისთავმა თავის რეზიდენციაში, კლდეკარის ციხის დიდ დარბაზში, ბიზანტიელი მხედართმთავრებისა და საქართველოს ტახტის მაძიებელ დემეტრესათვის დიდი წვეულება გამართა. გრძელი გზის გავლის შემდეგ ბიზანტიელთა ჯარი კლდეკარის ციხის მახლობლად, ვრცელ ველზე გაშლილ ათეულათასობით სამხედრო კარავში ისვენებდა და მოახლოებული ბრძოლისთვის იკრებდა ძალას. მხედართმთავრები კი ერისთავთ-ერისთავს სტუმრობდნენ.

მდიდრულ სუფრაზე, შემწვარი კალმახისა და ცოცხალი თევზის გვერდით, მაღალყელიანი ვერცხლის სურებით იდგა არომატული, ცქრიალა და ლიცლიცა თეთრი ღვინოები. ჩათუშულ ხბოს ხორცსა და ჯეირნის მწვადებთან ერთად სუფრაზე რაჭა-ლეჩხუმური წითელი, სურნელოვანი ღვინოებიც შემოიტანეს.

მაგიდის თავში ლიპარიტმა დემეტრე დააბრძანა, თვითონ მისგან ხელმარჯვნივ იჯდა, თავის შვილებსა და ერისთავებთან ერთად. მათ მოპირდაპირე მხარეს, დემეტრესგან ხელმარცხნივ, სუფრას ბიზანტიელი მხედართმთავრები უსხდნენ.

ნამგზავრ ახალგაზრდა დემეტრეს ღვინო მოეძალა და ლიპარიტთან საუბრისას თქვა, რომ ომში გამარჯვების შემდეგ, როდესაც იგი საქართველოს სამეფო ტახტზე მეფედ დაჯდებოდა, თავის ნახევარძმას, მეფე ბაგრატს, შესაძლოა შეწყნარებით მოპყრობოდა და სიკვდილით არ დაესაჯა, რადგან მათ ერთი საერთო მამა ჰყავდათ და ორივე მათგანის ძარღვებში მეფე გიორგი I-ის სისხლი ჩქეფდა.

ლიპარიტს არ მოეწონა დემეტრეს სიტყვები. წარბშეჭმუხნულმა გადახედა თავის შვი-ლებსა და ერისთავებს, რომლებმაც გაიგონეს დემეტრეს ნათქვამი და გუნების შეცვლის მიზეზსაც უმალ მიუხვდნენ ლიპარიტს. დემეტრე თუ ბაგრატს ცოცხალს დატოვებდა, საქართველოში სამოქალაქო ომი არ დამთავრდებოდა, რადგან ბაგრატს მომხრეები ყოველთვის ეყოლებოდა. მომავალში კი, გამოცდილ ბაგრატს შეიძლება ემარჯვა დემეტრეზე, და თუ ეს

ასე მოხდებოდა, მაშინ ბაგრატი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ლიპარიტსა და მის ოჯახს დასჯიდა.

ლიპარიტმა საქართველოს მომავალი მეფის, დემეტრეს სადღეგრძელო შესვა, სხვებმაც დალიეს მომავალი მეფის სადღეგრძელო და შემდეგ ლიპარიტმა დიდი ყანწი მოატანინა, რომელიც თვითონვე შეავსო ღვინით და დემეტრეს მიართვა.

წვეულების დასასრულს ღვინისაგან გონებაწართმეული დემეტრე მისთვის განკუთვნილ საწოლამდე მიიყვანეს. ლიპარიტმა მას მეთვალყურეებად თავისივე შვილები, ივანე და ნიანია მიუჩინა. შუაღამისას ლიპარიტის ხალხმა ნასვამი და ღრმა ძილში წასული დემეტრე ბალიშით მოგუდეს, დილით კი კარის ექიმმა გამოაცხადა, უფლისწულ დემეტრეს ბევრმა ღვინომ აწყინა და გარდაიცვალაო.

იმავე დილით კლდეკარის ციხეში ლიპარიტის მიერ წარგზავნილი მსტოვრები დაბრუნდნენ, რომლებმაც მას აუწყეს, მეფე ბაგრატის ჯარს დაქირავებულ ვარანგთა დიდი რაზმი მიემატაო. ლიპარიტმა ბიზანტიელ მხედართმთავრებს გადასცა მსტოვართა მიერ მოტანილი ამბავი და მათ გადაწყვიტეს, რომ დემეტრეს დაკრძალვის შემდეგ სამხედრო თათბირი მოეწყოთ.

უფლისწულს წირვა და პარაკლისი გადაუხადა კლდეკარის ციხის მოძღვარმა. დემეტრე დიდი პატივით დაკრძალეს ციხის ეკლესიაში და შემდეგ ლიპარიტმა, მისმა ერისთავებმა და ბიზანტიელმა მხედართმთავრებმა სამხედრო თათბირი გამართეს.

ლიპარიტმა ბიზანტიელები დაარწმუნა, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი მეფე გარდაიცვალა, ბაგრატთან ომი მაინც უნდა გავაგრძელოთ, სამეფო ტახტზე კი დემეტრეს პატარა შვილი დავსვათო. მართალია, იმ დროს დემეტრეს ვაჟი ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო და კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, მაგრამ, ლიპარიტის გეგმის მიხედვით, რომ წამოიზრდებოდა, საქართველოში მოიწვევდნენ და სამეფო გვირგვინის თავზე დადგმამდე მას თავად ლიპარიტი აღზრდიდა და რეგენტობასაც გაუწევდა, რაც მას ადრეც გაეკეთებინა – ბაგრატ მეფის ბავშვობის დროს ხომ ქვეყანას საკმაო დროის განმავლობაში, ფაქტობრივად, ლიპარიტი ერთპიროვნულად მართავდა.

* * * *

მეფე ბაგრატის მანდატურთუხუცესის მსტოვრებმაც მიიტანეს მეფესთან ძალზე უცნაური და წარმოუდგენელი ამბავი – ტახტის მოცილე, მეფის ნახევარძმა დემეტრე, გაურკვეველ ვითარებაში მოულოდნელად გარდაცვლილიყო და კლდეკარის ციხის ეკლესიაში დაეკრძალათ.

XXIX

მძიმედ დაჭრილი ზურაბი მანქანით სასწრაფოდ აფხაზურ სექტორში გადაიყვანეს. მისი დოკუმენტები შამილმა შეინახა. ზურაბი გააფრთხილა, ქართულად ხმა არ ამოიღო, მე ვიტყვი, რომ ჩეჩენი ხარო, და ზურაბი სამხედრო საავადმყოფოში შეიყვანეს. რუსმა ექიმებმა ზურაბს რამდენიმე ტყვია ამოუღეს ორგანიზმიდან და ჭრილობები გაუკერეს.

მეორე დღეს საავადმყოფოში შამილი მივიდა ჯარის კიდევ ერთ მეგობართან, აფხაზ მერაბთან ერთად. თან გაიძახოდა, რა პატარაა აფხაზეთი, ხელად ვიპოვე მერაბიო.

მერაბი ზურაბს მიუახლოვდა, გაუღიმა და უთხრა:

– ექიმმა თქვა, კრიზისი გადავლილია და გადარჩებაო. შენ ხმა არ ამოიღო, არ შეიძლება შენი ლაპარაკი. – თან თვალი ჩაუკრა, – მალე ჩემს სახლში გადაგიყვან და იქ დაამთავრებ მკურნალობას, ცოტა ხანი კიდევ გაუძელი.

ასეც მოხდა – მალე შამილმა და მერაბმა ზურაბი მერაბის სახლში გადაიყვანეს. სიკვდილს, მართალია, გადაურჩა, მაგრამ მის მოშუშებასა და ჭრილობების შეხორცებას დრო უნდოდა. ზურაბი განცალკევებულ, პატარა ოთახში შეიყვანეს და საწოლზე ფრთხილად დააწვინეს. შამილმა მერაბს ზურას დოკუმენტები გადასცა და უთხრა, დამალეო. ზურამ მადლობა გადაუხადა ჯარის მეგობრებს – მადლობა, ძმებო, სიკვდილამდე არ დამავიწყდება, რომ გადამარჩინეთო.

ამასობაში ჩრდილოეთიდან რუსეთის ჯარმა ტანკებით დაიწყო აფხაზეთში შესვლა. რუსული სამხედრო ბაზებიდან რუსულმა ვერტმფრენებმა ქართველთა პოზიციების დაბომბვები დაიწყო. შევარდნაძეს ქართული ჯარი ხან შეჰყავდა აფხაზეთში, ხან გამოჰყავდა და აფხაზეთის საზღვართან დააყენებდა ხოლმე. ყველაზე მეტად საჭირო და კრიტიკულ მომენტში, როდესაც აფხაზეთის ოფიციალური პროქართული მთავრობა თავგანწირვით იცავდა მთავრობის სახლს სოხუმში და დახმარებას სთხოვდა და ევედრებოდა შევარდნაძეს, ის იმ დროს ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცითა და ტანკებით აფხაზეთის საზღვართან იდგა და ნაბიჯს არ დგამდა წინ.

სოხუმი დაეცა. მთავრობის სახლში მყოფი ქართული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც უკანასკნელ წუთამდე იცავდნენ მას, რუსულ-აფხაზურ-სომხურ-ჩეჩნურ-კაზაკურმა გაერთიანებულმა ჯარმა სასტიკად დასაჯა. ამას ელოდებოდა შევარდნაძეც – თითქოს საქართველოს ერთიანობის დარღვევა და მთელი აფხაზეთის რუსეთისთვის ჩაბარება მხოლოდ მთავრობის ერთი კორპუსის დაცემით ან დაწვით განისაზღვრებოდა. მთავრობის ხალხის კორპუსიდან გამოყვანას რა უნდოდა? – არაფერი! თუ დახმარებას არ აპირებდა, ხომ შეეძლო, გამოეყვანა წინასწარ ის ხალხი, რუსებისთვის ცარიელი კორპუსი დაეტოვებინა და ომი ისე გაეგრძელებინა – ხომ გაბედა და თავიდან თვითონ შევარდა ჯარით აფხაზეთში, რასაც მას არავინ სთხოვდა და რისი არავითარი საჭიროებაც არ არსებობდა...

ომი რომ არ დაწყებულიყო და პოლიტიკოსების მიერ აგორებულ ბინძურ თამაშს რომ არ აჰყოლოდნენ, უბრალო ხალხი, დროთა განმავლობაში, სიტუაციას ერთმანეთთან თვითონვე დაალაგებდა. ომის ჭრილობები კი ორივე მხარეს დიდხანს ახსოვს და ამ ჭრილობების ნელ-ნელა მოშუშებას რამდენიმე თაობა სჭირდება.

სოხუმის მთავრობის სახლის დაცემის შემდეგ შევარდნაძემ ომი წაგებულად გამოაცხადა. შევარდნაძის მიერ ვითომ პატარა ომის დაწყების გათამაშება საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდა. ამ ომს ათასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა. აფხაზეთიდან ნახევარ მილიონამდე იქ მცხოვრები ქართველი გამოაძევეს. საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი რუსეთმა ძალიან დიდი ხნით გადაკეტა და თავად დაეპატრონა აფხაზეთს. შევარდნაძე მალევე ბორის ელცინს შეხვდა. მან რუსეთთან კაპიტულაციას მოაწერა ხელი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეიყვანა, რითაც რუსული სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნა ოფიციალურად გაფორმდა. შევარდნაძემ ელცინს დაპირება შეუსრულა, ვალი დაუბრუნა.

ნეტავ ასეთი მუხანათური გამყიდველობის მაგალითზე მაინც გაახილოს ხალხმა თვალი და დაინახოს, რომ ვიღაც პოლიტიკოსის ხუშტურებზე არ უნდა იაროს, არ უნდა აჰყვეს მას, რომელიც ოთხი, ან კიდევ, შეიძლება, რვა წლითაც მოდის ქვეყნის სათავეში, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ძმათა შორის ომი არ შეიძლება. ერთ ხალხსა და ერთ ერს შორის, ან პრო-ვინციებს შორის, ომი არ შეიძლება, რადგან ომის ჭრილობების განკურნებას მინიმუმ სამი

თაობის გამოცვლა სჭირდება; ომის წამომწყები პოლიტიკოსი კი ოთხი წლის შემდეგ უცხოეთში გაიქცევა მოპარული ფულით და მეფურად იცხოვრებს, ზღის სანაპიროზე, პალმის ქვეშ წამოწოლილი, ხელში ჩაცივებული კოქტეილით.

მეზობელი ხალხები, ერთი ერის შვილები ყველა პრომლემას დროთა განმავლობაში თავად მოაგვარებენ. უბრალო ხალხს, ერთმანეთის მეზობლებს, რომლებიც ერთ მიწაზე ცხოვრობენ, სხვა გამოსავალი არა აქვთ. ქართველებში ძმათა შორის კონფლიქტი ადრე თუ გვიან ყოველთვის ღვინით, ლხინითა და შერიგებით მთავრდებოდა, და არა ერთმანეთისთვის ტყვიების სროლით. მეზობელი ხალხები, რომლებიც 25 საუკუნე ერთმანეთის გვერდით, ერთ მიწაზე ცხოვრობენ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჰყვნენ ოთხი წლით არჩეული კარიერისტის, ან ავადმყოფის, და ან კიდევ პათოლოგიური ვნებებით შეპყრობილი პოლიტიკოსის წვრილმან, მეშჩანურ ამბიციებს, რაგინდ პატრიოტულ ლოზუნგებს არ უნდა გაჰყვიროდეს იგი, ხმის ჩახლეჩამდე. ძმებმა არ უნდა ესროლონ ერთმანეთს, რადგან ის პოლიტიკოსი შემდეგ წავა, ძვირფასი მანქანით ისეირნებს და ძვირადღირებულ კურორტებზე დაისვენებს, ხალხი კი დარჩება სამუდამოდ დაჭრილი და დაკოდილი.

უაზრო ომი დამთავრებული იყო. მერაბის სახლში შეკრებილიყვნენ მერაბი, შამილი და ზურაბი, რომელიც ოდნავ მოკეთებულიყო. ამ ხნის განმავლობაში, რაც ზურაბი მერაბთან იყო, მათ ომზე არასოდეს ულაპარაკიათ, შინაგანად ერიდებოდათ ერთმანეთის. მაგრამ იმ დღეს მაინც მოუხდათ ომის თემაზე საუბარი. ზურაბის გადაყვანა საქართველოში გაძნელდებოდა, რადგან აფხაზეთ-საქართველოს საზღვარი რუსებს გადაკეტილი ჰქონდათ და ვერც ერთი ქართველი ვერ გადავიდოდა ვერც იქით და ვერც აქეთ. გადაწყდა, რომ შამილი მანქანით წაიყვანდა ზურაბს ჩეჩნეთში და შემდეგ იქიდან დარიალის ხეობით შევიდოდა საქართველოში. თუ ეს გზაც გადაკეტილი იქნებოდა, მაშინ ლაგოდეხის მხრიდან ან სულაც აზერბაიჯანიდანაც შეიძლებოდა საქართველოში მოხვედრა.

– გახსოვთ ჩემი ჯულფაში ჩამოსვლის დღე, მე რომ პირველად ნაწილში მოვედი? ღამე პატარა სუფრა რომ გავშალეთ სახლიდან ჩამოტანილი საჭმელ-სასმელით? – იკითხა ზურაბმა.

– კი, როგორ არ გვახსოვს, – მიუგეს მერაბმა და შამილმა.

– ჩვენი საუბარიც ხომ გახსოვთ, მწარედ რომ ვხუმრობდით: ადრე, როდესაც რუსეთი საქართველოს კოლონიზაციას იწყებდა, ქართველები რუსებს ებრძოდნენ; ჩეჩნებიც, შამილის მეთაურობით, 21 წელი ებრძოდნენ რუს დამპყრობლებს – შენც ხომ სწორედ მის პატივსაცემად დაგარქვეს სახელად შამილი; XIX საუკუნეში რუსეთმა ორჯერ მიახდინა აფხაზთა დიდი გადასახლება თურქეთში, მაშინ მთლად დააცარიელეს აფხაზეთის მიწა. იმ დროს კი, ჩვენი ჯარში ყოფნისას, ძალზე სასაცილო სიტუაცია დამდგარიყო – ქართველი, აფხაზი და ჩეჩენი ერთად ვიდექით რუსის ჯარში და საბჭოთა კავშირის ჰიმნს ერთად ვუკრავდით.

– კი, კი ეგეც გვახსოვს, – სიცილით დაეთანხმნენ ზურას მეგობრები.

– მაშ, როგორ მოხდა, რომ ჩვენ ერთმანეთს სროლა დავუწყეთ? ეს არ უნდა მომხდარიყო! ჩვენ ყოველთვის ერთი საერთო მტერი გვყავდა, რუსეთი. მან დღეს საქართველო დასაჯა და ტერიტორიები წაართვა; ხვალ ისევ ჩეჩნებს დასჯის, როგორც 1944 წელს დასაჯა, თითქმის მთელ ჩეჩნეთს დეპორტაცია რომ გაუკეთა და მატარებლებით შუა აზიაში გადაასახლა; ზეგ აფხაზებს გააქრობენ, რომ მათი მიწა დაისაკუთრონ. ეს ხომ ყველამ მშვენივრად ვიცით, ჩვენ რაღატომ ვიბრძვით ერთმანეთთან? მტერი ხომ რუსეთია, ჩვენ კი მის დაკრულზე ვცეკვავთ. გვეტყვის, დახოცეთ ერთმანეთიო, და ჩვენც ვესვრით ერთმანეთს. ეს აღარ უნდა მოხდეს, არ უნდა განმეორდეს. აფხაზ მთავართა ჯარი ყოველთვის გვერდით ედგა სოლომონ მეფეს, როდესაც სოლომონ I თურქებს ებრძოდა. აფხაზთა მთავარი შერვაშიძე, აფხაზურად იგივე ჩაჩბა, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა. ჩვენ რაღა

დაგვემართა? რუსულმა პროპაგანდამ ისე როგორ მოგვიწამლა ტვინი, რომ ერთმანეთს სროლა დავუწყეთ?! ძმებს შორის ეს არ უნდა ხდებოდეს. მე სრულიად შემთხვევით ვარ აქ, შეცდომით. თბილისში ერთ-ერთ საჯარისო ორკესტრში ვუკრავ შეთავსებით. მოვიდნენ, წამავლეს ხელი და უცებ აქეთ გადმომისროლეს, თორემ რა მაქვს მე მერაბთან გასაყოფი? მამამისის სახლი თუ ბაბუამისის მიწა?

ბიჭებს სიცილი აუტყდათ. მერაბმა უთხრა ზურაბს:

– ნებისმიერ დროს, როცა მოგინდეს, კიდევ მესტუმრე. ეს მამაჩემის სახლიც შენთვის დამითმია და ბაბუაჩემის მიწაც, რომელიც, როგორც ხედავ, გასათოხია. დიდი თოხი აგერ, ვენახის თავში დევს. ახლა კი ჩემი ვენახის იზაბელას ღვინოს დაგალევინებთ, ჭამის დროც მოვიდა.

– ეუჰ! უყურე ახლა შენ ამას! ადრე მოგეწერა, ბიჭო, მაგი და თბილისიდან ავტომატის მაგივრად მეც თოხს წამევიღებდი, – გურულ კილოზე გაეხუმრა ზურაბი და თავის მეგობრებს, რომლებიც გულიანად იცინოდნენ, აქეთ-იქიდან ხელები მხრებზე გადახვია.

სადილობის დროს შამილმა თქვა, რომ ისიც შეცდა. არ ეგონა, რომ აფხაზეთში ნამდვილი ომი იქნებოდა.

– დოლარებით დიდი ფულის გადახდას შეგვპირდნენ და მეც დავხარბდი. უმუშევრობაა ჩვენთან და გვიჭირს ძალიან. ჭკუა ვისწავლე და ასე აღარ შევცდები.
ნახჭევანის კომენდატი კოტელკინი თუ გახსოვთ? როგორ გაგვაწვალა სუყველა.

– კი, კი, გვახსოვს. ნეტავ ერთი სადმე შემახვედრა, – ერთხმად წარმოთქვეს მერაბმა და ზურაბმა.

– ყველას მაგივრად მე ვიძიე მასზე შური, – გაიცინა შამილმა.

– როგორ? რანაირად? – დაინტერესდნენ მერაბი და ზურაბი.

– შარშან მატარებლით სტავროპოლიდან სახლში ვბრუნდებოდი. მარტო ვზივარ მატარებლის კუპეში. რომელიღაც ქალაქში გაჩერებისას, უცებ კარი გაიხსნა და კუპეში შემოვიდა სამხედროფორმიანი კოტელკინი, მშვენიერ ახალგაზრდა გოგონასთან ერთად. ისინი ჩემ მოპირდაპირედ დასხდნენ. მალევე ბილეთების შესამოწმებლად კონტროლიორმა ჩამოიარა. შემოწმების შემდეგ კომენდანტმა ბილეთები და პასპორტი მაგიდაზე დადო და გამომელაპარაკა. მე ელეგანტურად ვიყავი ჩაცმული, სუფთად გაპარსული და ვერ მიცნო – ან კი როგორ იცნობდა რიგით ჯარისკაცს, წლების წინ რომ აწვალებდა.

აღმოჩნდა, რომ ის ახალგაზრდა გოგო, რომელიც შვილად უფრო ერგებოდა კოტელკინს, მისი ცოლი ყოფილა. ისინი მინვოდის სანატორიუმში ისვენებდნენ თურმე, თან თავისუფალ დროს მოგზაურობდნენ ახლომახლო საკურორტო ქალაქებში – პიატიგორსკში, ესენდუკში და კისლოვოდსკში. კოტელკინი ტრაბახით ლაპარაკობდა. მისი ცოლი, ლიუდოჩკა, როგორც ის მას მიმართავდა, მოწყენილი იჯდა. მე კი ბოღმა და შურისძიების გრძნობა მახრჩობდა. ცოტა ხანში წამოვდექი და ვუთხარი, სიგარეტის მოსაწევად ტამბურში გავალ და მალევე დავბრუნდები-მეთქი. ისიც წამოდგა და თქვა, ლიუდოჩკა, მეც გავალ მოსაწევადო, და გამომყვა.

ტამბურში სიგარეტი ამოვიღე, მასაც შევთავაზე, სიგარეტს მოვუკიდე, ტამბურის კარები გავაღე, შემდეგ გარეთ გავიხედე, ვთქვი, რა სილამაზეა-მეთქი, უკან გამოვედი და ტამბურის კარი ღია დავტოვე. კოტელკინი ღია კარს მიუახლოვდა და თავი გარეთ გაყო. ან ახლა, ან არასდროს! – მაშინვე ამ აზრმა გამიელვა თავში. უცებ მისკენ გავქანდი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ზურგში მუხლი და ხელები ვკარი. მატარებლიდან გადავარდნილი კოტელკინი ბურთივით დაგორდა მწვანეზალახიან და ყვავილებიან მინდორზე. ტამბურის კარი დავხურე და კუპეში დავბრუნდი, კოტელკინის ცოლს კი ვუთხარი, რომ მისი ქმარი ნაცნობ ოფიცრებს

შეხვდა და მათთან ერთად ვაგონ-რესტორანში წავიდა, თქვენთან კი დამაბარა, მინვოდამდე საათ-ნახევარია კიდევ დარჩენილი და სანამ მატარებელი ქალაქში შევა, მეც დავბრუნდებიო.

ლიუდოჩკამ გაბრაზებულმა წამოიძახა: ბებერი ალკოჰოლიკი, სულ ასე აკეთებს, დავიღალე, აღარ შემიძლია მისი ატანაო, – და მწარედ ატირდა. მე მისი დამშვიდება დავიწყე და ვკითხე, თუ არ გიყვარდა, მამისტოლა კაცს ცოლად რატომ გაყევი-მეთქი?

– ციმბირის მიყრუებულ სოფელში აბა რა უნდა მეკეთებინა მარტოს? დედამ მირჩია, გაჰყევი ცოლად, ქვეყანას ნახავო, – წამოიტირა კვლავ ლიუდოჩკამ.

მოკლედ ვიტყვი, ბევრს აღარ გავაგრძელებ. მისი დამშვიდებიდან შემდეგ მოფერებასა და ალერსზე გადავედი. ისიც ამყვა. კუპეს კარი გადავკეტე, კოტელკინის მშვენიერი ცოლი გავაშიშვლე და გემრიელად დავიპყარი.

მატარებელი მინვოდს უახლოვდებოდა. გაბედნიერებულმა და უკვე ჩაცმულმა ლიუდოჩკამ მითხრა, ვაგონ-რესტორანში წავალ, ქმარს მოვიყვანო, და კუპედან გავიდა. მე მაგიდაზე დადებული კოტელკინის პასპორტი ავიღე, გადავშალე და შიგ ჩავწერე: „კომენდანტო! გაცნობებთ იმას, რაც ალბათ სიბერის გამო თქვენ არ გამოგიცდიათ. მე თვითონ შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ თქვენი ლიუდოჩკა ძალიან ვნებიანი და მეტისმეტად სექსუალურია. დიდი მოკითხვა ნახჭევანის ორკესტრიდან!“

მალევე კუპეში აღელვებული ლიუდოჩკა დაბრუნდა, ჩემი ქმარი ვაგონ-რესტორანში არ არისო. მე დავამშვიდე, ალბათ ოფიცრებმა თავის კუპეში შეიყვანეს, ნუ გეშინია, არ დაიკარგება-მეთქი; შენი ქმარი სასტუმრომდე მოაგნებს ან მოიყვანენ, მატარებელი უკვე მინვოდში შედის, პასპორტი და ჩანთა არ დაგრჩეს, სასტუმროში დაელოდე, აუცილებლად დაბრუნდება-მეთქი.

ასე ვიძიე შური კოტელკინზე, ყველა ჩვენგანის სახელით, – დაასრულა მოყოლა შამილმა.

ზურაბი და მერაბი გულიანად ხარხარებდნენ.

– ტრიალი მინდვრიდან სასტუმროში ფეხით დაბრუნებული დაღლილ-დაქანცული კოტელკინის გაფართოებული თვალები წარმოიდგინეთ, პასპორტში ჩანაწერს რომ წაიკითხავდა, – წამოიძახა მერაბმა და ჯარის მეგობრებს ისევ სიცილი აუვარდათ.

აფხაზეთიდან ზურაბს თბილისში დარეკვა არც უცდია, რომ მერაბს საფრთხე არ შექმნოდა – ტელეფონის ხაზები ისმინებოდა. ზურაბი ცოტათი რომ მომჯობინდა, მერაბს მადლობა გადაუხადა, ძმასავით გამოემშვიდობა და შამილთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა.

გამოჯანმრთელების შემდეგ ზურაბი შამილსაც გულითადად დაემშვიდობა, მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის და აზერბაიჯანის მხრიდან შევიდა საქართველოში.

თვეების წინ აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ზურაბის ცოცხლად გამოჩენამ თბილისში ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეგობრების დიდი სიხარული გამოიწვია, მაგრამ ზურაბისთვის ოჯახში დაბრუნება თითქმის ტრაგედიის ტოლფასი იყო, რადგან ინდრა აღარ იყო თბილისში, ქალაქიდანაც და ქვეყნიდანაც თითქოს გამქრალიყო. მისი საცოლე, რომელთანაც აფხაზეთში წასვლამდე უნდა შეუღლებულიყო, საქართველოში აღარ იყო.

არავინ იცოდა, სად იყო ინდრა. მისმა უახლოესმა ნათესავმა, ირინე ჯეჯეიამაც ზუსტად არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. ერთადერთი დამაიმედებელი რამ, რაც ირინესგან გაიგო ზურაბმა, ის იყო, რომ მამისეული სახლის გაყიდვის შემდეგ ინდრა ლატვიაში, რიგაში გაფრენილიყო; ერთადერთხელ დაურეკავს ლატვიიდან საქალაქთაშორისო ტელეფონით, რადგან იმ დროისთვის მას იქ ტელეფონი არ ჰქონია, და ირინესთვის უთქვამს, რომ თავისი ნამდვილი გვარის აღდგენას ცდილობდა; დოკუმენტებს რომ მოაგვარებდა, მოეწყობოდა და

სამსახურს იშოვიდა, ისევ დაურეკავდა და ყველაფერს დაწვრილებით მოუყვებოდა. ეს უკვე დიდი იმედი იყო ზურაბისთვის.

XXX

მალევე ინდრა და მისი თანამშრომელი გოგონა, მარტა, ირვასის სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად. ისინი ძალიან კმაყოფილები იყვნენ, რადგან ქალაქის ცენტრში, სამსახურთან ახლოს ცხოვრობდნენ, ტრანსპორტიც კი არ სჭირდებოდათ საავადმყოფომდე მისასვლელად – 20 წუთში სეირნობით მიდიოდნენ იქამდე. ინდრამ თბილისში თავის ნათესავს, ირინეს დაურეკა, თავისი ამბები რომ შეეტყობინებინა. ირინე სახლში არ დახვდა, ტელეფონი მისმა მეუღლემ აიღო, რომელიც მძიმედ იყო ავად. ინდრამ თბილად მოიკითხა იგი, მოუყვა, ნელ-ნელა, თანდათანობით როგორ აეწყო რიგაში მისი ახალი ცხოვრება, და ირვასის სახლის ტელეფონიც ჩააწერინა.

ინდრასთვის მამამისის მეგობარი ირვასი ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო რიგაში. იგი მას ძია ირვასს ეძახდა. დაბერებულ და მოტეხილ ირვასს ინდრამ წამლებიც დაუნიშნა, სახსრების სპეციფიკური მასაჟებიც ჩაუტარა, კვების სათანადო რეჟიმიც დაუწესა და გამოაცოცხლა მოხუცი, რომელიც ძალიან ბედნიერი იყო, მისი ერთფეროვანი და უიმედო ცხოვრების ასე სასიკეთოდ შეცვლის გამო. პერიოდულად ინდრას სუფთა ჰაერზე გაჰყავდა ირვასი, სახლთან მდებარე პატარა ბაღში ასეირნებდა და თან თავისი მშობლების ცხოვრებისეულ ისტორიებს უსმენდა, რომლებსაც ირვასი სიამოვნებით უყვებოდა ინდრას.

ინდრაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ორმა ისტორიამ მოახდინა; ისინი სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. პირველი იყო ამბავი იმის შესახებ, როგორ გადაარჩინა რაიმონდსმა გიორგი ჭანტურიძე სიკვდილს ომის დროს, რაც მათი მეგობრობის საწინდარი გახდა; მეორე ისტორია კი ომამდე მომხდარ ამბავს შეეხებოდა, როდესაც ვიღაც უცნობმა ახალგაზრდა ქართველმა რაიმონდსსა და გემის დაჭრილ კაპიტანს დახმარება გაუწია ბანდიტურ დაჯგუფებასთან ხელჩართულ ბრძოლაში. ეს ამბავი ქალაქ პეტერბურგში, მდინარე ნევის სანაპიროზე მაშინ მოხდა, როდესაც ბანდიტები სასტუმრო „ასტორიადან“ გამოსული გემის კაპიტნის გაძარცვას ცდილობდნენ.

ზაფხული ახლოვდებოდა. ინდრას და მარტას საავადმყოფოდან ერთთვიანი შვებულება ეკუთვნოდათ და ისინიც საზაფხულოდ დასვენების გეგმებს აწყობდნენ. ინდრა თბილისში აპირებდა ჩასვლას, თავის ნათესავთან, ირინესთან, და შესაძლოა, შემდეგ მის ოჯახთან ერთად იმერეთში, სოფელ ზედა საზანოშიც წასულიყო ნათესავების მოსანახულებლად და დასასვენებლად. მარტა თავის მშობლიურ ქალაქში, სიგულდაში აპირებდა წასვლას. გეგმა ორივეს თითქმის დაწყობილი ჰქონდა.

ერთ დღეს ირვასი, ინდრა და მარტა სუფრას უსხდნენ, სადილობდნენ, და თან მხიარულად საუბრობდნენ. მარტამ ირვასს უთხრა:

– ზაფხულში მე და ინდრა ერთი თვით დასასვენებლად მივდივართ. ჩვენი დახმარებით, ძია ირვას, ამჟამად გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებით; ქალებთან ცხოვრებასაც მიეჩვიეთ, და ახლა, ჩვენ რომ ერთი თვით დასასვენებლად წავალთ, არ გვიღალატოთ, არ გაბედოთ და სხვა ქალები არ შემოუშვათ სახლში!

ოთახში მხიარული სიცილი ატყდა. ირვასმა სიცილისგან თვალს მომდგარი ცრემლი შეიშრო და გოგონებს მიმართა:

– პირობას გაძლევთ, რომ სხვა ქალს სახლში არ შემოვუშვებ. ორი ახალგაზრდა ექიმი გოგონა ასე მივლით და მანებივრებთ, სად ვნახავ კიდევ თქვენისთანებს?!

ისევ ყველამ გაიცინა. შემდეგ ირვასმა იკითხა, სად აპირებდნენ გოგონები დასასვენებლად წასვლას. როდესაც უპასუხეს, რომ თავიანთ ქალაქებში ბრუნდებოდნენ, ირვასს არ მოეწონა ინდრას განზრახვა და ურჩია:

– საქართველოში ჯერ არასტაბილური მდგომარეობაა, ქუჩებში იარაღს ისვრიან. თბილისში ჩასვლა საშიშია. ჯობია, სხვაგან დაისვენო და საქართველოში წასვლა სამომავლოდ გადადო.

– მაშინ ერთად დავისვენოთ! თუ გინდა, სიგულდაში წამოდი, ჩემთან ერთად, ან კიდევ სადმე სხვაგან დავისვენოთ, მაგალითად, თურქეთში, ანტალიაში, ზღვის სანაპიროზე ან კიდევ, შეგვიძლია, პარიზში წავიდეთ, ახლა ვიზებს თავისუფლად იძლევიან, – თქვა მარტამ.

– თურქეთში ყოველთვის მოასწრებთ წასვლას, შემდეგშიც, როცა გათხოვდებით და შვილებიც გეყოლებათ, მაინც მოახერხებთ, რომ თურქეთში წახვიდეთ. ახლა კი, სანამ ახალგაზრდები ხართ და მეტი დრო გაქვთ, ჯობია პარიზი ნახოთ, – ურჩია ირვასმა გოგონებს.

ინდრამ და მარტამ ყურად იღეს ირვასის რჩევა და გადაწყვიტეს, მართლაც პარიზში წასულიყვნენ დასასვენებლად. მით უმეტეს, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში პარიზის გარდა სხვა ქალაქებიც შეეძლოთ ენახათ, მეტიც, სამხრეთ საფრანგეთშიც მოახერხებდნენ წასვლას და ხმელთაშუა ზღვაში ბანაობას.

გოგონებმა მეორე დღესვე საფრანგეთის საკონსულოს მიაკითხეს და მალე ვიზებიც მიიღეს.

პარიზში ჩასვლისას ინდრამ და მარტამ გადაწყვიტეს, მაქსიმალურად გამოეყენებინათ დრო და რაც შეიძლება მეტი რამ ენახათ. სასტუმროში დაბინავდნენ თუ არა, იმავე საღამოს ნოტრ-დამისა და სენტ-შაპელის ტაძრები მოინახულეს, შემდეგ კი მდინარე სენაზე ტურისტული გემით გაისეირნეს.

მეორე დღეს, დილით, კარგად გამოძინებული გოგონები სასტუმროს რესტორანში სასაუზმოდ ჩავიდნენ. ისინი საუზმეს შეექცეოდნენ და თან წინა დღის შთაბეჭდილებებზე აღფრთოვანებულები ლაპარაკობდნენ. გოგონები მოხიბლულნი იყვნენ პარიზით. ცოტა ხანში მათ გვერდით მდგომ ცარიელ მაგიდას ელეგანტურად ჩაცმული შუახნის მამაკაცი მიუახლოვდა, თავაზიანად მიესალმა გოგონებს, „ბონ აპეტიტ“ უსურვა და სასაუზმოდ დაჯდა გვერდით მაგიდასთან.

უცხო ადამიანის მოულოდნელი თავაზიანობით ოდნავ შეცბუნებულმა ინდრამ და მარტამ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. მათ სმენოდათ მანდილოსნების მიმართ ფრანგი მამაკაცების ყურადღებიანი მოპყრობისა და გალანტურობის შესახებ, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ თავაზიანობა ევროპაში მამაკაცთა ღირსებისა და განათლების დამადასტურებელი თვისება და ნორმა იყო.

* * * *

იმ დღეს დილიდანვე წვიმდა, ამიტომ ინდრამ და მარტამ მთელი დღე ლუვრის დათვალიერებას მოანდომეს და ტიულრის ბაღიც ნახეს. უამრავი შედევრის ცქერით ნასიამოვნები და აღტაცებული გოგონები დაღლილები დაბრუნდნენ სასტუმროში და მაშინვე დაიძინეს.

დილით, საუზმობისას, იგივე სცენა განმეორდა. ელეგანტურად ჩაცმული იგივე მამაკაცი გოგონებს თავაზიანად მიესალმა, „ბონ აპეტიტ“ უსურვა და გვერდით მდგომ მაგიდას მიუჯდა. გოგონებმა თავშეკავებულად ჩაიკისკისეს.

– დღეს ალბათ ლომი ნახტომს გააკეთებს და გამოგველაპარაკება, – თქვა მარტამ.

– კარგი. თავი დაანებე, მაგას თავისი გაჭირვებაც ეყოფა, ვერ ხედავ, როგორი დაღვრემილი და სერიოზულია? – გაეპასუხა ინდრა და გოგონებმა ისევ გადაიკისკისეს. შემდეგ კვლავ ინდრამ გააგრძელა საუბარი:

– ჯობია იმაზე ვიფიქროთ, რიგაში დაბრუნებისას ჩვენი ჰოსპიტლის მთავარ ექიმს და სხვა ექიმებსაც რა წავუღოთ სუვენირებად.

– მაგაზე ბოლო დღეებში ვიფიქროთ; რამდენი ქალაქის ნახვას ვაპირებთ, და საჩუქრებით დატვირთულები ხომ არ ვივლით, – თქვა მარტამ და გოგონებს ისევ სიცილი აუვარდათ.

– მართალი ხარ. ახლა ერთ რამეზე შევთანხმდეთ: მხოლოდ რუსულად რომ ვლაპარაკობთ ერთმანეთთან, ჯობია ენების ცოდნა დავხვეწოთ. მე ინგლისური ვიცი კარგად და ამ ენაში გავარჯიშებ, შენ კი ლატვიური ენა მასწავლე. ნელ-ნელა ცოტას უკვე კიდეც ვლაპარაკობ, – თქვა ინდრამ.

– კარგი იდეაა, მაგრამ როგორ, რანაირად? – იკითხა მარტამ.

– მე შევეცდები ლატვიურად გელაპარაკო და შენ შეცდომები შემისწორე; შენ კი ინგლისურად მელაპარაკე და მე შეგისწორებ შეცდომებს. – გოგონებს ისევ სიცილი აუტყდათ და დაიწყეს ერთმანეთთან უცხო ენებზე საუბარი, თან ერთმანეთს შეცდომებს უსწორებდნენ და კვლავ იცინოდნენ.

გვერდით მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი არ იმჩნევდა, მაგრამ ცალი ყურით გოგონებს უსმენდა. მას, როგორც ასაკოვან კაცს, სიამოვნებდა მომხიბვლელ გოგონათა ახალგაზრდული, მჩქეფარე ენერგიითა და სიცოცხლით სავსე სიცილ-კისკისი, რაც მასზეც გადამდებად მოქმედებდა. ხანდახან კი შეუმჩნევლად თვალსაც გააპარებდა ხოლმე მათკენ. განსაკუთრებით მოსწონდა საოცრად ლამაზი, გამორჩეული გარეგნობის ინდრა. მამაკაცმა გადაწყვიტა, გამოლაპარაკებოდა გოგონებს, ჩაახველა და ოდნავ გადმოიწია მათკენ. მარტამ შეამჩნია ეს და ინდრას უთხრა: – ხომ გაგაფრთხილე, ლომი ნახტომისათვის ემზადება!

გოგონებმა ვეღარ შეიკავეს თავი, გულიანად გადაიხარხარეს და ის იყო, მაგიდიდან წამოდგომას აპირებდნენ, რომ უცხო მამაკაცმა ფრანგულ ენაზე რაღაც უთხრა მათ. ინდრამ ინგლისურად უპასუხა, ბოდიში, ფრანგული ენა არ ვიცითო, – და გოგონები მაგიდიდან წამოდგნენ. უცხო ადამიანიც ფეხზე წამოდგა და ინგლისურად გააგრძელა საუბარი.

– დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის. მხოლოდ ერთი წუთი დამითმეთ, ძალიან გთხოვთ. მე პროფესიით ექიმი ვარ, რაღაც მომენტში ყური მოვკარი თქვენს საუბარს. თუ არ ვცდები, დოქტორი და ჰოსპიტალი ახსენეთ. მომეჩვენა, რომ ჩემზე ლაპარაკობდით. ხომ არ მიცნობთ, შემთხვევით, და თუ მიცნობთ, საიდან?

– უკაცრავად, არ გიცნობთ. უბრალოდ, დაემთხვა. ჩვენ ჰოსპიტალში ვმუშაობთ და ექიმებზე ვლაპარაკობდით. ბოდიში, ახლა უნდა წავიდეთ, ბევრი რამ გვაქვს სანახავი და რიგებში დგომა მოგვიწევს, – უპასუხა ინდრამ.

– მოითმინეთ, მოითმინეთ, დაბრძანდით, ძალიან გთხოვთ. მე ახლახან საკუთარი კლინიკა გავხსენი. თქვენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა. გამოცდილ პერსონალს ვეძებ ჩემი კლინიკისთვის. საქმიანი საუბარი გვექნება. მხოლოდ 2 წუთით მოითმინეთ, ზუსტად 10 საათზე შვილი უნდა მომიყვანოს ჩემმა ექსმეუღლემ. ჩემს შვილს დღეს ეიფელის კოშკზე დავპირდი აყვანას. მას სებასტიანი ჰქვია, მე კი ჟან-პიერი გახლავართ! – წამოიძახა მამაკაცმა.

ინდრა მარტას უთარგმნიდა ჟან-პიერის ნალაპარაკევს. ამ დროს მამაკაცი ფეხზე წამოდგა და ხელი მაღლა ასწია. რესტორნის კართან ელეგანტურად ჩაცმული ლამაზი ქალი იდგა, მოზარდ ბიჭთან ერთად, რომელიც მამაკაცის დანახვაზე მისკენ გაიქცა და ჩაეხუტა. მამაც მოეფერა შვილს და ლოყები დაუკოცნა. შემდეგ ჟან-პიერმა გოგონებს მიმართა: –გაიცანით,

ჩემი ვაჟი სებასტიანი! გოგონები ფეხზე წამოდგნენ და გაუღიმეს პატარა საყვარელ ბიჭუნას, რომელმაც ონავრულად, თეატრალური ჟესტით, მოხდენილი რევერანსით წარუდგინა თავი გოგონებს, და ფრანგულად წარმოთქვა: – სებასტიანი! პირადი პერსონით!

მოულოდნელობისაგან ყველას სიცილი აუტყდა. სებასტიანიც გულიანად ხარხარებდა. ამასობაში სებასტიანის დედაც მოუახლოვდათ, ორჯერ გადაკოცნა ჟან-პიერი და სიცილით მიმართა:

– ჟან-პიერ! შენ გინდა, რომ შენი შვილი ქირურგი კარდიოლოგი გამოვიდეს, მე კი მგონია, სებასტიანისთვის ცირკის კლოუნობაა ზედგამოჭრილი!

ისევ სიცილი ატყდა. შემდეგ ჟან-პიერმა გოგონებს მიმართა:

– გაიცანით, მარი-კლერი. – გოგონებმა და ახალმოსულმა მანდილოსანმა თავის ოდნავი დაკვრით გაუღიმეს ერთმანეთს. – ესენი კი ექიმები არიან, ჩემი კოლეგები. ჰო, მართლა, მარი-კლერ, რას მიირთმევ? დაბრძანდი, შემოგვიერთდი.

– ახლა არა, არ მცალია, მორისი მელოდება მაქანაში, თეატრში გვაგვიანდება. – თქვა მარი-კლერმა, შვილი გადაკოცნა, ჭკვიანად მოიქეციო, უთხრა, შემდეგ ჟან-პიერიც გადაკოცნა, გოგონებს გამომშვიდობების ნიშნად გაუღიმა, ხელი დაუქნია და სასტუმროს რესტორნიდან ელეგანტურად გავიდა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის წკაპუნით.

– სებასტიან, დღეს კარგი ამინდია. ახლა ჩემი მანქანით წავიდეთ ეიფელის კოშკის სანახავად, უღრუბლო დღეა, სულ მაღლა აგიყვან და მთელ პარიზს დაინახავ. გოგონებო, უკვე ნახეთ ეიფელის კოშკი? – მიუბრუნდა ჟან-პიერი თავის ახალ ნაცნობებს.

– სწორედ ახლა ვაპირებდით წასვლას, – უთხრა ინდრამ.

– ძალიან კარგი, ერთად წავიდეთ; თან საქმეზე ვისაუბროთ, ჩემი კლინიკის შესახებ მოგიყვებით, მისი მუშაობის მიმართულებას გაგაცნობთ. შენ რას იტყვი, სებასტიან? ჩემი კოლეგები მთელი საათი რიგში ჩავაყენოთ თუ ჩვენთან ერთად ავიყვანოთ ურიგოდ ეიფელის კოშკზე? ჩვენ ხომ სარეზერვო ბრონი გვაქვს.

– რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად, – ღიმილით თქვა ბავშვმა.

– არაა საჭირო, უხერხულად ვგრძნობთ თავს, – იუარა ინდრამ.

– ახლა ზუსტად კარგი დროა, ღრუბელი არ არის. პარიზში ამინდი ძალიან სწრაფად იცვლება, ორ საათში შეიძლება ნიავმა წამოუბეროს და ისეთი ღრუბელი გააჩინოს, რომ ეიფელის კოშკის ბოლო სართულზე ასვლას აზრი აღარ ექნეს. ასეთ დროს ზევიდან მთელი პარიზის ნაცვლად მხოლოდ ღრუბლებს თუ ხედავს ადამიანი. თან, ხომ გითხარით, საქმიანი წინადადება მაქვს თქვენთან. სებასტიან, ჩაავლე მანდილოსნებს ხელი და წავედით! – უთხრა ჟან-პიერმა შვილს.

სებასტიანი გოგონების შუაში მოექცა, ორივეს ხელკავი გამოსდო და გასასვლელისკენ გაემართა. ყველას სიცილი აუტყდა.

– უკაცრავად, მაპატიეთ, თქვენი სახელები არ მიკითხია, როგორ გავაცნო სებასტიანს თქვენი თავი? – დაიმორცხვა ჟან-პიერმა.

ინდრას და მარტას ისევ სიცილი აუტყდათ და სებასტიანს თავიანთი სახელები უთხრეს.

მცირე ხანში ყველა ერთად მანქანაში ისხდნენ, რომელიც ეიფელის კოშკისაკენ მიემართებოდა. მანქანას ჟან-პიერი მართავდა, გვერდით სებასტიანი ეჯდა.

ინდრა და მარტა გაოცებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს, თან ეღიმებოდათ. მიმიკებით, ჟესტებით, მხრების აჩეჩვითა და თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. თვითონვე არ სჯეროდათ, რაც მოხდა. ათი წუთის წინ სრულიად უცნობ მამაკაცს რომ დასცინოდნენ, ლომი ნახტომისათვის ემზადებაო, ახლა იმ მამაკაცის მანქანაში ისხდნენ და ეიფელის კოშკისკენ მიდიოდნენ...

– აი, ამას ჰქვია მართლაც ლომის ნახტომი! ამას როგორ წარმოვიდგენდი! სულ რაღაც ათ წუთში თითქმის მთელი თავისი ბიოგრაფია და ოჯახის წევრები გაგვაცნო, ახლა კი მის მანქანაში ვსხედვართ და მაინც არ მჯერა, რომ ეს რეალობაა! – ირონიულად შენიშნა მარტამ.

– მეც ვერ მოვდივარ აზრზე, სიზმარში მგონია თავი. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ აქ. ახლა დავრწმუნდი, რომ ევროპა, ნებისმიერი თვალსაზრისით, სულ სხვა დონეა. აქ შეიძ-ლება ნორმად ითვლებოდეს ის, რაც ჩვენ გვაკვირვებს, – გაეპასუხა მეგობარს გაოცებული ინდრა.

– სასტუმროს რესტორანში ერთმანეთს სამ ენაზე ესაუბრებოდით. დავიბენი და ვერ გავერკვიე, საიდან ხართ? – იკითხა ჟან-პიერმა.

– ლატვიიდან. ქალაქ რიგიდან, – გაეცინათ გოგონებს.

ეიფელის კოშკიც გამოჩნდა. ჟან-პიერმა მანქანა მარსის ველის სადგომზე დააყენა. ბაღი გაიარეს და მალე ეიფელის კოშკის ბოლო სართულზე ავიდნენ. ზევიდან მთელი პარიზი ხელისგულივით მოჩანდა. თვალს იტაცებდა ულამაზესი ისტორიული ნაგებობები და ამწვანებული ბაღები. სებასტიანი და გოგონები აღფრთოვანებული იყვნენ პარიზის მასშტაბებითა და მშვენიერებით. ეიფელის კოშკიდან ჩამოსვლის შემდეგ სებასტიანმა ნაყინი მოსთხოვა მამას. ჟან-პიერმა გოგონებს მიმართა:

– ნება დაგვრთეთ, რომ სებასტიანმა და მე ნაყინზე დაგპატიჟოთ, თან ჩვენს საქმეზეც ვისაუბროთ.

გოგონები დათანხმდნენ და ოთხივე ერთად მარსის ველის ბაღებთან მდებარე ერთ-ერთი კაფეტერიის გარეთ, ქოლგის ქვეშ დადგმულ მაგიდას მიუსხდნენ.

სებასტიანმა გოგონებს ჰკითხა, ვის რომელი ნაყინი მოსწონდა ყველაზე მეტად, შემდეგ კი თავისი საყვარელი ნუგბარების ჩამოთვლა დაიწყო. ნაყინი რომ მოიტანეს, სებასტიანმა დააგემოვნა და მამას უთხრა, ძალიან გაყინულია და სანამ გადნება, ბაღში მტრედებს ვეთამაშებიო. მამა დაეთანხმა და უთხრა, შორს ნუ წახვალ, ახლოს იყავიო.

ჟან-პიერმა გოგონებს აუხსნა, რომ იყო ექიმი და ცხოვრობდა პარიზიდან მანქანით ერთი საათის სავალზე მდებარე პატარა, კოხტა ქალაქში, სადაც მან ახლახან ახალი სამედიცინო კლინიკა გახსნა. ადრე ის თურმე საკმაო ხანი მუშაობდა პარიზში, თუმცა შემდეგში ამჯობინა საკუთარი კლინიკა გაეხსნა. სწორედ ამ მიზნით იყო ახლა რამდენიმე დღით პარიზში ჩამოსული, რათა კლინიკის სარეგისტრაციო დოკუმენტები საბოლოოდ დაემტკიცებინა. კლინიკაში სამუშაოდ მას სჭირდებოდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი და ენერგიული მედპერსონალი, ასეთი კადრების მოძებნას კი საკმაო დრო სჭირდებოდა. რამდენიმე ადამიანი უკვე ჰყავდა აყვანილი, ისინი მისი ქალაქის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, და თუ ინდრა და მარტა დაეხმარებოდნენ, რომ კლინიკა მალევე აემუშავებინა, მათ იგი კარგ გასამრჯელოს გადაუხდიდა.

რადგან იგი ამჟამად პარიზში იმყოფებოდა, მარტასა და ინდრას სამთვიანი დროებითი სამუშაო ნებართვის დოკუმენტებს მალევე გაუკეთებდა. ერთი თვე საცდელი პერიოდი იქნებოდა, იმისათვის, რომ ენახა, როგორი სპეციალისტები იყვნენ და რისი გაკეთება შეეძლოთ. თუ ჟან-პიერი კმაყოფილი დარჩებოდა მათი მუშაობით, საცდელი დროის გასვლის შემდეგ გოგონებს ხანგრძლივ სამუშაო კონტრაქტებს გაუფორმებდა. თუკი მათ რაიმე არ მოეწონებოდათ და წასვლას დააპირებდნენ, ერთი ან სამი თვის შემდეგ თავისუფლები იქნებოდნენ ან, სულაც, ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაეტოვებინათ სამსახური.

– კარგად იფიქრეთ. ხვალ დილით, საუზმის დროს გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. მე ხვალამდე სასტუმროში ვიქნები. ამაღამ სებასტიანი ჩემთან რჩება, ამისათვის საგანგებოდ ოროთახიანი ნომერი მაქვს აღებული. ჩემს ექსმეუღლესთან უკვე მოლაპარაკებული ვარ. ხვალ

სებასტიანს დაბადების დღე აქვს, 10 წლის ხდება, და შევპირდი, რომ ვერსალს ვანახებდი. კარგი ბიჭია, კარგადაც სწავლობს და ძალიან მიყვარს ჩემი შვილი. ხვალ ვერსალში წავიყვან. სამწუხაროა, რომ ხშირად ვერ ვნახულობ, როგორც მე მინდა. სებასტიანი მარი-კლერთან იზრდება. ჩვენ ცხოვრების სხვადასხვა ინტერესები აღმოგვაჩნდა და ერთმანეთს დავშორდით. მარი-კლერი ახლა მორისის მეუღლეა, მაგრამ ჩვენ მეგობრები ვართ, ის ძალიან კარგი დედაა.

ამ დროს სებასტიანის ხმა გაისმა – ბავშვი ტირილით უხმობდა მამას. სებასტიანი მტრედს გამოდევნებია, წაქცეულა, ბაღის ფანტანის კიდეს დაჯახებია და მუხლი ჰქონდა გაკაწრული, ნაკაწრიდან კი სისხლი მოჟონავდა. ჟან-პიერმა მოიყვანა ბავშვი და შეწუხებულმა გოგონებს უთხრა, სებასტიანს თქვენთან დავტოვებ, სანამ სადგომიდან მანქანას მოვიყვან და კლინიკაში წავიყვანო.

გოგონებმა ოდნავ გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს – პატარა ნაკაწრის გამო არ იყო საჭირო ბავშვის კლინიკაში წაყვანა. ინდრამ ჟან-პიერს უთხრა:

– სამი ექიმი აქა ვართ და ამის გამო კლინიკაში წაყვანა რა საჭიროა, მთავარია, ბავშვს სიარული შეუძლია და მუხლი გატეხილი არა აქვს. მე და მარტა ხელად მივხედავთ სებასტიანს, თქვენ მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი და ცოტა ბამბა მოგვიტანეთ.

შეშფოთებული ჟან-პიერი დამშვიდდა. მართალს ამბობდა ინდრა, საშიში არაფერი იყო. იგი წამოდგა, კაფეტერიაში შევიდა და მალევე დაბრუნდა, ჭიქითა და ბამბით ხელში. თვითონაც შეეძლო მიეხედა თავისი შვილისათვის, მაგრამ დაინტერესდა, გოგონები რას მოიმოქმედებდნენ. ჟან-პიერი სკამზე ჩამოჯდა და ყურადღებით დაუწყო მათ დაკვირვება.

აზლუქუნებული სებასტიანი გოგონებმა ხუმრობითა და შეღუტუნებით გააცინეს და გაამხნევეს. მუხლის თავზე ცოტაოდენი სისხლი მარტამ უცებ მობანა წყლიანი ბამბით. ინდრამ ხელჩანთიდან სუნამო ამოიღო, ბამბა დაასველა, ნაკაწრზე მოუსვა სებასტიანს და თან სიცილით უთხრა:

– ცოტა აგეწვება, მაგრამ იცოდე, ცრემლი არ გადმოაგდო გოგონების წინაშე. დაგვანახე, რომ მამაცი ბიჭუნა ხარ.

ჟან-პიერს ძალიან მოეწონა, რომ ეს უმნიშვნელო პრობლემა გოგონებმა ძალიან სწრაფად, მხოლოდ ერთ წუთში მოაგვარეს, თანაც ხუმრობითა და თამაშით. სებასტიანს ნაკაწრი აღარც ახსოვდა და უკვე სიამოვნებით მიირთმევდა თავის ნაყინს. ჟან-პიერმა გამოჰკითხა მათ, სად ჰქონდათ მიღებული განათლება, რა სპეციალობის იყვნენ, რა სამუშაო პრაქტიკა ჰქონდათ გავლილი. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ. გოგონები მონმარტრის სანახავად წავიდნენ, ჟან-პიერმა კი შვილი ცირკში წაიყვანა.

მეორე დილით, საუზმის დროს, ჟან-პიერი და სებასტიანი თბილად მიესალმნენ გოგონებს. სასაუზმოდ ყველანი ერთ მაგიდასთან დასხდნენ. ჟან-პიერი დაინტერესდა, მიიღეს თუ არა გოგონებმა გადაწყვიტილება მის შეთავაზებაზე, თანახმანი იყვნენ თუ არა, რომ მის კლინიკაში ემუშავათ. გოგონებმა უპასუხეს, რომ ჯერ ვერ გადაეწყვიტათ, რადგან მათთვის რთული იყო იმ სამსახურის დატოვება, სადაც მუშაობდნენ; რომ ეშინოდათ, საერთოდ არ დაეკარგათ სამსახური. ამაზე ჟან-პიერმა გაიცინა და თქვა:

– მაგაზე ნუ ღელავთ, ეგ ყველაზე ადვილი მოსაგვარებელია. თქვენი ჰოსპიტლის დირექციას ოფიციალურ წერილს და მოთხოვნას გავუგზავნით, რომ საფრანგეთის მხარე დაინტერესებულია თქვენით, როგორც მაღალი რანგის სპეციალისტებით, და კვალიფიკაციის ასამაღლებლად გთავაზობთ რამდენიმეთვიან სტაჟირებას საფრანგეთის ერთ-ერთ კერძო კლინიკაში, რასაც მთლიანად საფრანგეთის მხარე დააფინანსებს.

თქვენ რაც გაფიქრებთ, ეგ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად ავამუშავო კლინიკა, ამისათვის კი საჭიროა, რომ ვაკმაყოფილებდეთ

მოთხოვნას მედპერსონალის მინიმალური რაოდენობის შესახებ. მუშაობის ნებართვის მისაღებად კიდევ ორი ექიმი მჭირდება. მათ ძებნას უამრავი ქაღალდი და დოკუმენტი, კომისიები და დრო სჭირდება, დაახლოებით, ორი-სამი თვე; საქმე დაძრულია და ის ექიმებიც მოვლენ, როცა იქნება. მაგრამ ახლა მთავარია, რომ კლინიკა დროულად ამუშავდეს, კიდევ 3 თვე რომ არ ვიცადო, და სწორედ ამიტომ მჭირდება თქვენი დახმარება. ძალიან კარგ ხელფასსაც დაგინიშნავთ და პირობას გაძლევთ, უკმაყოფილონი არ დარჩებით. მალე ფრანგულ ენასაც შეისწავლით. ემიგრანტებისთვის უფასო კურსებია გახსნილი, ყოველდღიური გაკვეთილებით, და იქაც მოგაწყობთ.

ჩემს პატარა ქალაქში დღემდე კლინიკა არ არსებობს; იქაურები პარიზის გარეუბნების ან სხვა ახლომდებარე დიდი ქალაქების საავადმყოფოებში დადიან. ყველა ელოდება კლინიკის გახსნას. მედპერსონალის მოყვანა კი მაინც დამჭირდება, იმიტომ, რომ შემდგომში მრავალ-პროფილიან გაფართოებას ვაპირებ. თქვენ თუ რაიმე არ მოგეწონებათ, თუ ოდნავ მაინც უკმაყოფილო იქნებით, ჩემი გუშინდელი ნათქვამი ძალაში რჩება – ნებისმიერ მომენტში შეგიძლიათ დატოვოთ სამსახური.

– დაიწყეთ მამასთან მუშაობა. კარგი ექიმები ხართ. გუშინ ფეხი ისე კარგად მომირჩინეთ, რომ აღარც კი მახსოვდა ტკივილი, ცირკში სულ ვიცინოდი. ხანდახან მეც ჩამოვალ ხოლმე თქვენთან და გნახავთ. შოკოლადებსაც ჩამოგიტანთ, – სებასტიანმაც მხარი აუბა მამას.

ბავშვის ნათქვამმა ყველა გაამხიარულა, გოგონებმა სებასტიანს დაბადების დღე მიულოცეს და ფორთოხლისწვნიანი ჭიქები მის ჭიქას მიუჭახუნეს. მომღიმარი ჟან-პიერი დაფიქრდა და შემდეგ თავის შვილს მიუბრუნდა:

–აბა, რას იტყვი, სებასტიან, მე და შენ ახლა ვერსალის სანახავად მივდივართ, ხომ არ დავპატიჟოთ და წავიყვანოთ გოგონები ჩვენთან ერთად, და შემდეგ კლინიკაც ვაჩვენოთ, რომელიც ვერსალიდან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზეა?

– კი! კი! წავიყვანოთ! – სიხარულით აყვირდა სებასტიანი.

ვერსალის დათვალიერების შემდეგ ჟან-პიერმა გოგონები თავის ქალაქში წაიყვანა. სიმწვანეში ჩაფლული, ლამაზი და კოპწია პატარა ქალაქის კლინიკა გოგონებს ძალიან მოეწონათ. მომდევნო დილას, სასტუმროში საუზმობისას, ინდრა და მარტა ჟან-პიერს შემოთავაზებულ წინადადებაზე დასთანხმდნენ. გახარებულმა ჟან-პიერმა გოგონებს უთხრა, რომ დროებით საცხოვრებლად მათ შეეძლოთ ესარგებლათ მისი სახლის მეორე სართულით, რომელიც ცარიელი და დაკეტილი იყო; ან კიდევ, თუ მოისურვებდნენ, დროებით დაუთმობდა მათ თავისი კლინიკის ერთ-ერთ დიდი ოთახს.

სასტუმროში ჟან-პიერი კიდევ რამდენიმე დღე დარჩა, რათა გოგონების საბუთების საქმე მოეგვარებინა. ამასობაში ინდრამ და მარტამ დრო არ დაკარგეს და პარიზი კარგად დაათვალიერეს.

სამედიცინო კლინიკაც მალე ამუშავდა და სულ მცირე ხანში წარმატებით ფუნქცი-ონირებაც დაიწყო. გოგონები დღისით მუშაობდნენ, საღამოს კი ფრანგულის გაკვეთილებზე დადიოდნენ. მათ მოერიდათ ჟან-პიერის სახლში ცხოვრება და კლინიკაში მათთვის გამოყოფილი დიდი ოთახი არჩიეს, სადაც სამზარეულოთი და აბაზანით სარგებლობაც შეეძლოთ. კლინიკა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და მათთვის ხელსაყრელი იყო იქ ცხოვრება, რადგან სურსათის მაღაზიები და ფრანგულის ენის შემსწავლელი კურსებიც იქვე ახლოს ჰქონდათ. ჟან-პიერი და გოგონები ძალიან კმაყოფილი იყვნენ ერთმანეთით, საქმეც კარგად მიდიოდა. ინდრამ რიგაშიც დარეკა, ძია ირვასი მოიკითხა, ამცნო მას საფრანგეთში დარჩენის თაობაზე და ისიც უთხრა, რომ ამ ეტაპზე არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა რიგაში.

1047 წლის გაზაფხულზე კასპის მახლობლად, მდინარე თეძამის მარჯვენა სანაპიროზე, სასირეთის ჭალაში გაშლილ ველზე საბრძოლველად განლაგებულიყვნენ ბაგრატ მეფისა და კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ IV ბაღვაშის ჯარები. მართალია, მათ ჯარებს მცირე შეტაკებები მოუხდათ კიდეც ჯავახეთში, მაგრამ მთავარი და დიდი ბრძოლა ერთმანეთთან წინ ჰქონდათ; და აი, ის დღეც დადგა.

ლიპარიტის მხარეს, ბიზანტიელთა გარდა, კახთა ჯარიც დადგა. ამას გარდა, ლიპარიტს თავისი საერისთავოს კარგად გაწვრთნილი და მომზადებული ლაშქარიც ჰყავდა. რიცხობრივად ლიპარიტის ჯარი ორჯერ აღემატებოდა ბაგრატისას, მაგრამ ქართველთა მეფეს მხედრობა მეტი ჰყავდა, ვიდრე ლიპარიტს, და ცხენოსანი ლაშქრის გარდა, მამაცი და ბრძოლებში გამობრძმედილი ვარანგთა დიდი რაზმიც მისი დროშის ქვეშ იდგა, რაც სიმხნევეს მატებდა ბაგრატს. მეფე გულდასმით აკვირდებოდა ლიპარიტის ჯარის წყობას.

ბრძოლის ველზე ლიპარიტის ქვეითი ჯარის ლეგიონები სიგრძეზე იყვნენ გაწელილები, და, როგორც ჩანდა, გაშლილი ფრონტით აპირებდნენ საბრძოლველად წინ დაძვრას. სავარაუდოდ, მეფის ჯართან ბრძოლის დროს ბიზანტიელთა ჯარის ფლანგები შეეცდე-ბოდნენ, ალყის რკალში მოექციათ ბაგრატის ჯარი და მოქმედების საშუალება შეეზღუდათ მისთვის. ბიზანტიელთა ცხენოსანი ლაშქარი ქვეითი ჯარის უკან, ცენტრში იდგა. როდესაც ბიზანტიელნი ალყის შეკვრას დააპირებდნენ, კავალერიაც მაშინ დაიძრებოდა და პირდაპირი იერიშით ბაგრატის ჯარს გადათქერავდნენ. – ბაგრატის აზრით, ასე უნდა მოქცეულიყო მტერი; მეფის აზრს დაეთანხმნენ მისი მხედართმთავრებიც და ინგვარიც. ბიზანტიელთა მთავარსარდლის ჩანაფიქრი გასაგები იყო, მაგრამ ბაგრატი ეჭვობდა. ის კარგად იცნობდა თავის აღმზრდელს, ერისთავთ-ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს, რომელიც საუკეთესო მებრძოლი და ჩინებული მხედართმთავარი იყო. სწორედ ლიპარიტი ასწავლიდა პატარაობისას მომავალ მეფეს დიდი ალექსანდრე მაკედონელის ომების საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკას. ბაგრატი ხვდებოდა, რომ ლიპარიტის დიდი საბრძოლო გამოცდილებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, მას უსათუოდ კიდევ რაღაც მზაკვრული ხერხი და მოულოდნელი ხრიკი ექნებოდა გადანახული, რომელიც ჯერჯერობით შეუმჩნეველი იყო. ეს ბრძოლის დროს გამოჩნდებოდა და ბაგრატს დროულად უნდა მოეხდინა რეაგირება, ბრძოლა რომ არ წაეგო.

ბაგრატი მოეთათბირა თავის მხედართმთავრებს და ბრძოლის გეგმა ასე დააწყო: მეფის ქვეითი ჯარი ორად გაიყოფოდა, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებად; შუაში ცხენოსანთა ლაშქა-რი იდგებოდა, რომელიც საჭირო დროს პირდაპირ შეუტევდა ბიზანტიელთა რიცხობრივად ნაკლებ კავალერიას, სადაც მათი მხედართმთავრები და ლიპარიტი იდგნენ. მეფის ცხენოსანი ლაშქრის წინ კი ვარანგთა რაზმი დადგებოდა, ორი მიზეზის გამო.

პირველი მიზეზი იყო ის, რომ ვარანგებისთვის, გიგანტური აღნაგობის მამაცი მებრძოლებისთვის, ბიზანტიელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე მწკრივად დაწყობილ, ტანდაბალ მებრძოლთა კოლონებთან ხელჩართული ომის გამართვა გართობა უფრო იქნებოდა, ბავშვებთან ბრძოლასა და თამაშს დაემსგავსებოდა. ვარანგები სწრაფად და ადვილად გაუკაფავდნენ გზას მეფის ცხენოსანთა ლაშქარს მოპირდაპირე მხარეს მდგარ ბიზანტიელთა ჯარის მხედართმთავრებისკენ.

მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ბიზანტიელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ იმპერატორ ბასილი II-ის პირადი დაცვის, ლეგენდარული ჰარალდის ვიკინგთა 500-კაციანი

მრისხანე გვარდია, და ბრძოლის ველზე 1000-მდე ვიკინგის დგომა ბაგრატის გვერდით დამთრგუნველად იმოქმედებდა ლიპარიტის ჯარზე.

ბაგრატის მოპირისპირე მხარეს მდგარი ლიპარიტი, ბიზანტიელი მხედართმთავრები და ლიპარიტის მომხრე ქართველი ერისთავები მოუთმენლად ელოდნენ ბრძოლის დაწყებას. მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ თავიანთ გამარჯვებაში. ლიპარიტს მოეწონა თავისი ნამოწაფარის საბრძოლო გეგმა და ჩანაფიქრი. ბაგრატი შეეცდებოდა ბრძოლის ხანგრძლივი გაჭიანურების გარეშე, მთავარი, სწრაფი დარტყმა ცხენოსანი ლაშქრით, უმოკლესი გზით, პირდაპირი იერიშით მხედართმთავრებზე მიეტანა. მათი შეპყრობის შემდეგ კი ბიზანტიელთა ჯარი იარაღს მაშინვე დაყრიდა. ამ ხერხს დიდი მაკედონელი იყენებდა სპარსეთის მეფე დარიოსთან ომში.

ლიპარიტმა გადახედა ბიზანტიელთა ჯარის მთავარ მხედართმთავარს, – დროა, დავიწყოთო, – უთხრა და ბრძოლის ველს გახედა. ბიზანტიონმა ნიშანი მისცა და რკინის მძიმე თორების ჟღარუნით, ბიზანტიელთა ლეგიონების ათეულათასიანმა კოლონებმა, კახთა და ლიპარიტის ჯარის თანხლებით, ნელი სვლა დაიწყეს მეფე ბაგრატის მხარეს. ახლად ამწვანებულ მინდორზე მტვრის კორიანტელი ავარდა, მიწამ ზანზარი დაიწყო.

მშვილდის სასროლ მანძილზე მიახლოებისას ბიზანტიელთა ჯარი შედგა და მეწინავე მებრძოლთა სამმა მწკრივმა მუხლზე დაიჩოქა. მათ უკან მდგომ ლეგიონებს საბრძოლო მშვილდები მოემზადებინათ. ლიპარიტის ბრძანების თანახმად, მისი ჯარი არავითარ შემთხვევაში ვარანგებს ხელჩართულ ბრძოლაში არ უნდა შებმოდა. მშვილდოსნებს შორიდან უნდა გაენადგურებინათ ისინი. მშვილდოსნებმა მოზიდეს მშვილდები და ბიზანტიელთა ლეგიონების მხრიდან ვარანგი მებრძოლებისკენ ათეულათასობით ქეიბურის დიდი საბრძოლო ისარი შხუილით გაფრინდა. ლიპარიტის ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებმა კი სირბილით სწრაფად წინ წაიწიეს, ნახევარმთვარის მსგავსად რკალი შეკრეს, მეფის ჯარს ეკვეთნენ და მათი შევიწროება დაიწყეს.

მეფე მოულოდნელობისაგან შედრკა. აი, თურმე რა ყოფილა ლიპარიტის მზაკვრული ჩანაფიქრი. მშვილდოსნების არსებობას ბაგრატი, რა თქმა უნდა, ვარაუდობდა, მაგრამ მშვილდოსანთა მთელი ლეგიონები თუ ეყოლებოდა ლიპარიტს, ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. ბიზანტიელთა მხრიდან შეუჩერებლივ მოფრინავდა და მოფრინავდა ქეიბურის ისართა შეუწყვეტელი მერეხი, და უმოწყალოდ ანადგურებდა ბაგრატის მეწინავე ჯარს.

ბაგრატს ვარანგთა რაზმი სჭირდებოდა ცხენოსანთა ლაშქრისთვის გზის გასათავისუფლებლად, მაგრამ ვარანგები უკვე იღუპებოდნენ, ამიტომ მან ბრძანება გასცა და მათ დასახმარებლად კავალერია დაძრა. მხედრები სწრაფად წამოეწივნენ ვარანგებს და მათთან ერთად ლიპარიტის ჯარის მიმართულებით დაიძრნენ. ბიზანტიელ მშვილდოსანთა ათეულათასობით ისრის მერეხმა უმოწყალოდ მოსრა მეფის ცხენოსანთა ლაშქარი, მაგრამ მათ მაინც მიაღწიეს ლიპარიტის მეწინავე ჯარის რიგებთან, ცოცხლად გადარჩენილ ვარანგთა რაზმის მებრძოლებთან ერთად, და აქ სასტიკი და დაუნდობელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

მოისართა მერეხი არ წყდებოდა, მაგრამ მეფის ცხენოსანთა ლაშქრის შეტევამ ბიზანტიელთა ჯარის ცენტრში ქაოსი გამოიწვია. ლიპარიტის კავალერია ბრძოლაში ჩაბმას ჯერ არ აპირებდა. ლიპარიტმა ბრძანება გასცა, რომ მეფის ცხენოსანთა ლაშქარი ქვეით ჯართა ლეგიონებს ალყის რკალში მოექციათ და ისე გაენადგურებინათ ისინი ყოველი მხრიდან.

მეფის ცხენოსანთა ჯარმა გაშლა ვერ მოასწრო. მათ წინ წაწევა გაუჭირდათ, სადაც ლიპარიტის კავალერია იდგა. ორივე მხრიდან, ფლანგებზე, ბაგრატის ჯარი მხნედ და მედგრად იბრძოდა, მაგრამ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება მხოლოდ იმაზე იყო

დამოკიდებული, ვინ უფრო მეტხანს შეძლებდა ბრძოლას. ბაგრატი მიხვდა, რომ ომში გამარჯვებული დარჩებოდა ის, ვისაც ცოცხალი ძალა მეტი დარჩებოდა. თუ ბაგრატი ბრძოლას არ შეწყვეტდა, ის ჯარის გარეშე დარჩებოდა. ლიპარიტს კი ორჯერ მეტი ჯარი ჰყავდა. ბაგრატი მოერიდა ჯარის ასე უაზროდ, მთლიანად განადგურებას. მან ნიშანი მისცა, საბრძოლო ბუკებს ჩაჰბერეს და მეფის ჯარმა ბრძოლის ველიდან უკან დახევა დაიწყო.

ორივე მხრიდან მსხვერპლი დიდი იყო. ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ ორივე მხარემ დაჭრილი და დახოცილი მეომრები ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ვარანგთა რაზმის ნახევარზე მეტი განადგურებული იყო. ინგვარის ერთი ძმა, ბჯორნი, ბრძოლაში დაიღუპა. მეორე კი, მაგნუსი, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. მეფის რამდენიმე ერისთავი, ჯარის მხედართმთავრები, ბრძოლაში დაიღუპნენ. ლიპარიტის შვილ ივანეში გადაცვლილი აბუსერ ერისთავი და კიდევ რამდენიმე ერისთავი კვლავ ლიპარიტის ტყვეობაში ჩავარდნენ.

ცხენზე ამხედრებული ლიპარიტი ამრეზით შეჰყურებდა სისხლიან ბრძოლის ველს. მან კარგად უწყოდა, რომ კისერზე სამშობლოს ღალატი და მრავალი დაღუპულის ცოდვა ეკიდა, მაგრამ ეს არ აღელვებდა. დაუნდობელ და სასტიკ ბრძოლაში უამრავ ქართველთან ერთად დაიღუპნენ ვარანგები, ბერძნები და ბიზანტიელთა რიგებში მებრძოლი სომხებიც. ლიპარიტმა იცოდა, რომ ბაგრატთან ომი შეიძლება რამდენიმე დღე გაგრძელებულიყო, სანამ მეფის ჯარი სულ არ განადგურდებოდა. ის კმაყოფილი იყო, რომ დიდი ბრძოლა მისი გამარჯვებით დამთავრდა და ბაგრატის ჯარმა უკან დაიხია. ცოტა დასვენება და დაჭრილი მებრძოლების მიხედვა მასაც სჭირდებოდა, ამიტომ ლიპარიტი ბაგრატის გამოდევნებას ჯერჯერობით არ აპირებდა, მასთან გასწორება სამომავლოდ გადადო.

მეფე ბაგრატმა ცოცხლად გადარჩენილ თავის მხედართმთავრებს დაავალა, რომ ჯარი უაზროდ არ გაეწირათ და მებრძოლები სახლებში გაეშვათ, შემდეგ გამოძახებამდე. ჯარის შესანახი საკვები მებრძოლებისთვის დაერიგებინათ, გამოთავისუფლებული ურმებით კი დაჭრილი და დაღუპული მებრძოლები გაეყვანათ; თვითონ კი, ოჯახთან ერთად, დასავლეთ საქართველოში გადავიდოდა. სამეფო ტახტის მოცილე ნახევარძმა, დემეტრე, უკვე მკვდარი იყო, და ლიპარიტი მას მეფობას ვერ წაართმევდა.

ბაგრატი თავისი დაღუპული მხედართმთავრებისა და მებრძოლების სულის მოსახსენებელ წირვა-ლოცვას დაესწრო, შემდეგ კი თავისი ამალით მდინარე მტკვრის სანაპიროს გაუყვა, რათა იმ ადგილამდე მიეღწია, სადაც ინგვარის გემები იდგა. მართალია, ბრძოლის დამთავრების შემდეგ მეფემ გულუხვად გადაუხადა გასამრჯელო ინგვარს, ვერცხლით სავსე სკივრი გადასცა, მაგრამ უზომოდ გულდაწყვეტილი იყო იმით, რაც თავისი თვალით ნახა – როგორ მუსრავდა ბიზანტიელ მშვილდოსანთა ისრების წვიმა გოლიათური აღნაგობის მამაც ვარანგ მებრძოლებს.

ყველაზე მეტად კი ის აწუხებდა ბაგრატს, რომ მის სამეფოში არეულობა და ომები არ მთავრდებოდა, და რომ ამ უბედურების ნამდვილი მიზეზი მხოლოდ კონსტანტინოპოლი იყო. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე ბაგრატს ცოფიანი ძაღლივით უქსევდა ლიპარიტ ბაღვაშს. როდემდე გაგრძელდებოდა ასე? ლიპარიტი თუ არ იქნებოდა, კეისარი სხვა ცოფიან ძაღლს გამოძებნიდა. ბაგრატმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი პრობლემა ლიპარიტი კი არ იყო, არამედ თვით იმპერატორი.

იქნებ აჯობებდა კიდეც, რომ ბაგრატ მეფე, კუროპალატად წოდებული, რაც ბიზანტიის იმპერიაში უმაღლესი სამოხელეო ტიტული იყო, კეისრის შემდეგ, თავისი ოჯახით სტუმრად სწვეოდა იმპერატორ კონსტანტინეს კონსტანტინოპოლში, და ორივეს ერთად, ერთმანეთთან გულახდილი და საზრიანი საუბარით დაემთავრებინათ და ბოლო მოეღოთ იმ უაზრო კინკლაობისთვის, რასაც დასასრული არ უჩანდა...

ასეთ ღრმა ფიქრებში წასული და თავის თავში ჩაძირული მეფე ბაგრატი მის გვერდით ცხენდაცხენ მიმავალი უფლისწულის, გიორგის სიტყვებმა გამოაფხიზლა:

– ვარანგთა გემები გამოჩნდა, მამა.

XXXII

სამსახურში, ორკესტრის რეპეტიციის შესვენების დროს, ზურაბს მისი მეგობარი, მევიოლინე მარიამი მიუახლოვდა და უთხრა:

– ზურა, ხვალ დასვენების დღე გვაქვს; სამხატვრო გალერეაში სიმებიანი კვარტეტის პატარა კონცერტი შემომთავაზეს ხვალისთვის, და თუ გცალია, დავუკრათ, გავიხსენოთ ჩვენი სტუდენტობის წლები. გამოფენის დაწყებამდე იქვე, დარბაზში გავივლით რეპეტიციას და კარგ გასამრჯელოსაც გადაგვიხდიან.

ზურაბი დაეთანხმა მარიამს და მუსიკის ნოტები სთხოვა, რომ წინასწარ გადაეხედა ნაწარმოებებისთვის. მარიამს ძალიან გაუხარდა და უთხრა:

– ჩემი სახლი ხომ გახსოვს. სამსახურის დამთავრების შემდეგ მოდი ჩემთან და მოგცემ ნოტებს, გამზადებული მაქვს. მე სკოლიდან ბავშვი მყავს გამოსაყვანი, იქვეა სკოლა, ჩემს სახლთან, და მეც მალე მოვალ.

სიმფონიური ორკესტრის ხანგრძლივი რეპეტიცია დასრულდა. მომავალი კონცერტისთვის დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე რთულ და საინტერესო პროგრამას, მალერის მე-9 სიმფონიას ამზადებდა. ზურაბი საკონცერტო დარბაზიდან გამოვიდა და კვარტეტის მუსიკის ნოტების ასაღებად მარიამის სახლისაკენ წავიდა. მარიამი გათხოვილი იყო და შვილიც ჰყავდა. ზურიკო კი მას თავისი უმცროსი დისთვის, ნინოსთვის მოსწონდა და სპეციალურად ისეთ დროს დაიბარა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ, თან სახლში ყველა გააფრთხილა, თუ ოდნავ დავიგვიანე, ჩემს მოსვლამდე არ გაუშვათო.

ზურაბს კარი გაუღეს, სახლში მიიპატიჟეს და გაშლილ სუფრასთან მიიწვიეს. მან უხერხულად იგრძნო თავი და იუარა:

– არ შეგაწუხებთ, მე მხოლოდ ნოტების წასაღებად მოვედი და მარიამი თუ არ არის სახლში, მოგვიანებით გამოვივლი, – თავაზიანად იუარა ზურაბმა.

მარიამის მამა, დავითი, სავარძლიდან წამოდგა, ზურაბს მიუახლოვდა და უთხრა:

– მარიამი სადაცაა მოვა, ნოტები სადა აქვს შენახული, ჩვენ არ ვიცით. სადილობას ვაპირებდით, გთხოვთ, ისადილოთ ჩვენთან ერთად, ნუ მოგერიდებათ, მარიამიც მალე აქ იქნება.

– მობრძანდით, მობრძანდით, დიდად სასიამოვნოა, – ჩაერთო საუბარში დავითის მეუღლე თამარი და ყველა ერთად სუფრასთან მიიწვია. ზურიკო ნინოს გვერდით მოთავსდა, რომელსაც ადრევე იცნობდა, მაგრამ ახლო ურთიერთობა მასთან არ ჰქონია. ოდნავ დარცხვენილმა, მომხიბვლელმა და თვალებგაბრწყინებულმა ნინომ ზურიკოს შეხედა და ღიმილით უთხრა:

– დღეს ჩვენი ბაბუას დაბადების დღეა. – შემდეგ ნინომ პატარა სასმისი ხელში აიღო, მაღლა აღმართა და სუფრის თავში მჯდომ დავითის მამას სიცილით მიმართა: – ირაკლი ბაბუა, გილოცავ დაბადების დღეს, გაგიმარჯოს, კიდევ დიდხანს, დიდხანს იცოცხლე!

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – გაისმა დავითის, თამარის და ზურაბის ხმებიც.

– გმადლობთ, შვილებო. დღეს სტალინის დაბადების დღეცაა და მისი მოსაგონარიც იყოს! ფრონტზე სტალინის სახელით მივდიოდით მტერზე შეტევის დროს. – მშვიდად წარმოთქვა ახოვანმა და ჯერ კიდევ მხედრულად შემართულმა ბაბუამ და კედელზე ჩამოკიდებულ თავის დიდ სურათს გახედა, რომელზეც საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებუ-ლი, საბჭოთა ჯარის არტილერიის პოლკოვნიკის სამხედრო მუნდირში გამოწყობილი იუბილარი იყო გამოსახული.

80 წელს მიღწეულმა, თვალებში ცრემლჩამდგარმა ირაკლი ბაბუამ ცოტა ხანს უყურა თავის მხედრულ სურათს, შემდეგ ღვინო მოსვა და სასმისი მაგიდაზე დადგა.

– ზურიკო, ბაბუას ძალიან საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი, – თქვა ნინომ.

– ბარე ათ კაცს ეყოფა მისი ბიოგრაფია, – სიცილით დაამატა დავითმა.

– ნუ გამაწითლებთ ახლა, ამ სიბერეში. – ღიმილით ჩაახველა ირაკლიმ.

ნინო წელში გაიმართა და ზურიკოს მიმართა:

– 1945 წელს, როცა ბაბუა ირაკლი საბჭოთა ჯარებთან ერთად ბერლინში შევიდა, 24 წლის იყო, და ომი დაამთავრა ბერლინის კომენდანტის ერთ-ერთი ადიუტანტის თანამდებობაზე, არტილერიის მაიორის ჩინის წოდებით. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარები ბერლინში დიდხანს დარჩნენ, კომენდატურას ევალებოდა აღმოსავლეთ ბერლინის პატრულირება და წესრიგის დაცვა, რადგან ბევრი საბჭოთა ჯარისკაცი ხალხს ძარცვავდა, მოროდიორობდა და უამრავ საშინელებას სჩადიოდა.

ერთხელ, როდესაც ბაბუა შეესწრო, რომ ერთ-ერთი რუსი პოლკოვნიკი პატარა გერმანელ გოგონას აუპატიურებდა, მის თანაშემწეთაგან კი ერთი იმ საცოდავი ბავშვის დედაზე ძალადობდა, რამდენიმე სამხედრო შარვალჩახდილი რიგში იდგა, დანარჩენები კი სახლს ძარცვავდნენ, ის პოლკოვნიკი თავისი ხელით ადგილზევე დახვრიტა. ამის გამო ბაბუას ბერლინი დაატოვებინეს. შემდეგ მან სამსახური რუსეთში, სამხედრო აკადემიაში გააგრძელა, სადაც დროთა განმავლობაში პოლკოვნიკის ჩინს მიაღწია.

სტალინის კულტის გამოცხადების შემდეგ სამხედრო აკადემიაში კრება გამართულა და აკადემიის რექტორს სტალინი აუგად მოუხსენებია, როგორც ზემდგომმა ორგანოებმა დაავალეს. ირაკლი ბაბუას ვეღარ მოუთმენია, ფეხზე წამომდგარა და სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელისთვის სახეში სილა ისეთი ძალით გაუწნია, რომ გენერალი ტრიბუნიდან გადაფრენილა. ბეწვზე გადარჩა მაშინ ბაბუა გაციმბირებას. სამხედრო ტრიბუნალმა გაითვალისწინა ბერლინის ამღები არტილერისტის დამსახურება. იგი პოლკოვნიკის ჩინიდან ვიცე-პოლკოვნიკის წოდებამდე დააქვეითეს და სამხედრო აკადემიიდან დაითხოვეს. თბილისში დაბრუნებულმა ბაბუამ სამხედრო საგანის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც პენსიაში გასვლამდე იმუშავა.

– ნინო, ნუ დაღალე სტუმარი, – ღიმილით წარმოთქვა დავითმა და შემდეგ ზურიკოს ჰკითხა:

– ღვინოს არ მიირთმევთ?

– კი, მაგრამ არ შემიძლია.

– მცირედი, მოსვით მაინც, ძალიან კარგი ღვინოა. მეგობარმა ხვანჭკარა სპეციალურად ამ დღისთვის ჩამომიტანა რაჭიდან.

– ბატონ ირაკლის არ მინდა ვაწყენინო, მაგრამ სტალინის სადღეგრძელოს შესმა არ შემიძლია.

– ნება შენია, შვილო, არავინ გაძალებს, ჩვენ ბაბუას თანავუგრძნობთ, თორემ რაღა დროს სტალინია, – ღიმილით წარმოთქვა ქალბატონმა თამარმა.

– რა გაწყენინა, ბიჭო, სტალინმა? – გადაიკისკისა ნინომ.

– ბოლშევიკებმა ბაბუაჩემი დახვრიტეს და ჩვენი საგვარეულო თითქმის მთლიანად გაწყვიტეს. ჩემმა მშობლებმაც დიდი გაჭირვება გამოიარეს და შემთხვევით გადარჩნენ ცოცხლები. – ხმადაბლა წარმოთქვა თავდახრილმა ზურაბმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ირაკლი ბაბუამ შუბლი მოისრისა, თამბაქო გააბოლა და აღელვებული ხმით დაიწყო თხრობა:

– მომისმინეთ, რას გეტყვით, შვილებო. 1867 და 1877 წლებში რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ორჯერ გადაასახლა ნამდვილი აფხაზები თურქეთში. სულ დაცარიელდა აფხაზეთის მიწა და იმ ადგილებზე კავკასიის მეფისნაცვალმა, იმპერატორის ძმამ, დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა დაასახლა რუსები, კაზაკები, ბერძნები, სომხები და მთიელი მორჩილი ხალხები. რუსეთის იმპერიას საქართველოს საუკეთესო ადგილები თავისთვის უნდოდა და სხვა რეგიონებშიც რუსეთიდან მრავლად ჩამოასახლა ათასობით რუსული ოჯახები. სტალინი რომ არ ყოფილიყო, ლენინი, ტროცკი ან სვერდლოვი კიდევ უფრო უარესს გააკეთებდნენ და ისინი მთელ ამიერკავკასიას მაინც დაიპყრობდნენ, ისევე, როგორც შუა აზიის ქვეყნები დაიპყრეს.

ლენინის ცნობილი გამონათქვამი: „ჯობია ახლა ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ, რომ შემდეგ ორი ნაბიჯი წინ გადავდგათ“, – სწორედ ამას ნიშნავდა. ბოლშევიკები თავიანთ ახალ ქვეყანას ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოიაზრებდნენ. პოლონეთისა და ფინეთის დაპყრობაც იმიტომ განიზრახეს, მაგრამ ვერ მოახერხეს და საბჭოთა კავშირი სამარცხვინოდ დამარცხდა პოლონეთისა და ფინეთის ომებში.

– ჩემთვის არა აქვს მაგას მნიშვნელობა, – უპასუხა ზურაბმა.

– ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლე – ღმერთმა აცხონოს მისი სული, – რუსეთში ყოფნისას მოვიყვანე ცოლად. გრაფ სტროგონოვის ქალიშვილი იყო. მისი მშობლებიც გააციმბირეს და დახვრიტეს. დრო იყო მაშინ ისეთი, საშინელი... სხვა რეალობა იყო.

– როდესაც მენშევიკებმა მეფე გადააყენეს და ქვეყნის ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მაშინ უნდა მოეშორებინათ ბოლშევიკი ბანდიტების წითელი ხროვა, და ის საშინელებები აღარ მოხდებოდა, რაც შემდეგში მოხდა.

– ბოლშევიკებმა რატომ აჯობეს მენშევიკებს, თუ გიფიქრიათ ამაზე? ძველი ბოლშევიკები ძალიან გამოცდილები იყვნენ. თითოეულ მათგანს რამდენჯერმე ჰქონდა მოხდილი გაციმბირება, გადასახლება, პატიმრობა თუ კატორღა. ყველას მრავალგვარი პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული. ციხეებიდან გარბოდნენ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიდიოდნენ ემიგრაციაში, სადაც მრავალ ევროპელ რევოლუციონერს ხვდებოდნენ. სტალინი და ორჯონიკიძე ერთად ისხდნენ ქალაქ ბაქოს ციხის მესამე კამერაში. შემდეგ კვლავ ციმბირი და გადასახლებები... ყველა ასე იყო.

რაც შემეხება მე, არც სტალინის მომხრე არა ვარ და არც ბოლშევიკებისა! არც ეგრეთ წოდებული, როგორც დღეს ამბობენ, სტალინისტი არ გახლავართ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბოლშევიკებმა აჯობეს უნიათო, უხერხემლო და გამოუცდელ მენშევიკურ ინტელიგენციას, რომლებმაც გამარჯვების შემდეგ მთელი ქვეყანა გადააბარეს, როგორც თქვენ ბრძანებთ, ნაციხარ ბანდიტებს. დროებითი მთავრობის მეთაური კი, ქვეყნის მმართველი, ბატონი კერენსკი, ბოლშევიკებისაგან შეშინებული, სამარცხვინოდ, ქალის კაბაში გადაცმული გაიპარა უცხოეთში.

– არ გინდათ ახლა, პოლიტიკაზე ნუ დაიწყებთ ლაპარაკს და ნუ შეებმებით ერთმანეთს. – შეეცადა მოკამათეების დამშვიდებას ქალბატონი თამარი.

– პირიქით, ვისაუბროთ! ძალიან მაინტერესებს ახალი თაობის აზრი. ჩემს შვილიშვილებს ჩემთან სალაპარაკოდ არა სცალიათ, სულ დაკავებულები არიან. – ოდნავ გაცხარებით წარმოთქვა ირაკლიმ.

– ვსწავლობ, ბაბუ, თითქმის სულ უნივერსიტეტში ვარ, – სიცილით გაეპასუხა ნინო.

– ჰოდა, ახლა ვისაუბროთ, ბატონო, მაინტერესებს, როგორი თაობა მოდის, რას ფიქრობთ, როგორ აზროვნებთ.

– ილაპარაკეთ, ისაუბრეთ, ოღონდ მშვიდად და ნერვების აშლის გარეშე. ჩვენ მაინც დაკარგულ თაობად ვითვლებით და თქვენგან მაინც გავიგებთ რაიმე ახალს, საით მიდის ცხოვრება, რა მოგველის მომავალში. – ჩაერია საუბარში დავითი.

– დაპირისპირება ბაბუა-შვილიშვილთა თაობებს შორის, ხომ? – კვლავ ჩაიცინა ნინომ.

– ეგ არის სწორედ, დაკარგული თაობები ვართ, ვითომ, ხომ?! ფუჭად გვიცხოვრია! ჰმ!! – ირონიულად გაკენწლა ბაბუამ.

– რატომ, ბაბუ, შვილი და შვილიშვილი ხომ შენი დანატოვარი ვართ, შვილთაშვილსაც მოესწარი, – დაუყვავა ნინომ.

– ცხოვრება მარტო ეგ არ არის, შვილო... – ჩაიღიმა თამარმა. შემდეგ კი საუბარი ირაკლი ბაბუასა და ზურაბს შორის გაგრძელდა.

– ადამიანი შენ მიერ განვლილი ცხოვრების გზას რომ გახედავ და არ შეგრცხვება შენი თავის, ესე იგი, ღირსეულად გიცხოვრია! დიახ, მე სტალინის ეპოქის ადამიანი ვარ. ვიმეორებ, სტალინისტი არა ვარ, მაგრამ ვაღიარებ მის უდიდეს ნიჭიერებას. იმ ეპოქაში მომიწია ცხოვრება და არც სასირცხვილოდ და არც ფუჭად არა ვთვლი ჩემ მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას! – თქვა ირაკლი ბაბუამ და ისევ თამბაქოს მოუკიდა.

– მე ვთვლი, რომ სტალინი ქართული წარმომავლობის რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეა. თქვენ ამბობთ, რომ სტალინი უდიდესი ნიჭის მქონე პიროვნება იყო და ამიტომ სცემთ მას პატივს. ამიხსენით, რაში გამოვლინდა მისი უდიდესი ნიჭიერება? მილიონობით ადამიანის დახვრეტაში თუ უკრაინაში შიმშილობის მოწყობაში, სადაც საცოდავი ხალხი კანიბალიზმამდე მიიყვანა და 10 მილიონი ადამიანი სპეციალურად შიმშილით გაწყვიტა? – თქვა ზურაბმა.

– მტერი რომ მტერია, თუ მას ნიჭი და ტალანტი გააჩნია, აუგად და ზერელედ ვერ მოეპყრობი. მისი ნიჭიერება დასაფასებელია და ამას სერიოზულად, დაფიქრებით უნდა მოეკიდო. პაბლო პიკასომ თქვა: სტალინში ერთად იყო თავმოყრილი იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველება და აზრის სისხარტე, და მაინც, იგი ყველა მათგანზე მაღლა დგას, ბევრად მაღლაო.

ჩვენ, ქართველებს, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ბევრი საერთაშორისო მნიშვნელობის გამოჩენილი ისტორიული პიროვნებით შეგვიძლია ვიამაყოთ, მაგრამ სტალინის მსგავსი სხვა არავინ გვყოლია, ისეთი მასშტაბის, ვინც შეძლებდა იმის მიღწევას, რასაც სტალინმა მიაღწია.

მეწაღის შვილმა, ერთმა უბრალო, პროვინციელმა ქართველმა ბიჭმა, რომელიც ციმბირის ციხეებში დაკაცდა და გარშემო უამრავი მტერი ჰყავდა, მარტოდმარტომ, ყოველგვარი დახმარების გარეშე თვითონ გაიკვალა თავისი ცხოვრებისეული გზა და მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, პირველი პირი გახდა, გააძლიერა და განამტკიცა ქვეყანა; შემდეგ, მეორე მსოფლიო ომში, დაამარცხა ჰიტლერი, გერმანელი მარშლები და ფელდმარშლები. შექმნა ახალი, სოციალისტური სისტემა, ნახევარი ევროპა ამ სისტემას შეუერთა და დაიმორჩილა. ჩინეთიც, კორეა-მონღოლეთიანად, თავის სისტემაში მოაქცია, ირანსა და თურქეთშიც საბჭოთა ჯარის ნაწილები ჩააყენა და თითქმის მთელი სამი ათეული

წელი მართავდა ნახევარ მსოფლიოს. სტალინზე ასეთი გამოთქმა არსებობს: ქალამნებიანი ქვეყანა ჩაიბარა და ატომური იმპერია დატოვაო. კრიტიკა, იცოცხლე, ადვილია! აბა, დღეს ვინმე ქართველმა მიაღწიეთ იმას, რასაც სტალინმა მიაღწია! – დაამთავრა ირაკლი ბაბუამ და ღრმად ჩაახველა.

– მოცილე რომ არავინ ჰყოლოდა, სტალინმა ყველა მოაკვლევინა – კიროვი, ტროცკი, სვერდლოვი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, ტუხაჩევსკი. მოაზროვნე ხალხი, მწერლები და მთელი ინტელიგენცია გაანადგურა; ძველი ბოლშევიკები დახვრიტა. მანამდე კი ლენინმა ეკლესია მოსპო. მღვდელმთავრები და საეკლესიო პირები ბევრი დახვრიტეს, დანარჩენი გააციმბირეს, ეკლესიის ქონება დაიტაცეს და ეკლესია-მონასტრები, რაც ვეღარ დაანგრიეს, საწყობებად და ბოსლებად გადააკეთეს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, აღარავინ დარჩა, რომ წინ აღსდგომოდა სტალინს.

– მართალი ბრძანდები, ჩემო ბატონო. ლენინი უარესი დესპოტი იყო. მან მოკლე ხანში 20 მილიონი ადამიანი დაახვრეტინა ქონების კონფისკაციით. მის ნაშრომებში და მრავალტომეულებში ყოველ გვერდზე მრავალჯერ წერია: „დახვრეტა, დახვრეტა, დახვრეტა!“ სტალინმა კი, გაგანია ომის დროს, ეკლესიები ციხეებიდან განთავისუფლებულ მღვდლებს დაუბრუნა და წირვა-ლოცვა აღადგინა.

– არც ის დავივიწყოთ, რომ სტალინმა მილიონობით ადამიანი დაახვრეტინა. საქართველოში თითქმის მთელი ინტელიგენცია გაწყვიტა. მეორე მსოფლიო ომის დროს კი, ხომ შეიძლებოდა, რომ ქართველი ჯარისკაცები სხვადასხვა დივიზიებში, სხვადასხვა პოლკებში და სხვადასხვა ფრონტებზე გადაენაწილებინათ, მაგრამ პირიქით გააკეთეს: ყველა ქართველი ჯარისკაცი ერთად შეკრიბეს, შექმნეს ქართული დივიზიები და გერმანელთა ავიაციისა და არტილერიის მასიურ დაბომბვებს ყველა ერთად, უაზროდ შეწირეს, ნოვოროსიისკის, ქერჩისა და ჰაჯი მუშკაის ნაკლები მნიშვნელობის მქონე ქვაღორღიან პლაცდარმებზე; იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი სწორედ იქ დაიღუპა.

– ეჰ, ომი საშინელებაა. ნაპოლეონისა და პირველი მსოფლიო ომების პერიოდებშიც ბევრი ქართველი დაიღუპა და დღეს ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, – ამოიოხრა დავითმა.

– როდესაც ნაპოლეონი ჯარით ეგვიპტეში შევიდა, ვითომდა მამელუქთა მრავალწლოვანი ტირანიისაგან ეგვიპტის გასათავისუფლებლად, მან ასეთი სიტყვებით მიმართა თავის გვარდიას: „ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ უძველესი კულტურის მქონე ეგვიპტე ბარბაროსი ქართველი და აფხაზი მამელუქებისაგან, რომლებსაც დაპყრობილი აქვთ ეგვიპტე!“ ნაპოლეონმა შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნები და ხალხებიც გაათავისუფლა აბსოლუტური მონარქიებისაგან, ვითომდა რესპუბლიკური იდეების გამო. ყველა განთავისუფლებული ქვეყანა გაძარცვა. შემდეგ კი თვითონვე, თავისი ხელით, თავზე საიმპერატორო გვირგვინი დაიდგა და საკუთარი თავი ევროპის იმპერატორად გამოაცხადა! ძალაუფლება რყვნის და გონებას უბნელებს ადამიანს.

საუბარში ქალბატონი თამარი ჩაერთო:

– საცოდავი და გატანჯული ქართველი ერი! რა უნდოდათ ეგვიპტეში? მაშინდელი სამარცხვინო ქართველი თავადაზნაურობა! ერთმანეთს ყმებსა და ბავშვებს პარავდნენ, ხანდახან მთელ ოჯახ-სოფლებიანად, და ოსმალეთში ყიდდნენ საცოდავებს. ყოველწლიურად 100 ათასამდე ქართველი ბავშვი და ახალგაზრდა იყიდებოდა მონად აღმოსავლეთის ბაზრებზე. გოგონები ჰარამხანებში მიჰყავდათ, ბიჭებს კი ჯარისკაცებად ან ევნუხებად ზრდიდნენ. ამ საზიზღარ და სამარცხვინო საქციელსაც სხვას ხომ ვერ დავაბრალებთ, ამას ხომ ქართველი ერის საამაყო და რჩეული ნაწილი – თავადაზნაურობა აკეთებდა საუკუნეების განმავლობაში.

სწორედ ეს „რჩეულები“ აუმხედრდნენ მაშინვე სოლომონ მეფეს, როდესაც მან ადამიანებით ვაჭრობა აკრძალა. ეს ხომ დიდი უზნეობა და წარმოუდგენელი საშინელება იყო!

XIII საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში, საქართველოს სამეფოს მოსახლეობა 13 მილიონ ადამიანს შეადგენდა. მონღოლთა ორსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა თითქმის განახევრდა; XV საუკუნის მიწურულს მოძლიერებულმა ქართველმა ერისთავებმა ერთიანი საქართველოს სამეფოს პატარა სამეფოებად და სამთავროებად დაშლა დაიწყეს. სწორედ იმ პერიოდიდან იღებს სათავეს ქართული მიწების ქართველებისგან დაცლა, ხალხის გატაცება და ოსმალეთში მონათა ბაზრებზე მათი გაგზავნა.

XIX საუკუნეში, რუსული კოლონიზაციის დროს, პატარ-პატარა სამეფოებად დანაწევრებულ საქართველოში ჯარის შეკრებაც კი შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის გასაწევად, აქა-იქ რუსებისაგან გამწარებულ გლეხთა აჯანყებებს თუ არ ჩავთვლით. რუსეთმა კი ნაწილ-ნაწილ, ლუკმა-ლუკმად გადაყლაპა დაქუცმაცებული ქართული სამეფო-სამთავროები.

– რუსეთის იმპერიისა და ნაპოლეონის მსგავსად მოიქცა სტალინიც. ვითომ ევროპა გაათავისუფლა ფაშიზმისაგან, შემდეგ კი ნახევარი ევროპა დაიპყრო, გაძარცვა, გააწითლა და კომუნისტური რეჟიმი დაუწესა, – თქვა ზურაბმა.

– სტალინმა მთელი ევროპის დამპყრობს, ჰიტლერს, ომი მოუგო. იაპონია რომ იმ დროს საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხა და ზურგიდან მეორე ფრონტი არ გაუხსნა, ეგეც სტალინის დამსახურებაა. ნახევარი ევროპა კი იმიტომ დაიმორჩილა, რომ თავისი ქვეყნისთვის დამცავი ფარი ანუ დაცვითი ზონა შეექმნა, რადგან ტევტონები, ნაპოლეონი და ჰიტლერი სწორედ ევროპიდან შედიოდნენ რუსეთში.

ჩინეთში, მონღოლეთსა და კორეაში სისტემა შეცვალა, დაიმეგობრა ეს ქვეყნები, მოკავშირეებად გაიხადა და საბჭოთა კავშირის საზღვრები კიდევ უფრო გაამაგრა, რადგან ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის ჯარი, გენერლების, ეიზენჰაუერისა და პატონის ხელმძღვანელობით, ევროპაში იდგა. ამას ემატებოდა დიდი ბრიტანეთისა და კანადის ჯარები, მარშალ მონტგომერის მეთაურობით. ზურგში კი, იაპონიის ატომური დაბომბვის შემდეგ, მთელ შორეულ აღმოსავლეთსაც ამერიკის ჯარები აკონტროლებდნენ, გენერალ მაკარტურის მეთაურობით. სტალინის დიდი მოკავშირე, პრეზიდენტი რუზველტი ახალი გარდაცვლილი იყო და ამერიკის შემდგომ პრეზიდენტთან, ტრუმენთან, სხვა ურთიერთობები ჩამოყალიბდა.

გენერალი პატონი საბჭოთა კავშირთან ომის მომხრე იყო. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკის ხელმძღვანელობა, ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირთან ომი მაინც მოგვიწევს, ბარემ აქა ვართ, ევროპაში, გენერალი მაკარტურიც ზურგიდან დაარტყამს, და ავიღოთ მოსკოვიო. იმ დროს საბჭოთა კავშირს ატომური ბომბი ჯერ არ გააჩნდა.

მაშინ სტალინის დიპლომატიამ გადაარჩინა საბჭოთა კავშირი ატომური კატასტროფის-გან. ჭკუათხელი, სამარცხვინო ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში, როდესაც რუსებმა კუბაში ატომური რაკეტები შეიტანეს და მსოფლიო ბეწვზე გადარჩა მესამე მსოფლიო ატომურ ომს, ამერიკის ადმინისტრაციამ გაიხსენა გენერალ პატონის სიტყვები – მერე უკვე გვიანი იქნებაო. – დაასრულა სიტყვა ბაბუა ირაკლიმ და ჩაფიქრებულმა თავი რამდენჯერმე გადააქნია.

– სტალინს ის არ უნდა გაეკეთებინა, რაც მან ომის შემდეგ გააკეთა. გერმანელთა საკონ-ცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებულ ტყვეებს ევროპის ქვეყნებში ორდენები და მედლე-ბი დაურიგეს, როგორც გმირებს. საბჭოთა ტყვეები კი, სამშობლოში დაბრუნებისას, რკინიგზის სადგურებშივე ერთი მატარებლიდან სხვა მატარებლებში გადაიყვანეს და ეტაპებად ციმბირის ციხეებში გადააგზავნეს, კიდევ 10-წლიანი საპატიმრო ვადით, როგორც სამშობლოს მოღალატეები.

საბჭოთა ჯარების ევროპაში შესვლის შემდეგ საბჭოთა მარშლებმა, გენერლებმა, ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ნახევარი ევროპა გაძარცვეს. სახელოვანი წითელი არმიის ყოველდღიურად გალეშილმა მებრძოლებმა უამრავი ქალი გააუპატიურეს. არც მცირეწლოვანი ბავშვები დაინდეს, არც მოხუცები, არც საავადმყოფოებში მწოლიარე ქალები, არც კონცენტრაციული ბანაკებიდან განთავისუფლებული ტყვე ქალები; მათ შორის, საბჭოთა ტყვე ქალებიც კი არ დაინდეს. ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსისა და მწერლის, ენტონი ბივორის გამოკვლევების მიხედვით, საბჭოთა ჯარის ნაწილებმა მარტო გერმანიაში 4 მილიონამდე ქალი გააუპატიურეს მრავალჯერ და შემდეგ მათი ნაწილი დახვრიტეს. ევროპის სხვა ქვეყნებზე აღარაფერს ვამბობ, – თქვა ზურაბმა.

– კაი, გაჩერდი, კაცო! მაგას ნუ გამახსენებ! ომის შემდეგ ერთი წელი ნორმალურად არ მიძინია. ყოველღამე საშინელებები და კოშმარები მესიზმრებოდა, რასაც იქ ვხედავდი: როგორ აუპატიურებდნენ რიგში მდგომი შარვალჩახდილი მთვრალი ჯარისკაცების როტები და ვზვოდები, თანაც მრავალგზის, საცოდავ გერმანელ დასისხლიანებულ პატარა გოგონებს და გარდაცვალების შემთხვევაში როგორ ტენიდნენ მათ ბოთლებს საშოებში. გოგონებით პირველ რიგში დაკმაყოფილებული, ასევე ნასვამი გენერლები და პოლკოვნიკები კი ყოველივე ამას სიცილით უყურებდნენ და ისე ერთობოდნენ, თითქოს ცირკში ყოფილიყვნენ. მე თვითონ, ჩემი თვალით მაქვს ნანახი ყოველივე ეგ და სწორედ ასეთ უმსგავსობებს ვებრძოდი ბერლინში, – წამოიყვირა ბაბუამ.

დავითმა მამამისს მხარზე ხელი მოუთათუნა და ღიმილით უთხრა:

– იმიტომაც გამოგისტუმრეს ბერლინიდან, მამაჩემო.

– ახლა ერთ საინტერესო ამბავს გიამბობთ, – განაგრძო ირაკლი ბაბუამ, – „ნავთობი დედოფალია და ქალაქი ბაქო – გვირგვინი“, – ეს სიტყვები უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის. როტშილდისა და ძმები ნობელების მიერ დაწყებული დიდი ბიზნესით ბაქოს ნავთობი ბათუმის პორტიდან ევროპაში გადიოდა და მთელი ევროპის ნავთობმრეწველობის 90% -ს შეადგენდა. გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, გერმანიას დიდი რაოდენობით ნავთობი სჭირდებოდა სამხედრო საქმისთვის, რათა ჰიტლერს თავისი გეგმები განეხორციელებინა. მოგეხსენებათ, რომ ტანკები, სამხედრო მოტორიზებული და სატვირთო-სამანქანო ტექნიკა, თვითმფრინავები, საზღვაო და წყალქვეშა ფლოტი – ყველაფერი ნავთობზე მუშაობდა. ჰიტლერმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა სტალინთან, დიდი რაოდენობით ყიდულობდა საბჭოთა კავშირისაგან ნავთობს, მარგანეცს, ხორბალსა და აზბესტს.

1939 წლის აგვისტოს თვის რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დადების შემდეგ, სექტემბერში, გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო. შეშინებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს გაერთიანებული საჰაერო ძალებით დაებომბათ და მიწასთან გაესწორებინათ ქალაქები ბაქო და ბათუმი, გერმანიას ნავთობი რომ ვეღარ მიეღო. ჰიტლერმა დაასწრო მათ, მალე მთელი ევროპა დაიპყრო და ინგლისის დაბომბვები დაიწყო. მოლოტოვის მოგონებების მიხედვით, ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, 23 აპრილს, ჰიტლერი და სტალინი საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს ქალაქ ლვოვში. საბჭოთა ჯარებითა და გერმანელი ესესელებით ათი კილომეტრის რადიუსით ალყაშემორტყმული ლვოვის რკინიგზის სადგურზე მატარებელი შევიდა, რომელშიც ჰიტლერი და რიბენტროპი ისხდნენ; ამ მატარებელშივე შეხვდნენ ისინი სტალინსა და მოლოტოვს. შემდეგ სტალინმა, როგორც მასპინძელმა, ჰიტლერი თავის მატარებელში მიიწვია. ბროლის ჭაღებით მორთულ სპეციალურ საბანკეტო ვაგონში, გახამებული, ქათქათა სუფრა ვერცხლის ძვირფასი სერვისით გაეწყოთ; სასმისები მოოქროვილი ფაიფურისა და ბროლისა იყო. წითელი და შავი ხიზილალა, სათალი, თევზეულის ბლინები და ქართული ღვინოები სუფრაზე ადრევე გაეწყოთ. სტუმრები რომ

მაგიდასთან დასხდნენ, ქართველმა მზარეულმა განსხვავებული ცხელი კერძები მიართვა მათ; ჰიტლერს კი სპეციალური მენიუ შეუდგინეს, რადგან ვეგეტარიანელი იყო და ხორცს არ ჭამდა.

მოლოტოვ-რიბენტროპის თავდაუსხმელობის პაქტიც და ლვოვის პარტნიორული შეხვედრაც ფუჭი ლაპარაკი აღმოჩნდა. 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ „ბარბაროსას“ სამხედრო ოპერაციასა და „ბლიცკრიგს“ ანუ ელვისებურ ომს ორ-სამ თვეში დაასრულებდა და მოსკოვს აიღებდა.

ვერმახტის მიერ კიევის დაპყრობის შემდეგ ჰიტლერი კიევში ჩაფრინდა. იქ გამართულ ბანკეტზე გენერალიტეტმა მას დაახვედრა ტორტი, საბჭოთა კავშირის გამოსახულებით. კასპიის ზღვის ადგილას გამდნარი შავი შოკოლადი იყო ჩასხმული. ერთმა გენერალმა კოვზით გადაასხა ქალაქ ბაქოს შავი შოკოლადი, ის ნაჭერი მოჭრა და ჰიტლერს მიართვა – რაც ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდების აღმნიშვნელი სიმბოლო იყო. ფიურერი აღფრთოვანებული დარჩა ამ ჟესტით.

გერმანიამ ბაქო ვერ დაიპყრო. ომი ოთხ წელს გაგრძელდა. საწვავის უქონლობის გამო გერმანული სამხედრო ტექნიკა გაჩერებული იყო და წინ ვეღარ მიიწევდა. რუმინეთში წარმოებული ნავთობი მოთხოვნილების მხოლოდ 8%-ს აკმაყოფილებდა. ყუბანის, მაიკოპისა და გროზნოს ნავთობის ჭაბურღილები ბერიამ მოშალა და შიგ ბეტონი ჩაასხმევინა. სტალინგრადში გაჩერებულ, ევროპის დამპყრობელ პაულიუსის სახელგანთქმულ მეხუთე არმიას წვეთი საწვავი აღარ ჰქონდა, რომ წინ წასულიყო და ბაქო აეღო. ეს რომ მომხდარიყო, ომიც მალე დასრულდებოდა, რადგან საბჭოთა არმიას ბაქო აწვდიდა საწვავის 90%-ს, მხოლოდ 10%-ს კი – კუიბიშევი. საწვავის მოლოდინში სტალინგრადში გაჩერებული ფელდმარშალი პაულიუსი, თავისი დამშეული და გაყინული არმიით, წითელ არმიას დანებდა.

ომის დამთავრების შემდეგ 12 საბჭოთა ქალაქს გმირი ქალაქების წოდება მიანიჭეს. აზერბაიჯანის ხელმძღვანელმა ბაგიროვმა სურვილი გამოთქვა, რომ გმირი ქალაქის წოდება ბაქოსთვისაც მიენიჭებინათ; მისი აზრით, ბაქო ამას იმსახურებდა, რადგან 4 წლის განმავლობაში ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა ერთად, შეუჩერებლად, 24 საათის განმავლობაში ამუშავებდა ნავთობის საწარმოებს და ომი ფაქტობრივად ბაქოს ნავთობმა მოიგო. რა თქმა უნდა, ბაქოს არ მიანიჭეს გმირი ქალაქის წოდება, ბაგიროვი კი მალევე დახვრიტეს.

ირაკლი ბაბუა წამოდგა, კარადიდან რაღაც წიგნი აიღო, კვლავ მაგიდას მიუჯდა, წიგნი გადაშალა და თქვა:

– ახლა ერთ ისტორიას წაგიკითხავთ, რაც თქვენ არ გეცოდინებათ. ეს წიგნი ისტორიკოს დევი სტურუას მოგონებებია. საქართველოსა და ირანს შორის 3000-წლოვანი ურთიერთობის განმავლობაში მსგავსი რამ, რაც თეირანში მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, არასოდეს მომხდარა.

ირაკლი ბაბუამ კითხვა დაიწყო: „1941 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ჯარები ირანში შევიდნენ. მათ ირანის ჩრდილო ტერიტორიები დაიკავეს. მოკავშირეებმა იქ თავიანთი ბაზები შექმნეს, რომ საბჭოთა ფრონტისათვის ამერიკიდან სამხედრო ტექნიკა და სურსათი მიეწოდებინათ. ირანის მმართველი, შაჰი რეზა, ირანიდან გაიქცა და სამეფო ტახტი დაუტოვა თავის 21 წლის შვილს, მოჰამედ რეზა ფეჰლევის, რომელსაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და გამეფების შემდეგ მთლიანად მოკავშირეებზე იყო დამოკიდებული, რადგანაც ირანის მოსახლეობა და ახლად შექმნილი ირანის სახალხო პარტია გამოუცდელ, ახალგაზრდა შაჰს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. იგი უფრო სიმბოლური მონარქიული ფიგურა იყო.

1943 წლის 28 ნოემბერს თეირანში დაიწყო სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენცია, სადაც განიხილავდნენ მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობისა და საბჭოთა კავშირისათვის დახმარების ტვირთის ტრანსპორტირების საკითხებს.

ერთ საღამოს, თეირანის საბჭოთა საელჩოში დიდი სავახშმო წვეულების შემდეგ, სტალინს რუზველტისა და ჩერჩილისათვის ახლად გადაღებული ქართული ფილმი („გიორგი სააკაძე“) უჩვენებია, შემდეგ კი სტალინს აუწყეს, რომ დღისით ირანის შაჰი თვითონ ხლებია რუზველტს და საუბარი მათ შორის მხოლოდ 5 წუთი გაგრძელებულა. ჩერჩილმა კი შაჰი მისაღებში ალოდინა და შემდეგ აუდიენცია 3 წუთში დაუმთავრა, რის გამოც ირანის შაჰი მეტისმეტად შეურაცხყოფილი დარჩენილა. სტალინმა გადაწყვიტა, ვიზიტად სწვეოდა ირანის შაჰს, ვინაიდან სტუმრის ვალია, ეახლოს მასპინძელს სტუმართმოყვარეობისათვის მადლობის გადასახდელად. ვერც რუზველტი და ვერც ჩერჩილი ვერ მიხვდნენ, რომ ახალგაზრდა შაჰის პოზიციები ტახტზე გაემყარებინათ. სტალინი მოლოტოვთან ერთად გაემგზავრა შაჰის სასახლეში. მას თან ახლდნენ გენერლები: ლავრენტი ბერია, შალვა წერეთელი, გრიგოლ კარანაძე და კაპიტონ ნაჭყებია.

მოოქროვილ სარკეებიან სატახტო დარბაზში შესვლისას, დაბნეულმა შაჰმა სტალინთან მიირბინა, მას მხსნელი უწოდა და სტალინის წინ მუხლებზე დაეცა, ხელზე საკოცნელად. სტალინმა შაჰი ფეხზე წამოაყენა, შემდეგ მიუბრუნდა თავის გენერლებს და ქართულად გადაულაპარაკა: „აფსუს, რომ ამ მომენტს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე ვერ ხედავენო!“

– მართლაც, უჩვეულო ისტორიული შემთხვევაა, როდესაც თეირანის სამეფო სასახლეში, ირანის შაჰი ქართველთა წინაშე მუხლებზე დაეცა, – წარმოთქვა თამარმა.

– ომის შემდგომ ყველაზე მეტად ხალხს რაც ახარებდა, ეს იყო მარტის თვის მოახლოება. ყოველწლიურად მარტის თვეში ყველაფერზე ფასი იკლებდა, ყველაფერი იაფდებოდა. უცხოეთთან ექსპორტ-იმპორტი არ არსებობდა. ყველაფერს ქვეყანა აწარმოებდა და ყველაფერი ხალხისთვის იყო განკუთვნილი. კილო ხორცი 1 მანეთი ღირდა. წითელი და შავი ხიზილალის ყიდვა მაღაზიებში ყველას თავისუფლად შეეძლო. პური, მარილი, ასანთი და კიდევ რამდენიმე რამ უფასოდ უნდა გაცემულიყო, რომ დასცლოდა სტალინს.

იმ პერიოდში კორუფცია და ფულის მოპარვა არ არსებობდა. დირექტორებიდან და მინისტრებიდან დაწყებული, უბრალო მუშით დამთავრებული, ყველა პატიოსნად შრომობდა, რადგან ყველას შიში ჰქონდა. იცოდნენ, რომ ქურდობისთვის გააციმბირებდნენ და 25-წლიან კატორღაში გაუშვებდნენ.

შიში შეიქმს სიყვარულსაო, – სწორედ 25-წლიანი გაციმბირების შიშმა გადააჩვია ამხელა ქვეყანის ხალხი მოპარვასა და ქურდობას. კარამზინის ისტორიული გამონათქვამი: „ვსე ვორუიუტ!“ – იმ პერიოდში დავიწყებული იყო.

აბა, ახლა რაც ხდება, ეს არის საქმე? მთავრობის ყველა წევრი ფულს იპარავს. სად გაქრა პოლიტბიუროს ხალხი, დაშალეს სახელმწიფო და ქვეყნის ოქროს რეზერვიანად უცხოეთში, საზღვარგარეთ გაიპარნენ ოჯახებთან ერთად. სათავეში კი ბანდიტები და მაფია მოვიდა, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. მათ მოპარვის გარდა ხომ სხვა არაფერი იციან. როდის იყო, რომ ქურდებს სახელმწიფო აეშენებინოთ? ისინი ქვეყნისა და ხალხისათვის რა სასიკეთო რეფორმებს გაატარებენ? ან საგადასახადო, ან საპენსიო სისტემას როგორ მოაგვარებენ? პოლიტიკოსები ისინი არ არიან და ეკონომისტები! არც საკონსტიტუციო წესდების შეცვლა იციან და არც სოფლის მეურნეობა ესმით! ქვეყნის ეკონომიკას როგორ აამუშავებენ და გამართავენ? ქურდული გაგებით? აღარაფერს ვამბობ დიპლომატიასა და უცხო ენების ცოდნაზე, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფაზე, როგორც

საერთაშორისო იურიდიული სამართლის სტატუსების გამოყენებით აპლიკაციაზე, აგრეთვე წმინდა სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის თვალსაზრისით, ახალი სამხედრო დოქტრინის შემუშავებაზე. ამას ხომ ქურდები ვერ გააკეთებენ? ყველაფერ ამას ხომ საქმის სპეციალიტები სჭირდება?! ნახალოვკური გაგებითა და ჟარგონებით ვერ გაერკვევი მსოფლიო გლობალიზაციის ურთულეს აზრობრივ კონტექსტში და პრობლემატურ ტერმინოლოგიაში. კრიმინალურ მთავრობასა და სახელმწიფოს, არსად, არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში კარს არ გაუღებენ. მასთან ურთიერთობას არ კადრულობენ და ერიდებიან. ისინი „ნონ გრატად“ ითვლებიან ცივილიზებულ სამყაროში. ერთადერთი, რაც მოსალოდნელია ასეთი მმათველობისაგან, ეს არის საკუთარი ქვეყნისა და ხალხის განადგურება. – დამწუხრებული სახით ამოიოხრა ირაკლი ბაბუამ.

– საცოდავი ჩვენი ქვეყანა და ხალხი! 1918 წლის დამოუკიდებულობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს ჯერ ღირსეული ან ნორმალური მთავრობა არა ჰყოლია. კარგს ვინ ჩივის, ნორმალური მაინც, რომ ქვეყანასა და ხალხს შვებით ამოესუნთქა. 1921 წლის შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და ჯერ კიდევ რევოლუციებსა და გადატრიალებებში ვართ. ამჟამად ჩვენთან პოლიტიკური და საპარლამენტო კულტურა არ არსებობს. სიტყვა „პარლამენტი“ ნიშნავს სალაპარაკო ადგილს, სადაც ქვეყნისა და ერის საკითხები ლაპარაკით უნდა გადაწყდეს და სადაც სავალდებულოა განსხვავებული აზრის მოსმენის კულტურის ქონაც, რადგან შეუძლებელია, რომ ყველას ერთი აზრი ჰქონდეს. ჩვენი ვაი-პოლიტიკოსები, პარლამენტში განსხვავებული აზრის მოსმენისას აგინებენ და მუშტებით ემუქრებიან, ჭიქებს ესვრიან და ავტომატებით დასდევენ ერთმანეთს. პოლიტიკოსებმა ქვეყანაზე და ერზე უნდა იზრუნონ, როგორც ერთ დიდ ოჯახზე. ნუთუ ჩვენი პოლიტიკოსების ოჯახებში ყველა ერთ აზრზეა და თუ რომელიმე ოჯახის წევრმა განსხვავებული აზრი გამოთქვა, პოლიტიკოსი საკუთარ ოჯახის წევრებს დაუწყებს გინებას, ჭიქების სროლას ან ავტომატით დევნას? – თქვა დავითმა.

– ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ 1921 წლის შემდეგ საქართველო თავის კუთვნილ ტერიტორიებს კარგავს. თქვენ ამბობთ, რომ სტალინმა დაიპყრო ნახევარი ევროპა. თუ იგი პატრიოტი იყო და თავისი სამშობლო უყვარდა, დაებრუნებინა საქართველოსთვის ძირძველი ტაო-კლარჯეთის მიწები; იმ პერიოდში ხომ თავისუფლად შეეძლო ამ დიდი მამულიშვილური საქმის გაკეთება, მით უმეტეს, იმ დროს საბჭოთა ჯარის 30 დივიზია თურქეთში საზღვართან იდგა. მან კი პირიქით გააკეთა, საინგილო აზერბაიჯანს აჩუქა, ლორე კი – სომხეთს. როდესაც ორჯონიკიძემ სოჭი რუსეთს აჩუქა, სტალინს ხომ შეეძლო, ორჯონიკიძის უაზრო ახირებითვის ხელი შეეშალა. პირიქით, საქართველოს შეკვეცილი ტერიტორიები მან კიდევ უფრო დააქუცმაცა. პატარა საქართველოში სამი ავტონომია დააარსა – აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის. კიდევ კარგი, რომ დროულად გაჩერდა და ავტონომიური სტატუსები არ მისცა იმერეთს, კახეთს, სამეგრელოს, გურიას, რაჭას, სვანეთსა და ქართლის რეგიონებს. ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, მერე უნდა გენახათ, ქართველები როგორ დაერეოდნენ და დაჭამდნენ ერთმანეთს!

შე მამაცხონებულო, რუსეთისათვის რომ ამდენი დიდი საქმეები გააკეთე, ერთი საქართველოსთვისაც გაგეკეთებინა რაიმე კარგი! დაებრუნებინა წართმეული დაკარგული ტერიტორიები, არ დაექუცმაცებინა საქართველოს მიწა-წყალი და ისე წასულიყო იმქვეყნად! მით უმეტეს, მან კარგად იცოდა, რომ რუსები არაფერს არ დაუნახავდნენ და არ დაუფასებდნენ, პირიქით ჩირქს მოსცხებდნენ მის სახელს და ყველა, ვისაც კი სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, სტალინის სახელს შეახოცავდა იმ სისხლიან ხელებს, – თქვა აღელვებულმა ზურიკომ.

– მასეც მოხდა. იმდროინდელი მთავრობის ყველა წევრს სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი. კალინინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს ათასობით ბავშვის დახვრეტაზე; ბავშვები არისტოკრატული ოჯახებისა და თეთრგვარდიელი ოფიცრების შვილები იყვნენ. ისინი, ყველანი, ბოლშევიკებს ქალაქ კენინსბერგში ჰყავდათ შეგროვებული. მთავრობამ არ იცოდა, რა ექნა, რა მოეხერხებინა ამდენი განათლებული და ორ-სამ ენაზე მოლაპარაკე ბავშვისთვის. გამოსავალი მაინც მოძებნეს და ყველა ერთად ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს. კალინინის გმირობა ბოლშევიკებმა სათანადოდ დააფასეს. იგი ორდენით დააჯილდოვეს და ემანუილ კანტის მშობლიურ ქალაქ კენინსბერგს ახალი სახელი – კალინინგრადი დაარქვეს, კალინინის უკვდასაყოფად, – თქვა ირაკლი ბაბუამ.

– ბარბაროსები! – წამოიძახა აღელვებულმა თამარმა.

– სტალინის კულტად გამოცხადების ავტორი, ნიკიტა ხრუშჩოვი, მოსკოვისა და უკრაინის დასახვრეტ ხალხთა სიების ავტორიც გახლავთ. ომის დროს, სტალინგრადში ჩასვლისას, ხრუშჩოვმა 10 000 საბჭოთა სამხედრო დაახვრეტინა. აღარ გავაგრძელებ, ყველა ერთმანეთის მსგავსი იყო, სხვებსაც უარესი დანაშაულებები ჰქონდათ ჩადენილი და მთავრობის წევრებმა თავიანთი ბინძური ხელები სტალინ-ბერიას სახელს შეახოცეს.

რომ იცოდეთ, ქართველი ერი ბეწვზე ვართ გადარჩენილი გადასახლებას. სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვი მთელ ქართველ ერს შუა აზიასა და ციმბირში გადასახლებას უპირებდა; ისევე, როგორც ჩეჩნები, მთის ხალხები, ვოლგისპირელი გერმანელები და ყირიმელი თათრები გადაასახლეს.

– როგორ თუ გადასახლებას გვიპირებდნენ?! ამის შესახებ არაფერი მსმენია! – იკითხა ნინომ.

– აკრძალული იყო ამ თემაზე საუბარი. – გააგრძელა თხრობა ირაკლიმ. – სტალინის კულტად გამოცხადების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ანტიქართული კამპანია. სახელმწიფო აპარატი და ორგანოები, რომლებიც სავსე იყო ქართველებით, გაწმინდეს, ყველა ქართველი გაანთავისუფლეს, თითქმის ყველა დაიფრინეს მოსკოვიდან, მოხსნეს და სხვაგან გადააგზავნეს. „ანტიგრუზინიზმის“ კამპანია იმდენად აგორდა და აზვირთდა, რომ აზარტში შესული ჭკუათხელი ხრუშჩოვი ხშირად მუშტების ქნევით უყვიროდა და ემუქრებოდა საქართველოს მთავრობის მაშინდელ ხელმძღვანელს, ვასილ მჟავანეძეს, შუა აზიასა და შორეული აღმოსავლეთის სტეპებში გადაგასახლებთო. ხრუშჩოვის საამებლად ცენტრალური კომიტეტის წევრები მოსკოვში სხვადასხვა გეგმებს ადგენდნენ ქართველი ერის დასასჯელად, მხოლოდ იმიტომ, რომ სტალინი ქართველი იყო. კრემლის იმდროინდელი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, სუსლოვის გეგმა ასეთი იყო: „ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთში. სამეგრელოსა და სვანეთს ავტონომიები უნდა მივცეთ. ყველგან გავაღვივოთ ეთნიკურ-ნაციონალური კონფლიქტები. დასავლეთ საქართველო დავუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს; ამის შემდეგ კი ჩვენ შუამავლის როლი უნდა შევასრულოთ“.

დაყავი და იბატონე! დღესაც ასე მოქმედებენ, ჩვენ კი ჭკუა ვერ ვისწავლეთ. მოსკოვში უშიშროება („კაგებე“) სხვა გეგმას ადგენდა: საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავის იუბილეზე თბილისში ნიკიტა ხრუშჩოვი უნდა ჩამოსულიყო, რომელზეც ტერორისტული თავდასხმა მოეწყობოდა და განხორციელდებოდა; ეს კი ნამდვილად კარგი საბაბი იქნებოდა 3 მილიონი ქართველის დეპორტაციისა და შუა აზიაში გადასახლებისთვის.

ვასილ მჟავანაძემ და საქართველოს უშიშროების მაშინდელმა უფროსმა, გენერალმა ინაურმა გაიგეს მოსკოვის საიდუმლო მზაკვრული ჩანაფიქრი. ქართველი ერის გადასარჩენად მათ სასწრაფოდ შეადგინეს ფარული გეგმა: ყოფილი პოლიტპატიმრებისა და დისიდენტები-

საგან შექმნეს ვითომდა ტერორისტული ჯგუფი, რომელთაც ვითომ თავდასხმა უნდა მოეხდინათ ხრუშჩოვზე.

ამ გეგმით მათ მოსკოვს დაასწრეს და ცენტრალურ ორგანოებს შეუთვალეს, რომ აღმოჩენილია და ლიკვიდირებულია ტერორისტული ჯგუფი, რომელიც ხრუშჩოვზე აპირებდა თავდასხმასო. მოსკოვიდან იმ პერიოდში უშიშროების ორგანოების ბევრი თანამშრომელი იქნა მოვლინებული საქართველოში, ამ ინფორმაციის შესამოწმებლად. თბილისში ხრუშჩოვის ჩამოსვლისას კი არაფერი მომხდარა. ასე გადავრჩით მაშინ ქართველები გადასახლებას, მაგრამ ერთი კურიოზული შემთხვევა მაინც მოხდა.

მოგეხსენებათ, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში, სტალინის მონუმენტის მახლობლად, სანაპიროზე გამართულ მიტინგზე, ქართველი ხალხი, საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, მოითხოვდა საბჭოთა კავშირიდან ნებაყოფლობით გასვლას. იმ დროს საბჭოთა არმიამ ტანკებითა და ავტომატებით დაარბია და დახვრიტა მომიტინგეები. 800-მდე ახალგაზრდა გარდაცვლილი და დაჭრილი მომიტინგე კი რუსმა ჯარისკაცებმა ხიდიდან მდინარე მტკვარში გადაყარეს, თავიანთი მხეცური მოქმედების კვალის დასაფარად. ამიტომაც ქართველი ხალხი სამართლიანად გაბრაზებული იყო სულელ ნიკიტა ხრუშჩოვზე და, მართლაც, შესაძლებელი იყო, რომ რომელიმე დაღუპული ახალგაზრდის ნათესავს რამე ესროლა ხრუშჩოვისთვის.

1961 წელს თბილისში ჩამოვიდა ხრუშჩოვი, კუბის ლიდერთან, ფიდელ კასტროსთან ერთად. თბილისის მთავარ პროსპექტებზე, სადაც ხრუშჩოვის სამანქანო კორტეჟს უნდა გაევლო, მოძრაობა მთლიანად გადაკეტილი იყო მილიციის გაძლიერებული ქვედანაყოფებით; ქალაქის ქუჩებში მაქსიმალური კონტროლი იყო. მთავრობამ ფაბრიკა-ქარხნებიდან და სასწავლებლებიდან ხალხი ქუჩაში გაიყვანა, წითელი დროშებით ხელში, ხრუშჩოვისა და კასტროს დასახვედრად. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა მანქანა. ყველას გასაოცრად, გადახსნილ ვილისში მძღოლის უკან ისხდნენ პლეხანოველი სულელი, უბნის კოლორიტი, მეტსახელად კიკა, და გრძელწვერიანი კაცი, რომლებიც შორიდან მართლაც წააგავდნენ ნიკიტა ხრუშჩოვსა და ფიდელ კასტროს. ისეთი სიცილი ამტყდარა იმ დროს ქუჩებში, ხალხიც გამხიარულებულა და დაძაბულობაც მოხსნილა. გასაგები იყო, რომ ის ვითომ შემთხვევითი ამბავი გენერალ ინაურის დადგმული სპექტაკლი იყო, და თუ მაინც რაიმე საპროტესტო ან ტერორისტული აქტი უნდა მომხდარიყო, ყოველი შემთხვევისთვის, საცოდავი კიკა გაწირეს, სანამ ხრუშჩოვის ნამდვილი კორტეჟი ჩაივლიდა თბილისის ქუჩებში. – ირონიულად ჩაიცინა ირაკლი ბაბუამ.

– უმრავლესობამ არც კი ვიცოდით, რა ურჩხულს შევეჭიდეთ! საკუთარ ხალხს არ ინდობდნენ და სხვებს რაღას უზამდნენ? 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ქვეყნის მმართველი, მოგეხსენებათ, ნიკიტა ხრუშჩოვი გახდა. 1954 წლის 14 სექტემბერს, რუსებმა ერთ-ერთ სამხედრო-საწვრთნელ პოლიგონზე 40 კილოტონა სიმძლავრის ატომური ბომბი ააფეთქეს და 45 ათასი საბჭოთა სამხედრო, ჯარისკაცები და ოფიცრები, შეუშვეს აფეთქების ზონაში სამხედრო მანევრებზე. მოგვიანებით, რადიაციული დასხივებით ყველა იქ მყოფი სამხედრო დიდი ტანჯვით გარდაიცვალა. 1962 წელს 2 ივნისს, როდესაც ხრუშჩოვს მოახსენეს, ქალაქ ნოვოჩერკასკში უკმაყოფილო მუშები დემონსტრაციებს მართავენო, მისი პირველი რეაქცია და სიტყვები ყოფილა: – სადაა მერე ჩვენი ტანკებიო? ასეც მოხდა: მუშათა დემონსტრაციებს საბჭოთა ტანკებმა და ჯარმა ცეცხლი გაუხსნეს. ასე ექცეოდნენ ისინი საკუთარ ხალხს. მანამდე კი ხრუშჩოვმა რუსული ტანკებითა და ჯარით ევროპა დასაჯა: 1953 წლის ივნისში – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 1956 წლის გაზაფხულზე – ალბანეთი, 1956 წლის ოქტომბერში – პოლონეთი, 1956 წლის ნოემბერში – უნგრეთი; 1959 წელს კუბაც გააწითლა,

1962 წელს იქ ატომური რაკეტებიც შეიტანა; მაშინ მსოფლიო მესამე ატომურ აპოკალიფსურ მსოფლიო ომს სასწაულებრივად გადაურჩა.

რევოლუციის საწყისი პერიოდიდანვე, სადაც კი ფეხი დაუდგამს ხრუშჩოვს, რომელი ქვეყნების გაწითლებაშიც კი მიუღია მონაწილეობა – რუსეთი იქნებოდა ეს, საქართველო თუ უკრაინა, ყველგან მრავალი ათასი ადამიანი ჰყავს დახვრეტილი. 1940 წელს კატინში პოლონეთის არმიის 20 000-მდე ოფიცერი დახვრიტა და გაყალბებული საბუთებით ეს საშინელება სტალინ-ბერიას გადააბრალა. იგი იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯალათი და, ამავე დროს, გაუნათლებელი და უწიგნური ხეპრე, სულელი, რომელმაც სტალინის მოწამლვაც კი გაბედა; ბერია კი საკუთარ სახლში, მოსკოვის ცენტრში, ტანკების ცეცხლით გააქრო, ქვეყნის მმართველობა თვითონ რომ ჩაეგდო ხელში. შემდეგ კი კრემლში ფარსი გაითამაშა, ლავრენტი ბერიას საცოდავ, დაბნეულ და შეშინებულ ორეულზე, რომელიც თვალებამდე ცილინდრჩამოფხატული და სახეზე შარფაკრული, მარტო პენსნე რომ მოუჩანდა, კრემლში მიიყვანეს, დააპატიმრეს და ისე დახვრიტეს, რომ ხმაც კი არ ამოაღებინეს. ასეთი იყო საბჭოთა კავშირი ხრუშჩოვის ეპოქაში.

ქვეყნის მომდევნო მმართველის, ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაში ბევრი არაფერი შეცვლილა, იგივე აგრესიული კურსი შენარჩუნდა ქვეყნის შიგნითა და გარეთ, მაგრამ ბრეჟნევი ადამიანთა ტანჯვა-წვალების კიდევ ერთი ნოვაციის ავტორი და დამნერგავი იყო: პოლიტიკურად არასაიმედო და არაკორექტული ადამიანებისათვის მან შექმნა ფსიქიატრიული სავადმყოფოები, რომლებიც სავსე იყო აკადემიკოსებით, პროფესორებით, მწერლებით, მხატვრებით, მუსიკოსებით, ჟურნალისტებითა და სხვა მოაზროვნე ადამიანებით. მიხრწნილი მოხუცების, ჩერნენკოსა და ანდროპოვის ხანმოკლე მმართველობის შემდეგ დაიწყო მიხეილ გორბაჩოვის ერა.

მომაკვდავი საბჭოთა იმპერია სულს ღაფავდა, ამიტომ გორბაჩოვი იძულებული გახდა, ძალიან ბევრი რამ დაეთმო საგარეო პოლიტიკაში. დასავლეთ ევროპამ აიძულა ის, რომ კომუნისტური რეჟიმისაგან გაეთავისუფლებინა ევროპის ქვეყნები და საბჭოთა ჯარები გაეყვანა ამ ქვეყნების ტერიტორიიდან.

ევროპის მაგალითზე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმაც მოითხოვეს თავისუფლება და, საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად, საბჭოთა კავშირიდან გასვლა. გორბაჩოვი ამას არ დათანხმდა. ბალტიისპირეთის, კავკასიისა და შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკებში ტანკები და ჯარები გაგზავნა და საკუთარ ხალხს შეუსია. ისევ მრავალი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვარა, მაგრამ კომუნისტური სისტემის ნგრევის პროცესი უკვე დაწყებული იყო და საბჭოთა კავშირი მაინც დაინგრა, რაც გარდაუვალი იყო; მაგრამ სისხლისმსმელი ბოროტი უხილავი ურჩხული მაინც გადარჩა და კრემლში დარჩა.

ისევე, როგორც ადრე, რუსეთის იმპერიამ გადაიცვა ზემოდან წითელი კომუნისტური სამოსელი, ისე რომ ძველი იმპერიული სამოსი არ გაუხდია, ახლაც, ველური, მომთაბარე თათართა ურდოებისაგან წარმოქმნილმა სისხლისმსმელმა მონსტრმა, კომუნისტური სამოსელის გახდის გარეშე, ზევიდან ახალი, „მოდური სამოსი“ გადაიცვა – მაფიისა და ეგრედწოდებული „კაგებეს“ შერწყმის შედეგად მიღებული გათანამედროვებული, ვითომ გადემოკრატებული სამოსი. ამ ახალი „აღკაზმულობით“ შენიღბული კრემლის ურჩხული კიდევ უფრო საშიში გახდა, რადგან ამჟამად მასში შერწყმულია თათარ-მონღოლთა ურდოების სიველურე, რუსული იმპერიული ამბიციები, კომუნისტური სული და მაფიის თავხედური დაუნდობლობა, რომელიც ამქვეყნად უსისხლოდ არაფერს დათმობს.

ჩვენი არეული ქვეყანა ალბათ კიდევ დიდხანს ვერ დალაგდება, რადგან კრემლი მუდმივ მტრად ეყოლება მოკიდებული საქართველოს და ყოველთვის შეეცდება, მომავალშიც არაერთი

გადატრიალება და არეულობა მოახდინოს ჩვენს ქვეყანაში. რუს ხალხს მე არაფერს ვერჩი, აგერ, მე თვითონ დედა რუსი მყავდა, თუმცა ქართულად გამზარდა. მე რუსეთის მთავრობაზე, კრემლზე ვლაპარაკობ. 200 წელზე მეტია, რაც ყოველივე ცუდი საქართველოსთვის რუსეთიდან მოდის. ერთხელ და სამუდამოდ რით ვერ ვისწავლეთ ჭკუა, რომ რუსეთთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, ყოველთვის იგივე შეცდომებს რატომ ვუშვებთ? რუსეთის ნდობა არასოდეს შეიძლება. რუსეთის ყველაზე დიდი მწერლები და სახელოვანი ადამიანები ასე ახასიათებდნენ რუსეთს: „უძველესი კიევის რუსეთი ევროპული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია. სრულიად სხვა სახეა მოსკოვის რუსეთი, რომელიც მონღოლ-თათართა ველური ურდოების წარმონაქმნია. მოსკოვის რუსეთი – ეს არის მატყუარა, ცბიერი დამპყრობელი, უხეში, ტლანქი აზროვნებით, რომელსაც არასოდეს გამოუცდია თავისუფლება და იბრძვის, რომ გაანადგუროს ყოველივე ცივილიზებული; ის, რაც თავად არ გააჩნია და რისი შეგნებაც მის აზროვნებას არ შეუძლია“.

რუსეთთან არც ერთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა არ შეიძლება, თუგინდ სამეგობრო ხელშეკრულება იყოს, რადგან ისინი ყველა დოკუმენტს საბაბად იყენებენ, როცა რომელიმე ქვეყანაში ჯარით შეჭრა სურთ, ვითომცდა დასახმარებლად, ან კიდევ, მშვიდობისმოყვარე შუამავლის როლის შესასრულებლად. თუმცა ხელმოწერილი დოკუმენტების გარეშეც თავხედურად იჭრებიან სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ასეთი ხელშეკრულებებით კიდევ უფრო კადნიერდებიან. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: რუსეთთან ნებისმიერ ხელმოწერილ დოკუმენტს ზუსტად ის ფასი აქვს, რა ფასიან ქაღალდზეც ის დოკუმენტიაო დაწერილიო, – თქვა დავითმა.

– ამჟამად უნივერსიტეტში სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემაზე ვმუშაობთ. ბიბლიოთეკაში მასალებზე მუშაობისას ზოგჯერ ისეთ ინფორმაციებს წავაწყდებით ხოლმე, რომ თმები ყალყზე გვიდგება. რამდენიმე ამონაწერს წაგიკითხავთ ჩემი ნაშრომიდან, დაგაინტერესებთ, – თქვა ნინომ, ჩანთიდან რვეული ამოიღო და კითხვა დაიწყო: „რუსეთს შუბლზე ძარღვი არა აქვს!“ – ეს სიტყვები ბოლშევიკური რუსეთის პირველი ჩეკისტის, ფელიქს ძერჟინსკის თავმომწონეობით ნათქვამი სიტყვებია, და, წარმოიდგინეთ, რა შემაძრწუნებელი სიცხადით არის მასში ასახული ზნეობის, ღირსების, მორალისა და ეთიკის არარსებობა, უპასუხისმგებლობა და უსირცხვილო თავხედობა, მეტიც, თავმომწონება და სიამაყე იმ ბარბაროსული ქმედებების გამო, რასაც საბჭოთა მთავრობა და ძალოვანი ორგანოები ახორციელებდნენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ძერჟინსკის ამ სიტყვების არსი უფრო მკვეთრად აღვიქვი, როდესაც წავიკითხე ალექსანდრე სოლჟენიცინის დიდი ნაშრომი „არქიპელაგი გულაგი“, რომელშიც მთელი სიცხადით, რეალისტურად არის ასახული სხვადასხვა ეროვნების ათეულობით მილიონი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება და გულაგში მათი კატორღული ყოფა, მათ შორის, ქალებისაც, რომლებსაც არაფრის გამო საშინლად აწამებდნენ და სჯიდნენ.

რასაც ბოლშევიკური „ჩეკა“ „წითელი ტერორის“ სახელით აკეთებდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, იმ ქმედებებს ახსნა და სახელი არა აქვს. შუბლზე ძარღვის არქონა – ძალიან რბილი გამონათქვამია იმ ბოროტებასთან, სასტიკ ძალმომრეობასთან, ცინიზმთან, წამებასა და აბსურდულ სისულელეებთან მიმართებაში, რასაც ჩეკისტები სჩადიოდნენ.

განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში ერთი ტრაგიკული მონაკვეთი სოლჟენიცინის წიგნიდან: 1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის დროს, რუსეთში დიდი შიმშილობა მძვინვარებდა. პროლეტარიატსა და წითელ არმიას საკვები აღარ ჰქონდა. ზოოპარკებშიც მხეცები შიმშილით იხოცებოდნენ. მთავრობიდან მიღებული საიდუმლო ბრძანებით პეტროგრადისა და ოდესის „ჩეკამ“ გადაწყვიტა, რომ სიკვდილმისჯილი პატიმრები ყველა არ დაეხვრიტათ. პატიმართა

ნაწილს, გაშიშვლებულებს, ცოცხლად შეუგდებდნენ ხოლმე ზოოპარკის გალიებში დამშეულ ლომებსა და ვეფხვებს გამოსაკვებად; დღისით კი, ტრადიციულად, სკოლებიდან ჯგუფებად დაჰყავდათ ბავშვები ზოოპარკებში, რომლებმაც, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ შესაძლოა, ის მხეცები, ზოოპარკის გალიებში რომ ათვალიერებდნენ, წინა ღამეს მათი მშობლებითა და ახლობლებით იყვნენ გამოკვებილნი. რა სახელი შეიძლება ეწოდოს, რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ასეთ არაადამიანურ, უღმერთო ქმედებას, უსირცხვილობასა და ცინიზმს?!

ცარიზმის ეპოქაშიც ძალიან მძიმე და აუტანელი მდგომარეობა იყო საქართველოში. მეფის რუსეთის ჯარი და რუსის მოხელეები განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალმომრეობით ეპყრობოდნენ ქართველ მოსახლეობას, რის გამოც მრავალჯერ აჯანყებულ ქართველ გლეხთა ამბოხი სისხლში ჩაახრჩვეს რუსის სალდათებმა; მრავალმა სახელოვანმა ქართველმა მამულიშვილმა კი სიცოცხლე ციმბირსა და გადასახლებაში დაასრულა.

საქართველოში რუსეთიდან, ევროპულ და რუსულ კულტურასთან ერთად, უხეში სისასტიკე და ძალმომრეობა შემოდიოდა. რუსებმა უძველეს ქართულ ენას ძაღლის ენა უწოდეს და ქართულად წერა-კითხვა აკრძალეს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს. რუსი მღვდელმთავარი ეგზარქოსები რუს მთავარმართებლებზე მეტს იპარავდნენ; ქართული ეკლესია-მონასტრები დახურეს და გაძარცვეს. რუსი ეგზარქოსები ქართული ეკლესიებიდან ნაძარცვ ოქრო-ვერცხლსა და წმინდა ხატებიდან დამძვრალ ძვირფას თვლებს კილოგრამობით აგზავნიდნენ რუსეთში, ამ „დამსახურებისთვის“ კი იმპერატორი ორდენებითა და მაღალი თანამდებობებით აჯილდოვებდა მათ. რუსეთიდან გამოგზავნილმა ერთ-ერთმა მღვდელთმთავარმა, ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი სახალხოდ, სამარადჟამოდ დაწყევლა.

როგორ გავხდით რუსეთის იმპერიის ნაწილი? – ათასგვარი ხრიკებითა და მოტყუებით. რუსეთი საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ირანთან და თურქეთთან, რათა მათ საქართველო კიდევ უფრო შეევიწროებინათ, იმავდროულად კი გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს და დაიყოლია, რომ ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატისათვის, საიდანაც შემდეგ რუსებმა რამდენიმე პუნქტი ჩუმად ამოიღეს და შეცვალეს. ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ გეორგიევსკის სამეგობრო ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დოკუმენტის არსებობის საბაბით, რუსეთის ჯარები ქართლ-კახეთის სამეფოში შევიდნენ, მალე მეფობაც გააუქმეს და რუსეთმა დაიწყო ქართული ტერიტორიების დაპყრობა.

პათოლოგიური ტყუილი რუსული პოლიტიკისათვის მუდმივად იყო დამახასიათებელი. რუსეთის მხრიდან ძმური ან მეგობრული დახმარება ყოველთვის დაპყრობისა და დამორჩილე-ბის ტოლფასი იყო ნებისმიერი ქვეყნისათვის. რუსეთის მთავრობა ზოგიერთ გამოჩენილ ქართველს თავის სამსახურშიც აყენებდა, როცა მას ეს სათავისოდ სჭირდებოდა. ზოგიერთ მათგანს პრივილეგიებსა და თანამდებობებსაც აძლევდნენ, მაგრამ ბოლომდე მათ ნდობას დაუშვებლად მიიჩნევდნენ.

დაგღალეთ ალბათ. დიდი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით დავამთავრებ: „ქართულმა ხასიათმა, ქართულმა გენოტიპმა დაკარგა თავისი მოხაზულობა, ეს დაიკარგა რუსეთთან ურთიერთობაში, XIX საუკუნიდან მოყოლებული. მაჰმადიანურმა სამყარომ იმდენი ვერ გვავნო, რამდენიც – რუსეთთან კავშირმა და ურთიერთობამ“. – დაამთავრა კითხვა ნინომ და ოდნავ ცრემლმორეული ლამაზი თვალები შეიმშრალა.

საუბარში დავითი ჩაერთო:

– მათ შეგნებულად დაიწყეს ქართული ხასიათისა და გენოტიპის შეცვლა. დაუღალავი მშრომელის, მრავალგზის დანგრეულის აღმშენებლისა და სამშობლოსათვის მებრძოლი,

თავდადებული ხალხისაგან შემდგარი ქვეყანა რუსეთს არ სჭირდებოდა, როგორც კოლონია, ამიტომ დაიწყო! – რათა შინაგანად, არსობრივად შეეცვალა, გაეხრწნა ქართული სული და მენტალიტეტი. ლოიალური პრივილეგიების შემოტანით, ქართული ეკლესიის განადგურებით, ქურდული ფილოსოფიისა და „რუსსკი მირ, ივანიზმის“ დანერგვით, ეროვნულობასთან ბრძოლითა და უზრუნველი ცხოვრების სტერეოტიპის შემოღებით, რუსეთი შეგნებულად შეეცადა, რომ ქართველი ერის დიდი ნაწილი გადაქცეულიყო მხოლოდ ჭამა-სმის მოყვარულ, უაზრო, მუქთახორა მასად, რომელსაც არაფრის შექმნის უნარი აღარ ექნებოდა. ამის გამოსწორებას კი რამდენიმე თაობის შეცვლა თუ უშველის...

– ოდითგანვე საქართველო ღვინის ქვეყანა იყო, სადაც მებრძოლი ხალხი ცხოვრობდა. სტუმარს და კეთილმოსურნეს სიკეთის ღვინის ფიალით ხვდებოდნენ, მტერსა და ბოროტს კი – მახვილით! სწორედ ეს იდეაა ჩადებული „ქართლის დედის“ ქანდაკებაში. – თქვა თამარმა.

– არადა, იყო დრო, როდესაც სპარსეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის დავისას მათ შორის შემრიგებელ შუამავლად მესამე ძლიერი სახელმწიფო – საქართველო იდგა ხოლმე.

ბიზანტიის იმპერიამ 1000 წელი იარსება და გაქრა; რომისა და სპარსეთის იმპერიებიც დაეცა. მუდმივი არაფერია, და რუსეთის იმპერიაც აუცილებლად დაეცემა.

ყველაზე დიდი, სახელოვანი ქართველი მამულიშვილები მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ებრძოდნენ რუსულ იმპერიალიზმს; რომელი ერთი ჩამოვთვალო – ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, მიხეილ და ივანე ჯავახიშვილები, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, სანდრო ახმეტელი, ნიკო ნიკოლაძე, კოტე აფხაზი, მარო მაყაშვილი, ლიზიკო ქავთარაძე, ხათუნა ჭიჭინაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზნიაშვილი, შალვა მაღლაკელიძე, მღვდელთმთავრები ამბროსი ხელაია, კირიონ საძაგლიშვილი და გაბრიელ ქიქოძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და კიდევ მრავალი სხვა. ეს ადამიანები, და კიდევ მრავალი სხვა, რუსული იმპერიალიზმისა და საქართველოს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგნი იყვნენ. პირდაპირ საკვირველია, რომ დღესაც არის საქართველოში ხალხი, ვისაც კრემლისა და რუსული პოლიტიკის მეგობრობისა სჯერა. როგორ არ ფიქრობენ, რომ არ შეიძლება, თვითონ იყვნენ მართლები და ამდენი გამორჩეული ქართველი მამულიშვილი ცდებოდეს?! მათ რომ ჰკითხო, თურმე საქართველოში 200 წელზე მეტია, კოლონიური ჩაგვრა არ ყოფილა, არ არსებულა?! და ამ ხალხს იმედი აქვს, რომ მომავალში რუსეთი საქართველოს ააყვავებს, როცა კრემლს თავისი ხალხიც და თავისი ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდია! დავიჯერო მართლა ფიქრობს ის კრემლისკენ მზერამიპყრობილი ხალხი, რომ გამოჩენილი ქართველები ცდებიან და თვითონ კი სწორ პოზიციაზე დგანან? რა თქმა უნდა, არა! პირადი ინტერესები ხშირად აბრმავებს ხალხს. რისი დანახვაც არ უნდათ, იმას შეგნებულად ვერ ხედავენ. მხოლოდ საკუთარი, პირადი ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტილ არსებას ძნელია შეაგნებინო, რას ნიშნავს მამულიშვილობა და ერის ინტერესები! – ემოციურად დაასრულა თავისი აზრი ზურაბმა.

– დავუშვათ, რომ ჩვენ ან ჩვენი მამების თაობამ ვერ ვივარგეთ. თქვენ ივარგეთ, ჩემო ბატონო! ახლა ხომ ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ; უფალმა ისევ გვაჩუქა თავისუფლება, ისევე, როგორც რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გვებოძა განგებისგან თავისუფლება, რომელიც 1921 წელს დავკარგეთ. ახლა თქვენ ააშენეთ ახალი, ძლიერი ქვეყანა, რომ ხალხმა ამოისუნთქოს. რა გიშლით ხელს? – წამოიძახა ირაკლი ბაბუამ.

– სამწუხაროდ, ვერ დაიცვა საჩუქრად მიღებული თავისუფლება მაშინდელმა მთავრობამ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია, თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მასწავლებელი იყო; სწორედ მან აზიარა თავისი

მოწაფე იოსებ ჯუღაშვილი სოციალისტურ იდეებს. როდესაც ჟორდანია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პირი გახდა, მან ბოლშევიკური მეთოდებით დაიწყო ქვეყნის მართვა და მიწებისა და ქონების კონფისკაცია გამოაცხადა; შემდეგ ნეიტრალიტეტი დააწესა და ჯარი დაშალა, მალევე კი მისმა ნამოწაფარმა სტალინმა საქართველო დაიპყრო და ბოლშევიკური რუსეთის სისხლიან კლანჭებში მოაქცია. – არ თმობდა ზურიკო თავის პოზიციებს.

– გახსოვთ სტალინის ლექსი, ბავშობაში რომ დაწერა? – საუბარში ჩაერთო დავითი.

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

ძნელად წარმოსადგენია, როგორ შეცვალა ასეთი პატრიოტული სულისკვეთების მქონე ბავშვი კომუნისტურმა იდეოლოგიამ და პროლეტარიატის დიქტატურამ. არადა, ეს ლექსი, „დილა“, პატარა სოსელომ ილია ჭავჭავაძეს მიუტანა და მისგან ქებაც კი დაიმსახურა: შენგან დიდი მამულიშვილი დადგებაო, – უთქვამს მაშინ ილიას პატარა სოსო ჯუღაშვილისთვის. შემდგომში კი სოციალისტებმა ერის სულიერი მამა, ილია, ბერბიჭაშვილის ბანდას მოაკვლევინეს. „რას შვრებით? არ მესროლოთ, ილია ვარ!“ – დაუძახია ილიას. ილია რომ ხარ, იმიტომ გესვრითო, – უპასუხიათ მკვლელებს. კომუნისტური მარაზმით ტვინმოწამლულ სოციალისტებს ილია ჭავჭავაძის სიკვდილით საქართველოში ეროვნული თვითშეგნების მოსპობა და ძირფესვიანად აღმოფხვრა სურდათ. უკვე შემდეგ, საქართველოს საბოლოოდ გაწითლების შემდეგ, სხვა ეროვნულ მოღვაწეებს დაერივნენ. დიდი ქართველი მწერალი, მიხეილ ჯავახიშვილი, ჯერ მეტეხის ციხეში ჩააგდეს, სადაც განუწყვეტლივ ტანჯავდნენ და აწამებდნენ, შემდეგ კი სიკვდილის პირას მიყვანილი, დაუძლურებული მწერალი წიხლისკვრით გაიყვანეს დასახვრეტად; თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი, ასაკოვანი ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის კიბეებზე დააგორეს; ვაჟა-ფშაველას სურათი მწერალთა კავშირის დარბაზიდან ჩამოხსნეს და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა აკრძალეს; გამოჩენილი ქართველი დირიჟორი, ევგენი მიქელაძე, პირდაპირ რეპეტიციიდან აიყვანეს. მას თვალები დათხარეს. თვალებდათხრილი, ნაგვემი და ნაწამები მუსიკოსის დაკითხვას ლავრენტი ბერიაც ესწრებოდა, რომელსაც დაბრმავებული დირიჟორისთვის უკითხავს: „კიდევ ამბობ, რომ ხალხის მტერი არა ხარ?“ მიქელაძეს უპასუხია, ლავრენტი პავლოვიჩ, არასოდეს ვყოფილვარ ქვეყნისა და ხალხის მტერიო; – საიდან იცი, რომ ლავრენტი ბერია ვარ? – გაკვირვებით უკითხავს ბერიას. კარგი სმენა მაქვს და ხმაზე გიცანითო, – უპასუხია მიქელაძეს. ამ სიტყვებზე ბერიას მისთვის გახურებული რკინის ჯოხები გაუყრია ყურში. როგორც ამბობენ, ამ ოჯახის მიმართ ლავრენტი ბერიას პირადი წყენა ჰქონდა, რაც დაკავშირებული იყო ევგენი მიქელაძის ულამაზეს მეუღლესთან, რომელმაც გაუბედა და უარი უთხრა პირველ ჩეკისტს. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება...

რა მოხდებოდა, სტალინი რომ საერთოდ არ დაბადებულიყო? – ამ საკითხზე ბევრი მიფიქრია... სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება, ყველაფერს თავისი კანონზომიერება აქვს. რუსეთ-საქართველოს ერთმანეთთან თანდათანობით შეკავშირებასაც ალბათ ახსნა გააჩნია.

XVII საუკუნიდან ქართველთა მეფეები თავიანთი შვილებიდან ზოგიერთს მოსკოვის სამეფო კარზე აგზავნიდნენ იმ სამომავლო იმედით, რომ ქრისტიანი და მრავალრიცხოვანი რუსეთი ერთმორწმუნე საქართველოს დაეხმარებოდა მაჰმადიანურ თურქეთ-ირანთან განუწყვეტელ თავდაცვით ომებში. კახთა მეფის, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, დავითის ძე ერეკლე ბავშვობიდან იზრდებოდა მოსკოვის სამეფო კარზე. რუსეთის ავადმყოფმა და დავრდომილმა მეფემ, ალექსიმ, პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, 1671 წელს

ხელმეორედ იქორწინა – ჯვარი დაიწერა 20 წლის ნატალია ნარიშკინაზე. ამ ქორწინებისას ალექსის ხელისმომკიდე და ქორწილის მესტუმრე გახლდათ მისი სიყრმის მეგობარი, ულამაზესი ქართველი ბატონიშვილი ერეკლე, რომელსაც რუსეთში უფლისწულ ნიკოლოზ დავითის ძეს უწოდებდნენ.

თათარ-მონღოლთა ურდოს ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ მოსკოვის სამეფოს გარუსებული გვარებით მართავდნენ თათრული წარმომავლობის მეფეები და ბოიარები, რომელთა ცოლებიც აგრეთვე თათრული წარმომავლობისანი იყვნენ. მეფე ალექსის პირველი ქორწინებიდან 5 ვაჟი და 6 ქალიშვილი ჰყავდა. მეფის ხუთივე ძე დაბადებიდანვე ავადმყოფები იყვნენ. ეს ავადმყოფობა მემკვიდრეობითი იყო და, როგორც ჩანს, სისხლით გადადიოდა. მეფე ალექსი მემკვიდრეობით ატარებდა ავადმყოფობას. ავადმყოფი იყო ალექსის მამა, პირველი რომანოვი მეფე – მიხეილიც. ალექსის 3 ვაჟი მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა, 2 დანარჩენი კი მძიმე ავადმყოფი იყო. კულტურულად აღზრდილი და განათლებული მშვენიერი ნატალია ნარიშკინა თათარ ბოიართა, ნარიშების შთამომავალი იყო. ნარიშებიც გარუსებული თათრები იყვნენ.

1672 წელს ჯანმრთელი უფლისწულის, პეტრეს დაბადების შემდეგ, ბოიარებმა აიძულეს ერეკლე, დაეტოვებინა მოსკოვი, რადგან ერეკლეს მისია რუსეთის სამეფო სისხლის განახლება-გაჯანსაღებისა უკვე შესრულებული იყო. ერეკლეს მოსკოვიდან გამოძევებიდან ერთი წლის შემდეგ მეფე ალექსიც გარდაიცვალა. საქართველოში დაბრუნებული უფლისწული კი 1675 წელს ქართლ-კახეთის მეფე, ერეკლე I გახდა. არსებობს ერეკლესა და ნატალია ნარიშკინას მიმოწერა, როცა ერეკლე ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა. ამ წერილებში, ნატალია, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ჯერ კიდევ ყრმა პეტრეს თავის და ერეკლეს შვილად მოიხსენიებს, ერეკლე კი შემდეგი სიტყვებით მოიკითხავს თავის შვილს: „როგორ არის ჩვენი პატარა ანცი?“

პეტრე ბავშვობიდანვე მეგობრობდა მოსკოვში მცხოვრებ მეფე არჩილ II-ის შვილებთან, ალექსანდრე და მამუკა ბაგრატიონებთან. არჩილ II-ის ცოლი, ალექსანდრესა და მამუკას დედა, ქეთევანი, ერეკლე I-ის და იყო. ქართველი უფლისწულები მუდამ თან ახლდნენ პეტრეს, მათ შორის, ევროპულ მოგზაურობებში. ჰააგაში ალექსანდრე ბაგრატიონმა საფუძვლიანად შეისწავლა საარტილერიო საქმე, რუსეთში დაბრუნების შემდეგ კი რუსეთის არმიის არტილერიის ფუძემდებელი და არტილერიის პირველი გენერალი გახდა. ალექსანდრე ბაგრატიონი ყოველთვის თან ახლდა იმპერატორ პეტრეს I-ს, სანამ ნარვასთან ბრძოლაში შვედები დაატყვევებდნენ.

როცა უკვე წამოზრდილი, დაკაცებული პეტრე I-ისთვის შეუთავაზებიათ ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა შთამომავლის ცოლად შერთვა, პეტრეს უარი განუცხადებია: მე ჩემს მოგვარეზე არ დავქორწინდებიო, – უთქვამს.

ჩამორჩენილი აზიური რუსეთი, რომელიც იმ პერიოდის ევროპულ რუკებზე აღინიშნებოდა, როგორც ტარტართა დიდი ქვეყანა, პეტრე I-მა ევროპულ რუსეთად გარდაქმნა, გაამლიერა და ქვეყნის განვითარება ახალ, ევროპულ ყაიდაზე წარმართა.

1724 წლის ივლისის თვეში ქართლის მეფე ვახტანგ VI, რჩეულ დიდებულთა 1200-კაციანი ამალის თანხლებით რუსეთისკენ გაემართა, პეტრე I-თან შესახვედრად და დახმარების სათხოვნელად. მათ ერთმანეთთან დიდი ხნის საიდუმლო კორესპონდენცია აკავშირებდათ. მეფე ვახტანგის ამალას ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი სხვა ქართველებიც შეუერთდნენ, მაგრამ როდესაც მოსკოვში 2000-კაციანი ქართლის მეფიონი ჩავიდა, იმპერატორი პეტრე I უკვე გარდაცვლილი იყო.

იმპერატრიცა ეკატერინე I-მა იცოდა, რომ მრავალ ბრძოლებსა და ომებში გამობრძმედილი ქართველი დიდებულების საომარი გამოცდილება მისთვის ფრიად სასარგებლო რამ იყო, ყოველთვის გამოადგებოდა. მან ქართველებს რუსეთში ცხოვრების უფლება მისცა და სამსახურიც შესთავაზა საიმპერატორო ჯარში, მაღალი ჩინის თანამდებობებზე, კარგი ანაზღაურებითა და სათავადაზნაურო ტიტულების შენარჩუნებით.

შემდგომში, დროთა განმავლობაში, რუსეთში გადახვეწილ ქართველი თავადაზნაურობის შთამომავალთა სისხლი რუსეთის არისტოკრატიის სისხლში აირია. რუსეთის თითქმის ყველა დიდგვაროვან ოჯახს ქართველ დიდებულთა გენეტიკა შეემატა. რუსეთის სათავადაზნაურო საზოგადოება ბევრად უფრო დაიხვეწა.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის აქტიური მონაწილეები ქართველებიც იყვნენ: კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, ვასილ კიკვიძე, სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ქართველიშვილი, მაღლაკელიძე, წულუკიძე, ცხაკაია, ენუქიძე და სხვები.

რუსეთის ისტორია კვლავ შეიცვალა და ახალი გზით განვითარდა. ქვეყნის სათავეში სტალინი მოვიდა. რა მოხდებოდა, სტალინი რომ არ არსებულიყო? – ჰიტლერი ადვილად დაიპყრობდა რუსეთს, შემდეგ კი ატომური ომი დაიწყებოდა გერმანიასა და ამერიკას შორის. ატომური კოლაფსის შემდეგ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა შეწყდებოდა... სიცოცხლე განადგურდებოდა. განგების კანონზომიერებამ დიდი ბოროტების, ჰიტლერის წინააღმდეგ, მეორე ძლიერი ბოროტება, სტალინი მოავლინა და ორ ბოროტებას შორის ნაკლებმა უფრო დიდი ბოროტება დაამარცხა, რათა ჩვენი პლანეტა – დედამიწა – გადარჩენილიყო ატომური აპოკალიფსისაგან. ალბათ, ესაა სტალინის არსებობის გამართლება...

– კარგი, რაც მოხდა, მოხდა. ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა, თუმცა ძალიან მტკივნეული და მწარე. ახლა მთავარია, მომავალზე რას ფიქრობთ, ახალი თაობები როგორ აპირებთ ქვეყნის აშენებას? – იკითხა თამარმა და ნინოსა და ზურაბს შეხედა.

ნინომ მხრები აიჩეჩა და თქვა: – ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი, არ ვიცი.

– ცნობილი ამერიკელი მეცნიერის გამონათქვამია: „როცა ეკონომიკის საათი ჩერდება, მოქმედებას ომის საათი იწყებს“. – ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც მსოფლიოში დიდი ეკონომიკური კრიზისია და ეკონომიკა გაჩერებულია, გაჩერებული ეკონომიკის ძრავის ასამუშავებლად დიდი, ძლიერი ქვეყნები მცირე ომებს წამოიწყებენ ხოლმე, აზიის ან სხვა განვითარებად, პატარა ქვეყნებში, რათა სამხედრო მრეწველობის ამუშავებით ეკონომიკაც ამუშავდეს. ვიეტნამის, კამბოჯის, ავღანეთის, ქუვეიტის, იუგოსლავიისა და აფრიკის პატარა ქვეყნებში გაჩაღებული ომები ამის კარგი მაგალითია. უბრალო ხალხის, მშვიდობიანი მოსახლეობის თუგინდ ასეულ ათასიანი მსხვერპლი არავის ადარდებს. ჩვენ აზიის საზღვარზე ვიმყოფებით და ყოველთვის ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ასეთ ომებში არ ჩაგვითრიონ.

სხვათა შორის, ნაპოლეონი და ბისმარკი ამბობდნენ, კაცობრიობას საფრთხე მომავალში ჩინეთიდან ემუქრებაო. მომავალში ალბათ ეკონომიკურად ყველას ჩინეთი ჩაყლაპავს, – თქვა ზურაბმა.

– ეუჰ! დროა, ჩინურის სწავლაც დავიწყოთ, ხომ? ამჟამად თუ ევროპისაკენ მივდივართ, შემდეგ რა ვქნათ? ჩინეთისკენ დავიძრათ?! – წამოიძახა ირაკლი ბაბუამ და ყველას სიცილი აუტყდა.

– ფროიდმა თქვა, იუმორი არის ინტელექტის პოეზიაო; ყოჩაღ, ბაბუ! – გაიცინა ნინომ.

– ოდითგანვე საქართველო იყო ხიდი ევროპასა და აზიას შორის. ამჟამად აზიაში 3 მილიარდზე მეტი მცხოვრებია; ეს რიცხვი მომავალში შეიძლება გასამმაგდეს კიდეც, და მერე 9 მილიარდ ადამიანს გამოკვება ხომ უნდა! ალბათ შესაძლებელია, რომ როგორც წარსულში,

მომავალშიც საქართველომ ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია შეასრულოს. თუმცა ეს შორეული მომავლის საქმეა. მე მგონია, რომ მომავლის საზოგადოებაში ყოველ ადამიანს მიეცემა და მიეზღვება იმდენი, რამდენსაც დაიმსახურებს. მანამდე კი ქართველმა ერმა ნელსონ მანდელას ბრძნული გამონათქვამი უნდა გაითავისოს და შეისისხლხორცოს: - „განათლება არის ყველაზე მძლავრი იარაღი სამყაროს შესაცვლელად!“. - წარმოთქვა ზურაბმა.

სახლის კარი გაიხსნა და ოთახში შევიდნენ მარიამი და მისი მეუღლე, რომელთაც წინ თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი 7 წლის შვილი, სანდრო მიუძღოდა. მარიამმა მოიბოდიშა დაგვიანებისთვის – სკოლაში გამოსაშვები საღამოსთვის კონცერტს ამზადებენ ბავშვები, რეპეტიცია ცოტა გაგრძელდა და ამიტომ დავიგვიანეთო. პატარა სანდრომ ხელები გაშალა და ხმამაღლა დაიძახა: – ბაბუა, გილოცავ დაბადების დღეს! – და მისკენ გაიქცა. ირაკლი ბაბუა ფეხზე წამოდგა, სანდრო ჩაიხუტა, შემდეგ სკამზე შეაყენა, გემრიელად ჩაკოცნა ბავშვი და უთხრა:

– შენ გენაცვალე, სანდრო! ჩემი პატარა ვაჟკაცი და საამაყო შვილთაშვილი! აბა, ერთი შენ მითხარი, გვეშველება რამე?

– ვის, ბაბუ?

– ჩვენ! ჩვენს ქვეყანას! ქართველებს! გვეშველება რამე?

– კი, ბაბუა, გვეშველება!

– როგორ მერე? რანაირად?

– შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ბაბუ, ჩვენი პატრონი არავინაა!

– ჰო, მერე?

– ჰოდა, ბაბუ, ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ და ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, ისეთი! ისეთი, რომ ყველას შურდეს ჩვენი! – წამოიძახა პატარა სანდრომ.

– ეუჰ! შენ გენაცვალოს ბაბუა! – თქვა ირაკლიმ და სიხარულის ცრემლი მიოწმინდა. – თქვენი იმედი მაქვს! შენმა თაობამ უნდა ააშენოს ეს ქვეყანა! სწორედ შენმა თაობამ! ომის შემდეგ გერმანია ისე იყო განადგურებული და დანგრეული, რომ ქვა აღარ დარჩენილა მთელი. შვიდი წლის შემდეგ კი გერმანია ევროპის მოწინავე ქვეყანა გახდა, გერმანელი ხალხის შრომითა და მონდომებით. ჩვენც ავაშენებთ, ბაბუ!

– მართალია ბავშვი. სხვა არავინ მოვა და სამოთხეს არ აგვიშენებს. – თქვა დავითმა.

– ჭეშმარიტად! ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ! არავის იმედზე არ უნდა ვიყოთ. – ამოიოხრა ცრემლმორეულმა თამარმა.

– კი, მართალია. ჩვენ ვერც დუბაი-სინგაპურს გავასწრებთ და ვერც ევროპას დავეწევით, ჩვენი საკუთარი გზით უნდა ვიაროთ! – თქვა ზურაბმა.

– ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ, ყოველმა ჩვენგანმა. – დაამატა ნინომ.

– შენ გენაცვალოს ბაბუა! როგორ გამახარე! ბევრად უფრო დაქცეული საქართველო მრავალჯერ ფეხზე წამოგვიყენებია! ავაშენებთ ჩვენს ქვეყანას, აბა რას ვიზამთ!

– რა გატირებთ? რა მოგივიდათ? რა დაგემართათ, ხალხნო? – გაკვირვებით წამოიძახა მარიამმა. – აი, მოუსმინეთ საკონცერტო სიმღერას, სკოლაში ბავშვები რომ ამზადებენ, – და ჩართო მუსიკა ქართული ხალხური სიმღერისა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.

ირაკლი ბაბუამ ხელი მაღლა აღმართა და სიმღერას აჰყვა. სანდრომაც ბაბუას მიბაძა და სიმღერა დაიწყო. სიმღერას ოჯახის სხვა თვალცრემლიანი წევრებიც შეუერთდნენ. მარიამი ზურიკოს მიუახლოვდა, მეორე ოთახში გაიყვანა, ნოტები მისცა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

– რა ხდება აქ?

– გრძელი სალაპარაკოა, სხვა დროს გიამბობ.

– ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, სიმართლე მითხარი. ჩემი უმცროსი და, ნინო, მოგეწონა?

– დიდებული ოჯახი გყავს, მარიამ, იშვიათი და გამორჩეული. გაუფრთხილდით ერთმანეთს. – წარმოთქვა გაღიმებულმა ზურაბმა, ნოტები გამოართვა მარიამს, მის ოჯახს მადლობა გადაუხადა სადილისთვის და თბილად გამოემშვიდობა. სახლიდან გასვლის წინ ბაბუა ირაკლიმ მხარზე ხელი მოუთათუნა ზურიკოს და უთხრა: – ახალგაზრდავ, ასე თავისუფლად და ამდენი ხანი ცხოვრებაში არ მილაპარაკია. მე უკვე ასაკოვანი ვარ და არაფრის შიში აღარა მაქვს. ნუ დამივიწყებ, დრო როცა გექნება, გამომიარე ხოლმე, გავისაუბროთ.

XXXIII

მარიამის სახლიდან გამოსული ზურიკო, იქ გამართული ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საუბრის შემდეგ, ღრმა შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებოდა. ის ალექსანდრეს ბაღს ფეხით აუყვა ქაშუეთის ეკლესიის მიმართულებით. ეკლესიასთან მიახლოებისას გაახსენდა 1989 წლის 9 აპრილის ღამე და უცებ ტკივილი იგრძნო კეფასა და თავის არეში, თითქოს თავში ისევ რუსი ჯარისკაცის სასანგრე ნიჩაბი მოხვდა; მერე გაახსენდა, დარეტიანებულსა და გაზით მოწამლულს როგორ მიათრევდა ვიღაც ღვთისნიერი კაცი ქაშუეთის ეკლესიისაკენ, სანამ საბოლოოდ გრძნობას დაკარგავდა; შემდეგ ინდრას ალუჩისფერი თვალები გაახსენდა, – საავადმყოფოში გრძნობაზე მოსვლის დროს პირველი, რაც დაინახა, ეს თვალები იყო, გაფართოებულნი რომ უცქერდნენ მას. გონზე მოსვლის შემდეგ გაჭირვებით წარმოთქმული თავისი პირველი სიტყვებიც გაახსენდა, ინდრას რომ უთხრა: რადგან სიკვდილს გადავურჩი, პირობას გაძლევთ, რომ 40 წლის ასაკში პარიზში ერთად ვისეირნებთო; გაახსენდა ინდრას მოულოდნელი რეაქციაც, მისი გულიანი გადაკისკისებაც, თითქოს ინდრას ნათქვამი სიტყვებიც კი ჩაესმა ყურში: დონ ჟუანი გაგვიცოცხლებია თურმე და მეორედ მოსულა ამ ქვეყანაზეო!

ცრემლმორეულ ზურაბს ზარის ხმა შემოესმა და გამოფხიზლდა. ქაშუეთის ეკლესიის სამრეკლოს ზარები წკრიალებდნენ. რუსთაველის ქუჩაზე რომ გავიდა, გულმა რეჩხი უყო, თბილისის მთავარი პროსპექტის გაშავებული, ნახევრად დამწვარი და დანგრეული შენობები რომ დაინახა, რომლებსაც ახლა სარესტავრაციო სამუშაოები უტარდებოდა. თბილისს ჯერ კიდევ ვერ მოეშუშებინა არც ისე დიდი ხნის წინ თავს დატეხილი სამოქალაქო ომის იარები. ზურიკოს ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ თბილისის გულში ქართველები ერთმანეთს ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს ესროდნენ. რაგინდ ძლიერი და ვერაგი მოსკოვური ხელიც არ უნდა ყოფილიყო ჩარეული ამ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში, როგორ არ ეყოთ გონიერება ქართველებს, როგორ გაბედეს, როგორ იკადრეს ასეთი უაზრო, უგუნური და სამარცხვინო საქციელი, რომ ერთი პოლიტიკოსის გამო ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს, მით უმეტეს, სამარცხვინო შევარდნაძის გამო, რომელმაც თავისი კარიერის გამო საკუთარი სამშობლო გაყიდა?! როგორ დაბრმავდა ხალხი, როგორ ჩააბარეს ქვეყანა ისევ მას?! მთავრობაში მოსულმა ბანდიტებმა შევარდნაძე მოიწვიეს მოსკოვიდან და ქვეყნის ტახტზე დასვეს, თვითონ კი ტახტს ამოფარებულები ძარცვავდნენ საკუთარ ქვეყანას! თან იმდენსაც კი ვერ ხვდებოდნენ, რომ შევარდნაძეს თვითონ კი არ იყენებდნენ, როგორც შირმას, არამედ თავად შევარდნაძის მიერ მოწყობილი ფარსი იყო ეს ყველაფერი; და შემდეგომში, როცა აღარ

დასჭირდებოდა, მათაც მოიშორებდა ულმობლად, ერთი დარტყმით, ისე, როგორც მას სჩვეოდა ყოველთვის.

ზურაბს გაახსენდა ირაკლი ბაბუას ნათქვამი: ქურდები ქვეყანას ვერ ააშენებენ და საქართველო და ქართველი ხალხი განადგურდება და გაუბედურდებაო.

სრულ სიმართლეს ამბობდა გამოცდილი და მრავლისმომსწრე ირაკლი ბაბუა, ქვეყნის გაუბედურება უკვე დაწყებული იყო. რესპუბლიკაში ტრანსპორტი თითქმის აღარ მოძრაობდა, საწვავი არ იყო, დენი და ცივი წყალი გრაფიკით დაწესდა, ცხელი წყალი საერთოდ აღარ არსებობდა, მაღაზიებში საკვები პროდუქტები გაქრა, ბაზარში კი ყველაფერს ცეცხლის ფასი დაედო. ფულმა საშინელი დევალვაცია განიცადა; გაუფასურებული ხელფასების გაცემას სამსახურებში თვეობით აგვიანებდნენ. ცხოვრება ძალიან გაჭირდა, ხალხისთვის ყოველდღიური არსებობა გაუსაძლისი გახდა, მათზე აღარავინ ფიქრობდა. აფხაზეთის ომის შემდეგ თბილისში უამრავი იარაღი გაჩნდა. ქალაქში ყოველდღიურად ისმოდა ავტომატის სროლის ხმები. ქალაქის უბნებს შორის გაჩაღდა ბრძოლები და სისხლიანი ანგარიშსწორება გავლენის სფეროების მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად; დღე არ გავიდოდა, რამდენიმე ახალგაზრდა რომ არ დაღუპულიყო. მილიციას ფუნქციები აღარ ჰქონდა, ანდა მილიციას რა უნდა გაეწყო კბილებამდე შეიარაღებულ ფორმირებებთან; ის ვერავის ვეღარ იცავდა და გაუბედურებულ ხალხს თვითონვე ძარცვავდა.

გამოსავალი არსად ჩანდა. სანამ ბანდიტური მთავრობა არ წავიდოდა, ქვეყანას არაფერი ეშველებოდა. მთავრობას კი ძალაუფლება ჯერ ახლახან ჰქონდა ხელში ჩაგდებული და ალბათ ათი წელი მაინც უნდა გასულიყო, სანამ ისინი წავიდოდნენ, რომ ქვეყანაში ნელ-ნელა რაღაცის შეცვლა დაწყებულიყო. პირველად იმ დროს გაუელვა აზრად ზურიკოს, რომ დროებით მაინც დაეტოვებინა საქართველო, უბრალოდ ცოცხალი რომ გადარჩენილიყო; მით უმეტეს, რომ მისი ნამდვილი და დიდი სიყვარული, ინდრა, უკვალოდ გაქრა და გაუ-ჩინარდა ქალაქიდან. ზურაბს თბილისში გული აღარ უჩერდებოდა.

ერთ დღეს ზურაბს ინდრას ნათესავმა ირინემ დაურეკა და უთხრა, ინდრამ დარეკა რიგიდან, მე იმ დროს სახლში არ ვიყავი, ტელეფონი ჩემმა მეუღლემ აიღო, რომელიც იმ დროს უკვე ძალიან მძიმედ იყო ავად; მას არ უთქვამს ინდრასთვის, შენ რომ აფხაზეთიდან დაბრუნდი, მხოლოდ მისი რიგის სახლის ტელეფონი ჩაიწერა და მეორე დღეს გადმომცა, როცა გაახსენდა. ამის მერე ჩემი მეუღლე რამდენიმე დღეში გარდაიცვალა; იმ არეულობასა და უბედურებაში ინდრა და მისი ზარი საერთოდ გადამავიწყდა; აზრზე რომ მოვედი და ცოტა დავმშვიდდი, გამახსენდა ინდრას ტელეფონი, რამდენჯერმე დავრეკე რიგაში და სულ მპასუხობენ, ინდრა საფრანგეთში წავიდა და როდის დაბრუნდება, არ ვიცითო; თუ გინდა, გეტყვი რიგის ტელეფონის ნომერს, ჩაიწერე და შენ დარეკე, იქნებ გაარკვიო რამეო.

ზურაბს ელდა ეცა. ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, მაშინვე გადარეკა რიგაში ირვასთან, აუხსნა, რომ ინდრას საქმრო იყო. ირვასის პასუხი იგივე იყო: ინდრა საფრანგეთში წავიდა და როდის დაბრუნდება რიგაში, არ ვიციო. გამწარებულმა ზურაბმა არ იცოდა, რა ექნა, რა ეღონა, როგორ მიეღწია ხმა ინდრასთვის, როგორ გაეგებინებინა, რომ ცოცხალი იყო.

საკონცერტო სეზონი დამთავრდა და სექტემბრამდე მუსიკოსები თავისუფლები იყვნენ. ტრადიციული საზაფხულო კონცერტები შავი ზღვის სანაპიროზე გაუქმებული იყო. ზურაბმა პატარა საკვარტეტო და კამერული მუსიკის კონცერტებიც მოითავა და ზაფხულის დასაწყისში გადაწყვიტა, საფრანგეთში წასულიყო ინდრას მოსაძებნად.

იმ პერიოდში საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვიზებს კერძო პირებზე თითქმის არ იძლეოდნენ, თურქეთის ვიზა კი ადვილი გასაკეთებელი იყო.

ზურაბმა გააკეთა თურქეთის ვიზა, დაემშვიდობა ოჯახს და თურქეთში წავიდა, იმ იმედით, რომ იქიდან ევროპის რომელიმე ქვეყანაში გადავიდოდა. მას არც სტამბულში მისცეს დასავლეთ ევროპის ვიზა. უვიზოდ შესვლა თურქეთიდან მხოლოდ ბულგარეთში შეგიძლიაო, უთხრეს მას და ასე მოხვდა ბულგარეთის უკიდურეს სამხრეთში მდებარე ქალაქ ბურგასში, შავი ზღვის სანაპიროზე, ცნობილ საკურორტო ადგილას, რომელსაც მზიანი სანაპირო ჰქვია.

ქალაქ ბურგასში ზურაბმა რამდენიმე ქვეყნის საკონსულოს მიაკითხა, მაგრამ საფრანგეთში ან დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში მოსახვედრი ვიზის მიღებას ვერ მიაღწია. ყველგან პასუხობდნენ, ვიზა შენს ქვეყანაში უნდა აიღოო. ზურაბმა გადაწყვიტა, გარკვეული ხნით ბულგარეთში დარჩენილიყო და შემდეგ აქედან როგორმე მოეხერხებინა დასავლეთ ევროპაში წასვლა, რომ იქიდან პარიზში მოხვედრილიყო.

ქალაქ ბურგასმა ზურიკო მოხიბლა; რაღაცით ქალაქ ოდესას ახსენებდა, მაგრამ ბურგასი კიდევ უფრო სუფთა და ლამაზად მოვლილი იყო. შავი ზღვის ქვიშიანი სანაპიროს შემდეგ, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, დიდი, არაჩვეულებრივად ლამაზი, ერთიანად მწვანეში ჩაფლული ბაღი იყო გაშენებული, ბაღის შემდეგ კი მშვენიერი ქალაქი იწყებოდა, რომელსაც საოპერო თეატრიც გააჩნდა და სიმფონიური ორკესტრიც.

ზურაბმა გადაწყვიტა, ჯერ ბურგასში ესინჯა მუშაობის დაწყება და თუ არ მოეწონებოდა, შემდეგ სხვაგან ეცადა ბედი; თან ბულგარეთი ზღვიდან საქართველოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა და ავტობუსით ერთ დღეში შეეძლო სახლში ყოფილიყო.

ბურგასის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. ზურაბი შეხვდა თეატრის დირექტორსა და მთავარ დირიჟორს ივან ვულპეს, რომელიც იმავდროულად ქალაქ სოფიის კონსერვატორიის სადირიჟორო კათედრის პროფესორიც იყო. დირიჟორმა მოუსმინა ზურაბის დაკრულს და აიყვანა ოპერის ორკესტრში ვიოლონჩელისტად, რადგან ზაფხულში ოპერის თეატრს გაძლიერებული ორკესტრი სჭირდებოდა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში მზიან სანაპიროზე, ბურგასის ოპერისა და ბალეტის თეატრში უცხოელი დამსვენებლებისთვის ტარდებოდა საოპერო ფესტივალები. კვირაში ორჯერ ახალი საოპერო სპექტაკლი იყო წარმოდგენილი და ამიტომ თეატრში ინტენსიური მუშაობა იყო გაჩაღებული. ოპერის ორკესტრში ზურიკოს მისვლიდან ორი კვირის შემდეგ ჩელოების ჯგუფის კონცერტმაისტერი ფეხმძიმობის გამო დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. ოპერის თეატრში მოეწყო კონკურსი და ზურაბი დაინიშნა ჩელოების ჯგუფის კონცერტმაის-ტერად; მოგვიანებით კამერული მუსიკის კონცერტებიც შესთავაზეს, თავისუფალ დროს კი ზღვაზე ატარებდა. პირველი ხელფასი რომ აიღო, ზურაბი ფრიად გაკვირვებული დარჩა, რადგან ერთი თვის ბულგარული ხელფასი, ისიც პროვინციულ ოპერის თეატრში, უდრიდა საბჭოთა კავშირის ოთხი თვის ხელფასს.

ზურაბი ძალიან კმაყოფილი იყო. მან თითქმის მთელი საოპერო რეპერტუარი შეისწავლა და დაუკრა, რაც დიდი გამოცდილება იყო მისთვის. ქალაქის სიმფონიურ ორკესტრშიც მიიწვიეს სოლისტად, საკონცერტო შესრულებით.

ბურგასის ოპერის თეატრში ზურიკოს მოღვაწეობის დაწყებიდან ნახევარ წელიწადში ბულგარეთში ცვლილებები დაიწყო. ჟივკოვის კომუნისტური რეჟიმის გადავარდნის შემდეგ ბულგარეთს დემოკრატიული ძალები მართავდნენ. ასაკოვანი დემოკრატი პრეზიდენტი ჟელევი წესიერი კაცი იყო. მისი პრეზიდენტობის დროს მთავრობა არ იპარავდა, ჟელევი თავის ქვეყანაზე ფიქრობდა და ზრუნავდა. მისი წასვლის შემდეგ ბულგარეთში ვითარება ნელ-ნელა შეიცვალა. სამწუხაროდ, ახალი მთავრობის წევრები გამდიდრების ჟინით შეპყრობილი მშიერი, არაფრის მქონე ხალხი აღმოჩნდა, და ქვეყანაში კორუფციამ იმძლავრა.

ყველაფერი თანდათანობით გაფუჭდა და ფულმაც დევალვაცია დაიწყო. ზურაბის ბულგარეთში შესვლისას 1 ამერიკული დოლარი 2 ბულგარული ლევი ღირდა, არასრულ ერთ წელიწადში კი 1 ამერიკული დოლარი უკვე 120 ბულგარული ლევი გახდა.

ბურგასის საოპერო თეატრის დასში ირიცხებოდა ერთი ახალგაზრდა საოპერო მომღერალი, რომელსაც გააჩნდა იშვიათი სილამაზის გასაოცარი სოპრანო და, ამავე დროს, ულამაზესი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი იყო, მშვენიერების განსახიერება. სპეციალურად მის სანახავად და მოსასმენად საფრანგეთიდან ბურგასში რამდენჯერმე ჩამოვიდნენ საოპერო იმპრესარიოები და მენეჯერები, რომლებმაც მისი შესრულებით სხვადასხვა ოპერა ნახეს. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქალაქ ბურგასის საოპერო დასი საგასტროლოდ მიეწვიათ პარიზში, სადაც ისინი წარადგენდნენ ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენს“.

სამწუხაროდ, თავი იჩინა ფინანსურმა პრობლემებმა და წინააღმდეგობებმა. მთელი საოპერო დასის საფრანგეთში გამგზავრება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, ქალაქ ბურგასის ახალ მმართველობას გადაწყვეტილი ჰქონდა, გააერთიანებინა ოპერის თეატრისა და ქალაქის სიმფონიური ორკესტრები, ოპერის ასაკოვანი დირიჟორი პენსიაში გაეშვათ და სიმფონიური ორკესტრის ახალგაზრდა დირიჟორი დაენიშნათ გაერთიანებული ორკესტრის ხელმძღვანელად, რომელიც ხან ოპერას დადგამდა, ხან სიმფონიურ მუსიკას დაუკრავდა, ხან კი საბალეტო სპექტაკლს წარუძღვებოდა.

ივან ვულპეს ბაბუა, უფროსი ივან ვულპე, XIX საუკუნის დასასრულს ბულგარეთში საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამაარსებელი იყო. მან ამ საქმეს მიუძღვნა თავისი ცხოვრება, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა. შვილიშვილმაც ბაბუის მსგავსი მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. მან გადაწყვიტა, თავისი სადირიჟორო კარიერა დიდი ტრიუმფით დაესრულებინა, ყველა წინააღმდეგობა გადალახა და ბურგასის ოპერა საფრანგეთში გაემგზავრა.

ამგვარად, ისე, რომ თვითონაც არ ელოდა, მოულოდნელად ზურაბი პარიზში აღმოჩნდა. მან გადაწყვიტა, რომ საოპერო სპექტაკლების დასრულების შემდეგ ბულგარეთში აღარ დაბრუნდებოდა, დარჩებოდა პარიზში და ინდრას ძებნას დაიწყებდა.

XXXIV

გადიოდა დრო. ინდრა და მარტა ძალიან კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ცხოვრების რადიკალური შეცვლით. მათ შეისწავლეს ფრანგული ენა, უკვე კლინიკის მახლობლად მდებარე ერთ პატარა ნაქირავებ სახლში ცხოვრობდნენ და კარგი გასამრჯელოც ჰქონდათ. კლინიკაც გაფართოვდა, მედპერსონალი გაიზარდა. თუ მორიგეობა არ უწევდათ, შაბათ-კვირას თავისუფლები იყვნენ. ამიტომ ასეთ დღეებში გოგონები მატარებლით მიემგზავრებოდნენ ხოლმე პარიზში – იქამდე ჩასვლას ერთი საათი სჭირდებოდა, – და დროს საინტერესოდ ატარებდნენ.

ჟან-პიერი კმაყოფილი იყო, მაგრამ მის სრულ ბედნიერებას ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ აკლდა, – მას ძალიან მოსწონდა ინდრა და უნდოდა, რომ იგი მისი მეუღლე გამხდარიყო. ინდრაც გრძნობდა ჟან-პიერის ყურადღებას, დიდ პატივსაც სცემდა, მაგრამ არ უყვარდა, საქმროდ არ უნდოდა, და ყოველთვის თავს არიდებდა მასთან სერიოზულ საუბარს.

ერთხელ, შესვენებისას, ინდრა კლინიკის დასასვენებელ ოთახში ყავას მიირთმევდა. რადიოში დაბალ ხმაზე ბიზეს ოპერა „კარმენის“ მუსიკა ისმოდა. ინდრა გაქვავებულივით იჯდა სკამზე და უსმენდა. მას გაახსენდა თბილისი, ზურიკო, როდესაც იგი „კარმენს“ უკრავდა ჩელოზე, მასთან სახლში.

იმ დროს დერეფანში ჟან-პიერმა ჩაიარა შემთხვევით, ოთახში მაგიდასთან მარტო მჯდარი ინდრა დაინახა და მასთან მისვლა დააპირა. მიუახლოვდა და შეამჩნია, რომ ინდრას თვალში ცრემლი ჰქონდა ჩამდგარი.

– რა მოგივიდა, ინდრა, ცუდად ხომ არა ხარ? – ჰკითხა ჟან-პიერმა.

– არა, ცუდად არა ვარ. ბიზეს „კარმენს“ ვუსმენ და რაღაც გამახსენდა, – უპასუხა ინდრამ. შემდეგ სკამიდან წამოდგა და სევდიანი ღიმილით მიმართა ჟან-პიერს: შესვენება დამიმთავრდა და ჩემს ადგილს დავუბრუნდებიო.

ჟან-პიერს გაუკვირდა, ინდრა რომ კლასიკურ მუსიკაში ერკვეოდა და თან ძალიან გაუხარდა. გადაწყვიტა, ოპერის თეატრში დაეპატიჟებინა, თუმცა ისიც იცოდა, რომ გოგონა ძალზე მორიდებული იყო და მარტო არ წაჰყვებოდა.

ორი კვირის შემდეგ ჟან-პიერმა ინდრასა და მარტას გამოუცხადა, შაბათს საღამოს ოპერა „კარმენის“ სანახავად, მივდივართ პარიზში, ბილეთები უკვე შეძენილი მაქვსო. მართლაც, შაბათ დღეს საოპეროდ გალამაზებული და გამშვენიერებული გოგონები ჟან-პიერმა ბიზეს ოპერა „კარმენის“ სანახავად პარიზში წაიყვანა.

წარმოდგენა დაიწყო. გაისმა ნაცნობი მუსიკა. ინდრას ისევ ზურიკო გაახსენდა და ცრემლი მოადგა თვალზე. ღმერთო, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი და რა ბედნიერები ვიყავით! – ფიქრობდა ინდრა. მუსიკა გრძელდებოდა. ინდრას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შენიშნა, რომ ორკესტრის ვიოლონჩელოების ჯგუფის კონცერმაისტერის ისტრუმენტის ხმის ჟღერადობა და მუსიკალური ბგერა, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა ვიოლონჩელოების ბგერებისგან, ძალიან ჰგავდა ზურიკოს დაკრულ ისტრუმენტს.

მაყურებელთა ადგილებიდან, სადაც ინდრა იჯდა, ორკესტრი და მუსიკოსები არ ჩანდნენ, ნახევრად მოჩანდა მხოლოდ ორკესტრის დირიჟორის სილუეტი, რომელიც საოპერო დადგმას უძღვებოდა. პირველი აქტის დასრულების შემდეგ ინდრამ დიდი ყურადღებით გადაიკითხა საოპერო ბუკლეტი, რომელშიც ეწერა, რომ პარიზში ოპერა „კარმენს“ წარადგენდა ბულგარეთის საოპერო დასი ივან ვულპეს ხელმძღვანელობით.

მეორე აქტის დაწყების შემდეგ ინდრა უფრო მეტად აღელდა. ჩელოების ჯგუფის ხელმძღვანელი მუსიკალურ ფრაზებს ზუსტად ისე უკრავდა, როგორც თბილისში უკრავდა ზურიკო, თან სიყვარულზე რომ უმღეროდა მას.

მეორე აქტის დასრულების შემდეგ ინდრამ ვეღარ მოითმინა. ტუალეტში გავიდა, ცრემლები მოიწმინდა, დამშვიდდა და დარბაზში დაბრუნებისას გადაწყვიტა ენახა, ვინ უკრავდა პირველ ვიოლონჩელოს. საოპერო დარბაზში ხალხი უკვე სხდებოდა დასკვნითი, მესამე აქტის მოსასმენად. ინდრა პირველ რიგს მიუახლოვდა. მან ორკესტრის ფოსოში ჩაიხედა და პირველი ვიოლონჩელოს ადგილზე, ისტრუმენტით ხელში, საკონცერტო სმოკინგში გამოწყობილი ზურიკო დაინახა, რომელიც ნოტებს ფურცლავდა. ინდრას მოულოდნელობისგან სუნთქვა შეეკრა, მოინდომა, დაეძახა ზურიკოსთვის, მაგრამ თვალთ დაუბნელდა და გულწასულმა ჩაიკეცა.

პირველ რიგში მსხდომმა მაყურებლებმა მაშინვე თეატრის დამხმარე პერსონალს უხმო. მათ ინდრა სასწრაფოდ ფეხზე წამოაყენეს და დარბაზიდან გაიყვანეს. დაიწყო ოპერის მესამე აქტი. ჟან-პიერი და მარტა აღელდნენ, რადგან ინდრა არ ჩანდა. მათ ვერ დაინახეს ინდრას დარბაზიდან გაყვანა, რადგან ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და თან მათი ადგილები საკმაო მანძილით იყო დაშორებული პირველ რიგებს. ამ დროს მათ ოპერის ერთ-ერთი თანამშრომელი მიუახლოვდა და შეატყობინა, ინდრა შეუძლოდ არისო.

მარტა და ჟან-პიერი სწრაფად წამოდგნენ, დარბაზიდან გავიდნენ და ოპერის თანამშრომელმა ისინი ცალკე ოთახში შეიყვანა, სადაც უკვე გონზე მოსული და გაფითრებული

ინდრა დივანზე იყო წამოწოლილი, მის გვერდით სკამზე ჩამომჯდარი მამაკაცი კი ჭიქაში წყალს ასხამდა.

ჟან-პიერისა და მარტას დანახვაზე ინდრა დივანიდან წამოიწია. თეატრის პერსონალს მადლობა გადაუხადა, აღარ მინდა წყალი, უკვე კარგადა ვარო, და მეგობრებს გაუღიმა. ინდრამ ყველაფერი მოკლედ აუხსნა მათ. უთხრა, რომ თავისი საქმრო, რომელიც ომში დაკარგულად იყო გამოცხადებული და დაღუპულად ითვლებოდა, ცოცხალი ყოფილა და პირველ ჩელოზე უკრავს ახლა აქ, ამ მომენტში, ოპერის ორკესტრში; ისტრუმენტის ხმით ვიცანი და შესვენებაზე საორკესტრო ფოსოში რომ დავინახე, თავბრუ დამეხვაო.

ჟან-პიერი დაეჭვდა – დასაშვები იყო, რომ ინდრა ისევ აფექტში ყოფილიყო. მან ოპერის თანამშრომელს ჰკითხა, შესაძლებელი თუ იყო ორკესტრის ან საოპერო დასის წარმომად-გენელთან გასაუბრება. ოპერის თანამშრომელი დაეთანხმა, ოთახიდან გავიდა და მალევე დაბრუნდა ბულგარეთის საოპერო დასის ინსპექტორთან ერთად.

ინდრა წამოდგა და აღელვებულმა ჰკითხა ორკესტრის ინსპექტორს:

– ჩელისტი ზურაბ კალატოზიშვილი დავინახე ანტრაქტზე და ხომ არ მეშლება, ხომ ნამდვილად ის არის? მე მგონი, არ ვცდები.

– დიახ, ნამდვილად ის არის, ქართველი. თითქმის ერთი წელია, რაც ჩვენთან მუშაობს, – მიუგო ორკესტრის ინსპექტორმა.

ინდრას თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. ინსპექტორს გადაეხვია, აკოცა და უთხრა:

– ყველას ომში დაღუპული გვეგონა და ცოცხალი გადარჩენილა! მე მისი საცოლე ვარ, სახელად ინდრა მქვია. ზურაბს გადაეცით, რომ ოპერის დასრულების შემდეგ მოსაცდელში დაველოდებით და ჩვენთან მოვიდეს.

გაოცებული ჟან-პიერი და მარტა გახარებულ ინდრასთან ერთად დარბაზში დაბრუნდნენ.

დამთავრდა ოპერის ბოლო აქტიც და ყველანი ერთად მოსაცდელ ოთახში ჩავიდნენ. მალევე ოთახში ინსპექტორი და თვალებგაბრწყინებული, სუნთქვაჩქარებული, შავ საკონცერტო სმოკინგში გამოწყობილი ზურაბი შემოვიდნენ. შეცბუნებული და გაღიმებული ინდრას დანახვაზე ზურიკომ მისი სახელი წამოიძახა და ხელებგაშლილი გაიქცა მის შესაგებებლად მიმავალი ქალიშვილისკენ. ისინი ერთმანეთს ჩაეხუტნენ. ორივეს თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ალერსიანად კოცნიდნენ, ეფერებოდნენ და თან ამშვიდებდნენ ერთმანეთს.

– ყველას დაღუპული გვეგონე! რამდენი წამება გავიარე შენს ლოდინში, რომ იცოდე! – აქვითინდა ზურიკოს მკერდზე მიკრული ინდრა.

– ვიცი, ვიცი. მომიყვნენ, თბილისში რომ დავბრუნდი. მეც რამდენი გეძებე, რომ იცოდე, ჩემო სიცოცხლევ! – ზურაბმა აცრემლებული თვალები დაუკოცნა ინდრას.

– სად იყავი? სად დაიკარგე? – წაიქვითინა ისევ ინდრამ.

– ძალიან მძიმედ, სასიკვდილოთ დავიჭერი. არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. მეგობრებმა აფხაზეთში დამმალეს. მერე გიამბობ ამის შესახებ, – ალერსიანად მიუგო ზურაბმა და მოფერა ინდრას. შემდეგ ხელში აიტაცა, სიხარულისგან რამდენჯერმე დატრიალდა, ინდრაც დააბზრიალა და სიცილით წამოიძახა:

– გახსოვს, 9 აპრილის შემდეგ, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თავშეხვეულმა, რა გითხარი?

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს! შენ დამპირდი, რომ 40 წლის ასაკში პარიზში ერთად ვისეირნებდით, – სიცილნარევი ტირილით თქვა ინდრამ და გაიღიმა.

– სწორედ პარიზში, სიყვარულის ქალაქში ვიპოვეთ კვლავ ერთმანეთი და მადლობა უფალს, რომ ეს ნატვრა ბევრად უფრო ადრე აგვიხდა! – სიცილით წამოიძახა ზურაბმა და ხელმეორედ ჩაკოცნა ხელში აყვანილი და კვლავ სიხარულით ატირებული ინდრა.

ოთახში მყოფ მათ შემხედვარე ხალხასაც მოულოდნელი ემოციისაგან თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა, მარტა კი ცხარე ცრემლით ტიროდა.

ზურაბს ბულგარეთის საოპერო დასთან ოფიციალური კონტრაქტი ორ კვირაში უმთავრდებოდა. პარიზული სპექტაკლებიც დასრულებული იყო. ბულგარეთში სტაბილური მდგომარეობა აღარ იყო. მან თავისი საბჭოური გამოცდილებით იცოდა, რომ ქვეყანა აირია, ფულის დიდი დევალვაცია და ინფლაცია დაიწყო. სამწუხაროდ, ბულგარეთსაც ისეთივე მომავალი ელოდებოდა, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე სახეზე იყო: ქაოსი, არასტაბილურობა, კორუფცია, პრივატიზაციები, შემცირებები და შეკვეცები, ამიტომ ინდრასთან ერთად ბულგარეთში დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა.

ზურაბი ქალაქ ბურგასის საოპერო თეატრის დირექტორს, ივან ვულპეს გაესაუბრა. დიდი მადლობა გადაუხადა მაესტროს გაწეული დახმარებისთვის; ამცნო, რომ მისი ერთწლიანი სამუშაო კონტრაქტი სრულდებოდა და იგი პარიზში აპირებდა დარჩენას, თავის საცოლესთან ერთად. მაესტრომ ხელი ჩამოართვა ზურაბს და უთხრა:

– პირიქით, მადლობა შენ, გაწეული სამსახურისთვის! სწორად იქცევი, პარიზში რომ რჩები. წარმატებას გისურვებ!

XXXV

ციხისთავმა როსებ კავკასიძემ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი მაგნუსი თავისი ციხის საწოლ დარბაზში გაშლილ დიდ ტახტზე მოათავსა და საჩქაროდ ექიმი ახმობინა, რომ იქნებ როგორმე მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

მთლად გაფითრებულ მაგნუსს სუნთქვა უჭირდა. ყოველი დახველებისას ფილტვებიდან ამონადენი სისხლი ბაგეს წითლად უღებავდა. ატირებული ელენე მაგნუსის სასთუმალთან ჩამომჯდარიყო და ხელსახოცით ტუჩებზე მომსკდარ სისხლს სწმენდდა მომაკვდავს.

საწოლ დარბაზში იყვნენ აგრეთვე დიდად დამწუხრებული როსები, მისი მეუღლე და მაგნუსის უფროსი ძმა, მთავარი ინგვარი, ორ ვარანგ მხლებელთან ერთად. კარის მოძღვარი ბერი ანთიმოზი საწოლის ფერხთით იდგა ბიბლიით ხელში და ლოცვანს კითხულობდა.

ექიმის მოლოდინში აწრიალებული და შეშფოთებული როსები ხან ფანჯარასთან მიდიოდა, ხან კი მტირალ ელენეს გასცქეროდა სიბრალულით და თვალებიდან მალულად ცრემლს იშორებდა.

უშველებელ ხმალზე დაყრდნობილი მთავარი ინგვარი გოლიათივით იდგა შუა დარბაზში და მრისხანე გამომეტყველებით შეჰყურებდა თავის სულთმობრძავ ძმას. თავისი დიდი საბრძოლო გამოცდილებით მან კარგად უწყოდა, რომ ასეთი მძიმე ჭრილობების მიღების შემდეგ სისხლისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი მაგნუსის გადარჩენა მხოლოდ რაიმე ღვთიურ სასწაულს თუ შეეძლო.

მაგნუსის გაფითრებულ სახეს ელენეს ცხელი ცრემლები დაეცა. მომაკვდავმა ნელ-ნელა თვალი გაახილა, ელენეს ხელს თავისი ხელი დაადო, მეორე ხელი ხმალზე წაივლო, გაუღიმა ელენეს, ძლივს წარმოთქვა, მაპატიე ჩემო სიყვარულოო, და ტკივილიანი ღიმილი სახეზე შეეყინა.

საწოლ ოთახში სირბილით შემოვარდა აქოშინებული ექიმი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყველანი თავდახრილნი ტიროდნენ. მაგნუსის ცხედარი საწოლი ოთახიდან ციხის ეზოში

ჩაასვენეს. ეზოში მდგომი, საკმაოდ შეთხელებული ვარანგთა რაზმი მწუხარებით დაჰყურებდა მაგნუსის ცხედარს და გულსაკლავად აქვითინებულ ელენეს, რომელიც მის ნეშტთან მუხლებზე დაჩოქილიყო და მაგნუსის უსიცოცხლო ხელს თავისი პატარა და ფაფუკი ხელი-დან არ უშვებდა.

დამწუხრებულმა როსებმა ინგვარს შესთავაზა, რომ მაგნუსს თვითონ დაკრძალავდა დიდი პატივით, როგორც წესი და რიგი იყო. მთავარმა ინგვარმა მადლობა გადაუხადა როსებს გულისხმიერებისა და გულითადი მასპინძლობისთვის, მაგრამ ორივე ძმასა და ბრძოლაში დაღუპულ თავისი გვარდიის მებრძოლთა ლამის ნახევარზე მეტთან გამომშვიდობება თავიანთი წესით ისურვა, ვიკინგთა ძველი ტრადიციის მიხედვით. მან ბრძანება გასცა, მაგნუსის ცხედარი ურემზე მოეთავსებინათ, სხვა დაღუპულ მებრძოლებთან ერთად და ურმები მდინარე მტკვრის მიმართულებით დაძრულიყო, სადაც ვიკინგთა გემები იდგა.

შემდეგ ინგვარი პირველ ურემთან მივიდა, მეფე ბაგრატის მიცემული სკივრი გადახსნა, იქიდან ერთი ვერცხლის მონეტა ამოიღო, კუნძზე დადო და მთელი ძალით დაჰკრა ვიკინგური საბრძოლო ცული. ვერცხლის მონეტა შუაზე გაიყო. მონეტის ნახევრები ინგვარმა ხელისგულზე დაიდო და მტირალ ელენეს უთხრა:

– ჩემს ქვეყანაში ოდითგანვე ასეთი წესი არსებულა: თუ შეყვარებული წყვილის შეუღლებამდე რომელიმე მათგანი მოულოდნელად მოკვდებოდა, ან თუ რაიმე უბედური შემთხვევის გამო ორივე ერთად დაიღუპებოდა და მათი შეუღლება აღარ მოხდებოდა, ძველი ტრადიციის თანახმად, მათ ოჯახებს გადაეცემოდა შუაზე გაჭრილი ვერცხლის მონეტა. მონეტის ეს ნახევარი თაობიდან თაობაში გადადიოდა, ოჯახის უფროს შვილს გადაეცემოდა. თუ ოდესმე რომელიმე შეუღლებულ წყვილს ის გადაჭრილი მონეტები აღმოაჩნდებოდა და ვერცხლის ფული გამთლიანდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ იმ პირველი, უიღბლო შეყვარებულების სულები შეხვდნენ ერთმანეთს „ვალჰალაში“ ანუ ვიკინგთა იმქვეყნიურ სამოთხეში, და მათი გაერთიანებული სულები მფარველობას გაუწევდნენ ახლად შეუღლებულ წყვილს, რათა მათ ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდათ.

ნახევარ მონეტას მე წავიღებ, ნახევარი კი შენ დაგრჩება. აირჩიე, რომელიც გინდა. – თქვა ინგვარმა და ხელისგული გაუწოდა ელენეს. აცრემლებულმა ელენემ თავისი თლილი თითებით ფრთხილად აიღო ნახევარი მონეტა, მუჭში მოიქცია, დახედა ურემზე დასვენებულ მაგნუსის ცხედარს და კიდევ უფრო ძლიერ ატირდა. ელენეს მშობლებს გული მოუკვდათ მისი საცოდაობით. იქვე მდგომმა კარის მოძღვარმა ანთიმოზმა, რომელიც საეკლესიო ხატთა ჭედვის ჩინებული ოსტატიც იყო, გაბედა და ინგვარს მიმართა:

– მთავარო ინგვარ! ნება დამრთეთ, რომ მაგ მონეტის ორივე ნახევარი მედალიონებად ვაქციო. დროთა განმავლობაში მონეტის ნახევრები შეიძლება დაიკარგოს, მედალიონი კი საუკუნეებს გაუძლებს. როსებ ბატონო! თქვენ რომ ელენეს დაბადების დღისთვის ვერცხლის საყურის გაკეთება დამავალეთ, უკვე მზადაა, მხოლოდ ძვირფასი ქვების ჩასმა აკლია. ქვების ნაცვლად მაგ მონეტის ნახევრებს ჩავსვამ ახლავე, ყელთასმებს შევაბამ და გზაში დაგეწევით.

ინგვარი და როსები დაეთანხმნენ კარის მოძღვარს, მეფე ბაგრატის მიერ მოჭრილი ვერცხლის ფულის ნახევრები გადასცეს და ინგვარის რაზმი, ურმებზე დასვენებული ვარანგ მებრძოლთა ცხედრებით, მდინარე მტკვრის სანაპიროსკენ გაემართა. ინგვარის რაზმს თან ახლდა როსები თავისი სახლობით. ღრმად დამწუხრებული, გულამომჯდარი ელენე მეფის ნაჩუქარ ხატაულაზე იყო შემომჯდარი, აქეთ-იქიდან ძმები ამოსდგომოდნენ ცხენდაცხენ.

მდინარე მტკვართან მიახლოებისას, ვარანგთა გემებზე დატოვებული მეთვალყურენი ინგვარს მიეახლნენ. ყველანი ძალიან შეწუხდნენ ურმებზე დახვავებული გარდაცვლილი

ვარანგების დანახვისას. ინგვარმა რამდენიმე გემზე ცხედართა გადატანა დაავალა თავის რაზმს.

მოსაღამოებული იყო, კარის მოძღვარი ცხენით რომ მიუახლოვდა როსებსა და ინგვარს. ანთიმოზმა უბიდან ორი ერთნაირი, ტყავის თასმაშებმული ვერცხლის მედალიონი ამოიღო, გადასცა მათ და უთხრა:

– მონეტის ნახევრები ჩავსვი და მედალიონების უკანა მხარეს ქართული წარწერის გაკეთებაც მოვასწარი: „ბაგრატის თეთრის ერთიანობითა აღსდგეს დიდი სიყვარული“.

როსებმა და ინგვარმა ყურადღებით შეათვალიერეს ანთიმოზ ბერის ნახელავი, შეუქეს ოსტატობა. შემდეგ როსებმა ერთი მედალიონი მტირალ ელენეს ყელზე შეაბა, მეორე მედალიონი კი ინგვარმა ბაგრატის მიერ ბოძებულ სკივრში შეინახა.

ვარანგებმა ცხედრების გემებზე გადასვენება რომ დაამთავრეს, სწორედ იმ დროს გამოჩნდა მეფე ბაგრატი, თავისი სამეფო ამალით. ისინი მდინარის გასწვრივ მოდიოდნენ. ინგვარი და როსები მიუახლოვდნენ დამწუხრებულ მეფეს და თაყვანი სცეს. ინგვარმა მეფეს მიმართა:

– ბრძოლაში დაღუპულ ჩემს მებრძოლებს ჩვენებური წესით ვაცილებთ იმქვეყნად.

ბაგრატმა თავი დაუქნია და ინგვარმაც ნიშანი მისცა თავის რაზმელებს. ვარანგებმა თავიანთი დაღუპული მებრძოლების ცხედრებით დატვირთული რამდენიმე გემი ნაპირიდან აუშვეს. აფრაგაშლილი გემები ნელ-ნელა დაიძრა ადიდებულ მტკვარში. შემდეგ რამდენიმე ვარანგმა მშვილდები შემართა და ცეცხლოვანი ისრები გემის აფრებისაკენ გაიჭრა. ცეცხლის ალი ჯერ გაშლილ აფრებს მოედო, შემდეგ აფრების ძირში დაწყობილ ხმელ ფიჩხსა და გემებსაც წაეკიდა, და ნაპირიდან ჩანდა, როგორ მიჰყვებოდნენ ცეცხლმოდებული გემები მდინარის მდორე დინებას.

უკვე დაღამებულიყო და ეს სურათი ნაპირზე მყოფი ქართველებისთვის დიდებული, და, ამავე დროს, ძალიან უცნაური სანახაობა იყო – ცეცხლოვანი გემები მისტიკური იდუმალებით მიცურავდნენ წყალმოდიდებულ მდინარეში. ცეცხლი მდინარის ნაპირებს ანათებდა, და მის შუქზე კარგად ჩანდა ვარანგთა და ქართველთა სახეები; მათ ცრემლჩამდგარ თვალებში ცეცხლის ალი ირეკლებოდა და კიაფობდა. სამარისებური სიჩუმე იდგა. ამ სიჩუმეში მხოლოდ კარის მოძღვარ ანთიმოზისა და მეფის ამალაში მყოფი მწიგნობართუხუცესის, ეფვთიმე გრძელის ხმადაბალი ლოცვანი მოისმოდა.

მეფის გვერდით მდგარმა უფლისწულმა გიორგიმ შორიდანვე შეამჩნია თეთრ ცხენზე შემართული ელენე. გიორგი ხანდახან თვალს გააპარებდა ხოლმე ელენესკენ. როდესაც გოგონას ცრემლიან თვალებში ცეცხლის ალი აკიაფდა, უფლისწულმა ფრთხილად დაძრა თავისი შავი ულაყი, მტირალ ელენეს მიუახლოვდა და გვერდით ამოუდგა.

მეფემ და როსებ კავკასიძემ წამიერად თვალი შეავლეს ერთმანეთს. შემდეგ ოდნავ თვალმოჭუტულმა ბაგრატმა ელენეს გვერდით მდგარ უფლისწულს გახედა, მერე კი მზერა კვლავ ცეცხლმოკიდებულ გემებზე გადაიტანა.

მთავარი ინგვარი მეფეს მიუახლოვდა. ჩვენი გამგზავრების დროაო, – უთხრა ბაგრატს, მეფესა და როსებს დაემშვიდობა და თავის რაზმს გასვლის ბრძანება მისცა. ვარანგები თავიანთ გემებში ჩასხდნენ და აფრები აუშვეს.

როსებ კავკასიძემ იცოდა, რომ მეფე ნაჭარმაგევის ციხე-სასახლეში მიდიოდა, მაგრამ მაინც გაბედა და სთხოვა ბაგრატს:

– დიდო მეფეო, გავკადნიერდები და შემოგბედავთ: ვიცი, რომ გეჩქარებათ, მაგრამ უკვე დაღამდა. ჩემი ციხე აქვეა; ძალიან გთხოვთ, ამ ღამეს ჩემს სახლში დაისვენოთ, ნაბრძოლმა მეფიონმა, და ხვალ გამთენიისას გააგრძელეთ გზა.

ბაგრატი მცირე ხნით ჩაფიქრდა, ელენეს გვერდით მდგომ უფლისწულ გიორგის გახედა და კავკასიძის შეთვაზებას დათანხმდა. როსებმა ციხეში მალემსრბოლი აფრინა, რათა სამეფო ამალისთვის სასწრაფოდ სახელდახელო პურობა და მოსასვენებელი ადგილები გაემზადებინათ.

ციხეში მისვლისას, მოკლეჟამიანი პურობის დროს მეფემ მწიგნობართუხუცეს იოანეს უთხრა:

– დავუფასოთ სათანადოდ ციხისთავს სამთავისის ეკლესიისა და სხვა მრავალ ეკლესიათა და ციხეთა აგება. ისევე, როგორც ჩემმა დიდმა წინაპარმა ტაოს პარხალი პეტრიკ კავკასიძეს ჩააბარა, მე როსებ კავკასიძეს ვაბარებ ამ მხარის ყველა ციხისა და ციხესიმაგრის მოვლა-პატრონობას! დამადასტურებელი სიგელ-გუჯრები გაამზადე შიდა ქართლის ციხეთა ერისთავის, როსებ კავკასიძის სახელზე და გადაეცი მას!

როსები უცებ მიხვდა, რასაც ნიშნავდა მეფის უდიდესი წყალობა – მისთვის შიდა ქართლის ციხეთა ერისთავის ტიტულის მინიჭება, და უნებურად თვალი გაექცა უფლისწულ გიორგისკენ, რომელიც მაგიდასთან ჯერ კიდევ ცრემლშეუშრობელი, თავდახრილი და დამორცხვებული ელენეს გვერდით იჯდა.

XXXVI

მთავარმა ინგვარმა გემებით გაიარა საქართველოს ტერიტორია და კასპიის ზღვაში შევიდა, სადაც დანარჩენი გემები ჰყავდა დატოვებული, ვარანგთა რაზმთან ერთად. ცუდი ამბავი დახვდა მთავარს. ნახევარზე მეტი, სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებული მებრძოლებისა, რომლებიც ინგვარმა გამოსაჯანმრთელებლად დატოვა გემებზე, გარდაცვლილი დახვდა; იმათგან კი, ვინც გადარჩა, ჯანმრთელ ვარანგებსაც გადასდებია ავადმყოფობები.

სამშობლოში დასაბრუნებლად ვარანგებს ძალიან დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი, თანაც მდინარის დინების საწინააღმდეგოდ, რაც ორჯერ უფრო რთული და დამღლელი იყო. ამას გარდა, მალე დიდი სიცივეებიც დადგებოდა. ამიტომ ინგვარმა სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნების ბრძანება გასცა. ასეთი ხანგრძლივი და მომქანცველი მოგზაურობის განმავლობაში, სანამ მათ მდინარე ვოლგის სათავეს მიაღწიეს, თითქმის მთელი ვარანგთა რაზმი დაავადდა. ბევრი ვარანგი გზაში გარდაიცვალა, მათ შორის, მთავარი ინგვარიც. ბევრი გემი დაემტვრათ, ბევრიც მიატოვეს; ნიჩბების მოსასმელადაც აღარ ჰყოფნიდათ ხალხი, მდინარეებს რომ აღმასვლით აჰყოლოდნენ. საბოლოოდ სკანდინავიამდე მხოლოდ ერთმა გემმა მიაღწია, რამდენიმე გადარჩენილი ვარანგით.

შვედეთის ქვეყნის მეფემ ყურადღებით მოისმინა მოგზაური ინგვარის ესოდენ რთული, საინტერესო და ხანგრძლივი მოგზაურობის მთელი ისტორია, მიიღო იქ ჩატანილი დიდი სიმდიდრე და ცოცხლად გადარჩენილი ვიკინგი მებრძოლები უხვად დაასაჩუქრა. ინგვარისა და მისი მებრძოლების სახელის უკვდავსაყოფად მან შვედეთში ქვის წარწერიანი სტელები დაადგმევინა და მაგნუსის მედალიონი ინგვარის საგვარეულოს გადასცა.

XXXVII

ზურაბმა და ინდრამ გადაწყვიტეს, შაბათს პარიზში დარჩენილიყვნენ და ღამე იმ სასტუმროში გაეტარებინათ, სადაც ზურა იყო გაჩერებული, მეორე დღეს კი, კვირას, ერთად ჩასულიყვნენ იმ ქალაქში, სადაც ინდრა ცხოვრობდა და მუშაობდა.

სასტუმროს ლიფტში ზურამ გულში ჩაიკრა ინდრა. ბაგეებით შეეხო მის სურნელოვან თმას და ხმადაბლა წარმოთქვა:

– ოჰ, როგორ მომენატრა შენი სურნელი და რა ბედნიერებაა, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ!

სასტუმროს ნომერში შესვლისთანავე, კარი მიხურეს თუ არა, ინდრა და ზურა ერთმანეთს მოეხვივნენ, და მათი ათრთოლებული ბაგეები ვნებიანად შეეწება ერთმანეთს. შემდეგ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად, საწოლს მიუახლოვდნენ და აჩქარებით დაიწყეს ერთმანეთის გაშიშვლება.

მართალია, ადრე, თბილისში, შეყვარებულობის მთელი პერიოდის განმავლობაში, კოცნა და მოფერება მათთვის უცხო სრულებითაც არ იყო, მაგრამ ინდრა ყოველთვის წინააღმდეგი იყო ქორწინებამდე ინტიმური კავშირის დამყარებისა. ის ტრადიციული წესებით იყო აღზრდილი და მიაჩნდა, რომ ოფიციალური შეუღლების შემდეგ ყველაზე დიდი და ღირებული საჩუქარი, რაც მას შეეძლო მიეძღვნა ყველაზე საყვარელი ადამიანისთვის, ეს იყო ქორწინების პირველ ღამეს მისთვის ქალიშვილობის ჩაბარება.

... მაგრამ ამჯერად ეს ნორმები სადღაც გამქრალიყო. ამდენი ჭირ- ვარამის, ხანგრძლივი და უიმედო განშორების შემდეგ მათ მხოლოდ ერთმანეთი ჰყავდათ და იმ მომენტში ერთადერთი ინსტინქტით მოქმედებდნენ – ამდენი ხნის ნათმენი სიყვარული, ლტოლვა, მონატრება ერთმანეთის ვნებაში ჩაეცხროთ და მარადიულ, სანუკვარ, ტკბილ და მათრობელა სიამოვნების უძირო მორევში ჩაძირულიყვნენ.

მათ მთლიანად გააშიშვლეს ერთმანეთი. მიწებებული ტუჩები წუთით ერთმანეთს მოსწყდნენ და ხარბად შეისუნთქეს ჰაერი. ზურაბი პირველად ხედავდა სრულებით დედიშობილა ინდრას – მის ფაქიზ, თეთრსა და გაკრიალებულ, ახალგაზრდულ, მოქნილ სხეულს, მის წინაშე ვნებიანად რომ ცახცახებდა. ინდრა კი პირველად ხედავდა ზურიკოს ასეთ ანთებულ და აგზნებულ თვალებს, რომლებიდანაც პირდაპირ ვულკანური ცეცხლი იფრქვეოდა.

უცებ მათ ერთდროულად შეამჩნიეს, რომ კისერზე ორთავეს ერთნაირი მედალიონები ეკიდათ. თვალებგაფართოებული ინდრა და ზურიკო გაოცებულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. იმწუთსვე ყველაფერი გაახსენდათ, რაც ამ მედალიონების შესახებ იცოდნენ; მიხვდნენ, ვინც იყვნენ ერთმანეთისთვის, და მოულოდნელობისა და აღტაცებისაგან ხმამაღლა შეჰყვირეს, შემდეგ, კიდევ უფრო გახარებულები და ბედნიერები, ერთმანეთს უფრო მეტი გრძნობით გადაეხვივნენ.

ზურიკომ მედალიონი მოიხსნა. ინდრასაც შეხსნა. დააკვირდა ორივეს, – ამას შემდეგ გავარკვევთო, – ღიმილით თქვა, მედალიონები მაგიდაზე დადო, კვლავ ინდრას მოეხვია, ვნებიანად დააცხრა მის ბაგეებს, ვარდისფერ მგრძნობიარე მკერდზე ხელი შეავლო და საწოლზე ფრთხილად გადააწვინა. ინდრამ დიდი მწვანე თვალები შეანათა ზურიკოს, მორცხვად გაუღიმა და სთხოვა:

– ჩემო ტკბილო, ფრთხილად, ფაქიზად მომექეცი, კარგი? ჯერ ისევ ქალიშვილი ვარ. შემეშინდა, უცებ შიშველი რომ დაგინახე.

გაღიმებულმა ზურიკომ დაამშვიდა ინდრა, ფაქიზად დაუწყო ალერსი. ნელ-ნელა ვნებამ იმძლავრა და ისინი ფრთხილად შეერთდნენ, ერთ არსებად იქცნენ და ვნების უსასრულო მორევში თავდავიწყებით გადაეშვნენ. ისინი ისეთ სამყაროში აღმოჩნდნენ, სადაც დროისა და სივრცის შეგრძნება დაკარგულია და ერთადერთი განცდა არსებობს – უკიდეგანო და ულევი სიამოვნება.

საკმაო დრო გავიდა, სანამ ისინი რეალობში დაბრუნდებოდნენ. არაქათგამოცლილები და ზღაპრულად სასიამოვნო ემოციებისაგან დაცლილ-განთავისუფლებულები, ერთმანეთზე უცნაურად გადანასკვულ-გადახლართულები, აზრდაკარგულნი მისავათებულიყვნენ საწოლზე და ოფლში გახვითქულები ღრმად ქშინავდნენ.

– ინდრა, საყვარელო, როგორ ხარ? – წაიჩურჩულა ზურიკომ.

ინდრა აქვითინდა. ცრემლმოძალებული მოეხვია ზურიკოს, გაუღიმა და უთხრა:

– აი, თურმე რა ყოფილა ნამდვილი, წრფელი და დიდი სიყვარული!!! სად ვიყავით ამდენ ხანს? რა იყო ეს, ზურიკო? რა ჯადოსნურ სამყაროში აღმოვჩნდით? ამას ვკარგავდი ამდენი ხანი?!

ზურიკომ ცრემლიანი თვალები კოცნით ამოუშრო ნეტარებაში მყოფ ინდრას, გაუცინა და უთხრა:

– მართალი ხარ, ამიტომ ისევ იქ დავბრუნდეთ; ის სამყარო ბევრად სჯობია რეალობას. – შემდეგ კვლავ მხურვალედ დაეწაფა ინდრას ბროწეულივით აფეთქებულ, ტკბილ, ბუნჩულა ბაგეებს და გრძნობადაკარგულები, კვლავ სიამოვნების უკიდეგანო, ჯადოსნურ სამყაროში ჩაიძირნენ.

მოგვიანებით გონებაზე მოსული, ერთმანეთთან ჩახუტებული ინდრა და ზურაბი ძილ-ბურანიდან გამოერკვნენ.

– რამდენი რამე გვაქვს ერთმანეთისთვის მოსაყოლი, ძვირფასო, მაგრამ ეგ არაფერი, დღეიდან სულ ერთად ვიქნებით და სასაუბროდ მთელი ცხოვრება წინა გვაქვს, – ალერსიანად უთხრა ზურაბმა ინდრას. შემდეგ მაგიდიდან მედალიონები აიღო და ყურადღებით დაუწყო თვალიერება.

– შეხედე, ინდრა, ორივე ვერცხლის მედალიონი ერთნაირია, ერთი ოსტატის ნახელავია. უკანა მხარეს ორივეს ძველი ქართული დამწერლობით, ასომთავრულით, ერთი და იგივე წარწერა აქვს: „ბაგრატის თეთრის ერთიანობითა აღსდგეს დიდი სიყვარული“. განსხვავება მედალიონებს შორის მხოლოდ შიგ ჩასმული ვერცხლის ფიგურებია. ეს მედალიონი მე მამამ გადმომცა. მისი მონათხრობითა და ჩემი გამოკვლევებით დავადგინე, რომ ეს ნივთი, ელენეს მედალიონად წოდებული, მელქისედეკ კალატოზიშვილ-კავკასიძის ნაქონია, რომელიც ვახტანგ მეფეს გაჰყოლია თან ქართლიდან პეტერბურგში. მანამდე კი, XI საუკუნიდან, მედალიონი მემკვიდრეობით გადადიოდა კალატოზიშვილების გვარის თაობიდან თაობაში, ოჯახის უფროს შვილზე. მეფის მწიგნობართუხუცესის, მელქისედეკის გადმოცემით, ამ თილისმას, რომელიც ერისთავ როსებ კავკასიძის ქალიშვილის, ელენეს ნაქონია, რაღაც ფუნქცია აქვს შესასრულე - ბელი. არავინ იცოდა, რა შინაარსია ჩადებული მედალიონზე გაკეთებულ წარწერაში; გადმოცემით, მხოლოდ ის გაიგებს ამ სიტყვების მნიშვნელობას, ვინც მოესწრება ამ სიტყვათა მისიის აღსრულებას. აი, სულ ესაა, რაც კეთილშობილი ელენეს ნაქონ მედალიონზე ვიცი. შენ რას მეტყვი, ინდრა? შენ რა იცი?

– ძია ირვასმა რაც მიამბო, და რაც თვითონ რაიმონდსის მონაყოლიდან იცოდა, ის არის, რომ ეს მედალიონი, რომელსაც მაგნუსის მედალიონად მოიხსენიებენ, საქართველოში ყოფილა დამზადებული და ვიკინგებს ჩაუტანიათ შვედეთში. მაგნუსი ვიკინგთა მთავარის შვილი იყო. საქართველოში ყოფნისას მას შეჰყვარებია ქართველი გოგონა და მის ცოლად შერთვას აპირებდა, მაგრამ მაგნუსი ბრძოლაში დაღუპულა, როდესაც ვიკინგები ქართველ მეფეს ეხმარებოდნენ ბიზანტიელებთან ომში.

მაგნუსის მედალიონი შვედეთში მისი გვარის მემკვიდრეებს გადაეცემოდათ. შემდეგ ისინი ლატვიაში გადმოვიდნენ, კალნინშთა გვარით. ვიკინგებს ადრე თურმე წესად ჰქონიათ – თუ ახალგაზრდების სიყვარული მოულოდნელად ცუდად დამთავრდებოდა, ანუ თუ მათ შეუღლებამდე რომელიმე შეყვარებული ან ორივე მათგანი დაიღუპებოდა, მათ ნათესავებს შუაზე გადაჭრილ ვერცხლის ფულს აძლევდნენ; და თუ ოდესმე რომელიმე შეუღლებულ წყვილს ის გადაჭრილი ფული აღმოაჩნდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ იმ თავდაპირველი, უიღბლო შეყვარებულების სულების შეხვედრა მოხდა „ვალჰალაში“ ანუ ვიკინგთა იმქვეყნიურ

სამოთხეში, და მათი გაერთიანებული სულები აუცილებლად მფარველობას გაუწევდნენ ახლად შეუღლებულ წყვილს, და ამის წყალობით მათ ბედნიერი ცხოვრება ექნებოდა.

რადგანაც იმ ეპოქაში ვიკინგები არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ხალხი იყო, შუაზე გადაჭრილი ვერცხლის ფულის გამთლიანება თურმე საკმაოდ ხშირად ხდებოდა, და ამ მოვლენას ვიკინგები დიდი ქეიფითა და ღრეობით აღნიშნავდნენ.

– ხედავ, ინდრა, რა ადვილია ჩვენთვის თითქმის ათასწლოვანი საიდუმლოს გახსნა, როცა ორივე მედალიონი ხელთ გვაქვს! – წამოიძახა ზურაბმა.

შემდეგ მან პატარა ჯაყვა დანით მედალიონის კბილები გადახსნა, ჯერ დროისაგან გაშავებული ერთი ვერცხლის ნაჭერი ამოიღო, შემდეგ კი – მეორე. აბაზანაში ვერცხლის ნაჭრები გარეცხა, გააპრიალა, მერე ფრთხილად დააწყო მაგიდაზე და ერთმანეთს შეატყუპა. მაგიდაზე გამოისახა საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მიერ XI საუკუნეში მოჭრილი ქართული ვერცხლის ფული, რომელიც „ბაგრატის თეთრის“ სახელით იყო ცნობილი.

– ელენესა და მაგნუსის მედალიონებიდან ამოღებული ვერცხლის ფულის გაერთიანებით აღდგა დიდი სიყვარული! ელენესა და მაგნუსის სულები იმქვეყნიურ სამოთხეში, „ვალჰალაში“ შეერთდნენ და მუდამ ჩვენი ბედნიერი სიყვარულის მფარველები იქნებიან ამქვეყნად! – თქვა ზურიკომ და აცრემლებულ ინდრას მოეხვია, რომელიც გაოცებული დაჰყურებდა ვერცხლის გალაპლაპებულ „ბაგრატის თეთრს“.

– თითქმის ათასი წელი გავიდა და საკვირველია, რომ არც ერთი ნაწილი არ დაკარგულა! ძია ირვასი ამბობდა, რაიმონდსი ამულეტივით ატარებდა ქართულ მედალიონს, ბევრ ხიფათს გადამარჩინა, ომსა და ციხეს, – სულ ამას იმეორებდაო. რაიმონდსმა გიორგი ჭანტურიძეც იმიტომ გადაარჩინა ომის დროს, რომ ქართველი იყო; ერთმა ქართველმა ისეთი დახმარება გამიწია, მოვალე ვიყავი ქართველების წინაშეო, – ამბობდა თურმე რაიმონდსი. ერთ დროს თურმე ახალგაზრდა რაიმონდსსა და ბიძამისს, რომელიც გემის კაპიტანი იყო, ლენინგრადში ყაჩაღების ბანდა დაესხა თავს გასაძარცვად. გემის კაპიტანი დაუჭრიათ, რაიმონდსი კი მარტო ებრძოდა ბანდიტებს. ამ დროს მას უცნობი ქართველი დახმარებია და ბანდიტები გაუქცევიათ. ის ახალგაზრდა ქართველი შემდეგ გემზე აუყვანიათ, საფრანგეთში აპირებდა თურმე წასვლას, მაგრამ...

– მაგრამ ის ახალგაზრდა ქართველი საბჭოთა მესაზღვრეებმა გემიდან ჩამოსვეს და დააპატიმრეს, არა? – სიტყვა გააწყვეტინა ზურიკომ ინდრას.

– შენ საიდან იცი ეს ისტორია? – გაუკვირდა ინდრას.

– მამამ მომიყვა. ის უცნობი ახალგაზრდა ქართველი მამაჩემი იყო, – წამოიძახა ზურიკომ და მოვლენათა ასეთი საოცარი თანხვედრის გამო უცნაური სიცილი აუვარდა.

– ღმერთო! ნუთუ შესაძლებელია ამდენი დამთხვევა?! – გაოცდა ინდრა.

– 1937 წელს მამა საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთში წასვლას აპირებდა – პარიზში მის ნათესავებს რესტორანი ჰქონდათ გახსნილი. სამი დღის წინ მივაგენი იმ რესტორანს. კიდევ არსებობს, მაგრამ ჩვენი ნათესავები იქ აღარ არიან. პარიზელი კალატოზიშვილების მეოთხე თაობიდან იქ აღარავინ დამხვდა. სუყველა გაქრა. რესტორანზე გამახსენდა, ჩავიდეთ დაბლა, საყვარელო, ვისაუზმოთ და შემდეგ პარიზში გავისეირნოთ, უკვე დიდი ხანია, გათენდა, – სიცილით თქვა ზურაბმა.

საუზმემდე ინდრამ და ზურამ სასტუმროს ტელეფონით თბილისში დარეკეს და თავიანთ ნათესავებს აუწყეს, რომ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, შეუღლდნენ და პარიზში იმყოფებოდნენ.

სასტუმროს რესტორანში საუზმობის დროს ზურიკო თვალს ვერ აშორებდა მაგიდასთან მის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ ინდრას. თვალებგაბრწყინებული, მონუსხულივით

შესცქეროდა უკვე თავისი მეუღლის ბედნიერ სახეს. ინდრაც გრძნობდა მის მზერას, სიამოვნებდა კიდეც, და ამ მზერის პასუხად მან ხუმრობით თავი ოდნავ გადაზნიქა, დაემანჭა ზურიკოს და ენა გამოუყო.

ზურიკოს უცებ შორეული ბავშვობა გაახსენდა: ზაფხულის საღამო, თბილისის ზოოპარკის კაფეტერია, პატარა, ქერათმიანი და მწვანეთვალება გოგონა, რომელიც ცივ ლიმონათს წრუპავდა და მასზე მიშტერებულ, თვალებგაფართოებულ პატარა ზურიკოს ემანჭებოდა და ენას უყოფდა.

– შეუძლებელია! ნამდვილად შეუძლებელია! – გაიძახოდა ზურიკო, თან მთელი გულით იცინოდა და თვალზე მომდგარ სიცილის ცრემლებს იმშრალებდა.

– რა არის შეუძლებელი? – იკითხა გაკვირვებულმა ინდრამ და თვითონაც სიცილი დაიწყო.

– ვის უყოფდი, გოგო, შენ ენას? – ძლივს წარმოთქვა ზურიკომ და უფრო მეტად ახარხარდა.

– როდის? რა ენას? – სიცილითვე იკითხა ინდრამ.

– თბილისში, ზოოპარკის კაფეტერიაში! იმ დროს მე ალბათ 7 წლის ვიქნებოდი, შენ კი – 6 წლის, – ისევ იცინოდა ზურიკო.

ინდრამ სიცილი შეწყვიტა, დაფიქრდა და თითქოს რაღაც გაახსენდა. შემდეგ უცებ თვალები გაუბრწყინდა და იკივლა:

– არ გადამრიო! მამაჩემთან ერთად, ზოოპარკში პირველად წასვლისას, ჩემზე მოშტერებული ბიჭი, თვალს რომ ვერ მაცილებდა, შენ იყავი?

– კი, მე ვიყავი! – ძლივს ამოთქვა ზურიკომ, რომელსაც სიცილისაგან უკვე ლოყები სტკიოდა.

ამის გაგონებაზე ინდრას ისტერიული სიცილი აუვარდა. რესტორნის დანარჩენმა სტუმრებმა, ყველამ ერთნაირად, თავები მოატრიალეს და გაკვირვებით მიაჩერდნენ მხიარულ წყვილს. ეს რომ შეამჩნია, ზურიკოსაც ისტერიული სიცილი აუვარდა; ხმას ვეღარ იღებდნენ, სიტყვის თქმაც აღარ შეეძლოთ, სიცილისაგან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდათ. მათი ჯანმრთელი სიცილი ირგვლივ მყოფთაც გადაედოთ და ყველანი გაღიმებულნი შესცქეროდნენ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ბედნიერ წყვილს.

XXXVIII

ინდრამ და ზურაბმა რესტორნიდან გასვლის შემდეგ პარიზში ხელიხელჩაკიდებულებმა გაისეირნეს. ძალიან გახალისებულნი და ბედნიერები იყვნენ, მხიარულად მისაუბრობდნენ ქალაქის ქუჩებში. გაოცებულები იყვნენ მოვლენათა ასეთი და ამდენი დამთხვევის გამო; თითქოს განგების ან ბედისწერის ნება ყოფილა ყველაფერი, რაც მოხდა: ჯერ რაიმონდსისა და ვალერიანის შეხვედრა ლენინგრადში, ვალერიანის ციხეში ჩასმა, ციხეში ვალერიანისა და მოძღვრის შეხვედრა, მოძღვრის მიერ სიკვდილის წინ ვალერიანისთვის თითქმის უკვე დაკარგული ელენეს მედალიონის გადაცემა; ამასთანავე, რაიმონდსის მიერ გიორგის გადარჩენა, ვალერიანის წინაშე ვალში ყოფნის გამო; მოგვიანებით კი თბილისის ზოოპარკში ვალერიანისა და გიორგის შეხვედრა, რომლის დროსაც ვალერიანს პატარა გოგონას ყელზე ჩამოკიდებული მაგნუსის მედალიონის დანახვაზე კარადაში შენახული მივიწყებული მედალიონი გაახსენდა, რომელიც შემდეგ ზურიკოს დაჰკიდა ყელზე. უკვე იმ დროს ორივე მედალიონი თბილისში იყო, და სწორედ მაშინ მოხდა პირველად ინდრასა და ზურიკოს შეხვედრაც.

ამასობაში ინდრა და ზურიკო სეირნობა-სეირნობით ინვალიდების სახლს მიუახლოვდნენ და ტაძარში შევიდნენ.

– ვიცი, გიყვარს ნაპოლეონის გამონათქვამები, – ჩურჩულით უთხრა ინდრამ ზურაბს, თითქოს ფრთხილობდა, არ გამოეღვიძებინა სამარადჟამოდ მიძინებული იმპერატორი.

– მართალია, მიყვარს, განსაკუთრებით ეს: „განდიდებიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია“; ეს გამონათქვამიც გენიალურია: „შეცდომები, რომლებზეც სწავლობს ადამიანი, დასაშვებია, მაგრამ დაუშვებელია ფატალური შეცდომა, თუ იგი დაგღუპავს“. – თქვა ზურაბმა და მაღლა აიხედა – იქ, სადაც ნაპოლეონის სარკოფაგი იყო სივრცეში აზიდული.

– რაც არ უნდა მოხდეს, ზურიკო, ჩვენ ხომ ფატალურ შეცდომას არ დავუშვებთ? – გაიღიმა ინდრამ.

– ცხოვრებამ იმდენი მწარე გაკვეთილი და გამოცდა ჩაგვიტარა, რომ უკვე საკმაოდ გამობრძმედილები ვართ, და თან არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენი მფარველი სიყვარულის ათასწლოვანი სულებია! – ხმადაბლა, ღიმილით მიუგო ზურაბმა ინდრას. შემდეგ კვლავ სარკოფაგს ახედა და აღმოხდა: – რა უბრალო და გენიალური ჩანაფიქრია! პირველი სართულიდან ნაპოლეონის საფლავის დასანახად თავი მაღლა უნდა ასწიო, და ამ დროს უნებლიეთ მთელი არსებით განიცდი მის სიდიადეს; მეორე სართულიდან კი სარკოფაგი რომ დაინახო, ძალაუნებურად თავი უნდა დახარო. ამდაგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში, გინდა-არ გინდა, მაინც ქედს იხდი მისი საფლავის წინაშე!

პარიზის ქუჩებში სეირნობით გული რომ იჯერეს, ინდრა და ზურიკო საღამოს მატარებლით იმ პატარა ქალაქში გაემგზავრნენ, სადაც ინდრა და მარტა მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ. მარტა სახლში არ დახვდათ. შეშფოთებულმა ინდრამ ჟან-პიერს დაურეკა, რომელმაც ინდრა დაამშვიდა და უთხრა:

– დამშვიდდი, ნუ ღელავ. მარტა ჩემთან არის. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ერთად ვიცხოვროთ. ყველასთვის ასე ჯობია. შენც შენს საქმროსთან ერთად იცხოვრებ სახლში, მარტო უფრო კარგად იქნებით, თავისუფლად იგრძნობთ თავს; ახლა კი მარტას დაგალაპარაკებ.

ინდრა მოულოდნელობისაგან დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა. ამ დროს ტელეფონში მარტას ხმაც გაისმა. მარტა მოუყვა ინდრას, რომ ოპერიდან გასვლის შემდეგ ის და ჟან-პიერი მეტისმეტად აღელვებულნი, დიდი ემოციების ქვეშ ყოფილან, ინდრასა და ზურიკოს შეხვედრას მათზე ძალიან უმოქმედია. როდესაც მანქანაში ჩამსხდარან, აცრემლებულ ჟან-პიერს ასევე ატირებული მარტას დამშვიდება და დაწყნარება დაუწყია; თბილად ესაუბრებოდა, თავზე ნაზად უსმევდა ხელს, ჯერ თავზე აკოცა თურმე, მკერდზე მიიყრდნო მისი თავი, შემდეგ ცრემლიან ლოყებზე უკოცნია. ჟან-პიერს უფიქრია, მარტაც არ დავკარგოო, და პირდაპირ ცოლობა უთხოვია მისთვის. მარტაც დათანხმებულა.

იმ ღამეს ინდრამ და ზურაბმა კარგად გამოიძინეს, ამდენი ემოციების შემდეგ დაისვენეს, დაწყნარდნენ და დილით ინდრას სამსახურში ერთად წავიდნენ. შეხვდნენ ჟან-პიერსა და მარტას. ოთხივემ მიულოცა ერთმანეთს გაბედნიერება, საღამოს კი რესტორანში ერთად აღნიშნეს ორი ახალი, ბედნიერი ოჯახის შექმნა. ახალშეუღლებულებმა ბევრი იმხიარულეს, იცინეს და გვიან ღამით დაიშალნენ.

მომდევნო დღეს, დილით, საუზმობის დროს, ზურიკო და ინდრა შეთანხმდნენ, რომ სანამ ინდრა სამსახურში იქნებოდა, ზურაბი ქალაქს დაათვალიერებდა და საღამოს სახლში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. საუზმის შემდეგ ორივე ერთად გავიდა სახლიდან. წვრილად ცრიდა. ზურაბს ქოლგა ეჭირა, ინდრა ხელკავით მიჰყვებოდა. ქუჩა გადაჭრეს და ინდრა უკვე თავის სამსახურთან იყო. მიხვდნენ, როგორ ეძნელებოდათ ერთმანეთთან დროებითი განშორებაც კი.

– მეორედ აღარ გაბედო და არ დამეკარგო, – სიცილით უთხრა ინდრამ ზურაბს, აკოცა და კლინიკაში შევიდა.

წვიმების სეზონი იდგა. ზურიკო მშვიდად გაუდგა გზას. მთელი ქალაქი დაათვალიერა და შეისწავლა. მოეწონა პატარა, მშვიდი და სუფთა ქალაქი. შემდეგ ერთ-ერთ ბარში შევიდა, წვიმისაგან დასველებული ქურთუკი გაიხადა და ოდნავ რომ შემთბარიყო, ცხელი ყავა მოითხოვა, შიგ ჩასხმული ცოტაოდენი კონიაკით. ბარი ცარიელი იყო. ზურა ფანჯარასთან მდგომ მაგიდასთან ჩამოჯდა, ყავის სმა დაიწყო და თან გარეთ იყურებოდა, წვრილ თქორს გასცქეროდა, რომელსაც მცირედი ქარი პერიოდულად მიმართულებას უცვლიდა.

ზურაბმა კიდევ მოსვა რამდენიმე ყლუპი ცხელი ყავა. სხეული გაუთბა, მოეშვა და მისი გონება თანდათანობით ფიქრებმა მოიცვა. რა საოცარი სიმშვიდეა, – გაიფიქრა რევოლუციებს, ომებსა და მუდმივ არეულობებს მიჩვეულმა ზურაბმა; სიმშვიდეა არა მარტო ცარიელ ბარში, არამედ – მთელ ქალაქში... ათწლეულებია ალბათ, რაც აქ ასეთი სიწყნარეა, რაც აქ არაფერი მომხდარა; პენსიონერებისთვის ზედგამოჭრილი ადგილია – სიწყნარე, სიჩუმე და მშვიდი ცხოვრება, რომელიც აქ სუფევს, მათთვის სანატრელ ადგილად აქცევს აქაურობას.

წვიმს. ისევ წვიმს. მზიანი დღეები აქ მხოლოდ ზაფხულის თვეებშია, შეიძლება, სექტემბრის შუა რიცხვებამდეც გამოერიოს. წლის დანარჩენ დროს სულ წვიმა და ნისლია. 7 საათის შემდეგ ქუჩები უკაცრიელია. დილის 6 საათზე ადგომა და საღამოს 8 საათზე დაწოლა, – ასეთ რეჟიმში ცხოვრობს მთელი ჩრდილოეთი ევროპა. ასეთი პირობები იდეალურია სახლში შემოქმედებითი მუშაობისთვის. ამიტომაც არის, რომ საქვეყნოდ ცნობილი მოაზროვნეებისა თუ შემოქმედების – ფილოსოფოსების, პოეტების, მწერლების, კომპოზიტორებისა და მხატვრების – დიდი უმრავლესობა სწორედ იქაურები არიან, ჩრდილოეთის მკვიდრნი.

სახლში დაბრუნებულმა ზურაბმა ინდრას აუწყა, რომ ხვალიდან ახალ ცხოვრებას დაიწყებდნენ, თან ასეთი ქარაგმა მოაყოლა თავის ნათქვამს: ერთხელ ერთი ბრძენი ადამიანისთვის უკითხავთ, რაში მდგომარეობს სიცოცხლის აზრი და საიდუმლოებაო; ბრძენი დაფიქრებულა და უთქვამს, საიდუმლოება თვით სიცოცხლეაო.

– ამით რისი თქმა გინდა? – შეეკითხა ინდრა.

– სიცოცხლე მინდა, ჩემო კარგო, სიცოცხლე! ისეთი ცხოვრება მინდა, რომ ჩვენი დარჩენილი სიცოცხლე სულ დასვენებასავით გავატაროთ, სადმე, პალმების ჩრდილში ჩაფლულ კურორტზე, ზურმუხტისფერ ზღვაზე, ოქროსფერ ქვიშიან ნაპირზე, უკიდეგანო, უღრუბლო, ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, სადაც მუდმივად მზიანი დღეებია! ერთხელ მოვდივართ ამ ქვეყანაზე, ერთი ცხოვრება გვაქვს მხოლოდ, ამიტომ ყოველი დღე მაქსიმალურად, ინტენსიურად უნდა გამოვიყენოთ და ჩვენი ცხოვრება მუდმივ სიამოვნებად ვაქციოთ, სანამ ამქვეყნად ვიქნებით! ყოველი დღე ჩვენი სიცოცხლისა ზეიმი უნდა იყოს, მუდმივი დღესასწაული! საკმარისია, გვეყოფა, რაც ვიწვალეთ და ვიტანჯეთ. დღემდე მთელი ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ბრძოლა იყო; ამიერიდან ჩვენი დარჩენილი სიცოცხლე იქნება სიამოვნება და მუდმივი დასვენება, სამხრეთის რომელიმე ლამაზ კურორტზე!

– უჰ, გული ამიფორიაქდა, ისე ლამაზად და გემრიელად აღწერე! მერედა, ეს შესაძლებელია? – იკითხა ინდრამ.

– კი, შესაძლებელია. ყოველი ადამიანი თვითონ ძერწავს და ქმნის თავის ცხოვრებას. გააჩნია, ვინ როგორი მომზადებულია, განსწავლული, გათვითცნობიერებული, მონდომებული, შრომისუნარიანი, თავისი საქმის პროფესიონალი, აზროვნებისა და ანალიზის როგორი უნარი აქვს. ისეთი ცხოვრება, როგორიც ჩვენ გვინდა, შესაძლებელია, მაგრამ ჩუქებით არავინ გვაჩუქებს, ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. ამისათვის კი ჩვენ უკვე მზად ვართ! – თქვა ზურიკომ და ინდრას მოეხვია.

– შენ გვერდით მე არაფრის არ მეშინია! დავტოვებ სამსახურს და წავიდეთ სამხრეთში. სიმართლე გითხრა, წვიმები მეც მომბეზრდა. რამდენჯერმე თითქოსდა აუხდენელ ოცნება-სავით მესიზმრა, ვითომ ფეხშიშველი დავრბოდი ზღვის სანაპიროზე, ცხელ ქვიშაზე, – თქვა ინდრამ და მკერდზე მიეკრა ზურიკოს.

– აუხდენელი ოცნება კი არ დაგსიზმრებია, საყვარელო, პირიქით, გესიზმრა ის, რაც მომავალში მოგელის, – გაეცინა ზურიკოს.

ასეც მოხდა. ინდრა და ზურაბი დაემშვიდონდნენ ჟან-პიერსა და მარტას, გულითადი მადლობა გადაუხადეს ჟან-პიერს ყველა იმ სიკეთისთვის, რომელიც მან ინდრას მიმართ გამოიჩინა. ჟან-პიერმა სარეკომენდაციო წერილი მისცა ინდრას და თან უთხრა: ოდესმე უკან დაბრუნება თუ მოგინდება, იცოდე, ჩვენი კლინიკის კარი შენთვის მუდამ ღიაა.

ბევრი ძებნის შემდეგ ინდრამ და ზურიკომ სამხრეთში მიაგნეს ლამაზ ზღვისპირა საკურორტო ქალაქს, რომელიც ძალიან მოეწონათ საცხოვრებლად. აქ ისინი დაბინავდნენ ზღვის სანაპიროსა და პალმების ხეივნის მოპირდაპირედ მდგარ ერთ-ერთ სახლში. მათი ყოველდღიური ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

ზურა და ინდრა ფეხშიშველები დარბოდნენ სანაპიროს ოქროსფერ, სუფთა, ცხელ ქვიშაზე, ცურავდნენ ზურმუხტისფერი ზღვის სუფთა წყალში. ყოველდღიურად, მზის სხივებთან ერთად მათ აღვიძებდა ზღვის ტალღების ხმაური და სუფთა ჰაერზე მოჭიკჭიკე ფრინველთა ხმები; ხელიხელჩაკიდებულნი დასეირნობდნენ პალმების ხეივნებსა და სხვადასხვა ფერის სურნელოვანი ოლეანდრებისა და ჟასმინების მწვანეში ჩაფლულ ბაღებში, თერმული წყლების დიდ აუზებში იკაჟებდნენ ორგანიზმს, ერთმანეთს გამაჯანსაღებელ მასაჟებს უკეთებდნენ; პერიოდულად ანკესებით სათევზაოდ დადიოდნენ. საგასტროლო კონცერტების დროს ზურაბს ინდრა თან დაჰყავდა. ბევრი რამ ნახეს, ბევრი რამ გაიგეს. სხვადასხვა კუთხისა და რეგიონის ტრადიციულ სამზარეულოებსაც გაეცნენ. დეგუსტირებას უკეთებდნენ სახელგანთქმულ, საუკეთესო ღვინოებს. ყოველივე ეს რეალური გახდა და ადვილად ხელმისაწვდომი. მათ თავიანთი ცხოვრება მართლაც მუდმივ დასვენებასავით მოიწყვეს, სამომავლოდ კი გადაწყვიტეს, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ – როდესაც იქ ყველაფერი დამშვიდდებოდა, დაწყნარდებოდა და ქვეყანა დალაგდებოდა.

ჯერჯერობით კი, იმ პერიოდისთვის, ზურაბი ორკესტრში უკვე პირველ ჩელოს უკრავდა და თან პროფესორის ხარისხით კონსერვატორიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ინდრა კი თავის სპეციალობას, სარეაბილიტაციო მასაჟს დაუბრუნდა. ისინი ბედ-ნიერები იყვნენ და ერთმანეთთან ყოველდღიური სიახლოვით ტკბებოდნენ. ერთად ყოფნის ყოველი დღე მათთვის დღესასწაული იყო.

ინდრა მალევე დაფეხმძიმდა და ცხრა თვის გასვლის შემდეგ ქვეყანას მოევლინა მშვენიერი, ქერათმიანი პატარა გოგონა, რომელსაც დიდი, ლურჯი, ულამაზესი თვალები ამშვენებდა. ანგელოზის სადარ ჩვილს მშობლებმა სახელად ელენე დაარქვეს...

რა ბედი ექნებათ მომავალ თაობებს? რა ბედი ელით ჩვენს შვილებს? როგორი მომავალი ექნება ჩემს ქალიშვილს, რომელიც ახლა იწყებს ცხოვრებას?... არავინ იცის.

არასოდეს არა გაქვს ის, რაზეც ოცნებობ, მაგრამ ღირსი ხარ გქონდეს იმაზე მეტი, რაც გაქვს.

07. 07. 2019.

ბაგრატის თეთრი

სამთავისის ტაძარი

მოგზაურ ინგვარის სტელები



ჰარალდისა და ინგვარის გზები

სწავლა, სწავლა და პროფესიონალიზმის ასამაღლებლად კიდევ მეტი სწავლა, რათა შენი ცხოვრება შენ თვითონ გამოჭედო და შექმნა ისეთი, როგორიც გინდა, რომ გქონდეს, რადგან უფალმა მხოლოდ ერთი სიცოცხლე მოგვცა.

ზურაბ კალატოზიშვილი
zurabkala@gmail.com